

ჯემალ მახრიშვილი

**გინდოდა, გოგოთურსაცა
ნამასჯლომეჩავ თავზედა?**

**თბილისი
2006**

რედაქტორი ხათუნა მეტრეველი
ტიქნიკური რედაქტორი იამზე შარიქაძე
კორექტორი ციური რიგიშვილი

ავტორის ფოტო ბონდო დვალისვილის

ცოტა რამ ავტორზე

.....1964 წელია. უნივერსიტეტში მისაღებ გამოცდებზე ერთ მაგიდასთან ვისხედით მე და ფარნაოზ ერთელიშვილი. შემოვიდა აბიტურიენტი – ჯარისკაცი, მშვენიერი შესახედავი, კარგი ვაჟკაცი. იმ დროს ჯარისკაცებს ცოტა არ იყო, ამრეზით ვუჭურებდით, ვფიქრობდით – საიდანღაც ჩამოსულს, რა ეცოდინებაო. იშვიათობა იყო, ვინმეს რაიმე სცოდნოდა.

ახალგაზრდამ აიღო ბილეთი და დახედა თუ არა საკითხებს, მაშინვე მოისურვა გამოსვლა. კი ვუთხარით – რა გეჩქარება, ჯერ კარგად მოიფიქრეო, მაგრამ დაიჟინა – მოსაფიქრებელი არაფერი მაქვს, საკითხები ვიცი და ახლავე გამოვალო.

ამან უფრო გაგვაკვირვა. მე, გამომცდელს რომ ამელო ის ბილეთი, ისე ვერ მოვცეობოდი, როგორც ის ბიჭი ჰყვებოდა. იმდენად აველედი, რომ ვატყობ, სადაც არის, ცრემლები უნდა გადმომცვივდეს, მაგრამ იქ ტირილს ხომ არ ღავიწყებდი?! ფარნაოზს ვუთხარი – მე პაპიროსს მოვწევ და გამოცდა თქვენ გააგრძელეთ-შეთქი.

გაკვედი ღერეფანში და ვეწევი პაპიროსს, მაგრამ ცალი თვალი აქვთ მაქვს – ბიჭი შეუფერხებლად პასუხობს და პასუხობს... რომ არა და არ მივბრუნდი, ფარნაოზმა ხელი დამიქნია – მოდიო და რომ შევედი, მითხრა: ახლა მეორე არწივი დაიბანს თვალს და შენ მოუსმინეო – და თვითონ გავიდა სიგარეტის მოსაწევად: თურმე იმასაც ეტირებოდა.

ის აბიტურიენტი ახალგაზრდა ჯემალ მენბრიშვილი იყო – მერე ჟურნალ „ცისკარში“ ბეჭდავდა არცთუ ისე ურიგო მოთხრობებს“...

ალექსი ჭინჭარაული
(ჟურნალი „ვზა“, 2001 წ. №20)

* * *

„Джемал Мехришвили – выпускник ТГУ. В отличие от предыдущих авторов, он историк. Его биография богата встречами с интересными людьми, событиями. Он прошел службу в армий, побывал на целине, жил в большом городе и знает запах свежей травы. вероятно поэтому так ярка и так объемна палитра его красок.

Мехришвили с одинаковой легкостью находит характерные штрихи, нюансы к портрету человека любой профессии, национальности. Понравилось в нем и то, что автор умеет заставить читателя поразмыслить над написанным, подумать, постигнуть все, что сказано и что осталось за строчками“.

თინა დონტაშვილი
(„მოლოდიოე გრუზიი“,
1974 წ., 19 ოქტომბერი)

* * *

„ცალკე უნდა გამოვეყო ახალგაზრდა ავტორის ჯემალ მეხრიშვილის ნარკვევი. ავტორი ისე ხელშესახებად, რელიეფურად, საქმის ცოდნითა და ტემპერამენტით გვიხატავს გმირის სულიერ სამყაროს, ძნელია მის მიმართ პატივისცემითა და მოკრძალებით არ განიმსჭვალო“.

რევაზ ჯაფარიძე
(„ლიტერატურული საქართველო“,
1975 წ., 18 ივნისი)

* * *

„საყურადღებოა ჯემალ მეხრიშვილის ნარკვევი „შენი მიწა“. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ფაქტურად ეს არის მოთხრობა... აბა, არსენ კობაიძის შრომითი გმირობის ამბავი ვის არ სმენია?! რამდენი

რამა დაწერილი ამ სამაგალითო შრომულ კაცზე!
მაგრამ ჯ. მეხრიშვილმა არსენ კობაიძე გვიჩვენა
ყოფაში, გვიჩვენა მხიარულების დროს, გვიჩვენა
თანასოფლელებთან პურის ჭამისას, ძმაკაცებში
ხუმრობა-თავშეცევის დროს... არავითარი სქემა,
არავითარი ტრაფარეტი. უსმენთ ადამიანს, ხედავთ
ადამიანს, გჯერათ მისი, გწამთ.

ჯ. მეხრიშვილის ეს ნარკვევი ფორმით ორიგინალურია, დაწერილია ძარღვიანი ქართულით...”

ჯუშუბერ თითმერია

(„ლიტერატურული საქართველო“, 1976 წ., 27

თებერვალი)

* * *

„... ნიჭიერ და საიმედო ახალგაზრდა შემოქმედთა რიცხვს ეკუთვნის ჯემალ მეხრიშვილი. მას აქვს მხატვრის ნამდვილად გამჭრიახი თვალი, აქვს უნარი დანახულის ოსტატურად გადმოცემისა: მოთხრობაში, რომელსაც „ძროხები“ ეწოდება და რომელმაც მკითხველის ღრმა ინტერესი გამოიწვია — ახალგაზრდა მწერალმა აღწერა ერთი დღე ბოლბისხევის ბაზარზე — და იმავე დროს მან დახატა მთელი დღევანდელი სოფელი თავისი საზრუნავით, საფიქრალით...”

ჯემალ მეხრიშვილი წერს დღევანდელი საქართველოს სოფელსა და ქალაქზე. მწერალი საფუძვლიანად იცნობს ხალხის ცხოვრებას, საუცხოოდ ფლობს ქართული ენის მთელ უმდიდრეს საგანძურს...”

გიორგი ნატროშვილი

(ჯ. მეხრიშვილის „მოთხრობების“ კრებული
წინასიტყვაობიდან. „მერანი“, 1977 წ.)

* * *

„ინტერესით იკითხება ახალგაზრდა მწერლის ჯემალ მეხრიშვილის „შირაქელი თავკაცი“. რა

განაპირობებს ამას? ცოცხალი, ბუნებრივი ენა, სადა, დახვეწილი სტილი, შეკუმშული კომპოზიცია, ცოცხალი, დამაჯერებელი დიალოგები, მოხდენილი თქმები და სხარტულები, რაც მოხერხებულად არის ჩართული თხრობაში...

ჩანს, ჯემალ მეხრიშვილი კარგად იცნობს სოფლის ცხოვრებას, საერთოდ, მის ადამიანებს. მას შეუძლია მხატვრული შტრიხებით წარმოაჩინოს ხასიათის არსებითი თვისებები, ცხოვრებაში და ადამიანში შენიშნოს მთავარი, არსებითი..."

გივი გარდოსანიძე

(ჟურნალი „საქართველოს
კომუნისტი“, 1979 წ., №2)

* * *

„... ახალგაზრდა მწერლის ჯემალ მეხრიშვილის მოთხრობების სანაქებო ღირსებაა სათქმელის აქტუალობა, მებრძოლი პათოსი. ის წერს იმაზე, რაც აღელვებს მას, როგორც მწერალსა და მოქალაქეს, რომელიც პასუხისმგებელია დღევანდელი და მომავალი თაობების წინაშე...“

შალვა ამინაშვილი

(ალმანახი „კრიტიკა“, 1979 წ., №3)

* * *

„ყურადღებას იქცევს ჯემალ მეხრიშვილის მოთხრობები მარტივი სიუჟეტით, უშუალო თხრობით; მწერალი გვიყვება უბრალო და საინტერესო ამბებს უბრალო და საინტერესო ადამიანებზე...“

ყველა მოთხრობა ცალკე და ყველა ერთად სავსეა თითქოს უშუალო ყოფიდან აღებული სურათებით, ეგრეთ წოდებული პატარა ადამიანის სულიერი სილამაზის გამოხატულებით, მათდამი დიდი ადამიანური თანაგრძნობით...“

გურამ გვერდწითელი

(„მნათობი“, 1982 წ., №5)

წინასიტყვაობა

მიუგო მოსემ და უთხრა: არ დამიჯერებენ, არ შეისმენენ ჩემს სიტყვას.

მიუგო მოსემ: გვედრები, უფალო, სხვა ვინმე გაგზავნე.

უთხრა უფალმა: ახლა წადი და მე ვიქნები შენს ბაგესთან: გასწავლი, რა უნდა თქვა.

ბიბლია, ბაშკლა, თავი IV

ამ წინასიტყვაობის გარეშე მკითხველისთვის გაუგებარი დარჩება თვით წიგნის წარმოშობის იდეა და ისტორია.

2004 წლის ოქტომბერში გამ ოვიდა ჟურნალის „ლიტერატურული პალიტრა“¹ (მთავარი რედაქტორი თამარ მამაცაშვილი, მთავარი რედაქტორის მოადგილე მანანა ჯანელიძე) პირველი ნომერი.

ლიტერატურული ჟურნალის დაარსებაზე არანაკლებ აღმაფრთოვანა მთავარი რედაქტორის წინათქმამ. აი, ისიც!

წინათქმა

რევოლუციური ცვლილებებით აღსაქე ეპოქაში მოგვიწია ცხოვრება. ასეთი პერიოდი კი ყოველთვის იწვევს მკვეთრ კრიზისულ სიტუაციებს საზოგადოების ცნობიერებისა და ყოფიერების ყველა სფეროში. ბუნებრივია, ცვლილებები არანაკლები სიმძაფრით აისახა კულტურაზეც. უჭირს საზოგადოებას და უჭირს ქართულ მწერლობას, რომელიც ყოველთვის იყო, არის და იქნება თავისი ხალხის ყველა ტკივილისა თუ სინარულის არა უბრალო გამზიარებელი, არამედ საკუთარი

¹ ხაზგასმა ყველგან ავტორისეულია.

მხრებით მატარებელი, დიდი სიყვარულითა და გულისტკვილით ამომთქმელი. ჟამის სიავემ მოიტანა ისიც, რომ მკითხველი დააშორა მწერალს. წიგნის გამოცემა ოცნების საგნად იქცა ბევრი შემოქმედისათვის. არადა, წიგნი ხომ შუამავალია მწერალსა და საზოგადოებას შორის. ცალკეული ზოგიერთი გამომცემლობა ცდილობდა, შეეცაო ეს ხარვეზი, მაგრამ ისევ და ისევ ფინანსური თუ სხვა ყოფითი პრობლემების გამო მათაც უამრავი წინააღმდეგობის დაძლევა უწევდათ. შედეგად კი, ფაქტი სახეზეა: ქართველ მკითხველს მოენატრა ლიტერატურა, ქართველ მწერალს კი მოაკლდა სითბო, სიყვარული და ყურადღება თავისი მკითხველისაგან.

ჟურნალ „ლიტერატურული პალიტრის“ დაბადებას ეს მონატრება უდევს საფუძვლად, — კარგი ლიტერატურის მონატრება. მონატრება იმისი, რაც აქვეა, ჩვენ გვერდითაა, მეტიც — ჩვენშივეა, მაგრამ რატომღაც მასთან მიახლოების საშუალება არ გვეძლევა. ჩვენი დიდი სურვილია, შევაყვსოთ ჩვენშივე არსებული სიცარიელე.

ჟურნალი ეცდება, შეძლებისდაგვარად წარმოგიჩინოთ დღეს მიმდინარე ლიტერატურული პროცესები — ჩვენი კარი ღია იქნება ყველა თაობის, ყველა მიმდინარეობის წარმომადგენლებისათვის. თუმცა, აქვე გვინდა გამოეხატოს ჩვენი პოზიცია: ლიტერატურა და, საზოგადოდ, ხელოვნება ერის სულიერ განვითარებასა და ზრდას უნდა ემსახურებოდეს და არა მის გარყვანასა და დეგრადირებას. ღიახაც, ლიტერატურა ასახავს იმ პროცესებს, რაც რეალობაში ხდება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ არ უნდა გვეკონდეს სულიერი, მორალური ღირებულებები, არ უნდა გაგვანდეს ის მყარი საფუძველი, რომელიც ჩვენს არსებობას ასულდგმულებს.

„ლიტერატურული პალიტრის“ მკითხველი მონაწილე გახდება მსოფლიო ლიტერატურული პროცესებისაც — ჩვენთან დაიბეჭდება სპეციალურად ჟურნალისთვის თარგმნილი თანამედროვეობის ყველაზე პოპულარულ უცხოელ ავტორთა ნაწარმოებები. ჟურნალის თავისებურება იქნება ისიც, რომ ყველა ავტორი წარდგება მკითხველის წინაშე არა მხოლოდ შემოქმედებით, არამედ თავისი ცხოვრებით, პირადი პრობ-

ლემებით, ფიქრებითა და მოსაზრებებით. ეს კიდევ უფრო დაგვაახლოებს ერთმანეთთან, კიდევ უფრო უშუალოს გახდის ჩვენს ურთიერთობას.

დასასრულ, გვინდა გითხრათ, რომ ჩვენი წამოწყება თქვენ მიმართ დიდი სითბოთი და სიყვარულითაა ნასულდგმულები (უნდა იყოს ნასულდგმულარი. ვ.მ.), ჩვენო მკითხველო! თქვენი თანადგომისა და მხარდაჭერის იმედით, კეთილი ზრახვებითა და ამბულებული განწყობილებით გიძღვნით ამ ახალ ლიტერატურულ ჟურნალს.

მთავარი რედაქტორი
თამარ მამაცაშვილი

მთავარი რედაქტორის პათოსით მოხიბლულ-მოსყიდულს, მეც გამიჩნდა ჟურნალში თანამშრომლობის ბუნებრივი სურვილი. მაგრამ ეს შეუფერებელ სულწასულობაში რომ არ ჩამომრთმეოდა, გადავწყვიტე, მასალა მოგვიანებით მიმეტანა.

სამწუხაროდ, ჩემი სიხარული და სამზადისი დღემოკლე გამოდგა: სრულიად მოულოდნელად ჟურნალის მეორე ნომერშივე გამიჩნდა მრავლისმეტყველი გაფრთხილება — „იბეჭდება მხოლოდ შეკვეთილი მასალები“, რაც არაორაზროვნად მიანიშნებდა, რომ ყველა მწერალს არ ექნებოდა თავისი ნება-სურვილით „ლიტერატურული პალიტრის“ რედაქციაში ფეხის შედგმის უფლება! ოღონდ ეგ არის, მერე და მერე მახეტებდა ჟურნალის ნომრიდან ნომერში გამოქვეყნებული ზოგ-ზოგი პროზაული ტექსტის სიმდარე და რედაქციის მიერ შეუმჩნეველი სხვადასხვა სახის უხეში, აღმამფოთებელი შეცდომების სიუხვე...

2005 წლის მიწურულს ჟურნალში ჩემი ერთი ნაცნობი პოეტი დაიბეჭდა. როცა შემხვდა, მივულოცე: რედაქციას მასალა შეუკვეთია-მეთქი.

— არაფერიც არ შეუკვეთიათ — მე თვითონ მივიტანე! — იყო პასუხი.

— როგორ? — გამიკვირდა, — აბა, თავფურცელზე რომ უწერიათ — იბეჭდება მხოლოდ შეკვეთილი მასალებიო?!

– ჰო, მაგრამ მაგას ვინ უყურებს!.. თუ მიიტან, მაინც იტოვებენ!.. შენ რატომ არაფერი მიგაქვს?.. მიიტანე რამე, მიიტანე!..

უარესად ამებნა თავგზა: მაშინ რაღა საჭირო იყო ამგვარი დისკრიმინაციული გაფრთხილება, რომელიც, ჩემი აზრით, არაფერს მატებდა რედაქციის ღირსებას.

მოკლედ, 2005 წლის 27 ნოემბერს რედაქციაში ერთი თხუთმეტ-გვერდიანი მოთხრობა წავიდე. დაცვის მუშაკის მიერ მითითებულ, დერეფნის ბოლოს მდებარე პატარა კაბინეტში ორი თანამშრომელი ქალი კორექტურას გამალებით კითხულობდა.

– უკაცრავად, მოთხრობა მოვიტანე – შეიძლება დავტოვო? – ვიკითხე.

ერთ-ერთმა მათგანმა, რომელიც, როგორც ორი თვის მერე-ღა გაირკვა, თურმე თვით მთავარი რედაქტორი ყოფილიყო, მასალა სწრაფად გამომართვა და ისე შედო სავესე საქალაქდში, არც მოთხრობისთვის დაუხედავს, არც ჩემი ვინაობა უკითხავს.

– ორი კვირის შემდეგ მანანა ჯანელიძეს მიაკითხეთ! – და ისევ თავიანთი საქმე განაგრძეს.

ორი კვირა ცოტა დრო მეჩვენა, თან ეს სულწასულობისადმი აკვიატებული ზიზღი და მოთხრობას ორიოდ თვის შემდეგ – 2006 წლის 20 იანვარს მივაკითხე. შემთხვევით შეხვედრილი ქალიშვილი დამტყმარა და სწორედ მან გამოახედვინა დერეფანში მთავარი რედაქტორის მოადგილეს, მანანა ჯანელიძეს. რედაქციაში მეტისმეტი სივიწროვეაო და ჩვენი საუბარი პირდაპირ დერეფანში, ზეზუურად წარიმართა.

– თქვენი მოთხრობა არ დაიბეჭდება... არ ვარგა!

– რა დაუწუნეთ?

– რას ჰქვია „რა დაუწუნეთ?!“ არ ვარგა და ის დაუწუნე!.. აი, თუგინდ რესტორნის სცენა!

– ჩემს მოთხრობაში რესტორნის ხსენებაც კი არ არის.

– არა?! უი, შემეშალა! იმ ბიჭების ჩხუბში ამერია!

– იქ არც ბიჭების ჩხუბი მაქვს.

– ოი, მაპატიეთ! იმდენი მოთხრობები შემოგვდის, რომ... თუ შეიძლება, შემახსენეთ, რაზეა მოთხრობა.

ორიოდე სიტყვით ავუხსენი.

— ააა, გამახსენდა, გამახსენდა! ვიცი, ვიცი! მაგრამ არც ეგ მოთხრობა მომეწონა! ჩვენი ჟურნალი განსაკუთრებული მიმართულების ნაწარმოებებს ბეჭდავს! თქვენი მოთხრობა კი—

უეცარმა თვალის ახელამ სულიან-ხორციანად შეძრა: კარგად დამუშავებული ფანდით რედაქტორის მოადგილე რედაქციაში პირველად მისულ, მისთვის პიროვნულად სრულიად უცნობ და უდანაშაულო ავტორს ისე მიშორებდა თავიდან, ჩემი მოთხრობა თვალითაც კი არ ენახა!

— თუ შეიძლება, მოთხრობის მიხედვით გავარჩიოთ, რა არ—

— დღეს არ შემიძლია! ძალიან მძიმე დღე გვაქვს — გაზეთი გამოდის! სხვა დროს მობრძანდით!

— არ ღირს! მაშინ მომეცით მოთხრობა — უკან წავიღებ!

ნატყეხი პურის მოლოლინში ატუხული მათხოვარივით დერეფნიდან კარგად ვხედავდი, კომპიუტერებით და თანამშრომლებით საესე კარლია ოთახში მთავარი რედაქტორის მოადგილე ერთ-ერთი მაგიდის გამოტენილ უჯრებს ერთმანეთის მიყოლებით როგორი მონდომებით აქოთებდა, მაგრამ ამაოდ.

— არ ჩანს! ვერ მივაგენი! შეიძლება სადმე შემიყვას! ან... ერთ კვირაში მობრძანდით და წაიღეთ!

რალას ვიზამდი, უსიტყვოდ გამოებრუნდი, თუმც დაცვის ჯიხურთან ახლა ასეთი აზრი დამებადა: მეორედ რალაზე მოვცდე, რაკი მოსული ვარ, მოდი, მოთხრობის ასავალ-დასავალს უშუალოდ მისგან შევიტყობ, ვისაც თავდაპირველად ჩავაბარე-მეთქი. იგი ისევ იქ დამხვდა — ხელნაწერებს ჩალრმავებოდა.

— ვინა, ვინა?... მესრიშვილი?... ჩემთან?... როდის?... ააა, რალაც მაგონდება!.. კი მაგრამ, აქამდე სად იყავით?! ოღონდ კარგად აღარ მახსოვს, გადავეცი თუ არა ჯანელიძეს! მოიცა, დავურეკო!

დარეკვა აღარ გახდა საჭირო: მთავარი რედაქტორის მოადგილეს, ეტყობა, კომპიუტერების კარლია ოთახიდან დავენახე უკან მოტრი-ალელებული და ისიც ფეხდაფეხ მომყოლოდა.

— ხომ გითხარით, ერთ კვირაში გამოიარეთ-მეთქი — რედაქტორს რალაზე აწუხებთ?! — შეკავებული ყვედრებით მომმართა და ჩემთვის

უცებ ნათელი გახდა — თურმე ჟურნალის მთავარი რედაქტორის წინაშე ვმდგარვარ!

მთავარი რედაქტორის მოადგილე ახლა მთავარ რედაქტორს მიუტრიალდა.

— ის მოთხრობა კარგა ხანია, რაც გადმომეცია... კი, კი! — მაგრამ დავიწუნე და უკანვე მოგიტანე — სადღაც აქ უნდა იყოს! რაკი მოსულა, ბარემ წაიღოს — მეორედ რაღაზე ვაწვალთ!

— უკან წაღებას ყოველთვის მოვასწრებ! — მიეუგე მთავარი რედაქტორის მოადგილეს და მთავარ რედაქტორს მივუბრუნდი, — გთხოვთ, მოთხრობა თქვენც წაიკითხოთ.

— როგორ?! — შეიცხადა მთავარმა რედაქტორმა, — არ ენდობით ჩემი მოადგილის კომპეტენციას?

— არა! და საერთოდ, თქვენს ჟურნალში იმდენი და ისეთ-ისეთი შეცდომები იპარება, რომ... მეტი სიფხიზლეა საჭირო! აი, თუ გინდ...

მე მეგონა, ლიტერატურული ჟურნალის ტრადიციულ, მართლა ჭეშმარიტ მესვეურებთან მქონდა საქმე და პროფესიული გაფაციცებით მოისმენდნენ რედაქციაში პირველად მისული მწერლის პირუთვნელ შენიშვნებს, ზრდილობის გულისთვის მანაც! გაგიგონიათ?! ჩემი ამგვარი დასაწყისი მათ მიიღეს როგორც თავიანთ ჟურნალზე ტერორისტული თავდასხმის მცდელობა, როგორც ქუჩიდან ალალბედზე შემოხეტებული ვიღაც თავაწვეტილი გარეწრის მიერ სრულიად უდანაშაულო მანდილოსნებისადმი უხამსი ლანძღვა-გინება და პირადი შეურაცხყოფა! ამიტომ მათი მეოხებით ჩვენი კამათი უმაღლეს ნავთგადასხმულ კოცონს დაემსგავსა! თავი სიზმარში მეგონა! საპნის ბუშტივით თვალსა და ხელს შუა გაქრა მთავარი რედაქტორის წინათქმის პათოსი, ზოლო ჟურნალის ნომრიდან ნომერში დართული ანკეტის მე-5 კითხვა: **გთხოვთ, მოგეწეროთ, რა მოგეწონათ „ლიტერატურული პალიტრის“ წინა ნომერში და რა — არაო, ახლა უკვე იაფფასიან დემაგოგიად აღიქმებოდა, ვინაიდან ნებისმიერი მკითხველის მოწერას ვიღა დაეძებდა, როცა, აგერ, რედაქციაში პირველად და სამოყვროდ მისულ მწერალს იმწამსვე პირში ბურთს მჩრიდნენ და არ მაძლევდნენ ჟურნალისადმი პირუთვნელად**

გამოსათქმელი შენიშვნების ბოლომდე და ნათლად ჩამოყალიბების საშუალებას!!!

მოულოდნელად მთავარი რედაქტორის მოადგილე სასწრაფოდ გასხლტა და საიდანლაც ორი ჯანღონიანი ჯეილი შემოიყვანა, რათა, თუ საჭირო გახდებოდა, ჩემი თავი სულ მუშტი-კრივით გამოეგდოთ რედაქციიდან.

ცხადია, საქმე აქამდე არ მისულა. არც შეიძლებოდა მისულიყო – მე თვითონ არ მივიყვანდი! იმ ყმაწვილების შეწუხებაც უბრალოდ, დაუმსახურებლად აღზევებული მანდილოსნის პროვინციული წარმოდგენის ნაყოფი იყო. იმ ახალგაზრდების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ არც კრინტი დაუძრავთ, არც თითის განძრევა განუზრახავთ – მოწმეებივით იდგნენ და ჭკვიანური, აზრჩატანებული გამოძეტყველებით მღუმარედ ისმენდნენ ჩვენს ცხარე-მკვასხე კამათს. მე არაფერს ვიტყვი და დაე, მალალმა ღმერთმა განსაჯოს, გულში რას ფიქრობდნენ და საკუთარი სინდისის კარნახით შინაგანად ვის მხარეზე იყვნენ!

უკიდურესად გაანჩხლებული მთავარი რედაქტორის მოადგილე და მთავარი რედაქტორი კი ერთმანეთს აღარ აცდიდნენ.

– აქ სამტროდ მობრძანდით?!

– როგორ, ჟურნალი გაგვილანძღეთ და კიდევ ჩვენთან დაბეჭდვა გასურთ?!

– ქვეყანა ჩვენს ჟურნალს აქებს, თქვენ კი შეცდომებით გვაშინებთ?! შეცდომები! ჰა-ჰა-ჰა!

– ან რა შეცდომებზე გველაპარაკებით?! დაწერეთ, ბატონო, დაწერეთ ერთი, რატო არ დაწერთ?!

– კეთილი. რაკი ასე იხვეწებით, დაწერ. – მიუუგე მოკამათებებს.

– დაწერეთ, რაც გინდა დაწერეთ!.. წერეთ და იკითხეთ!..

მოკლედ, ჩემთვის ნათელი გახდა, რომ უაზროდ ვეპაექრებოდი ლიტერატურული სამყაროდან სრულიად შორს მდგომ, შემოქმედთა განმკითხავის ოქროს ტახტზე გაუგებრობის თუ პროტექციის წყალობით დაუმსახურებლად აღზევებულ შემთხვევით პიროვნებებს, რომლებიც დამამშვიდებელი ილუზიების შესაქმნელად ავტორებისაგან

თავიანთი ჟურნალის მხოლოდ დაშაქრულ ხოტბა-ქებას მოითხოვდნენ, რადგან საკუთარი მყიდვე, მოჩვენებითი პროფესიული დონე და ავტორიტეტიც სწორედ ამ დამღუპველ, პირფერულ ხოტბა-ქებაზე იყო დაფუძნებული!!! მე კი ჩემი მოულოდნელი და პირდაპირი პირუთვნელობით სწორედ ამ საფუძვლებს ვარყევდი, რაც ჟურნალის მესვეურთა ბუნებრივ გაკაპასებას იწვევდა!

— კარგი, მომეცით მოთხრობა, უნდა წავიდე!

— ხო ხედავთ, ვეძებთ!

ო, ჩემო მკითხველო, ძეხნით კი მართლაც ეძებდნენ, მაგრამ ერთი უნდა გენახათ, სად, როგორ და რამდენ ხანს ეძებდნენ: მათ მაგიერ მე ვიწვევბოდი სირცხვილით!

ჩემი ცხოვრების გარკვეული წლები სულ რედაქციებში გამიტარებია. ჰოდა, თავს ისე როგორ დავიმცირებდი, მოულოდნელად გამოჩენილი ნებისმიერი ავტორის მასალის ძეხნისას — თუმც მათატიეთ, რას ჰქვია ძეხნა, ამოღებისას! — ვეებერთელა ხაფანგში გამომწვედუელ თავუნას დავმსგავსებოდი: ხან ერთ უჯრას ვცემოდი, ხან მეორეს, მესამეს... მერე კარადას მივვარდნოდი და იქ დამეწყო ფათური, ახლა თაროები მექექა, მერე ისევ უჯრები ამომექოთებინა, დაბოლოს, ძლივძლივობით მეპოვა, ანდა სულაც ვერ მიმევნო საჭირო მასალისთვის და გაწბილებულ-დამცირებული ავტორი ახლა სხვა დროისთვის დამებარებინა!

წესრიგი ხომ ადამიანის თანდაყოლილი, ბუნებრივი თვისება-მოთხოვნილებაა! წესრიგი ხომ თავისთავად მშვენიერება, უმაღლესი პოეზიაა, წარმატების დედა და საწინდარია! ყოველი შემოსული მასალა თარიღის, ჟანრის, შეფასების და მათი შემდგომი მოძრაობის მიხედვით ისე მქონდა ხოლმე აღრიცხული და დანომრილ-დალაგებული შესაბამის საქალაღდეებში, უჯრებში, კარადასა თუ თაროედებში თანდართული სიებითა და ავტორების მითითებით, რომ ნებისმიერი უმნიშვნელო ქალაღდის ნაკუწის ამოღებასაც კი სულ რაღაც წამები მიჰქონდა! წინააღმდეგ შემთხვევაში რა დრო, ნერვები, ენერგია და ღირსება ეყოფოდა წარამარა ამა თუ იმ მასალის ქანცგამცლელ, ადამიანის გამომათაყვანებელ ვარაუდით ძეხნა-ქექვას?!

აქ? აქ კი ერთმანეთში გულშესაღონებლად აღინთულ-დაღინთული რაგინდარა ხელნაწერების ზვინებსა და ბულ-ბულში, ფიწლით აჩენჩილი რომ გეგონებოდათ, რედაქციის ორი დიასახლისი-თანამშრომელი მოწადინებით, თუმც მანც აშკარა და უიმედო ვარაუდით ეძებდა და ეძებდა უმაღლესი ხარისხის გერმანულ ქაღალდზე გადაბეჭდილ, მტკავლიან ფოტოდართულ თხუთმეტგვერდიან ჩემს მოთხრობას, მაგრამ უშედეგოდ!

არ დავშალავ, მეც ვეღარ მოვითმინე და მკვახედ განვაცხადე: აღმაშფოთებელი და აუტორის შეურაცხყოფელია რედაქციაში შემოსული მასალების ამგვარი ქაოსი და დომხალი, რომ აუცილებელია თუგინდ უმარტივესი, პირველადი აღრიცხვა, ჟანრობრივად მილაგ-მოლაგება და წესრიგიანობა-შეთქი!

ისედაც გაღიზიანებული მანდილოსნები ჩემმა შენიშვნამ უარესად გააღიზიანა, მაგრამ ამის მეტი სხვა ვერაფერი მოიფიქრეს: თუ შეიძლება, გარეთ „გავბძანებულყავი“ და იქ მომეცადა!

მეტი რა ჩარა იყო: მეც ისევ დერეფანში „გავბძანდი“ და იქ დავიწყე ლოდინი. ცოტა ხნის შემდეგ კარი გაიღო და მეუწყა: მოთხრობა ვერ გვიაოვია, მაგრამ ამ დღეებში მოგინახაეთ, მომავალ პარასკევს „მობძანდით“ და წაიღეთო.

უსიტყვოდ წამოვედი რედაქციიდან, მაგრამ მოთხრობის ჯვარი ვიღას ჰქონდა! თავბუდს ვიწყევლიდი: რამ მიმაცემინა პირობა, კრიტიკულ წერილს დავწერ-მეთქი! ახლავა მივხვდი, რა სატანჯველში გამაყოფინეს თავი.

ისევ გამხნეება ვცადე: რა ფუყოთ, რამე პირადულზე ხომ არა, ლიტერატურული ღირებულებებისთვის მოგვიხდა შეხლა-შემოხლა. იმ მოთხრობას, ცხადია, აღარ დამიბეჭდავენ, მაგრამ თავიანთი კეთილშობილებისა და მიუკერძოებლობის ნიშნად შეიძლება სხვა მოთხრობა მიმატანინონ და იქნებ მოხერხდეს-მეთქი ჩვენი შერიგება.

ო, რა გულუბრყვილო ვიყავი და ასეთივე დავრჩი! ცოდნით კი ვიცი, მაგრამ მანც თავს ვიტყუებ ხოლმე, რადგან არა და არ მსურს ვიწამო, რა უღმობელი ცოდვის ლული ტრიალებს ლიტერატურულ საპარაში!

ერთი კვირის მერე, 26 იანვარს კვლავ მივედი „ლიტერატურული პალიტრის“ რედაქციაში. კაბინეტში ორნი დამხვდნენ – ჟურნალის მთავარი რედაქტორი თამარ მამაცაშვილი და რედაქციის თანამშრომელი ახალგაზრდა კაცი, ლევან ლომიშივილი.

– აი, თქვენი მოთხრობა! – მთავარმა რედაქტორმა მოთხრობა ცივად ისე გადმომიღო მისადგმელ მაგიდაზე, მისალმებაზე არც უპასუხია.

– თქვენ წაიკითხეთ?

– მე რატომ უნდა წამეკითხა?

აღარ ვიცოდი, რა მეპასუხა.

– როგორ თუ რატომ?! ისეთი დავიდარაბის შემდეგ მთავარი რედაქტორი მარტო ინტერესის გულისთვის მაინც წაიკითხავდა... თუ შეიძლება, თქვენც წაიკითხეთ.

– ჩემი მოადგილის დაწუნებულ მოთხრობებს მე აღარ ვკითხულობ!!!

– მესმის, მაგრამ თუ არ ვენდობი თქვენი მოადგილის გემოვნებას?

– აბა, აქ რიდასთვის მოგქონდათ მოთხრობა?

– როგორ, მაგის უფლებაც არ მქონდა?!

– ეს კერძო ჟურნალია და ვისაც საჭიროდ ჩავთვლით, მხოლოდ იმათ ვბეჭდავთ!

– მაშინ რაღა საჭირო იყო იმგვარი დემაგოგიური წინათქმა – იქაც ეგ აზრი უნდა გაგუთარებინათ! ან ვინ...

– თუ შეიძლება, მიბრძანდით აქედან – უამრავი სამუშაო მაქვს!!!

– ან ვინ აგებს პასუხს...

– უკაცრავად, უფროს კაცს სიტყვას რომ გაწყვეტინებ, – ზრდილობიანად შემნიშნა აქამდე დადუმებულმა ლევან ლომიშივილმა, – მაგრამ სწორეს გეუბნება – ეს კერძო ჟურნალია!

– მესმის, მაგრამ მალე საქართველოში ყველაფერი კერძო იქნება! მაშინ გამოდის, რომ... ანდა, რა ბედენაა, ენასა და ლიტერატურულ ღირებულებებს რომელი ჟურნალი წაახდენს: კერძო თუ სახელმწიფო?! რაც თქვენთან შეცდომები...

— რა არის ამდენი ბაქიაობა რალაც შეცდომებზე! — ჩამეჭრა მთავარი რედაქტორი, — რაც გნებაეთ, ის დაწერეთ, ოღონდ თავი დაგვანებეთ!

— კეთილი.

ავიღე მოთხრობა და წამოვედი.

მორჩა, ხსნა არსაიდან მომევილინა და დავიღუპე: რანაირ მასშტაბებს მიიღებდა 2004-05 წლების ნომრების ზოგიერთი პროზაული ნაწარმოების მიმოხილვა და ეს ყველაფერი რამდენ რამესთან იქნებოდა დაკავშირებული, მარტო ამის ზერელე წარმოდგენაც კი სულს მიხუთავდა, მუხლებში ღონეს მაცლიდა!

ათლიანი განსჯა-ყოყმანის შემდეგ გადავწყვიტე, „ლიტერატურული პალიტრის“ მესვეურებთან პირშერცხვენილი გამოვსულიყავი — არ ჩავედომოდი კრიტიკულ წერილს და ეგ იქნებოდა! მაგრამ ახლა დეზერტირის სამარცხვინო განცდა ამეკვიატა და ამან უფრო უარესად დამიწყო ტანჯვა-წამება, ვინაიდან დიდი ხანია, რაც თავი ორმაგ ჯარისკაცად მყავდა წარმოდგენილი.

ეს როგორო, იკითხავენ.

1961-64 წლებში საზენიტო-სარაკეტო პოლკში ვმსახურობდი. სამორიგეო წერტილები ბელორუსიაში, ბრესტის მიდამოებში იყო მიმოფანტული, სარაკეტო სროლა-ვარჯიშს კი ყაზახეთის პოლიგონებზე გავდიოდით. უსასტიკეს სამხედრო დისციპლინას და მომქანცველ საბრძოლო წერთნას ზედ ემატებოდა ზოგიერთი მეთაურის შოვინისტური აღვირახსნილობა: სწორედ იმხანად სტალინის მავზოლეუმიდან გამოსვენებამ ოფიცრობაში ველიკორუსული აღტკინება გამოიწვია — ხელიდან არ უშვებდნენ ქართველი ჯარისკაცების დაცინვა-დამცირების და ზედმეტად დატვირთვის შემთხვევებს!..

1962 წლის ოქტომბერს, კარიბის კრიზისისას, მსოფლიო ატომური ომის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. ჯარები სრულ საბრძოლო მზადყოფნაზე გადაიყვანეს. ზოგიერთი ოფიცერი დარჩენილ დღეებსა და საათებს ითვლიდა. ამას დაუჯერებელი რამ დაეწონა: ბელორუსიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი, გენერალი პინკოვსკი დასავლეთის სპეცსამსახურების სტაჟიანი ჯაშუში აღმოჩნდა!!!

სამხედრო ნაწილებს ახლა შპიონომანიის ეპიდემია მოედო — ყველგან და ყველაფერში პირველი თაობის ზესაიდუმლო საზენიტო რაკეტების ტექნიკურ მონაცემებზე მონადირე ჯაშუშები ელანდებოდნენ! ყოველივე ამან სამსახური ისეთი ჯოჯოხეთური გახადა, რომ ჩვეულებრივ მოვლენად იქცა პოსტზე მდგომი ავტომატიანი ჯარისკაცების თვითმკვლელობა.

1964 წლის ივლისის ბოლოს სანიმუშო სამსახურისთვის არმიიდან ვადაზე სამი თვით ადრე გამოძიებულ გამოცდების დასაჭერად და როდესაც თსუ ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტი გავხდით, შვებით ამომესუნთქა: მორჩა, იმ ჯოჯოხეთს თავი დავალწიე-მეთქი, მაგრამ სასტიკად მოვტყუვდი! მეზენიტე ჯარისკაცის ფარაჯა ახლა ლიტერატურის რიგითი ჯარისკაცის უხილაგმა, მაგრამ გაცილებით მძიმე ფარაჯამ შეცვალა და იმნაირი წამების გზა დაიწყო, რომ ჯარში გადატანილი ის მძიმე დღეები ლამის ბავშვურ თამაშობად მეჩვენებოდა!...

მოკლედ, ჩემს პიროვნებასა და წარმოდგენაში ერთმანეთს აი, ასე გადაეგრიხა ორი ჯარისკაცის — მერაკეტე ჯარისკაცის და ლიტერატურის რიგითი ჯარისკაცის — მოვალეობა, ღირსება და დისციპლინა. ამიტომ ახლა მთელი არსებით ვიგრძენი — არ მქონდა დეზერტირობის არავითარი უფლება ან საფუძველი: რედაქციის მესვეურებს რაკი დავპირდი — კრიტიკულ წერილს დავწერ-მეთქი, მაშასადამე, თავში ქვა უნდა მესხლა და დანაპირები შემესრულებინა!!!

ამ წიგნისადმი მიმართულ ყოველგვარ მოსალოდნელ კრიტიკასა თუ შენიშვნებს, ცხადია, მე ავიღებ კისრად, ხოლო თუ მოხდა სასწაული და მან რომელიმე ან რამდენიმე მკითხველის მოწონებაც დაიმსახურა, მაშინ ყველას ვთხოვ, ქება და მადლობა მიუძღვნან არა წიგნის ავტორს, არამედ ჟურნალის „ლიტერატურული პალიტრა“ მთავარ რედაქტორს, თამარ მამაცაშვილს და მთავარი რედაქტორის მოადგილეს, მანანა ჯანელიძეს, რამეთუ სწორედ მათ მაიძულებს ამ წიგნის დაწერა.

დიახ, აქ თავიდან იყო იძულება, რომელიც მერე თანდათან შთაგონებად მექცა და ეს წიგნი დამაწერინა.

გინდოდა, გოგოთურსაცა ნამასჯღომიყავ თავზედა?

„ათასგვარი ხრიკები არსებობდა გრინგოების ამ დანყველილ თამაშში“.

ჯეკ ლონდონი, „მექსიკელი“

„ღმერთო, რალა საჭირო იყო იმ ქვეყნად ჯოჯოხეთის შექმნა, თუკი ამქვეყნად იარსებებდა მწერლობა?!“

ჯემალ მეხრიშვილი, „აბი“

„რას უკრავენ ანუ რასა მღერიან?!“

იეთიმ-გურჯი

„ეცხოვრობთ ასე წესრიგს გადაჩვეულნი და გარშემო ხმას არავინ იმალლებს!“

კოტე ყუბანეიშვილი,
„ლიტერატურული პალიტრა“, 2005, №3

„აზრთა სხვადასხვაობა ჩემს თემში ნებადართულია“.

მაკმადი

„დაჯავრდნენ თუშნი, რომ ნახეს ქვეყანა ნაოხარია!“

ვაჟა-ფშაველა, „ბახტრიონი“

„ბრძოლა გინდოდათ და ინებეთ!“

ჩინგიზ-ხანი

„შენ ვინა გკითხავს, უჯიშოვ, თოფისასა და ხმლისასა?!“

ვაჟა-ფშაველა, „გოგოთურ და აფშინა“

ეურნალის „ლიტერატურული პალიტრა“ (მთავარი რედაქტორი თამარ მამაცაშვილი, მთავარი რედაქტორის მოადგილე

მანანა ჯანელიძე) პირველი ნომერი გამოვიდა 2004 წლის ოქტომბერში.

აქ დაბეჭდილი პირველი მოთხრობა „თხები“ ეკუთვნის მწერალ ვაჟა გიგაშვილს. მოთხრობას წინ უძღვის ეთერ ვრაცის ინტერვიუ ავტორთან.

მესამე შეკითხვის პასუხისას მწერალი ერთგან ამბობს — „მე როგორც მანყოფს“.

ავტორს ან რედაქციის თუგინდ ერთ მუშაკს მაინც რომ სცოდნოდა, ამგვარი გამოთქმა რუსულის ძველისძველი, საყოველთაოდ დაგმობილი კალკია, მაშინ აღარ გაიპარებოდა ასეთი უხეში შეცდომა. უნდა იყოს „როგორც მე მაძლევს ხელს“.

მეორე კითხვის პასუხისას მწერალი გასაშტერებელ ხელოვნურ გამოთქმას იგონებს: „იმ დეგენერატს მთელი საზოგადოება წიხლზე ჰკიდია“.

რას ჰქვია „წიხლზე ჰკიდია?!“ ქართულ სალიტერატურო ენაში მსგავსი გამოთქმა არ არის და არც შეიძლება იყოს, ვინაიდან სწორია „ფეხებზე ჰკიდია“.

მოკლედ, როგორც ავტორს, ისე რედაქციას ერთმანეთისაგან ვერ განუსხვავებია სიტყვები „წიხლი“ და „ფეხი“ და მათთან დაკავშირებული ხატოვანი გამოთქმები.

ნახატიანი მოთხრობა ჟურნალის ერთ სრულ გვერდზე მეტი არ არის. აი, ისიც!

თხები

...გამალვიდა „ვინტოვკის“ ბრაგვანმა... ერთი... მერე კიდევ ორი... ხდეში ვარ. უფრო სწორად, ხდეს შესასვლელში, სამხედრო გზის პირას, ალპინისტების სახლში...

...რა იყო?.. რა ამბავია?!.. გამოვვარდი გარეთ. თან სვიტერი ჩამოვიცვი, კარგად გრილოდა... ვხედავ, გუჯაა, გიგაური... უჭირავს გრძელი „ნიკოლაევსკი ვინტოვკა“ და უბრაბუნებს ზემოთ, კლდეებში.

„რა არი, ბიჭო!.. ჯიხვები დაგეცნენ?!“ ვუყვირი.

...ის კიდევ აყოლებს ლულას (გრძელი შაშხანის ლულას) რალაც გაქცეულ სამიხნეს, უბათქუნებს...

გამოვრბივარ ეზოში და უკან, სახლის უკან ახვენილ კლდეებს ვუყურებ... ვხედავ ქარაფებში შეკედლებულ სამ თხას, შინაურ თხას... უფრო სწორად, ერთი ვაცია და ორი თხა... შინაურები, წვრილდაგრეხილრქიანები. მუცელზე ბალანმოზრდილები, ნაცარები...

„რა იყო, ბიჭო, რასა შვრები?!“ — ვკითხულობ გაღიზიანებული და თვალებს ვიფშვნიეტ, ძილიდან ცუდად გამოსული... ცივმა ჰაერმა კი მიშველა, მაგრამ...

...ალარ ესვრის. სავაზნეში პნკალა დაეცალა... ხუთი გაისროლა და ვერც ერთი ვერ მოარტყა. ნაგავი შაშხანა აქვს, ლულაგაცვეთილი... ტყვიები აცაბაცა მიდიან. მით უმეტეს, მესამე გასროლის შემდეგ... ლულა ცოტა რომ ხურდება, გაბნევა კიდევ უფრო იზრდება...

...თან ეს ბლინჯი, გრძელი (მოსინის, „ფრანტავოი“) შაშხანა!.. ამით ხელიდან სროლა როგორ შეიძლება?.. ეს თუ რამეზე არ ჩამოდე („ფრანტავოი“ სანგრის ბრუსტვერზე!), ისე იქნევს, რომ გაჩერებულ მიზანსაც ვერ მოარტყამ...

„რა გინდა, რასა შვრები?.. ამ თხებთან რა გინდა?..“ — ვეკითხები ისევ.

...ახალ პნკალას ალარა სდებს, იცის, რომ აზრი არა აქვს... იცინის...

„ეგენი რა, ჯიხვზე ნაკლები გემრიელები კი არ არიან!“ — ამბობს.

...ვერ გავიგე. ვუყურებ...

„ეგენი, კაცო, გაველურებულნი არიან!..“ — მეუბნება.

„ჰა?..“

„გაველდნენ, კაცოო!..“ სახლში ალარ მოდიან, ადამიანს ალარ იკარებენ, გაიგე?! ჯიხვობა მოინდომეს, რა!..“

„ვაა?..“ — ეს ამბავი არ ვიცოდი.

„ჰოდა, მაგათზედაც ისე ვნადირობ, როგორც ჯიხვებზე...“ — მეუბნება გუჯა...

...აქ კი მეცინება... მე აქ ქალაქიდან დავდივარ ჯიხვებზე სანადიროდ... ეს აქაურია... კარგი მეცხვა-

რეა, მაგრამ ჯერ არც მინახავს და არც გამიგონია, რომ ჯიხვი მოექლას... არ არი, რა, მონადირე!.. ყველა მონადირე ხომ არ იქნება!.. კიდევ კარგი და მადლობა ღმერთს!..

...ჰოდა, ვფიქრობ ამ გაველურებულ თხებზე... სან-ყლები!.. ჯიხვობა მოინდომესო!.. გაიგე?! ჯიხვობა მოინდომეს!.. ესე იგი, აინყვიტეს!.. აღარ უნდათ პატრონი!.. აღარ უნდათ ბაგა და თავშესაფარი... ახლა, ვისაც ხოში ექნება, შეუძლია ესროლოს...

...თან ჯიხვობამდე რომ ბევრი აკლიათ?.. არც სისწრაფე, არც ყნოსვა, არც თვალის ჭრა, არც იმ სიმალღეებში გაძღების უნარი, საცა ჯიხვები აფარებენ თავს... მაგრამ — აწყვეტა, თავზე ხელის ალება!.. „განწირული სულისკვეთება?!“ (უნდა იყოს „განწირულის სულის კვეთება“. ჯ.მ.) — ვა-ხა-ხა-ხა!.. რა კაი ტიპები არიან!.. მეცინება და თანაც უცნაური მოწონება და სითბო მიჩნდება ამ „დარტყმულების“ მიმართ... გაველდნენ! გაგრიალდნენ, „გაიგულავეს“ ფრიალო ორნოხებში!.. გაიჯიხვიანეს!.. მიდი, აბა, დაიჭირე, თუ შნო გაქვს, მორეკე და შერეკე ბაგაზე!.. აღარაა „შინაური“ და აბა, მიდი, მოუარე!.. კიტეროზ!.. აპრუნუნუნ!.. აგე, აცვივდნენ ერთ შეკიდებულ კინჭუხზე და დადგნენ... ქვემოთ იყურებიან ყელმოღერებულები, თავები მდგრად, კოხტად უჭირავთ, ამაყად და უტეხად იყურებიან ზემოდან, მათი ყოფილი ბატონ-პატრონებისათვის მიუღწეველი სიმალლიდან... იქ მხოლოდ ტყვია შეიძლება დაენიოთ... მაგრამ გუჯასნაირი მსროლელი-სა და მისი თოფისნაირის ტყვიაც ვერ დაენევათ... ხომ გადაურჩნენ?! ამისი შაშხანის ჭახაჭუხისა და აცაბაცა ტყვიების ნუილის ქვეშ აგე, სად აცვივდნენ და გადმოსცქერიან ახლა ამაყად, მოგებულნი... აგე!.. ხომ დათოფეს!.. ხომ უნუილეს ტყვიები და ფეხებიც ვერ მოსჭამეს!.. აგე, თუ არა!.. ჯიხვობა!..

...მაგრამ ვაითუ კარგკარაბინიანმა, კარგმა მსროლელმაც მოინდომა ამათი დათოფვა? მაშინ ადვილი ნადავლი გახდებიან... ხელად ჩახოცავენ... რა დაუშლით,

რა? მუქთა მორბენალი სამწვადე... ტყუილად დარბის... არც გარეული ნადირია და არც შინაური, პატრონიანი ცხოველი...

...მაგრამ მერე რა?!. მახლას, რაც არი, ეგ არი!.. რა მნიშვნელობა აქვს, კლდეზე გაქანებულს ტყვია დაგაგორებს თუ შენს პატრონს როცა მოეპრიანება, მაშინ გამოგისვამს ყელში დანას?.. რა ჯობია?..

...აბა, ვინ გაიგებს?!. ადრე თუ გვიან, პატრონი ხომ მაინც გამოგისვამს დანას ყელში?.. ჰოდა, „ჯიხვობანას“ გათამაშება, აზარტი და გაგრილება სამ დღეს გასტანს თუ სამ თვეს, მაგას ხომ მაინც ვერ იანგარიშებს თხის ტვინი?..

...ჰოდა, რა არი, კაცმა რომ თქვას, დასაკარგი?.. (უნდა იყოს დასაკარგავი?... ჯ.მ.) „შინაურობაში“ ხომ ამ აზარტის ნუთებსა თუ დღეებსაც ვერ იგრძნობდი, ვერც გაიგებდი დანის გამოსმამდე?.. ჰოდა, „მაღადეც“, თხებო!.. ჯიგრები ხართ!.. ერთხელ მაინც ხომ გარეკეთ!.. ჯიგრები ხართ!.. ასე ვფიქრობ მე, დიშო, ჩემდათავად... და მგონია, რომ სადღაც, როგორღაც შესმის, გაუუგე ამ თხებს... მაგრამ ისე, კაცმა რომ თქვას, აბა, მე რა ვიცი?.. რა უნდა ვიცოდე?.. რას გაიგებ თხების ტვინისას?..

ჭეშმარიტი მწერალი თვით დიდი მოცულობის მხატვრული ტილოს შექმნის დროსაც კი მომჭირნე, ლაკონური და უაღრესად ყურადღებიანი უნდა იყოს. ალარაფერი ითქმის ამნაირ ციდა მოთხრობაზე. აქ საჭიროა პანანკინტელა პინცეტიით მომუშავე იუველირის სინატიფე. ავტორის თითოეული სიტყვა უნდა ჰგავდეს სასიკვდილო ალყაში მომწყვდეული, ვაზნებდათვლილი ჯარისკაცის მიერ ზუსტად მიზანში მორტყმულ კარაბინის ტყვიას და არა მწყერზე სანადიროდ პირველად ნასული, ჟინატანილი ყმანვილის უთავბოლო სროლას, როცა მუჭა-მუჭა საფანტს შამბნარში უშედეგო ხრიალი გაუდის. გარდა ამისა, სხვა მრავალ აუცილებელ თვისებასთან ერთად მწერალს შესა-

შური მახსოვრობაც მოეთხოვება, რათა უშეცდომოდ ახდენდეს ყველაფრის კოორდინაციას.

ავტორი ერთგან წერს: „გამომალვიდა „ვინტოვკის“ ბრაგვან-მა“. მეორეგან — „უჭირავს გრძელი „ვინტოვკა“, უბრაახუნებს“. მესამეგან — „გაქცეულ სამიზნეს უბათქუნებს“. მეოთხეგან — „... ამისი შაშხანის ჭახაჭუხისა და...“

ნებისმიერ ცეცხლსასროლ იარაღს ხეობაში, ტრიალ მინდორზე თუ დახურულ შენობაში სროლისას შედარებით განსხვავებული ხმა რომ ექნება, ეს ცხადია, მაგრამ მოთხრობის პერსონაჟი უძრავად დგას კლდის პირას და ავტორმა ბოლოს და ბოლოს ვერ უნდა დააზუსტოს, ამ შაშხანით სროლისას რა ისმის — ბრაგვანი, ბრაახუნი, ბათქუნი თუ ჭახანი?!

აბა, ჩემზე, როგორც პროზაიკოსზე, რა შთაბეჭდილება დაგრჩებათ, ახალგაღვიძებული ბავშვების მიერ ლოგინში ატეხილი ცელქობის აღწერისას რომ მივაყოლო და დავწერო: „ბალიში ბასტუნით დაეცა პარკეტზე“, მეორეგან — „ბალიშმა ბრაახვანი გაიღო პარკეტზე“, მესამეგან — „ბალიში ტკაცუნით დაეცა პარკეტზე“, მეოთხეგან — „ბალიშმა დგაფუნი მოადინა პარკეტზე“, მეხუთეგან — „ბალიშმა ჭახანი გაადინა პარკეტზე“...

ჰოდა, თუკი მწერლის პრეტენზია მაქვს, ხომ უნდა დავაზუსტო და თან დავიმახსოვრო კიდეც — პარკეტზე დაცემული ბალიში რანაირ ხმას გამოსცემს. თანაც, ცხადია, აქ მცირეოდენი მნიშვნელობა ექნება ბალიშის სროლის ძალას და პარკეტზე დაცემის კუთხეს, მოთხრობაში კი გეოგრაფიული გარემო უცვლელია, მსროლელი — უძრავი, შაშხანა — იგივე, ვაზნები — ერთნაირი.

ავტორი ერთგან წერს: „ალარ ისვრის. სავაზნეში პწკალა დაეცალა“.

რას ნიშნავს პწკალა? გადავფურცლოთ ლექსიკონი. „პწკალა (პწკალასი) კუთხ. (გურ.) მისადგმელი ხის კიბე“.

არ მესმის, შაშხანის სავაზნეში რა უნდა მისადგმელ ხის კიბეს?!

ჟურნალის რედაქციას ვთხოვ, იქნება გამარკვიოს, რის თქმას ლამობს ავტორი.

„... თან ეს ბლინჯი, გრძელი... შაშხანა!“ — ასე იწყება ერთი აბზაცი.

ლექსიკონებშიც ვერსად ვიპოვე — ნეტავი, რას უნდა ნიშნავდეს ეს ბლინჯი?!

ტექსტს პირდაპირ შუბლზე აწერია: ავტორი მზად არ არის ამ პატარა მოთხრობის ხეირიანად დასაწერად, ანდა, საერთოდ, არ იცის ამგვარი ნაწარმოების შექმნის საიდუმლოებანი. ამიტომაცაა, რომ იგი ივიწყებს მთავარს და თუ კარგად დააკვირდებით, თავიდანვე სულ ამ გაუბედურებულ შაშხანას უტრიალებს, რაც პირდაპირ მკითხველის დამამცირებელ, გულშესანუხებელ ჩიჩინში გადადის. მოუსმინეთ:

„... გამომალეიძა „ვინტოვკის“ ბრაგვანმა“.

„... უჭირავს გრძელი „ნიკოლაევსკი“ „ვინტოვკა“ და უბრახუნებს ზემოთ“.

„... ის კიდევ აყოლებს ლულას (გრძელი შაშხანის ლულას) რალაც გაქცეულ სამიზნეს“.

„ნაგავი შაშხანა აქვს, ლულაგაცვეთილი... ტყვიები აცაბაცა მიდიან. მით უმეტეს, მესამე გასროლის შემდეგ... ლულა ცოტა რომ ხურდება, გაბნევა კიდევ უფრო იზრდება...“

„... თან ეს ბლინჯი, გრძელი (მოსინის, „ფრანტავოი“) შაშხანა!.. ამით ხელიდან სროლა როგორ შეიძლება?.. ეს თუ რამეზე არ ჩამოდე („ფრანტავოი“ სანგრის ბრუსტვერზე!), ისე იქნევს, რომ გაჩერებულ სამიზნესაც ვერ მოარტყამ...“

„მაგრამ გუჯასნაირი მსროლელისა და მისი თოფისნაირის ტყვიაც ვერ დაენვეათ...“

„ამისი შაშხანის ჭახაჭუხისა და აცაბაცა ტყვიების ნუილის ქვეშ...“

თუ ღმერთი გნამთ, გამარკვიეთ, ავტორს მართლა ანუხებს რამე და ჟურნალის ერთგვერდიანი ნამდვილი მოთხრობის დანერა აქვს უზურში თუ ამ „გრძელლულიანი, „ფრანტავოი“, მოსინის, „ნიკოლაევსკი“ „ვინტოვკის“ ყოველმხრივი დახასიათება და მისი ხმარების ავტორისეული მდარე ინსტრუქცია?!

ამდენსა და ასეთ გულშესალონებელ ჩიჩინს ეს ერთი ციდა მოთხრობა კი არა, თვით მიხეილ შოლოხოვის უზარმაზარი რომანიც „წყნარი დონი“ ვერ აიტანდა, სადაც დიდსა და პატარას სწორედ ამგვარი შაშხანა უჭირავს და დანყებული პირველი მსოფლიო ომიდან, დამთავრებული სამოქალაქო ომით სულ ამ იარაღის ისეთი ბოლომოუღებელი ჭახაჭუხი ისმის, რომ რომანის ფურცლებიც კი თოფისნამლის სუნით არის გაყენთილი! ნუთუ არ შეიძლებოდა, ეს „ვინტოვკა“ ერთი რომელიმე ტევადი ეპითეტიტ დაეხასიათებინა — ჯაბახანა, მოფუნკული, ლულაგაცვეთილი, დანჯღრეული, გადასაგდები, უხეირო, ათასგან ნათრევი თუ სხვა რამ და მორჩა! მით უმეტეს, რომ იმდენად ეს ჯაბახანა შაშხანა არ არის დამნაშავე, რამდენადაც, როგორც ავტორივე აღიარებს, თვით ეს გუჯაა ცუდი მსროლელი და აგრეთვე ცუდი მონადირე.

ანდა, ეს რა არის: ავტორის დილეტანტურობა თუ გულმავინყობა — მაინც რამდენჯერ უნდა ჩაგვიჩიჩინოს, რომ აქ ლაპარაკია გრძელ შაშხანაზე?!

რაკი მწერალმა ნიკოლოზისდროინდელი შაშხანა ახსენა, მკითხველმა მხატვრული ლიტერატურიდან, კინოფილმებიდან, კინოქრონიკებიდან, ილუსტრირებული წიგნებიდან, ფოტოებიდან თუ ფერწერული ტილოებიდან ისედაც იცის, რომ ამგვარი შაშხანა მართლაც გრძელი და ბრძოლისას ერთობ მოუხერხებელი იყო. მოგვიანებით სწორედ ამიტომ მოხდა მისი მოდიფიკაცია და თანაც არაერთხელ! მაგრამ რაკი მწერალი მკითხველებს ასე უბრალოდ არ გვანდობს დიდი ხნის დრომოჭმულ, მაგრამ მისთვის რატომღაც სასწაულებრივ ზესაიდუმლო იარაღად გადაქცეულ „ვინტოვკას“ და სურს მის შესახებ ყველა წერილმანი გულმოდგინედ დაგვიღეჭოს, ჯანი გავარდეს, გვითხრას, ოღონდ ერთხელ, რადგან ნათქვამია — ერთხელ თქმაც თქმა არის და ასჯერაცო! მაგრამ არა, მწერალს გული არ უძლებს: უნდა, რომ ჩიჩინით გაგვაბრუოს ან მოთმინებიდან გამოგვიყვანოს. მოუსმინეთ:

„... თან ეს ბლინჯი, გრძელი... შაშხანა“.

„გრძელი „ნიკოლაევსკი“ „ვინტოვკა“...“

„აყოლებს (გრძელი შაშხანის ლულას)...“

„გრძელი (მოსინის „ფრანტავოი“)...”

არავინა ხართ ქრისტიანი, მომანოდეთ ერთი ჭიქა წყალი! ან რა საჭიროა აქ ასე ზედმეტად სიტყვის „ფრანტავოი“ ხმარება, როცა ყველამ ისედაც კარგად იცის — ეს მრისხანე იარაღი სწორედ სამხედრო მიზნებისთვის შექმნეს და არა ბალღების სათამაშოდ, ანდა თხეებზე თუ ჩხართვებზე სანადიროდ. ხოლო თუ არ დაიშლიდა და მაინცდამაინც ამ სიტყვის ამ ფორმით თქმაც მიაჩნია საჭიროდ, მაშინ უნდა იყოს „ფრონტავოი“ და არა „ფრანტავოი“.

ავტორს უმარტივესი აზრიც კი ვერ ჩამოუყალიბებია გასაგებად. შემოგვჩივის რა ამ სვეკრულ ჯაბახანა შაშხანაზე, აი, რას ამბობს პირველი პირით მოლაპარაკე დიმი: „ამით ხელიდან სროლა როგორ შეიძლება?.. ეს თუ რამეზე არ ჩამოდე („ფრანტავოი“ სანგრის ბრუსტვერზე!), ისე იქნევს, რომ გაჩერებულ მიზანსაც ვერ მოარტყამ...“

რანაირი ქართულია ან საერთოდ, რას ნიშნავს — „ამით ხელიდან სროლა როგორ შეიძლება?“ აბა, საიდან შეიძლება — ფეხიდან, ბეჭიდან, ცხვირიდან, ნიკაპიდან თუ ყურიდან?! თანაც ხელიდან კი არა, შაშხანიდან ისვრიან — ხელებით მხოლოდ ცეცხლსასროლი იარაღი უჭირავთ ხოლმე და თან მსროლელს მტკიცედ უნდა ეჭიროს, რათა გასროლისას ლულა არ „იქნევდეს“.

თუ არ ვცდები, აქ ავტორი რაღაც ამდაგვარს ლეჭავს, ლეჭავს, მაგრამ ვერ გამოუღეჭავს გამართულად: ამით ზეზელა, ზეზეურად სროლა როგორ შეიძლება, თუ რამეზე არ ჩამოდევიო. და რომც ჩამოვდოთ ავტორის მიერ აჩემებულ ამ „ფრანტავოი“ სანგრის ბრუსტვერზე“, მის გასაკვირად უნდა შევნიშნო, რომ ხელების დახმარების გარეშე მაინც არაფერი გამოგვივა! ანდა, საქართველოს სამხედრო გზის პირას, ხდეს ხეობის შესასვლელში, ალპინისტების სახლის ქვიან ეზოში უხეირო მონადირესა და უხეირო მსროლელს ასე უცებ საიდან გავუჩინოთ ეს აკვიატებული „ფრანტავოი“ სანგრის ბრუსტვერი?!“ სხვა გზა არ არის, ჩურჩუქა მსროლელმა ტვინის ძაფები უნდა გაანძროს და თავად გამოძებნოს შაშხანის საყრდენი: ლოდი, შენობის კუთხე, სარკმლის რაფა, სახურავის პარაპეტი, ბოძი, ლატანი, აივნის მოაჯირი, სვეტი, კიბის საფეხური, ავტომობილის კაბი-

ნა, ცხენის ზურგი, კაცის მხარი, საკუთარი მუხლისთავი, მინას დაბჯენილი მარცხენა იდაყვი ან სხვა რამ...

მოკლედ, ამდენი აბდაუბდა მკითხველს თავს ატკივებს, ავტორთან კამათის ყოველგვარ სურვილს უსპობს და მისი აღმფოთება, გინდა, არ გინდა, რედაქციის მესვეურებისკენ მიემართება: ეს ამდენი ენობრივ-აზრობრივი უზუსტობა რანაირად მოხვდა ჟურნალის ფურცლებზე — ნუთუ ხელნაწერი ნაუკითხავად გააგზავნეს ასანყობად? ხოლო თუ ნაიკითხეს და ვერავინ ვერაფერი შეამჩნია, მაშინ ისლა დამრჩენია დავასკვნა, რომ ლიტერატურული ჟურნალი უმეცარი დილექტანტების ხელში ყოფილა ჩავარდნილი და ეგ არის!

* * *

მაინც რა ანუხებს ავტორს, რის თქმა სურს? როგორც მკითხველიც ხედავს, მოთხრობაში ლაპარაკია ქარაფებს შეხვეწილ, მართალია, შინაურ, მაგრამ უკვე გაველურებულ სამ სულ თხაზე. ამ თავისუფლებამონყურებულ თხებს თურმე პატრონისკენ აღარ მიუწევთ გული და ჯიხვობა, ანუ ჭიუხებში თავისუფლად ყოფნა-ნაგარდი მოუპრიანებიათ. ჰოდა, მოთხრობის მთავარი პერსონაჟი, დიმოც მთელი მონადინებით ცდილობს ზუსტად ჩასწვდეს ამ თხების ფსიქიკასა და საქციელს, რათა დაადგინოს, ასეთი ნაბიჯი მათთვის სახეირო იქნება თუ საბედისწერო.

აქ საკითხის გადანყვეტა არც ისეთი იოლია, როგორც ეს შეიძლება ზოგიერთ მიამიტ მკითხველს მოეჩვენოს. ცხადია, თავისუფლებას არაფერი სჯობია, მაგრამ ამ თხებს აღმოაჩნდებათ კი ჯიხვისებური გეში და ამტანობა, მკაცრ პირობებს რომ გაუძლონ და გადარჩნენ? თანაც, აგერ, მართალია, უხეირო მონადირემ თავისი ჯაბახანა შაშხანით ვერაფერი დააკლო, „მაგრამ ვაითუ კარგკარაბინიანმა“ კიდეც ჩაბოცოს! ისევ შინ, შეჩვეულ სავსე ბაგას დაუბრუნდნენ? ეჰ, არც იქ ელით კარგი დღე — ადრე თუ გვიან პატრონი მაინც დანას გამოუსვამთ ყელში! მოკლედ, არ არის საშველი!

და აქ მწერლის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან სწორი არჩევანი გააკეთა, რადგან კლდეებზე მონავარდე თხების მხარეს დადგა და თავისუფლებას უმღერა!!! მაგრამ ვაი, რომ ამ თავი-

სუფლებას უმღერის ზერელედ, პრიმიტიულად, მდარედ, და რაც ყველაზე დამაღონებელია, ვულგარული კილოთი და ლექსიკით!

გამოუცდელი მკითხველიც კი ადვილად შეამჩნევს, რომ ავტორის მიერ არ არის ნაპოვნი თავისუფლების — ადამიანის ყველაზე სანუკვარი და საოცნებო იდეალის ხორცშესასხმელი თხრობის ძარღვი და რიტმი, საკადრისი სითანაბრე, მხატვრული მიმზიდველობა და დამაჯერებლობა.

ჭეშმარიტი შემოქმედი თავის მხატვრულ ქმნილებას საკუთარი მწერლური მადნით უნდა ჰკვებავდეს და ასაზრდოებდეს. ცდუნებაატანილი მკითხველი ამა თუ იმ მწერლის ნაწარმოებს რომ ჩაუჯდება ხოლმე, პირველ რიგში, როგორც წესი, თვით ავტორის მწერლური აზროვნების დონე, კულტურა და მანერა აინტერესებს. ჩვენი ავტორი? როგორც კი თავი დაანება იმ ჯაბახანა შაშხანაზე მკითხველის გამომათაყვანებელ ჩიჩინს და მოთხრობის დედაიდებს მიადგა, არც აცივა, არც აცხელა, მაშინვე გასაკვირი სითამამით გადასწვდა ნიკოლოზ ბარათაშვილის მხატვრულ საუფლისწულოს, ვარდის კოკობივით მონყვიტა ეს გენიალური „განწირული სულისკვეთება“ (თან სწორადაც კი ვერ გადმონერა! უნდა იყოს „განწირულის სულის კვეთება“) და თხებს მიუსადაგა!!!

არავინ იფიქროს, აბუჩად ვიგდებდე თხების თავისუფლებას. არავითარ შემთხვევაში! პირიქით, ბარბაროსი კოლონიზატორისაგან ნახევრად თავდახსნილი და ახალი, უფრო დახვეწილი, ცბიერი კოლონიზატორების ხახაში მოხვედრის რეალური საფრთხით გულგანურული, არსებითად, მეც ჯერ კიდევ ამ საცოდავი თხების ბედქვეშ ვარ. მაგრამ რაკი ჩემი სხვა ყოველგვარი საქმე გვერდზე გადავდე და ჟურნალის „ლიტერატურული პალიტრა“ მიერ შემოთავაზებულ მწერალ ვაჟა გიგაშვილის მოთხრობას ჩაუფიქვი, აქ მე მაინტერესებს არა ნიკოლოზ ბარათაშვილის მსოფლმხედველობა და უკვე სისხლ-ხორცში გამჯდარი მისი უკვდავი ფრაზები, არამედ მოთხრობის ავტორის მსოფლშეგრძნება, ამა თუ იმ საჭირბოროტო საკითხის — ამ შემთხვევაში თავისუფლების! — თანამედროვე პრიზმაში მისებული ჭრეტის ტაქტი და უნარი, მწერლური აზროვნების კულტურა, სიტყვიერი

ფაქტურა, მხატვრული ხორცშესხმის მარიფათი და ჯადოქრობა.

კარგი, ყოველივე ამასაც რომ თავი დავანებოთ, ერთი დააკვირდით, რა ვულგარული, უადგილო, მყვირალა, როყიო და ბარბაროსულ სიტყვა-თქმათა ალყაშია მომწყვდეული ეს ლვთაებრივი „განწირულის სულის კვეთება“, რაც პანია მოთხრობას სოფლის ოღროჩოღრო, დანგრეული გზის მონაკვეთს ამსგავსებს და გემოვნებიან მკითხველს პირდაპირ ტვინს უდგვეფავს. მოუსმინეთ:

„ახლა ვისაც ხოში ექნება... რა კაი ტიპები არიან! (თხები და ტიპები?! ჯ.მ.)... ამ დარტყმულების მიმართ... (რატომ არიან დარტყმულები, რაკი თავისუფლება მაგათაც მოინყურეს?! ვაი, ჩვენი ბრალი! ჯ.მ.)... გაგრიალდნენ, „გაიგულავეს“... მორეკე და შერეკე... კიტეროზ!.. აპრუნუნუნ!.. ფეხებიც ვერ მოსჭამეს... მუქთი მორბენალი სამწვადე... „მალადეც“, თხებო!.. ჯიგრები ხართ!.. ჯიგრები!“

მოთხრობა მთლიანად იმიტომ გადმოვბეჭდე, რომ მკითხველი ზედმეტი ციტირებით არ გადამელალა. თუმცა ჩემგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ამას გარკვეულწილად მაინც ვერ ავცდი. ნაწარმოებს აშკარად ეტყობა, რომ არ არის ნაპოვნი მხატვრული თხრობის სტილი და მწყობრი ლექსიკა. თან ეს ამდენი უადგილო და გაუგებარი მრავალწერტილი, ფრჩხილები!.. სწორედ ამიტომ არის, რომ მოთხრობის კულმინაციური პასაჟი სასურველ მიზანს ვერ აღწევს და ძილ-ღვიძილში მყოფის გადაუბმელ ლულულუღივით აღიქმება.

და აი, აქ რა არის საოცარი: რაკი ბოლოს თვით ავტორმაც იგრძნო, რომ მხატვრულ დამაჯერებლობას მოკლებული მსჯელობის აბლაბუდაში გაიხლართა თავი და ველარც გამოსავალი უპოვია, გასაკვირი უპასუხისმგებლობითა და სიმსუბუქით ღალატობს თხებსაც, მათ თავისუფლებასაც, მკითხველსაც და ფაციფუცით იბანს ხელს. აგერ, როგორ ამთავრებს მოთხრობას.

„... და მგონია, რომ სადღაც, როგორღაც მესმის, გავუგე ამ თხებს... მაგრამ ისე, კაცმა რომ თქვას, აბა, მე რა ვიცი?.. რა უნდა ვიცოდე?.. რას გაიგებ თხების ტვინისას?..“

აქ კი არ შეიძლება არ დაეთანხმოთ ავტორს — მართლაც რას გაიგებ თხების ტვინისას!..

* * *

ყველაზე მწარე ზნეობრივი სატანჯველი, რაც ამ მოთხრობამ, უფრო სწორად კი მისმა ავტორმა და, ცხადია, რედაქციამაც მომაყენა, ბოლოსთვის შემოვიწინახე.

თავს ვიმტვრევ და ვერასგზით ვერ მივმხედარვარ, ნანარმოების კულმინაციისას, თანაც ყველაზე უსათუთეს ადგილას ავტორს ასე როყოოდ რამ ახმარებინა ეს რუსული სიტყვები — „გაიგულავეს“ და „მაღადეც!“ საიდან, როგორ, რანაირად იგრძნო მათი აქ ხმარების საჭიროება და აუცილებლობა?

ადამიანურად გაგანდობთ და დამიჯერეთ: კითხვით გართული კახბა ქალებივით ათასგან და ათასნაირად ნათრევ ამ სიტყვებს რომ წავანყდი, ზნეობრივად ჩავიფერფლე და ვიგრძენ, წუთით როგორ ჩამიქრა უბედური სამშობლოს მომავლის იმედი. შეიძლება ეს ჩემი ზედმეტი ემოციურობის თუ საკითხისადმი თავისებური მიდგომის ბრალია, მაგრამ მაინც გაგიზიარებთ ამ განცდას.

მართალია, ავტორი თხების თავისუფლებაზე გველაპარაკება, მაგრამ, ცხადია, აქ ალეგორიაც იგულისხმება. ჰოდა, აი, მწერალი მე, ერთ-ერთ თავის რიგით მკითხველს და თანამოკალმეს, მთელი სიცოცხლის მანძილზე უღმობელი კოლონიზატორის უღელქვეშ ნატანჯს, ახლა კი ამ უღლიდან თითქო გამოხსნილს თუ ნახევრადგამოხსნილს, გატაცებით მელაპარაკება საოცნებო იდეალზე — თავისუფლებაზე და ამ თავისუფლების ღვთაებრივი მშვენიერების ხოტბის შესხმას... ისევ იმ ჩვენი მჩაგვრელი კოლონიზატორის ენიდან ნასესხები სიტყვებით ლამობს!!! თითქო ჩვენს „ენაი შემკულში“ არ ჭაჭანებდეს თავისუფლებასთან მიმართებაში ხმარების ღირსი, ანდა თავისუფლებისთვის მებრძოლის გასამხნევებელი, მომწოდებელი თუ ხოტბაშესასხმელი სიტყვები!!!

რა გამოდის აქედან? აი, რა: რაკი ისეთი ლატაკი, უსახური, ჩლუნგი, მჩატე, მწირი, უღონო და უდღეური ენა გვექონია, რომ თავისუფლებაზე მსჯელობისას მარტივი აზრის გამოსახატა-

ვადაც კი არ მოგვეძებნება მშობლიური სიტყვა-გამოთქმები და ისევ იმ ჩვენი მჩაგვრელის ენას მივტირით და ვიყენებთ, მაშასადამე, არც თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ღირსნი ვყოფილვართ!!! რაში გვჭირდება ეს თავისუფლება-დამოუკიდებლობა, რა თავში ვიხლით ცარიელ თავისუფლება-დამოუკიდებლობას, როცა, რაც მთავარია, აგერ, ერთმანეთთან საურთიერთო ენა არ გვევარგებია!

მაშ, აბა, რა უნდა ვქნათ? ცხადია, რა: მონური მორჩილებით ისევ იმ კოლონიზატორის შეჩვეული უღელი დავიდგათ ქედზე, აპურებიც ჩვენივე ხელით გავიყუღფოთ და ან და მარადის ხატადაც მათი ენა გავიხადოთ!

მოკლედ, ამ მოთხრობას საფუძვლიანი დახვეწა სჭირდებოდა, მაგრამ რედაქციამ ეს ვერ შენიშნა და პირდაპირ ამ სახით დაბეჭდა, რითაც ავტორს ნამდვილი დათვური სამსახური გაუნია.

დაბოლოს, ჩემი აზრით, ვაჟა გიგაშვილის ნიჭი, ცოდნა, შესაძლებლობა და დიაპაზონი ვრცელ ნაწარმოებში უფრო აშკარად ვლინდება, ვიდრე ამ პანია, მოხარული მხლის გუნდასავით გასანურ მოთხრობაში.

ამის დასტურია ამავე ჟურნალის სამ ნომერში (2005 წ., №8, 9, 10) გამოქვეყნებული მისი რომანი „სადაურსა სად წაიყვან“. იგი ეხება მე-18 საუკუნის რუმინეთის საეკლესიო და საზოგადო მოღვაწეს, წარმოშობით ქართველს, ანთიმოზ ივერიელს. ნაწარმოები საინტერესო ჩანს და პირუთვნელი შემფასებლისაგან მოითხოვს არა მარტო მხატვრულ ალლო-გემოვნებას, არამედ ისტორიისა და საეკლესიო ცხოვრება-იერარქიის საფუძვლიან ცოდნასაც.



ჟურნალის პირველივე ნომერშია დაბეჭდილი მწერალ ზაალ სამადაშვილის ოთხი მინიატურა და ორი პატარა მოთხრობა.

ტრადიციულ ინტერვიუს უძღვება მწერალი მიხო მოსულიშვილი, რომელიც ერთგან აი, რას ეკითხება მონვეულ ავტორს.

„საზოგადოების დამოკიდებულება, ერთი მხრივ, ქება და მეორე მხრივ, ძაგება, მოქმედებს თუ არა შენზე?“

პასუხი არ გაინტერესებთ?

„მე არავის ვუძაგებოვარ“. — უცხადებს ზაალ სამადაშვილი.

უსმენთ ყოველივე ამას და გეჩვენებათ, რომ აქ ორი მწერალი კი არა, მიყრუებული სოფლის ორლობეში შემთხვევით გადაყრილი დედაბრები ჭორაობენ! რას ჰქვია გაძაგეს, მაძაგეს, აძაგეს?! როგორ თუ აძაგეს?! ხომ უნდა შევარჩიოთ სიტყვა-გამოთქმები, არა?! რა არის ძაგება, როდის აქვს ხოლმე ადგილი ურთიერთძაგებას? როცა ადამიანს ადამიანი სძაგდება, ანუ როგორც ლექსიკონი გვეუბნება „სიძულვილი, ზიზღი აღეძვრება — ზიზღდება, სძულდება“.

ჰოდა, ახლა თავად განსაჯეთ: სად უკეთური, ერთმანეთისადმი პიროვნული ზიზღისა და სიძულვილის ჯერ გულში გატარება, მერე კი მისი აღვირახსნილი გადმონთხევა და სად შეურიგებელი, ბასრი, მაგრამ ჯანსაღი, პირუთვნელი კრიტიკა?! რანაირად შეიძლება, ლიტერატურული კრიტიკა ასე ჩამოვაქვეითოთ და უკადრის ურთიერთძაგებას გავუთანაბროთ! რა გამოდის? მაშინ ეს პატარა ნიგნიც, შიგ ჩემი სიცოცხლის ნაწილი რომ ჩავაქსოვე და იმდენი მღელვარება გადამხდა, კარდიოლოგმა, ქალბატონმა რუსუდან ცინცაძემ კარდიოგრამა გადამაღებინა, თურმე თანამოკალმეებისადმი ზიზღი და სიძულვილი ყოფილა და სხვა არაფერი!

დროდადრო, აქა-იქ, შემთხვევიდან შემთხვევამდე გამკრთალ, თითო-ოროლა კრიტიკულ წერილს თუ არ ჩავაგდებთ სათვალავში, რაც პარტიზანულ თავგანწირვას უფრო ჰგავს, ვიდრე რეგულარული ჯარების კლასიკურ ბრძოლას, სადღა გვაქვს ან ყურნალი „კრიტიკა“, ანდა ასე მოზღვავებული ლიტერატურული პროდუქციის შემფასებელი ბასრი კრიტიკა?! და თუ თან ამგვარ კრიტიკრიუმებს დავამკვიდრებთ, მაშინ მძაგებლის სამარცხვინო სახელის მოხვეჭის შიშით ვილა გაეკარება ლიტერატურულ კრიტიკას — ამ ისედაც უმძიმეს და უმადურ სფეროს?! და თუკი ვინმეს — მე ვიქნები თუ სხვა — დაუმტკიცდება, რომ პირუთვნელი ლიტერატურული კრიტიკის აღვირახსნილი ძაგებით შეცვლას ლამობს, მაშინ ასეთი უღირსი კალმოსანი უსიკვ-

დილოდ უნდა მოიკვეთოს მწერალთა საძმოდან და სამანს იქით გასახლდეს.

ზაალ სამადაშვილის ოთხივე მინიატურა მშვენიერია და აშკარად ეტყობა დაკვირვებული მწერლის ხელი.

ახლა მოთხრობებს შევეხთ. პირველი მოთხრობა „პლეს-ანოვური ამბავი“ ჟურნალის სრული ერთი გვერდი გამოვა. პირველი პირით მოლაპარაკე ავტორი სიალალმართლით გვიამბობს თავის სამ ძმაკაცზე. თხრობა ისეთი ძალდაუტენებელი, უშუალო და დამაჯერებელია, რომ თითქო წინ აღარაფერი ელობება მკითხველს, რათა თვითონაც მოთხრობის პერსონაჟების მხარეზე გადავიდეს და მათი ცხოვრებით იცხოვროს. მაგრამ, სამწუხაროდ, გზადაგზა თავს იჩენს ისეთი მომენტები, რაც მკითხველს ხელს უშლის ამ ნაბიჯის გადადგმაში.

მოთხრობის მთავარი გმირია კრეტო, რომლის მწვანეთვალე-ბა შეყვარებულს აზრი შეუცვლია და სხვა გულისსწორი გაუჩენია. ეს კრეტო თავიდან თურმე იხტიბარს არ იტყვდა, „მაგრამ ზედიზედ რამდენჯერმე „სტრელკაზე“ რომ უთხრეს უარი და სატელეფონო ზარზეც არ გააგონეს ხმა, შეშფოთდა“.

ეს „სტრელკა“ რალა უბედურებაა-მეთქი, გავიფიქრე და როცა გავიკითხ-გამოვიკითხე, აღმოჩნდა, რომ ქუჩური ჟარგონით მოლაყბე ბიჭბუჭების ენაზე თურმე შეხვედრა, პაემანი ყოფილა. ამ აღმოჩენამ გული ჩამწყვიტა. რალა მაინდამაინც ეს სიტყვა „სტრელკა“ — პირველი პირით მოთხრობელ ავტორს ნუთუ არ შეეძლო, უფრო სწორედ, მოთხრობას რა დააკლდე-ბოდა, შეხვედრა ან პაემანი რომ ეხმარა?!

ვწერ ამას და წარმოსახვით უკვე ჩამესმის ათასი ჯურის ოპონენტის სტვენა და ყიჟინი: რომ მე არაფერი გამეგება ლიტერატურის, თხრობის მთელი მარილი და კოლორიტიც სწორედ მაგაშია, იმ ყმანვილების ენით მოლაპარაკე ავტორმა „სტრელკა“ რომ იხმარა და არა პაემანი, რომ მსგავსი ჟარგონი თუ ბარბარიზმები ლიტერატურაში დასაშვებია და ამაზე აღარავინ კამათობს და სხვა და სხვა!!!

ეგენი როგორმე მეც ვიცი, მაგრამ აქ ცოტა სხვანაირად არის საქმე. ავტორს ეს სიტყვა ქუჩის ბიჭების ცოცხალ დიალოგში რომ ეხმარა, ჯანდაბას, კაცი კიდე მოითმენდა. მაგრამ აქ უყ-

ურეთ, რა ხდება! მწერალი პირველ აბზაცში გვამცნობს: სამოცდაათიანი წლები იყო. ბოლო აბზაცში კი გვეუბნება: კრეტომ თავისი ფათერაკებიანი სიცოცხლე ოთხმოცდათხუთმეტში დაასრულაო. თვითონ მოთხრობა კი 2004 წელს დაიბეჭდა. პოდა, აგერ, იმ ამბებიდან მთელ ეპოქას, თითქმის ორმოც წელს გაუფლია — ზოგი მათგანი დალუპულა, თუ ალლო არ მალაატობს, პირველი პირით მოთხრობელი ყმანვილი მწერალი გამხდარა, მაგრამ მაშინდელ სიტყვა-თქმათა არავითარი გადასინჯვა, ლექსიკის გაუმჯობესება-დახვეწის თვალსაზრისით არავითარი წინსვლა!!! ისევ ის მაშინდელი „სტრელკა“ და „საროჩკა“ — ავტორი პირველივე აბზაცში გვახსენებს: მაშინ ბატენის „საროჩკა“ იყო მოდაშიო.

მწერალს მადლობელს დავრჩებოდი, ეს ოხერ-ტიალი „სტრელკა“, მაგალითად, ამ სახით მაინც რომ ეხსენებინა: „მაგრამ ზედიზედ პაემანზე ანუ როგორც მაშინ ვამბობდით ხოლმე, „სტრელკაზე“ რომ უარი უთხრეს“-ო. მაგრამ არა!!! თავისი თხრობის სწორუპოვრობასა და უცხო სიტყვის მოქალაქეობრივ სრულ უფლებაში ღრმად დარწმუნებული მწერალი ამ „სტრელკას“ პირდაპირ დამპყრობი მონღოლი ნოინის წამახული ისარივით მაჭერს ყიაზე და უწყალო ჩხვლეტივით მაიძულებს მეც „სტრელკით“ ვიაზროვნო, ეს სიტყვა აღვიქვა, დავიმახსოვრო, შევისისხლხორცო, ვიხმარო, სხვასაც გადავცე და დავამკვიდროთ!!!

არაფერს ვაზვიადებ. დღეს დიდი მოძრაობაა ე.წ. რუსი სამშვიდობო კონტინგენტის საქართველოდან გასაყვანად. ადრე თუ გვიან, უკანასკნელი რუსი სამხედროც დატოვებს ჩვენს ქვეყანას, მაგრამ რა ვუყოთ იმ რუსულ სიტყვებს, ჩვენს ენაში სრული მოქალაქეობა რომ მიიღეს და საარჩევნო ხმის უფლებაც მოიპოვეს. საქმე იქამდეა მისული, რომ ზოგიერთ ქართველ კალმოსანს ზოგიერთი რუსული სიტყვა თავანკარა ქართული ჰგონია.

აი, ერთ-ერთი მაგალითი, რომელიც პრესაშიც იყო გამოქვეყნებული. ერთ კალმოსანს მწერალ ვახტანგ ჭელიძისთვის რომანის ხელნაწერი მიეტანა და თან რჩევაც ეკითხა: აი, აქ მე კი გულაობა მიწერია, რადგან ეს გამოთქმა უფრო მომწონს, მა-

გრამ თქვენ, როგორც გამოცდილი რედაქტორი, რას მირჩევთ, სეირნობა ხომ არ აჯობებდაო. ლეგენდის მიხედვით, ვახტანგ ჭელიძე სხვების თანდასწრებით სათუთად მოპყრობია უნიგნური კოლეგის თავმოყვარეობას და ტაქტიანად ურჩევია: არა, ორივე ფორმა სწორია, მაგრამ ამგვარ კონტექსტში მაინც სეირნობა აჯობებსო.

თუმც შორს რა გვინდა! რუბრიკის ქვეშ „მონატრება“ ამავე უურნალმა 2005 წლის მე-4 ნომერში გაიმეორა მწერალ ანა მხეიძის თავის დროზე გახმაურებული მოთხრობა „არჩევანი მე...“ მოთხრობის მთავარი გმირი, ოცდაექვსი წლის თბილისელი ქალიშვილი, უმაღლესდამთავრებული ინტელექტუალი, ნე-სიერი ოჯახიშვილი ზღვაზე ყოფნისას აი, რას ეკითხება თავის შეყვარებულს. „ზაზა, შენ არ იკატავებ?“ და რაკი ეს 38 წლის სუფთა ქართველი, თბილისელი, თანაც მხატვარი ამ „კატაობას“ არც ჩოთირობს, არც უსწორებს და არც სიყვარულით კილავს თავის საცოლეს ენის დამახინჯებისთვის, ცხადი ხდება, რომ ზაზა შეიძლება ადგეს, თვითონაც იკატავოს და საცოლეს აკატავოს. ორივემ იკატავოს, რალა! რედაქციის მუშაკებს ხომ აკატავებენ და აკატავებენ!!! დააკვირდით: ეს მოთხრობა თავის დროზე ჯერ უურნალში დაიბეჭდა, მერე ცალკე ნიგნშიც შევიდა, ახლა კი „ლიტერატურულმა პალიტრამ“ გაიმეორა! აი, ამ უცხო სიტყვა-სარეველას რამდენი ლიტერატურული საბაჟო გაუვლია კატაობა-კატაობით და ვერც ერთ ბეც ლიტერატორ-მებაჟეს ვერ შეუნიშნავს, რომ კალმის წვერი პანჩურივით ამოეკრა ამ კატაობისთვის, მის ადგილას კი სუფთა ქართული სიტყვა დაებრძანებინა!!!

რა გამოდის? ზაალ სამადაშვილის მიერ გულთბილად დახატულმა ბიჭუკელებმა ქართული ენა ასერიგად გამითახსირონ, წამიბილწონ, დამისახიჩრონ, მე კი მათდამი სიმპათიით განვიმსჯვალო და გულში ჩავიხუტო?! არავითარ შემთხვევაში — ამას ვერ ჩავიდენ! გინდაც ჩავიდინო, გულწრფელი არ ვიქნები, ვინაიდან ჩვენ შორის ეს წვერბასრი „სტრელკა“, ანუ ქუჩის ბიჭების მიერ საძაგელ უცხო საძირეზე ნაძალადევად დამყნობილი შხამიანი სიტყვა-ეკლის გაფარჩხული ტოტები არ მიშვებენ მათკენ!

შეიძლება ბევრმა სიბრალულით სავსე ღიმილი გადმოგიგდოს: უარგონით მოაზროვნე და მოლაყბე ქუჩის ხალხს შენ ვერ აღზრდი — გინდა, არ გინდა, ეს რეალობააო. კარგი, მაგრამ ჩემმა, როგორც ერთი რიგითი მკითხველის ან თუგინდ მწერლის, რეალობამ რაღა დააშავა? მე როგორღა მოვიქცე, თუკი ჩემი რეალობა კიდევ ქართული ენის სინმინდის მოვლა, გაფრთხილება და სიყვარულია?! დავყარო ფარ-ხმალი, დავმუნჯდე და „ენაი შემკული“ ქუჩის ბიჭბუჭებს შევატოვო საჯიჯგნად?! არავითარ შემთხვევაში — მხოლოდ ბრძოლა!

ხედავთ, რა გამოდის? აქ ერთმანეთს ისე სასტიკად ეჯახებიან ეს შეურიგებელი რეალობები, როგორც თავის დროზე მოსკოვისა და ბერლინის საჰაერო სივრცეებში სამკვდრო-სასიცოცხლოდ ერკინებოდნენ ერთურთს „ფოკე-ფულფები“ და „იაკები“...

* * *

ვინ არის კრეტო?

„ქუჩის ბიჭი იყო კრეტო — ჯიბეში დანის ჩამდები, ტარიანის გამბოლებელი, ხელებით მოლაპარაკე. გიტარაზე უკრავდა და ხრინჩიანი ხმით მღეროდა“. — ამბობს ავტორი და იქვე განაგრძობს, — „ჩვენი თაობის გოგონებს მოსწონდათ ქუჩის ბიჭები — საკოცნელად კინოშიც დაჰყვებოდნენ ღამის სენსებზე და ჭიპს-ახუნასაც ეცეკვებოდნენ დაბადების დღეებზე, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგებოდა, გულისსწორებად ვილაც ქლიავებს ირჩევდნენ“.

აჰა, ეგაც თქვენ! მოდი, ახლა ეს დავაზუსტოთ, პირველი პირით მთხრობელი ყმანვილი ვის, რანაირ ახალგაზრდებს უწოდებს „ქლიავებს“. ამას ახლავე შევიტყობთ.

მწვანეთვალემა შეყვარებულის მიერ უარყოფილი კრეტო „შეშფოთდა. როგორმე უნდა გადაყროდა (უნდა იყოს გადაჰყროდა. ჯ.მ.). მაგრამ სად? იმ სელაპს (ე. ი. იმ ქლიავს. ჯ.მ.) ისეთ ადგილებში დაჰყავდა გოგო, სადაც ჩვენნაირ ბიჭებს ფეხი არ შეუცდებოდათ. რომ შეგვცდენოდა კიდევ, რა უნდა გვექნა

კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში, ანდა სამხატვრო გამოფენაზე?!

ღმერთო ჩემო, რა შესაშური ადამიანური გულწრფელობაა და ამავე დროს როგორი დამლუპველი მწერლური წინდაუხედაობა!!! აქ ავტორმა ის ქლიავად მოხსენიებული ბიჭები, მკითხველის თვალში მათი დამცირება რომ ეწადა, თავისი წინდაუხედავი იმპულსური დახასიათებით ხელის ერთი აკვრით ცივილიზებული, სანიმუშო ახალგაზრდებისთვის განკუთვნილ პეიდესტალზე ასხა, თავისი გმირები კი, მათკენ მკითხველთა უცილობელ გადმობირებას რომ გეგმავდა, ქუჩურ-ობივაცტელური უმეცრობის გამოუვალ ჩიხში გამოამწყვდია: მათ არამცთუ ფეხი არ შეუცდებათ, არამედ ისიც კი არ იციან, საერთოდ, რისთვის დადიან და რას აკეთებენ კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში თუ სამხატვრო გამოფენაზე და თან უკვირთ კიდევ — გოგონები, რომლებმაც სიჭაბუკის განთიადზე მოზარდთათვის დამახასიათებელი წრფელი ბუნდოვნებით თითო-ოროლა კოცნა აჩუქეს, ანდა ევროპული ცეკვისას ჯერ ხელგაუკარებელი მკერდით მკერდზე წაეხახუნენ, მერე სხვებს რალატომ ირჩევდნენ ცხოვრების მეგზურად!!! და როდესაც შეეიტყვე, რომ ის მწვანეთვალეა გოგონა თავის პირვანდელ შეყვარებულს, კრეტოს კი არა, არამედ სულ „სხვა სელაპს გაჰყვა“, შიშისაგან გული მტკივნეულად მენურებოდა: ვაითუ მწერალმა მწვანეთვალეებს არ აპატიოს „ლალატი“ და ეს ნაბიჯი ანა კარენინსავით რამენაირად წაამწაროს-მეთქი. მაგრამ არა, გადავრჩი! ზაალ სამადაშვილი ჭეშმარიტი მწერლის სიმალლეზე აღმოჩნდა და ასეთ ქონდრისკაცურ შურისმაძიებლობამდე არ დაეშვა, რითაც, როგორც ნამდვილმა მამაკაცმა, ჯეროვანი პატივი მიაგო იმ მწვანეთვალეა გოგონას თავისუფალ არჩევანს!!!

მწვანეთვალეა მწვანეთვალეადა, მაგრამ მე, როგორც მკითხველი და თან როგორც მწერალი, როგორ მოვიქცე? კეთილი, კოლეგიურობის ხათრით მეც ზაალ სამადაშვილის გმირების მხარეზე დავდგები, მაგრამ მერე როგორღა შევხედო პირველი პირით მთხრობლის მიერ „სელაპებად“ და „ქლიავებად“ მოხსენიებულ იმ ახალგაზრდებს, რომლებიც არც დანას დაატარებენ ჯიბით, არც ტარიანს აბოლებენ, არც ქუჩაში ჰყუდიან ცის-

მარე დღე, მაგრამ სამაგიეროდ უკვე შეუთვისებიათ კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში დარხეული მუსიკალური ჰანგების ღვთაებრიობა, სულიერ მოთხოვნილებად გადაქცევიათ სამხატვრო გამოფენის თვალიერებისას აღძრული ესთეტიკური სიამოვნება და ცდილობენ, ყოველივე ამას თავიანთი რჩეულიც აზიარონ!

აი, მკითხველს რა ძნელი არჩევანის წინაშე აყენებს მწერლის ნებსითი თუ უნებლიე ზოგიერთი პასაჟი.

* * *

მეორე მოთხრობა „დიმასთან მიმაგრებაში“ ჟურნალის გვერდნახევარია. სანამ მას შევეხებოდე, მკითხველის ყურადღებას რამდენიმე ენობრივ-სტილისტურ მომენტზე შევაჩერებ. ავტორმა როგორც წინა მოთხრობაში იხმარა ის „სტრელკა“ და „საროჩკა“, ვერც აქ გაუძლო ცდუნებას. „ტავარნებს“ უჩემოდაც გაატარებენო“. — წერს. ჰა, აქ კიდევ შეიძლება გაგებით მოვეკიდოთ, რაკი პირველი პირით მოთხრობელი რკინიგზის უფროსის ნათქვამს იმეორებს, მაგრამ აი, პირველივე აბზაცში „მოსკოვი-ერევნის“ მატარებლის „პრავადნიკებთან“ ატეხილ ჩხუბზე მოგვითხრობს. დიდი ხანია, რაც ამ ყბადაღებული „პრავადნიკის“ ნაცვლად გამცილებელი დამკვიდრდა და არ მესმის, მწერალი ასე დაჟინებით რატომ უწყობს ხელს უცხო სარეველას სიცოცხლისუნარიანობას.

„ლაპარაკობდა ხმადაბლა, ყოველგვარი ჟესტიკულაციის გარეშე“. — მოგვითხრობს ავტორი. მხატვრული თხრობისას, თანაც ამ პანია ტექსტში რად უნდა ეს ჟესტიკულაცია, მით უმეტეს, როცა, აგერ, პირველ მოთხრობაში კრეტოს დახასიათებისას მადლიანად ამბობს „ხელებით მოლაპარაკე“-ო.

„ოფიცერმა... არათუ მიმაგრებაში შეშვებაზე, არამედ იმაზეც კი უთხრა უარი“... — წერს ერთგან. შეიძლება შეგვიშვან ან არ შეგვიშვან ციხეში, საკანში, ბარაკში, ციხის მოსაცდელში, სატუსალოს ეზოში და სხვა, მაგრამ რომც მოინდომონ, როგორ, რანაირად უნდა შეგვიშვან ან ჩვენ თვითონ როგორ უნდა შევიდეთ მიმაგრებაში, გადასახლებაში, მივლინებაში?..

„ლიოხასთან სულ რაღაც ხუთწუთიანი დალაპარაკების შემდეგ ლამის ბარაკამდე მიგვაცილა“.

ხუთი ან მრავალწუთიანი თუ მრავალსაათიანი შეიძლება იყოს ლაპარაკი, მოლაპარაკება და არა დალაპარაკება. ხოლო თუ მწერალს მაინცდამაინც სიტყვა „დალაპარაკება“ სურდა, მაშინ სულ აღარ იყო საჭირო ეს „სულ რაღაც ხუთწუთიანი“ და წინადადებაც უფრო თავისუფლად ისუნთქებდა და იყდებოდა: „ლიოხასთან დალაპარაკების შემდეგ ლამის ბარაკამდე მიგვაცილა“.

„სამი კუბომეტრი შეშა“. უნდა იყოს კუბომეტრი და არა კუბომეტრი.

„დიმა ლიძავის ამბებს აყოლებდა ლიოხას“. — მოგვითხრობს გულდამშვიდებული ავტორი.

მეტი სიფხიზლეა საჭირო, თორემ საკმარისია ყურადღების წამიერი მოდუნება და უხეში თუ პიკანტური შეცდომაც გამოჯეკილი კონტრაბანდისტივით უმალ თვალსა და ხელს შუა გასხლტება ხოლმე. რას ნიშნავს აყოლებდა? ლექსიკონი გვეუბნება:

„აყოლებს (აყოლა, უყოლებია) კაუზატ. ჰყავს ზმნისა აიძულებს იყოლიოს, — გაუჩენს, აყოლიებს. „ორმოცდაათი წლისას... შვილი მაყოლე“ (ი. მაჩაბ. თარგმ.).

უნდა იყოს „დიმა ლიძავის ამბებს აამბობინებდა (ან ათხრობინებდა) ლიოხას“.

მოთხრობის მოკლე შინაარსი ასეთია. პირველი პირით მოთხრობელს და მის ძმაცაც ლიოხას გაგრაში ერთად დაუსვენიათ. უკან გამომგზავრებისას ლიოხას შეუთავაზებია — მოდი, მიმაგრებაში მყოფი დიმა მოვინახულოთო. ასეც მოიქცევიან — მატარებლიდან სადღაც ზუგდიდის ახლოს ჩამოხტებიან და რკინიგზის სადგურის უფროსის თანხლებით ჯვარზენისკენ გასწევენ. ვინ არის დიმა?

„საფრანგეთში იყო დაბადებული და ყოველ დაჭერაზე თბილისელ თუ მაგადანელ ჩეკისტებს კრუნჩხვა ემართებოდათ, ოქმის შეესებინას დაბადების ადგილის გასწვრივ პარიზის დაწერა რომ უწევდათ“.

რამდენიმე, ერთი შეხედვით გადაულახავი წინააღმდეგობის დაძლევის შემდეგ დიმას საკუთარ საკანში ესტუმრებიან. ბოლოს კი პატარა კამპანია — მთხრობელი, ლიოხა, რკინიგზის სადგურის უფროსი, თვითონ დიმაც და დიმასთან რაღაც საიდუმლო საქმეზე ამოსული ორი პლესხანოველი ტყისპირა ფაცხაში(!) ერთად ივასშმ-იქეიფებენ. საღამოთი მთხრობელს მატარებლით თბილისისკენ გამოისტუმრებენ, ლიოხა და ის ორი პლესხანოველი კი დიმასთან დარჩებიან ღამის გასათევად.

წელან ჩამოთვლილ ენობრივ-სტილისტურ შენიშვნებს თუ გვერდზე გადავდებთ, შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ეს მოთხრობა ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესოთაგანია, რომელიც ყურნალმა გამოაქვეყნა თავისი ხანმოკლე არსებობის მანძილზე. პირდაპირ სიყვარულითა და პატივისცემით განვიმსჭვალე ავტორისადმი, რადგან მხატვრულ მშვენიერებას მაზიარა და არ გამიტანჯა და არც გამაღიზიანა უსარგებლო დეტალებით და ფერებით, სქემებით, პოზიორობით, უადგილო გადასვლ-გადმოსვლებით... აქ ყველაფერი ისე ბუნებრივად, გასაოცარი გულწრფელობით და მხატვრული უშუალობითაა ხორცშესხმული, რომ ვიგრძენ — მეც მათთან ერთად ვიყავი, ლიოხა და დიმა თითქო ჩემი ნაცნობებიც იყვნენ! მაგრამ... ო, ნეტავ ამ თავისთავად მშვენიერი მოთხრობის გარჩევისას მაინც არ ყოფილიყო აუცილებელი ამ „მაგრამ“-ის თქმა! მაგრამ ავტორმა ეს სიამოვნება ბოლოს მაინც ჩამამწარა, თანაც ორგან!

მოთხრობის ბოლოს აი, რას აცხადებს მწერალი.

„გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში მომხდარ ამ ამბავს რომ წაიკითხავს, დაკვირვებულ მკითხველთა ერთ ნაწილს, ალბათ, არ გაუჭირდება ლიოხას ამოცნობა“.

რანაირი წინდაუხედაობა თუ მწერლური გამოუცდელობაა! მკითხველთა ერთი ნაწილი ამოიცნობს ამ ლიოხას და დაე, ამოიცნოს — მწერალს რაღა ალაპარაკებს?! ეს რას სძენს მოთხრობას? პირიქით! რა გამოვიდა? მწერალმა მთელი თავისი ნიჭი და უნარი უშურველად დახარჯა, ამ მტკავლიან მოთხრობაში თითქმის შეუძლებელი შეძლო და მხატვრული დამაჯერე-

ბლობის მწვერვალზე აფრინდა და მეც, როგორც მკითხველი და მწერალი, თან ამიყოლა! მაგრამ ბოლოს, თითქო ამ სიმაღლემ შეაშინა თუ ვერ შეიშნოვარ, იშვირა ფეხი და ისევ მოსაწყენი, ერთფეროვანი დოკუმენტურობის ტაფობზე დაეშვა, მე კიდეც მწვერვალზე დამაგდო გახეტებული. აქ ისე გამოდის, რომ ავტორი მთელი საქართველოს მასშტაბის მწერლის სახელის მოსაპოვებლად კი არ იბრძვის, არამედ ვინრო, „მკითხველთა ერთი ნაწილისა“ თუ რომელიღაც უბნის მემატიანის როლს სჯერდება და მგონია, ეს ესახელება კიდეც!

მოთხრობის მხატვრულობით მოხიბლული, მწერლის მიერ ფრჩხილების ამგვარ გახსნას რომ მივადექი, უცებ ცივი წყალი გადამევლო, რადგან დავემსგავსე კაცს, რომელმაც უბრწყინვალეს ბანკეტზე გვარიანად მოილხინა, მაგრამ დახეთ უბედურებას: ბანკეტის დასასრულს კარში ადმინისტრაცია ჩამდგარა პოლიციელების თანხლებით და ყველას მკაცრად უსინჯავენ მოსაწვევ ბარათს, მე კი, ჩემი დაუდევრობის თუ გამწესრიგებლების უყურადღებობით მოსაწვევის გარეშე შევეყოლივარ პატივსაცემ საზოგადოებას! კი, კი, არ ვაზვიადებ — ნუ გეცინებათ! მოთხრობის მხატვრულობით ნასიამოვნები, შინაგანად ვნეტარებდი — როგორც მწერალმა, ალბათ, ავტორს სხვებზე უკეთ მე გავუგე-მეთქი, მაგრამ ზაალ სამადაშვილის მიერ მოულოდნელად კარტების ამგვარმა გახსნამ ყველაფერი უკულმა შეატრიალა: აქ მთავარი ქეშმარიტი ლიტერატურა, ნაწარმოების მხატვრულობა კი არა, თურმე მისი დოკუმენტურობა ყოფილა!!!

მკითხველთა ერთ ნაწილს, რომელსაც, შესაძლოა, ნაწარმოების მხატვრულობის ინჩიბინჩიც არ გაეგება, თურმე ისიც კი სცოდნია, ვინ არიან ამ ლიოხასა და დიმას პროტოტიპები, მე კი აზრზეც არა ვარ და მოთხრობის მხატვრულობის მწვერვალზე ეულად გარჩენილი, აქეთ-იქით ყეყეჩივით ვიყურები! ეს კი ამკარად იწვევს გულნაკლულობისა და უკმარისობის, მეორეხარისხოვანი მკითხველის დამამცირებელ განცდას.

* * *

ორივე მოთხრობის თითქმის ერთ ყაიდაზე დასასრულის განცდა-გააზრებამ საშინელი შინაგანი ძრწოლა და სულის ხუთ-

ვა განმაცდევინა. „პლახანოვი ამბავი“ სრულდება ასე: „ჩემი ფედკა დოლოხოვივით ძმაკაცი ავარიში დაიღუპა“.

„დიმასთან მიმაგრებაში“ — ასე: „დიმიტრიც დონ დიეგოსავით ნავიდა ამ ქვეყნიდან, ოლონდ ის, აგრეთვე არტისტიზმით აღსავსე მემამბოხე, მდინარის წყლებში არ დაწრეტილა სისხლისგან“.

როგორც ჯერ ტოტალიტარული რეჟიმით, ბოლოს კი სამშობლოს თავზე დატეხილი ათასგვარი უბედურებით გატანჯული მოქალაქე, მეც მთელი სიცოცხლე სულ ტანჯვა-ვაებაში, ხელმოკლეობაში, უსამარლობასა და უუფლებობაში გავატარე. ეს ყველაფერი ისეთი დამთრგუნველია, რომ ბევრის მსგავსად ზოგჯერ სიკვდილიც მინატრია, რათა სიცოცხლესთან განშორების ღვთაებრივ თუ საზარელ წამს მაინც ვიყო თავისუფალი და დამოუკიდებელი, ჩემი თავის ბატონ-პატრონი, ჩემს ნებაზე აღვესრულო და გავშორდე-მეთქი ამ წუთისოფელს! მაგრამ არა! თურმე ამის უფლებაც არა მქონია, იმ საბოლოო წამსაც კი ვილაცას უნდა ვგავდე, ვილაცას უნდა ვანსახიერებდე: ფედკა დოლოხოვს, დონ დიეგოს, კაცია მუნჯაძეს, გარსია ლორკას, სპირიდონ მცირიშვილს, არსენა ჯორჯიაშვილს, ანდრეი ბოლკონსკის, ჩანჩურას, ჰაკი აძბას თუ რა ვიცი, ვის როლსაც დამაკისრებს რომელიმე ჩემი კოლეგა-კალმოსანი!

ეს მოთხრობები ცალ-ცალკე და სხვადასხვა დროს რომ წამეკითხა, შეიძლება ასეთი საშინელი განცდა არ გამჩენოდა. მაგრამ ორივეს ერთნარი დასასრულის ერთდროულმა გააზრებამ შემადრწუნებლად იმოქმედა. ავტორი ორივე პერსონაჟს სიკვდილის წინ ისეთი ამოუხსნელი პედანტური აუღელვებლობით და გარდაუვლობით უძებნის სავარაუდო შედარება-ორეულს, თითქო უფლება არა ჰქონოდათ სიკვდილის წამს მაინც ყოფილიყვნენ მხოლოდ ისინი, ვინც სინამდვილეში იყვნენ და სიცოცხლესაც თავიანთი ბუნებრივი, სხვა არავისი მსგავსი სიკვდილით გამოსალმებოდნენ!

ჩემს მსჯელობაში მიკერძოება რომ არავის ეჩვენოს, მოდი, უფრო ზედმიწევნით გავჩხრიკოთ ყველაფერი. მწერალი პირდაპირ გვიცხადებს: ჩემი ფედკა დოლოხოვივით ძმაკაციო. მაგრამ, აბა, სად ფედკა დოლოხოვი და სად — კრეტო?! არა, არა, არა-

ვინ იფიქროს, კრეტოს ვცოტაობდე. არა! ავტორმა კრეტო ისე ხელშესახებად დახატა, რომ დუელიანტმა ფედია დოლოხოვმა გულითაც რომ მოინადინოს, ამ კრეტოს ადგილიდან ძვრასაც ვერ უზამს! ხოლო ის ერთადერთი მაგალითი, რის მიხედვითაც ავტორი მათ ერთმანეთს აწყვილ-ადარებს — აქ კი მხოლოდ ამაზეა მსჯელობა! — კრეტო მხოლოდ დოლოხოვის ერთ-ერთ მაგალითს იმეორებს, მაგრამ ისეთ შემადრწუნებელ მაჩვენებელს აღწევს, რომ შეიძლება დოლოხოვს თვალებზე ხელები აეფარებინა, ანდა შეგირდად მიბარებოდა ამ კრეტოს!

მაინც რა ხდება? ლაპარაკია ლევ ტოლსტოის რომანის „ომი და მშვიდობა“ ცნობილ ადგილზე, რომ სემიონოვის პოლკის ოფიცერი ფედია დოლოხოვი „Выпьет бутылку рома, сидя на окне третьего этажа с опущенными наружу ногами...“ და თან ამ რომის ბოთლს „не отнимая от рта... и не держась ни за что“ .

ყველაფერი ნათელია და როგორც ვიცით, ამ პირობებს დოლოხოვმა ბრწყინვალედ გაართვა თავი.

პატივცემულო მკითხველებო, პეტერბურგში მდებარე ცხენოსანთა გვარდიის ყაზარმის შესამე სართულიდან ახლა თბილისში, სასტუმრო „ივერიის“ მეთექვსმეტე (!!!) სართულზე ახალგაზსნილ რესტორანში გადავინაცვლოდ. ახლა კრეტოს ჯერი დგება! თან მხედველობაში იქონიეთ, მოყვანილ ციტატაში რამდენგანმე ნახმარი მრავალწერტილი ავტორისეულია და ამდენად, ეს ადგილი სრულია. და კიდევ ერთიც: თუ ვინმე სუსტწერვებიანი მალღივი კორპუსის ზედა სართულის ღია აივანზე კითხულობს ზაალ სამადაშვილის იმ მოთხრობას, ან ამ წიგნს, ადამიანურად ვურჩევ, ბინის სიღრმეში გადაინაცვლოს და ისე განაგრძოს კითხვა. მაშ, ასე, მომყავს ციტატა!

„ნამოავლო ხელი შამპანურის ბოთლს, გაალო შემინული კარი, გავიდა ცაში გამოკიდებულ აივანზე, მოაჯირზე შედგა და ამ სასმისით სიყვარულს გაუმარჯოს, დაიძახა...“

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა...

კვილი მერე ატყდა, კრეტო მოაჯირიდან რომ ჩამოხტა...

გოგომ პანია მუშტები დაუშინა მკერდზე და თვალით არ დამენახო, შე საზიზლაროო, უკივლა და უკივლა ატირებულმა“.

დასკვნების გამოტანა მკითხველისთვის მიმინდვია, ოღონდ ავტორს მაინც შევნიშნავ: მოთხრობიდან არ ჩანს, კრეტო საერთოდ, იცნობდა თუ არა ფედია დოლოხოვს და მის საგმირო საქმეებს. ანდა თუ იცოდა, ეს მართლა მისი ნაბაძვით ჩაიდინა თუ წმინდა სიყვარულით ალაკრულს, აფექტის მომენტში თავისით მოაფიქრდა და განახორციელა. მაგრამ, როგორც ჩანს, აქ ავტორი დააბნია თუ გაიტაცა დოლოხოვისა და კრეტოს ჩანადენის იდენტურობამ, რის გამოც მხედველობიდან გამოეპარა უმთავრესი — მოტივი!!!

დააკვირდით: აქ კრეტო ასჯერ მალლა დგას დოლოხოვზე. და არა იმიტომ, რომ საასპარეზო სართულებსა და პერსონაჟთა მიერ გამოჩენილ თავგადადებას შორის შემადრწუნებელი სხვაობაა. ეს თავისთავად! აქ გადამწყვეტი სხვა რამეა, რაც გამორიცხვას პერსონაჟთა ასეთ ზედაპირულ შედარებას! თექვსმეტიოდე წლის ყმანვილმა ეს შემადრწუნებელი რამ ჩაიდინა სრულიად უანგაროდ, სპეტაკი სიყვარულის თავყვანისცემის ნიშნად! ოცდახუთი წლის ფედია დოლოხოვმა კი — ამ ჩხუბისთავმა, მექალთანემ, ბრეტერმა, სპარსეთში ყოფნისას თურმე შაჰის ძმაც რომ ჰყოლია მოკლული და რომელსაც პიერ ბეზუხოვთან გამართული დუელისთვის მალე ოფიცრობიდან ჯარისკაცამდე ჩამოაქვეითებენ — მესამე სართულის სარკმელში საიმედოდ მოკალათებულმა და გარეთ ფეხებგადაკიდებულმა ის ერთი ბოთლი რომი პირიდან მოუხდელად ჩაჭყაპა ანგარებით დადებული სანაძლეოსთვის — რა არის, მახეში ოსტატურად გაბმულ ინგლისელ მეზღვაურს, სტივენსს 50 იმპერიული მოუგოს და მოუგებს კიდევ!

აი, რატომ ეაფსუსება მკითხველს მშვენივრად დახატული კრეტოს — თანაც სწორედ სიკვდილის წამს! — თავანწყვეტილ ფედია დოლოხოვთან ზედაპირული შედარება და მის ფრთებქვეშ ამოფარება.

მეორე მოთხრობაც თითქმის ანალოგიურად მთავრდება: დიმიტრიც დონ დიეგოსავით წავიდა ამ ქვეყნიდან, ოღონდ ის მდინარის წყლებში არ დაწრეტილა სისხლისაგანო.

მწერალი დიმას სიკვდილისას რის საფუძველზე ადარებს დონ დიეგოს?

მნახველები საკანში რომ შევლენ, დიმა ჟურნალ „მნათობში“ გამოქვეყნებულ რომანს კითხულობდა. „დიმამ რომანი აქო და ერთ-ერთ პერსონაჟზე ილაპარკა ცოტა ხანს — არტისტიზმით აღსავსე მემამბოხეზე, რომელიც თვითმკვლევლობით ამთავრებს ცხოვრებას“. — გვეუბნება ავტორი.

ბოლოს კი, მოთხრობის მხატვრულ ნაწილს სამი წერტილით გამოყოფილ მოკლე განმარტებაში, რეზიუმეს შთაბეჭდილებას რომ ახდენს, ავტორი განმარტავს: „რომანი, რომელსაც დიმა კითხულობდა მიმაგრებაში — „სამოსელი პირველია“, პერსონაჟი კი, რომელიც მას მოეწონა, დონ დიეგო“. ეს არის და ეს!

ყველაფერი გასაგებია. მწერალი თუ მოინადინებს, აქ ზერელე პარალელების გავლება მართლაც შეიძლება. მაგრამ მკითხველმა როგორ დაიჯეროს, რომ ისეთ არისტოკრატიულ და ნაკითხ პიროვნებას, როგორიც დიმა ჩანს, თავისი ცხოვრების მანძილზე დონ დიეგოს მეტი ლიტერატურული კერპი არ ეყოლებოდა? მწერლის დახასიათებიდან გამომდინარე, ალბათ, ბევრი! ჰოდა, სიკვდილის თუ თვითმკვლევლობის ფორმითა და მოტივით ერთი კაცი მაინც რამდენ თავის საყვარელ ლიტერატურულ გმირს შეიძლება გამოემსგავსოს? თან ავტორი ისეთი კატეგორიულობით აცხადებს: ოღონდ ის მდინარეში არ დაწრეტილა სისხლისაგანო, თითქო დიმას სწორედ ამნაირი აღსასრული ენატროს ან ეწინასწარმეტყველებინოს. და რაც მთავარია, მოთხრობიდან სულაც არა ჩანს, დიმას ოცნება ან ანდერძი სწორედ ამგვარი ყოფილიყო: დონ დიეგოსავით წასულიყო ან წავიდოდა ამ ქვეყნიდან.

ჩემი აზრით, ასეთი პრიმიტიული პარალელი არაფერს მატებს მოთხრობას და მით უმეტეს, ასე კოლორიტულად დახატულ დიმიტრის პორტრეტს.

სამი თვის შემდეგ, 2005 წლის საახალწლო ნომერში ხელმეორედ დაიბეჭდა ზაალ სამადაშვილი. ჟურნალის ორ გვერდშია ჩატეული ყველაფერი: მწერლის ფოტოსურათი, ხელნაწერიდან გადაღებული საახალწლო მილოცვა, მიუთითებელი მხატვრის მიერ შესრულებული მეგობრული შარჟი-პორტრეტი და თვით ნაწარმოები „ჭეშმარიტი მხატვრის პორტრეტი“, რომელსაც არ უწერია, მე კი ჩემით ვერ მივხვდი, რა ჟანრს განეკუთნება.

აი, ნაწარმოების სრული შესავალი.

„მოცალების ჟამს ჩემმა მეგობარმა გიგი სულაკაურმა მაგიდა გააკეთა, დაბალ ტაბურეტს წვრილი ლურსმნებით მოგრძო, კიდეებმომრგვალებული ხის დაფა დააჭედა და ამ დაფაზე სიტყვები ამოკანრა. მე ეს სიტყვები ბლოკნოტში გადავინერე, მივედი შინ, მოვკალათდი სავარძელში და შევეცადე განმემარტა თითოეული მათგანი“.

მწერალი სულ 18 ამონაკანრს გვიშიფრავს შამპოლიონივით. აქედან მხოლოდ ერთადერთია ორი გოჯის სიგრძის, დანარჩენი ამონაკანრები გოჯიანია ან ცოტა ნაკლები. ზოგიერთი კი ნეკის სიგანეც არ არის.

აი, პირველი ამონაკანრის სამადაშვილისეული განმარტება.

„E.A. Poeზია — საუბარი, რა თქმა უნდა „ედგარ ლან პოეზია“.

რიგით მეორე ამონაკანრი ასეთია.

„Beatles“- იმ დროს, როცა ყველა ჯონ ლენონზე, პოლ მაკარტიზე, ჯორჯ ჰარისონსა და რინგო სტარზე გიჟდებოდა და მათი ნაბაძვით კოჭს აცდენილ ვინრო შარვლებსა და ნიკაპამდე შეკრულ პერანგებს ატარებდა, გიგი „Rolling Stones“-ის „Let it blade“-ს უსმენდა და პერანგსაც მიკ ჯაგერივით ჭიპამდე იღელავდა“.

ეს რა უცნაური მიდრეკილება აქვს ზაალ სამადაშვილს — თავის მხატვრულ პერსონაჟებს თუ მეგობრებს უეჭველად ვინმე

გამოუძებნოს კერპად, მეურვედ, მეგზურად, დამრიგებლად: პეტია დოლოხოვი, დონ დიეგო, მიკ ჯაგერი...

აზრზე არა ვარ, საიდან ან როდის აქეთ მოდის ჯაგერების ეროვნული ფესვი, მაგრამ ეს კი კარგად ვიცი, რომ ქართველმა ხალხმა უხსოვარი დროიდან მოყოლებული, გასაოცარი ოსტატობით შექმნა და გზადაგზა დახვენა ადამიანის ზნეობასთან, ეროვნულ ხასიათთან, კლიმატთან თუ სოციალურ-ეკონომიკურ-პოლიტიკურ გარემოსთან მისადაგებული ჩაცმა-დახურვის წესი და ადათი.

ლაზათიანად გამონყობილ-გამონკეპილმა, ჩალილულმა და ქამარგაჭერილმა ქართველმა მამაკაცმა კარგად უწყოდა, სად, როდის, ვისთან როგორ უნდა მოქცეულიყო: თუ გარემოება მოითხოვდა, ახალუხის ზედა ლიკილოსაც კი არ შეიხსნიდა! აღარაფერს ვამბობ მანდილოსნებზე. მეც მესმის, რომ ამქვეყნად ყველაფერი ცვალებადობას ექვემდებარება და მათ შორის ჩაცმა-დახურვის მოდაც. მაგრამ, აი, აქ კაცს რა აშფოთებს: იქნება ჯაგერი არ გამოჩნდებოდა და, შე დალოცვილო, თუკი მართლა სული გეხუთებოდა, პერანგზე სამიოდე ლილის ჩახსნა შენით ვერ უნდა მოიაზრო, რად გინდა ვილაც ჯაგერის მაგალითი, კარნახი თუ ნაქეზება?! მაგრამ აქ მთელი უბედურება ის არის, რომ ჩვენში პერანგის ჭიპამდე ჩახსნას და ნახევრად შიშველი, ფლოსტებიანი კაცების ქუჩა-ქუჩა ურცხვი ფლასტაფლუსტით სიარულს განაპირობებს არა იმდენად კლიმატური პირობები ან შინაგანი მოთხოვნილება, არამედ უცხო ხელოვნისა თუ ხელოვნის ნიღაბს ოსტატურად ამოფარებული მასკულტურის თახსირი მისიონერების ბრმა, ჯოგური ნაბაძუნება!

და მაინც ვერ გავუგე ავტორს: ასეთი რიხით რომ იტყობინება — ჩემი მეგობარი პერანგსაც ჭიპამდე ილეღავდაო, ამაში რას ხედავს ან სასახელოს ან სასარგებლოს?!

პერანგი ჭიპამდე ჩავიხსნათ კი არა, ჭიპამდე ჩახსნილი პერანგი ისევ ვაჟკაცურად უნდა შევიკრათ, ქართველ მამაკაცთა ნაწილმა თავი დაანებოს ქუჩაში ნიფხვებითა და დედაკაცის ფლოსტებით ფლასტუნს, ბოლოს და ბოლოს მივიღოთ ამ მიწა-წყლის ჭეშმარიტი ბატონ-პატრონის ღირსეული გარეგნობა-გამომეტყველება და მივხედოთ გაუბედურებულ სამშობლოს.

აი, რა მძიმე, მაგრამ სანეტარო მოვალეობის წინაშე გვაყენებს სასტიკი რეალობა, დაარსებულ ზაალ სამადაშვილს კი დაფნის კოპნია გვირგვინი მოუმარჯვებია და ლაურეატს ეძებს: ჩვენში პირველად ვინ ვისზე უფრო ადრე ჩაიხსნა პერანგი ჭიპამდე და ეს ვილაც მიკ ჯაგერამდე მოხდა, ჯაგერის შემდეგ თუ თვით ჯაგერის ლოცვა-კურთხევით.

ღმერთმანი, სასაცილოა ეს ყველაფერი, სატირალი რომ არ იყოს!

ნინ შემდეგი ამონაკანრი გველის.

„ვეზდე — სავარაუდოდ გიგის ამხანაგის მეტსახელი. არიან ადამიანები, რომელთა ყოფნას შენ გვერდით მუდამ გრძნობ, ანდა სადაც უნდა აღმოჩნდე, ყველგან გადაეყრები. ალბათ, ამიტომაც შეარქვეს იმ ვილაცას „Bezde“, რაც ქართულად „ყველგან“-ს ნიშნავს“.

აჰა, როგორც იქნა, შევიტყვეთ ზაალ სამადაშვილის მეგობრის, გიგი სულაკაურის სავარაუდო ამხანაგის, მართალია, ჯერ მხოლოდ მეტსახელი, მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, ახლო მომავალში იქნებ მისი ნათლობის ნამდვილი სახელიც შეგვატყობინონ! თან ისიც გავიგეთ „Bezde“ ქართულად რას ნიშნავს. მაგრამ ეს არაფერია იმასთან შედარებით, რასაც შემდეგი ამონაკანრიდან შევიტყობთ.

„Paraoz“ — „ვეზდესი“ არ იყოს, ესეც მეტსახელი მგონია. ადრე, ჯერ კიდევ სკოლაში სწავლისას, რამდენიმე „პარაოზას“ ვიცნობდი. ყველა „პარაოზა“ ლიდერი იყო. паразоз ხომ ქართულად ორთქლმავალს ნიშნავს, ინჟინერ სტეფენსონის მიერ გამოგონილ მანქანას, რომელსაც, ლიანდაგებზე შემდგარს, რამდენიმე ვაგონის დაძვრა და წაყვანა შეუძლია გარკვეული მიმართულებით“.

წანაკითხისაგან შეურაცხყოფილს, გონება მიბნელებდა და ვაკვირების ილაჯიც მისუსტდება: რაებს ჩამჩინებებს ავტორი — როგორ ვერ ხვდება, რომ მწერალმა კაცმა თავი გონებასუსტი ბავშვების მომვლელამდე ჩამოიქვეითა?! ნუთუ ჰგონია, ეს გულუბრყვილო აბდაუბდა მართლა მხატვრული პროდუქციაა და

ვინმეს იოტისოდენად მაინც დააინტერესებს? ან რომელ საიდუმლო დეპოში აღმოაჩინა სტეფენსონის დღემდე უცნობი, მომავალი თაობებისთვის განკუთვნილი ფანტასტიკური ორთქლმავალი, რომელიც, ჩვეულებრივ, როგორც დღემდე იყო, ლიანდაგზე კი არა, ლიანდაგებზე რომ დგება! აბა გაიხსენოს, რას აცხადებს ხოლმე რკინიგზის სადგურის დიქტორი:

„ყურადღება, ყურადღება! მატარებელი „თბილისი-ბათუმი“ დგას პირველ ლიანდაგზე!“ თუ „ყურადღება, ყურადღება! მატარებელი „თბილისი-ბათუმი“ დგას პირველ ლიანდაგებზე!“

თავის სტიქიაში მოხვედრილი, სიფხიზლედაკარგული მწერალი დაულალავად შიფრავს და შიფრავს ამონაკანრებს:

„თბილისი — თბილისი არ არის დიღმის მასივი, გლდანი, მუხიანი, თემქა, სანზონა, ღრმაღლე, ვაზისუბანი, ნუცუბიძის პლატო და ვარკეთილი. თბილისი ერთი პატარა ქალაქია, გაშენებული მთაწმინდისა და მახათას ფერდობებსა და მტკვრის ჩაყოლებაზე. მადათოვის კუნძულის გარდა. ამ ქალაქში გამქრალია უბანი (აქ მძიმე უნდოდა. ჯ. მ.), სახელად ზემელი. ზემელი იყო გერმანელი ფარმაცევტი და ვერის საზღვართან ფლობდა აფთიაქს“.

ესეც ასე! მწერალმა ბრაზიანი დიქტატორივით ხელის ერთი მოსმით გაატარა თბილისში სადემარკაციო ხაზი და ქალაქის დიდი ნაწილი კანონგარეშე გამოაცხადა. აბა, ახლა რაღა ქნას შერისხული მასივებისა და დასახლებების მოსახლეობამ? თუმცა მათი დარდი ვილას ექნება, როცა უმთავრესი შევიტყვეთ: ზემელი ტომით გერმანელი ყოფილა და თბილისის ერთადერთი მატერიალურ-კულტურული ძეგლი, აფთიაქი, ვერის საზღვართან ჰქონია!

კალამი ყველა ჩვენთაგანს შეიძლება გაექცეს, მაგრამ რისთვის არის რედაქტორი?

მწერლის შემადრწუნებელი წინდაუხედაობა თავის მწვერვალს ამ ამონაკანრში აღწევს.

„ლაშა — გიგის ძმა, მხატვარი. შემსწრე ვარ ძმების ასეთი დიალოგისა — ლაშა ამბობს: ქეთი შემხვდა

გუშინ, ვერ ვიცანი, როგორ გასუქებულა სანყალი.
გიგი პასუხობს: ამ ჩემს ფეხებს... ლაშა სერიოზულად
სევდიანდება: რა გენაღვლება, შენი მეგობარი ხომ
არ არის...“

ამის ნაკითხვამ ჩემზე მეხდაკერასავით იმოქმედა და პირდა-
პირ დომინოს პრინციპით წაენყვინენ ერთმანეთს ამ ამონაკანრით
დამცირებული მთხრობელი, მოქმედი პირები და რედაქციის ყვე-
ლა ის დოცლაპია მუშაკი, ვინც ეს ნაიკითხა, მაგრამ ვერაფერს
მიხვდა და დამშვიდებული სინდისით უჩვენა მწვანე გზა!

თავის სავარძელში მოკალათებული და ამ ამონაკანრების თა-
ვისებური ამოხსნით ყურადღებამოდუნებული მწერალი ორიოდ
ფრაზას ისეთი შემადრწუნებელი ანგარიშიუცემლობით ისვრის,
თითქო ლიტერატურული ჟურნალის ასიათასობით მკითხველს
კი არ ესაუბრებოდეს, არამედ ლუდის სასმელად შეყრილი ძმაკ-
აცების ვინრო წრეში შინაურულად ლაზღანდარობდეს: ძმურ სი-
ყვარულსა და გაგებაში მეგობარზე რაღაც წამოიძახა და მორჩა!
მაგრამ არა, როგორ მორჩება, როცა გახეტებულ მკითხველს
ასეთი პიკანტური რამ დაუტოვა განსასჯელად! აბა, წარმოვი-
დგინოთ ლაშას მეგობარი ქალის სულიერი მდგომარეობა: იგი
თურმე ისე გასუქებულა, რომ თავის მეგობარ მამაკაცსაც კი
ვეღარ უცვინია! თვით ლაშაც გრძნობს მის ქალურ ტრაგედიას,
თან იმ დონეზე, რომ უკვე სანყალს უნოდებს. ძმასაც სწორედ
თანაგრძნობისათვის შესჩივის! პასუხი? თქვენ უკვე იცით, რა
პასუხიც მიიღო! მკითხველი გაოგნებული რჩება: რანაირი უსულ-
გულო, ტლანქი და მეშჩანური გრძნობა-ბუნების კაცი უნდა იყო,
რომ შენ წინაშე სრულიად უდანაშაულო მოყვასი, ღვიძლი ძმის
მეგობარი, თანაც სადარდებელგაჩენილი მანდილოსანი ასეთი
პასუხისთვის განირო! თანაც ვინ ამბობს ამას — პოეტი!!! პო-
ეტი, მანდილოსნების მეხოტბე, თავყვანისმცემელი და მფარველი
რაინდი რომ უნდა იყოს! რომელიმე თქვენგანს წარმოუდგენია,
მსგავსი შემთხვევისას ამგვარი ფრაზა დასცდენოდა ნიკოლოზ
ბარათაშვილს, გრიგოლ ორბელიანს, ალექსანდრე ჭავჭავაძეს,
ილიას, აკაკის, ვაჟას, გალაკტიონს, ტიცვიანს, გიორგი ლეონიძ-
ეს, ნიკო სამადაშვილს, სიმონ ჩიქოვანს, მირზა გელოვანს, შან-
დორ პეტეფს, ლადო ასათიანს, გარსია ლორკას, გურამ რჩეუ-

ლიშვილს... თვითონ დრო და სოციალური გარემო გახდა ასეთი უხეში? გეთანხმებით, მაგრამ საქმეც ეგ არის, პოეტი სწორედ სასტიკსა და უხეშ დროში აღმოჩნდეს მოწოდების სიმალლეზე, თორემ ოქროს ხანაში, ალბათ, ყველა ირანინდებს! და ეს როყოფრახა მკითხველს თავისდაუნებურად აკეთებინებს სევდიან დასკვნას: ამ კაცის ჭეშმარიტი ბუნება სულიერი სიტლანქე ყოფილა, პოეტობა კი ხელოვნურად მიკერებული!

აი, ზაალ სამადაშვილს თავისი დაუდევრობით, აჩქარებით თუ გამოუცდელობით მეგობრის რანაირი პორტრეტი გამოსდის. სწორედ მსგავს შემთხვევებზეა ნათქვამი: ღმერთო, შენ დამიცავი ჩემი მეგობრებისაგან, მტრებს კი მე თვითონ მივხედავო.

სამწუხაროდ, ზაალ სამადაშვილი თვით ლაშასაც არასახარბიელო მდგომარეობაში აყენებს. მართალია, გვეუბნება: ლაშა სერიოზულად სევდიანდებაო, მაგრამ ეს ჯერ კიდევ გასარკვევია, რა არის ამ დასევდიანების ჭეშმარიტი მიზეზი. ლაშას დასევდიანების მიზეზი სახლიკაცის მიერ გამომჟღავნებული სიტლანქე რომ ყოფილიყო — როგორ შეიძლება უდანაშაულო ადამიანზე და, მით უმეტეს, მანდილოსანზე ასეთი ტლანქი ლაპარაკიო, მაშინ იგი მკითხველის თვალში უეჭველად ამაღლდებაო. მაგრამ, აბა, ტექსტს ჩაუკვირდით: ლაშა სევდიანდება მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ გაილანძლა სწორედ მისი მეგობარი ქეთი და არა ზოგადად ადამიანი, პიროვნება, სხვა რომელიმე მანდილოსანი!!! აქ აშკარად ჩანს, ქეთი თავისი კი არა, სხვისი, ამ შემთხვევაში თუნდაც თვით თავისი ძმის მეგობარიც რომ ყოფილიყო, მაშინ თვითონაც აღარავის ინაღვლებდა! რა გამოვიდა? ობივატელური შეჩქემობა, კულაკურ-მესაკუთრული ფსიქიკა!

ნათქვამია, ერთი თხისკენ და ერთიც მგლისკენო. რა დასამალია, ქალებთან შედარებით მამაკაცები უფრო სწორხაზოვნები და ზოგიერთ რამეში ხან დაუფიქრებლები ვართ. ჰოდა, რა ვუყვით, ამ შემთხვევაში პოეტს სიტყვა გაექცა, მწერალს — კალამი და ვეღარ მოზომეს. რედაქციის მანდილოსნები? გასაკვირია, რაოდენ სინაზედაჩლუნგებული და მხატვრულ-ლიტერატურულ გემოვნებას მოკლებული უნდა იყო, ვერ შენიშნო: რა დაუმსახურებლად და უდიერად ილანძლება უდანაშაულო ქალბატონი და

ეს გოჯიანი ამონაკანრი პირდაპირ ამ სახით შესთავაზო მკითხველს!

* * *

ხუთიოდე თვის შემდეგ, 2005 წლის ივლისის ნომერში კიდევ გამოჩნდა ზაალ სამადაშვილი — ამჯერად გვერდნახევრიანი ნოველით „გზავნილი სკოლის დირექტორისათვის“. მიუხედავად იმისა, მკითხველისთვის ზოგი რამ ბუნდოვანი რჩება ნოველის რალაცნაირი დეტექტიური ელფერის გამო, მხატვრულობას მაინც თავისი გააქვს და მშვენივრად იკითხება. ის კი არა, ეს ერთგვარი დეტექტიურობა — რაც შეიძლება მხოლოდ მკითხველისთვის ჩანდეს ასე და არა თვით ავტორისთვის — ნოველას თავისებურ ხიბლსა და იდუმალებასაც კი ანიჭებს.

* * *

2006 წლის საახალწლო ნომერში კიდევ ერთხელ — ეს უკვე მეოთხედ! — გამოჩნდა ზაალ სამადაშვილი. ამჯერად დაბეჭდილია მისი ორი მოთხრობა — „საშობაო ამბავი“ და „ქვემეხების ეპოქის გახსენება“.

პირველი მათგანი ისეთი სქემატურია, ისეთ ყალბ ნოტებზეა აწყობილი, გაკვირვებასა ვარ: ასეთი მოთხრობა რამ დაანერინა, ანდა რედაქციაში რამ მიიტანინა. ხოლო თუ მიიტანა, რედაქციამ როგორ... თუმცა რა: თავიანთი სასურველი ავტორის კალმიდან კი იყოს გამოსული და „ლიტერატურულ პალიტრას“ ყველაფერი შედეერი ჰგონია!

ამ მოთხრობის ერთადერთი ღირსება მისი სიმცირეა. მეც ვისარგებლებ ამ ღირსებით და სრულად გადმოვებქდავ, რათა ყოველი წერილმანი მკითხველმაც გაისიგრძეგანოს და თან ბრალი არ დამედოს ამა თუ იმ ადგილის ცალმხრივ მითითებაში.

საშობაო აგზავნი

ოდნავ მელოტი, მსხვილნაკეთებიანი და მსხვილი ნაოჭებით დაღარული ბერიკაცი, რომელიც აგუზგუზებულ ბუხართან ზის და მის წინ მდგარ დაბალ მაგიდაზე დაგდებული კოლოფით თუ ვიმსჯელებთ, უფილტრო „ქემელს“ ეწევა, ჰყვება:

„გორში, ამილახვრიანთ, ბარბარობის წინა დღეს ნასულა პაპაჩემი. ძველისძველი, ფრანგი ოსტატების ნახელავი ავეჯი ჰქონიათ აღსადგენი თავადებს. თითქმის ერთი კვირა მონდომებია ფეხებმორყეული სკამებისა და სავარძლების გამაგრებას, გაცვეთილი შალითების გაახლებასა და კიდებგადაქლევითი კომოდების შეღებვა-გალაქვას. კვირის თავზე, სამუშაო რომ დაუმთავრებია, კარგი სუფრა გაუმლიათ მისთვის, მაგრად უქეიფებით და გასამრჯელოდ სანოვაგით საესე ხურჯინი და ტიკის ღვინო გამოუტანებიათ. რა არ ყოფილა იმ ხურჯინში, — დედას პურები, ცივად მოხარშული დედლები, ცხრამუხასთან დაჭერილი მურნა და ჭანარი, კრიალა ვაშლები, გულყვითელა ნაზუქები... თბილისამდე ფოთიდან მომავალი მატარებლით გამოუსტუმრებიათ, მეორე კლასის ვაგონში ჩაუსვამთ. პაპას მატარებელშიც გაუგრძელებია ქეიფი. მისი თანამგზავრები დედაქალაქში საშობაოდ გამომგზავრებული მეზღვაურები ყოფილან, ხმელეთსა და სასმელს დანატრებულები. გამთენიისას ჩამოსულა. რკინიგზის სადგურის ბაქანზე გვარიანად ნაბახუსევს გადმოუდგამს ფეხი. თითოთ მოუხმია შორიახლოს ატუზული ორი კაცი. ერთისთვის ხურჯინი აუკიდებია, მეორისთვის — ტიკი და უთქვამს, ესენი ჩემთან მიიტანეთ, შინო. თავად ღიღინით დასდგომია გზას. „ავანთოთ შუშის ფარნებო..“, მღეროდა ხოლმე სიმთვრალეში. ნელა უვლია. ღვინით გახურებულს უეჭველად ესიამოვნებოდა ზამთრის დილის სუსხიანი სიგრილე. სახლის კარი რომ შეუღია, დიდდა უკვე გაღვიძებული და ეკლესიაში წასასვლელად

გამზადებული დახვედრია. მოუხდია კეპი, დაუკოცნია მძინარე ბავშვები და შუშაბანდში მდგარ მაგიდასთან დამჯდარა. გაჰკვირვებია მაგიდის სიცარიელე, ხორაგი არ მოუტანიათო? — უკითხავს ხელების ფშვნეტიტით და აქეთ-იქით მიუხედ-მოუხედავს. ვის უნდა მოეტანაო? — გაჰკვირვებია დიდედას. ვისა და მეკურტნეებსო, რიხიანად უთქვამს პაპას. არა, ბატონო, აქ არავის არაფერი მოუტანიაო, — თავი გადაუქნევია დიდედას და კვლავ გაკვირვება გამოხატვია სახეზე. ერთხანს ჩუმად მსხდარან. მერე დიდედა ალაპარაკებულა, გამოუკითხავს, რითი დაბრუნდა ქალაქში, მკერდზე ნომ-რიანი ფირფიტები თუ ეკიდათ მეკურტნეებს და მისამართი თუ უთხრა სწორად. პაპას ვერც ერთ კითხვაზე ვერ გაუცია პასუხი. ანდა რა უნდა ეთქვა? სხვა მის ადგილას გაბრაზდებოდა, ან მუშტს დაჰკრავდა მაგიდას, ან წამოხტებოდა და მუქარით გავარდებოდა გარეთ, იმათ ვაჩვენებ სეირსო. ამის მაგივრად, ხანმოკლე დუმილის შემდეგ, პაპას ერთი გულიანად გაუცინია და უთქვამს, — ალალი იყოს, ვის ოჯახშიც ის პურმარილი (უნდა იყოს პურ-მარილი. ჯ. მ.) შევიდა, ჩვენზე დალხენილები ხომ ნაღდად არ იქნებიანო. წამომდგარა დიდედა, მოუხვევია თავისი გრძელი, ფოჩებიანი თავსაფარი და წასულა ეკლესიაში. დაუნთია სანთლები, ულოცია, ზიარება მიუღია. ეკლესიიდან სავაჭრო რიგში ჩამოუვლია. ნაცნობი ვაჭრებისგან ცოტა ფქვილი, ერთი პატარა თავი ყველი, რამდენიმე კვერცხი და ლიტრიანით წითელი ღვინო წამოუღია. ყველაფერი წისიად. შინ დაბრუნებულს გაულვიძებია ბავშვებიც, პაპაც, რომელსაც აგრეთვე ჩასძინებოდა და შესდგომია საშობაო ღვეზლის ცხობას.

ამ ამბის შემდეგ ერთი რამ დაებედა ჩვენს ოჯახს. როგორი განსაცდელიცა და გაჭირვებაც უნდა დაგვატყდეს თავს, საშობაოდ ყველაფერი გადაივლის ხოლმე და საქმეები უკეთესობისკენ მიგვდის. ნეტავ რისი „ბრალია“ ეს? იმ ხურჯინისა და ტიკისა ხომ არა, პაპამ

დაუნანებლად რომ გაატანა მასზე გაჭირვებულ ადამიანებს?"

ბერიკაცი ამ შეკითხვით ამთავრებს თხრობას და მკერდზე ჩამობნეულ სიგარეტის ფერფლს გულდასმით იბერტყავს. შავი მაისური აცვია და მაისურზე ფანელის სქელი, კუბოკრული პერანგი აქვს მოცმული. იმის მიუხედავად, რომ ტკბილ პაპაზე მეტად ათას ფათერაკგამოვლილ, ნაჯაჯგურებ კაცს ჰგავს, ამბავი მაინც ისეთი გამოსდის, ტკბილი პაპები რომ ჰყვებიან.

ავტორს ამ შემთხვევაში ნორჩი დებიუტანტივით აცდუნებს მცდარი, დამლუპველი წარმოდგენა: თუ თავის პერსონაჟს ასეთ ხელმწიფურ მადლს ჩაადენინებს, მორჩა, ეგ არის — მოთხრობას ის ყალბად მიკერებული მადლი პირდაპირ კოსმოსურ ხომალდით გაიყვანს ჭეშმარიტი ლიტერატურის საოცნებო ორბიტაზე და, მაშასადამე, საჭიროც აღარ იქნება სათანადო მხატვრულობის მისაღწევად ტვინის ჭყლეტა, სისხლის გაშრობა... მოთხრობის ყოველი წვრილმანის აფთიაქის სასწორზე ანონა და მათი მუდმივი ურთიერთკოორდინაცია.

ერთი ნუთით კრიმინალურ სფეროს გადავკრათ თვალი: ეჭმიტანილი ნამდვილ დამნაშავედ რომ ცნონ, მის მიერ მკვლელობის მართო მშრალი აღიარება არ კმარა — ეს გამოძიებითაც უნდა დადასტურდეს! ასეა მხატვრულ ლიტერატურაშიც: ავტორის მართო მშრალი თქმა არ კმარა — ნათქვამს მხატვრული ხორცმესხმაც სჭირდება! სხვანაირად მხატვრული ლიტერატურა, როგორც ასეთი, ვერ ისულდგმულებს, მოკვდება!!! თუ ნაწარმოების მხატვრული დონე საკმარისია, დავიჯერებ, რომ ვერთერმა მართლა მოიკლა თავი, მაგრამ თუ საჭირო მხატვრულობა არ ჭაჭანებს, მაშინ იმასაც კი ვერ ვირწმუნებ, რომ, მაგალითად, საქმეში ყელამდე ჩამხრჩვალნი დედის თხოვნით მისი თვრამეტიოდე წლის ვაჟიშვილი ლიფტმომშლილი კორპუსის მეშვიდე სართულიდან პურის საყიდლად ჩავიდა!

აქ მხოლოდ გამოუცდელი მკითხველი ამივარდება: შვილი დედას პურზე რომ ჩაეგზავნოს, რა არის მანდ დაუჯერებელიო! თავისთავად არაფერი: განა ყოველსაათობით მილიონობით ჭაბუკი არ გამოდის შინიდან პურის საყიდლად თუ სხვა რამ საო-

ჯახო წვრილმანი დავალების შესასრულებლად?! მაგრამ მხატვრულ ლიტერატურას თავისი წესი, ბუნება და საიდუმლოებანი გააჩნია. ჰოდა, გამოუცდელმა მწერალმა პურზე გაგზავნამდე იმ ყმანვილს შეიძლება ისეთი რამ ჩაადენინოს ან წამოაყრანტალებინოს, რომ დაკვირვებული მკითხველისთვის დღესავით ნათელი გახდეს: ეს ისეთი მუტრუკი ყოფილა, პურზე ჩავიდეს კი არა, მშობელ დედას გულს რომ ეყრებოდეს, შეიძლება წყალიც არ მიანოდოს! რას ვიზამთ, ასეთია მხატვრული ლიტერატურის კაპრიზები და სასწაულმოქმედება, მისი შექმნის ჯოჯოხეთური სიძნელე და ღვთაებრიობა! ჰოდა, ამ მოთხრობაში ხელოსნის მიერ გამოჩენილი მადლი არის არა შინაგანი და ბუნებრივი, არამედ გარედან ხელოვნურად მიკოსებული, მწერლის სანერ მაგიდაზე შეკონინებულ-შეპუდრული კარიკატურული სიკეთე!

გორულმა ნობათმა ჩაილურის წყალი რომ დალია, აგერ, რას წერს ავტორი:

„სხვა მის ადგილას გაბრაზდებოდა, ან მუშტს დაპკრავდა მაგიდას, ან წამოხტებოდა და მუქარით გავარდებოდა გარეთ, იმათ ვუჩვენებ სეირსაო“.

ვაჰ, პირდაპირ სუნთქვას შეგიყენებთ მწერლის ნაჯექუკუჯექობა!

კარგი, რაკი ავტორს ვერ გაუბედავს, მოდი, ექსპერიმენტისთვის ეს ხელოსანი ჩვენ თვითონ გამოვიყვანოთ გარეთ და ერთი დავინახოთ, ვის „იმათ“ აჩვენებს სეირს! ან კი ვის რა სეირი უნდა უჩვენოს, როცა ისიც კი არ იცის (თუ აღარ ახსოვს), ვის გამოატანა (თუ შეაჩერა) მთელი კვირის ნაოფლარი! ან ავტორს რაღა უფლება აქვს ამგვარი მსჯელობისა, როცა, აგერ, მოთხრობის დასასრულს მარჩიელობს რა ოჯახს დაბედებული ილბლიანობის მიზეზებზე, აი, რას წერს:

„ნეტავი რისი „ბრალია“ ეს?! იმ ხურჯინისა და ტიკისა ხომ არა, პაპამ დაუნანებლად რომ გაატანა მასზე გაჭირვებულ ადამიანებს?“

დიდება შენდა, ღმერთო! თუკი ხორაგი დაუნანებლად გაატანა სხვას, აბა, წელან მუქარით ვის უნდა გავარდნოდა გარეთ

სეირის საჩვენებლად — გიჟი ხომ არა არის?! ღამით მატარებელში შემთვრალმა, დილით ის ხორაგი მართლა შეგნებულად და თან „დაუნანებლად“ გაატანა სხვას, ახლა კი ოინბაზობს, თავისი მეუღლის რისხვა რომ არ დაიტეხოს? მაგრამ, ჯერ ერთი, მადლი რა დასამალია და თანაც ამ ღვთისნიერ დედაკაცს არაფერი ეტყობა ისეთი, რომ ჩანადენი სიკეთისთვის თანამეცხედრეს თავ-პირი ჩამოალადროს. მაგრამ დავუშვათ და ხელოსანი მართლაც თვალთმაქცობს — აბა, ეს საიდან ჩანს? მოკლედ, მებრალება ეს ხელოსანი მწერლის ხელში!

ანდა, ეს ვისი გულმავიწყობაა — პერსონაჟის თუ მწერლის: თუკი ხორაგი მართლა „დაუნანებლად“ გაატანა სხვას, მაშინ ეს როგორღა გავიგოთ, როცა სადგურიდან შინ მოსული ცარიელ-ტარიელი ხელოსანი „შუშაბანდში მდგარ მაგიდასთან დამჯდარა, გაჰკვირვებია მაგიდის სიცარიელე. ხორაგი არ მოიტანესო, უკითხავს ხელების ფშვნეტით და აქეთ-იქით მიუხედ-მოუხედავს“.

დალოცვილო, ხორაგი წელან „დაუნანებლად“ სხვისთვის გიფუქქაშებია, ახლა კიდევ გაკვირვებული კითხულობ: არაფერი მოუტანიათო?! სად არის ლოგიკა? ასე, ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო!

აგერ, ბოლოს კი რა ხდება! როცა გაირკვა, რომ ხორაგის იმედი აღარ უნდა ჰქონდეთ, ხელოსანი მაშინღა — დიახ, მხოლოდ მაშინღა! — იცინის და ჩათრევას ჩაყოლას ამჯობინებს: ალალი იყოსო! ეს კი უკვე შინაგანი, ბუნებრივი მადლი აღარ არის — მადლთან გარეგნული, იძულებით მიტმასნება გამოდის!!!

ზაალ სამადაშვილის, როგორც ამ მოთხრობის ავტორის ყველაზე დიდი, მიუტყევებელი შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ აქ თავისი მთავარი პერსონაჟის სიკეთეს — თუნდაც ამ ინკუბატორულ სიკეთეს! — სხვის დამცირებასა და გამოგონილ უზნეობაზე აფუძნებს: ხედავთ, პატიოსანმა ხელოსანმა ხორაგი შინ გაატანა, მათ კი უნამუსოდ შეიტყაპუნეს!

ასეთი უსამართლო ტრიუჟი კი მწერლური კოდექსით დაუშვებელია!

მოთხრობაში არც ის არის ნათელი — თუმცა აქ სხვა რაღა არის ნათელი?! — ამ ხელოსანმა ვის გამოატანა (თუ ხელმწიფუ-

რად აჩუქა) მთელი კვირის თავისი ნამუშევარი: მეკურტნეებს თუ სრულიად უცხო პირებს. თუ ისინი მართლა მეკურტნეები იყვნენ და სანოვაგე ასე უნამუსოდ შეუჭამეს, მაშინ მთელი მათი ფენა, სამსახური და ამქარი ისვრება ლაფით. მაშინდელ მეკურტნეებს თანამედროვე მებარგულის და თუ გნებავთ, ტაქსისტების ფუნქცია-მოვალეობა ეკისრებოდათ და მოსახლეობასთან მათ ურთიერთობას სახელმწიფო კანონმდებლობა ანესრიგებდა. ამიტომ ეს ხელოსანი თუ ამ მეკურტნეებს — და თანაც ნაცნობ მეკურტნეებს — აძლევდა დავალებას, მაშინ გასამრჯელოც უნდა გადაეხადა, ხოლო თუ მათთან რაიმე სიკეთე ჰქონდა დათესილი და მუქთად მოემსახურებოდნენ, თქმა იყო საჭირო. ხოლო თუ მართლა გულმონყალება ჰქონდა ჩაფიქრებული, მაშინ ასე ეჭვის აღმძვრელ-გამაოგნებლად თუ ჩერჩეტულად კი არ უნდა შეეტოვებინა სანოვაგე და მოტრიალებულიყო, არამედ სულ უმნიშვნელო რაღაცით მაინც მიენიშნებინა თავისი მადლმოსილი განზრახვა, რათა მეკურტნეებს თუ იმ ვიღაც სხვა პირებს ეს უნამუსო წაღლეტაში არ ჩათვლოდათ და ასე ცამონმენდილზე მსუქანი ლუკმის გაჩენას თავისებური ზნეობრივი გამართლება ჰქონოდა და გემოც ჩაეტანებინათ! მაგრამ არავითარი ამის მსგავსი რამ — მხოლოდ ბურუსი და გაურკვეველობა!

ავტორი თვითკმაყოფილებით ნეტარებს: პაპას მიერ ჯე-ელობაში ჩანადენი „სიკეთის შემდეგ ოჯახს სულ იღბლიანობა დაებედაო.“ კეთილი, ამას რაღა ჯობია! მაგრამ მის მიერ ასე ხელოვნური სიკეთის „მშენებლობისას“ ნამიერ-სქემატური ეფექტისთვის ხის ამოსაყენებლებივით უსულგულოდ ნახმარი მეკურტნეებისა თუ იმ უცხო პირების ოჯახებს განგება რაღას მოუვლენდა ხელოსნის განზილებისთვის, ამას უფიქრდება მწერალი?

მოკლედ, როგორც თარსი ბიჭუნა დისტანციური პულ-ტით უმონყალოდ აწვალებს თავის სათამაშო ავტომობილს და ცხვირს ხან სად მიახეთქებინებს ხოლმე, ხან — სად, ავტორიც ასე თავის ქეიფზე ექცევა მოთხრობის პერსონაჟებს. ეტყობა, აქეთობას გამომგზავრებული ეს ხელოსანიც ფოთის მატარებელში მეზღვაურებთან ერთად იმიტომ გამობრუნა, რომ მერე თავისი სქემის მიხედვით აჩერჩეტოს და თუ მოთხრობაში რამე

შეუსაბამობამ იჩინა თავი, სულ ღვინოს გადაბრალდეს. მაგრამ არა მგონია, დაკვირვებულ მკითხველს ერთმანეთში აერიოს ღვინო და მწერლური ნიჭი. ამასთან დაკავშირებით ბარემ ერთი პატარა დეტალიც. გორიდან ამილახვრების მიერ გამოცილებულ „პაპას მატარებელშიც გაუგრძელებია ქეიფი. მისი თანამგზავრები დედაქალაქში საშობაოდ გამომგზავრებული მეზღვაურები ყოფილან, ხმელეთსა და სასმელს დანატრებულები“.

აგაშენათ ღმერთმა! ახლა თქვენ დაასკვნით: ტიკში დარჩებოდალა რამე? ყოველ შემთხვევაში, მერე ავტორი რიხით რომ წერს — ქალაქში ჩამოსულ პაპას „თითით მოუხმია შორიახლოს ატუზული ორი კაცი, ერთისთვის ხურჯინი აუკიდებია, მეორესთვის ტიკი“-ო. ჯობდა, ბარემ ისიც ეუნყებინა, რა მდგომარეობაშილა იყო მოქეიფე პაპასა და „სასმელს დანატრებულ“ მეზღვაურებთან ღამეგამოვლილი ტიკი: ხელუხლებელი, ნაკლული, ჩანახევრებული, ჩაჩუტული თუ დასაკეცი და ილღიაში ამოსაჩრელი... თანაც ტიკი რუმბში არავის აერიოს!

თავისი მთავარი პერსონაჟის სქემატურად დახატულ მაღლს მკითხველის თვალში უფრო მეტი წონა რომ შესძინოს, ავტორი პირდაპირ ნემსის ყუნწში ძვრება, რათა ის ხორაგი მაინცდამაინც უფრო გაჭირვებულ ოჯახში მოახვედროს! ამიტომ აგერ, რას ათქმევენებს პაპას.

„ალალი იყოს, ვის ოჯახშიც ის პურ-მარილი შევიდა, ჩვენზე დალხენილები ხომ ნაღდად არ იქნებიანო“.

ხედავთ, ისევ სანყალი ხალხი გამოდის უპირო და უნამუსო — სწორედ მათ შეუტყაპუნებიათ ის ხორაგი! კი მაგრამ, მწერალმა ეს რა საბუთით ათქმევინა პაპას, თანაც ასე „ნაღდად?“. მით უმეტეს, რომ თვითონ დიდებამ ნაცნობი ვაჭრებისაგან წელან სულ ხელის კანკალით წამოიღო მცირე საშობაო სანოვაგე, ისიც ნისიად.

ბოლოს, ოჯახს დაბედებული იღბლიანობის მიზეზის ახსნისასაც ავტორი იმავეს გაიძახის. „პაპამ დაუნანებლად რომ გაატანა მათზე გაჭირვებულ ადამიანებს“-ო. აბა, მოთხრობაში ეს საიდან ჩანს? „თითით მოუხმია შორიახლოს ატუზული ორი

კაცი“. — ამბობს ავტორი. ეს არის და ეს — მათზე ამის მეტი არაფერი ვიცით.

შეიძლება ავტორი შემომედავოს: პაპა არ შეცდებოდა — გარეგნობა-გამომეტყველებითაც დარწმუნდებოდა მათ სისაწყლესიო. კეთილი, დავყაბულდები, მაგრამ ეს როგორღა გავიგოთ, როცა დიდდას „გამოუკითხავს, რითი დაბრუნდა ქალაქში, მკერდზე ნომრიანი ფირფიტები თუ ეკიდათ მეკურტნეებს და მისამართი თუ უთხრა სწორედ. პაპას ვერც ერთ კითხვაზე ვერ გაუცია პასუხი. ანდა, რა უნდა ეთქვა?“

ჭეშმარიტად! მოთხრობაში მოვლენები და დეტალები ისეთი გამაოგნებელი სქემატურობით არის ერთმანეთში აბურდულ-და-ბურდული, რომ მართლაც რაღა უნდა ეთქვას იმ საწყალმა პაპამ!

აქ ავტორის წინდაუხედაობა ყოველგვარ საზღვრებს სცილდება. დააკვირდით ციტატას: ხორაგი ვის გამოატანა (თუ აჩუქა) შეიძლება აღარ ხსომებოდა ხელოსანს, მაგრამ მწერალმა მატარებელში, იმ „ხმელეთსა და სასმელს დანატრებულ“ მეზღვაურებთან ისე უმოწყალოდ გამობრუქა, რომ ღვთისმოსავ მეუღლეს იმაზეც კი ველარ პასუხობს, ქალაქში რით ჩამოვიდა!!! ეს უკვე მეტისმეტი მოუვიდა ავტორს! ჰოდა, ამნაირ ყოფაში ჩავარდნილ კაცს თვალის ერთი შევლებით ასე „ნაღდად“ როგორ უნდა დაესკვნა — ვინ ვისზე უფრო გაჭირვებული იქნებოდა?! და მეორეც, გარეგნული ნიშნებით მოხდენილი პირველი და თანაც უცაბედი შთაბეჭდილება ხშირად მცდარი გამოდგება ხოლმე. თუნდაც დღევანდელი ავილოთ. რამდენ იხტიბარ-გაუტეხელ, დახვენილ ინტელიგენტს ვიცნობ, თავის შინაგან სულიერ სიფაქიზეს რომ არ ღალატობს და ჯერ კიდევ ბრეჟნევის ზეობისას ნაყიდ, საკმაოდ ჩამოცვეთილ შარვალ-კოსტუმ-ჟილეტსა და გაცრეცილ პერანგ-ჰალსტუხშიც კი ისე სუფთად და ელეგანტურად გამოიყურება, ვინ იცის, ვინ გეგონებათ! არადა, ამ დროს სილატაკისგან კუჭი უცხვება!!! ანდა, პირიქით: ხიდის თავსა და ბოლოს ფეხმორთხმულმა, ჩამოკონკილ-გაბურძგნილმა მათხოვრებმა შეიძლება ისე აგიჩუყონ გული, უკანასკნელი ხურდა მათ ჩამოურიგოთ — პურის ფული მაინც მოუგროვდეთ ამ საცოდავებსაო, საღამოთი კი შემთხვევით დუქნის ღია

სარკმლიდან მოჰკრათ თვალი და გახეტდეთ: ერთმანეთს ღვინის ჭიქებს უჭახუნებდნენ და სავსე შამფურებით ფარიკაობდნენ! ასე რომ...

ერთი სიტყვით, მოთხრობა მთლიანად სქემეტიზმის არმატურითაა შებოჭილი, რაც უწყალოდ უსპობს ყოველგვარ დამაჯერებლობას.

* * *

მეორე მოთხრობა „ქვემეხების ეპოქის გახსენება“, რომელსაც ჟურნალის ორი გვერდი უჭირავს, გულგრილს ვერ დატოვებს ნამდვილ მკითხველს, მეტადრე მწერალს, ვინაიდან მასში ლიტერატურული ჟურნალის დაბადებასა და მასთან დაკავშირებულ სიძნელეებზეა ლაპარაკი, თანაც ოცდაექვსთვიანი სამოქალაქო ომის შედეგებით გაუბედურებულ ქვეყანაში.

საოცრად თანაბარი, ბუნებრივი თხრობა საქმის ცოდნითა და მხატვრული დამაჯერებლობით მიმდინარეობს. თუმცა მე პირადად უსიამოდ მეჩოთირება, მწერალმა მოქმედება ესპანეთში რომ გადაიტანა, მაგრამ ეს მისი ხელშეუხებელი უფლებაა — აქ კარნახი და შენიშვნები სრული ლიტერატურული უმეცრება იქნებოდა! მწერალმა თავისი სათქმელის უფრო სრულყოფილად გამომზეურება ასე უფრო ხელსაყრელად მიიჩნია, მორჩა და გათავდა! მაგრამ მე ჩემი მაინც უნდა ვთქვა. მოქმედ პირთა გვარ-სახელები: პოეტი გილერმო როხასი, მამამისი ფერნანდო როხასი, გილერმოს მეუღლე ისიდორა, თვით მთავარი გმირი, პირველი პირით მოთხრობელი, ლიტერატორი ხენარო ვალდესი და წმინდა ესპანური ელემენტები: სასმელები „ესპრესო“ და „რიოხა“, კაფე „დელ მარი“ თუ ლიბერტადორესის მოედანი რაღაც ცუდ წინათგრძნობას აღმიძრავდნენ და მიუხედავად იმისა, მოთხრობაში უმაღლეს ვიპოვე ჩემთვის მისაღები საინტერესო, მიმზიდველი სამყარო, შიშნარევი დაძაბულობა მაინც არ მშორდებოდა.

სამწუხაროდ, ეს შიში მოთხრობის ბოლოს მაინც ამიხდა! აი, ერთგან რას წერს ავტორი.

„თაროზე ლითონის ჩარჩოში ჩასმული ფოტო იყო მიყუდებული. ფოტოდან დონ ფერნანდო დამცქეროდა.

ის აივანზე იდგა ორმოცდაათიანი წლების ლეგენდარულ მატადორ ლუის დომენგინთან და მის მეუღლესთან, ნეორეალისტური კინოს ვარსკვლავ ლუჩია ბოზესთან ერთად. პამპლონაში იყვნენ გადაღებულნი, ფიესტის დროს.

სრულიად ახალგაზრდამ პამპლონაში რომ ამოეყავი თავი, დონ ფერნანდოს დამსახურება გახლდათ".

უჰ, შენი გულია, რალა! მორჩა, ამ მოთხრობის უკვდავებას წინ რალა დაუდგება, რაკი მწერალმა გულდაგულ ახსენა ლეგენდარული მატადორი ლუის დომენგინი, კინოვარსკვლავი ლუჩია ბოზე, პამპლონა, ფიესტა!!! ბარემ ერნესტ ჰემინგუეის რომანიდან „აღმოსდების მზე“ რომელიმე ეფექტური პასაჟიც ჩაერთო, რომელიც მის მოთხრობას ისე მოუხდებოდა და გაამყარებდა, როგორც მეცნიერული კომუნიზმის თემაზე შეხანხლულ მდარე საკანდიდატო დისერტაციას მარქსის ფრთიანი ციტატა!!!

რა გამოვიდა? მე მშიერი და უმწეო, უპატრონო ლეკვივით მოვკალათდი ზაალ სამადაშვილის მშვენივრად დანყებულ მოთხრობაში, რადგან უცებ ვიგრძენ საამო სითბოსა და მოახლოებული ლუკმაპურის სუნი, მან კი რა მოიმოქმედა? დამავლო ხელი და თავისი პატარა მოთხრობიდან უცებ ერნესტ ჰემინგუეის ლიტერატურულ სამყაროში გადამისროლა!!!

პატივცემულო მკითხველებო, მაშ, დროებით მოთხრობის ამ ადგილას შევჩერდეთ და მოვიცადოთ, რამეთუ პამპლონადან მომავალ მეორე ქართველი მწერლის პერსონაჟებსაც შევხვდებით! მოკლედ, თანამედროვე ყველა ლიტერატურული გზა პამპლონაში მიდის! აბა, სხვანაირად როგორ: მატადორი, კორიდა, ფიესტა, ჰემინგუეი!...

* * *

სამწუხაროდ, ერნესტ ჰემინგუეისადმი ბრმა თაყვანისცემა-ეპიგონურმა ნამბაძველობამ პირდაპირ პათოლოგიური ხასიათი მიიღო ქართველ მწერალთა გარკვეულ ნაწილში. ბევრ მათგანს გული არ უძლებს, ამ დიდი მწერლის ლიტერატურულ სამყაროს არ ნაეფხანოს და მის შემოქმედებას რამე არ ნაატეხოს ტურ-

ისტული სუვენირივით, რათა მერე თავიანთ უღიმღამო ტექსტს მიაკოსონ მაცდური იმედით — ჰემინგუეისეული ამულეტი მათ ნანარმოებსაც გაიყვანს ლიტერატურულ ორბიტაზე!

მოკლედ, აღარ იციან რითი მიზაძონ და რაში გამოემსგავსონ ამ მწერალს. აი, თუგინდ ერთი მეტად დამახასიათებელი მაგალითი. 1990 წელს უურნალ „ცისკრის“ მე-3 ნომერში დაიბეჭდა მწერალ ირაკლი კაკაბაძის ტრილოგია „იქ, სადაც ძალიან ცხელა“. ნანარმოების მთავარი პერსონაჟია პირველი პირით მოლაპარაკე ახალგაზრდა მწერალი, ზუკა, რომელიც სიტყვასიტყვით აი, რას წერს თავის თავზე.

„დედაჩემი მსაყვედურობს, სუფთა ქართულით არ ლაპარაკობო. ვცდილობ, მაგრამ მაინც არ გამომდის“.

ჰოდა, ეს ზუკა ნანარმოების ერთ უღიმღამო პერსონაჟს, ვილაც ქალს აი, რას ეუბნება: „შენ ჩვენი გერტრუდა სტაინი ხარ!“

ოოო, ჩვენ ბოდიში! ის ვილაც ქალი თუ გერტრუდა სტაინია, მაშინ ესენი, ზუკა და ძმანი მისნი, ვილა იქნებიან? ცხადია, ვინ: ქართველი, უფრო სწორად, თბილისელი ან თუგინდ ვაკელი ან ვერელი ჰემინგუეები! მაგრამ, მოდი, შევეშვათ ილუზიებსა და ჰემინგუეობანას: არ არის და არც შეიძლება იყოს ჩინელი ჰემინგუეი, ლიხტენშტეინელი ჰემინგუეი, ნორვეგიელი ჰემინგუეი, ბანგლადეშელი ჰემინგუეი, სასომხეთელი ჰემინგუეი, სენეგალელი ჰემინგუეი... მით უმეტეს, ლოტკინელი ჰემინგუეი, პლემბანოველი ჰემინგუეი, ავლაბრელი ჰემინგუეი, ზემომარხაანელი ჰემინგუეი, ქვემომარხაანელი ჰემინგუეი, გურჯაანელი ჰემინგუეი, ხობელი ჰემინგუეი და ა. შ. იგი მხოლოდ ერთადერთია და ასეთივე დარჩება — ამერიკელი მწერალი ერნესტ მილერ ჰემინგუეი (21. VII.1899, ოუკ-პარკი, ჩიკაგოს მახლობლად, — 2.VII.1961, კეჩემი, აიდაჰო). მაგრამ ეს ზოგს ვერ შეუგნია, ან არ სურს შეიგნოს და თავის უღიმღამო პერსონაჟებს ჰემინგუეისეულ ლიტერატურულ სამყაროში ისე ჩვეულებრივ შელალავს ხოლმე, როგორც თბილისის რომელიმე გარეუბნის იაფფასიან ლუღბანაში.

საყოველთაოდ ცნობილია, მსოფლიო მასშტაბის უცხო მწერლის გამოჩენა რა სასარგებლო გავლენას მოახდენს ხოლმე

ნებისმიერი ქვეყნის მწერლობაზე, მკითხველ საზოგადოებაზე. ცხადია, ამ მხრივ არც ამერიკელი მწერალი ერნესტ ჰემინგუეი აღმოჩნდა გამონაკლისი. მეოცე საუკუნის ვერც ერთ სხვა უცხოელ მწერალს ვერ დავასახელებთ, რომელსაც ჰემინგუეის მსგავსი ზეგავლენა მოეხდინოს ქართველ მწერლებზე, მეტადრე კი ახალგაზრდა კალმოსნებზე და ნორჩ დებიუტანტებზე. უფრო მეტიც, შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ათასნაირი ლეგენდებით შემკულმა მისმა ბიოგრაფიამ და შემოქმედებამ ერთგვარი საზიანო შაბლონიც კი დაასვა ჩვენს მწერლობას. რაში გამოიხატება ეს? ბევრი ახალბედა მწერალი და თქვენ წარმოიდგინეთ, თვით ისეთებიც კი, საერთოდ, ფიქრადაც რომ არ მოსდიოდათ კალმისთვის ხელის ხლება, მეოცე საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი მწერლის სადა, დახვენილმა, ე. წ. დეპეშურმა სტილმა ბავშვურად ნაიცდინა და მტკიცედ დაარწმუნა მწერლად — თანაც დიდ მწერლად! — გახდომის სიადვილეში!

ჰემინგუეის სტილის თავისებურმა სისადავემ მოურჯულებელ ეპიგონებს შეუქმნა მისი ადვილად მიღწევის ილუზია, მაგრამ მათ ვერ იგრძნეს ამ გარეგნულ სისადავეს რა აისბერგული მასშტაბები, სიმძიმე, დატვირთვა, განშტოებები და მინიშნებები ახლავს, ვერ მიხვდნენ — ანდა, როდის იყო, ეპიგონები რამეს ხვდებოდნენ! — ერთი შეხედვით ყველასათვის ადვილად ხელმისაწვდომი სტილი რა იშვიათი ტალანტის, ჯოჯოხეთური ძიების და თავისებური სააზროვნო მანერის გამომუშავების ფასად იყო მიღწეული.

სავალალო შედეგსაც არ დაუგვიანია: ჰემინგუეისეული წერის სტილი თხელი ყინული აღმოჩნდა, რომელმაც ვერ გაუძლო ეპიგონთა მწერლური შესაძლებლობის სიტლანქეს და მალე ქართული ლიტერატურის ტბა ისე გაივსო ყინულჩატიხილი, შესაბრალისად მოფართხალე ცრუკალმოსნებით, რომ მაშველებისტვისაც კი აღარ დარჩა ადგილი!!!

ჰემინგუეის მაცდურ-მიმზიდველ სტილს ბევრი უმეცარი ჯეილის წარმოდგენაში დაემატა მეორე, არანაკლებ სახიფათო სატყუარა — კაფე-ბარი! ჰოდა, ბევრმა მწერალმა და მეოცნებე დებიუტანტმა დოყლაპიურად ირწმუნა — საკმარისია, ზერეღედ რალაც მიბლანდ-მობლანდოს, თავისი სქემატური ტიპები კაფე-

კაფე აყიალოს, ჩაცვიებული ლუდი ბლომად აყლურწვინოს და მორჩა — თვითონაც ჰემინგუეის რანგის მწერალი გახდება!

სამწუხაროდ, მდარე ლიტერატურული გემოვნების ეპიგონები ვერც იმას ჩახვდნენ, რომ ჰემინგუეის, როგორც მწერლის, ისე მისი გმირებისთვის კაფე-ბარი არც მიზანია, არც თვითმიზანი. ნამდვილმა მკითხველმა და, მით უმეტეს, მწერლობაზე მეოცნებემ კაფედან კაფეში, ბარიდან ბარში მოსიარულე დიდი მწერლის პერსონაჟებში უნდა დაინახოს არა რალაც პოზა და დროს ტარების ფუქსავატური მიდრეკილება, არამედ დასავლური ცივილიზაციისგან მტკივნეულად დალდაკრული ადამიანების ხვედრი, მათში მომხდარი და მიმდინარე რთული სულიერი კატაკლიზმები, რასაც ასე შესანიშნავად გვიხატავს დიდი მწერალი.

ჰემინგუეის ჩვენებურმა პედანტ-მიმბაძველებმა ვერც ის აღმოაჩინეს, რომ ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში მცხოვრები პიროვნების მხატვრული ხორცშესხმა დასავლურ, ამ შემთხვევაში ჰემინგუეისეულ შაბლონს არ მიიყენებდა, ჰემინგუეისებურ სტილზე თავიანთ უსისხლხორცო პერსონაჟთა კაფე-კაფე თვითმიზნური ყიალი და სასმელებით მანერული ბრუყვა საქმეს ვერ უშველიდა და საბოლოოდ სამაკულატურე კარიკატურა შეგვრჩებოდა.

ნათქვამის უფრო ნათელსაყოფად, მოდი, ასეთი ჰიპოთეზა განვიხილოთ. როგორც თვით ერნესტ ჰემინგუეის გამოუჩნდა ჩვენში ამდენი ბრმა მიმბაძველი, ხომ შეიძლება პირიქითაც მომხდარიყო: რომელიმე ან რამდენიმე საბჭოთა მწერალს კიდევ დასავლელი დამწყები კალმოსანი მოეხიბლა. და, აბა, წარმოიდგინეთ, მაგალითად, ლონდონელ დებიუტანტ ყმანვილს თავის ნანარმოებში დიდი ბრიტანეთის ყოფა-ცხოვრება მიხეილ შოლოხოვის ან ალექსანდრე სოლჟენიცინის რომანებში ასახული გაუგონარი სისასტიკისა და ადამიანური უუფლებობისათვის ბრმად მიესადაგებინა, თავისი ინგლისელი პერსონაჟები ამ რუსი მწერლების გმირების შინაგანი თუ გარეგანი ნაბაძულობით ემოქმედებინა.

ნუთუ ჰემინგუეის რომელიმე ყველაზე ფანატიკური ქართველი თავყვანისმცემელი ერთი ნუთით მაინც იფიქრებს, რომ მსგავს ლიტერატურულ ეპიგონობას დიდი ბრიტანეთის საზოგად-

დოება მიიღებდა ან მოითმენდა? ჰმ! ის კი არა, მათ თავის დროზე თვით შოლოხოვს მოურიდებლად უსაყვედურეს თავის რომანში „წყნარი დონი“ ფერების ზედმეტი გამუქება და სისასტიკის პროპაგანდაში დასდეს ბრალი. საქმე იქამდე მივიდა, რომ 1934 წელს მიხეილ შოლოხოვმა წერილობით მიმართა ბრიტანელ საზოგადოებას. აი, ერთი ადგილი ამ მიმართვიდან.

„В заключение мне хочется сказать следующее: в отзывах английской прессы я часто слышу упрек в «жестокости» показе действительности. Некоторые критики говорили и вообще о «жестокости русских нравов».

Что касается первого, то, принимая этот упрек, я думаю, что плох был бы тот писатель, который прикрашивал бы действительность в прямой ущерб правде и шадил бы чувствительность читателя из ложного желания приспособиться к нему...

А жестокость русских нравов едва ли превосходит жестокость нравов любой другой нации...”

მართალია, ჰემინგუეისა და მის ქართველ წამბაძველთა შემთხვევაში ადგილი არა აქვს რაიმე სისასტიკის გადამღერებას, მაგრამ მხატვრული ლიტერატურისთვის რა ბედენაა, ეპიგონთა მიერ ჩადენილი სიყალბე რით გამოიხატება: უდანაშაულო კაზაკის გაუსამართლებლად აჩეხვით თუ უფერხორცო პერსონაჟების კაფეში თვითმიზნური სხდომით და მათი უსაგნო, გულშესაღონებელი ლაყაფით.

ცხადია, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ქართველ მწერალს საერთოდ, უფლება არ ჰქონდეს, თავისი გმირები კაფე-რესტორანში შეიყვანოს. რამდენიც უნდა, როცა უნდა — ღვთის გულისათვის! მაგრამ ერთია, როცა ნიჭითცხებული ქართველი მწერალი თავის პერსონაჟებს მთელი ბუნებრიობითა და დამაჯერებლობით ამყოფებს კაფე-რესტორანში და სულ სხვაა, როცა ეპიგონი თვალშისაცემად საცნაური წმინდა წყლის ჰემინგუისეულ მხატვრულ სახესა თუ ელემენტს ისე ჩასვამს ხოლმე თავის უღიმღამო ნაწარმოებში, როგორც უხეიროდ მოხელილ საფუნთუმე ცომის გუნდაში ჩამიჩის მარცვალს!

ზაალ სამადშვილის მოთხრობების მიმოხილვას ვამთავრებ ჟურნალის პირველ ნომერში გამოქვეყნებული მისი მინიატურით, რომელშიც სეისმოგრაფიული სიზუსტით არის დაჭერილი ჩვენი დღევანდელი საზოგადოების მტკივნეული ფსიქიკა. აი, ის მინიატურა.

ვეტირანი

დილაადრიან, რძის რიგში, ახალგაზრდა კაცი, რა კაცი, ბიჭი — გამოუძინებელი, თამააბურძგნული (უნდა იყოს თამააბურძგნილი. ჯ.მ.), შემცივნებული — მაღალ, ხმელ-ხმელ ბერიკაცს, მეორე მსოფლიო ომში მიღებული მედალი თუ ორდენი რომ მოუჩანს გაქუცული, კალთებშემოდონდილი პალტოს ქვეშ და ცარიელი, საგულდაგულოდ გამორეცხილი ბოთლების ჩაბარებას ლამობს ურიგოდ — ხმამაღლა, ყველას გასაგონად უბნება:

— აღარ მორჩა თქვენი „ბაირამი“?!

მეც ამ ყაიდის სტილითა და პათოსით მსურს შევეკითხო „ლიტერატურული პალიტრის“ მესვეურებს:

— ჟურნალში სულ თქვენ მიერ ამოჩემებული რამდენიმე მწერლის ბაირამი უნდა იდგეს?!

ზოგიერთი მათგანი უკვე 4-5-ჯერ გამოქვეყნდა. თუკი რედაქციას მართლა სურს წარმოგვიჩინოს საქართველოში „დღეს მიმდინარე ლიტერატურული პროცესები“, როგორც ამას მთავარი რედაქტორის წინათქმა ღალადებს, მაშინ რა დაშავდებოდა, მათ მაგიერ თუგინდ თითო-თითოჯერ სხვა მწერლებიც რომ გამოჩენილიყვნენ — თანამედროვე ქართული ლიტერატურის სპექტრი და პალიტრა უფრო მრავალფეროვანი არ იქნებოდა?! ხოლო თუ ეს ჟურნალი მართლა რომელიმე ჯგუფისა და რამდენიმე კალმოსნის ბამბის საჩხრიალებლად დაარსდა, მაშინ ვინ ატანდა ძალას, რაღა საჭირო იყო პირველ ნომერში გამოქვეყნებული მთავარი რედაქტორის, თამარ მამაცაშვილის ასეთი მაღალფარ-

დოვანი წინათქმა, რომელიც მთლიანად, განსაკუთრებით კი ზოგიერთი ადგილი დღეს უკვე დემაგოგიასავით უღერს: „ჩვენი კარი ღია იქნება ყველა თაობის, ყველა მიმდინარეობის წარმომადგენლისათვის“.

აბა, ეს რაზე ეტყობა უურნალს? პირიქით, რამდენიმე ამოჩემებული პროზაიკოსის მდარე-მდარე ტექსტები იბეჭდება და იბეჭდება გასაკვირი შეუპოვრობით და მოურიდებლობით!... თუმცა ჩემისთანა პატარა კაცის ნათქვამს რა სათვალავში ჩააგდებს „ლიტერატურული პალიტრის“ რედაქცია, როცა ისეთ დიდ მწერალსაც კი, როგორც გურამ გეგეშიძეა, ისე მოექცა, როგორც... მაგრამ მე დასკვნის გამოტანისაგან თავს შევიკავებ — დაე, თავად მკითხველმა განსაჯოს.

უურნალის პირველი ნომერი მთავარი რედაქტორის წინათქმის შემდეგ იხსნება მწერალ გურამ გეგეშიძის წერილით „ლიტერატურა კაცობრიობის ისტორიაც არის“.

უურნალი გამოვიდა 2004 წლის ოქტომბერში, მწერლის ხსნებული წერილი კი 2004 წლის 31 აგვისტოთია დათარიღებული.

გურამ გეგეშიძის ეს წერილი, უურნალის გვერდნახევარიც რომ ძლივს იქნება, ნამდვილი შედეგურია. მასში გასაოცარი ტევადობითა და ლაკონურობით არის ჩამოყალიბებული ჭეშმარიტი ლიტერატურის რაობა და მისი დანიშნულება. უნაკლოდაა მოხაზული რედაქციის სამოქმედო პროგრამა, მისი მიზნები და ამოცანები. თუმცა, არ დავმაღავ, გამაოცა წერილის ბოლო აბზაცის დასაწყისმა.

„სასურველია, თქვენი უურნალი გამოხატავდეს არა რომელიმე ჯგუფის ინტერესებს, — რაც, სამწუხაროდ, ხშირად ხდება ჩვენში, — არამედ ემსახურებოდეს საქართველოში მიმდინარე ზოგადი ლიტერატურული პროცესის ობიექტურ ასახვას“.

ეს რომ წავიკითხე, მთავარი რედაქტორის წინათქმით მოხიბლულ-მოსყიდული, გაკვივრდი. ჯერ ერთი, უურნალს რაში ეტყობა ჯგუფური ინტერესები და თუგინდ ეტყობოდეს კიდევ, მწერალს ორი თვით ადრე ეს რანაირად უნდა ეგრძნო-მეთქი და გულში ჩამეცინა — სწორედ ამაზეა ნათქვამი: ჯერ ბავშვი

არ დაბადებულიყო და უკვე აბრამს არქმევდნენო! მაგრამ როგორცა ჩანს, გურამ გეგეშიძე მაშინვე გუმანობდა, მავანნი რანაირი აბრამის ჩასახვითაც იყვნენ გართულნი, გული უგრძობდა, როგორი აბრამიც უნდა დაბადებულიყო და რედაქციასაც ასე ტაქტიანად იმიტომ აფრთხილებდა!

რედაქცია? რედაქცია, როგორ მოექცა მწერალს?

როგორ და, აი, როგორ: რედაქციამ გურამ გეგეშიძე ახალდაბადებულ ლიტერატურულ ჟურნალს დიდი ამბით მისალმა, მკითხველთა მისამხრობლად გზა დაალოცვინა, სარეკლამოდ ხარბად გამოიყენა მწერლის ნიჭი, ავტორიტეტი და საქვეყნოდ ცნობილი კრისტალური პატიოსნება, ხოლო უმთავრესი, მწერლის მიერ გამოთქმული გაფრთხილება — ჟურნალი ერთი რომელიმე ჯგუფის ინტერესების გამომხატველი არ ყოფილიყო, ერთ ყურში შეუშვა, მეორედან გაუშვა!!! უფრო მეტიც: მწერლის ჰუმანური, პროგრესული წერილის პათოსით შეშინებულმა — ჩვენთვის არასასურველმა მწერლებმაც არ მოგვიტანონ მასალეობიო, ჟურნალის მეორე ნომერშივე მავთულხლართიან შლაგბაუმივით სასწარაფოდ გაახარინეს დისკრიმინაციული გაფრთხილება „იბეჭდება მხოლოდ შეკვეთილი მასალები!“

არ ვიცი, ამას საჯაროდაც განაცხადებენ თუ არა, მაგრამ ჩემთან კამათისას მთავარმა რედაქტორმა, თამარ მამაცაშვილმა და მთავარი რედაქტორის მოადგილემ, მანანა ჯანელიძემ გადაჭრით განმარტეს: ეს კერძო ჟურნალია და ვისაც ჩვენ მოვისურვებთ, მხოლოდ მათ დავბეჭდავთ!

დაე, საზოგადოებამ და ქართველმა მწერლობამ თავად განსაჯოს, ასეთი განცხადება რამდენად სამართლიანია ან ზნეობრივი, თანაც მთავარი რედაქტორის ასეთი წინათქმის შემდეგ! ოღონდ მე ჩემი მხრივ ერთს მაინც შევნიშნავ: ჟურნალი თუ კერძო პირებისაა, ლიტერატურული ღირებულებები და ენა კიდევ ხალხის კუთვნილებაა. ამიტომ ნებისმიერ გულშემატკივარს და, მით უმეტეს, მწერალს, უფლებას ვერვინ წაართმევს, დაიცვას ეს სინმინდეები.

ეს ნიგნიც ამის დასტურია.



ყურნალის პირველივე ნომერშია დაბეჭდილი მწერალ ბესო ხვედელიძის სამფურცლიანი მოთხრობა, რომელსაც წინ უძღვის გვერდნახევრიანი ინტერვიუ ავტორთან.

ინტერვიუს ფორმის ორიგინალობაზე საგანგებოდ მიგვითითებენ — „ინტერვიუ შეკითხვების გარეშე“. აქ ტრადიციული შეკითხვის მაგიერ ზის მხოლოდ კითხვის ნიშანი, ხოლო აბსოლუტურ თავისუფლებამინიჭებული ავტორის პასუხებიდან მკითხველი თავად უნდა მიხვდეს შეკითხვების შინაარსს. ბოლოს, მკითხველმა რომ გაიგოს, ავტორთან ვის ჰქონდა ურთიერთობა, აქაც თავისებური ხერხია მოგონილი — „ალაპარაკა მიხო მოსულიშვილმა“.

პირდაპირ უნდა ითქვას, მწერალი მიხო მოსულიშვილი, რომელიც ამ რედაქციაში ამავე დროს მონვეულ რედაქტორადაც ითვლება, ძალიან უხეიროდ, ყურადღებამოდუნებული ალაპარაკებს თავის ნებაზე მიშვებულ ავტორს და ეს უკანასკნელიც თითქმის ყველაფერზე რაღაც ზერელე, აგდებული კილოთი მსჯელობს.

ერთ-ერთ პასუხში ბესო ხვედელიძე თავის მკითხველებს ანგარიშს აბარებს — რა შექმნა ერთი წლის განმავლობაში. „ერთი მოთხრობების კრებული, ერთი კინოპოემა და ერთი „რომანჩიკი“ გამოვიდა“. — ამბობს იგი.

რას ჰქვია „რომანჩიკი?“ არ მესმის, ავტორი მკითხველებს რა უფლებით ელაპარაკება რუსული „ЧИК“-ებით? ნუთუ არ შეიძლებოდა თქმულიყო „პატარა რომანი?“

იმავე პასუხში აი, რა გვახარა ავტორმა.

„ცოტალა უკლია დასრულებამდე ჩემი და მაკა მიქელაძის ერთობლივ გიჟურ რომანს“.

რა გიჟურ რომანზეა ლაპარაკი? ეს რა, ბესო ხვედელიძემ რამე ახალ ჟანრს დაუდო სათავე თუ რა არის?! თქვენ ჭკვიანური, ნიჭითაცხებული, მაღალმხატვრული, ძარღვიანი ენით დანერილი, უნაკლოდ შეკრული თუ ცოცხალი პერსონაჟებით სავსე რომანები მითხარით, თორემ გიჟური, ცეტური, მდარე, სიტყვამწირი, ეპიგონური, გრაფომანული რომანების მეტი რა

იქნება დღევანდელ საქართველოში! ამგვარ რომან-მაკულატურას უკვე ვეღარ იტყვენ მკვდრადშობილ ტექსტებისთვის განკუთვნილი ლიტერატურული მორგების ჭერამდე გამოჭედილი თაროები და წიგნის მალაზიათა ხალვათი სანყოფები!!!

თანაც ძალიან საინტერესოა, თვით ქალბატონი მაკა მიქელაძე ყაბულს იქნება, ასე საქვეყნოდ რალაც გიჟური რომანის თანაავტორად რომ გამოაცხადეს?

მწერალი თავის შემოქმედებით გეგმებზეც გულახდილობს.

„დანყებული მაქვს ასევე მუშაობა რომანებზე — „ნითელი და დანიწკლული სოკოები“, „თევზის ხე“, „უზარმაზარი ბაზარი“, „მკვდრების ქალაქი“. ადრე თუ გვიან, მათაც მოვუღებ ბოლოს“.

პირდაპირ გასაკვირია — ავტორს არაფერზე არ შეუძლია დალაგებული მსჯელობა! რას ნიშნავს ბოლოს მოუღებს? „მოსპობს, გაანადგურებს“. — გვეუბნება ლექსიკონი. მაშასადამე, ავტორმა წესითა და რიგით, ჩაფიქრებულ რომანებს ბოლო კი არ უნდა მოუღოს, არამედ პირიქით, დაწეროს, სული შთაბეროს, გაასრულოს, დაასრულოს.

ჭემმარიტი შემოქმედნი თავიანთ ნაწარმოებს ბოლოს მაშინ უღებენ ხოლმე, როცა ისინი არსებობის ღირსად აღარ მიაჩნიათ! ჰოდა, თუ ავტორსაც მაინცდამაინც ასე სურს მოქცევა, ანდა გული უგრძნობს, რომ ამის გაკეთება არ ასცდება, მაშინ ჯერ უნდა დაწეროს ეს დასახელებული რომანები, თორემ ბუნებაში არარსებულ რომანებს როგორ უნდა მოუღოს ბოლო? ხოლო თუ აქედანვე გრძნობს, რომ მერე ყველა მათგანი ბოლომოღების ე. ი. მოსპობა-განადგურების ღირსი იქნება, მაშინ რალაზე წვალობს — ჯობია არ დაწეროს და ყველა მათგანი ბოლომოღებული არ იქნება?!

აი, მეორე პასუხის დასაწყისი.

„ხშირად მეკითხებიან — როგორ წერ? კარგად, გმადლობ — ვპასუხობ“.

ეს რომ წავიკითხე, სირცხვილით დავინვი — თითქო მეც მიმეღოს მონაწილეობა ამგვარ წამოძახილში. არ მესმის, მსგავ-

სი რამ როგორ უნდა განაცხადო საქვეყნოდ, როცა მსოფლიოში სახელმძღვანელო მწერლებიც კი წერის ჯოჯოხეთურობაზე გოდებდნენ და სულ ამას ჩიოდნენ — ძნელად ვმუშაობთო!

რომელიმე ჩვენთაგანმა ამგვარი რამე მარტო ვაჟა-ფშაველას ხატრით მაინც არ უნდა წამოიჭიკჭიკოს! ვაჟა-ფშაველა, ტვირთ-მორეულ, ყელში აპეურნაჭერილ ხარივით რომ დაცემულა მუხლებზე და ილაჯგანყვეტილი შეჰბლავის მამაზეციერს, მუზას, მკითხველს, თავის „უძვირფასეს პაპას“, დავით გურამიშვილს.

პოეტად ვიხსენიები,
თუმცა ხარი ვარ ლაბაო;
ჩემისთანები ბაგებზე
ასი, ათასი აბაო.
ამგვარი საქმლის კეთებას
დიდი სდომნია ჯაფაო.

ბესო ხვედელიძე კი... არ ვიცი, არ ვიცი, ღმერთმა ყველას ხელი მოუშარტოს!

მწერალი სულ საათობრივ გვიმხელს რა თავის საყოფაცხოვრებო და შემოქმედებითი მუშაობის დღის რეჟიმს, ერთგან გვეუბნება.

„სადღაც ორისთვის იწყება სამუშაო, დღის მეორე ტაიმი. ისევ კალამ-ფურცელი (ან კომპიუტერი) — გადავლ-გადმოვლა ნაწერებზე და ასე საღამომდე“.

როგორც ხედავთ, მწერალს არ შეუძლია, გამართული ქართულითა და საკადრისი კილოთი ელაპარაკოს მკითხველებს თავის ღვიძლ საქმიანობაზე.

რას ნიშნავს გადავლა? ლექსიკონი ნათელია: „რამეზე გადავლა, ზედ გავლა; რისამე გადალახვა“.

ჰოდა, სად რამეზე გადავლ-გადმოვლა და სად ხელნაწერების თვალის გადავლება, გადაკეთება, გადმოკეთება, კირკიტი, ჩასწორება, დახვეწა...

ეტყობა, ეს ასფალტსატკეცივით თუ ტანკისებური გადავლ-გადმოვლა მწერლის სტიქიაა! რა გაენყობა, თუკი ასე სურს და ეხერხება, რამდენჯერაც უნდა, დაე, იმდენჯერ გადაუაროს თა-

ვის ნაწერებს — ეს მისი პირადი საქმეა და ვერვინ დაუშლის, მაგრამ ამათ მაინც რაღას ერჩის. მოუსმინეთ:

„ამ ყველაფრის თანმდევი, რაღა თქმა უნდა, კითხვა... განსაკუთრებით მიყვარს უკვე ნაკითხულის თავიდან გადაკითხვა, ნელს მარტო კიდევ ერთხელ გადავუარე — ლამის მთელ ბორხესს, ჩეხოვის პიესებს, დოსტოევსკის „დანაშაულს და სასჯელს“, პავლიჩის „ლექსიკონს“ და „ჩაის“, პელეენის, კენ კიზს, ჰენრი მილერს, დოჩანაშვილის სამოსელს, დოქტოროუს, რეი ბრედბერის, ბულგაკოვის „ოსტატს და მარგარიტას“.

ხედავთ, მკითხველო, ჩვენს ავტორს რამდენი მწერლისა და ნაწარმოებისთვის გადაუვლია?! ფანტასტიკური შედეგია — ამგვარი გადავლა ვერმახტის სახელგანთქმულ მძიმე, 68 ტონიან ტანკს, „სამეფო ვეფხვსაც“ კი გაუჭირდებოდა!!!

მწერალი არც თავისი შრომის ნაყოფიერებას ასაიდუმლოებს.

„ამ რეჟიმით მუშაობას მოაქვს ის, რომ თვეში ორისამი (საუკეთესო შემთხვევაში, ოთხი-ხუთი) მოთხრობა კვარახჭინდება“.

ღმერთო, რას არ იტანს ქალაღდი და უბედური კაცის ყური! პროფესიული თვალსაზრისით შეუძლებელია მწერალს უფრო მეტი შეურაცხყოფა მიაყენო, ვიდრე „მომკვარახჭინებლის“ დამლა მიაწებო! ჯერ ერთი, არ არის და არც შეიძლება იყოს სიტყვა „კვარახჭინდება“. მეორეც, რას ნიშნავს მოკვარახჭინება? აი, ლექსიკონის პასუხი: „მოხერხებით, ეშმაკობით მოგვარება (რისამე საქმისა)“.

აქამდე მეგონა, რომ ჭეშმარიტი მწერალი შემოქმედი, მუზასთან წილნაყარი გამორჩეული ადამიანი იყო და მკითხველის თვალში სწორედ ეს აუზენაესებდა მის პიროვნებას და მძიმე, მაგრამ საპატიო პროფესიას. ახლა კი ბესო ხვედელიძისაგან შევიტყვე, რომ მწერალი ტანჯული შემოქმედი კი არა, არამედ რისამე საქმის — ამ შემთხვევაში მოთხრობების — ეშმაკობით მომკვარახჭინებელი ანუ თაღლითი, შულერი, ყალთაბანდი, მა-

ტყუარა ყოფილა!!! ჰა, მე თუგინდ ენაზე კბილს დავიჭერ და კრინტს ჩავინყვეტ, მაგრამ აზრის მდინარების შეჩერებასაც ხომ ვერ შევძლებ — „ის მაინც ბრუნავს“ და განაგრძობს წანაკითხიდან დასკვნის გამოტანას: კალმოსანი რაოდენ შორს უნდა იდგეს ნამდვილი მწერლური შემოქმედების იდუმალებისგან, რომ მხატვრული ნაწარმოების შექმნის ჯადოსნური პროცესი რალაციის მოკვარახჭინებამდე ჩამოაქვეითოს! თანაც არ მესმის, თუკი ავტორი თვითონვე გრძნობს, რომ თავისი მოთხრობები მხოლოდ „კვარახჭინდება“ და მეტი არაფერი, მაშინ ამგვარ „მოკვარახჭინებულ“ მოთხრობებს რა პირითლა სთავაზობს მკითხველს?

„ამ ბოლო ხანებში პიესებისკენაც გამექცა ხელი, — აღიარებს მწერალი, — თითქმის დავასრულე ვაჟა-ფშაველას „გველისმჭამელის“ (უნდა იყოს „გველის მჭამელის“. ჯ.მ.) გადმოაქეთურება (დროში)“.

სხვა გზა აღარ დამრჩენია: უნდა გამოვაფხიზლო თვლემამორეული მიხრო მოსულიშვილი და ვკითხო — მონვეულ ავტორს ასე აგდებულად რა უფლებით ალაპარაკებს ვაჟა-ფშაველაზე? დრომ ვაჟას გენიოსობა იმიტომაც დაადასტურა, რომ მთელი მისი შემოქმედება მარად თანამედროვეა! ამიტომ აქ ავტორს ძალიან ფრთხილი, სიტყვების შერჩევით მსჯელობა მართებდა და არა „გადმოაქეთურ-გადაიქითურებით“ ლაილაი. ისე კი, თუ მისი ტექსტების მიხედვით ვიმსჯელებთ, წარმოდგენილი მაქვს, როგორი „გადმოაქეთურებული“ იქნება უკვდავი პოემა, რომლის სათაურიც კი ვერ გადმოუნერია უშეცდომოდ!

მონვეული ავტორი გატაცებით მსჯელობს რა „ისტორიასთან, ტრადიციასთან, კულტურულ დანატოვართან“ საზოგადოდ, მწერლის და, კერძოდ, თავის პირად მჭიდრო კავშირებზე, გვარწმუნებს, „მე ამ კავშირებს ძალიან ადვილად ვიჭერ ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხიაში“, ოთარ ჭილაძის „გზაზე ერთი კაცი მიდიოდაში...“

აბა, როგორ მოგნონთ ეს „მიდიოდაში?“ ხომ არის ნამდვილი საქრესტომათიო „მარგალიტი?!“ ესე იგი, რა გამოდის — ვინმემ რომ დანეროს, მაგალითად, „ეს სახელი ამოვიკითხე ვიქტორ ჰიუგოს რომანში „კაცი, რომელიც იცინის“, შეცდომა იქნება!

ბესო ხვედელიძის მიხედვით ასე უნდა იყოს „ეს სახელი ამოვიკითხე ვიქტორ ჰიუგოს „კაცი, რომელიც იცინისში“.

ამგვარი ჩიქორთული ქართული ნუთუ რედაქციის ერთ მუშაკს მაინც არ ეხამუშა? გასაოცარია პირდაპირ!

აი, ერთგან რას ამბობს გახარებული მწერალი.

„— მაგარი მოცოცხლებაა ქართულ ლიტერატურულ სივრცეში — აგერ, ახალი ჟურნალ-გაზეთები იხსნება“.

რას ჰქვია იხსნება?! ჟურნალი თუ გაზეთი — თანაც ლიტერატურული! — ჯაგრის მიმღები პუნქტია, სახარაზო, სილამაზის სალონი, სახინკლე, ნავთის ფარდული, ფინური საუნა თუ ჩინური რესტორანი, რომ გაიხსნას. თუ არაფერი ნაუკითხავთ და უსწავლიათ, ტელევიზორში მაინც არ მოუკრავთ ყური: ილია ჭავჭავაძემ თავისი სათაყვანებელი „ივერია“ გახსნა თუ დააარსა?! კარგი, მოწვეულ ავტორს თვითონაც არ ესმის, რას გაიძახის, მთავარმა რედაქტორმა ის მაინც აღარ იცის — თავიანთი ჟურნალი გახსნეს თუ დააარსეს?

მოკლედ, არ შემიძლია მთელი ინტერვიუ გადმოვბეჭდო ან ასე ნაწილ-ნაწილ ძირიან-ფორიანად გავარჩიო. მოწვეული ავტორი აი, ამდაგვარი ენობრივ-აზრობრივი ლაფსუსებით და ყველაფერზე ზერელე მსჯელობით თავისდა უნებურად უშურველად ხატავს ავტოპორტრეტს და მკითხველსაც ნათლად წარმოუდგება იაფფასიან პოპულარობას დახარბებული მდარე კალმოსანი, რომელმაც იგრძნო რა მასპინძლის ლაგამიშვება, შეზარხომებული ჰუსარის დარდიმანდობით ბუქნაობს და ბაქიაობს.

ეს ყველაფერი კი მკითხველს შიშითა და სიფრთხილით ავსებს: ეღირება კი ნაწარმოების წაკითხვა? დრო და ენერგია რომ დახარჯოს და მოთხრობა ბოლომდე ჩაათავოს, ვაითუ იმედგაცრუებული და გემოვნებაამღვრეული დარჩეს!

სამწუხაროდ და სავალალოდ, მკითხველს ეს შიში უმალ უცხადდება! თანაც მოთხრობის ჩამთავრებამდე, მის განახევრებამდე, დაწყებამდეც კი — თვით სა-თა-ურ-ში-ვე!

„კატა-თავობა“ — მკითხველზე გიურზას უცაბედ შემოფეთებასავით მოქმედებს უადგილო დეფიზით დამახინჯებული, შუაზე

გაპობილი ვეება სათაური და უმაღლესი ხდება: ჟურნალის მთელი რედაქცია პროფესიული თვალსაზრისით აბსოლუტურად უმეცარი, შემთხვევითი მუშაკებით ყოფილა დაკომპლექტებული — დაწყებული კორექტორებიდან, დამთავრებული მთავარი რედაქტორით!

მართალია, იწერება: კატა-თაგვი, დედა-შვილი, მამა-პაპა, ცოლ-ქმარი, და ა.შ. მაგრამ სკოლის მონაფემაც კი იცის, რომ ამ ფორმით ხმარებისას დეფიზი თავისთავად, უმტიკვენულოდ ქრება: კატათაგვობა, დედაშვილობა, დედაშვილური, დედაშვილურად, მამაპაპური, მამაპაპურად, ცოლქმრობა, ცოლქმრული, ცოლქმრულად და ა.შ. ამის უცოდინარ სპეციალისტს ჟურნალის მთავარ რედაქტორად კი არა, ჩემი ოცნების რედაქციის დამლაგებლადაც კი არ ვამუშავებდი!!!

პატივცემულო მკითხველო, ერთი ნამითაც არ გაიფიქროთ, მთავარი რედაქტორის, თამარ მამაცაშვილის მასხარად აგდება მენადოს. არა, ღმერთმა დამიფაროს! ამას არც მას ვაკადრებ, არც მკითხველს, არც საკუთარ თავს! შევეცდები, ზემოთ ნათქვამი გასაგებად გავშალო. ჩემზე რომ იყოს, რედაქციის დამლაგებლადაც კი ერთ კარგ, მცოდნე ფილოლოგს ან ჟურნალისტს ავიყვანდი და იმასაც შემოქმედებითი კოლექტივის ჭირითა და ლხინით ვაცხოვრებდი. ისე გავწვრთნიდი, რომ საჭიროების შემთხვევაში — ჭირია, ლხინია, სადეკრეტო შვებულება, მივლინება, ავადმყოფობა — თავისუფლად შეეცვალა კორექტორი, ლიტმუშაკი, ხოლო თუ რაიმე გადანაცვლება მოხდებოდა, რომელიმე მათგანის ადგილიც კი დაეჭირა!...

მაგიდიდან მტერის გადანმენდისას შემთხვევით ამ მოთხრობის საბედისწერო თავფურცელი რომ გადმოფრიალებოდა და მისი ალებისას თვალში ჩავარდნოდა ეს „კატა-თაგვობა“, განგაში აეტეხა, ანდა, თვითონვე გაესწორებინა შეცდომა და რედაქცია თავლაფისაგან ეხსნა!!!

მოკლედ, აქ მხედველობაში მყავს რომელიმე სანიმუშო არმიის ტანკის ეკიპაჟისა თუ ქვემეხის ჯგუფეულის იდეალური განვრთნა-შეკავშირება, როცა თითოუელმა მათგანმა თავისი ღვიძლი საქმის გარდა ბრწყინვალედ იცის თანამებრძოლის მოვალეობაც და ფიცხელი ბრძოლისას რომელიმე ან რამდენიმე მათგანის და-

ლუპვის შემთხვევაში შეუფერხებლად ცვლიან ერთმანეთს და ბრძოლის ფორტუნას სათავისოდ შემოიბრუნებენ ხოლმე!

„ლიტერატურული პალიტრის“ რედაქციაში? აქ კორექტორსა და სტილისტს კი არა, მთავარი რედაქტორის მოადგილეს და თვით მთავარ რედაქტორსაც არ სცოდნია ელემენტარული მართლწერა!

„და მაინც სად იყურებოდა?“ — იკითხავს ზოგიერთი.

კი მაგრამ, ვინ? ავტორი? ავტორი აზრზე არ არის! მოწვეული რედაქტორი? — მეტი საქმე არა აქვს! კორექტორი? — მოგცლიათ! სტილისტი? — თუ ღმერთი გნამთ! მთავარი რედაქტორის მოადგილე? — უჰ! მთავარი რედაქტორი? — გაგიგონიათ!!!

და აი, ასე: როგორც 1987 წლის მაისში გერმანელი ყმანვილის, მათიას რუსთის სპორტულმა თვითმფრინავმა ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე, სრულიად შეუფერხებლად სულ ლივლივ-ლივლივით გამოიფრინა ბოროტების იმპერიის თვალგაუნვდენელი საჰაერო სივრცე და მთელი მსოფლიოს გასაოცრად და ამხელა სამხედრო მონსტრის თავმოსაჭრელად დაეშვა წითელი მოედნის პირას, ისე დეფიზით დამახინჯებულმა ამ სათაურმაც „კატა-თავგობა“ რედაქციის უცოდინარ მუშაკებს სულ წარწარ-წარწარით გაუარა ცხვირწინ და ჟურნალის ფურცელზე ამ სახით დასკუპული მოეფლინა ქართველ მკითხველს!!!



მწერლის მღვდელე ციური რიგიშვილი — მშობლიური ლიტერატურის აიყვარულმა პროფუციით მათემატიკოაი ოჯახის მხალისე, კორექტორად აქცია.

სულ პირველად ეს დამახინჯებული სათაური რომ წავიკითხე, ისეთმა ღელვა-შფოთვამ მომიცვა, მეუღლემ შენიშვნაც კი მომცა — რა არის, აღარ უნდა გაჩერდეთო. მაგრამ რა მექნა, ტოტალიტარულმა რეჟიმმა თავისი წარუშლელი დამლა დამკრა: ჟურნალ-გაზეთში, თანაც თუგინდ შუა ტექსტში გაპარული სულ პანანკინტელა, უმნიშვნელო ლაფსუსისთვისაც კი შავ დღეს

გვაყრიდნენ ხოლმე! ახლა კი ღელვა-თანაგრძნობას რამდენიმე მიზეზი აძლიერებდა: ახალდაბადებული ჟურნალი ლიტერატურული იყო, თანაც პირველი ნომერი, უხეში შეცდომა სადღაც შუაგულ ტექსტში კი არა, მოთხრობის სათაურშივე მრავლისმე-

ტყველად ყელყელაობდა, ხოლო ჟურნალის მესვეურები ჩემთვის სრულიად უცნობი მანდილოსნები იყვნენ: რომელიმე მათგანს სახელს დაუნუნებდით თუ გვარს — თამარ მამაცაშვილი, მანანა ჯანელიძე!

ზედდამატებით ჟურნალის ამ პირველ ნომერს ჯერ არ ამახინჯებდა ეს დისკრიმინაციულ-დამტუქსავი გაფრთხილება „იბეჭდება მხოლოდ შეკვეთილი მასალები“ და მთავარი რედაქტორის წინათქმით მოხიბლულ-მოსყიდულს, ორივე მანდილოსანი რატომღაც ნამდვილი ანგელოზი მეგონა (ეს მე მომექცნენ ასე, თორემ სხვა ავტორებთან და საერთოდ, ადამიანურ ურთიერთობაში შეიძლება არიან კიდევც)!

ერთი სიტყვით, პროფესიული ჩვევა-თვისებებიდან გამომდინარე, ამ შეცდომიანი სათაურის გამო მე ჩემი დავიმართე, განგებამ კი რით გადამიხადა? რედაქციის ხელმძღვანელებს შემაჯახა და ნამდვილ ლიტერატურულ ომში ჩამაბა, თვეობით მომწყვდიტა ჩემს ლვიძლ საქმესა და გეგმებს, უმონყალოდ ჩამახრჩო ამდენ მდარე-მდარე ტექსტებში და ჯანმრთელობა შემირყია, ამ წიგნის გადაუდებელი გამოცემით უმუშევარ კაცს ოჯახის ისედაც მწირი ეკონომიკური რესურსები ამომინურა და გამიჩანავა!!! მაგრამ რას იზამთ — ვინ გაქცევია ბედისწერას, მე გავქცეოდი?!

შეუდგებით თუ არა ნანარმოების კითხვას, მაშინვე გეუფლებათ მშვიდი გაკვირვება.

ბესო ხვედელიძის ეს მოთხრობა იწყება ასე.

— ტომ!

პასუხი არ არის.

— ტომ!

პასუხი არ არის.

— რა დაემართა ამ კატას?... ტომ!!!

მოხუცმა ცხვირზე ჩამოიშვა სათვალე და სათვალის ზემოდან მოათვალიერა ოთახი, მერე შუბლზე აიწია და ახლა სათვალის ქვემოდან მიიხედ-მოიხედა. სათვალეში თითქმის არასდროს იყურებოდა, როცა ეძებდა რამეს — მით უმეტეს, თავის შავ კატას. სათვალეს უფრო სილამაზისთვის იკეთებდა, რადგან ამ სათვალედან

რამის დანახვა ისევე შეიძლებოდა, როგორც ქოთნის სარქველიდან.

ერთ წამს მოხუცი დაიბნა. შემდეგ, არა ძალიან გაჯავრებით, მაგრამ იმდენად ხმამაღლა კი თქვა, რომ ოთახის ავეჯს გაეგონა:

— ჩამივარდები ერთი ხელში და მერე შენ...

მოხუცმა სიტყვა ვერ დაასრულა, რადგან სუნთქვა აღარ ეყო: ლაპარაკისას ცოცხით ხელში სანოლქვეშ გულმოდგინედ ეძებდა თავის კატას და მალევე გამოათრია კიდევ იქიდან სულ მთლად დამტვერილი ტომი.

მარკ ტვენის (1835-1910) მსოფლიოში სახელგავარდნილი „ტომ სოიერის თავგადასავალი“ იწყება ასე.

— ტომ!

პასუხი არ არის.

— ტომ!

პასუხი არ არის.

— რა დემართა იმ ბიჭს? ტომ!

მოხუცმა ცხვირზე ჩამოიწია სათვალე და სათვალის ზემოდან მოათვალიერა მთელი ოთახი, მერე შუბლზე აიწია და ახლა სათვალის ქვემოდან მიიხედ-მოიხედა. სათვალეში თითქმის არასოდეს იყურებოდა, როცა ეძებდა ისეთ პანანკინტელა ნივთს, როგორიც, მაგალითად, ერთი ციცქნა ბიჭია.

ეს სათვალე მისი სიამაყე იყო და უფრო სილამაზისთვის იკეთებდა; იქიდან დანახვა ისევე შეიძლებოდა, როგორც ქოთნის სარქველიდან. ერთ წამს მოხუცი დაიბნა, შემდეგ კი არცთუ გაჯავრებით, მაგრამ იმდენად ხმამაღლა, რომ ოთახის ავეჯს გაეგონა, თქვა:

— ჩამივარდები ერთი ხელში და...

სიტყვა ვერ დაასრულა, დაიხარა და სანოლქვეშ გულმოდგინედ დაუნყო ძებნა ცოცხით რაღაცას, თანაც ცოცხის ყოველ მოსმაზე ჩერდებოდა სულის მოსათქმელად, მაგრამ იქიდან კატის მეტი ვერაფერი გამოათრია.

აქ მკითხველისთვის სრულიად გაუგებარი რჩება, ჩვენს ავტორს რაში დასჭირდა, კატასა და თავგზე აგებულ მის მოთხრობას რას სძენს მსოფლიო კლასიკური ნაწარმოების დასაწყისის ამგვარი დაუფიქრებელ-პლაგიატური გადამღერება?! საერთოდ კი, ბესო ხვედელიძის ზერელე, ფაცურით წერის მანერა უნებურად მაგონებს მონადირის წესდება-სამახსოვროს ერთ-ერთ პარაგრაფს. რამე სისხლიანი ტრაგედია რომ არ დატრიალდეს, სანადიროდ გასულ მონადირეს სასტიკად ეკრძალება ფაჩუნის გაგონებაზე ვარაუდით სროლა!!!

არსებითად, ეს მწერალზეც ვრცელდება. ბესო ხვედელიძე „მოსანადირებელ“ სათქმელს გარკვევით ვერ ხედავს, ხოლო რასაც ხედავს, იმასაც ვერ აყალიბებს და ამიტომ უმეტესწილად სულ ფაჩუნზე, ვარაუდით, ალალბედზე, პირველივე საექვო შთაბეჭდილების ლიტერატურულ ბრძმედში გაუტარებლად წერს! ამიტომ ეს წყალწყალა მოთხრობა ჩამოჰგავს მოყვარული ფოტოგრაფის პირველ ფოტოსურათს, რომელზეც ძლივს არჩევთ, ვინ ან რა არის გამოსახული.

აი, ფაჩუნზე ვარაუდით წერის „გენიალური“ მაგალითი. ჯერ პირველ აბზაცს მოვიყვან და თან მხედველობაში იქონიეთ — მოკლე თავუნიას ჰქვია.

„სამზარეულოს შუაგულში მჯდომ მოკლეს პატარა პურის ნატეხი მოეგდო და თვალდახუჭული ისეთი ნეტარებით კენეტდა, რომ ხმა დერეფანშიც კი მთელი რიხით ისმოდა“.

თავი დავანებოთ იმას, რომ ავტორი არ გვეუბნება, ამ მოკლეს პატარა პურის ნატეხი რაში ან სად მოეგდო: თათებში, კბილებში, პირში, ზურგზე თუ მხარზე, მაგრამ ეს არაფერი, თვითონ წინადადება მხატვრულად არაზუსტი და ამდენად ყალბია. რატომ? თუკი ავტორს სურს, პურის ნატეხის კენეტის ხმა სამზარეულოდან დერეფანშიც კი ისმოდეს და თანაც „მთელი რიხით“, მაშინ თავუნიას პურის ნატეხი ხარბად, თამამად, მონადინებით, გახელებით ან როგორმე სხვანაირად უნდა აკენეტიონოს და არამც და არამც „ნეტარებით“. მაგრამ აქ სხვა რამეა მთავარი. ამ ციტატაში ყურადღების გამახვილებას მოითხოვს

სამი მომენტი: პატარა პურის ნატეხი, ამ ნატეხის კენეტა და რომ პურის ნატეხი ისეთი გამხმარია, კენეტის ხმა სამზარეულოდან დერეფანშიც კი გაისმის და თანაც „მთელი რიხით“. სურათი ნათელზე ნათელია.

პურის ნატეხის კენეტით გართულ მოკლეს ტომი ანუ კატა მიეპარა და როგორც ავტორი ამბობს, „თათებში მოიხელთა“. ოღონდ არავინ შეკრთეს, თავუნას სასიკვდილო საფრთხე არ ემუქრება — ტომი და მოკლე მეგობრებივით არიან! ახლა გაიხსენეთ წინა აბზაცი და უყურეთ, რას გვინერს ავტორი:

„მოკლემ მხოლოდ თვალების გახელა მოასწრო და პურის წვრილი ნაფხვენებით მოთხვრილ სახეზე შიშის ნაცვლად უზომო გაკვირვება გადაეფინა“.

ახლა მითხარით: რომელიმე ჭკუათამყოფელი დაიჯერებს, რომ გამხმარი „პურის წვრილი ნაფხვენებით“ ვინმეს რამე მოეთხვრება? თანაც მარტო ტუჩ-პირი კი არა, მთელი სახე?

მწერალმა შეიძლება დამაჯერებლად ვერ ასახოს, მაგალითად, კობრას მიერ სასიკვდილოდ დაგესლილი ან ავტომატით დაცხრილული ადამიანის აგონია, რადგან თვითონ მსგავსი რამ არ განუცდია, საჭირო ცოდნა, ალლო და მწერლური ოსტატობა კი არ ჰყოფნია, მაგრამ ამას მაინც ველარ უნდა ჩაუფიქრდეს — გამხმარი პურის ნაფხვენებით შესაძლებელია თუ არა რამის მოთხვრა?

რა პქვია ყოველივე ამას? ცხადია, რა: გრაფომანული აბდაუბდა! მაგრამ ეს არაფერია იმ გასახეტებელ უვიც-უმეცრობასთან შედარებით, რაც ამავე აბზაცშია გაპარული. დაკვირვებული მკითხველი ამას მაშინვე შენიშნავდა. ავტორი ასე არხეინად რომ წერს: ნაფხვენებით მოთხვრილი სახეო, მართლა აღარ არის ღმერთი: თავი და სახე? რა არის და ვის აქვს სახე? აი, ლექსიკონის პასუხი: „ადამიანის თავის წინა მხარე, — პირი, პირისახე“. აი, ასე ხდება, როცა ავტორი მხატვრულ სახეებს საკადრისი სიფრთხილე-სიფაქიზით კი არ ეპყრობა, არამედ ტატამზე გადასულ მოჭიდავესავით ეჯაჯგურება. არადა, როგორ დავიჯერო, ავტორს ან რედაქციის მუშაებს თავიდან ბოლომდე თუ არა, გადაშლით მაინც არ გადაეშალოთ ბიბლია

და მისი პირველი თავის „დაბადება“ თუგინდ პირველი გვერდი არ გადაეკითხოთ. „თქვა ღმერთმა: გავაჩინოთ კაცი ჩვენს ხატად, ჩვენს მსგავსად...“ „შექმნა ღმერთმა კაცი, თავის ხატად შექმნა იგი“. ბიბლიასაც რომ თავი დავანებოთ, სულ ეს არ ჩაგვესმის — ღმერთმა მხოლოდ ჩვენ, ადამიანები გავაჩინა თავის სახედ და ხატადო.

ჩვენმა ავტორმა და რედაქციის მუშაკებმა კი რა ჩაიდინეს? სამყაროს შემოქმედის საქმიანობის გადასინჯვა-რევიზია მოინდომეს, ნაშრომი დაუწუნეს და მღრღნელებსა და მისთანებსაც თვითნებურად მიანიჭეს ადამიანის სახე!

თვითონ მოთხრობა თავიდან ბოლომდე თითებიდან არის გამონოვლილი. მსგავსი მოთხრობების მეტი რა შემხვედრია ცხოვრებაში, მაგრამ ბევრ მათგანს, მართალია, წყალწყალა, მაგრამ შინაგანი სითანაბრის მსგავსი რალაც მაინც ეტყობა. აქ კი, ამ დამეგობრებული კატისა და თავგის გაჭიანურებული, უსაგნო საუბარი და ამ საუბრის თემების წამდაუნუმ მონაცვლეობა ისეთი ხშირი, მოულოდნელი, უაზრო და გადაუბმელია, სისხლი გაგიშრებათ.

მოთხრობას პირდაპირ შუბლზე აწერია — ავტორი წყალს უმონწყალოდ ნაყავს, ოღონდ როგორმე შეავსოს ფურცლების გარკვეული რაოდენობა. აქ უნებურად გახსენდებათ ჰემინგუეის სიტყვები. „ფაცხაფუცხით მუშაობამ იცის ასე. როცა არაფერი გენერება და მაინც წერ, როცა წყალი ამომშრალია ჭაში და ცდილობ, მაინც ამოიღო“.

მოკლედ, ამ ტექსტის გამოქვეყნებით რედაქციამ მკითხველის თვალში ჯვარი დაუსვა როგორც თავის კომპეტენტურობას, ისე მიუკერძოებლობას.

* * *

ვერ ვხვდები, ჟურნალის მთავარ რედაქტორს რა მოენონა ამ სათაურდამახინჯებული მოთხრობის, რომ მის ავტორს ხელახლა შეუკვეთა ახალი ნაწარმოები.

2005 წლის მე-5 ნომერში კვლავ გამოჩნდა ბესო ხვედელიძის მოთხრობა „აბრეშუმის გზა“. მას ჟურნალის სამი ფურცელი უჭირავს, თუ არ ჩავთვლით მწერლის ფოტოსურათს და რალაც

უაზრო ნახატს, რომელსაც არაფერი აკავშირებს ნაწარმოებთან, თუკი შეიძლება მას საერთოდ, მხატვრული ნაწარმოები ეწოდოს. პირდაპირ და პირუთენელად უნდა ითქვას: ეს ტექსტი გრაფიკული შეუპოვრობის მწვერვალი და ნიმუშია. ისეთს არაფერს ვამბობ, რომლის შემონმება აღარ შეიძლებოდეს: აგერ არის ყურნალი და რედაქციას თუ სურვილი ექნება, გამოწკლისის სახით შეიძლება მისი საჯარო კითხვა-განხილვაც კი მოეწყოს.

მთელი მონდომებით კითხულობთ ამ ე. წ. მოთხრობას და ნისლივით მონოლილი სასონარკვეთა თანდათან გიპყრობთ და გაშტერებთ: ავტორი გაჭიანურებით რალაცას წერს, წერს, სათქმელს წელავს, წვალობს, წვალობს და თანდათან ნათელი ხდება, რომ თვითონაც არ ესმის, რას წერს, რა აწუხებს, რის თქმას ლამობს, ან საბოლოოდ რა გამოუვა, დაბოლოს, მკითხველებს რა შთაბეჭდილება დარჩებათ მასზე, როგორც მწერალზე.

ტექსტი პირდაპირ ხარირემივით ბლავის დევიზს, რომლითაც თითქო ავტორს განუხრელად უხელმძღვანელია.

„მოთხრობის დასაწერად მზად ვიყავი თუ არა, ეს სულაც არ მაინტერესებს! მთავარია, მე მინდოდა დამეწერა მოთხრობა და აი, დავწერე კიდეც! მორჩა და გათავდა!!!“

თუმცა მე პირადად ავტორთან რა უნდა მქონდეს საკამათო, როცა თავის პირველ ინტერვიუში მკითხველებს პირდაპირ გვითხრა: თვეში ორი-სამი, უკეთეს შემთხვევაში კი ოთხი-ხუთი მოთხრობაც „კვარახჭინდება“-ო. ჰოდა, ეს „აბრეშუმის გზაც“, ეტყობა, ერთ-ერთი იმ „მოკვარახჭინებულთაგანია“.

მოთხრობაში აბსოლუტურად ყველაფერი თითებიდან არის გამოწოვილი: ვითომ ფანტასტიკური, მაგრამ ყურით მოთრეული, სრულიად უაზრო, უინტერესო და თავშესაწყენი სიუჟეტი, დიალოგი, ტიპაჟი, პერსონაჟთა მეტყველება, ავტორისეული თხრობა, კვანძის გახსნა, ეპილოგი... ენა? ენობრივ-აზრობრივი უზუსტობისა და ქართული ენის ბუნებისთვის მიუღებელი, წინადადების აგების გაუკულმართებული კონსტრუქციის გამო ტექსტს თავიდან ბოლომდე იმ დონეზე ეხუთება სული, რომ ადამიანურად გეტყვით და დამიჯერეთ, ეს სულის ხუთვა მკითხველზეც გადმოდის პირდაპირი მნიშვნელობით და ისიც იძულებ-

ბული ხდება, თავბედი იწყევლოს და სულმოსაბრუნებლად სულ პაუზებით იკითხოს.

დააკვირდით წინადადებების აგების ხვედელიძისეულ მანერას.

„— რაიო? — შეეკითხა მსუქანი გამხდარს ინტერესით“.

სამი შოფერი სასტუმროს სასადილოში ვახშობს. საუბარი სასტუმროს დირექტორზე ჩამოუვარდებათ.

„— მაგი იგი არაა? — ჩართო ლიმილით კითხვა გამხდარმა...“

— ჩუ! — მიიღო ტუჩებზე თითი სწრაფად შავი ტრაილერის მძღოლმა“.

„— აგი უბერავს თუ ჩვენ გვაშაყირებს? — გამოთქვა ვარაუდი მსუქანმა“.

სასტუმროს ნომერში მარტოკა მძინარე შოფერს შუალამისას სამი ქალი მიუკაკუნებს კარზე.

„— ჰოდა, ვალებ ტანზე ადიალააფარებული კარს“.

„მთელი ბალი მქონდა საგვარეულო“.

„— ბიძია, ჩვენ ვართ! — დაიძახა რაც შეიძლება ჩუმად გამხდარმა“.

„— აღარ გაგანვალვებთ, ჩემო კარგო ხალხო... — გააქანა თან უშველებელი ლუკმა პირში“.

„ორივენი გაინაბნენ და სმენად იქცნენ, თუმცა ნომრიდან მაინც ჩამიჩუმი არ ისმოდა“.

სასტუმროს სასადილოში უცნობი შოფერი „იქვე, კედელზე ჩამოკიდებული ტელევიზორის წინ“ თავისთვის ზის და რაღაც გადაცემას უყურებს. ერთ-ერთ მაგიდასთან ორი მეგობარი შოფერი ვახშობს. მათ სურთ, რომ ის მარტოსული შოფერი თავიანთ მაგიდასთან მიიწვიონ.

„— ძამა! — მიმართა სუფრასთან მსხდომთაგან გამხდარმა შავი ტრაილერის მძღოლს და მანაც პასუხად ძალიან ნელა მოაბრუნა თავი“.

და ასე, დაუსრულებლად!

ჩვეულებრივმა რიგითმა მოქართულემაც კი იცის, რომ თავის დაქნევა თავისთავად თანხმობას, დათანხმებას ნიშნავს და ყოვლად უმარტივეს გარემოებაში მას დამატებითი, ზედმეტი

ახსნა-განმარტება აღარ სჭირდება. მაგრამ ჩვენმა ავტორმა ეს ჯერ არ იცის და გულგამანვრილებლად იმეორებს და იმეორებს ამ „თანხმობის ნიშნად“.

„მიმტანმა ქალმა თანხმობის ნიშნად დააკანტუნა თავი“.

„მძღოლს მოუტრიალდნენ და თანხმობის ნიშნად მძიმედ დაუქნიეს თავი“.

„მსუქანმა და გამხდარმა თანხმობის ნიშნად ერთდროულად დააქნიეს თავი“.

წელან მონადირის სამახსოვრო უამბოდ არ ვახსენე. ავტორი ამ მოთხრობაშიც ყველაფერზე ზერელედ, გადარბენით და, არსებითად, ფაჩუნზე წერს. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, იგი ფაჩუნზე წერის ნამდვილი დიდოსტატია, ხოლო რედაქცია ამას ვერ ამჩნევს და ჟურნალის ფურცლებზე თავისუფლად მოტბორავს ენობრივ-სტილისტური და აზრობრივი შეცდომების ნიაღვარი.

„სამი ტრაილერი იდგა“. — წერს ავტორი. უნდა იყოს ტრეილერი და არა ტრაილერი...

„შემოდგომისა და ზამთრის საზღვარზე, როდესაც ძალიან ცივა და ქარის ნამოქროლებზე სუსხი საერთოდაც ძვალსა და რბილში ატანს“.

მოთხრობის მიხედვით მოქმედება სადღაც ხაშურსა და გორს შორის მიმდინარეობს. „შემოდგომისა და ზამთრის საზღვარზე“ კი საქართველოში უფრო ძალიან თბილა ხოლმე და არა „ძალიან ცივა“, როგორც ამას ავტორი გვაჯერებს. ჩვენში შუა ზამთარში ცივა ძალიან. ეს ერთი და მეორეც, ვის შეუძლია ამიხსნას, მოყვანილ ციტატაში რა ფუნქცია აკისრია სიტყვას „საერთოდაც?“

ავტორი ახსენებს ტრეილერების „ფერდს“ და „საბარგულს“.

ტრეილერს უბია არა საბარგული, არამედ მისაბმელი, ვაგონი, ავტოვაგონი, ხოლო მას აქვს არა ფერდი, არამედ გვერდი, გვერდები.

ავტორი გვიხატავს გზისპირა სასტუმროს სასადილო დარბაზს.

„იქვე, კედელზე ჩამოკიდებული ტელევიზორის წინ“....

საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ან თუგინდ ნებისმიერ ოჯახში ვინმეს უნახავს ასე ახალამოვლებულ ჩურჩხელასავით, ზარივით ან ქალივით ჩამოკიდებული ტელევიზორი? თუ არ ვცდები, მსგავს შემთხვევაში ტელევიზორს კი არ ჩამოჰკიდებენ, არამედ ამაგრებენ, მიამაგრებენ ხოლმე.

ავტორს არ გააჩნია მხატვრული ჭკრეტის უნარი, თითოეულ სიტყვასთან ფაქიზად მიდგომის კულტურა. აი, როგორ გვიხატავს იმ შავი ტრეილერის ხანდაზმული შოფრის გარეგნულ პორტრეტს.

„სუფთად გაპარსულ, თუმცა კი ასაკისგან დაღარულ სახეზე მიტკლისფერი ეღო“.

არამცთუ მწერალი, აქ რიგიანი მკითხველიც კი იგრძნობს წინადადებაში რა საზარელი დილექტანტურობით არის ჩაჩხირული ეს „თუმცა კი“, რომელიც თავდაყირა აყენებს აზრის სიმწყობრეს, მხატვრულობას, პერსონაჟის პორტრეტის დახატვის პრეტენზიას. დააკვირდით: ეს „თუმცა კი“ ისე მოქმედებს, თითქო თუ მამაკაცი სუფთად იქნება გაპარსული, მაშინ აღარ შეიძლება მას ან დაღარული პირისაზე ჰქონდეს, ან მიტკლის, ანდა რაიმე სხვა ფერი ეღოს!!! ჰოდა, თითქო ამ მოთხრობაში აღწერილ შემთხვევაშიც ასე უნდა ყოფილიყო, მაგრამ ხედავთ, თურმე რაღაც გამონაკლის, უნიკალურ შემთხვევასთან გვქონია საქმე!

აბა, ახლა ცდის გულისთვის ამოვადლოთ ეს ანარქისტი „თუმცა კი“ და მერე ერთმანეთს შევადაროთ ორივე წინადადება.

„სუფთად გაპარსულ, თუმცა კი ასაკისაგან დაღარულ სახეზე მიტკლისფერი ეღო“.

„სუფთად გაპარსულ, ასაკისაგან დაღარულ სახეზე მიტკლისფერი ეღო“.

დასკვნების გამოტანა მკითხველისთვის მიმინდვია.

სასატუმროს სასადილოში ორი შოფერი ჩვეულებრივ ვახშმობს. მესამე, უცნობი შოფერი ტელევიზორს შესცქერის. ეს ორი შოფერი მოისურვებს, მარტომყოფი უცნობი ჭიქა არაყზე შეიპატიჟონ.

„— არ ნოუქცევ ჩვენთან ერთად ჭიქას? — დაე-
კითხა სუფრასთან მჯდომი მეორე, მსუქანი მძლოლი
და ჭიქა ღიმილით ასწია“.

მსუქანი მძლოლის მიერ წამოყრანტალეული ფრაზა ნათე-
ლყოფს, რომ ავტორს სრულიად არაფერი გაეგება ქართული სუ-
ფრის ადათ-წესების, საუკუნოვანი ქრისტიანული ტრადიციების
და თავისი ჩვეულებისამებრ, კვლავ ფაჩუნზე წერს. ნუ გამ-
ოვუდგებით წამოძახილი ფრაზის აგების კონსტრუქციას და
ჯერ ეს გავარკვიოთ: რას ნიშნავს თავს წაუქცევს (ჭიქას...) და
როდის ხდება ხოლმე. ეს არის ეთნოგრაფიული ტრადიცია —
„პურზე ცოტათი ღვინოს გადმოღვრის (ჭიქიდან...) გარდაცვ-
ლილის მოსახსენებლად“. მოვახსმეთა სუფრაზე კი გარდაცვ-
ლილის ხსენებაც კი არ არის — შორეული რეისის დამშეული
შოფრები გემრიელად ძლებიან და არყით იბრუებებიან. ეგ არის
და ეგ!

„თვალისმომჭრელი შუქით გაჩახჩახებულ სასტუმ-
როს გარედანვე ეტყობოდა, რომ შიგნით ჯერ კიდევ
არავის ეძინა“.

განსაცვიფრებელია ავტორის მხატვრული აზროვნების სტი-
ლი! ყველას თუგინდ სძინებოდა კიდევ, თავისთავად ცხადია,
შიგნით, სასტუმროს ნომრებსა და მოსამსახურე პერსონალისთ-
ვის განკუთვნილ ოთახებში ეძინებოდათ. აბა, ეზოში ხომ არა-
ვინ გაიშლიდა ლოგინს, მით უმეტეს, რომ ავტორმა დასაწყის-
შივე გაგვაფრთხილა „... იმ ღამითაც, შემოდგომისა და ზამთრის
საზღვარზე, როდესაც ძალიან ცივა და ქარის წამოქროლებაზე
სუსხი საერთოდაც ძვალსა და რბილში ატანს“-ო.

ეს ერთი და მეორეც, რაკი ავტორმა სასტუმრო განზრახ
„თვალისმომჭრელი შუქით“ გააჩახჩახა, აქ უკვე თავისთავადაც
იგულისხმება, რომ ახალგამოჩენილი კლიენტი, „გარედანვე“
უნდა მიხვდეს მისახვედრს, თორემ თუ შიგნით შევიდა და
ყველაფერი დავთრის მიხედვით შეამონმა, მაშინ რალა აზრი ან
ეფექტი ექნება სასტუმროს „თვალისმომჭრელი შუქით“ გა-
ჩახჩახებას! ახლა ვისაც სურვილი ექნება, ამოაგდოს ეს ორი
ამკარად უადგილო, ზედმეტი სიტყვა „გარედანვე“ და „შიგ-

ნით", წინადადებებს ჰანტილებივით რომ ამძიმებენ და მერე დაუკვირდეს როგორც მიღებულ სხვაობას, ისე მწერლის მხატვრული აზროვნების დონესა და შესაძლებლობებს.

„პირი ბოლომდე მოეფჩინა“. ვკითხულობთ ავტორისეულ თხრობაში.

ამ სიტყვის ალი-კვალი ვერ გავიგე — რას ნიშნავს მოეფჩინა, მოფჩინა?

„გამხდარმა... ფხალი გადაიღო“. ვანყდებით ავტორისეულ თხრობაში.

ფხალი კუთხურია, თავანკარა ქართულით მხალი ჰქვია.

„ჭიქა ... გამოსცალა ბოლომდე“. — ესეც ავტორისეულ თხრობაშია. უნდა იყოს გამოცალა.

შავი ტრეილერის შოფერი, გვარად ყვავილია, რომელიც თურმე მეყვავილეთა ძველისძველი დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელი ყოფილა, თავის თავგადასავალს უამბობს ახალგაცნობილ ორ შოფერს. მჭლე ენით დანერილი თავშესაწყენი გრძელი მონოლოგიდან მოყვანილ ამ პატარა ციტატაში წარამარა ნახმარი მრავალწერტილი ავტორისეულია.

„ვაგრძლებდი წინაპრების საქმეს ჩემთვის, წყნარად, თავაუტკივებლად, მაგრამ ვინ გაცალა სიმშვიდე... მოვიდნენ ერთხელ სატვირთო მანქანებით... რალაც ხელსაწყობით... დაინყეს მთების აფეთქება და ჩამოშლა... მინის გაზიდვა... ოქროაო ამ მინაში... სხვა რა იქნებოდა“...

კაცს ახეტებს ავტორის წრეგადასული ზერელობა და მკითხველის წინაშე სრული უპასუხისმგებლობა. მართალია, აქ პერსონაჟი მეტყველებს, მაგრამ ასე ალა-ალა ავტორი არატრატებს. დააკვირდით ციტატის ბოლო ნაწყვეტს: რას ჰქვია „სხვა რა იქნებოდა“ — არ შეიძლება იქ ოქროს გარდა ყოფილიყო, ვთქვათ, სპილენძი, თუთია, კალა, ტყვიაკრიალა, იოდი, ქრომი, ვერცხლი, რკინა, დარიშხანა, ბარიტი, გოგირდი, სტიბიუმი, მარგალიტი, აპატიტი, ვოლფრამი, მარგანეცი, სილიციუმი... შავი, ფერადი, მსუბუქი, იშვიათი, რადიოაქტიური ლითონები, სამთო-ქიმიური ნედლეული, ბუნებრივი აბრაზიული, ელექტროსაიზო-

ლაციო, თბოსაიზოლაციო, ბგერათსაიზოლაციო, ცეცხლგამძლე, ტუტეგამძლე, მუავაგამძლე და სხვადასხვა სახის მასალები... ძვირფასი, სანახელავო, ტექნიკური ქეები... კმარა თუ ზერელე ავტორსა და ყურადღებამოდუნებულ რედაქციას კვლავ გავუგრძელო იმ სასარგებლო ნიაღისეულის ჩამოთვლა, რაც შეიძლება ოქროს გარდა ყოფილიყო იმ აფეთქებულსა და ჩამოშლილი მთების გულში?!

„ქათამი რომ ქათამია, ისიც კი არ დამიკლავს — აღარაფერს ვამბობ ინდაურზე, ბატზე, ღორზე, ძროხასა და მისთანებზე...“

ავტორს არ ესმის, რომ რაკი აქ ხაზგასმით არის ნახსენები ყველაზე პატარა და უმწეო შინაური ფრინველი, ქათამი და თან წინადადებაში საგანგებოდაა ნახმარი ნაწილაკდართული ნაცვალსახელი „ისიც“, მკითხველისთვის ისედაც ცხადია, რომ მთხრობელს სხვა აღარაფერი ეყოლება დაკლული. ამიტომ სულ ზედმეტი და თან სასაცილოა ჩამოთვლილ ცხოველ-ფრინველთა ეს გრძელი სია, რომელიც არავითარ მხატვრულ ეფექტს არ იძლევა და მხოლოდ ავტორის ენის უცოდინარობაზე ლაღადებს.

„თან სასწაულ ადგილებში მოგზაურობაზე ვოცნებობდი“.

ნეტავი, ერთი მაცოდინა, ავტორი რა სასწაულ ადგილებზე აყბედებს თავის პერსონაჟს — ყოფილ მეყვავილეს, ამჟამად კი ტრეილერის შოფერს?!

„მსუქანმა და გამხდარმა ერთდროულად მოიფშვნიტეს ხელისგულები“.

სხვისი არ ვიცი, მე კი პირველად გავიგონე ხელისგულების მოფშვნეტა.

ამგვარი გამოთქმით გამოწვეულ გაკვირვებას ჯერ არ გაველო, რომ უცებ უფრო უარესი ამოვიკითხე.

„მძლოლებმა ერთდროულად მოიფშვნიტეს ხელისგული“.

სხვა გზა არ არის, ლექსიკონი უნდა გადავფურცლო: ხელების ფშვნეტა - ხელების ერთმანეთზე მაგრად სმა, სრესა.

ჰოდა, ახლა ვინც მოცლილია და თან აინტერესებს კიდეც, ირწმუნოს „ლიტერატურული პალიტრის“ მიერ ახალაღმოჩენილი მეთოდი, დადგეს და თავი გაირთოს მარჯვენა ან მარცხენა ხელისგულის ფშვნეგით.

აქ თავისით მახსენდება ძველი ანდაზა: ბალო, რადა ჩხნავიო, გამყავ და მაგიტომაო!

„გიჟი ხარ ან შეშლილი!“

განა გიჟი და შეშლილი ერთი და იგივე არ არის?

„... თქვენი ჭირიმე, ჩემო კარგო ადამიანებო! — ნარმოსთქვა ისევ ხაზგასმით და მკვეთრად გატრი-
ალებული სწრაფი ნაბიჯით აუყვა... კიბეს“.

აბა, რას იტყვით, როგორია ეს „მკვეთრად გატრიალებული სწრაფი ნაბიჯით?“

„ცოტა ხანში (უნდა იყოს ცოტა ხნის შემდეგ. ჯ. მ.) მეორე სართულიდან მისი ნაბიჯების ხმა ჩამოის-
მა. მერე გასაღების ჩხარუნის, კარის გაღებისა და მო-
კეტვის ხმაურები. ბოლოს ყველაფერი მიჩუმდა“.

როგორც ხედავთ, ავტორი არაფერს არ დაგიდევთ: არც გრამატიკულ კატეგორიებს, არც მხატვრულობას, არც მკითხველის მოთმინებას, არც საკუთარ მწერლურ ღირსებას — თავისებურად მიიჩქარის და მისთიბავს!

ჯერ ერთი, ერთმა კი არა, ერთად ასხმულმა რამდენიმე გასაღებმა შეიძლება იჩხარუნოს, ერთმა გასაღებმა კი საკლიტურში გაიჩხაკუნოს, იჩხაკუნოს — ჩხარუნი და ჩხაკუნი სულ სხვადასხვა ცნებაა და მეორეც, როგორ მოგწონთ ამგვარი მრავლობითი ფორმა „ხმაურები?“ სულწაბულ ავტორს სადა აქვს იმდენი დრო, მოთმინება და შესაძლოა, ნიჭიც, რომ მოთხრობაში გაჟღერებულ ყოველგვარ ხმაურს თავისი ზუსტი სახელი და ადგილი გამოუძებნოს, მერე კი ნათელი, ტყვადი, ძარღვიანი ქართულით ჩამოწნული წინადადებებით მოხიბლოს მკითხველი! ამიტომ ადგა და ყოველგვარი ხმაური ხურდა ფულივით ჩაყარა ერთადერთ სიტყვაში, თვითნებურად მისცა მრავლობითი რიცხვი და მერე ეს „ხმაურები“ მკითხველებს სავსე ქისასავით

გადმოგვიგდო — ნამოიყარეთ ხელისგულზე და თქვენ თვითონ გაარკვიეთ, სად რა და როგორ ხმაურობსო, მე კი მაგნიირი „წვრილმანებისთვის“ არა მცალია, აგერ, თვეში ოთხი-ხუთი მოთხრობა უნდა „ვაკვარახჭინო“.

მშვენიერი ხერხია, ღმერთმანი! მიამიტი ყმანვილი წაიკითხავს ამგვარი წინადადებებით გაჭედულ ტექსტებს და ამქვეყნად მწერლად გახდომაზე უფრო ადვილი სხვა აღარაფერი მოეჩვენება!

„მაგიდასთან მჯდომებს სუსხიანი მზერა შეავლო“.

უნდა იყოს მსხდომებს და არა მჯდომებს.

„— კაი სიზმრები კი კაია, მაგრამ სიფხიზლეც იმ-ხელა ვიცი“.

მაინც რამხელა? ავტორს არ ჰყოფნის ერთი პეშვი მხატვრული საფანელი, რომ თავისი პერსონაჟის სიფხიზლის განსაზღვრება-დახასიათებას ზუსტი სიტყვა, ფორმა და სახე მოუნახოს.

ბლომად არაყნაყლურნი იმ ორი შოფრიდან ერთ-ერთი სასადილოს ოფიციანტ ქალს ტლანქ არშიყობას გაუბამს — ორიოდე წუთით „აქანა“ ჩამოგვიჯექიო.

— სულ ორი წუთით, — თითებით დაანახვა გამხდარმა და თან ყელი ორი თითით გამოიგლიჯა“.

შოფერს ქალისთვის თითები რომ დაენახვებინა, კიდეც მესმის, ვინაიდან ამით მკითხველს იმ ნანატრ ორ წუთს აგულისმებინებდა, მაგრამ ახლა გაუგებარი რჩება — გამხდარმა ოფიციანტს თითებით რა დაანახვა? სახვეწრად გადაქცეული ის ორი წუთი რამე ფიზიკური საგანი, ვთქვათ, ხელადა, საფერფლე, თეფში ან ადამიანი ხომ არ იყო, თითებით (თითით) დაენახვებინა? გარდა ამისა, დააკვირდით, აქ ნახმარ ზმნისწინს „თან“, რომელიც აღნიშნავს ორი მოვლენის ამ მოქმედების ერთდროულობას. ესე იგი, რა გამოდის? გამხდარმა ერთი ხელის თითებით ქალს რალაცა დაანახვა, მეორე ხელის ორი თითით კიდეც „თან ყელი გამოიგლიჯა?“

ანდა, აქ რა ყელის გამოგლეჯაზეა ლაპარაკი?! როგორც ჩანს, ავტორს ერთმანეთში ერევა ყელის გამოგლეჯა და ყელს უწევს. რას ნიშნავს ყელს უწევს? ყელზე თითების მოვლებით (და არა ყელის გამოგლეჯით!) გამოსატავს ხვეწნას, მუდარას. ავტორს კი არა, ეს მე მერევა და ვერ გავრკვეულვარ — იგი ამ ყელის გამოგლეჯით სურათს ამუქებს?!

კეთილი, მეც რა მაქვს სანინალმდეგო, ყაბულს გაეუხდები, მაგრამ ვითარებას საამისო რომ არაფერი ეტყობა: ისედაც დაქანცულმა, თანაც უზომო სმა-ჭამით გამოთაყვანებულმა შოფრებმა სასტუმროში ღამე უნდა გაითიონ, დილით კი თავიანთ გზას გამოუდგნენ. ახლა კი არყით დაბრუჭულებს ხეირიანად თვითონაც არ ესმით, რას ელიჯინებიან თავის საქმეში გამოჯეკილ მიმტან ქალს, გამოძახების გარეშე წარამარა რომ მოადგება ხოლმე შოფრების სუფრას და იდუმალი ორაზროვნებით იმეორებს — კიდევ ხომ არაფერს ინებებთო. ესენი კი აზრზე ვერ მოდიან ან არ სურთ ავტორის მიერ პირველ აბზაცშივე დიდი ამბით ნახსენებ სასტუმროს უმთავრეს „მენიუზე“ — იქაურ ჯანმრთელ გოგოებზე გადაუკრან სიტყვა.

ჰოდა, აბა, აქ ყელი ვინ უნდა გამოიგლიჯოს, ან ვისთვის?! მოკლედ, მტერს არ ვუსურვებ ამგვარ ბარდნარში გაბმას.

„... გოდოუშვებ იმ ფანჯრიდან კისრით“.

უკეთესი ხომ არ იქნებოდა, ავტორს ბოლო სიტყვა თავში ეხმარა, ხოლო პირველ სიტყვას თუ გამართული ქართულით ვერ დაგვიწერდა, ასო „ვ“ მაინც აღარ დაეკლო?! მაგრამ მოვეშვათ ამას — ახლა აღარაფერი ეშველება.

როგორც უნდა მოინადინოს ავტორმა, მისი პერსონაჟი კაცს კისრით ვერანაირად ვერ „გოდოუშვებს“, ვინაიდან კაცის თავდაყირა გადაშვებისას წინ მაინც თავი მიდის და არა კისერი. ამიტომ ამბობენ ხოლმე — თავით გადავუშვებო.

ავტორს არ გააჩნია სივრცის, დროისა და სიტყვის შეგრძნება და მათი ერთმანეთთან მხატვრული დაკავშირება, რაც მოთხრობას გრაფომანულ ჩხირკედელაობამდე აქვეითებს. აი, ამის ერთ-ერთი მკაფიო მაგალითი.

გზისპირა, იაფფასიანი სამსართულიანი სასტუმროს პირველი სართულის ორადგილიან ნომერში ის ჩვენი ნაცნობი ორი შოფერი ფხიზლობს. დაპირებისამებრ, მეორე სართულზე მარტოკა მცხოვრებ, წელან გაცნობილ შოფერს უნდა ააკითხონ შუალამისას.

„— რომელში ვარო, ბიძია-ბაბუამ? — გაახსენდა იქვე, რაზეც მსუქანმა მარჯვენა ხელის ხუთი თითის გამლით უპასუხა და კარისკენ ნაბანცალდა. გამხდარიც უკან მიჰყვა და ცოტა ხანში ორივენი... დერეფანში აღმოჩნდნენ“.

კაცო, ბოლოს და ბოლოს, მართლა აღარ არის თუგინდ ოთცისოდენა დაკვირვება და ელემენტთა უმარტივესი მწერლური კოორდინაცია: ცოტა ხანში პირველი სართულის ნომრიდან იმავე სართულის დერეფანში კი არა, შეიძლება აღმოჩნდეთ სასტუმროს ეზოში, მთავარ გზატკეცილზე, მტკვრის პირას, ავტოსადგომზე, ხეივანში, ბუჩქებში, პაემანზე, სასტუმროს შორიახლო მცხოვრების ოჯახში და ღმერთმა უწყის, კიდეც სად, მაგრამ ოთახიდან დერეფანში გასვლას რად უნდა ცოტა ხანი, როცა კარის გამოღება და დერეფანში გასვლა ერთი იქნება!!! მით უმეტეს, რომ, აგერ, მსუქანი უკვე „კარისკენ ნაბანცალდა“ და „გამხდარიც უკან მიჰყვა!!!“

„დერეფნის ორივე მხარეს ჩარიგებული, დანომრილი კარებიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა“.

ჯერ ერთი, სასტუმროს ნომრების კარები ცალკეული ალვის ხეები ხომ არ არის, ასე ხეივანივით ჩაარიგო. ჩარიგებულია ხოლმე არა კარები, არამედ თვით სასტუმროს ნომრები თუ რომელიმე შენობა-დანესებულების კაბინეტები, კარები კი სასტუმროს ნომრებისა თუ კაბინეტების მხოლოდ შემადგენელი ნაწილია და მეორეც, ჩამიჩუმი ან რაიმე ხმაური შეიძლება მოისმოდეს ან არ მოისმოდეს თვით ნომრიდან, კაბინეტიდან, ოთახიდან და არა უშუალოდ კარიდან.

„ბოლო ჭიქის შესმის შემდეგ წამოსცდა... სიმთვრალისაგან თავაკანკალებულ მსუქანს“.

აბსოლუტურად ყალბი სურათია! რატომ? აი, რატომ: მოთხრობიდან ჩანს, რომ ეს ორმოციოდე წლის შოფერი სრულიად ჯანმრთელი კაცია და თავისთავად თავის კანკალი ან რაიმე სხვა სენი არ ანუხებს, თანაც ხარივით ბლურჩავს არაყს. სამედიცინო თუ კრიმინალური ექსპერტიზის პრაქტიკიდან კი საყოველთაოდ ცნობილია, რომ ჩვეულებრივ გარემოში გვარინად ალკოჰოლმიღებულ ნორმალურ ადამიანებს თავი ან სხეულის რომელიმე ნაწილი კი არ აუკანკალდებათ ხოლმე, არამედ პირიქით — უფრო უდუნდებათ, გონებრივი და ფიზიკური რეაქცია საგრძნობლად უქვეითდებათ და ჯერ უმოძრაობისკენ, ბოლოს კი ძილისკენ იხრებიან. ამიტომ სავარაუდოა, რომ ამ შოფერსაც ასე დაემართებოდა — მით უფრო, შორეული რეისით მოქანცულს და ხარბად ნასვამ-ნაჭამს. ეს, აგერ, ავტორმაც დაგვიდასტურა წელან — კარისკენ ნაბანცალდაო.

„მერე უეცრად მოფხიზლდა“. — ავტორისეულ თხრობაში აი, მოულოდნელად რანაირ გულგასახეთქ შეცდომას წაანყდებით. ჰმ! მოფხიზლდა! ნეტავ, სად ნასწავლი ქართულია? ნუთუ ავტორს და ყურნალის მესვეურებს მართლა სწამთ, რომ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ბოგინობენ მსგავსი სიტყვები: მოფხიზლდა, მოფხიზლდება, მოფხიზლებული, მოაფხიზლებს?! მაგრამ რას იზამთ, ცხოვრება და გარემო ყველას თავისი საკადრისი ინდივიდუალური „ლექსიკონით“ ასაჩუქრებს. ჰოდა, თუ იმ თავიანთ ინდივიდუალურ „ლექსიკონს“ გვერდზე გადადებენ და ქართული ენის განმარტებით ლექსიკონს გადაფურცლავენ, იქ სრულიად განსხვავებულ ფორმებს აღმოაჩენენ: გამოფხიზლდა, გამოიფხიზლებს, გამოფხიზლდება, გამოსაფხიზლებელი, გამოფხიზლდება, გამოფხიზლებული, გამოაფხიზლებს, იფხიზლებს, ფხიზლობს, ფხიზლდება, ფხიზლობა, სიფხიზლე...

მსუქანი და გამხდარი შოფერი შუალამისას შავი ტრეილერის შოფერის ნომრის კარს მონდომებით უკაკუნებენ.

„ორივენი გაინაბნენ და ისევ სმენად იქცნენ, თუმცა ნომრიდან მაინც ჩამიჩუმე არ ისმოდა.

— რა ჩეეძინა მაგისტანა ამ უპატრონოს? — გაღიზიანდა მსუქანი და კარზე უკვე მუშტით მიაბრახუნა.

მესამე მიბრახუნება საკმარისი აღმოჩნდა, კარი
ჭრიალით და ნელა, სანახევროდ გაღებულყო“.

მოთხრობიდან ამხელა ადგილი იმიტომ გადმოვწერე, სურათი
უფრო ნათელი ყოფილიყო. დააკვირდით: კარი თვალგაფაციცე-
ბული, მოლოდინით დაძაბული შოფრების ცხვირნინ და თანაც
პირდაპირ მსუქნის მუშტქვეშ(!!!) გაიღო სანახევროდ, მწერალმა
კი ზმნის მოქმედება თურმეობითში გადაიტანა — გაღებულყო!!!

ავტორს ეს რაში დასჭირდა, ან რა ხდება, ჩემი გონება ამას
უკვე ვეღარ სწვდება.

„დიდი ოთახიდან შემომჭვირალი შუქით ოღნავ გა-
ნათებულ, ანუ სანახევროდ ბნელ შემოსასვლელში
ყვავილების სურნელი იდგა“.

თავისი დაბალი პროფესიონალიზმით ავტორი პირდაპირ სან-
ამებელ ჩარხზე აკრავს უდანაშაულო, წინდაუხედავ მკითხველს,
რომელიც მის მოთხრობას ჩაუჯდა. იმის მაგიერ, ნაწარმოების
კულმინაციისას ავტორს თვითონ დაეზუსტებინა შემოსასვ-
ლელის განათება და ზედმეტი თავსატეხით მკითხველის ყურ-
ადლება აღარ გაეფანტა, მხატვრულობის უშედეგო პრეტენზიას
გამოდევნებულმა, სრულიად უადგილოდ და უდროოდ იხმარა
მაიგივებელი კავშირი ანუ. ერთი ამიხსნას ვინმემ, რა დაშავდე-
ბოდა, ან ვის რა დააკლდებოდა, შემოსასვლელი ან „ოღნავ გა-
ნათებული“ წარმოედგინა, ანდა „სანახევროდ ბნელი?“ თავს
უმონყალოდ ვინამებ, მაგრამ აქედან ვერა და ვერ გამომიყვან-
ნია საშუალო არითმეტიკული: შემოსასვლელი თუ მთლიანად
„ოღნავ განათებულია“, აბა, „სანახევროდ ბნელი“ როგორღა
იქნება? ხოლო თუ მართლა „სანახევროდ ბნელია“, მაშინ ვით
წარმოვიდგინო „ოღნავ განათებული?!“ „ოღნავ განათებული“
და „ნახევრად ბნელი“ თუ მართლა ზუსტად იდენტური ცნებე-
ბია, მაშინ ავტორს რაღაში დასჭირდა ტექსტის გადატვირთვა—
აერჩია ან ერთი, ან მეორე, ხოლო თუ არც ერთი მათგანი არ
აკმაყოფილებდა და უკმარისობის განცდა სტანჯავდა, მაშინ
ორივესთვის თავი დაენებებინა და უფრო ზუსტი მხატვრული
სურათისთვის მიეგნო.

„თავიანთ სახლებში საკმაოდ გვიან მიბანცალებულ ფერადი ტრაილერების მძლოლებს ტანსაცმელიც არ გაუხდიათ, ისე დურთეს თავი ლოგინებში“.

მწერალმა მშობლიური ენა იმ დონეზეც კი არ იცის, პირველი ორი სიტყვის ნაცვლად იხმაროს ტყეადი, ლაკონური „შინ“. მას ასევე ძალიან ხშირად ეშლება და ვერ გარკვეულა, რა ვითარებასა და გარემოში უნდა მიმართოს მრავლობით ფორმას. დააკვირდით ციტატის კუდს — ერთმა კაცმა ერთდროულად მაინც რამდენ „ლოგინებში“ შეიძლება „დურთოს“ თავი?!

მოკლედ, შინ მისულმა შოფრებმა როგორც კი „დურთეს თავი ლოგინებში“, უმაღ ჩაეძინათ და ორივემ ზუსტად ერთნაირი სიზმარი იხილა.

„ვითომც... ტრაილერის უზარმაზარი საბარგული გარიჟრაჟზე უცებ შუაზე გასკდა და აქეთ-იქით გადაიფცქვნა“.

აბა, როგორი წარმოსადგენია, ტრეილერის რკინისკარკასიანი მისაბმელი ჯერ შუაზე გასკდეს და თან აქეთ-იქით ბანანივით გადაიფცქვნას?!

მართალია, ამას ტელენამყვანი გაიძახის, მაგრამ მწერლის ორი მოთხრობით გამოცდილებადაგროვილი ვგრძნობ, რომ ამ წინადადების კონსტრუქცია ავტორისეულია.

„— ალბათ ღირს იმაზე დაფიქრებაც, რომ საქართველოშიც ჩაყრილ იქნეს საფუძველი მსგავსი ინფრასტრუქტურების ჩამოყალიბების შესახებ“.

მოკლედ, ამ მოთხრობამ საბოლოოდ დამარწმუნა, რომ „ლიტერატურული პალიტრის“ მთავარ რედაქტორს ცოდვიანი ვალდებულება აუღია კისრად: რადაც უნდა დაუჯდეს, მავანთა და მავანთა ბაბმა აჩხრიალოს!!! კეთილი, მაგრამ ტექსტები მაინც ჩაასწორონ! უბედურებაც ეგ არის, არც სამაგისო ცოდნა-გამოცდილება გააჩნიათ და!

ბესო ხვედელიძემ პირველ მოთხრობაში თავს ადამიანის სახე რომ მიანიჭა, მეორე მოთხრობაში კი მკითხველი ასე ანამა, თითქოსდა ამის ჯილდოდ რედაქციამ ახლა რომანი გამოუქვეყნა („უზარმაზარი ბაზარი“, 2005 წ. № 8, 9, 10).

მრავლისმეტყველი ინტერვიუ, რომელიც რომანს უძღვის წინ, მთლიანად გადმომაქვს, რათა მკითხველისთვისაც ნათელი გახედეს ინტერვიუში გამჟღავნებული ავტორის ლიტერატურული მრწამსი და გემოვნება. აი, ეს ინტერვიუც.

„გაჯაჯება“ ანუ ბუზში დანახული სპილო

(ინტერვიუ, როგორც წინათქმა ახალი რომანისთვის „უზარმაზარი ბაზარი“)

— ბესო, მოდი, ჯერ იმაზე ვილაპარაკოთ, რომ მაინც ეს რა „უზარმაზარი ბაზარი“ დაგვინერე?

— ასეთი რამ ჯერ არ დამინერია. თავისებურად ასეთი, თორემ... ლიტერატურული ჟანრების ერთმანეთში აღრევა ყოველთვის მიზიდავდა. ყოველთვის მინდოდა დამენერა ისეთი რამ, რაც ერთდროულად დეტექტივიც იქნებოდა, მელოდრამაც, ფანტასტიკაც, ტრილერიც, პორორიც, მისტიკაც, ეროტიკაც, კომედიაც, ჰიმნოგრაფიაც — წარმოიდგინეთ ყველაფერი ეს ერთად და თან აუცილებლად თანამედროვე სლენგურ-ჟარგონული პროზის ენით, იოლად დაწერილი... „უზარმაზარ ბაზარშიც“ შეძლებისდაგვარად ყველაფერია — ბუნდოვანებით მოცული მკვლელობა, სიყვარული, ძველი ბიჭები, ქალები, ოჯახური კონფლიქტები, სასულიერო პირები, ლალატი, მრავალნაირი ნარკოტიკები, მკრეხელობები, მეგობრობა, სკაბრეზი, გულგრილობა, ერთი ზანგი, სისხლი, სიზმრები გაგრძელებებით... მოკლედ, მგონი, ბაზარი გამოვიდა მართლაც უზარმაზარი...

— ამ ნაწარმოებს რაღაც დამრიგებლობითიც აქვს, არა? ესე იგი, როგორები არ უნდა ვიყოთ ადამიანები...

— მაინც არის ყველა ნაწარმოებში ირიბი გაგებით რაღაც დიდაქტიკური. მაგალითისთვის ავიღოთ ილია ჭავჭავაძის „კაცია ადამიანი?!“ — ძალიან მარტივია იმის მიხედვრა, რას გვეუბნება ეს წიგნი — „როგორი არ უნდა იყო...“ მიახლოებით იგივეა „უზარმაზარ ბაზარშიც“. ამ რომანში ერთ დადებით პერსონაჟსაც კი ვერ გადააწყდება მკითხველი. ყველანი დალდასმულნი არიან ჩვენი დღევანდელი საზოგადოებისთვის ასე „კარგად“ დამახასიათებელი შინაგანი სიბნელით, პატარკაცობით, ამპარტავნობით, ფარისევლობით. ესაა ნაწარმოები ბოლო ათწლეულის მიერ უზომოდ გარყვნილ, უსუსურ კაცუნებზე, რომელთა შორის ლამის ცელით ხელში დაბორილობს (უნდა იყოს დაბორილებს. ჯ.მ.) ხელმოცარულობა, უბედობა და სიკვდილი, ანუ დანაშაულს, რომელსაც ფიქრითაც კი მაინც სწადიხარ ადამიანი (თუნდაც სიზმრად ბოროტობ), ამ ნაწარმოებში ყოველთვის მოიძებნება რაღაცნაირი სასჯელი — აუცილებელი და გარდაუვალი.

— ამ ნაწარმოებში დიდი დატვირთვა აქვს სიზმრებს... ჟარგონის ენაზე რომ ვთქვათ, სიზმრებით „აჯაზებ“...

— სიზმრებს იმდენად ცხადებსა და მკაფიოებს ვხედავ, რომ ხანდახან ახალგამოღვიძებულზე ეჭვიც კი მიჩნდება — იქნებ და ესაა სიზმარი, სადაც ამჟამად ვიმყოფებით, და ამის საპირისპიროდ — სწორედ ისაა რეალობა, რასაც სიზმარს ვეძახით?.. ამოუცნობი ფენომენია სიზმარი. „უზარმაზარი ბაზრის“ სიუჟეტისკენ ბიძგიც სიზმარმა მომცა. ერთხელ სიზმარში უზარმაზარი ძალი მომდევდა. ტყე-ტყე გავრბოდი, ვიკანრბოდი. ცოტაც და, დამენოდა. უცებ გამეღვიძა. მეორე ღამით კი მესიზმრა, რომ მდინარის აქეთა ნაპირზე ვდგავარ. მდინარე აღიდებუღია. მოაქვს ხეები, ნაგავი, მინა. იქით ნაპირზე კი ისევ ის ენაგად-

მოგდებული ძალი ბორგავს, გადმოსვლა სწადია და ვერ გადმოდის. გამელვიდა და ოპა-მეთქი! (უნდა იყოს ჰოპლა-მეთქი! ჯ.მ.) სიზმარი — გაგრძელებებით. იმის მერე ის სულძალიანი სიზმარი აღარ მინახავს, სამაგიეროდ, ეს ყველაფერი შავით თეთრზე ერთგვარ გროტესკში გადავზარდე. მიყვარს გროტესკი — ბუზში სპილოს დანახვა, იგივე „გაჯანება“ დაუჯერებლობამდე — ეს ნერისას, რა თქმა უნდა. ლიტერატურაშიც, ზოგადად.

— ამ რომანის პერსონაჟებზე რას გვეტყობი?

— „უზარმაზარ ბაზარში“ ბევრი საკვანძო პერსონაჟია. ერთი შეხედვით სხვადასხვანაირები — არადა, ამ დროს, ყოველი მათგანი ჩემი ნატეხია, იგივე მე ვარ. თითოეულის ხასიათი, მეტყველების მანერა, შინაგანი სამყარო, აზროვნების სტილი ისევე და ისევე ჩემიდან მაქვს ამოკრეფილი, უფრო ზუსტად კი ჩემი იმ სიბნელიდან, რომელიც ისევე ჩემი, აუცილებელი და ნაღდა, როგორც ფრაზა: „რაღა იგი სინათლე, რასაც არ ახლავს ბნელია“. ერთხელ ერთმა მითხრა — შენს ნაწარმოებში ვის მხარეს დგახარ, არ ჩანსო. რაღა მეშველებამეთქი, ჩამოვართვი ხელი. საკუთარ ნაწერებში „ვილაციისტობა“ რა უბედურებაა — არ მესმის. სხვისი არ ვიცი და, მე ეგ ეტაპი კაი ხანია (მიტინგებზე უაზრო ნაწილისას) რეალურ ცხოვრებაში გავიარე, თუმცა ამ კონკრეტული ნაწარმოების შემთხვევაში სწორედაც რომ ყველასკენ ვარ — ყველა პერსონაჟისკენ, რამეთუ კიდევ ერთხელ ვიტყვი — ყოველი მათგანი მე ვარ.

— ეს ისეთი რომანი ჩანს, წესით და რიგით, უცხოეთშიც კარგად უნდა გავიდეს...

— პარალელურად რუსულად ვათარგმნინებ „უზარმაზარ ბაზარს“. ისეთი თემაა, კარგად უნდა წაილოს, უფრო ზუსტად, ერთნაირად კარგად უნდა წაილოს იქაც და იმის იქითაც. ამის ყოველმხრივი მონაცემი აქვს. მერე ვნახოთ... როგორც რუსები იტყვიან *Поживием увидим!*

— მეც მანდა ვარ.

მიხო მოსულიშვილი

ქვასაც კი კამათს დააწყებინებს ბესო ხვედელიძის ზერელობა და რედაქციის მესვეურთა უყურადღებობა თუ უნიგნურობა.

ავტორი გატაცებით ლაპარაკობს რა თავისი რომანის საკვანძო პერსონაჟებზე, აგერ, რას ამბობს მე-5 კითხვის პასუხისას.

„თითოეულის ხასიათი, მეტყველების მანერა, შინაგანი სამყარო, აზროვნების სტილი ისევ და ისევ ჩემიდან მაქვს ამოკრეფილი, უფრო ზუსტად კი ჩემი იმ სიბნელიდან, რომელიც ისევე ჩემი, აუცილებელი და ნაღვლია, როგორც ფრაზა: „რალაა იგი სინათლე, რასაც არ ახლავს ბნელია“.

ნიგნიერმა მკითხველმა, ცხადია, იცის, რომ ეს არის არა რალაც ფრაზა, არამედ შოთა რუსთაველის აფორიზმი, ოღონდ უმეტართაგან უღეთოდ დამახინჯებულ-გათახსირებული და თავდაყირა გადატრიალებული!!!

სლენგურ-ჟარგონული მანერით მოაზროვნე ავტორისა და რედაქციის დილექტანტ მუშაკთა მიხედვით, რუსთაველი როსტევის პირით თურმე იმას კი არ ამბობს, „რალაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია“-ო, არამედ სრულიად საპირისპირო საშინელებას — „რალაა იგი სინათლე, რასაც არ ახლავს ბნელია“.

აქედან გამოდის, რომ შოთა რუსთაველსაც, ბესო ხვედელიძის მსგავსად, სინათლე სინათლედ არ მიაჩნია, თუ მას თან სიბნელეც არ ახლავს!!!

გაგონილა მეტი სიბნელე და უმეცრება?!

აქ მთავარი უბედურება ის კი არ არის, რუსთაველს აფორიზმი რომ დაუმახინჯეს, არამედ სულ სხვა რამ: ბესო ხვედელიძის აზრით, მისი პიროვნული და აქედან, საერთოდ, ადამიანური სიბნელე დამამცირებელი, მიუღებელი, სამწუხარო, შეურაცხმყოფელი, დასაძლევნი და აღმოსაფხვრელი კი არ ყოფილა, არამედ „აუცილებელი!“

აბა, რალა უნდა ელაპარაკოთ ამნაირად მოაზროვნე მწერალსა და რედაქციას?!

რომანის ავტორი ინტერვიუში თავის სიზმრებზე ისე ვრცლად და დეტალურად, თანაც ისეთი მგზნებარებითა და ბავშვური გულის ფანცქალით მოგვითხრობს, თითქო თავს მართლა რალაც დაუჯერებელი რამ გადახდენოდეს: მაგალითად, თბილისის რომელიმე რესტორანში უცხოპლანეტელებთან ხელგადახვეულს ექეიფოს, ანდა, მკედრეთით აღმდგარ არმან ჟან დიუ პლესი რომელიესთან (1585-1642) ბულონის ტყეში ეფარიკაოს!!!

მე ერთი წამითაც არ მეპარება ეჭვი მისი მონათხრობის სინრფელეში, მაგრამ აი, კითხვა: რისთვის ჰყვება თავის სიზმრებზე, ეს რას აძლევს მკითხველს?

ერთი ნუთით წარმოვიდგინოთ, რომ რესტორანში შესულ კაცს მისი საყვარელი კერძი კი არ მიართვან, არამედ ჯერ მაცივარ-საწყობში ჩაიყვანონ და აღფრთოვანებით აჩვენონ მსხვილი ჩანგლებით ჩამოკიდებული ღორის თვალგულმისასვლელი ფეშხო-ფელიკები — აი, როგორი და რამოდენა ხორცი გვაქვსო!!! მერე? კლიენტს ცვრიანი მწვადი სურს და არა ამოდენა უმი ხორცის ცქერა!!! ამიტომ აქ მთავარი ეს არის: შეუძლიათ თუ არა ამ ხორციდან ცვრიანი მწვადის შეწვა და კლიენტის დროზე და რიგიანად მომსახურება!!!

ასეა ლიტერატურაშიც! მკითხველს სულ არ აინტერესებს, ჩვენს ავტორს სიზმარში ძალი გამოეკიდა თუ კენგურუ გაეთამაშა, სიზმრებს ხშირად ხედავს თუ იშვიათად, მათი ხილვისას იტანჯება თუ ნეტარებს?! მკითხველი სულ სხვა რამეს ელის — ჭეშმარიტად მაღალმხატვრულ პროდუქციას!!!

მწერალი თუ მართლა ხედავს სიზმრებს და მერე მათ რომელიმე თავის ნაწარმოებში გამოყენებისას მადლიანი კალმით გაამხატვრულებს, მაგას რალა ჯობია, ხოლო თუ ნაწარმოებში დასჭირდა, მაგრამ მისადაგებული სიზმარი ჯერ არ უნახავს, ანდა ვერ ნახულობს, ლოდინად ხომ არ გადაიქცევა, მაშინ უნდა გამოიგონოს — აბა, რილას მწერალია! აგერ, ვაჟა-ფშაველას გმირების — ალუდა ქეთელაურის, მინდიას მეუღლის, მზიას და თვით დედა მტრედის სიზმრები რა გამაოგნებელი შედევერულობით არის გადმოცემული, მაგრამ მკითხველი ვერასოდეს გაიგებს და არც აინტერესებს: ვაჟამ მართლა თავის მიერ ნანახი სიზმრები მიაწერა პერსონაჟებს, თუ ეს ყველაფერი მისი პოეტური

ფანტაზიის ნაყოფია. მთავარია, ხელში გენიალური ნაწარმოებები გვიჭირავს!

ან თუგინდ თავის ნაწარმოებებში აღწერილი ყველა სიზმარი ვაჟა-ფშაველას მართლა თვითონ ენახა, ნუთუ მოიძებნება ისეთი მკითხველი და, მით უმეტეს, მწერალი, რომ ჩაიგონოს: ვაჟამ პირდაპირ მზამზარეული სიზმარ-ტექსტები ნახა ღამით, დილით კი დაჯდა და გადაათეთრა მხოლოდ!

მოკლედ, მთავარია არა თვით სიზმრების სინჯვა, არამედ მერე ამ სიზმრების — მართლა ნანახის თუ გამოგონილის — ლიტერატურულ ბრძმედში გადადნობ-გადმოდნობა და მხატვრულ ხარისხში აყვანა!

* * *

როგორც ვხედავთ, რომანის ავტორთან ინტერვიუს უძღვება მწერალი მიხო მოსულიშვილი. შეიძლება მომეჩვენა, მაგრამ მისმა პირველმა კითხვამ — ბესო, მაინც ეს რა „უზარმაზარი ბაზარი“ დაგვინერეო — ცოტა არ იყოს, შემაფიქრიანა: ამ კითხვით იგი თითქო ხელს იბანს და რომანის მხატვრულ-ზნეობრივ ღირსებაზე პასუხისმგებლობას მთლიანად ავტორს აკისრებს. ცხადია, ეს ასეც უნდა იყოს, მაგრამ ნუ დავივიწყებთ შემდეგ გარემოებას: მიხო მოსულიშვილი გარეშე, შემთხვევითი პირი კი არა, აქ საგანგებოდ მოწვეული რედაქტორია, თანაც ლიტერატურული ჟურნალის (!) მთელ რედაქციაში ერთადერთი (!!!) მწერალი! მიუხედავად იმისა, მე არ ვიცი ამ რედაქციაში მისი მოვალეობა-ვალდებულებებისა და გავლენის წვრილმანები, მაინც უნდა ვივარაუდოთ, რომ ჟურნალში გამოქვეყნებული ნაწარმოებების მხატვრულ, ზნეობრივ თუ ესთეტიკურ ღირსებაზე გარკვეული პასუხისმგებლობა, ალბათ, მასაც ეკისრება. ამიტომ, ჩემი აზრით, იგი ახლა, თანაც მკითხველის თანდასწრებით კი არ უნდა იგებდეს — ისიც ავტორისაგან (?!) — რა დაწერილა, არამედ უკვე საფუძვლიანად იცნობდეს რომანს და ზოგ რამეზე ეკამათებოდეს, ან თუ გნებავთ, არ ეთანხმებოდეს კიდევ. მაგრამ შეკამათებას ვილა დაეძებს! დახედეთ, ინტერვიუს ბოლოს რას ამბობს მიხო მოსულიშვილი, საით უბიძგებს ავტორს.

„ეს ისეთი რომანი ჩანს, წესით და რიგით, უცხოეთ-
შიც კარგად უნდა გავიდეს“.

ამის წაკითხვამ გამახებტა. ინტერვიუერი წელან ჯერ თვითონ ავტორს ეკითხებოდა — ეს რა რომანი დაგვიწერეო, ახლა კი იმასაც ვერ ამბობს გაბედვით, ეს ისეთი რომანი არისო და ერთგვარი თავდაზღვევის მიზნით რალაც ზოგადად და ბუნდოვნად გაიძახის: ეს ისეთი რომანი ჩანსო!

რას ჰქვია ჩანს, როგორ თუ ჩანს? მაგრამ ვაითუ შორიდან კარგად არა ჩანს და რალაც გვეშლება, მერე? ამაზე ვინ აგებს პასუხს?

მოკლედ, ამ რომანში მე ვერსად ვიპოვე მიხო მოსულიშვილის ამგვარი ოპტიმიზმის საფუძველი. ისე კი, ჩემი მხრიდან უსამართლობა იქნებოდა, ოპონენტს ერთ რამეში მხარი არ დავუჭირო: ამ რომანს უცხო ენაზე თუ მადლიანად თარგმნიან, მაშინ ნაწარმოებს მშობლიური ენის ჩიქორთულობა შემჭკნარი ყვავილის ფურცლებივით მოშორდება და სხვათა ენაზე უკეთესად იფლერებს!

ინტერვიუს პირველივე პასუხიდან ნათელი ხდება, მწერალს როგორ ჰყვარებია სხვადასხვა ჟანრის ერთმანეთში დომხალივით აღრევა. ავტორის ალტაცებული პასუხიდან იმასაც ვგებულობთ, რა და რა ელემენტებს შეიცავს მისი რომანი. მაგრამ ერთი რამ ვერ გამიგია და იქნებ რომელიმე ოპონენტმა ამიხსნას: რედაქცია რის საფუძველზე ასკენის, რომ თანამედროვე ქართული ლიტერატურის განვითარებას და ეროვნული თვითგადარჩენისთვის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაბმულ საზოგადოებას სწორედ ეს, როგორც თავად ავტორი იკვებნის, „აუცილებლად თანამედროვე სლენგურ-ჟარგონული პროზის ენით, იოლად დაწერილი“ რომანი წაადგება და არა ტანჯვანვალეებით, თავანკარა ქართულით შექმნილი ნაწარმოები?

ამ „სლენგურ-ჟარგონული“ რომანის ოქროს გასაღებს თვითონ მიხო მოსულიშვილი გვაძლევს, რომელიც, აგერ, რას ეუბნება ავტორს.

„ამ ნაწარმოებში დიდი დატვირთვა აქვს სიზმრებს...
ჟარგონის ენაზე რომ ვთქვათ, სიზმრებით „აჯაზებ“...“

და მართლაც, ნაწარმოების პერსონაჟებს ერთნაირი შინაარსის სიზმრები უნახავთ ერთსა და იმავე, რომანის ერთ-ერთ გმირზე, თანაც მის დალუპვამდე ცოტა ხნით ადრე და მერე ერთმანეთს გაოგნებულები უამბობენ თავ-თავიანთ ნაწახ სიზმარს. რომანიც თავიდან ბოლომდე სულ ამ თარგზეა აგებული!!! ხომ წარმოგიდგენიათ?

მწერლები კი უჩემოდაც მიხვდებიან, მაგრამ იქნებ რიგითმა მკითხველმაც წარმოიდგინოს, რანაირი ელვარე ტალანტი, სიუჟეტის ჯადოქრობა, ენის ცოდნა, სტილი და ფანტაზია იქნება საჭირო, ავტორმა ამ უსაშველო ერთფეროვნებას მხატვრული სული რომ შთაბეროს, ააფეთქოს და ჭეშმარიტ ლიტერატურულ ორბიტაზე თუგინდ რამდენიმე წრის შემოსავლებად გაიყვანოს!

ხელში კი რა შეგვრჩა? ერთფეროვანი, თითებიდან გამონოვილი თავშესაწყენი და რალაც დაგეგმილი რაოდენობის ფურცლების შესავსებად გაწელილი მდარე ტექსტი, რომელსაც მხატვრულობის არაფერი სცხია. ამის ასე დამტკიცება შეუძლებელია. ამაში რომ დარწმუნდეს მკითხველი, ორად ორი რამეა საჭირო: მხატვრული ლიტერატურის ინჩიბინჩი გაეგებოდეს და მთლიანად წაიკითხოს რომანი.

მე ახლა ენობრივ მხარეს შევეხები, თუმცა ეს თავისთავად ნაგვახახუნებს მხატვრულობასთანაც, ვინაიდან გამართული ენის გარეშე წარმოუდგენელია ნებისმიერი ჟანრის მხატვრული ნაწარმოების და, მით უმეტეს, რომანის შექმნა.

ინტერვიუში პირველი კითხვის პასუხს მწერალი ასე აბოლოებს. „მოკლედ, მგონი, ბაზარი გამოვიდა მართლაც უზარმაზარი“.

წინადადება ქართული ენა-მეტყველების ბუნებისთვის სრულიად მიუღებელ ყაიდაზეა აგებული. უნდა იყოს „მოკლედ, მგონი, მართლაც უზარმაზარი ბაზარი გამოვიდა“.

„ავილოთ ილია ჭავჭავაძის „კაცია ადამიანი?!“ — ძალიან მარტივია იმის მიხვედრა, რას გვეუბნება ეს წიგნი“.

უნდა იყოს „კაცია-აღამიანი?!“ წინადადებებს შორის სრულიად უადგილოდ არის ჩაჩრილი ტირე. თანაც „კაცია-აღამიანი?!“ მოთხრობაა და არა წიგნი.

„დანაშაულს, რომელსაც ფიქრითაც კი მაინც სჩადიხარ აღამიანი“.

ეს რა ჯორის ტლინკებივითაა ერთმანეთზე უაზროდ მიყრილი „ფიქრითაც კი მაინც“. ამ კონტექსტში უნდა იყოს „დანაშაულს, რომელსაც ფიქრით მაინც სჩადიხარ აღამიანი“. თანაც, თუ გვექნება სიტყვა „სჩადიხარ“, მაშინ აქ ზედმეტია „აღამიანი“, ხოლო ავტორს თუ ამ სიტყვის შენარჩუნება ენადა, მაშინ უნდა ეხმარა „სჩადის“.

„იმის მერე მე ის სულძალიანი სიზმარი აღარ მინახავს“.

უნდა იყოს სულძალი და არა სულძალიანი. ორთოგრაფიულ ლექსიკონში ეს კატეგორიულად არის მითითებული.

მეოთხე კითხვის პასუხისას ავტორი ერთგან ამბობს.

„მე ეგ ეტაპი კაი ხანია ... გავიარე“. უნდა იყოს კარგა ხანია.

„პარალელურად რუსულად ვათარგმნინებ „უზარმაზარ ბაზარს“. ისეთი თემაა, კარგად უნდა წაილოს“.

რა უნდა წაილოს, სად უნდა წაილოს, როგორ თუ წაილოს?! მართალია, ავტორი დასაწყისშივე მოგვითხრობს თავისი რომანის „სლენგურ-ჟარგონულ“ ენაზე, მაგრამ მკითხველებს ინტერვიუში მაინც არ უნდა ელაპარაკოს გამართული ქართულით?!

„Поживем увидим!“ — მწერალი ასე ამთავრებს ინტერვიუს.

უნდა იყოს „Поживем, увидим!“ ან „Поживем—увидим!“

გადავდივარ რა თვითონ რომანის ენაზე, მკითხველს უნდა ვაუწყო: რაკი ნაწარმოები „სლენგურ-ჟარგონულია“, ამიტომ მეც აღარ შევეხები ავტორის მიერ შეგნებულად ნახმარ ჟარგონულ და უხამს გამონათქვამებს. აქ მხოლოდ შემდეგ მომენტებზე გავამახვილებ ყურადღებას: რომელიმე სიტყვა, ფრაზა თუ წინადადება ავტორსა და რედაქციას გამართული ქართული რომ ჰგონიათ, სინამდვილეში კი შეცდომიანია.

რომანის ენა — ავტორისეული თხრობა თუ დიალოგები — მეტად მჩატეა, გამოფიტული, უძარღვო. ბევრ წინადადებას და ფრაზას, გასატყავებლად თავდაყირა ჩამოკიდებულ ბატკანს რომ მოგაგონებთ, არაბუნებრივი კონსტრუქციისგან ასთმიანი-ვით ეხუთება სული, რის გამოც მკითხველის გემოვნებას და თავმოყვარეობას ისე აჯაყჯაყებს, როგორც ახალთახალ „მერსედესს“ სოფლის მინგრეულ-მონგრეული, ოღროზოღრო შარაგზა. ამას კი სავალალო შედეგი მოსდევს: ნანარმოებს უსპობს მხატვრულობის პრეტენზიას, მკითხველს კი ტვინს უღლის, ალიზიანებს და გულისწყრომით განანყობს ამგვარი წინადადებებისადმი, მთლიანი რომანისადმი, ავტორისადმი, დაბოლოს რედაქციის მესვეურებისადმი, რომლებმაც ჯერ ასეთი მდარე, „სლენგურ-ჟარგონული“ მასალა შეუკვეთეს, მერე კი თავიც არ შეინუხეს, ტექსტი ენობრივ-სტილისტურად მაინც გაემართათ, გაუკულმართებული კონსტრუქციით შედგენილ წინადადებებში სიტყვების უმტივიწეულო, მარტივი გადასმ-გადმოსმით მათთვის ქართული ჰაეროვნება და ჟღერადობა შთაებერათ. მოუსმინეთ:

„დაუჯდა უცებ ჭკუაში გიგის“.

„ემშაკი მიზის უზარმაზარი სულში“.

„უკვე მხოლოდ ცარიელი ადგილი ხარ ნანასთვის“.

„აძგიბა გაკვირვებით ნარბები გიგის დედამ“.

„გაახსენდა უცებ ანდროს“.

„შეეკითხა იქვე რეზო“.

„გასცა პასუხი იმავნაირი ყვირილით ქალმა“.

„გაიშვირა მღვდელმა პასუხად ხელი კუბოზე ამოტვიფრული ჯვრისკენ“.

„გაუმკაცრდა ხმა ხუტას“.

„ორსართულიანი ხინკალი ხეთქა ოზდაათი (უნდა იყოს ოცდაათი. ჯ.მ.).“

„კუჭი არ დაუტოვებია ცალის“.

„თქვი, თორემ გამოგჭერი ყელი ღორივით!“

„აუნია ვილაც-ვილაცებს ხელი ხუტამ“.

„უკვე ხელის ჩამორთმევას ძლივს ვასწრებდით“.

„ავგინია ყველას ხელი ხუტამ“.

„მოუთათუნა მხარზე ხელი ანდრომ რეზოს“.

„გაძალა ხელები რემიზიმ უკმაყოფილოდ“.

„გაიმართლა თავი ანდრომ“.

„მომივიდა უცებ თავში აზრად“.

„— მინდა მე სიზმრები და ოცნებები?“

„— შენ საიდან იცი ყველაფერი ეს?“

„— მინდა ტელევიზორი და მსოფლიო პრობლემები?“.

„ჩაკოცნა ანდრომ გიგი“.

„დაიწყო მოყოლა რეზომ“.

„— მე თქვენ ნახეთ რა გიყოთ!“

„— მე შენ ნახე რა გიყო!“

„გავღიზიანდი უცებ მე“.

„შეეპარა ბზარი ხმაში თამროს“.

„ლამის ყველამ აკოცა კალეს გამოთხოვების ნიშნად შუბ-
ლზე“.

„დავდექი მე ქალების მხარეს“.

„შემომესმა უცებ მაკას ღიმილიანი წამოძახილი ჩემი მისა-
მართით“.

„დაიწყო ბრძენის იერით ახსნა რეზომ“.

„— მინდა მე პერესტროიკები და ამბები, ტო?“

„მერე რალაც იარაღებით იყო სავსე სეიფი“.

„გავამართლე მე ქმარი“.

„დააბრეხა მაკამ და დოგთან ერთად ხალხის ნაკადში გალ-
ნეული კიბეზე დაეშვა“.

„მკაცრად მიიღო თითი ტუჩებზე გოგიმ“.

აი, ასე — მთელი რომანის მანძილზე!

ავტორი ვერა და ვერ გარკვეულა, რომ თავის გაქნევა უარს
გამოხატავს, თავის დაქნევა — თანხმობას. ამიტომ როგორც
ფეხადგმის მონადინე ბავშვი ჭოჭინას, ისიც ყოველ ნაბიჯზე
ისე ეყრდნობა მკითხველის მოთმინებიდან გამომყვან ამ „თანხ-
მობის ნიშნად“... „უარის ნიშნად“... „თანხმობის ნიშნად“...
„უარის ნიშნად... და ასე — უსასრულოდ!

„მე თავი უარის ნიშნად გავაქნიე“. „მე თავი თანხმობის
ნიშნად დავუქნიე“. „ანდრომ თავი უარის ნიშნად გააქნია“.
„თავი თანხმობის ნიშნად დავუქნიე“. „მეც თავი უარის ნიშნად
გავაქნიე“. „მერე თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე“...

„ბინის კარი გასაღებით გავაღე და შევედი“.

რა საჭიროა აქ სრულიად უადგილო და ზედმეტი სიტყვა „გასაღებით?!“ როგორ მაინტერესებს ავტორის აზრი: აქ სიტყვა „გასაღები“ რომ არ ეხმარა, მკითხველი მაინც რას იფიქრებდა, რომანის მთავარი პერსონაჟი, აბა, სხვა რით გახსნიდა საკუთარი ბინის კარს: თითით, კალმით, დანის წვერით, ასანთის ღერით, სავარცხლით, სიგარეტით, სადარბაზოში ნაპოვნი ჩხირით, ლურსმნით, თხოვნით, მუქარით, მოფერებით თუ შელოცვით?!

წინადადებაში უადგილოდ ჩაჩრილმა ამ ერთადერთმა სიტყვამაც კი ნათელყო — ავტორს ჯერ არ გააჩნია წერის ელემენტარული კულტურა და ოსტატობა. გარდა ამისა, რაკი „გასაღებს“ ახსენებს, მაშინ უნდა ეხმარა „გავხსენი“ და არა „გავაღე“. რამის, მაგალითად, სარკმლის, განჯინის და მისთ. გაღება საკეტსა და გასაღებს არ საჭიროებს!

„ფეხით ავიარე კიბე და ზარი დავრეკე“.

აქაც იგივე! რალა საჭირო იყო აქ სიტყვა „ფეხით?!“ ისედაც ცხადია, თუ აიარა საცხოვრებელი კორპუსის კიბე, ფეხით აივლიდა და არა ცხვირით, ნიკაპით, ხელებით, თითებით, მხრებით თუ ყურებით! მაგრამ ავტორს არ შეუძლია, არ ესმის, არ გააჩნია მინიმალური ოსტატობა, რომ მკითხველს მოკლედ და მადლიანად უთხრას: „ავიარე კიბე და ზარი დავრეკე“.

რა გამოდის? თუ ხვედელიძისეულ ამ „სტილს“ დავამკვიდრებთ, მაშინ უნდა მივაყოლოთ და ვწეროთ: „კარი გასაღებით გავხსენი“. „კიბე ფეხით ავიარე“. „ცხვირსახოცი ხელით ამოვიღე“. „ჰაერი ცხვირით შევისუნთქე“. „ლუკმა კბილებით გავღეჭე“. „მტერედი თვალებით დავინახე“. „მუსიკას ყურებით ვისმენდი“. „კალამი ხელით ავიღე“. „წყალი პირით დავლიე“, „ქუდი თავზე დავიხურე“. „ხენება პირიდან ამოუშვა“. „სტუმარი ენით ალაპარაკდა“ და ა.შ.

„ეზოში, ჩემი კორპუსის წინ, ოთხფეხა ძაღლები გროვდებოდნენ“.

ეს რალა არის: რამე სიახლე თუ „სლენგურ-ჟარგონული“ ფოკუსი? ვინმეს უნდახავს სამფეხა, ხუთფეხა, ან ასფეხა ძაღლი?

„ფეხებთან უზარმაზარი, ქამრებით გადანასკვეული ჩემოდანი ელო“.

ეს უზარმაზარი ჩემოდანი, როგორც წესი, ბალთიანი ქამრებით გადანასკვეული კი არ იქნებოდა, არამედ შეკრული.

„მაღალ კედლის სარკეში ჩავიხედე“.

უნდა იყოს „კედლის მაღალ სარკეში ჩავიხედე“. ისე კი, „მაღალ კედლის“ სარკეს ტრიუმო ჰქვია.

„მაკა თვალებში ჩამცქეროდა და მივხვდი, რომ ასე მაგრად არც არასოდეს მენახა“.

რას ნიშნავს ეს „ასე მაგრად?“

„— სულ გამორჩენაზე რატო ფიქრობ?
— მიტო“.

უნდა იყოს მიტომ, ან იმიტომ, მიტომაც...

„კაი (უნდა იყოს კარგა. ჯ.მ.) ხანს იცადა, ვიდრე დაცვამ არ ჩაიარა. ფანრებით (უნდა იყოს ფანრებით. ჯ.მ.) შეიარაღებულები შეზარხოშებულები ჩანდნენ და რალაცას უხეიროდ ღიღინებდნენ“.

რას ნიშნავს „ფანრებით შეიარაღებულები შეზარხოშებულები ჩანდნენ?“

„— მოვიპარავო მაშინაო“.

უნდა იყოს „— მაშინ მოვიპარავო“.

„ნუ დამაპატარავებენ და ნუ დამაკომპლექსებენ! ამ წერილს კიდევ ნაკუნ-ნაკუნ დავხევე. აი, ასე! აი, ასე დავაქუცმაცებ და ფანჯრიდან ერიჰაა!“

ამგვარი პათოსის მქონე წინადადებაში რა შუაშია ან რის მაქნისია ეს შორისდებული „ერიჰაა?!“

„— ფანჯრიდან გიყურებდი, როგორ მოდიოდი ნეორეალისტურად“.

საინტერესოა, როგორი იქნება ეს ნეორეალისტური სიარული?!

„ჩემს ნაცნობებს უმალ წითელი ხიზილალას მონატრებით ექავებათ გემოვნების ჯირკვლები“. — ეუბნება თავის საყვარელს, მწერალ კოკა იაშვილს რომანის ერთ-ერთი პერსონაჟი ქალი,

სახეჭორფლიანი მაკა და მერე ამ ნათქვამს მოაყოლებს გრძელ ახსნა-განმარტებას. მოუსმინეთ, თუკი მოსმენას შეძლებთ.

„— მაგრამ მათი ეს სურვილი იმდენად დიდია, რომ ის ყველას სიზმრებში აღწევს ფაიფურის ლარნაკებში ჩახვავებულის სახით და ეს ყველაფერი იმისათვის, რომ ჰორიზონტიდან ჰორიზონტამდე გაშლილ სიბრტყეში მოფათურე ხმაურებს კიდევ ერთი უმკრთალესი ხმა შეემატოს — ეს სასაზე ენით ასრესილი ხიზილალას ბუშტუკის (უნდა იყოს მარცვლის. ჯ.მ.) ხეთქვის ხმა და ექოა. ჩემი უეჭველი ჭორფლიც მეტად ახლობლურად პულსირებს ყოველ ამგვარ ჩქამზე. თან ხომ თოვლიც მიყვარს, რომელზეც გულადმა გართხმულს თაკარა მზე სხეულს ისე მიმუქებს, რომ არათუ კანი — ძვლები, ხორცი და სისხლიც კი თავის ნამდვილ ფერს კარგავს და ყველასთვის აუტანლად უცხო და აქედან გამომდინარე საინტერესო ვხდები. მამაკაცებს, რომელთაც სულ რაღაც ერთი კვირის წინ ჩემზე ტვინის არც ერთი შრით არ ეფიქრათ, უკვე ენაზე მოკონწიალე ზედსართავი სახელით უმძიმდებათ სახე და ჩემს ალაღად გამომზეურებულ ბარძაყებს ნებოვანი მზერით ირეკლავენ. მე ხომ მათთვის ოდენ ხიზილალას ბუშტუკა ვარ, ენით სახეთქი!“

სხვისი არ ვიცი, მაგრამ, ჩემი აზრით, ეს ჟურნალის არაკომპეტენტური მესვეურების მხრიდან ნამდვილი ბარბაროსული ძალადობაა სრულიად უდანაშაულო მკითხველის მხატვრული გემოვნებისადმი!!!

„მე უკანა სკამზე გავიშხლართე“.

მსუბუქ ავტომანქანას აქვს უკანა სავარძელი და არა უკანა სკამი.

„— ჩიტებისაც? — დამცინავად გადმომეკითხა ანდრო ცოტა ხანში“.

ნეტავი, ავტორს ვინ ასწავლა ან სად ამოიკითხა სიტყვა „გადმომეკითხა?“ შემომეკითხა მაინც ეხმარა. თანაც უნდა იყოს ცოტა ხნის შემდეგ და არა ცოტა ხანში.

„— ორი იადონი მყავს“. — ამბობს ტაქსის შოფერი, რომელსაც იმავე იადონებზე მალე აი, რას ათქმევინებს ავტორი. „ჩემ (უნდა იყოს ჩემს. ჯ.მ.) ბიჭს მოუტანეს“.

ტაქსისტი, რომელმაც იადონებზე წელან თქვა თუ ავტორმა ათქმევინა — მყავსო, მერე აღარ იტყოდა, ანდა ავტორს აღარ უნდა ეთქმევინებინა, მოუტანესო. მჯერა, ტაქსისტი იტყოდა, მოუყვანესო, მაგრამ ავტორმა ყველაფერი აურ-დაურია.

„—სად მქონდა? — შფოთში ჩავარდა ანდრო“.

რა არის შფოთი? აი, ლექსიკონის პასუხი: ალიაქოთი, არეულობა, აურზაური, ჩხუბი. ჯერ ერთი, რანაირი ქართულია „შფოთში ჩავარდა“ და მეორეც, საამისო იქ არაფერი ხდება — ძმაკაცები ერთ-ერთი მათგანის მსუბუქი ავტომანქანით საქმეზე მიდიან და ერთმანეთში მასლაათობენ. იმ გარემოს გაკვირვება ესადაგება და არა შფოთი.

„შენი ბეკერი რათ ვარგა, კლავიშები აქვს ჩავარდნილი“.

უნდა იყოს რად და ჩაცვივნული.

„არა აქვს ფული და სულაც კიდიო“. უნდა იყოს ჰკიდიოო.

„ვალეში ვიყავი კისრამდე. რომც გადმოვეფერთხე, გროშსაც ვერ ეღირსებოდა ჩემგან“.

ამ კონტექსტში ასე უნდა იყოს: რომც გადმოვეფერთხე, გროშიც არ ნამომვარდებოდა, ან გროშსაც ვერ მიპოვიდაო.

„სახლში ჯერ არ მიმესვლებოდა: ადრე იყო — ლოლას ეძინებოდა და კარს არ გამიღებდა“.

ავტორისაგან ხოტბაშესხმული „სლენგურ-ყარგონული“ ენა ნუთუ წერისას ყოველგვარი პასუხისმგლობისგან გვათავისუფლებს და რაც კალმის წვერზე მოგვადგება, გაუჩხრეკავად უნდა გადავიტანოთ ქალღმერთზე: დააკვირდით ბოლო წინადადებას — „კარს არ გამიღებდა“. ქალს თუ ეძინებოდა, კარს როგორღა გაუღებდა?

„თითქოს მოეთრა“. უნდა იყოს მოეთრია.

„გამიღიმა და მუნჯური უესტებით რაღაც მითხრა“.

ვინმეს გაუგონია ხმოვანი, ბგერითი უესტი? უესტი თა-ვისთავად მუნჯურია!

საკმარისი და უფრო ნათელი იქნებოდა: გამილიმა და მუნ-
ჯურად რალაც მანიშნაო. მაგრამ ავტორს თუ მაინცდამაინც
ეს ყესტი მოსწონს, მაშინ სიტყვა „მუნჯური“ სულ ზედმეტი
გამოდის.

„ქელები ამბები აღრიანად უნდა გაგვერკვია“.

ჯერ ერთი, რომანში ქელების ამბებზე კი არა, თადარიგზეა
ლაპარაკი და ამ „ამბებს“ გარკვევა კი არა, უკვე მოგვარება
უნდოდა.

„ზოგი გაზეთებში გავარდა ნეკროლოგის მისაცემად“.

აბა, როგორ მოგწონთ ეს გაზეთებში გავარდნა?! ეეჰ!...

„მაინც ვერ დამკერა“. — უნდა იყოს „მაინც ვერ შემკერა“.

ავტორს იმ მოთხრობებშიც და ამ რომანშიც დაუსრულებლად
სულ ერთმანეთში ერევა ზმნისნინები იქვე და მაშინვე.

იქვე — ვე-ნანილაკიანი იქ — იმავე ადგილას.

მაშინვე — ვე-ნანილაკიანი მაშინ — დაუყოვნებლივ, იმ-
ნამსვე, იმავე დროს.

„თქვა იქვე და გადაკრა“. უნდა იყოს გადაჰკრა.

„იკითხა იქვე და მეორე ჭიქაც გადაკრა“. უნდა იყოს გადაჰკ-
რა.

„გადმოგისხამთ... ვუთხარი იქვე, კანისტრა გამოვართვი და
უკან ნამოვედი“.

„-- შენ გაიხარე, კოკა ბატონი... — დაიმორცხვა იქვე“.

„— კუბოზე ვინ ირბენს?

— ჩვენ, ალბათ, — ვუთხარი იქვე.“

„— ვაა, შემოდით! — გაეხარდა ჩვენი დანახვა და იქვე მი-
ვხვდი, რომ არაფერი იცოდა“.

„— რა ვქნათ? — ჩაილაპარაკა თავისთვის და უცებ იქვე
გაიხსენა, — ა, მაიცა“.

„— რუჩკები ექნება? — შეეკითხა იქვე რეზო“.

„— ძაან სერიოზული მამაოა, არა? — ვკითხე თან“.

„მამაო“ მღვდლისადმი მხოლოდ მიმართვისას იხმარება.

„სიგარეტს ძალიან ღრმა ნაფაზი დაარტყა“.

რა შუაშია აქ სიგარეტი? მწვეელი სიგარეტს, სიგარასა თუ
ჩიბუხს კი არა, ნაფაზს თავისთვის დაარტყამს ხოლმე ანუ თამ-

ბაქოს მოზიდულ ბოლს ღრმად ისუნთქავს და ფილტვებში უშვებს.

„შემომხედა აფორაჯებულმა“. უნდა იყოს აფორეჯებულმა.

„მინათიები ოთახისკენ გაემართა“. უნდა იყოს მითითებული.

„ან არ ცივათ ამ თოვლში?“ უნდა იყოს სცივათ.

„უკან მიყეო“. უნდა იყოს მიჰყეო.

„ხელს მოკიდებ“. უნდა იყოს მოჰკიდებ.

„აი, ჩელენტანოს რო დაყავს“. უნდა იყოს დაჰყავს.

„მომესმა უკნიდან“. უნდა იყოს უკანიდან.

„სად წაეთრა ლოლა?“ უნდა იყოს წაეთრია.

„ეს რა სიზმრებს ყვებიან“. უნდა იყოს ჰყვებიან.

„— პერედოზიო, ექიმებმა, — ვთქვი მე, — პრაკოლიც ვერ უპოვეს...“

აი, ასეთი ლექსიკით მეტყველებს პირველი პირით მთხრობელი მთავარი გმირი, მწერალი კოკა იაშვილი, წარამარა რომ იძახის, რომანი უნდა დაწეროო! წარმოდგენილი მაქვს, რანაირი იქნება ამგვარი მოქართულე კაცის მიერ დანერილი რომანი!

აი, კიდევ ორიოდ ნიმუში კოკა იაშვილის მეტყველებიდან.

„— ავიდეთ, დავკრუგოთ. — შევთავაზე მერე“... „დავავი ახლა, დროზე აქედან!“

„ლიმონათი მოვყლუპე“. „მე... ისევ ლიმონათი მოვყლუპე“.
— ესეც ისევ მწერალი კოკა იაშვილია.

ეს მოვყლუპე რალა უბედურებაა?! ავტორი რას უწუნებს სიტყვებს — მოვსვი, მოვხვრიპე, მოვწრუპე, ერთი ყლუპი დავლიე, ერთი ყლუპი მოვსვი... თუმცა ბოდიში მომითხოვია: აქ ხომ „სლენგურ-ყარგონულ“ ენასთან გვაქვს საქმე, ეს კი თურმე სრულ უფლებას განიჭებს, როგორც გინდა, ისე დააფურთხო მშობლიურ ენას!

„მე ფანჯარა ჩავნიე“. ავტომობილის კარს უბრალოდ, მინა აქვს და არა ფანჯარა.

„კუბო სალამოს ჩამოვიტანეთ რეზოს მანქანით და კალე ფრთხილად ჩავანვინეთ. ზუსტად ჩაეცია. პირდაპირ კალეს ზომაზე იყო გამოთლილი“.

ავტორი ისე უსულგულოდ წერს, ჩავანვინეთო, თითქო მიცვალებულზე კი არა, დაცარიელებულ სუფრაზე ჩათვლემილ თამადაზე, მსუბუქად დაჭრილ ჯარისკაცზე, ანდა დედის მკლავებზე მიძინებულ ბავშვზე ლაპარაკობდეს. ნუთუ მართლა არ იცის ან ყური მაინც არსად მოუკრავს, მსგავს შემთხვევაში რომელ სიტყვებს ხმარობენ ხოლმე: ჩაასვენეს, წაასვენეს, მოასვენეს, გადაასვენეს, გადმოასვენეს, აასვენეს, ჩამოასვენეს, დაასვენეს... ან ეს რაღაა: უგულისყურობა, ყოფითი უმეცრობა თუ „სლენგურ-ჟარგონული“ აბუჩობა — კუბო და გამოთლა?! კუბო კოვზია თუ ჩონგური, რომ გამოთალონ. თუ მართლა არ იცოდა, ვერ იგუმაანა მაინც — კუბოს აკეთებენ, შეკრავენ ხოლმე თუ „გამოთლიან?“ ნუთუ ტელევიზორში მაინც არ მოუკრავს ყური: სასაფლაოებზე ლამლამობით მალულად დასვენებულ უპატრონო მიცვალებულებისთვის ოთხი გაურანდავი ფიცარიც კი არსად მოიძეება და იმ უბედურებს ცელოფნის ტომრებში გადახვეულებს ჯგუფურად მარხავენ. ვისა აქვს მაგისი ხარჯი და ნუთისოფელი, მთლიანი ხისაგან გამოთლილი კუბოებით დაასაფლაონ მიცვალებულები. საგანგებოდ გამოთლილი კუბო მხოლოდ გამორჩეულთა ფუფუნება იყო. „ჩინგიზ-ხანი დიდი ხანია თან ატარებდა მთლიანი მუხის კოტრისაგან გამოკვეთილ და შიგნიდან ოქროგამოკრულ კუბოს“. (ვ. იანი, „ჩინგიზ-ხანი“, 1958 წ. გვ. 364).

„მაკა ამ ყველაფერს კი არ ყვებოდა, მიმღეროდა“. უნდა იყოს ჰყვებოდა.

„— მგონი, ორსულად ვარ.

წარბები კეფაზე ამივიდა“.

წარბები კეფაზე? ეს მეტიმეტი ხომ არ გამოდის?

„ოთახში დოგი შემოვიდა და ბორბლებიანი ლანგრით ორი ჭიქა... ჩაი შემოაგორა“.

ლანგარი ხომ დიდი, ბრტყელი ან ოვალური თეფშია და ბორბლებიანი თეფში?

„გიგის ხელისგულზე პატარა ფუნჩხა დაუყარე“.

ჯერ ერთი, ფუნჩხა კია არა, ფინჩხა უნდა იყოს, თანაც ეს სიტყვა კუთხურია. ჯობდა ეხმარა ნამცეცი, ნაფშვენი, ნაფხვენი, მნიკვი, ნება...

„ვისნავლე ბოლო-ბოლო“. უნდა იყოს ბოლოს და ბოლოს.

„ეს სურათი რატო კიღია იქ?“ უნდა იყოს ჰკიღია.

„ფარდებსაც დაკიდებენ“. უნდა იყოს დაჰკიდებენ.

„რეზომ მანქანა მოქოქა“. „მღვდელმა... მანქანა მოქოქა“.

უნდა იყოს დაქოქა.

„ხმამაღლა ჩამოკარი“. უნდა იყოს ჩამოჰკარი.

„მე კმაყოფილად გავიღიმე“. უნდა იყოს კმაყოფილებით.

„ყველას შუბლები დაგვიკოცნა“.

როგორ მაინტერესებს გავიგო, ავტორისა და რედაქტორის აზრით, ერთ ადამიანს, ინდივიდს მაინც რამდენი „შუბლები“ შეიძლება ჰქონდეს?!

„დააბრეხვა უცებ გოგიმ“. სიტყვას „დააბრეხვა“, ასნილ ჯობდა ეხმარა ნამოროშა, ნამოაყრანტალა, ნამოიყბედა.

„იკითხა ანდრომ ცოტა ხანში“. უნდა იყოს ცოტა ხნის შემდეგ.

„ჩვენ კარში პენალტია“. უნდა იყოს ჩვენს.

„სოჩაში ან დაგომისში“. უნდა იყოს სოჭში.

„გადმოდიან ჩვენ ნახევარზე“. უნდა იყოს ჩვენს.

„ცდება ჩვენს კარს“. უნდა იყოს სცდება.

„— მიდი-მიდი. — შევაგულიანე ანდრო“. უნდა იყოს მიდი, მიდი!

ავტორი აღტკინებული მაცურებლებით გაჭედულ სტადიონს გვიხატავს.

„ტყდება სტვენა“...

რას არ ნაიკითხავს კაცი! კოკა წყლის გზაზე ტყდება, დამნაშავე დანაშაულში ტყდება, ვაჟუკაცის გული არ ტყდება, მტერი ტყდება, ჯოხი უდანაშაულოზე ტყდება, მზის სხივები ლინზაში ტყდება, დაჩაჩანაკებული მოხუცი ტყდება, ციხე შიგნიდან ტყდება... მაგრამ სტვენა როგორ, რანაირად შეიძლება ტყდებოდეს — კოკაა თუ ქურდი?!

უნდა იყოს „ატყდა სტვენა“ და არა „ტყდება სტვენა“.

მწერალი ფეხბურთის მატჩის მსვლელობაზე გველაპარაკება.

„ორი შეცვლა ქნა ჩივაძემ“.

მთავარმა რედაქტორმა ამ რომანის დაბეჭდვა რომ ქნა, ეს არის უბედურება, თორემ ჩივაძე, ალბათ, ორჯერ მოახდენდა

შეცვლას, ორ ფეხბურთელს შეცვლიდა, ორჯერ შეცვლიდა ფეხბურთელს...

„გათოშილ ფეხებს ერთმანეთზე აბაკუნებდა“.

ერთმანეთს უბარტყუნებდაო, ასე მაინც დაენერა, თორემ გა-
თოშილი, ჩექმებიანი ფეხები ერთმანეთზე რომ აბაკუნოს მანდი-
ლოსანმა, ხომ წარმოგიდგენიათ, რა დღე დაადგებათ ფეხებს!

„უკანა სადარბაზოდან ხარხარით გამოვვარდი“.

საცხოვრებელ კორპუსებს მხოლოდ ერთი, წინა ფასადის
მხრიდან აქვთ სადარბაზო ან სადარბაზოები. უკანა შავი, სა-
თადარიგო გასასვლელია.

„ჩვენები პატარა კედელს აკეთებენ“. არადა, ფეხბურთელები
კედელს აღმართავენ ხოლმე.

„სტადიონი სიხარულშია“. — გვამცნობს გახარებული ავ-
ტორი.

აბა, რა დღეში ჩავარდება მშობლიური ენა, ნაწარმოების
მხატვრულობა და მკითხველის აზროვნების დონე, ავტორის
წაბაძვით რომ მივაცოლოთ და ვწეროთ: ხალხი სიხარულშია,
ხალხი დარდშია, ხალხი ვარამშია, ხალხი სიცილშია, ხალხი
კისკისშია, ხალხი ზღუქუნშია, ხალხი შფოთშია, ხალხი ხარ-
ხარშია!..

„დიონ ანი“. უნდა იყოს სდიონ.

„მომიტყვილებიხარ როდესმე“. უნდა იყოს მომიტყუები-
ხარ.

„უცებვე აჯახეს აქედან ღვინის განსხვავებული და მანაც
არ იუარა“.

კი მაგრამ „ღვინის განსხვავებული“ რა — ულუფა, ხარისხი,
სახეობა, ხნოვანება თუ სასმისი?

„ფული კი ქონდა“. უნდა იყოს ჰქონდა.

„მაინც არ მიქონდა“. უნდა იყოს მიჰქონდა.

„ბოლო-ბოლო ბუკმეკერი ქალი ხარ“. უნდა იყოს ბოლოს და
ბოლოს.

„მაინც უცხოები ჭარბობდნენ“. უნდა იყოს სჭარბობდნენ.

„ყველაზე ხმამაღლა მაკა მოთქვამდა“. უნდა იყოს მოსთქ-
ვამდა.

„ცალთვალა კლიენტი შემოიტანეს გორგოლაჭებიანი სკამით და ბინაში შეაგორეს“. უნდა იყოს ეტლით და არა სკამით.

„ესენი უნდა იყონ ცოცხლები“... უნდა იყოს იყვნენ.

„თფუი ამ ცხოვრებას“. უნდა იყოს ფუი.

„ერთმანეთს ცვლიდა“. უნდა იყოს სცვლიდა.

„— ჩავჯექით. — მოკლედ მოჭრა რეზომ“. უნდა იყოს ჩავსხედით.

„— ქელეხზე რა ხდება? — ჰკითხა რეზომ.

— ნელსონასთან ვაკეთებთ...“

ჯერ ერთი, რას ჰქვია — რა ხდება?! რა უნდა ხდებოდეს ქელეხზე, რომელიც ჯერ არ გაუმართავთ, ჯერ არ იხდიან და მხოლოდ თადარიგი უჭირავთ, როცა ქელეხის სუფრა ჯერ არ იშლება. და მეორეც, ქელეხს არ კი აკეთებენ, არამედ იხდიან.

„ჩვენ რიგრიგობით ჩამოვართვით ხელები ჯმუხ... კაცს“.

კონკურსში ვინვეც ყველას, ვისთვისაც ძვირფასია დედის კალთაში ნასწავლი ტკბილქართული და ვთხოვ, ათასხუთას-ნლოვანი ქართული მხატვრული ლიტერატურიდან მოიყვანონ მეორე ისეთი მაგალითი, სადაც სრულიად მარტივსა და ნათელ გარემოში, თანაც ორად ორი სიტყვით ამაზე უფრო საშინლად იქნება გაუპატიურებული მშობლიური ენის ბუნება, მისი შნო, ლაზათი და ღირსება!!!

ნინა მოთხრობებისა და ამ ე. წ. რომანის მხატვრული დონე და ენობრივი მხარე ავტორთან კამათის ყოველგვარ სურვილს მისპობს. მე ის უფრო მტანჯავს, რომ ლიტერატურული ჟურნალის რედაქციაში ერთი მუშაკი მაინც არ მოიძებნა ნამლად, ამგვარი საზარელი შეცდომა დამდულრულს რომ დაამსგავსებდა და ისიც უმალ ჩაასწორებდა.

პატივცემულო მკითხველო, ალბათ, იშვიათია ოჯახი, სადაც რომელიმე ნევრს უცებ შეკრთომით არ მიემართოს დანარჩენებისათვის — თქვენ ვერაფერს გრძნობთ, მე ხრუკის სუნი მცემსო! დაფაცურებულან და: ან მართლა რალაცა ენვით, ანდა ეს ხრუკის სუნი ნიავს გარედან შემოუტანია.

აქ? ხრუკის სუნი კი არა, ჟურნალის ფურცლებზე ათასგვარ უხემ შეცდომათა ნამდვილი ჩერნობილი ხრჩოლავს, ამას კი რე-

დაქციის ვერც ერთი მუშაკი ვერ გრძნობს, არავის ეყნოსება ეს კაცის გამგუდავი „ხრუკის“ სუნი!!!

ხელები ჩამოვართვით! ღმერთო, სადამდე მიგვყავს ენის ჩიქორთულობა! ნუთუ მრავლობითში ნახმარი ზმნა არ კმაროდა აზრის გამოსახატავად, არსებითი სახელიც ასეთი მხეცური ძალდატანებით რომ არ გადაეყვანათ მრავლობით რიცხვში?! ახლა გაიხსენეთ, პირველ ინტერვიუში თავგაზვიადებული ბესო ხვედელიძე ამაყად რომ აცხადებდა: „ხშირად მეკითხებიან — როგორ წერ? კარგად, გმადლობ — ვპასუხობ“.

ეს არის კარგად წერა?!

ნუთუ ავკაცობაში უნდა ჩამომერთვას, რასაც ახლა ვიტყვი: ასეთი უვიცი მთავარი რედაქტორი და მისი მოადგილე ისე უნდა გააძევეო ლიტერატურული რჯულმდებლის ოქროს ტახტიდან, როგორც თავის დროზე ლევ ტროცკი გააძევეს საბჭოთა კავშირიდან; მოწვეული რედაქტორი ისევე იქ უნდა დააბრუნო, საიდანაც მოუწვევიათ, ხოლო ხეირიანი წერა-კითხვის უცოდინარ ავტორს ათწლიანი დისკვალიფიკაცია აკმარო და ბეჭდვის უფლება მხოლოდ მას შემდეგ დაერთოს, როცა წარმატებით გაივლის მართლწერის საატესტაციო კომისიას!!!

მკაცრად ვმსჯელობ?

აბა, ეს ფრაზაც მოისმინეთ და მაშინ ამგვარი რბილი განაჩენის გამოტანისთვის იქნებ პირშიც შემომაფურთხოთ!

„— არ ჩამიშვათ, თორე დედებს გიტირებთ“.

ალარ ვიცი, როგორ მოვიქცე: ვიტყვო თუ ვიციხო?! ხან მეჩვენება — ამას განზრახ ხომ არ შვრებიან, მკითხველ საზოგადოებაში ფსიქოზი რომ შეიტანონ-მეთქი. არადა, რა ხდება, როგორ იპარება ამგვარი ჭკუის შემშლელი შეცდომები?!

ჰა, თუგინდ თავი დავანებოთ გრამატიკულ კატეგორიათა კოორდინაციას — ყველა ჩვენთაგანს შეიძლება გაეპაროს რაღაც ლაფსუსი, მაგრამ მთავარმა რედაქტორმა და მისმა მოადგილემ, თანაც მანდილოსნებმა, ნუთუ ისიც ალარ იციან, ერთ ადამიანს მაინც რამდენი ღვიძლი დედა შეიძლება ჰყავდეს?!

რა არის ეს, უნებლიე შეცდომა? არა, ეს არის არა შეცდომა, არამედ ზეციური სასჯელი, რომელიც განგებამ მოუვლინა ჟურნალის მთავარ რედაქტორსა და მის მოადგილეს, რათა ისევე

თავის ოქროს ტახტზე აბრძანებულებით აბუჩად აგდებული და ტლაპოში მოსროლილი ქემმარიტება: არასგზით არ შეიძლება ლიტერატურული ჟურნალის მესვეურებად შემთხვევითი, ლიტერატურული შემოქმედებისაგან სრულიად შორს მდგომი პირები ესკუპნენ!!!

მეტსაც ვიტყვი: შეიძლება კაცი უპირველესი პროზაიკოსი ან პოეტი იყოს, მაგრამ მხატვრული ჟურნალის რედაქტორად ვერ ივარგოს. ისევე, როგორც ფეხბურთის ყველა ვარსკვლავი მწვრთნელად თუ მსაჯად ვერ გამოდგება, ანდა, დიდი მათემატიკოსი — ბანკის მოლარედ. ლიტერატურული ჟურნალის რედაქტორობა, უპირველეს ყოვლისა, არის შავი სამუშაო, კატორღა, თავმენირვა, საკუთარი შემოქმედების შეკვეცა ანდა, სრულად მიტოვება. ამ საქმეს ვერაკაცი წარმატებით ვერ გაართმევს თავს, თუ რედაქტორად არ არის დაბადებული და თან საკუთარი მოზრდილი ოქროს მონეტაც არ მოუჭრია მწერლობაში. აღარაფერს ვამბობ მის მიუკერძოებლობაზე, მრავალმხრივ განსწავლულობაზე, უნიკალურ ალლო-გემოვნებაზე, ენის უზადო ცოდნასა და არნივის თვალზე!

აქ? აქ კი წარამარა ისეთ-ისეთ შეცდომებს ვანყდებით, მთავარ რედაქტორს კი არა, გაჭირვებისას ორიოდე წუთით მასალის შესადარებლად დასაქმებულ რედაქციის ათკლასდამთავრებულ შიკრიკ გოგონას რომ გაჰპარვოდა, იმასაც არ ვაპატიებდი.

აი, რას მოგვითხრობს რომანის მთავარი პერსონაჟი, მწერალი კოკა იაშვილი. „გეგონება, ფეხზე გირები ჰქონდეთ მობმული“.

თუ ღმერთი გნამთ, რომელ „გირებზე“ მელაპარაკება ან ავტორი ან ჟურნალი?! წუთუ რედაქციაში კაცი არ მოიძებნა, რომ სცოდნოდა, ეს სიტყვა რუსულია: Гиря — სანონი.

თანაც ნათქვამი მხატვრულად სუსტია, სუსტი კი არა კარიკატურული: ავტორი ამას გვეუბნება ფეხბურთელებზე, რომლებიც ძლივს დარბიან მოედანზე. ჰოდა, აბა, წარმოიდგინეთ — ფეხბურთელი ცალი ფეხით დაფრინავდეს, მეორეთი ზღაყუნით დადიოდეს. როგორია? ამიტომ სურათი დამაჯერებელი რომ ყოფილიყო, მწერალს ფეხბურთელებისთვის ორივე ფეხზე უნდა მოემა ის თავისი „გირები“.

აი, ავტორისეული თხრობის მეორე „მარგალიტი“.

„კოპიო მამამისის გოლია“.

რა არის ეს — შეცდომა? არა, ესეც მეორე ზეციური სასჯელია! რატომ? აი რატომ: სხვა რაც უნდა იყოს, დღეს თბილისში გვერდს ვერ აუქცევთ სადარბაზოს, კარს, სარკმელს, ამბრაზურას, ვიტრინას, ფოიეს და ათასნაირ კუთხე-კუნჭულს, თვალში არ ჩაგივარდეთ მყვირალა წარწერა: ასლების გადაღება, ასლების გადაღება!.. ასლები, ასლები, ასლები!..

ჰოდა, თუ ესეც არ იცინა, რომ „კოპიო“ ქართულად ასლია, მაშინ ლიტერატურული ჟურნალის რედაქციაში რაღა ესაქმება ამნაირ რედაქტორს, მის მოადგილეს, სტილისტს, ლიტმუშაკს, კორექტორს...

* * *

რომანის მთავარი პერსონაჟი კოკა იაშვილი მწერალი გახლავთ. ვისაც მისი სრულყოფილად გაცნობა სურს, მან თავიდან ბოლომდე უნდა წაიკითხოს ნაწარმოები. ხოლო ვისაც საამისოდრო არ ექნება, მათთვის საგანგებოდ შევჩერდები ოთხ მომენტზე, რათა დაახლოებითი წარმოდგენა მაინც შეექმნათ მწერალ კოკა იაშვილზე, რომელიც ხშირად გაიძახის, რომანი უნდა დავწერო.

გაურკვეველ ვითარებაში დაღუპული ძმაკაცის გასაპატიოსნებლად სამეგობრომ მღვდელი მოიყვანა. მომყავს ციტატა. ავტორის სტილი დაცულია.

„დიდ ოთახში სიჩუმე იდგა. მღვდელი კუბოს არტყამდა წრეს და რაღაცას ბუტბუტებდა. თან წყალში ანებდა რაღაც ჩოთქს და აქეთ-იქით ასხურებდა. ყველანი მდუმარედ იდგნენ და თავზე ცხვირსახოცები ეფარათ.“

ცოტა ხანს უხერხულად ვიდექი და ჯიბეებში ვიქექებოდი. ცხვირსახოცს ვერსად მივაგენი და რეზოსკენ გავიხედე.

თვალეები ჭერში აღეპყრო და თავზე სამზარეულოს ჩვარი ეფარა.

ეს უკვე მეტისმეტი იყო. თავი ვერ შევიკავე და პირზე ხელისგულაფარებული გარეთ გამოვვარდი. ანდრო ისევ იქ იდგა და თავისთვის ფლუკუნებდა.

— რა ხდება? — შემომხედა აფორიაქებულმა.

— რეზო... — ძლივს ამოვთქვი და კიბეზე კისრისტეხით დავეშვი.

უკანა სადარბაზოდან ხარხარით გავვარდი გარეთ და კაი ხანს მეჭირა მუცელი ხელით“.

აი, რომანის ავტორის მიერ დახატული მწერალ კოკა იაშვილის სახე და მთელი მისი სულიერი ავლადიდება!!!

არავის ეგონოს, მწერალი ფრთებგამობმულ ანგელოზად მყავდეს წარმოდგენილი. რა თქმა უნდა, მწერლებიც ჩვეულებრივი ადამიანები არიან და მათაც ახასიათებთ თავისებური ნაკლი, სისუსტე, ახირება თუ უცნაურობანი. მაგრამ რაც უნდა იყოს, მწერალი მწერალია და თავისი ყოფაქცევით, პიროვნული ღირსებით და ჰუმანურობით მაინც უნდა გამოირჩეოდეს — ამას მწერლის დანიშნულება და მოვალეობა ავალდებულებს! მაშინ ის მწერალი კი არა, თვითმარქვია ყოფილა!

ახლა პირუთვნელად განვსაჯოთ: ძმაკაცის ცხედრის გაპატიოსნების პროცესში მაინც რა ჩანს იმისთანა, რომ პირზე ხელაფარებული მწერალი კისრისტეხით ჩარბის კიბეზე, კორპუსის უკან თავანწყევტით ხარხარებს და მუცელი ხელით უჭირავს?! ნუთუ მხოლოდ ის, რომ მათ ერთ-ერთ ძმაკაცს, რეზოს, დანარჩენებივით ცხვირსახოცი კი არა, „თავზე სამზარეულოს ჩვარი ეფარა?“ რა არის ამაში მაინცდამაინც სასაცილო? მაგრამ დავუშვათ და კოკა იაშვილს ეს მართლაც სასაცილოდ მოეჩვენა! მაშინ მწერალი რილას მწერალია, თუკი კრიტიკულ მომენტში ვერ გამოიჩინს სულიერ სწორუპოვრობას, ვერ აღმოჩნდება საჭირო სიმალლეზე და ასე მეშჩანურ-ლაზღანდარულად, უგვაწონოდ გადმოაფრქვევს თავის განცდებს, თანაც ძმაკაცის ცხედართან!

ის თუ მართლა მწერალია — რაშიც მე თავიდანვე შემეპარა ეჭვი! — და არა მწერლის აჩრდილი, ყოველ ნაბიჯზე ნანახ ნაკლსა და სასაცილო გარემოზე მაშინვე თავდაუჭერელ ემოციად კი არ უნდა გადმოიღვაროს და მუცელზე ხელებშემოჭერილმა

ხარხარით ირბინოს იქით-აქეთ, არამედ ეს ყველაფერი გულში ჩაიჭდიოს და მერე თავის მხატვრულ ნაწარმოებში ასახოს, ამხილოს, დასცინოს, გაამათრახოს!

ერთი პატარა დეტალიც. ნამდვილ მამაკაცს და, მით უმეტეს, მწერალს, ცხვირსახოცის ამოსაღებად ჯიბეების ქექვა და მიგნება არ უნდა სჭირდებოდეს — ის მუდამ თავის ადგილას უნდა ედოს და ეგულებოდეს!

რომანის ავტორი კი როგორ მოიქცა? თავისი მწერალი-პერსონაჟი ისე უადგილოდ, უდროოდ და უმიზეზოდ ახარხარა, რომ ფარდა ჩამოეგლიჯა ყველაფერს: დაღუპული ძმაცაცის გლოვა, მათი ამდენი მიდი-მოდი, საქელებე თადარიგი და ფუსფუსი უბრალოდ, მკითხველის გასაბრყველებელი ფარსი ყოფილა! რის გლოვა, რა გლოვა, თუ ღმერთი გნამთ, როცა, აგერ, მთავარ პერსონაჟს, თანაც მწერალს, მიცვალებულის გაპატიოსნებისას სამზარეულოს რაღაც ჩვრის დანახვაზე ისეთი უმიზეზო ხარხარი უვარდება, კორპუსებს შორის მუცელზე ხელებშემოჭერილი დარბის და ველარ გაჩერებულა!!!

მოკლედ, ავტორმა თავისი გმირი, ვითომდა რუდუნებით დახატული მწერალი კაცი ამ სცენით პირდაპირ სერვანტესის მიერ გენიალურად ხორცშესხმულ ოთხ სეგოვიელ მატყლისმწენავ, სამ კორდოველ მენემსესა და ორ სევილიელ ბაზრისუბნელ ვირეშმაკა, ლაზლანდარა და ცულლუტ ბიჭბუჭებამდე ჩამოაქვეითა, რომლებმაც სანჩო პანსა ერთ-ერთი ფუნდუკის ეზოში საბნით სულ ჰაერში აფრინეს და გულიანადაც იცინ-იხარხარეს!!!

დავუბრუნდეთ მოყვანილ პასაჟს. პირველი აბზაცის პირველ სამ სტრიქონში ისეთი რამეები იჩენს თავს, რომ რომანის ავტორზე მკითხველს სულ უფუჭებს შთაბეჭდილებას. მაინც რა ხდება იმისთანა, თანაც სამად სამ სტრიქონში.

მღვდელი კუბოს წრეს არტყამდაო, ისე ალაღბედზე ლაპარაკობს ავტორი, თითქო ღვთის მსახურზე კი არა, თავისუფლების მოედანზე მოძრავ ტაქსზე გველაპარაკებოდეს.

მღვდელი კუბოს წრეს კი არ არტყამს, არამედ მიცვალებულს აპატიოსნებს.

მღვდელი რაღაცას ბუტბუტებდაო. მწერალმა სულ გაიბაგშვა თავი: ისიც კი არა სცოდნია, მღვდელი ამ დროს „რაღაცას“ კი არ ბუტბუტებს, ლოცვას აღავლენს.

თან წყალში ანებდა რაღაც ჩოთქსაო. აქ კი მწვერვალს აღწევს ავტორის უმეცრობა, ლაზლანდარობა თუ ცინიზმი.

კაცი რომანის წერას რომ შებედავს, ეს კი უნდა იცოდეს, მიცვალებულის გაპატიოსნებისას ღვთის მსახური უბრალო, ჩვეულებრივ წყალს კი არ ხმარობს, არამედ ნაკურთხ წყალს! ან ეს „ჩოთქი“ რაღა აბუჩობაა? ნუთუ რედაქციაში მაინც არავინ იცოდა, ეს სიტყვა რომ რუსულია და თან ამ კონტექსტში ცინიკურად არის ჩაჩხირული? ავტორმა თუ მართლა არ იცოდა, ღვთის მსახურნი ნაკურთხ წყალს ანუ აიაზმას უსუპით რომ ასხურ-აკურებენ, ნუთუ იმდენი მწერლური ფანტაზია არ უნდა ჰყოფნოდა, ფუნჯი მაინც ეხმარა და არა ეს ფეხსაცმლის მწმენდავის „ჩოთქი?!“

ნათქვამია, არცოდნა არცოდვააო. მაგრამ აი, რა მალიზიანებს, როგორც მკითხველს და როგორც მწერალს. ჯერ ერთი, რომანს შეჭიდებულმა ავტორმა ამგვარი წვრილმანები უნდა იცოდეს და წარამარა „რაღაცას“ არ გაიძახოდეს. მაგრამ რაკი წერის პროცესში გაირკვა, რომ არ იცის, მიცვალებულის კუბოსთან მღვდელი რას წარმოთქვამს, რანაირ წყალს აკურებს ან რით აკურებს, მაშინ მკითხველის, მხატვრული ლიტერატურისა და თავისი მწერლური ღირსების პატივისცემის ნიშნად ეს ყველაფერი უნდა დაეზუსტებინა, რაც ადვილზე ადვილია — ამას ბევრი ახლობლისგანაც შეიტყობდა, ნებისმიერ ეკლესიაში ხომ ეტყოდნენ და ეტყოდნენ. მთავარია, ამის შინაგანი მოთხოვნილება ყოფილიყო!

დაბოლოს, ჩემს გალიზიანებას დალონებაც ეწონება: მწერალმა ამგვარი წვრილმანები არ იცის, არც მათ დასაზუსტებლად იწუხებს თავს და თან არც იმდენი ოსტატობა მოსდევს, აზრი და წინადადებები ისე მაინც აავგოს, რომ თავისი ეს უცოდინარობა მიჩქმალოს და ამ წარამარა „რაღაცა-რაღაცას“ ძახილით მკითხველის რელიგიური გრძნობები არ შებღალოს!

მეორე მომენტი ასეთია.

მწერალ კოკა იაშვილს კანონიერი მეუღლე, ლოლა გაურბის შინიდან — ველარ ვუძლებ შენისთანასო. ესეც ერთგვარი თანხაა — ნამდვილი მწერალი ძნელი გასაძლები უნდა იყოს, აბა, რა გგონიათ?! საქმე გაყრამდე მიდის. ამ სცენებს — მსგავსი შემთხვევისას ცოლ-ქმრის ტრადიციულ კინკლაობა-პაექრობას! — რომანში საკმაო ადგილი უჭირავს. თუმცა, უნდა ითქვას, ეს ყველაფერი მხატვრულად იმდენად სუსტი და სქემატურია, რომ ცხადი ხდება — მეუღლესთან მწერლის კონფლიქტი კოლორიტის მისაცემად არის შეთითხნილი. ნურც გაიკვირვებთ: აგერ, ერნესტ ჰემინგუეის მესამე ცოლი ჰყავდა და კოკა იაშვილი ვიზე რა ნაკლებია, პირველ ცოლს მაინც ვერ გაშორდეს!

ნარკომანი მწერლისთვის თუ რას წარმოადგენს ცოლი, ერთ პატარა, დამახასიათებელ მაგალითს მოვიყვან. ქმრისგან თავდახსნილი ლოლა დედასთან გადავა, თავის ბარგს კიდეც ნანილ-ნანილ დღისით მიეზიდება.

დაცარიელებულ ბინაში შემოსული მწერალი თავს ერთობ უმწეოდ და მარტოსულად გრძნობს.

„მოვნიე და გაუხდელად მივეგდე. ვინ გამხდიდა, ლოლა აღარ იყო“.

ამნაირ ინტიმურ გულახდილობას უცებ საოცარ სიმაღლეზე აჰყავს ნაწარმოების მხატვრულობა და დამაჯერებლობა. დადგება მეორე თუ მესამე დღე.

„უკვე სახლთან ვიყავი. ავიხედე. ჩემთან სინათლე ენთო. ლოლა იქნებოდა. გული სხვანაირად ამიჩქროლდა.“

„იქნებ დაბრუნდა“. — ნამკრა ფიქრმა და სადღაც გამიხარდა კიდეც, თუმცა იქვე მივხვდი, რომ, ალბათ, თავისი უკანასკნელი ნივთები მიჰქონდა და ამდენი დავიდარაბის შემდეგ არანაირ დაბრუნება-შემორიგებაზე არ შეიძლებოდა ყოფილიყო ლაპარაკი“.

აქაც მშვენივრად არის დაჭერილი პერსონაჟის განცდა და მკითხველი, მწერალი კი განსაკუთრებით, თანაგრძნობით იმსჭვალება კოკა იაშვილისადმი, საერთოდ, ნაკიდებული ცოლ-

ქმრისადმი — ეგებ შეაფურთხონ ეშმაკს და ისევ შერიგდნენ! მით უმეტეს, რომ როგორც ნანარმოებში გაისმის ნარამარა, კოკა იაშვილი მალე რომანის წერას უნდა შეუდგეს.

ჰოდა, ახლა მკითხველმა თავად წარმოიდგინოს, შემოქმედ კაცს როგორ დასჭირდება მეუღლის ხელი და სიტბო, ოჯახური სიმყუდროვე.

„ბინის კარი გასაღებით გავალე და შევედი.

ლოლა სავარძელში იჯდა და ეტყობოდა, მელოდა.

— ვა... ლოლა!-გავუღიმე თბილად და სანოლზე ნამოვჯექი“.

ცოლ-ქმარს შორის კვლავ გაიბმება მსგავსი გარემოებისთვის დამახასიათებელი მსუბუქი, ბანალური კამათი და... უცებ!

„ერთი პირობა გავიფიქრე, ამ ჩემოდანს გამოვგლეჯ, ფანჯრიდან მოვისვრი, თვითონ კი მივაგდებ სანოლზე, გადავხდი კაბას და... გამკეთებელიც ვიყავი, ლოლას ჯიბიდან გასაღები რომ არ ამოელო“.

სიტყვები ვერ მიპოვია! ეს... ეს... აბა?!... ეს, უბრალოდ, არასერიოზული მიდგომაა ცოლქმრული, საერთოდ, ადამიანური ურთიერთობისადმი, მხატვრულობისადმი, მკითხველისადმი, საკუთარი მამაკაცური ღირსებისადმი, მწერლური ავტორიტეტისადმი! აქ ელვისებურად გაქრა წელან გამკრთალი მხატვრული დამაჯერებლობა, გაქრა ცოლ-ქმრის შერიგების პანია იმედიც... თუმცა ჯერ რომელ შერიგებაზე ლაპარაკი შეიძლება, როცა მალამხატვრულად ასახული განხეთქილებაც კი არ გვექონდა ნანახი და ის ყველაფერი თურმე იაფფასიანი ტრიუკი ყოფილა! თვითონ მწერალი კოკა იაშვილი ხომ ამ თავის ტლანქ განზრახვასთან ერთად დასამარდა და მწერლის კარიკატურად იქცა!

მესამე მომენტი ყველაზე მტკივნეულია.

რომანის მთავარი გმირი, თანაც მწერალი კაცი, სამწუხაროდ, ჩამოყალიბებული ნარკომანია. თუმცა აქ ვილა არ არის ნარკომანი: კოკას მეუღლე და საყვარელი, თითქმის მთელი საძმკაცო... თვით თავიანთ გარდაცვლილ ძმაცაცსაც კი ნარკოტიკს ჩააყოლებენ სამარეში — რა იცი, იქ რა ხდებაო.

ნარკოტიკების თემას რომანში უზომოდ დიდი ადგილი უჭირავს. მწერალი სულ დაწვრილებით აღწერს ნარკოტიკების შემოტანისა და გავრცელების გზებსა და ხერხებს, აბის ფორმასა და სახეობას, მიღების წესებს, ჯგუფური თუ ინდივიდუალური გაბრუების სცენებს. თვით მომხმარებელზე ნარკოტიკით გამოწვეულ ზემოქმედებასა და სამაცდურო ექსტაზს ხომ ნულარი იკითხავთ — ავტორი ამას ვრცლად, მთელი გატაცებით, ნაქეზება-მონოდების კილოთი ხატავს და ვერ ხვდება ვერც თვითონ და, სამწუხაროდ, ვერც რედაქცია, რომ ნება-უნებურად ნარკომანიის ყბადაღებული პროპაგანდა გამოსდით! ამიტომ აქ ტყუილუბრალოდ ნუ შემეკამათებინან მოსალოდნელი ოპონენტები, ვინაიდან ერთია, როცა მწერალი ისე აღწერს ნარკომანიით განადგურებულ პიროვნებასა თუ მის ცხოვრებას, რომ მკითხველს ნარკოტიკებისადმი სამუდამოდ ქრონიკული ზიზღი და შიში ჩაესახება და სულ სხვაა, როდესაც ნარკოტიკით „საამოდ“ გაბრუებულ პერსონაჟს წარამარა ისეთ საოცნებო-სამაცდურო შორეთში გააფრენს და იქ ისეთ-ისეთ განსაცვიფრებელ რამეებს ახილებინებს ხოლმე, რომ ამან შეიძლება თავდაჭერილი ახალგაზრდაც კი წაიციდინოს.

კოკა იაშვილს ქ-ნი მაკა აი, როგორ უხასიათებს ერთ-ერთი ახალი სახეობის ნარკოტიკს (ყველა მრავალწერტილი ავტორისეულია).

„— რა ხანია (აქ მძიმე უნდოდა. ჯ.მ.), მთელი ქალაქი მაგისგან იღებს... კალიკებია... ვარდისფერი... გემით ჩამოაქვთ... გაგაღწევენებს აქედან იქით...“

ბიჭოს, ეს რა ზღაპრული რამ უზიდათ გემებით! თუკი აქედან, ამ ჯოჯოხეთური ყოფიდან იქით, ვარდისფერ სამოთხე-სამყაროში გააღწევენებს, ამგვარ ჯადოსნურ სიამოვნებაზე ვინ გიყვი იტყვის უარს, მით უმეტეს, მოზარდი! ოლონდ, აბა, სად არის? ვინ ყიდის? რა ლირს?

რა გაეწყობა, რაკი ყველა თავის დელიკატესს აქებს, მეც ძველი ნარკომანი ვარ და მე კიდევ ჩემს სათაყვანებელ ერთადერთ ნარკოტიკს უნდა გავუწიო პროპაგანდა — იქნებ გზაა ცდენილმა თუ გზასასაცდენმა მოზარდებმა ის უფრო მოიხდინონ, მით

უმეტეს, რომ მის შოვნაზე ადვილი არაფერია და თანაც მუქთი! ოღონდ ეგ არის, მეტისმეტად ძლიერმოქმედია, ეს სატიאלო, განსაკუთრებით პირველხანად და დანარჩენი ნარკოტიკებისაგან განსხვავებით არ კი აბრუებს, არამედ პირიქით — კაცს უფრო აფხიზლებს და ანრთობს! ამიტომ თავიდან ბევრი ვერ უძლებს მის ზემოქმედებას და მერე სხვა ათასგვარი საშუალებით ცდილობენ ხოლმე მისგან თავდაღწევას! მაგრამ კაცმა თუ ერთი გაუძლო, შეიყვარა და შეითვისა, მერე მორჩა — ბარი და ნიჩაბილა იქნება მათი გამყრელი, ხოლო სხვა ყოველგვარი ნარკოტიკი სასაცილოდაც არ ეყოფა!!!

ეს „ნარკოტიკი“ ყველასათვის არის ცნობილი და ხელმისაწვდომი — ყოველდღიური რეალობა.

გადავდივარ მეოთხე მომენტზე. მწერალ კოკა იაშვილის ძმაკაცი, ანდრო და მისი მეუღლე ძალუკატურად ცხოვრობენ, ანუ უცხო სიტყვების მოტრფიალეთა ენაზე რომ ვთქვათ, ანდროს თავის ცოლთან პრობლემები აქვს და აღარ იცის, რა წყაღს მიეცეს. რჩევასაც იმიტომ ეკითხება საძმოში გამორჩეულ კალმოსანს.

„— რა ვქნა, ვცემო? — დააბრეხა უცებ ანდრომ“.

არ გაინტერესებთ მწერალ კოკა იაშვილის იმპერატიული კილო და პასუხი?

„— ხანდახან ეგ ერთადერთი გამოსავალია ხოლმე“.

ყოჩაღ, კოკა იაშვილო! მწერალიც ასეთი უნდა!

პატივცემულო მკითხველო, კოკა იაშვილმა კი გასცა მწერლური სანქცია, ანდრომ თავისი ცოლი რომ მიბეგვოს ხოლმე, მაგრამ შედეგი, შედეგი როგორი იქნება? როგორ გეკადრებათ, შედეგი რატომ უნდა იყოს არასასურველი ან საგანგაშო — რომანის ავტორის ნება არ არის: საიდანაც უნდა, კოკას... უკაცრავად, ნიტრას იქიდან შეაბამს ყურს!!!

განუყრელი მეგობრები მეორე დღეს კვლავ შეხვდებიან ძმაკაცის ცხედართან.

„— ნანას გავარტყი, — ნამჩურჩულა გვერდზე მდგომს.

— რა? — ვკითხე.

— ხელი, რა! — თქვა ანდრომ და მარჯვენა ხელის-გულზე დაიხედა.

— მერე?

— მერე მუხლებზე დახობავდა და პატიებას მთხოვდა.

მე გამეღიმა“.

ესეც ასე! ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში ცოლქმრული კონფლიქტის აღმოსაფხვრელი მაღამო შექმნილია და ისიც ქართველი მწერლის მიერ!!!

ვისაც ცოლქმრული შფოთი ტანჯავს, იქ ქმარი კოკა იაშვილის მეთოდით იხელმძღვანელებს, ცხვირპირდალურჯებული ცოლი კი სულ მუხლებზე ხობვით გამოსთხოვს მონყალებას და მათ ოჯახშიც ან და მარადის ამქვეყნიური სამოთხე დაისადგურებს! ამინ და კირიე-ელეისონ!!!

ავტორი თავის ინტერვიუში თურმე ტყუილად კი არ გაიძახოდა.

„პარალელურად რუსულად ვათარგმნინებ „უზარმაზარ ბაზარს“. ისეთი თემაა, კარგად უნდა წაილოს, უფრო ზუსტად, ერთნაირად კარგად უნდა წაილოს იქაც და იმის იქითაც“.

კი მაგრამ სადღა „იმის იქითაც?“ როგორ თუ სადღა — რუსეთსა და დასავლეთ ვეროპის გაღმა — ოკეანის იქით, ჩრდილო და სამხრეთ ამერიკაში, მთელ მსოფლიოში!!! თანაც „ნაილებს“ და მერე როგორ „ნაილებს“: პოპულარობითა და ტირაჟით იქნება ბიბლიასაც კი გაუსწროს და ყველა ცოლ-ქმრის საძინებლის სამაგიდო წიგნად იქცეს! არ ვაზვიადებ: ხომ ხედავთ, რა ხდება და როგორი კრიზისული დროება დაუდგა საძირკველმერყეულ ცოლქმრულ ინსტიტუტს — დედამინის ზურგზე ოჯახს ველარ ნახავთ, ცოლ-ქმარი ერთმანეთს არ ეკაპასებოდეს!

ჰოდა, ქართველი მწერლის, კოკა იაშვილის მიერ აღმოჩენილ ამ უებარ მაღამოზე რომელი ჭკუათამყოფელი ქმარი იტყ-

ვის უარს! ქმრები კი არა, აღარც ცოლები დაძრავენ კრინტს: ოღონდ მათ ოჯახში სიყვარული და ბედნიერება სუფევდეს და ჯანი გავარდეს, უმონყალო ცემა-ტყეპასა და მუხლებზე ხოხვა-საც აიტანენ!..

მოკლედ, მკითხველი რომ არ გადავღალო, აქ ვწყვეტ მწერალ ბესო ხვედელიძის რომანზე მსჯელობას და საჯაროდ ვაცხადებ: სრულიად დაუმსახურებლად აღზევებული მთავარი რედაქტორის, თამარ მამაცაშვილისა და მისი მოადგილის, მანანა ჯანელიძის გულშესანუხებელ ლიტერატურულ უგემოვნებას თავზე ვერ წამოვისვამ, ვინაიდან ამ სიმძიმე ტვირთის ტარება ჩემს ძალებს აღემატება.



ჟურნალის 2004 წლის მე-2 ნომერში დაიბეჭდა მწერალ აკა მორჩილაძის მოთხრობა „ეკოტერინოს ნაჩუქარი ვითომ სულის შემძვრელი თავგადასავალი“.

მოთხრობას წინ უძღვის მიხო მოსულიშვილის ინტერვიუ ავტორთან. ინტერვიუს თავის მხრივ წინ უსწრებს პატარა შესავალი ასეთი სათაურით — „მოდი, FOOTBALL-ი ვითამაშოთ“. აი, ისიც.

„გიო, ჩათვალე რომ ეს ინტერვიუ კი არ არის, არამედ მე და შენ მწვრთნელები ვართ და სადღაც, მარაკანასავით კაი დიდ სტადიონზე FOOTBALL-ს ვთამაშობთ. ეს თერთმეტი შეკითხვა ჩემი გუნდია და შენი თერთმეტი პასუხი კიდეც — შენი გუნდი.“

მსაჯები ვერ მოგვიგონია, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ ანგარიში ნულით ნულია“.

როგორც ხედავთ, FOOTBALL-ის სათამაშოდ მინდორზე გადმოსული ორი მწერალი-მწვრთნელი მსაჯებსღა ღონდება. მსაჯზე კი, განგების ნება იყო თუ უბრალო დამთხვევა, ჟურნალის მთავარმა რედაქტორმა, თამარ მამაცაშვილმა იზრუნა და ახლა ეს მსურს თუ არა, მეტი ჩარა აღარ დამრჩენია, უნდა ვიმსაჯო. ოღონდ სათამაშოდ შემართულებს მოკრძალებით შევახსენებ,

მათ უმთავრესი დაავიწყდათ — მაყურებელი!!! მაყურებელი, რომელიც სამართლიანი, მაგრამ ამავე დროს სასტიკია და თუ საჭიროდ ჩათვალა, უმონყალოდ უსტვენს, ხან კი ათასნაირ ხარახურას სეტყვასავით დაუშენს ხოლმე როგორც უხეირო, სიმულიანტ, უხემ მოთამაშეებს, ისე არაკომპეტენტურ, გაუბედავ, ტენდენციურ თუ მოსყიდულ მსაჯეს.

მართალია, ჩვენი მწერლები ინტერვიუს ბოლოს გაკვრით მაინც ახსენებენ მაყურებელს, მაგრამ მისი გათვალისწინება თავიდანვე გვმართებს, ვინაიდან მკაში პირობას ხვნაში პირობა სჯობიაო.

ჯერ თვით ინტერვიუზე. ცოტა არ იყოს, მკითხველს აცბუნებს მისი ხუმრული თუ ზერელე კილო. ჯერ ერთი, არა მგონია, მკითხველიც ხუმრობის გუნებაზე იდგეს, მაგრამ, თუ აღარ დაუშლიათ, დაე, ილალობონ, ოლონდ არა ქართული ენის საზიანოდ.

მიხო მოსულიშვილი ერთგან ასე ეკითხება მოწვეულ ავტორს.

„მარტო ერთი (აქ მძიმე უნდოდა. ჯ. მ.), ბაკურ სულაკაურის გამომცემლობისათვის სწერამ წიგნებსა?“

არ მესმის, ინტერვიუს წამყვანი აქ რას ხედავს სახუმაროს? ამ ხუმრობა-ხუმრობით ენას რომ ამახინჯებს, ეტყობა, ანგარიშს ვეღარ უწევს. მესმის, ის კი ხუმრობს, მაგრამ ზოგს მართლა ეს ფორმა ეგონება სწორი, არადა უნდა იყოს წერ და არა სწერამ.

რედაქციის წარმომადგენელს არც თვით აკა მორჩილაძე ჩამორჩება.

კითხვაზე — რას გვეტყვი პოსტმოდერნიზმზეო, მაინცდამაინც დამახინჯებული ქართულით პასუხობს: „მეტად სუსტი ვარ ეგეთ ლაპარაკებში“.

დაბნეული მკითხველი მართლა ვეღარ გარკვეულა. თუ ხუმრობენ, ეს რანაირი ხუმრობაა, ხოლო თუ მართლა სერიოზულად მსჯელობენ, მაშინ როგორი ქართულია ეს „ლაპარაკებში“?!

მოწვეული ავტორი, თანაც ისტორიკოსი, აი, როგორ მსჯელობს ქართლზე (ერთგან ნახმარი მრავალწერტილი ავტორისეულია). მოუსმინეთ:

„ქართლი ძალიან ნატანჯი და ბევრგამოვლილი საქართველოა. იმათ ომის არ ეშინიათ, სულ უბრალო რამეზე შეიძლება თოხ (კორექტურა არავის გეგონოთ, ავტორს მართლა ასე უნერია „თოხ“. ჯ. მ.) დაჰკრან თავში ვინმეს... ეს კარგია-მეთქი (აქ მძიმე უნდოდა. ჯ.მ.), ვერ ვიტყვი, მაგრამ რალაცას სხვას ნიშნავს, ვიდრე უბრალოდ თოხის დაკვრას“.

მწერალი ისეთი ხაზგასმით გაიძახის — იმათ ომის არ ეშინიათო, რომ მედლის მეორე მხარე კიდევ თავისთავად ამას გულისხმობს: სამაგიეროდ საქართველოს დანარჩენ კუთხეებს კი ომის ეშინიათო! ასე ცამონმენდილზე ან ეს თავში თოხის დაკვრა რალა არის?! თანაც, როცა იქვე გვეუბნება — ვერ ვიტყვი, ეს კარგიაო. არ არის კარგი და მაშინ გამოდის, რომ... მოკლედ, ასეთი ზერელე და ბუნდოვანი ლაპარაკი ჯერ საერთოდ და, მით უმეტეს, საქართველოს ნებისმიერ კუთხეზე, რბილად რომ ვთქვათ, უხერხულია.

აკა მორჩილადისთვის ძალიან ბევრი ცხოვრებისეული თუ ადამიანური მხარე, საკითხი, მოვლენა და გარემოება მხოლოდ ზოგადი, რალაც „ამბავია“ და მეტი არაფერი.

„ხო, უცხოეთში რომ დავდიოდი, მომწონდა იქაური ამბების დაკვირვება. წიგნების კითხვასაც შეიძლება სჯობდეს მოგზაურობა, თუ ამის ამბავი და ქალაქების ამოცნობა იცი... წიგნების ამბავი ისედაც ძალიან ნელი ამბავია, ჩვენნაირ ქვეყანაში კიდევ უფრო ნელი ჩანს“.

მოკლედ, მკითხველი ვერ გაერკვევა, მწერალი ამ წიგნების „ამბავში“ რას გულისხმობს: მათ დანერას, გამოცემას, ხარისხს, ტირაჟს, გასალებას, ჰონორარს, შეფასებას, საზოგადოებაზე გავლენას თუ რას... ასევე კარგი იქნებოდა, პასუხებში პატარა-პატარა ენობრივი ლაფსუსები არ გაპარულიყო. „ჩვენ ქუჩაზე“. — ამბობს მონვეული ავტორი. უნდა იყოს „ჩვენს ქუჩაზე“. „შეიძლება ბევრი რამე გადაყვეს“. უნდა იყოს გადაჰყვეს. ერთ-ერთი კითხვა ასე იწყება.

„გიო, საქართველოს გარდა, პერლინზეც დანერე, პარიზზეც, მაგრამ გაერთიანებულ სამეფოს მთავარქალაქი მეტადრე უნდა გქონდეს ამოჭრილი გულის ფიცარზედ. აკი ზალიკომაც დანერა შენზე, რომ „მენვია ლონდონური მულამების უბადლო მცოდნეო“.

გვარის გარეშე მარტო სახელის, თანაც ასეთი კინობითი ფორმა — ზალიკომ დანერა, კიკოლიკომ თარგმნა, პანტიკომ ჩაასწორა, ჩილიკომ წაიკითხა და ა.შ. — შეიძლება იხმარო სადღაც ვინრო წრეში საუბრისას და არა ლიტერატურული ჟურნალის ფურცლებზე. ნუ დაავიწყდებათ FOOTBALL-ის მოთამაშეებს, რომ „ლიტერატურული პალიტრა“ დღეს ერთ-ერთი გახმაურებული ჟურნალია. საქართველოს გარეთ, როგორც ამბობენ, მილიონნახევარი მოქალაქე ცხოვრობს და დღევანდელი კომუნიკაციების პირობებში არ არის გამორიცხული, ეს ჟურნალი ყველა კონტინენტზე, მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში მყოფი ქართველების ხელში აღმოჩნდეს.

ჰოდა, საქმეში ჩაუხედავმა, ჯერ გაუცნობიერებელმა მკითხველმა რა ქნას, ვინ იგულისხმოს ამ „ზალიკოში“: პოეტი ზაალ ებანოიძე, პროზაიკოსები ზაალ სამადაშვილი და ზაალ ტაბაღუა, მთარგმნელი ზაალ ბოტკოველი, ტელედიქტორი ზაალ უდუმაშვილი, ტელეჟურნალისტი ზაალ ანდრონიკაშვილი თუ კიდევ სხვა რომელიმე „ზალიკო“, რომელიც ფართო საზოგადოებისათვის ცნობილია, მე კი მას ან არ ვიცნობ, ანდა ამნუთს არ მაგონდება! ეგეც არ იყო, „ზალიკოს“ შეფასებას, ცოტა არ იყოს, მიქარწყლებს „ლონდონის მულამების უბადლო მცოდნის“ პასუხი.

„ღრმა ქალაქია. მინის ზეით (უნდა იყოს ზევით. ჯ.მ.) ეგებ დიდი არც არაფერი ვთქვათ პარიზებთან და ეგეთ რამეებთან შედარებით, მაგრამ ძალიან ღრმაა“.

ჰმ! მინის „ზეით“ ლონდონი თუ დიდი არც არაფერია, მაშინ!.. ან რას ნიშანვს ეს „პარიზებთან და ეგეთ რამეებთან?“ თუმცა ჯობია თავი დავენებოთ ლონდონის მულამებზე ლაზღანდარობას და მთავარ საქმეს მივხედოთ.

კითხვაზე — ძნელად წერ თუ ადვილადო, მწერალი პასუხობს.

„რა ვიცი, მგონი (აქ მძიმე უნდოდა, ჯ.მ.), იოლად, ყოველ შემთხვევაში, თუ დავექეცი, მიერეკება წყალივით. საერთოდ, დიდი სიამოვნებაა ჩემთვის, სიამოვნება რომ არ იყოს, რა დამანერინებდა. ძალით და ტანჯვით არ მიყვარს“.

უნიკალური პასუხია! კი მაგრამ, სხვა რომელ მწერალსა და შემოქმედს უყვარდა ან უყვარს თავისი ნაწარმოების ტანჯვით შექმნა, მაგრამ ტანჯვა-წამების გარეშე რომ არაფერი გამოდის?! ახლა სად ჩამოვთვალო, ან რომელი წიგნი დაიტყვეს იმ გენიოსებისა თუ საქვეყნოდ ცნობილ შემოქმედთა ჩივილს, გოდებას, ოხვრა-კენესას, წუნწუნს, გაფრთხილებას თუ დარიგებას, რაც მხატვრული ნაწარმოების შექმნის სიძნელესა და ენით აუნერგელ ტანჯვას ეხება! მრავალტანჯულთა გამოცდილების მიხედვით, შემოქმედებითი პროცესისათვის ტანჯვა იმდენად გარდაუვალი და ბუნებრივია, რომ ჭეშმარიტი შემოქმედი თვით ამ ტანჯვაში პოულობს სიამოვნებას, ვინაიდან გრძნობს, ხვდება, ხედავს, რწმუნდება — ნამდვილ შემოქმედებაში იოლი გზა არ არსებობს! მაგრამ აი, ჩვენი ავტორი საქვეყნოდ აცხადებს: ტანჯვა არ მიყვარს, იოლად ვწერო! მის სინრფელეში ეჭვი არ მეპარება, მაგრამ ამგვარი განაცხადი მას ნება-უნებლიეთ ბევრ დიდ შემოქმედს აპირისპირებს: თურმე ნამდვილი ლიტერატურის შექმნის იოლი გზაც ყოფილა, მაგრამ ის ძველები იმდენად ბეცები ყოფილან, რომ ცხვირწინ ვერ შეუნიშნავთ ეს იოლი გზა და ქვეყნის სასაცლოდ თავს სულ ტყუილუბრალოდ იტანჯავდნენ!!! მაგრამ აი, XX საუკუნის მიწურულს გამოჩნდა ქართველი მწერალი აკა მორჩილაძე, რომელმაც ჭეშმარიტი, მაღალმხატვრული ლიტერატურის შექმნის ისეთი იოლი გზა აღმოაჩინა თუ შეიმუშავა, რომ მისთვის არაფერს არა აქვს მნიშვნელობა — მთავარია, ერთი მაგიდას კი მიუჯდეს და მერე მორჩა, „მიერეკება წყალივით“.

ეს რომ წავიკითხე, არ დავმალავ — თუმცა დამალვას რალა აზრი ექნება?! — მისადმი, როგორც კოლეგისადმი, აღშფოთება

დამეუფლა, მაგრამ მერე და მერე, მოთხრობის გამოწვლილვით კითხვას რომ შევუდექი, ეს აღმფოთება ახლა მისდამი პატივისცემით შემეცვალა, ვინაიდან ის უკიდურესად გულწრფელი ყოფილა — მართლა „მიერეკება წყალივით!“ თუმცა ამან, თავის მხრივ, თან ერთი ფრთიანი ფრაზაც წამომავგონა, დასავლეთ ევროპაში რომ გაიჟღერა და მერე მთელ ცივილიზებულ მსოფლიოსაც მოედო.

ცნობილია, რომ ნაპოლეონი პირველად ხმელთაშუა ზღვაში მდებარე პატარა კუნძულ ელბაზე გადაასახლეს, საიდანაც მალე მოახერხა გაქცევა. და აი, ამ ოციოდე წლის უკან ამავე კუნძულზე მდებარე ერთ-ერთი პატარა, მაგრამ ძველისძველი, დინასტიური სასადილო, უგემური კერძებისა და ცუდი მომსახურების გამო დღითი დღე კოტრდებოდა. კლიენტების მისატყუებლად მეპატრონემ ვირეშმაკურ ფანდს მიმართა. ადგა და სასადილოს ასეთი აბრა მიამაგრა: „აქ ნაპოლეონმა ისადილა!“ „ასე მალე იმიტომაც დატოვა კუნძული!“ — მიუწერა მდარე კერძებით იმედგაცრუებულმა ერთმა ბრიტანელმა ტურისტმა.

ჩვენს შემთხვევაშიც რალაც ამდაგვარი რამ ხდება. წყალივით მივერეკებით! — გულახდილობს მწერალი და მეც გულახდილადვე უნდა მივუგო — სწორედ ამიტომაცაა, რომ ძალიან ძნელად იკითხება მისი მოთხრობა!

მერწმუნეთ, ამას განზრახ არ ვამბობ, რათა სინამდვილე მაინცდამაინც იმ ინგლისელი ტურისტის ფრთიან ფრაზას მივუსადაგო: მოთხრობა მართლა ძნელად იკითხება. უფრო მეტიც — იქ ისეთი საშინელი ნაკლი აღმოვაჩინე, რაზეც შეიძლება თვითონ ავტორსაც კი არ ჰქონდეს წარმოდგენა, ანდა იცოდეს, მაგრამ ეგონოს, რომ ეს მხოლოდ მისი პროფესიული საიდუმლოა და ყეყერი მკითხველი ვერაფერს მიუხვდება!

აი, ის ნაკლი: მის მოთხრობაში აზრი კი არ წარმოშობს სიტყვებს, არამედ პირიქით — სიტყვები წარმოშობენ აზრს!!!

როგორ გეკადრებათ, კომპიუტერისა და მობილური ტელეფონის ეპოქაში ვისა აქვს მაგდენი დრო და ნერვები, აზრის მოძრაობას ტვინი აჭყლეტინოს და მისი ზუსტად გამოსახატავი სიტყვებისა და ფრაზების ძებნა-რჩევით სისხლი გაიშროს — წერისას რაც უცებ გონებაში წამოგიტივტივდებათ, პირდა-

პირ წყალივით მიუშვით სუფთა ფურცელზე და თქვენ დარდი ნურაფრის გექნებათ: რაგინდარა სიტყვები თავისთავად შექმნიან რალაც მიახლოებით აზრს! ჰოდა, ეს იქნება მოთხრობაც! აბა, მოთხრობა და რომანი სხვა კი არააფერია!!!

ნაწარმოების პირველ ორ თავს სრულად გადმოვიტან, რათა მკითხველს დავეუმტკიცო, რომ რედაქტორის მიერ საგანგებოდ შეკვეთილი მასალის ავტორი ამ მოთხრობის დასაწერად ჯერ მზად არა ყოფილა, ან თავი არ შეუნუხებია და იოლ გზას მიჩვეული, უტანჯველად „მიერეკება წყალივით“, ანდა საერთოდ, ბევრის მსგავსად, მასაც უჭირს ნაწარმოების ოსტატურად დანყება-გაგრძელება და ბევრიც რომ ეწვალოს, მაინც არაფერი გამოუვა, რის გამოც იძულებულია, მკითხველი ათასგვარი ზღაპრებითა და ლათაიებით შეიქცეოს. ავტორისეული სტილი დაცულია.

I.

„იყო და არა იყო რა და მოვფრინავდი ამსტერდამიდან, ამსტერდამი კი არის ქალაქი, რომელსაც ანეეს ღრუბელი, თეთრმა ჯადოქრებმა რომ გამოიხმეს საიდანაც და ზედ ციციანათელები დააბნიეს. ამსტერდამიდან მოვფრინავდი სტამბოლში, სტამბოლი კი არის ქალაქი, სადაც იღვიძებ და ეძებ იმას, რაც ყოველი ფეხის ნაბიჯზეა, მაგრამ გადაცმულა და მსახიობივით იქცევა.“

აეროპორტის ფანჯრიდან ვერასოდეს ხედავ ქალაქს, მაგრამ იხსენებ, რომ ოდესღაც ყოფილხარ აქ. აეროპორტები უთავბოლო და უსაზღვრო ფუნდუკებია, სადაც ლუდსა სვამ და მძლავრად განათებულ მაღაზიებში დაბოდილობ, ხარ იმ ქალაქში, რომელშიც არ ხარ და ხარ ასე მანამდე, სანამ არ დაიძრები საჭირო გასასვლელისკენ, საიდანაც ახალ მოგზაურობას იწყებ.

ამსტერდამიდან სტამბოლში მოვფრინავდი, სტამბოლიდან კი თბილისში. თბილისი კი არის ქალაქი, სადაც აჩრდილები დალივლივებენ და გიმტკიცებენ,

რომ შენც აჩრდილი ხარ. ამსტერდამში ვაშინგტონი-დან მოვფრინავდი, ხოლო ვაშინგტონი არის ქალაქი, სადაც ყველაფერი იციან და ეჭვობენ, რომ შენ ბევრი არაფერი იცი. იქ პოეტების თავყრილობა იყო — ლექსების წერას გვასწავლიდნენ ერთკვირიანი დაჩქარებული კურსით. მე ერთი იქაური ამხანაგი მყავს, თეთრწვერა პოეტი და პროფესორი, პოდა, იმან მომძებნა, ჩამოხვალ, თვალს ნყალს დააღვეინებ, კაი სასტუმროში იცხოვრებ და უკან ნახვალო. თანაც მე ლექსებს მხოლოდ უცხოეთში ვკითხულობ და ვბეჭდავ, სულ შვიდი ლექსი დამიბეჭდეს შვიდი სხვადასხვა ქვეყნის ალმანახებში, პნკარედებს თვითონ ვაკეთებ და ვუგზავნი. ბევრი პოეტი ამხანაგი მყავს, სულ კაი ბიძები.

როცა ვაშინგტონიდან ამსტერდამში ჩამოფრინდები, გგონია, რომ ერთი დიდი და მნიშვნელოვანი საქმე მოილიე. ეგებ მომადუნებელ კაბინეტსაც მიაკითხო აეროპორტში, სადაც ჯანიანი, შავით მოსილი ქალი ან კაცი ცერებს გაჭერს ზურგზე და ამით, როგორც ამბობენ, დალლილობას გავინწყებს. ნორვეგიელი რომ ვიყო, ნამდვილად მივაკითხავდი, მაგრამ ქართულად არ გამოდის, ისიც გეყოფა, რომ ტრუალეტებში ზღვის ტალღების შხუილი და კამერული მუსიკა მოისმის.

აეროპორტებში კი დასვენება ჭირს. ძალიან ბევრ ხალხს ეჩქარება იმისთვის, რომ დაისვენო. ფანჯრები დიდია, ხედი — მოსანყენი, ცაც თეთრია და თვითმფრინავებიც. აეროპორტი არის ადგილი, სადაც აუცილებლად გაგახსენდება ბომბები. რა არის ფრენა თერთმეტი სექტემბრის შემდეგ?

რალაც ისეთი, უდარდელი და თავხეხელალებული ბიჭი რომ შიდსის ვირუსს ეთამაშება და ან ნაიმტკრევს ცხვირს, ან ილბალა გამოდგება.

ამ ამბავს უფრო მხიარული თხრობა მოუხდებოდა, მაგრამ აეროპორტი მხიარულებას გამოორიცხავს. აეროპორტი დალლილობა და ლოდინია. იქ სასმელიც

კი ძალიან ჩვეულებრივია და სიგარეტსაც უგემურად ეწევი.

მხიარული მოუხდებოდა, იმიტომ, რომ ყოველთვის გამხიარულდები, როცა ამ კიღობანში შენიანი შეგხვდება. შეუკვეთავ და ილაპარაკებ. ილაპარაკებ და იცინებ, იქაურ ზრიალს და ჩანთების გორებას აღარ მოაქანცვინებ თვალს. ეს მოსაწყენი ფიქრებიც, თუ როგორი ქალაქებია ამსტერდამი, სტამბოლი და თბილისი, სადღაც გაქრება და იქნები გემრიელად და უბრალოდ.

ახლა დააკვირდით: მწერალი დასაწყისშივე ნათლად გვეუბნება — ამსტერდამიდან სტამბოლში, სტამბოლიდან კი თბილისში მოვფრინავდიო. კეთილი და პატიოსანი — ყველაფერი გასაგებია! წარმოსახვით მკითხველიც ავტორთან ერთად ამსტერდამიდან სტამბოლის აეროპორტში ამოჰყოფს თავს და ახლა თბილისისკენ გამოსაფრენად განეწყობა, მაგრამ თბილისისკენ ვინ გამოგაფრენს: აქ სრულიად მოულოდნელად ავტორი ისევ უკან, ამსტერდამში გვაბრუნებს, რადგან სტამბოლშილა „გაახსენდა“, ამსტერდამში თურმე ვაშინგტონიდან რომ ჩამოფრენილა!!!

მოკლედ, როგორც მოუსვენარი ბიჭუნა ძაფზე გამობმული ხორცის ნაჭრით ირგვლივ და იქით-აქეთ უმოწყალოდ დაარბენინებს მშიერ, სუნდაკრულ ცუგას, ავტორიც თავისი მკითხველების წარმოსახვასაც ასე წინდაუხედავად დააფრენს წინ და უკან, ქალაქიდან ქალაქში და აზრზე არ არის, ანდა ჩირადაც არ უღირს შემდეგი ჭეშმარიტება: გაუფრთხილდეს თავის მკითხველს, დასაწყისშივე არ მოქანცოს უსარგებლო წვრილმანებით და მისი მოთმინება-გულისყური მთელი მოთხრობისთვის გამოიზოგოს!

საწყალ მკითხველსაც — რაკი გადაწყვიტა ამ მოთხრობის ნაკითხვა — მეტი რა ჩარა რჩება, წარმოსახვით სტამბოლიდან ისევ ამსტერდამში, ამსტერდამიდან კი ახლა ვაშინგტონს უნდა ჩაფრინდეს!

არადა, მკითხველები წელან თუკი ამსტერდამიდან გონებით ჯერ ოკეანისგალმა, ვაშინგტონს ვიყავით გასაფრენი, აბა, ავტორს რალა მოაჩქარებდა სტამბოლში?! რას აძლევს ან

მოთხრობის მხატვრულობას, ანდა მკითხველს ამ გრძელ სა-
ჰაერო სივრცეში უაზრო, კურთუქულმა ფრენა-ფრენა: ამ-
სტერდამი — სტამბოლი; სტამბოლი — ამსტერდამი; ამსტერ-
დამი — ვაშინგტონი; ვაშინგტონი — ამსტერდამი; ამსტერდამი
— სტამბოლი; სტამბოლი — თბილისი?!

არ ჯობდა, მწერალს დასაწყისშივე მოკლედ, საქმიანად და
მადლიანად მოეთხრო: სად და რისთვის იყო, საიდან საით მი-
ფრინავდა. მერე ინილობინილოს გარეშე ერთად დავდგომოდით
ამ ისედაც გრძელსა და მომქანცველ საჰაერო მარშრუტს: ვაშ-
ინგტონი — ამსტერდამი — სტამბოლი — თბილისი. მაგრამ არა!
აქ სხვაგან მარხია ძალის თავი, ანუ მათ საყვარელ „სლენგურ-
ჟარგონულ“ ენაზე რომ ითქვას, აქ სხვა „პონტია!“ დასავლეთის
დიდი ქალაქების მულამმცოდნემ აქეთ-იქეთ ზედმეტი ფრენით
მკითხველი გვარიანად უნდა გააბრუოს, რათა მერე მწერლის
ყოველი სიტყვა, აზრი, შედარება, თუ მხატვრული სახე სახარე-
ბასავით იწამოს!

მოკლედ, სტამბოლიდან ამსტერდამზე გავლით ვაშინგტონში
გაფრენილი მკითხველის მოქანცულ წარმოსახვას ავტორი ისევ
უკან, ამსტერდამს გამოაფრენს, ამსტერდამიდან კი კვლავ სტ-
ამბოლში — სადაც ცოტა ხსნის წინ ვისხედით!

ამდენი განზრახ გართულებული ფრენა-ფრენით გასავათე-
ბულო ჩემო მკითხველო, მოთხრობის მიხედვით, აგერ, ახლა
ისევ სტამბოლის აეროპორტში ვყურყუტებთ და იმედი უნდა
ვიქონიოთ, ავტორი აქედან კიდევ საითკენდაც არ გაგვაფრენ-
გამოგვაფრენს, დაბოლოს ამ ჩვენი დალოცვილი თბილისისკენ
გეზის აღებასაც დაადგება საშველი!!!

* * *

პირველი თავის მეორე აბზაცის დასაწყისში ავტორი ამგვარ
„აღმოჩენას“ გვთავაზობს: აეროპორტის ფანჯრიდან ვერასოდეს
ხედავ ქალაქსო.

ვერიკა! ახალი ამბავი! ვაჰ, ეს როგორ შენიშნა?! განსაცვი-
ფრებელი მწერლური მიგნებაა!!!

თუკი უიშვიათეს გამონაკლისთან — ისიც მაღალ მთაგო-
რიანში მდებარე ქალაქსა და მის პატარა აეროპორტთან არა

გვაქვს საქმე, ჩვეულებრივი აეროპორტის სარკმლიდან როგორ, რანაირად უნდა დავინახოთ ქალაქი! მით უმეტეს, ამსტერდამის საერთაშორისო აეროპორტ ჰიპპოლიდან, როდესაც ამ ქვეყნის უმაღლესი წერტილი სულ რაღაც 301 მეტრია, ხოლო მთელი ტერიტორიის ორი მეხუთედი ზღვის დონიდან 5 მეტრის დაბლა მდებარეობს. ქალაქისა და მისი აეროპორტის ზღვის დონიდან მდებარეობის თანაფარდობასაც რომ თავი დავანებოთ, მწერალი ანგარიშში აღარ აგდებს მათ შორის მდებარე მანძილს? მაგალითად, დომოდედოვოს აეროპორტი მოსკოვიდან 50 კილომეტრით არის დაშორებული. მართალია, ნიდერლანდში სხვა მასშტაბებია, მაგრამ ამსტერდამსა და მის აეროპორტს შორისაც ხომ იქნება საკმაო მანძილი?!

მკითხველს ანცვიფრებს და თან გულისყურსაც უფანტავს მწერლის ერთი ხერხი თუ უცნაურობა: რომელ ქალაქსაც დაასახელებს, იქვე ისე იწყებს მის მოკლე დახასიათებასაც, თითქო მოთხრობას კი არ წერდეს, იაფფასიან ტურისტულ გზამკვლევს ადგენდეს!

„შენ არა გვაქვს მწერლის შემოქმედებით პროცესში ჩარევის უფლება!“ — შეიძლება ვინმემ ფეხი დამიბაკუნოს და მართალიც იქნება, მაგრამ... მაგალითად, ავტოქარხანაში მივიდა უცნობი ინჟინერი და პრეტენზიულად განაცხადა: მისცენ სხვისი ჩაურევლობის გარანტია და განსაცვიფრებელ მსუბუქ მანქანას შექმნის! კეთილი და პატიოსანი, ქარხნის ადმინისტრაცია თანახმაა, ოღონდ ერთი პირობით: ის თუ მართლა პროფესიონალი ავტოინჟინერია, მაშინ ზუსტად იმდენი ნაწილები და დეტალები უნდა დაამზადოს, ავტომობილის აწყობის შემდეგ ზედმეტი არაფერი დარჩეს, თორემ ეს ქარხნისთვის ზარალი იქნება!

შეიძლება იგივე ითქვას მხატვრულ ლიტერატურაზეც!

არამცთუ მწერლის, არამედ რიგითი მკითხველის — ამას საკუთარი გამოცდილებით ვამბობ — წარმოდგენაშიც კი, ნაწარმოების ნაკითხვის შემდეგ თავისთავად ხდება მოთხრობა - „მანქანის“ თუ რომან - „მანქანის“ ბუნებრივი „აწყობა“. რაც საჭიროა, იმას გონება და გემოვნება ისეთი სისწრაფითა და შეუცდომლობით აიკრავს ხოლმე, როგორც მაგნიტი ლითონის ნამცეცებს, რაც არა და ადგილზე რჩება! აგერ, გენიოს მწერალს ისეთი

მოთხრობა - „მანქანა“ „აუნყვია“, რომ გაოგნდებით: მთელი დღე გარშემო რომ უაროთ, ერთ ზედმეტად დარჩენილ „შურუპსაც“ კი ვერ უპოვით! მეორე მწერლის მოთხრობა - „მანქანის“ ქვეშ შეიძლება აღმოაჩინოთ ორიოდ ზედმეტი, უმნიშვნელო „ნანილი“, მაგრამ ეს არაფერია მის მაღალმხატვრულობასთან შედარებით. მეორე, მესამე... და აგერ, მეასე მწერლის მიერ „ანყობილი“ ჯაბახანა მოთხრობა - „მანქანა“ ხომ, ჯერ ერთი, არც იქოქება და თან მის გარშემო იმდენი ზედმეტი „შურუპი“, „დეტალი“, „ნანილი“ და „კვანძია“ მიმოფანტული, კარგი მწერალი-ინჟინერი იქიდან ერთ პატარა, კოხტა მოთხრობა — „მანქანას“ კიდევ „აანყობს!“. ჰოდა, აკა მორჩილაძეს ამ ქალაქების — ამსტერდამის, ვაშინგტონის, თბილისის თუ სტამბოლის აკვიატებულ, მოკლე-მოკლე დახასიათებას რომ ვუნუნებ, მისი რაიმე ჟინი კი არ მჭირს! მოთხრობის საფუძვლიანი ნაკითხვის შემდეგ როცა ჩემს ცნობიერებაში მოხდა მისი საბოლოო „ანყობა“, ზოგიერთ „შურუპთან“ ერთად ამ ქალაქების ზერელე და უადგილო დახასიათებაც ზედმეტი აღმოჩნდა — აბსოლუტურად არაფერს იძლევა: მკითხველს ღლის, მოთხრობას კი ამძიმებს, აჭიანურებს, ექსპრესიასა და სიმბურვალეს უნელებს. მხატვრული ნაწარმოების მთავარი სათქმელი კი — თუკი ის მწერალს მართლა მოუდულდა — ვულკანის ლავასავით უნდა აწვებოდეს უკანიდან, ზურგს უთუთქავდეს და ისე მიაქანებდეს მის მიერ გზადაგზა გაჭრილ კალაპოტში, რომ უსარგებლო და ზედმეტი დეფექტური „შურუპების“ „გამოსაჩარხავად“ აღარ სცხელოდეს!

ოპონენტებს ჩემი მსჯელობა კატეგორიული ან ტენდენციური რომ არ მოეჩვენოთ, მათი და ლიტერატურული ჭეშმარიტების ხათრით ამ მომენტს უფრო ჩავუღრმავებდი. კეთილი, ავტორს წყალში ნუ ჩაეყვრით გარჯას, ოლონდ, მოდი, ყველა მათგანს ცალ-ცალკე გავუსინჯოთ კბილი.

„ამსტერდამი კი არის ქალაქი, რომელსაც აწევს ღრუბელი, თეთრმა ჯადოქრებმა რომ გამოიხმეს საიდანლაც და ზედ ციციანათელები დააბნიეს“.

აგაშენათ ღმერთმა! რაკი ავტორს აღარ დაუშლია, მაშინ ტვინი უნდა ეჭყლიტა, მრავალი კუთხე-კუნჭულიდან დაჰკვირვე-

ბოდა და ნებისმიერი ქალაქისთვის, როგორც წესი, ისეთი განსაკუთრებული, ორიგინალური ნიშან-თვისება აღმოეჩინა, რაც მას მკვეთრად განასხვავებს და გამოარჩევს სხვა ქალაქებისაგან!

ავტორი კი თავის მკითხველებს როგორ უხასიათებს ამსტერდამს? ეს არის ქალაქი, რომელსაც აწევს ღრუბელიო! ვისაც ესმის ელემენტარული მეტეოროლოგია, ოდნავ მაინც ერკვევა ტროპოსფეროს, სტრატოსფეროს და მეზოსფეროს შემადგენლობასა და ღრუბლის ჩამოყალიბება-გავრცელების პროცესში, ნუთუ ის მართლა დაიჯერებს, რომ ჯერ საერთოდ და, მით უმეტეს, დასავლეთ ევროპის ზღვისპირეთის ზოლში მდებარე ქალაქებიდან მხოლოდ ამსტერდამს „აწევს ღრუბელი“ და სწორედ ეს ერთადერთი ნიშან-თვისება გამოარჩევს იმავ გეოგრაფიულ სარტყელსა და კლიმატურ პირობებში მოქცეული დანარჩენი ქალაქებისაგან?!

ეს ერთი და მეორეც: აბსურდულობამდეა ასული ავტორის დაუფიქრებლობა და პროფესიული ზერელობა — ამსტერდამის თავზე დანოლილ ღრუბლებზე „თეთრი ჯადოქრების“ მიერ მიმობნეული „ციცინათელები“, ცხადია, ელექტრონათურები უნდა იყოს. პოდა, რომელი ჭკუათამყოფელი ირწმუნებს, რომ მთელი დასავლეთ ევროპის ქალაქები და, მით უმეტეს, დედაქალაქები და საზღვაო პორტები სულ ნავთის ლამფებითა და ქონის სანთლებით ბუუტავენ, „თეთრმა ჯადოქრებმა“ კი ეს „ციცინათელები“ ანუ ელექტრონათურები მხოლოდ ამსტერდამში „დააბნიეს“ და ნიდერლანდის დედაქალაქს სწორედ ეს განასხვავებს მსოფლიოს დანარჩენი ქალაქებისაგან?!

ნამდვილი ლიტერატურული ხალტურა!

„ვაშინგტონი არის ქალაქი, სადაც ყველაფერი იციან და ეჭვობენ, რომ შენ ბევრი არაფერი იცი“.

აბა, აქ ვაშინგტონის ნაცვლად ჩასვით, მაგალითად, ლონდონი, ტოკიო, პარიზი, პეკინი, ბერლინი, მექა — რა შეიცვლება?!

რაკი აშშ ზესახელმწიფოდ იქცა და ცდილობს, მთელი მსოფლიო თავის ნებაზე მართოს, ეს ნურვის შეიყვანს შეცდომაში!

მეჟა პანია ქალაქია, მაგრამ იქაური ორთოდოქსალ - ისლამისტებიც სწორედ ასე ფიქრობენ: ყველაფერი თვითონ იციან და საეჭვოა არამუსულმანურმა სამყარომ რამე საფარსაგო იცოდეს!

თავისი დახვეწილი დიპლომატიისა და კოლონიალური გამოცდილებით განთქმული ცბიერი ალბიონის დედაქალაქსაც არანაკლები ამბიციები გააჩნია!

ასე რომ...

„თბილისი კი არის ქალაქი, სადაც აჩრდილები დალივლივებენ და გიმტკიცებენ, რომ შენც აჩრდილი ხარ“.

თბილისი — მოლივლივე აჩრდილთა საუფლო! თანაც უბრალო აჩრდილების კი არა, არამედ ისეთი აჩრდილების, რომლებიც გიმტკიცებენ, რომ არაფერს წარმოადგენ და შენ თვითონაც აჩრდილი ხარ და მეტი არაფერი!

აბა, რა უნდა თქვას აქ კაცმა — ნუთუ მართლა ეს არის ჩვენი დედაქალაქის უმთავრესი და გამორჩეული ნიშან-თვისება?! კეთილი, თუ საქმე ამგვარ ზერელე და ზოგად დასკვნაზე მივარდება, აბა, მაშინ თბილისის ადგილას ჩასვით, მაგალითად, ბეირუთი, ლიმა, კატმანდუ, დელი, აბუ-დაბი, მედინა, ტრიპოლი, ამხაბადი, მაგადანი, ლა-პასი, რაბათი, ხართუმი — რა შეიცვლება?!

„სტამბოლი კი არის ქალაქი, სადაც იღვიძებ და ეძებ იმას, რაც ყოველი ფეხის ნაბიჯზეა, მაგრამ გადაცმულა და მსახიობივით იქცევა“.

ამგვარი მიგნება-დახასიათება რამდენადაც ბრწყინვალეა, იმდენად ტრაფარეტულიც არის, ვინაიდან ეს მხოლოდ სტამბოლის დამახასიათებელ ნიშან-თვისებას არ წარმოადგენს: ყველა მგზავრს ასე ემართება და ეჩვენება პირველად მოხვედრილ ნებისმიერ უცხო, დიდ ქალაქში!!!

* * *

საერთოდ, მხატვრული ნაწარმოების და, მით უმეტეს, ნოველისა თუ მოთხრობის ოსტატურად დანყება თითქმის საქმის

ნახევარს უდრის. როგორც საძოვარზე გაყვანილი ცხენის პატრონი გლეხკაცი ვეება ქვით რკინის პალოს საგულდაგულოდ დაასობს ხოლმე, რათა მერე ცხენმა არ მოგლიჯოს და საძებარი არ გაუხდეს, მხატვრული ნაწარმოების პირველი სტრიქონები, პირველი აბზაცი თუ აბზაციებიც იმ გლეხის რკინის პალოსავით მტკიცედ უნდა იყოს „დასობილი“, რათა მწერალმა თავისი მკითხველი ისე საიმედოდ „დააბას“, რომ არამცთუ მოგლიჯოს ეს „პალო“ და სხვაგან გადაიკარგოს, არამედ წასვლაც კი არ მოაფიქრდეს და საერთოდ, ვერც კი გრძნობდეს, რომ „დაბმულია!“

აქ? აბა, დაკვირვებით წაიკითხეთ მთელი თავი: მწერალი თავისი მთავარი პერსონაჟის ფსიქოლოგიური პორტრეტის დახვეწასა და თხრობის ლაკონურობის სრულყოფას კი არ უთმობს მთელ ყურადღებას, არამედ სულ ამ აეროპორტის ყველასათვის ნაცნობი აქსესუარებისკენ მიუფრენს თვალი და ყური: აეროპორტები უთავბოლო ფუნდუკებია, სადაც ლუდს სვამენო. წარმოგიდგენიათ?! რომ იქ გაჩახჩახებული მალაზიები და მასაჟის კაბინეტებია, საპირფარეშოს ვატერკლოზი წყალს ჩხრიალით უშვებს და სხვა და სხვა. კი მაგრამ ეს ვიღამ არ იცის? აეროპორტი, სტადიონი, პორტი, სადალაქო, სახინკლე, სილამაზის სალონი, ვაგზალი, ბაზარი და მისთანები თავისთავად ისეთი ადგილებია, რომ მარტო მათი დასახელებაც კი კმარა და თუ რამე განსაკუთრებული არ ხდება, ასეთი წვრილმანი თვითმიზნური აღწერა არაფერს იძლევა. მაგრამ ავტორი ამას ვერ ხვდება, ან არ დაგიდევთ და თავისებურად „მიერეკება წყალივით“. აეროპორტში თურმე „ფანჯრები დიდია, ხედი — მოსაწყენი, ცაც თეთრია და თვითმფრინავებიც“.

აბა, ამას რაში ეტყობა ან მხატვრულობა, ანდა რას სძენს მოთხრობას?

ავტორი თავისას განაგრძობს. „აეროპორტი არის ადგილი, სადაც აუცილებლად გაგახსენდება ბომბები (თუ ნალმები? ჯ.მ.). რა არის ფრენა თერთმეტი სექტემბრის შემდეგ?“

ჰმ, მარტო აეროპორტები როდი გვახსენებს ტერორისტთა ამ „ბომბებს!“ სამწუხაროდ, დღეს ამავე განცდას ინვეეს კაფე, რესტორანი, ბარი, ხიდი, დაწესებულება, მეტრო, ქუჩა, დის-

კოთეკა, საელჩოს შენობა, მოედანი, გაზონი, ავტომობილის საბარგული, კაბინეტი, სავარძელი, კინოდარბაზი, გემი, ნაგვის ურნა... თანაც ისე გაიძახის — რა არის ფრენა თერთმეტი სექტემბრის შემდეგო, თითქო ეს უფრო სახიფათო კი არ გამხდარიყოს, არამედ პირიქით — გაიოლებულიყოს!

მწერალი ბოლოს თავმომაბეზრებელ ბავშვურ ბუზღუნზე გადადის.

„აეროპორტი მხიარულებას გამორიცხავს, აეროპორტი დაღლილობა და ლოდინია“.

მწერალი ცამდე მართალია, ამაში მეც ვეთანხმები, მაგრამ ეს აღმოჩენა დიდი ხნის გაცვეთილი და შაბლონურია. დაღლილობა და ლოდინი მარტო დიდ აეროპორტებს კი არა, ჩვეულებრივ ნავსადგურებს, რკინიგზის პროვინციულ ვაგზლებს, დიდმოხელის მისაღებს, საავადმყოფოების საოპერაციოს, სასამართლოს დარბაზებს თუ მიყრუებული დაბების ავტოსადგურებსაც ახასიათებთ — ამით ახალს ველარაფერს ვამბობთ. ამიტომ მკითხველს აინტერესებს არა თვით ამ დაღლილობისა და ლოდინის გამომწვევი მიზეზების მშრალი, ზოგადი ჩამოთვლა, არამედ მისგან დაღდასმული პერსონაჟის სულიერი მოძრაობის დამაჯერებელი, მხატვრული ასახვა!

მოთხრობის პირველი თავი ჩემში ასეთ ასოციაციას აღძრავს: მხოლოდ ახალდაქორწინებულთათვის განკუთვნილი ძვირფასი სამკაულების მაღაზიაში ტომრებით ოქროს მადანიც რომ გამოდგან! მაგრამ ოქროს მადანი კი არა, ჩალის ფასადაც რომ გაატანონ, თვით ხალასი ოქროს ზოდებიც კი არ გაიყიდება, ვინაიდან იქ მისულ ქალიშვილს, რომელმაც დღეს-ხვალ საქორწილო ფატა უნდა დაიდგას, სჭირდება არა ოქროს ფუთიანი ზოდები, არამედ რამდენიმეგრამიანი ოქროს ნატიფი სამკაულები.

ასეა მკითხველიც! ამ პირველი თავის რვა აბზაცი მის თვალში წარმოადგენს განუხჯელი გულუხვობით დახვავებულ ნედლ მასალას, საიდანაც რამდენიმე მოკლე, ტევადი მხატვრული აბზაცი უნდა ჩამოსხმულიყო.

ამსტერდამის აეროპორტში მოყურყუტე მთავარი გმირი, პოეტი ვახტანგ მარგველაშვილი შემთხვევით გადაეყრება თავისი მეუღლის დაქალს, ეკოს (იგივე ეკოტერინოს), რომელიც ინგლისელ მამაკაცზე, კრისტოფერზე გათხოვილა.

მთელი მეორე თავი მათ შეხვედრას, საუბარსა და დამშვიდობებას ეძღვნება. მოდი, ჩვენც მოვუსმინოთ.

II.

— ჰეი!

— ვა, ვახ, ვაახ!

— ნუ ყვირი, მაგარი დაღლილი სახე გაქვს, არ გინდა ყვირილი.

— მარტო ხარ?

— კრისტოფი ხომ იცი?

— კრისტოფი. ვიცი. ესა მესა, ხო? ნუ მირტყამ...

— აგე, კრისტოფი, აი, წყალს რომ სვამს.

— წყალზე გყავს ამხელა კაცი? ნუ მირტყამ. ყველამ იცის, როგორ ითრევთ ჩვენი გოგოები ამ ბითურებს. ნუ მირტყამ... ხალხი გვიყურებს.

— რა სახე გაქვს, გაიგიჟეთ თავი? ყველა ქართველის სასაფლაო ამსტერდამია. ჩამოვლენ კარგები, მოვლილები, წესიერები და პირდაპირ ტაქსში — რედლიხტ! და მოდიან უკან მწვანეები და გამხდრები. კრისტოფ, კრისტოფ...

— დააცადე კაცს... შენთან მირჩევნია, რად მინდა ეგ შენი კრისტოფი.

— შენ ცოლს ვეტყვი, რასაც ჰგავდი. იცი, რა კეთილია?

— ვინ?

— კრისტოფი.

— კეთილი იქნება, აბა რა... ეგეთი აპრავა სულ კეთილ ხალხს უკეთია... ნუ მირტყამ, პოლიციას დავუძახებ.

— კრის, კრის.. კრის, აი, ვატუკა, მაკის ქმარი. გახსოვს მაკი?

— ჰაი, მაკი სუპერია. სუპერ. ჩვენ ვიყავით თქვენთან, თქვენ არ იყავით.

— ამან თავი არ მაცემინოს.

— დეგენერატო, ესმის ქართული, ყველაფერი ესმის.

— შპიონია და უნდა ესმოდეს, აბა რა.

— ამსტერდამში იყავი?

— არა ტრანზიტია. ამერიკაში ვიყავი. ერთი საათია ჩამოფრინდი. — საშინელებაა, ზომბი ვარ ხოლმე, იქიდან რომ მოეფრინავ.

— მოდი რა, მოდი, დავჯდეთ. აი, აქ. რა კაია, არა? ჩვენ პამპლონაში ვიყავით, პარიზში გავეჩერდით ორი დღით, მერე აქ სამი დღით და...

— ჰემინგუეის გაჰყოლია ცოლად და არ ცოდნია.

— ახლა ლონდონში მივდივართ, სახლში.

— დაჟე სახლში?

— ხო. დეკემბერში უმთავრდება ამას ჩვენთან და მერე ალბათ წამოვალთ აქეთ.

— კიდევ ერთი ქართველი ქალი დახარბდა ამათ აპრავეებს და „სააბის“ რულს. აღარ დამარტყა...

— კრის, ჩვენ ძალიან ძველი მეგობრები ვართ, მთელი სიცოცხლე ვცემ, იმიტომ, რომ საშინელებებს ამბობს ხოლმე.

— ვიცი, ვიცი... რას დალევთ?

— ახლა? ახლა დავლევ... მოდი, ჯინს დავლევ.

— მე მოვიტან.

— კარგი ძვირფასო.

— ვაახ, ეს ვინ არი, როგორ აბამენ ამ ნესიერ ადამიანებს.

— მე რომ არ გენახე, ვის მიაყრიდი მაგ სისულელებს?

— იცი, რაზე მწყდება გული?

— ჰა...

— თუ მაინც ამათ უნდა წამოჰყოლოდით, ამათთვის ხო სულერთია და ჩვენ რატო ერთხელ... ნუ მირტყამ. ხო... ხო... მორჩა, აი, ვს.. აი, კრისტოფი მოვიდა. სენქს კრის... პამპლონაში ხარებია, არა?

— უუ — უ, ძალიან საინტერესოა.

— სირბილი უნდა იცოდე. ტორეროები ლამაზი ბიჭები არიან? მშვიდობით, იარაღო ხომ არ უთქვამთ?

— კრის, რომანია ასეთი.

— ვიცი, ვიცი.

— ფიესტა ჰქვია და ჩვენ „მშვიდობით, იარაღოს“ ვეძახით.

რატო გაგიჟდება ხოლმე კაცი, როცა ცოლის დაქალს გადაეყრება ხოლმე? ემართება რაღაც, აუსრულებელ - ასასრულებელი. თითქოს ისევე იცნობს ხოლმე ამ გოგოს, როგორც თავის ცოლს და რაც დრო გადის, მეტად და მეტად ჰგონია, რომ შემთხვევის წყალობით ასცდა მას და რაღაც რომ ცოტა სხვანაირად მომხდარიყო, ეგებ თავგადასავალიც გადახდენოდათ. ამ არგადახდენილი თავგადასავლის სინამდვილეში არარსებული შესაძლებლობა თუა, რომ დაიქოქები ხოლმე.

— ამერიკაში რა გინდოდა?

— ვორქშოფი იყო.

— ვორქშოფისთვის ნახვედი ამხელა გზაზე?

— შენ ხარების საყურებლად ნახვედი სოფელში და მე რო ვორქშოფის...

— გზა გადაგიხადეს?

— — თვითონ. ყველაფერი.

— კრის, იცი ეს ვინ არის?

მე ოთხი ჯინი დავკარი იმ ერთ საათში.

— ერთ საათში ლონდონში ხართ.

ერთი მძიმე და ძველებური ამბავი გამახსენდა. კრისტოფი ჩაფიქრებული მისმენდა. იმ დროს, ერთი კარგი თბილისელი კაცი, გვარად თევზაძე, მოსკოვის აეროპორტში ნატა ვაჩნაძეს და სხვა ქართველ მსახიობებს შეხვდა. ისე გაუხარდა, რომ ბილეთი გადაცვალა მათ რეისზე, მანამდე კი აეროპორტის რესტორანში

მიიპატიჟა. ის თვითმფრინავი აფეთქდა და სხვებთან ერთად ეს კაციც დაიღუპა.

— რა საშინელებაა... რატო იცი ხოლმე... მაინცდა- მაინც ჩაჯდომის წინ.

— სხვანაირად არ გამოდის.

— სულ ასეთ რამეებს ყვება ხოლმე.

— ორმოცდაჩვიდმეტ წელს მანჩესტერ იუნაიტედი მოფრინავდა მიუნხენიდან... — დაიწყო კრისმა. მართ- ლა კარგი ბიჭი იყო, რას ვერჩი?

გამშვებამდე გავყევი.

— როდის ჩამოხვალთ?

— თვის ბოლოს. შვებულება უმთავრდება. მოიცა მოიცა, აი, ეს... აი, ნახე რა ფერია. ეს მაკის მიეცი.

პომადა იყო. გლუვი და კარგა მოზრდილი პომადის პირობაზე. ოქროსფერ ბრჭყვიალა ყუთში.

— ეს არი ახლა, აი, ოქროსფერია ყველაფერი მო- დაში.

— აბა, კრის...

— თბილისში შევხვდებით.

— მოდი, გაკოცო...

— რა ლამაზი ხარ, შე ვერანა.

— შენ კიდევ მწვანე ხარ... დავრეკავ, მაკის დავურე- კავ. წყნეთში არიან?

წყნეთი და ამსტერდამი, მოხდება ხოლმე ასე.

— მშვიდობით, იარალო“...

პატივცემულო მკითხველო, ცხადია, გემახსოვრებათ ჩემი წელანდელი დაპირება, ზაალ სამადაშვილის მოთხრობის „ქვე- მებების ქუხილის ეპოქა“ გარჩევისას რომ მოგეცით: მალე პამპლონიდან მომავალ მეორე ქართველი მწერლის პერსონ- აჟებსაც შევხვდებით-მეთქი და, აჰა, უკვე საკუთარი თვალით ნაიკითხეთ: პამპლონა, ხარები, ფიესტა... საქმე იქამდე მიდის, რომ ჰემინგუეიზე ფანატიკურად შეყვარებულ ვახტანგ მარ- გველაშვილს სულ თავისი კერპი ელანდება და აგერ, მეუღლის დაქალი, ქმრიანი ქალი ლამის ახლა გარდაცვლილ მწერალს გააყოლოს ცოლად!

ერთი სიტყვით, როგორც ხედავთ, ზოგიერთი ქართველი კალმოსნის პერსონაჟები დიდი ამერიკელი მწერლის ლიტერატურულ საუფლოში ისე განუკითხავად დაცელქობენ, როგორც თბილისიდან არდადეგებზე ჩასული ონავარი მონაფეები თავ-თავიანთი პაპა-ბებიების ბალ-ვენახებში! საქმე იქამდე მიდის, რომ ზოგი მწერლის ნაწარმოების გმირი თბილისიდან ტაშკენტზე გავლით პეკინში რომ მიფრინავდეს, ავტორს გული არ უძლებს, რაიმე საბაბით თავის პერსონაჟს გეზი არ გაუმრუდოს და პაპა ჭემის ბრმა თაყვანისცემის ნიშნად პამპლონასა თუ დიდი მწერლის ესპანური მარშრუტის რომელიმე პუნქტს არ ასტუმროს!

მოკლედ, ქართველ მწერალთა პატარა ჯგუფმა პამპლონა ნამდვილ ლიტერატურულ მექად აქცია! როგორც მორწმუნე მუსულმანი ვერ მიიღებს ჰაჯის საპატიო ნოდებასა და ჩალმას, თუ ყურბან-ბაირამის დღესასწაულისას მექაში არ მოილოცა, ისე დღეს მწერლად აღარავინ ჩავთვლის, თუ შენი ნაწარმოების პერსონაჟები ესპანეთში არ ჩარეკე და ჰემინგუეის გზა-ბილიკებით არ აყიალე, თუგინდაც იქ არაფერი ესაქმებოდეთ!

აქ უნებურად მახსენდება თედორე დოსტოვესკის ცნობილი ფრაზა: ჩვენ ყველანი გოგოლის შინელიდან გამოვედითო. თავის დროზე ძალიან მომწონდა და ახლაც მომწონს ეს გამონათქვამი, მაგრამ ამ წიგნზე მუშაობისას რალაცამ ცოტა სხვანაირი ცვლილება განიცადა: ახლა თვით მთლიან ფრაზაზე უფრო მეტად მისი უკანასკნელი სიტყვა მხიბლავს და მალეღეებს — გამოვედითო!

ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რა სავალალო მდგომარეობაში შეიძლება ყოფილიყო ჩავარდნილი რუსული ლიტერატურა, იმავე დოსტოვესკის, ანდა რომელიმე სხვა რუს მწერალს ნაღვლიანად რომ დაეჩივლა: ვერა და ველარ გამოვსულვართ გოგოლის შინელიდანო!!!

მკითხველი ადვილად მიხვდება, რა მანუხებს და ლარს საით ვჭიმავ: ქართველ კალმოსანთა ერთმა ჯგუფმა პირდაპირ ბურნასავით ჩაიბუდა ამერიკელი მწერლის ერნესტ ჰემინგუეის მიერ ოდესლაც დასავლეთ ევროპის რომელიღაც კაფეში დატოვებულ ქაფშემხმარ, ფსკერზე ფირფიტად ლუდჩარჩენილ კათხაში და იქიდან ველარ ამოფრენილან!

— პამპლონაში მივდივარ! პამპლონადან მოვდივართ!... პამპლონაში ვიყავით!... ხარები... ტორერო... ფიესტა... „მშვიდობით, იარაღ“... ვთქვი მე, თქვა მან... თქვა მან, ვთქვი მე... ქუჩა გადავჭერი და კაფეში შევედი... ქუჩა გადმოვჭერი და ბარში შევედი... ბარში გრილოდა. მერე ვისკი შევუკვეთე... წვიმაში ქუჩა გადავჭერი და კაფეში შევედი... ლუდი ხელმეორედ შევუკვეთე და ასე თვითმიზნურ-ეპიგონური დაუსრულებლობით!

ცხადია, დასაძრახად არ ითვლება, შემოქმედებითი გზის დასაწყისში ნორჩმა დებიუტანტმა მართლაც გამოიზამთროს და დაფრთიანდეს თავისი სათაყვანებელი დიდოსტატის ჩოხაში, ნაბადში, ტოგასა თუ „შინელში“, მაგრამ ხომ არ შეიძლება ჩრჩილივით სამუდამოდ ჩაიბუდოს თავისი კერპის შალის პალტოში და ურცხვად დაუნაკუნოს: მთელი სიცოცხლე იქიდან უჭვრეტდეს ლიტერატურულ პროცესებსა და შემოქმედებით მინდვრებს, საკუთარ უღიმღამო პერსონაჟებს მის გმირებს მექანიკურად უსადაგებდეს, სულ მათ კუდში აჩანჩალებდეს და ამით ილაჯს უწყვეტდეს მკითხველს?!

სამნუხაროდ, ეს ჰემინგუეის ბევრ ბრმა, მოხალტურე მიმბაძველს არ ესმის და მისი შემოქმედებიდან გასაკვირი მოურიდებლობით ახეულ რალაც ნაკუნს თავის მოთხრობას საქორნილო ქალღაღვით შეაბამს ხოლმე, რაკი ჰგონია, ეს უეჭველად წარმატების საწინდარი იქნება!

ძველ ჩინეთში ერთ-ერთი იმპერატორი სიკვდილით დასაჯეს მხოლოდ იმიტომ, რომ მიუტევებელი „დანაშაული“ შეუტყვევს: თურმე თავისი ცოლი შეჰყვარებოდა! კანონის თანახმად კი იმპერატორს არ ჰქონდა საკუთარი ცოლის შეყვარების უფლება, რადგან ამ უკანასკნელს სახელმწიფო ინტერესების საზიანოდ ქმარი თავისი გავლენის ქვეშ არ მოექცია.

ვინ გიჟი აუკრძალავს მწერალს და, მით უმეტეს, დამწყებს, თავისი საყვარელი კერპი ჰყავდეს, მაგრამ ისიც ხომ საცოდაობა იქნება, სამუდამოდ მისი გავლენის კლანჭებში მოექცეს და ველარ იპოვოს საკუთარი გზა და ხმა!

არავის ეგონოს, ერნესტ ჰემინგუეის არ ვაფასებდე. პირიქით, იგი ჩემთვისაც მეოცე საუკუნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი

მწერალი. მეტსაც ვიტყვი: უნივერსიტეტის პირველ კურსზე ყოფნისას სრულიად ცამონმენდილზე რომ გავეცანი ამ მწერალს, მისმა სტილმა და თემატიკამ ისე მომხიბლა, რომ ჩემს წარმოდგენაში მისი შემოქმედება უეცრად წამოდულებულ, აქა-ფქაფებულ რძის ქვაბს დაემსგავსა!!! მაგრამ ჩვევად არა მაქვს ნებისმიერ საქმეში, ურთიერთობისას თუ ვითარებაში გადმოსასვლელად უცებ წამობურცული „ნალები“ მაშინვე „რძის“ რეალურ დონედ მივიჩნეო.

როგორც ცეცხლიდან გადმოღებული, გადმოსასვლელად წამოქაფქაფებული რძის ქვაბი დაინევს ხოლმე, ჩემი პირველი ემოციური შთაბეჭდილების ცეცხლიდან გადმოდგმული ერნესტ ჰემინგუეის შემოქმედების „რძის ქვაბიც“ ისე ჩაცხრა და თავის ნამდვილ დონეზე დადგა. ამით მის დიდებას ჩემს თვალში არაფერი მოჰკლებია. პირიქით, იგი ჩემთვის იქცა იმად, რასაც სინამდვილეში წარმოადგენს და არა იმად, რაც არ არის. რაზეა ლაპარაკი — იგი შესანიშნავი მწერალი და თანაც მეოცე საუკუნის ერთ-ერთი უპირველესი სტილისტია, მაგრამ მე რა? რაკი იგი ერთ-ერთ საყვარელ მწერლად გავიხადე, ეს როდი მაძლევს იმის უფლებას, ჩემი უმნიშვნელო პერსონაჟები მის ლიტერატურულ ნაღვალში უგვანოდ ვათარეშო და მკვახე ხილის ტოტები განუკითხავად ვამტვრევი!

ქალწულებრივი ილუზიები და განუსჯელი ეპიგონობა მწერლობაში ერთსა და იმავე დროს დამღუპველიცაა და თან სასაცილოც. ასე რომ, პამპლონა-მამპლონას, ტორერო-მორეროს, ფიესტა-მიესტას წარამარა ტიტინი ხეირს ვერ მოგვიტანს. თუ შეგვიძლია, ჩვენ ჩვენი ხრიოკი ლიტერატურული ბოსტანი საკუთარი ოფლითა და ჯაფით გავანალკოტოთ, მკითხველის თვალის ასახვევად სხვის ეგზოტიკურ ბალში ფაციფუცით მიმტვრეულ-მომტვრეული შტოების აქა-იქ ჩარჭობას კი აზრი არა აქვს — მალე ჩაჭენება და გადასაყრელი გავციხდება!

ჰემინგუეის ბრმა თაყვანისმცემლები რომ არ გავალიზიანო, ლიტერატურიდან ერთი ნუთით ფეხბურთის სამყაროში გადავიწვევებ.

მიხეილ მესხმა თავისი ფანტასტიკური ფინტით მსოფლიო განაცვიფრა. ბევრი ჩვენი ნიჭიერი მოზარდი, ვინც გულწრფელად

ოცნებობდა დიდ ფეხბურთზე, მესხის ამ ფინტიმა მოაჯადოვა, მაგრამ აქ გადამწყვეტი ის იყო, ვინ რას ხედავდა ამ ჯადოსნურ ფინტში. ბევრმა ყმანვილმა დამლუპველი რამ ჩაიგონა — მესხის ამ ფინტით იწყებოდა და მესხის ამ ფინტითვე მთავრდებოდა ფეხბურთი! ამიტომ სულ ამ ფინტის დაუფლება-დამუშავებას აკლავდნენ თავს, საკუთარი გამომგონებლობა და შესაძლებლობანი კი მხედველობიდან გამოეპარათ, რითაც სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს თავიანთ საფეხბურთო მომავალს.

მეორე კატეგორიის გონებაგახსნილმა მოზარდებმა მესხის ამ ფინტში სხვა, უფრო მნიშვნელოვანი რამ დაინახეს, ვიდრე მხოლოდ თავბრუდამხვევი ტრიუკი — ფეხბურთის ამოუნურავი შესაძლებლობანი!!! საფეხბურთო ესტაფეტაც სწორედ მათ ჩაიბარეს მესხისა და მეტრეველის თაობისაგან.

* * *

„მშვიდობით, იარაღ“... — ასე ამთავრებს მწერალი მეორე თავს.

„მშვიდობით, მოთხრობავ!“ — მე კი ამას ნამომადახებინებს იგივე თავი, ვინაიდან აქვე გაირკვა: მწერალი ჯერ მზად არ ყოფილა ამ მოთხრობის დასაწერად, ანდა, საერთოდ, არ იცის, როგორ უნდა დაინეროს ნამდვილი მოთხრობა.

მეორე თავს აშკარად ეტყობა, მწერალს დამლუპველი ილუზია აცდუნებს: უსაბუთო ჩამოთვლაც კი იკმარებს — ჰამპლონა, ხარები, ფიესტა, ტორერო, ჰემინგუეი, მშვიდობით, იარაღ და მორჩა — დიდი ამერიკელი მწერლის ლიტერატურულ მირონაპკური ეს სიტყვები და ცნებები „მერსედეს-ბენცის“ ლონიერი მოტორებივით საამოდ ილულუნებენ და ნებისმიერ აღმართს დააძლევინებენ მის მდარე, ათასგვარი პიროვნების უადგილო, თავმომაბეზრებელი ხსენებით გადატვირთულ ტექსტს, რომელიც მოთხრობას კი არა, უთავბოლო „ბიოგრაფიულ ლექსიკონსა“ თუ უცხო პირთა სახელების ორთოგრაფიულ ლექსიკონს უფრო ჩამოჰგავს!

მსოფლიოს რომელიღაც ჩემპიონატზე ერთ-ერთი მატჩის შემდეგ ვილაც უცხოელმა ჟურნალისტმა უოაო აველანეს ჰკითხა: როგორ მოგეწონათ რუსების თამაშიო.

— რუსები იმდენს დარბოდნენ, ფეხბურთის სათამაშოდ დრო აღარ რჩებოდათ! — იყო პასუხი.

სამწუხაროდ, მოთხრობის ავტორიცა და მისი მკითხველიც იმ რუსი ფეხბურთელების დღეშია. მწერალს ნამდვილი მოთხრობის დასაწერად დრო აღარ დარჩენია, რადგან უმთავრესად იმით ყოფილა გატაცებული, ვინ და ვინ გაეხსენებინა და ჩაენერა (სწორედ რომ ჩაენერა!) თავის მოთხრობაში.

მკითხველი უფრო მძიმე მდგომარეობაში ვარდება: იმის მაგიერ, თავს ძალა დაატანოს და ისედაც აბურდულ-დაბურდული, თან ჩიქორთულ-ჟარგონული ენით დაწერილი მდარე ტექსტიდან თავის წარმოდგენაში როგორმე მოთხრობა აღადგინოს, სულ ამ უმიზეზოდ და უადგილოდ დასახელებულ უცხო-უცხო პიროვნებებისა და მათი ვინაობის გარკვევაზე ეხარჯება გონი და გულისყური. მოუსმინეთ:

„— პემინგუეის გაპყოლია ცოლად... სადაც მარხია მოკვეთილი თავი ჩვენებური სელიმ-ჟაშასი... ჩარლზ ბარკლისაც მოუგებდა კალათბურთს... შენ გაფრინდები ყოველგვარი გულისფანცქალის (უნდა იყოს გულის ფანცქალის. ჯ. მ.) გარეშე, დელა ელენა სან მარკო... მე მეგონა (აქ მძიმე უნდოდა. ჯ. მ.) დოლჩე და გაბანა გელოდებოდნენ... აჰმედ კაია ჩამოსულა ჯეიმს ბონდივით... მოიყუდოს ბოთლი ისე, როგორც უილიამ მანიმ... პირდაპირი უდარი გაქ. ლენოქს ლუისი ხარ... მომიკითხე ჟან კრისტოფ კრაფტი... ოსკარ დე ლა შოია, — ვამბობ თუ ვერა, არ ვიცი... თარაშ ემხვარი ერკვეოდა ყავაში... ეს ამბავი იმას ჰგავდა, პოლკოვნიკმა შერბონმა რომ ლოთს დრო მისცა... კევენ კოსტნერს რომ ეუბნება ენტონი კვინი... პუშკინი იცი, (რა საჭიროა აქ მძიმე? ჯ. მ.) შენ?... დობრი ვეჩერ, დათა თუთაშხია... მირზა დელიბაშიჩი, დრაგან დალიპაგიჩი, კრაშემირ ჩოსიჩი, დეიმ კიშანოვიჩი — ბავშვობას ვერ დაემალეები... ჯორჯო სტრელერიც დიდი ხანია, არ ყოფილა... ბორის სავინკოვ, ჯიგარო... სოლჟენიცინი! — მივუგე ჯინაზე... პერმან მელვილი, ოლონდ მოკვდა... ერთი ახირებული კაცი რომ მარტო

სიმთვრალეში ცნობს ჩარლი ჩაპლინს... ხელს გავუ-
წოდებ ჰექლბერი ფინის მამასავით... ის მესვრის,
აღენ დელონ, ლამაზად კვდებოდა ხოლმე... პონიალ,
რობერტ დე ნირო?... ვითომ მარინა ვლადია... ბო-
კოკიო გაგიგონიათ? ან მისტერ ვულფი?... მფრინავი
პოლანდიელივით ვითომ არიან და არ არიან... ნამდვი-
ლი ოსკარ დელა პოია იქნებოდა... ლოლა მერსედეს,
ყორნის ფრთებით განწყობილ მარაოს რომ აცახცახებ...
ლორკა პოეტი იყო... როგორც სპარაპეტა იტყოდა...
რავა ხარ, ჯონ ლენონ? ჯერ არ უსვრიათ?... ფინქს
ფლოიდი იყო... და დაეძებდა ახალ ცხოვრებას, რო-
გორც უილიამ მანი...”

აი ასე — მთელი მოთხრობის მანძილზე: პირველი პირით
მოლაპარაკე მთავარ პერსონაჟს, პოეტ ვახტანგ მარგველაშ-
ვილს ალაღბებზე ვინც კი წამოაგონდება, დაუფიქრებლად ჩა-
სობს ხოლმე კალამს და პირდაპირ მოთხრობაში ისვრის, თითქო
მოთხრობა მოგონებათა სკივრი ან ნაგვის კალათა იყოს!

დააკვირდით: მწერალს იმდენი მოთმინება, პასუხისმგებლობა,
თავდაჯერება და შეიძლება ნიჭიც არ მოსდევს, თავის გმირს
დამოუკიდებლად ბოთლი მოაყუდებინოს, ვინმესთვის ხელი ჩა-
მოართმევინოს.

„მოიყუდოს ბოთლი, როგორც უილიამ მანიმ“...

„მივალ და ხელს გავუწოდებ, (რა საჭირო იყო აქ
მძიმე? ჯ.მ.) ჰექლბერი ფინის მამასავით“.

კი მაგრამ, თუ მკითხველმა არ იცის, ვინ არის ეს უილიამ
მანი, ან სად და რანაირად მოიყუდა ბოთლი, ანდა ფინის მამა
ვისა და როგორ ართმევს თუ უწვდის ხელს, მაშინ როგორ
მოიქცევს: გვერდზე გადადოს აკა მორჩილადის მოთხრობა და
ასეთი წვრილმანების — თქვენ მარტო წარმოიდგინეთ, ბოთლის
მოყუდება და ხელის განოდება!!! — კვლევა-ძიებას შეუდგეს?!
ან თუგინდ მკითხველმა ეს ყველაფერი ბრწყინვალედაც იცოდეს,
მწერალი მაინც არ თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, ვი-
ნაიდან მკითხველი რაკი მის მოთხრობას ჩაუჯდა, მას აინტერე-
სებს არა ვილაც უილიამ მანის თუ ჰექლბერი ფინის მამის,

არამედ აკა მორჩილადის გმირების სულიერი სამყარო, მანერები, მოძრაობა, ხასიათი! მაგრამ ავტორს ეს არ ესმის, ან არ ძალუძს ამოცანას თავი გაართვას და როგორც ახალფეხადგმულ ბავშვს დამოუკიდებლად გავლის ემინია და სულ დედის კალთას ებლაუჭება, ავტორიც ისე ებლაუჭება ცნობილი მწერლების თუ მსახიობების მიერ შექმნილი გმირების მზამზარეულ სახეებს.

ესეც კარგად მესმის, მწერალს ამგვარი ხერხის გამოყენებას ვერ დავეუშლით. ან რა დაშლაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა მსოფლიო მხატვრული ლიტერატურა სავსეა მსგავსი მაგალითებით, მაგრამ ერთია, როცა ჭეშმარიტ ნაწარმოებში ბუნებრივად და საბუთიანად არის ხოლმე მოხმობილი სხვა მწერლის მიერ შექმნილი სახე, რომელიმე პიროვნება თუ მოვლენა და სრულიად სხვა არის, წყალწყალა მოთხრობის ავტორისაგან მსოფლიო მასშტაბის ცნობილი პიროვნებებითა და სხვის მიერ შექმნილი საქრესტომათიო მხატვრული სახეებით წრეგადასული მანიპულირება.

* * *

ენა? თუკი სამართალია, ჯერ ენით უნდა დაგვეწყოს.

ვახტანგ მარგველაშვილი ამსტერდამის აეროპორტში თუ თავისი მეუღლის დაქალს, ეკოტერინოს და მის ქმარს, კრისტოფს გადაეყრება, სტამბოლის აეროპორტში კიდევ თავის ყოფილ თანაკლასელს, ქალბატონ ბებეს შეეჩეხება. ეს ბებე ვახტანგის მეუღლის, მაკის თანაკლასელის ვიკას (ვიქტორის) ცოლია, რომელიც ვახტანგს თურმე მეშვიდე კლასიდანვე ჰყვარებია და ეს სიყვარული დღემდე არ განელებია — პირიქით!

ვახტანგი, როგორც უკვე ვიცით, თბილისისკენ მიფრინავს, ქალბატონ ბებეს პარიზისკენ უჭირავს გეზი, თუმცა ავტორი არ გვიმხელს — იქ რა დარჩენია. მოვიყვან მათი საუბრის ნაწყვეტს — ბებე იწყებს.

- შენ რას შვრები?
- ამერიკაში ვიყავი.
- მოგეწონა?
- ჯორჯთაუნი მომეწონა.
- ჩვენ მაიამში ვიყავით შარშან.

- მაიამი არ მომეწონა.
- მე მომეწონა.
- მე არ ვყოფილვარ, წინდანი არ მომეწონა.
- მე რომ ვიყავი (აქ მძიმე უნდოდა. ჯ.მ.), იმიტომ?

— ე, გახსოვს (აქაც მძიმე უნდოდა. ჯ.მ.), მცხეთაში რო ვიყავით ექსკურსიაზე მეშვიდე კლასში და კლდეზე რო უნდა ავბობლებულიყავით?”

ჯერ ამსტერდამში ქ-ნ ეკოტერინოსთან შეხვედრა გავიხსენოთ, ახლა ესეც დავამატოთ და, აბა, წარმოვიდგინოთ, რა საოცნებო მასშტაბები და მარშრუტებია: პამპლონა, ამსტერდამი, ლონდონი... ვაშინგტონი... ჯორჯთაუნი, მაიამი, პარიზი, სტამბოლი!

მართალია, ავტორი არას ამბობს, ჩვენს გმირებს რა მიაქვთ და მოაქვთ იმ სიშორეზე, მაგრამ მაინც როგორი სანატრელია! თუმცა ერთ რამეზე გული კი მწყდება: რა იქნებოდა, ჩვენს პერსონაჟებს თითო-თითო თვე მაინც გაეტარებინათ საქართველოს რომელიმე კუთხე-კუნჭულში, ვთქვათ, თვალადში, ხიდისთავში, ყვარელში, ნინოწმინდაში, მესტიაში, ასპინძაში, ჯუგაანში, თოხლოჩაში, სიმონეთში, ნიჩბისში...

გაკვირვებული მკითხველი, ალბათ, შემანყვეტინებს.

— კი მაგრამ, იქ არც ფიესტაა და არც... იქ რას ნახავდნენ?

არ ვიცი, შეიძლება ნახვითაც ბევრი საინტერესო რამ ენახათ, მაგრამ რაც მთავარია, მათ გაუკუღმართებულ სააზროვნო აპარატსა და სმენას მალამოსავით მოეცხებოდა იქაური გლეხების გამართული, ძარღვიანი მეტყველება და მაშინ პოეტ ვახტანგ მარგველაშვილსაც შეიძლება ეს არ წამოეყრანტალებინა: „გახსოვს მცხეთაში რო ვიყავით ექსკურსიაზე მეშვიდე კლასში!“.

აბა, როგორია ან წინადადების კონსტრუქცია ან ამ ავარიული კონსტრუქციით დახეობრებული აზრი: „მცხეთაში რომ ვიყავით მეშვიდე კლასში!“

ანდა, მოთხრობის პირველ თავს მივუბრუნდეთ. იმის მაგიერ, რომ თქვას, „მოდით რა, მოდით, დავსხდეთ“, ნაპამპლონარი და

ლონდონისკენ გეზაღებული ქ-ნი ეკოტერინო ბრძანებს: „მოდი, რა, მოდი, დავედეთ“.

პატივცემულო მკითხველო, კინოენით რომ ვთქვათ, ვახტანგისა და ქ-ნ ბებეს წელან შეჩერებული საუბრის ფირი ცოტა უკან გადავახვიოთ და ერთი პანია ნაწყვეტიც მოვისმინოთ.

ვახტანგი ჩივის, ერთხელ, ღვინონასვამი თვითმფრინავში ისე ცუდად გავხდი, ერთი კვირით დავყრუვდი და თავი საიქიომი მეგონაო. ბებე მაშინვე დაუსვამს დიაგნოზს.

„— წნევაა. წნევამ იცის, რა დროს შენი წნევაა.

— რატო არა, ხედავ თეთრებს აქ?“

ცხადია, ბავშვიც მიხვდება: ვახტანგის მიერ ნახმარ ზმნის-წინში „აქ“, იგულისხმება თმა, თავი, მაგრამ აი, საოცრება — თმაში, თავში თეთრებს რა უნდათ?

რას ნიშნავს თეთრები? გადავშალოთ ლექსიკონი და ვნახოთ სიტყვის „თეთრი“ ბოლო, მე-11, მე-12 და მე-13 განმარტებები.

11. ჭადრ. მრავლობითში: თეთრები — ღია ფერის ფიგურები, რომლებიც იწყებენ თამაშს (საპირისპ. შავები).

12. ჩვ. მრავლობითში: თეთრები — თეთრგვარდიელები, კონტრრევოლუციონერები (იხმარება საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის დროიდან, როდესაც ასე უწოდებდნენ ბურბონთა მომხრეებს).

13. საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლი; მის წინააღმდეგ მიმართული — თეთრგვარდიელი.

აბა, ადამიანის თავზე, თმაში რა უნდა ჭადრაკის ფიგურებს, ბურბონთა მომხრე ფრანგ კონტრრევოლუციონერებს თუ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლ კოლჩაკელ ან დენიკინელ თეთრგვარდიელებს.

მწერალი კი არა, აქ ჩვეულებრივი მოქართულეც კი ასე იტყოდა: თეთრი გამომერიანო და არა თეთრები გამომერიანო.

სამწუხაროა, რომ რედაქციაში ერთი მუშაკიც კი არ აღმოჩნდა, რომელსაც ეცოდინებოდა, კრებით სახელთან — თმა — მიმართებაში რომელი რიცხვით უნდა ხმარებულყო სიტყვა „თეთრი“.

მოთხრობა გადატვირთულია ბუნდოვანი, გრძელ-გრძელი, დაუხვეწავი წინადადებებით.

ვახტანგი გვეუბნება, რომ მისი ყოფა-მდგომარეობა ყველაზე უკეთ იცის თავისმა ბავშვობის მეგობარმა აჰმედ კაიამ (იგივე საბურთალოელი თემო) და ვილაც მეძავმა (ყველა ციტატაში სტილი დაცული იქნება).

„ყველაზე კარგად მაგან (აჰმედ კაიამ. ჯ.მ.) იცის, როგორ ვარ. არავინ, არავინ, არავინ, მთლად ძმებმა, სულ-სულ-სულ — სულ. შინაურებმა არ იციან, როგორ ვარ. იცის აჰმედ კაიამ, რომელსაც ბავშვობის მერე ვნახულობდი ძალიან იშვიათად და როცა ვნახულობდი, ვცდილობდი, რომ მალე მეთქვა — ადიოს! აჰმედ კაიამ იცის და იცის, მგონი, კიდევ ერთმა ადამიანმა, იდუმალმა მეძავმა ზოია კასაბროდოვამ, რომელიც ამ ქალაქს გამოეკერა და რომელსაც არც სუნამოთა, არც საუნათა, არც სხვა ათასი ქალაქური სურნელი ასდის, არამედ სურნელი მოხალული ყავისა, სამზარეულოში რომ ავარდება ხოლმე უცებ გახურებული ტაფიდან“.

ვახტანგი ცდილობს გაგვარკვიოს თავის განცდებში, როცა თბილისის ერთ-ერთ ქუჩაზე მოხვედრისას ეუფლება. აი, მთელი აბზაცი.

„ყველაზე ცუდად ამ ქუჩაზე ვარ ხოლმე, იმიტომ, რომ ამ ქუჩაზე ჰგონიათ, რომ ასეა და არ იციან, რომ ჩვენს ქალაქში ერთი ნამდვილი ანარქისტი არ ცხოვრობს, რომ აქ ერთხელ მოხვედრილი მეორედაც დაბრუნდეს და არც მთლად ხელცარიელი“.

თქვენ გაიგეთ რამე? შეიძლება ასე წერა?

ქ-ნ ბებეს ქმრის, ეჭვიანობით გაგიჟებული ვიკას წყალობით სასიკვდილო საფრთხე დაემუქრება ვახტანგს, რომელიც წარმოსახვით თავის საყვარელს, ზოიას ელაპარაკება.

„სულ ორ რამეზე ფიქრობს: როგორ გადარჩეს და იმას, რომ ვერ გადარჩება. შენ როგორ ფიქრობ, უნდა

მომკლას? განა თბილისი ის ადგილია, სადაც ადამიანი, რომელიც უნდა გადარჩეს და იცის, რომ ვერ გადარჩება, მოკლავს ადამიანს, რომელსაც გადარჩენა არ აინტერესებს და მაინც გადარჩენას ცდილობს?”

ან აქედან თუ გაიგეთ რამე?

მოკლედ, ავტორი „მიერეკება წყალივით“ და თავს იოტი-სოდენადაც არ იწუხებს, წინადადებები იყოს გარანდული, დახვეწილი, აზრი — ნათელი, გასაგები. თუმცა ეს არც არის გასაკვირი: მასთან აზრი კი არ წარმოშობს სიტყვებს, არამედ პირიქით — სიტყვები წარმოშობენ აზრს! ალაღბედზე მიყრილი სიტყვებით წარმოშობილი აზრი კი აი, ასეთი გახლავთ: გნებავთ, მიიღეთ, გნებავთ, არა — ძალას არავინ გატანთ!

მწერალი ცდილობს დაგვიხატოს თბილისის ყოფა-ცხოვრების ყაიდა, ადამიანური ურთიერთობები, მხოლოდ ამ ქალაქისთვის დამახასიათებელი ზნე-წივი და თავისებურებები. აქ ავტორს გამოყვანილი ჰყავს ძაფისგორგლიანი ეშმაკი, ჩვენი დედაქალაქის ყველა კუთხე-კუნჭულში რომ დაძვრება და ადამიანებს ბაზარზე წასაყვანი ქათმებივით ერთმანეთს აბამს.

„მოაბამდა ძაფს იმას, ვისაც მოესურვებოდა და სხვაგან გასწევდა. ასე მოახერხა, რომ ეს იმასთან იყოს გადაბმულიო, ის კიდევ — სხვასთანო, ის სხვა — ამ პირველთანო, ესენი კიდევ — იმათთან ისე, რომ იმათგან, აი ეს — ამათგან, აი, ამასთანო. ესენი — ამათთან, ისინი კიდევ — იმათთანო, ეს ბავშვი — ამ მოხუცთან, ის ბიჭი კიდევ — ამ გოგოსთან, როცა ეს გოგო — იმ ბიჭთანო“.

ყურნალის მესვეურებს აი, რა ჰგონიათ ნაწარმოების მხატვრულობა!

ავტორს აბსოლუტურად არ ანალვლებს ნაწარმოების ენობრივი ფაქტურა, სტილი, წინადადებებისა და აზრის გამართულობა, თხრობის სიფაქიზე. პირიქით, უსაფუძვლოდ აუკვიატებია ზოგიერთი სიტყვა, რომლის წარამარა და უადგილოდ ხმარება მკითხველს პირდაპირ გულს ურევს. მოუსმინეთ და გაუძელით.

„როგორც ჩანს, მარტო ამბებს არ ვყვებოდი, განცდებსაც მივანეჭი“.

„ვერ ხედებიან და თვისას აწვებიან“.

ახლა სამივენი... პოლკოვნიკს აწვებიან“.

„პოლკოვნიკი გამოძიების ინტერესებს აწვება“.

„ვილაც რეკავს და პანკისს აწვება“.

„თეთრი ღვინოა ამათი... მარა მივანვეთ ფრანგულს“.

არადა, რამედ ღირებული მხატვრული ნაწარმოების შექმნა მიწოლას კი არა, ნიჭს, ოსტატობას, მოთმინებას, გარჯას და პასუხისმგებლობას მოითხოვს! მიწოლა სჭირდება ლაფში ჩაფლულ ურემს, ავტომობილს და... ხანდახან თურმე მოთხრობასაც...

* * *

მწერალი ძალიან უპასუხისმგებლოდ, ალაღბედზე ხატავს თავის მთავარ პერსონაჟს და ისიც უზომოდ განებივრებულ დედისერთა ვაჟუნასავით ხან რას ჩაიდენს ხოლმე და ხან რას წამოისერის.

„ლექსებს ვწერ და არსად ვბეჭდავ. სისულელეა. ლექსებს ხომ არ დავანერ — „ვახტანგ მარგველაშვილი?!“ სადაური ვახტანგი ვარ. აბა, ხო არ დავანერ — „ვახულიკა!“ „ვატუკა“ და ლექსები. ამიტომ არ ვაქვეყნებ — ავტორის სახელი და გვარი არ შეესაბამება ლექსებს“.

ვახტანგ მარგველაშვილი თუ ლექსებს წერს, მაგრამ არსად ბეჭდავს, რადგან სისულელედ მიაჩნია, ეს მისი პირადი საქმეა და როგორც სურს, შეუძლია ისე მოიქცეს — ძალას ვინ ატანს?! მაგრამ რას ერჩის, თავისთავად რას უწუნებს თავის ან სახელს, ან გვარს?

ვახტანგ მარგველაშვილი ვერ გარკვეულა, რომ თავის ტანჯვის მიზეზი გვარ-სახელი კი არ არის, არამედ შინაგანი ნეს-რიგიანობისა და სულიერი სიმტკიცის უქონლობა, რომელსაც შეიძლება ხალასი პოეტური ნიჭის უქონლობაც ეწონებოდეს.

ამიტომ როცა ის თავის გვარ-სახელს ემდურება, უნებურად ემსგავსება ძველი ანდაზის გმირს: ცხენს ვერაფერი დააკლო, უნაგირს წაუშინაო. მაგრამ მას თუ მართლა მხოლოდ თავისი გვარ-სახელისადმი არასრულფასოვნების კომპლექსი ტანჯავს, მაშინ ეს მხატვრული დამაჯერებლობით უნდა თქმულიყო. და რაკი მსგავსი არაფერი ჩანს, ხელში მხოლოდ უკბილო ქილიკი შეგვრჩა. მწერალი კი ამნაირ ქილიკს უნდა მორიდებოდა თუნდაც იმის გამო, რომ ვახტანგი საქართველოს ექვს მეფეს — მათ შორის გორგასალს, გურიის სამ მთავარს და იმერეთის მეფეთა უფლისწულებს ერქვა. ამ ვაჟკაცურ სახელს კიდევ რამდენი მამულიშვილი ატარებდა: ვახტანგ ორბელიანი (1812-1890) პოეტი, ერეკლე II-ის ასულის, თეკლა ბატონიშვილის უმცროსი ვაჟი, ვახტანგ ორბელიანი (1700 — ?), მწერალი, ერეკლე II-ის პირველი მეუღლის, ქეთევანის მამა, ვახტანგ ორბელიანი (გარდ. XVII ს. ბოლოს) ქართლის მდივანბეგი, სულხან-საბა ორბელიანის მამა...

მკითხველის ყურადღებას ისევ ინტერვიოზე გადავიტან. აი, სიტყვასიტყვით რას ეკითხება მიხო მოსულიშვილი აკა მორჩილაძეს.

„— ეს შენი სპეციალობა, ისტორიკოსობა, თუ არ გამოგადგა, არა მგონია, ხელი შეეშალა წერისას“.

— როგორ არ გამომადგა, ძალიან გამომადგა“.

ეტყობა, ეტყობა! საქართველოს მეფეთა და სამშობლოსათვის დამაშვრალთა სახელი საბურთაოდ გაახდევინა თავის ქარაქუცა პერსონაჟს: ლექსებს ვახუციკას და ვატუკას ხო არ „დავანერო“. რას ამბობთ, ქართლის მეფის, ვახტანგ VI-ის შვილს — გეოგრაფს, ისტორიკოსს, კარტოგრაფს და მამა-შვილ კოტეტიშვილებს თუ ვახუშტი ჰქვია, ეს სახელი რომელიმე მათგანს ან კაცურ ღირსებას უმცირებს, ამ ნიჭიერებას, ანდა ღვანლს... თავის სახელზე ამრეზილ მოთხრობის პერსონაჟს გულმოსაცემად კიდევ რამდენი ცნობილი სეხნია გავუხსენო: ვახტანგ ფალიაშვილი, ვახტანგ ჭაბუკიანი, ვახტანგ ტაბლიაშვილი, ვახტანგ ქარსელაძე, ვახტანგ ბალავაძე, ვახტანგ ონიანი, ვახტანგ

გორგანელი, ვახტანგ ჭელიძე, ვახტანგ ჯავახიძე, ვახტანგ ხარჩილაძე, ვახტანგ ღლონტი, ვახტანგ ახვლედიანი...

ავტორს ამგვარ კონტექსტში მარგველაშვილის ხსენებისგანაც თავის შეკავება მართებდა, ვინაიდან საზოგადოებისთვის კარგად არის ცნობილი ამ გვარის კრიტიკოსი, პროზაიკოსი, თეატრის რეჟისორი, მეცნიერი...

ერთი სიტყვით, ავტორსაც და მის პერსონაჟსაც უნდა ესმოდეთ, რომ თავისთავად ცარიელი გვარ-სახელი კი არ იძლევა ნიჭსა და რწმენას, არამედ თვით ნიჭი აუზენაესებს ნებისმიერი შინაარსისა თუ უღერადობის სახელს. მაგალითად, ციციერონი ლათინურად ცერცვის მომყვანი ყოფილა, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია მარკუს ტულიუსისთვის, სახელგანთქმული პოლიტიკური მოღვაწე და მწერალი რომ გამხდარიყო. გოეთე ძველგერმანულად თურმე ღმერთსაც ნიშნავს და მყრალ წუმპესაც. მერე, განა ამან შეაფერხა ან ჩაკლა შემოქმედის გენია?!

მოკლედ, ჯობია, რომ პერსონაჟი თავის მშვენიერ გვარ-სახელს ტყუილუბრალოდ კი არ უკირკიტებდეს, არამედ ენის დასახვეწად ზრუნავდეს, თორემ უხერხულია, პოეტმა თავის ლექსებზე ასე თქვას: აბა, ამ გვარს ხო არ „დავანერდო“. არადა, პოეტმა ლექსს გვარი უნდა მოაწეროს და არა დააწეროს. გარდა ამისა, პოეტი დასაწყისში რომ გვეუბნებოდა: უცხოეთში შვიდი ლექსი დამიბეჭდავსო, აბა, ის ლექსები რანაირი გვარ-სახელით გამოაქვეყნა?!

* * *

ახლა მოთხრობის ენობრივ მხარეს გადავხედოთ. ნინა ავტორის მსგავსად, არც აქ ვეხები შეგნებულად ნახმარ ჟარგონს და უწმინდურ გინებას.

„მოდო, დავჯდეთ“. უნდა იყოს დავსხდეთ.

„— პემინგუეის გაჰყოლია ცოლად და არ ცოდნია“. უნდა იყოს არ სცოდნია.

„ამათთვის ხო სულერთია“. უნდა იყოს სულ ერთია.

„რატო გაგიყდება ხოლმე კაცი, როცა ცოლის დაქალს გადაეყრება ხოლმე“.

ღვინით სავსე ხუთტონიანი ცისტერნის დასაჭაშნიკებლად არ არის საჭირო იმ ხუთი ტონა ღვინის სრულად შესმა — ერთი ყლუპიც კმარა, რათა ღვინის ღირსება დადგინდეს.

ამ პანანინა ციტატაშიც ნათლად ჩანს მთლიანი მოთხრობის მხატვრული მხარე, ავტორის სახე, რედაქციის დონე.

ავტორს არ გააჩნია წერის საჭირო კულტურა. დააკვირდით, ყოვლად მარტივ და ნათელ გარემოში უადგილოდ ნახმარი ეს ორი „ხოლმე“ პირდაპირ ცელქი გოჭებივით ჭიდაობენ და ერთმანეთს ნიჩურით აწვებიან ერთადერთი ვაკანსიის დასაკავებლად, მაგრამ ავტორი აინუნშიც არ არის.

კარგი, მწერალი, როგორც ინტერვიუში განგვიცხადა, წერისას „მიერეკება წყალივით“ და გაიპარა შეუსაბამობა — რა მოხდა, ეს ყველა კალმოსანს მოსდის ხოლმე. მაგრამ მერე, რედაქციაში წაღების წინ მასალის საბოლოო ნაკითხვისას მაინც როგორ არ უნდა მოხვედროდა ან თვალში ან ყურში?! აქედან დასკვნა: ავტორს არც მასალის საბოლოო რედაქტირების კულტურა, პასუხისმგებლობა და სიფხიზლე გააჩნია! ეტყობა, არც ის ადარდებს — მასზე რა შთაბეჭდილება დარჩება მკითხველს.

რედაქცია? რედაქციაში მაინც როგორ ვერ ამოაგდეს ეს ერთი ზედმეტი „ხოლმე?“ მოგცლიათ!

„პომადა იყო... ბრჭყვიალა ყუთში“. უნდა იყოს კოლოფში.

„მალაზიის უკან ასი ამმალაზიისხელა სანყობია“. უნდა იყოს ამ მალაზიისოდენა.

„აეროპორტი კი ერთიბენო ქისაა“. უნდა იყოს ერთი ბენო.

„კრისის მოძღვნილი ოთხი პორცია ჯინი“. უნდა იყოს ულუფა.

„თან დღეს მანყობდა“. უნდა იყოს ხელს მაძღვედა.

„მე უკნიდან გემველებოდი“. უნდა იყოს უკანიდან.

„შენ გითქვია, წყნეთშიო“. უნდა იყოს გითქვამს.

„ბოლო-ბოლო, რა მოხდა“. უნდა იყოს ბოლოს და ბოლოს.

„კურტკაში ნახე. სახლში დადე სადმე?“. უნდა იყოს „ქურთუკში ნახე. შინ დადე სადმე?“

„ფერუმარილი, შანელის ფერუმარილი“. უნდა იყოს ფერ-უმარილი.

„თბილისის ამბებია, ჩვენი ვაკე-ვერელების“. უნდა იყოს თბილისური.

„ციხფერი საროჩკა ეცვა“. უნდა იყოს პერანგი.

„ზარს ვერ წვდება“. უნდა იყოს სწვდება.

„სარკეზე... სათვალე კიღია, სარკეზევე კიღია... კრიალოსანი“. უნდა იყოს ჰკიღია.

„ისე მოგვიჯექით“. უნდა იყოს მოგვისხედით.

„მერე ტაქსში ჩავჯექით“. უნდა იყოს ჩავსხედით.

ჩიქორთულად მოქართულე თათრის კაცს ავტორი „საჭმლის“ მაგიერ ხან „საჩმელს“ ათქმევიანებს, ხან „საჟმელს“ — აქედან ერთ-ერთი უნდა აელო და დაემახსოვრებინა.

„სახლში მიმყავდი და მაგინე“. უნდა იყოს შინ.

„ვიფიქრე დავლევ-მეთქი“. უნდა იყოს „ვიფიქრე, დავლევ-მეთქი“.

„ისინი ისევ იჯდნენ“. უნდა იყოს ისხდნენ.

„ასე კუკლასავით მოტაცებული თუ გინახავთ?“ უნდა იყოს თოჯინასავით.

„ვიჯექით მე და მაკი“. უნდა იყოს „მე და მაკი ვისხედით“.

„ოთო დაკითხეს“. უნდა იყოს დაჰკითხეს.

„ჩიჩო რეკავს და ყვება“. უნდა იყოს ჰყვება.

„ბენზინის სადგურს შეასკდა“. უნდა იყოს „ბენზინგასამართს შეასკდა“.

„ვეუბნები... მაგარი ყაჩაღია-თქო“. უნდა იყოს ყაჩაღია-მეთქი.

„როგორ მოყვეს ამ ამბავს“. უნდა იყოს მოჰყვეს.

„ზედ ღია ბასეინთან“. უნდა იყოს აუზთან.

„თქვენის ნებართვით, გავალთ ჩვენ“. უნდა იყოს თქვენი ნებართვით.

„ოთო, გინდა მანქანა ნამოიყვანე ჩემი“. უნდა იყოს „ოთო, გინდა ჩემი მანქანა ნამოიყვანე“.

„შენ რო ჩახვიდე, ყველაფერი გასკდა და ეგ არი“. უნდა იყოს „შენ რომ ჩახვიდე, ყველაფერი გასკდება და ეგ იქნება“.

„მე და დიმიტრი ნომერში ვართ. იფ, რა ნომერია?“ უნდა იყოს იფ, რა ნომერია!

„ცემდნენ და ცემდნენ“. უნდა იყოს „სცემდნენ და სცემდნენ“.

„კარგათ ზიხარ“. უნდა იყოს კარგად.

„ვინც გაბედა, რომ დადევნებოდა“. უნდა იყოს დასდევნებოდა.

„აი, ერთად ვზივართ“. უნდა იყოს ვსხედვართ.

„შენ რას გაიგებ რა არი“. უნდა იყოს „შენ რას გაიგებ, რა არი“.

„შეხვედრა აქვს, ნაღდათ“. უნდა იყოს „შეხვედრა აქვს, ნაღდად“.

„ჩემთან ერთათ გაიმეორე“. უნდა იყოს ერთად.

„ეგრე ქვია“. უნდა იყოს ჰქვია.

„დავჯექით, დავჯექით, ხალხი გვიყურებს“. უნდა იყოს „დავსხდეთ, დავსხდეთ, ხალხი გვიყურებს!“

„დაგსვით ერთათ?“ უნდა იყოს „დაგსხით ერთად?“

„ყველაფერს თავიდან ყვება“. უნდა იყოს ჰყვება.

„ზურგსუენიდან მუშაობა არ გამოვა“. უნდა იყოს „ზურგს უკან მუშაობა არ გამოვა“.

„არასოდეს, მინახავხარ“. უნდა იყოს „არასოდეს მინახიხარ“.

„კამფეტივით გატკბილულ ამბავს“. უნდა იყოს „კანფეტივით გატკბილებულ ამბავს“.

„ჯიბეში ჩაგისვამენ თქვენ ყველას“. უნდა იყოს ჩაგისხამენ.

„ერთათ გადავიდეთ“. უნდა იყოს ერთად.

სტამბოლის აეროპორტში სრულიად მოულოდნელად შეყრილ ვახტანგ მარგველაშვილსა და ქ-ნ ბებეს საერთო ენა ვერ გამოუნახავთ. ბოლოს კი საქმე მსუბუქ ნაკინკლავებამდე მიდის და გაბეზრებული ბებე ხვენწაზე გადადის — მომშორდი თავიდანო. თავდამცირებული პოეტი კაცი ენაამოდგმულ სინანულად გადაიქცევა.

„— მართლა ნავალ... ნეტა საერთოდ დროზე ნავსულიყავი. ან არ მოვსულიყავი. ან სხვა სკოლაში

შევეყვანე დედაჩემს. მე საბურთალო მიყვარს, ხო იცი. იქ უნდა დამემთავრებინა. იცი, რომ საბურთალოელი გოგოები გჯობიან თქვენ ყველას? იცი, რა უბრალოები და კარგები არიან? თქვენზე მეტიც იციან. თქვენზე უფრო ქალებიც არიან”.

ჰმ, „თქვენზე უფრო ქალებიც არიან!“

კაცს, რომელსაც ერთმანეთისაგან ვერ განუსხვავებია „ქალი“ და „ქალურობა“, იმდენი მხატვრული გუმანი არა აქვს, მიხვდეს, აქ რომელი სიტყვაა საჭირო, აბა, როგორ ვირწმუნო ქ-ნ ბებესადმი აღწერილი მისი გრძნობების სინრფელე?!

კარგი, როგორც ინტერვიუშივე გამჟღავნდა, ავტორს არ ჰყვარებია „ძალითა და ტანჯვით“ წერა. ამიტომ „იოლად“ „მიერეკება წყალივით“ და ბევრს არაფერს უკვირდება, მაგრამ რედაქციის მანდილოსნები? მანდილოსანს თვით შემოქმედმა დაანათლა ქალურობა! ჭეშმარიტი ქალი სხვა არაფერია, თუ არა ხორცშესხმული ქალურობა!!! ჰოდა, ესეც რთული გრამატიკული კატეგორია ხომ არ არის, შეშლოდათ, ანდა საერთოდ, არა სცოდნოდათ — ნუთუ რედაქციის ერთ-ერთი მანდილოსნის ფაქიზი ბუნება, ქალური სინაზე, ყოფითი და მხატვრული გემოვნება მაინც ვერ შეაკრთო და შეურაცხყო ამ როყიო წინადადება, მგლის ხაფანგში გაბმული შვლის ნუკრივით რომ ხავის და შველას ითხოვს?! ეს აბსურდული შეცდომა, უფრო სწორედ, ზეციური სასჯელი თვით კორექტორსაც კი ისე უნდა ჩაენოროებინა, მთავარ რედაქტორთან შესათანხმებლად დრო აღარ დაეკარგა!!! მაგრამ ზეციური სასჯელ-შეცდომა რილას ზეციური სასჯელ-შეცდომა იქნება, თუკი რედაქციის ყველა ან რომელიმე მუშაკი შენიშნავს და გაასწორებს. ეს როყიო შეცდომაც იმიტომ გაიპარა, რომ ნათელი გამხდარიყო: მხატვრული ლიტერატურის რჯულმდებლის ოქროს საკარცხულზე, რომელიც თავის დროზე ეკავა სოლომონ დოდაშვილს, ილია ჭავჭავაძეს, ივანე მაჩაბელს, ნიკო ნიკოლაძეს, მიხეილ ჯავახიშვილს, კონსტანტინე გამსახურდიას, ალიო მირცხულავას, სიმონ ჩიქოვანს, გრიგოლ აბაშიძეს, გიორგი ნატროშვილს, იოსებ ნონეშვილს, ვახტანგ ჭელიძეს, კონსტანტინე ლორთქიფანიძეს, რევაზ მარგიანს, ხუტა ბერულავას, ჯანსუღ ჩარკვიანს, ნოდარ დუმბაძეს, ელგუჯა მალრაძეს,

შოთა ნიშნიანიძეს, მუხრან მაჭავარიანს, არჩილ სულაკაურს, გურამ ფანჯიკიძეს და სხვებს, არ შეიძლება ახლა შემთხვევითი, ლიტერატურულ სამყაროსაგან სრულიად შორს მდგომი პირები წამოასკუპო და თავის ქეიფზე ათარეშო...

* * *

ახლა უმთავრესი მომენტი, რომლის გაჩხრეკის გარეშე სრულიად უფერული იქნება ამ მოთხრობაზე მსჯელობა. ძალიან მაინტერესებს როგორც მკითხველის აზრი, ისე თვით ავტორის ჩანაფიქრი და მრწამსი — მოთხრობის მთავარი პერსონაჟი, ვახტანგ მარგველაშვილი იმსახურებს, ან უნდა იმსახურებდეს თუ არა მკითხველის სიმპათიას?

ყველა მიხვდება, დასმული კითხვის ფორმა და ქვეტექსტი ეჭვქვეშ აყენებს ყოველივე ამას. მე არ ვიცი, მკითხველი საზოგადოების განწყობილება — შეიძლება ვახტანგ მარგველაშვილი ისე მოსწონთ, რომ კერპადაც კი გაიხადეს, მაგრამ მე პირადად მისდამი თანაგრძნობის ერთი ობოლი ნერვიც კი არ გამრყევია. პირიქით!

„კი მაგრამ, რატომ?“ — იკითხავს ზოგიერთი.

ამას მხოლოდ ორად ორი მიზეზი შეიძლება ჰქონდეს: ავტორს თავისი მთავარი პერსონაჟი ნებსით თუ უნებლიედ ისეთი გამოუვიდა, რომ სხვისი არ ვიცი, მაგრამ პირადად ჩემი გულსწყრომისა და აღშფოთების სამიზნედ აქცია! ანდა, პირიქით: ვახტანგ მარგველაშვილი სიყვარულსა და აღტაცებას თუ არა, ადამიანურ თანაგრძნობას მაინც იმსახურებს, მაგრამ ეს მე ვყოფილვარ უგემოვნო, გულმხეცი, ხეკაცი, გრძნობადახშული და ვერ ჩავმწვდარვარ ვერც მწერლის ჩანაფიქრს, ვერც მთავარი პერსონაჟის ბუნებასა და მისი სულიერი სამყაროს სიფაქიზეს.

ვინ არის ვახტანგ მარგველაშვილი? ოცდაჩვიდმეტი წლის თბილისელი მამაკაცი, ჰყავს მეუღლე და ბალის ასაკის ბიჭუნა, ნიკუსი. მოთხრობის დასაწყისშივე გავიგეთ, რომ ვახტანგი შინისაკენ ქალაქ ვაშინგტონიდან მოფრინავს. იქ რა უნდოდა?

„იქ პოეტების თავყრილობა იყო, — ლექსების წერას გვასწავლიდნენ ერთკვირიანი დაჩქარებული კურსით. მე ერთი იქაური ამხანაგი მყავს, თეთრწვერა პოეტი

და პროფესორი, (აქ შიშვე კი არა, წერტილი უნდა. ჯ.მ.). ჰოდა, იმან მომძებნა, ჩამოხვალ, თვალს ნყალს დაალევიანებ, კაი სასტუმროში იცხოვრებ და უკან ნახვალო. თან მე ლექსებს მხოლოდ უცხოეთში ვკითხულობ და ვბეჭდავ. სულ შვიდი ლექსი დამიბეჭდავს სხვადასხვა ქვეყნის ალმანახებში, პნკარედებს თვითონ ვაკეთებ და ვუგზავნი. ბევრი პოეტი ამხანაგი მყავს, სულ კაი ბიძები”.

ვახტანგმა ეს გვითხრა ამსტერდამის აეროპორტში. ახლა მოვუსმინოთ, რას გვეუბნება თბილისში.

„ლექსებს ვწერ და არსად ვბეჭდავ. სისულელეა. ლექსებს ხომ არ დავანერ — „ვახტანგ მარგველაშვილი?“ სადაური ვახტანგი ვარ. აბა, ხო არ დავანერ — „ვახულიკა!“ „ვატუკა“ და ლექსები. ამიტომ ვერ ვაქვეყნებ — ავტორის სახელი და გვარი არ შეეფერება ლექსებს“.

ელაპარაკეთ! პერსონაჟს თვითონაც ვერაფერი გაუგია თავისი თავბუდისა. თავიდან ჯერ გვეუბნებოდა: ლექსებს ვწერ და არსად ვბეჭდავ, სისულელეაო! დააკვირდით, რა გამოდის: ეს ჩემი ლექსები კი არ არის სულელური, არამედ ლექსების წერა, საერთოდ, პოეზიაა სისულელეო! ბოლოს კი საჯის ლავაშივით გადაბრუნდება — ლექსების გამოუქვეყნებლობას თავისი გვარსახელისადმი გაჩენილი უსაფუძვლო კომპლექსით ხსნის.

მკითხველმა რომელ არგუმენტს დაუჯეროს?

ან კიდევ: მთავარი პერსონაჟი ასე გამომწვევ-ცინიკურად რომ გვიცხადებს — იმიტომ არ ვაქვეყნებ, რომ ავტორის გვარსახელი ლექსებს არ შეესაბამებაო, მაშინ, მისი აზრით, რომელ ხელობა-საქმიანობასაც შეესაბამება თავისი გვარ-სახელი, იმას მოჰკიდოს ხელი! სამუშაოს მეტი რა არის?! აბა, ამხელა კაცმა სულ გადაბმულ სმაში ხომ არ უნდა გალიოს თავისი წუთისოფელი — ცოლ-შვილი რომ გაიჩინა, რჩენა უნდა, გაუბედურებული სამშობლოს წინაშე თავისი წილი მოქალაქეობრივი ვალი აქვს მოსახდელი!!!

თან ცოტა გაუგებარია: თავის ლექსებს რაღა მარტო უცხოეთში კითხულობს და ბეჭდავს — რატო თავის სამშობლოსაც არ გააბედნიერებს?! ხოლო თუ თავისი ლექსები მართლა უვარგისი და „სისულელეა“, მაშინ უცხოეთში თავს რაღაზე გვჭრის — ნესით აღარც იქ უნდა იკითხოს და ბეჭდოს!

ვახტანგი ისე სასხვათაშორისოდ გვეუბნება, უცხოეთში შვიდი ლექსი დამიბეჭდავსო, თითქო ეს ყოელად უმნიშვნელო რამ იყოს.

მოთხრობის ავტორსა და მის მთავარ პერსონაჟს, „ერთკვირიანი დაჩქარებული კურსით“ ლექსების წერის სასწავლებლად ვაშინგტონში ნამყოფ ოცდაჩვიდმეტი წლის პოეტ ვახტანგ მარგველაშვილს მოკრძალებით შევახსენებ: შვიდი ლექსი სხვადასხვა ქვეყანაში კი არა, ოცდაექვსი წლის ნიკოლოზ ბარათაშვილი ისე აღესრულა, თავის სამშობლოშიც კი არ ეღირსა თუგინდ ერთი სტროფის გამოქვეყნება! ასიოდე წლის შემდეგ იგივე მწარე ილბალი გაიზიარა ნიკო სამადაშვილმაც! მაგრამ როგორც პირველი ციტატიდან და საერთოდ, მთელი მოთხრობიდან ჩანს, ვახტანგ მარგველაშვილს ანუხებს არა პოეტური ხილვები, არამედ იტაცებს უსაგნო თავგასართობი ყიალი, „კაი სასტუმროებში“ ცხოვრება, თვალისთვის წყლის დაღვეინება, საერთაშორისო აეროპორტების ცვლა და იქ შემთხვევით გადაყრილ ნაცნობებთან ლაზღანდარობა, ბოლომოუღებელი სმა... აკვიატებული წამოძახილი. აი, ამის ორიოდე მაგალითი.

ვახტანგ მარგველაშვილი ცამონმენდილზე სრულიად უმიზეზოდ ცეტივით წამოიხსვრის.

„— ბოკოკიო გაგიგონიათ? ან მისტერ ვულფი?“

იძულებული ვარ, სხვის მაგიერ მე ვუპასუხო.

— არა, არ გაუგონიათ! და მათი ბედნიერებაც სწორედ ეგ არის! ვახტანგი კი, სამწუხაროდ, იმას გაუუბედურებია, რომ ყური მოუკრავს თუ სადღაც ამოუკითხავს ბოკოკიო და მისტერ ვულფი, თავში ავარდნია და ჭირადაც გახდომია — ეს სახელები უმიზეზოდ აბოდებს და მათი ვინაობის ცოდნა რაღაც განსაკუთრებული უპირატესობა, დიდი რამე ჰგონია! მისი ყოფაქცევის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ჯობდა არც თვით მას

სცოდნოდა ეს სახელები: ასე უფრო უკეთესი იქნებოდა თავად მისთვისაც, მისი ანოიკებული ცოლ-შვილისთვისაც, მისგან გაბეზრებული ნაცნობ-მეგობრებისთვისაც. მაგრამ ამგვარი სინანული და ვარაუდი გვიანდაა — ის თავის სტიქიაშია. აგერ, ახლა რას აიკვირებს.

„—ოსკარ დე ლა შოია.

— რა?

— ოსკარ დე ლა შოია, — ვამბობ თუ ვერა, არ ვიცი.

— რა, ტო?

— მმოვიდა... ოსკარ დე ლა შოია, ოსკარ დელა-შოია, მოვიდა“.

ხედავთ, უზომოდ განათლებულ-გამეცნიერებულმა ვახტანგ მარგველაშვილმა იცის, ვინ არის ოსკარ დე ლა შოია და სათქმელი არ ასვენებს, მისი უნიგნური, არიფი ძმაკაცი კი გაკვირვებული კითხულობს: „— რა, ტო?“

რას იტყვით, ხომ დიდებული ეფექტია?!

არადა, რამის დროული, საჭირო და საფუძვლიანი ცოდნა ადამიანს უფრო ადინჯებს, განონასნორებულსა და თავმდაბალს ხდის, აქ კი საპირისპირო მოვლენასთან გვაქვს საქმე, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ სადღაც შუაგზაზე გაჩერებულა ოცდაჩვიდმეტი წლის კაცის შინაგანი ჩამოყალიბება.

ერთი სიტყვით, თვით ავტორის ლაპარაკიდანვე ჩანს, რა პოეტიც ბრძანებულა ვახტანგ მარგველაშვილი. მაგრამ ეს ტრაგედია არ უნდა იყოს, მით უმეტეს, რომ ამას თვითონვე ეკიდება იუმორითა და ერთგვარი აგდებითაც კი! და მართლაც: რომელიმე სფეროსა თუ დარგში ხელმოცარული ადამიანების მეტი რა არის ამქვეყნად, მაგრამ ამან ხელი არავის უნდა შეუშალოს, სამაგიეროდ იყოს რიგიანი მამაკაცი, მანდილოსანი, ახალგაზრდა, პიროვნება, თავისი ქვეყნის ღირსეული მოქალაქე.

როგორი მამაკაცია ვახტანგ მარგველაშვილი? მივყვეთ მოთხრობას და დასკვნას მისი ყოფაქცევა თავად გამოგვატანინებს. მიუზბრუნდეთ პირველ თავს. აგერ, თავისი მეულ-

ლის დაქალს — ეკოტერინოს ღირსებას და არჩევანს როგორ იგდებს აბუჩად — ინგლისელს რატომ გაჰყვევი ცოლადო.

„— კიდევ ერთი ქართველი ქალი დახარბდა ამათ აპრავებს და „სააბის“ რულს... ყველამ იცის, როგორ ითრევთ ჩვენი გოგოები ამ ბითურებს...“

ცხოვრების მეგზურის არჩევა, მეტადრე კი მანდილოსნისათვის, ისეთი რთული და პირადულ-ინტიმურია, რომ რიგიანმა მამაკაცმა ეს ქილიკის საგნად არ უნდა აქციოს. მით უმეტეს, როცა ვახტანგს არავითარი საბუთი არ უჭირავს ხელში და არ იცის: ქ-მა ეკოტერინომ ეს ინგლისელი კრისტოფი მართლა რაიმე ანგარების მიზნით „ჩაითრია“, თუ ამ ნაბიჯის გადადგმისას ნრფელი გრძნობებით ხელმძღვანელობდა. თან ქმარიც უმიზეზოდ გაულანძლა — „ბითურად“ მოიხსენია.

კეთილი, დავუშვათ და ქ-ნი ეკოტერინო მართლა ანგარებით მისთხოვდა უცხოელს. ახლა მკითხველმა თავად დაასკენას, ქართველი მანდილოსანი რაოდენ უბედური და იძულებული უნდა ყოფილიყო, ეს რომ ჩაედინა საკუთარი პიროვნული ღირსების მიმართ. მსგავს შემთხვევაში ვახტანგს უფრო მეტი გულისხმიერება და მამრული სიფაქიზე მართებდა თანამემამულისადმი და აქ ყოვლად დაუშვებელი იყო ქალისთვის მტკივნეულ ადგილზე ფეხის სადისტური დაჭერა.

როგორც ერთ რიგით მოქალაქეს, მეც გული მტკივა, ქართველი მანდილოსნები უცხოელებზე რომ თხოვდებიან, მაგრამ ამაში „დამნაშავენი“ არიან არა იმდენად ჩვენი ქალები, რამდენადაც გაუსაძლისი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური გარემო და უგერგილო, მოუნესრიგებელ ქართველ მამაკაცთა არმია, რომლის რიგებში, სამნუხაროდ, თვით ამ მოთხრობის მთავარ პერსონაჟსაც ვხედავთ.

„რატომ გაგიჟდება ხოლმე კაცი, როცა ცოლის დაქალს გადაეყრება ხოლმე“. — გაკვირვებით გვეკითხება ჟინატანილი ავტორი და ვერ ხვდება, ანდა სულაც არ ანალვლებს, ამნაირი უზნეო და მსუნაგურ-ავხორცული მინიშნებით უხერხულ მდგომარეობაში რომ აყენებს ყველა პატიოსან, რაინდული სულის ცოლიან მამაკაცს.

არავის ეგონოს, თავს ვიბავშვებდე, ან მართლა კამეჩის რქიდან ვიყო გამოსული და არ ვიცოდე, ამქვეყნიური ცხოვრების ტრიალი, მისი ნაღმა-უკუღმართობანი. პოდა, ცოლის დაქალზე კი არა, ზოგიერთი მამაკაცი საკუთარი მეუღლის ღვიძლ დაზეც კი „გაგიჟებულა“ და ისე შეჰყვარებია, რომ თავისი კანონიერი, შვილების პატრონი მეუღლე გაუშვია და მისი და დაუსვამს ცოლად! რაღა არ ხდება ქვეყანაზე! ეს ყველაფერი ძველია, არ ახალია, მაგრამ აქ ცოტა სხვანაირად არის საქმე.

მოთხრობის მთავარი გმირი ვახტანგ მარგველაშვილი თავისი მეუღლის დაქალების ჩვეულებრივი ხილვისასაც კი თუ მართლა „გიჟდება ხოლმე“, ეს მხოლოდ მისი პრობლემა თუ სატიკივარია. ამიტომ მთელი საკაცეთის სახელით არ უნდა ელ-ეპარაკა და თავისი განცდა და იქიდან გამომდინარე აზრიც შესაბამისად ჩამოეყალიბებინა: ნეტავი, რატომ ვგიჟდები ხოლმე, როგორც კი ცოლის დაქალებს მარტოს გადავეყრებო და თუ საფანელი მოსდევდა, ეს განცდა, პრობლემა, ავხორცული უინი თუ პათოლოგიური მიდრეკილება მხატვრული დამაჯერებლობით აესახა. თუმც ასახავს კიდევ, მაგრამ არ გაინტერესებთ, როგორ?! მოუსმინეთ:

„ემართება რაღაც, აუსრულებელ-ასასრულებელი. თითქმის ისევე იცნობს ხოლმე ამ გოგოს, როგორც თავის ცოლს და რაც დრო გადის, მეტად და მეტად ჰგონია, რომ შემთხვევის წყალობით ასცდა მას და რაღაც რომ ცოტა სხვანაირად მომხდარიყო, ეგებ თავგადასავალიც გადახდენოდათ“.

ეგებ, ეგებ! მოკლედ, ალიას სიზმარი ფლავიაო, სწორედ ამაზეა ნათქვამი! ახლად უღვაშამწვანებულ ყმანვილკაცს შეიძლება კიდევ გაუგო, მაგრამ ოცდაჩვიდმეტი წლის პოეტი, ცოლშვილიანი კაცი თავის გრძნობებში გარკვევას კი არ ცდილობს, არამედ ცოლის დაქალებთან თავგადასავლების გადახდენა აოცნებებს და აგიჟებს თურმე. სწორედ ამიტომაც არის, რომ ანგარიშს ველარაფერს უწევს და თავის უკადრის განცდებს ყველა ცოლიანი მამაკაცის ნორმად და თვისებად აცხადებს.

ეს კიდევ არაფერი. ვახტანგი თურმე უკიდურესად გულდან-ყვეტილი ყოფილა! რაზე? მიუზბრუნდეთ პირველი თავის იმ ადგილებს, სადაც ვახტანგი ქ-ნ ეკოტერინოს ჯერ არჩევანს უწუნებს: კრისტოფზე რატომ გათხოვდიო, ბოლოს კი, ქართველი მამაკაცი, თანაც პოეტი, აგერ, რას შეჰკადრებს მეუღლის დაქალს, ქართველ მანდილოსანს.

„— იცი, რაზე მწყდება გული?

— ჰა...

— თუ მაინც ამათ უნდა წამოჰყოლოდით, ამათვის ხომ სულერთია (უნდა იყოს სულ ერთია. ჯ.მ.) და ჩვენ რატო ერთხელ... ნუ მირტყამ... ხო, ხო... მორჩა“.

ალარ ვიცი, საიდან და როგორ დავიწყო! კარგი, ამქვეყნად არც ერთი კაცი არ არის ანგელოზი და, ცხადია, ვერც ვახტანგს წავეყენებთ ამგვარ პრეტენზიას. ჰოდა, დავუშვათ და მისი მხრიდან ოდესმე ადგილი ჰქონოდა ეკოტერინოს დაუფლების სურვილს ან აშკარა მცდელობას, მაგრამ ამ უკანასკნელს ცივი უარი ეტკიცოს, რითაც ვახტანგის მამრული თავმოყვარეობა შეელახოს და გაელიზიანებინოს. ჯერ ამ შემთხვევაშიც კი ნამდვილმა მამაკაცმა ქალს როგორ უნდა უთხრას ამგვარი არსათქმელი, მაგრამ როგორც მოთხრობიდან ჩანს, ვახტანგის მხრიდან მსგავსი არაფერი ყოფილა! თანაც დააკვირდით, ვახტანგი მრავლობითში ლაპარაკობს — ჩვენო!!! კი მაგრამ, ვის „ჩვენ?“ მთელი კლასის, კურსის, კორპუსის, უბნის თუ კვარტლის ბიჭებს?

მოკლედ, ვახტანგის აზრით, ქ-ნი ეკოტერინო ასე უნდა მოქცეულიყო: ბიჭებო, რაკი ვილაც „ბითურზე“ ვაპირებ გათხოვებას, რომლისთვისაც სულ ერთია, როგორი ჩავბარდები, ჯანი გავარდეს, თითო-თითო ღამით ყველა თქვენგანს დავუწვები, ოღონდ თქვენ თანამიმდევრობის სია წარმომიდგინეთო!

შეუძლებელია ამაზე უფრო შორს წავიდეს ადამიანის ცინიზმი და მამაკაცის სულიერი სიტლანქე!

ჯერ ერთი, ვახტანგი საიდან ასკვნის, რომ „მათთვის“ — ამ შემთხვევაში კრისტოფისთვის — ყველაფერი სულ ერთია? მაგრამ დავუშვათ და მისთვის ზოგი რამ მართლაც სულ

ერთი იყოს, პოეტი, მოაზროვნე კაცი ამას მაინც რატომ აღარ უფიქრდება — ეს ქ-ნ ეკოტერინოსთვისაც იქნება სულ ერთი?!

ნამდვილი, თანაც ქართველი მამაკაცი არც ცოლის დაქალების დანახვისას უნდა გიჟდებოდეს სუნაღებულ სანაშენე ბუღასავით და არც თავი უნდა მოჰქონდეს ამით. მით უმეტეს, როცა მოთხრობის მთელ მანძილზე იგი სულ ქ-ნ ბებესადმი წრფელსა და უანგარო სიყვარულზე უჩიჩინებს მკითხველს.

ჭეშმარიტი რედაქტორი მარტო ამ არამწერლური, უზნეო პასაჟისთვის ავტორს უკან დაუბრუნებდა ხელნაწერს და ცივად გამოისტუმრებდა.

მოკლედ, მთავარი პერსონაჟი სიტყვას ვერ ამბობს, ნაბიჯს ვერ გადადგამს ხოლმე, მაშინვე არ ჩაიჭრას.

„— კრის, აი, ვატუკა, მაკის ქმარი. გახსოვს მაკი?

— ჰაი, მაკი სუპერია, სუპერ. ჩვენ ვიყავით თქვენ-

თან — თქვენ არ იყავით.

— ამან თავი არ მაცემინოს“.

„თავი არ მაცემინოს!“ — რა სიტყვის პასუხია?! ბოლოს და ბოლოს, ვაშინგტონში გამართულ პოეტების შეკრებიდან მომავალი მამაკაცი აზროვნებს და მეტყველებს, თუ ვილაც შარისთავი ან ბნელი კრიმინალი?!

ქ-ნ ეკოტერინოს ქმარი, კრისტოფი ჯენტლმენურად ეკითხება ვახტან მარგველაშვილს.

„— რას დალევთ?

— ახლა? ახლა დავლევ... მოდი, ჯინს დავლევ.

— მე მოვიტან“.

კარგად აღზრდილი მამაკაცი მამრული სოლიდარობის, ქართული ზრდილობისა და ადათ-წესების პატივისცემის ნიშნად თავის მხრივ კრისტოფის სურვილსაც გაიგებდა — თავად ის რალას დალევდა, საერთოდ, რისი დალევა აჯობებდა — იქნებ ორთავეს ერთი და იგივე სასმელი დაელია. მაგრამ არავითარი ამის მსგავსი რამ! და ეს პირდაპირ, ტლანქად მიხლილი „მოდი, ჯინს დავლევ“, ამკარად მეტყველებს ჩვენი პოეტის დაბალ კულტურულ დონეზე და ჩლუნგ ინტელექტზე, რაკი აზრადაც

კი არ მოსდის სასმელის შემომთავაზებლის გემოვნება-სურვილის შეტყობა და მხოლოდ საკუთარი მუცელი ანალელებს.

ეს კიდეც არაფერი. ნახეთ, ცოტა ხნის შემდეგ ვახტანგი პირდაპირ ციხიდან ახალგამოსული, წლობით სასმელდანატრებულ გაგრილსავით ნეტარებს და ბაქიაობს.

„— მე ოთხი ჯინი დავკარი იმ ერთ საათში“.

ყოჩაღ! მაგრამ ოთხი რა არის, რატო კიდეც მეტი არ „დაპკარი!“ კიდეც კარგი, ქართველების სიძე, ინგლისელი მისტერ კრისტოფი ჩაგივარდა ხელში, თორემ ამსტერდამის აეროპორტში ოთხ ულუფა ჯინს ვინ „დაგაკვრევიანებდა!!!“

გულის ამრევი, პროვინციული ვირეშმაკობა და მსუნაგობა!

„იმ ერთ საათში“ ოთხ ჯინდაკრული ვაჟბატონი, აგერ, როგორ ემშვიდობება ქმართან ერთად ლონდონისკენ მიმფრინავ ქ-ნ ეკოტერინოს.

„— რა ლამაზი ხარ, შე ვერანა“.

მოკლედ, რაც პირზე მოადგება, ქუჩის კაცივით იმას გაიძახის პოეტი.

* * *

ჯერ საერთოდაც და, მით უმეტეს, თუ ქალის სიყვარულზე გვეფიცება მამაკაცი, იქ უალრესად წრფელი და ზუსტი უნდა იყოს. სტამბოლის აეროპორტში ვახტანგი ქ-ნ ბებეს გამოუტყდება: მეშვიდე კლასში ყოფნისას მცხეთაში ექსკურსიაზე რომ ვიყავით, სწორედ „მაშინ შემიყვარდი. მე ვაბშე ვერ მივხვდი, რომ შემიყვარდი, მარა თურმე მაშინ შემიყვარდი“. მაგრამ როცა იქვე ნაკინკლავდებიან და განშორებისას ვახტანგი ქ-ნ ბებეს მკვახე-მკვახე, ორაზროვან ფრაზებს მიაყრის, შინაგანი მონოლოგით მკითხველთან ახლა ასე გულახდილობს ქ-ნ ბებესადმი სიყვარულის ხანდაზმულობაზე. „მეკეტება და რა ვქნა? ცხრა წლიდან მეკეტება“.

თვით სიყვარულზე როგორი წარმოდგენა-შეხედულებისაა ვახტანგ მარგველაშვილი?

„ბოლმა ვარ... სიყვარული ბოლმა ყოფილა“.

თქვენც ეთანხმებით, მკითხველო?

პიროვნება, როგორი პიროვნებაა? შინაგანი მონოლოგისას აი, როგორ მიმართავს თავის მეძავე ქალს.

„— როდისმე გინახივარ ფხიზელი? საერთოდ, ფხიზელი თუ გინახივარ?“

მთავარი პერსონაჟი, არსებითად, გამოუსწორებელი ლოთია.

„მე ეს სიმთვრალე (არადა, აქ ქრონიკულ ლოთობაზეა ლაპარაკი და არა უბრალოდ სიმთვრალეზე. ჯ.მ.) ნამაქცევს. სიმთვრალის გარეშე კი არ გამოდის. არაფერი არ გამოდის. ცხოვრება არ გამოდის. არ გამოდის ჩემი ცხოვრება და რა ვქნა?“

ლოთობაც არის და ლოთობაც — ნასვამი რას სჩადის, ან ვისთან რას ლაპარაკობს, მერე აღარაფერი ახსოვს. ასე დაემართა ერთ-ერთ სალამოსაც, როცა ქ-ნ ბებეს მეუღლეს, თავზეხელაღებულ, ოთხი კაცის საიქიოში გამსტუმრებელ ვიკას სტამბოლის აეროპორტში მის ცოლთან შეხვედრის ამბავი მოუთხრო და ეტყობა, თან ისეთ-ისეთი რამეებიც ნამოაყრანტალა (მოთხრობაში ეს კარგად არ ჩანს, მხოლოდ მინიშნებაა), რაც არ უნდა ნამოეყრანტალებინა, რისი ნამოყრანტალებაც არ ეპატიება ნამდვილ მამაკაცს.

შედეგი? გაცოფებულმა ვიკამ მერე თავისი „მერსედესი“ ბენზინგასამართს შეაჯახა და დალენა, მორიგე პოლიციელს თავში პისტოლეტის ტარი ჩასცხო და ძლივს გამოგლიჯეს ხელიდან, ძმაკაცების თანხლებით შინ მივარდნილმა, ცოლს სკამი ესროლა, ხოლო ვახტანგის ძმაკაცს, ოთოს დაუბარა, რომ ვახტანგს თავს მოაჭრის, „კალათაში ჩადებს და მრგვალ ბაღში დატოვებს“.

მართლა არ მოკლასო თუ ისე, თავგასართობად, აჰმედ კაია (იგივე საბურთალოელი თემო) სტამბოლიდან ფეხმოუცვლელად მობილური ტელეფონით ხელმძღვანელობს თავისი ძმაკაცის, ვახტანგ მარგველაშვილის ჯერ თბილისის მახლობელ რომელიღაც სოფელში გადამალვას, ბოლოს კი კონსპირაციულად ტრაპიზონში ჩაიყვანს ვახტანგსაც, მის მოსისხლე მტერს, ვი-

კასაც და კიდეც სხვა ვილაც-ვილაცეებს. სწორედ იქ, სასტუმროს რესტორანში გათამაშდება ვახტანგისა და ვიკას შერიგების კომიკური სცენა.

ეს ყველაფერი ისე სქემატურად, ისეთი გაჭიანურებით და განზრახ აბურდულ-დაბურდულადაა გადმოცემული, რომ გული გაგინვრილდებათ, მაგრამ ამჯერად ეს არ არის მთავარი. სტილის დაცვით მოვიყვან ერთ პასაჟს, სადაც ვახტანგ მარგველაშვილს თავისი ძმაკაცი, ოთო დანვრილებით ახსენებს წინა ღამით გადახდენილ ამბებს.

საუბარს ოთო იწყებს.

— კარგი, ხარაშო. მერე მიმა ნავიდა და მე გითხარი, ნავიღეთ-მეთქი. შენ ფეხი აითრიე და, კაროჩე, ჩავრჩით ჭაობში, იმიტო რო მერე შემოვიდნენ ისინი, ჯერ ორი. მერე კიდეც ორი და მოგვიჯდენ ჩვენ, იმიტო რო შენ წამოღექი და დასვი ჩვენთან.

— აღარ მახსოვს.

— მერე მე სტოიკასთან გავედი და რო მოვბრუნდი, უკვე ვიკას გვერდზე იჯექი და რალაცეებს ელაპარაკებოდი. იმას ეცინებოდა.

— ვიკა ვაბზე არ მახსოვს.

— მე რო დამინახე, დაინყე ყვირილი.

— რას ვყვიროდი?

— ქუდები მოიხადეთ, ილაპარაკებენ კომუნის გამირები!

— გასაგებია.

— მე აქეთ დავჯექი და დავინყეთ ისევ სმა. მეც მაგრა ვიყავი. ისინი არ იყვნენ ეგრე, წრუპავდენ. მერე, ჩიჩო როა, ხო იცი, ჩიჩო? სერიოზული ყაჩაღია.

— არ ვიცი.

— ჩიჩო როგორ არ იცი, შენ წინ იჯდა... ჩიჩო, რა. მაგრა არ მევასება ეგ ჩიჩო.

— არ მახსოვს.

— ჩიჩო ესე გადმოინია ჩემკენ და მითხრა, შენი ძმაკაცი ნაიყვანეო. მირატვორეცი ყოფილა ეგ ჩიჩო, არ ვიცოდი. მე არ მისმენია, რას ელაპარაკებოდი. ვაბ-

შეტა, შიგა გაქ. მერე-მეთქი, ნასვლის დროა და წამო-
გაყენე და გამოვედით გარეთ. დაგაყენე კარებთან. იქ
როლანდაა ერთი, ვიშიბალა, იმას ჩაგაბარე და მოვი-
ყვანე ტაქსი.

— ეგ მახსოვს.

— ეგ გინდა გახსოვდეს, გინდა არა. სახლში მიმყაუ-
დი და მაგინე ვაბზე ყველაფერი. ნავედით დაბლა,
საუნაშოო. ნავედით.

— არ მახსოვს, ვაბზე არ მახსოვს.

— იქ ეძებდი ზოიას და არ იყო. ნაცნობები არიან
ის დაცვის ბიჭები-მეთქი, ცოტა ხანს დაგესვამ და მი-
გეძინება. დაგსვით და გეძინა ერთი ნახევარი საათი.
მერე პივა მოითხოვე. ამ დროს მოვიდა ზოია. მე მა-
გის!.. ვეუბნები, მთვრალია და არ დაენახო-მეთქი.
კინალამ ვცემე. ეგ წაკლა მეუბნება, მუნჯის ენა დედამ
იცისო. ფულს გახევს, შე ჩემისა, და აზრზე არა ხარ.

— მე მაგას ვუყვარვარ. მერე?

— მერე შეგიყვანა. აზრზე არა ვარ, რა გიქნა. სა-
როჩკაც არ გაგიხდია. ორი ბაკალი პივა დავლიე და
გამოხვედით. ტაქსში არ ჯდებოდი და ჩაგვიჯდა ზოი-
აც და ამოგიყვანეთ სახლში. პადიეზდში მე და ზოიამ
შეგათრიეთ. კარი მე გავაღე და ზოია მოტყდა. მარა
უკვე აზრზე იყავი და აღარ ატრაკებდი. შეხვედი და
წამოვედი. პუტანკამ მიგიყვანა სახლში, ტო...

— ეგ ვაბზე არ მახსოვს. ტაქსში რო ვიჯექი,
მახსოვს.

— მერე მე მივბრუნდი.

— სადა, ტო?

— ისე შემეცო, რო უკან მივბრუნდი“.

აჰა, ეგეც თქვენი პოეტი! ეგეც თქვენი ქართველი მამაკაცი!
ეგეც თქვენი ოჯახისთავი! ეგეც თქვენი პიროვნება! ეგეც თქვე-
ნი გაუბედურებული სამშობლის მოქალაქე-ჯარისკაცი!!!

მთავარი პერსონაჟის მორალური უსუსურობა, უმსგავსობა
და სოციალური სიბეცე აი, სად აღწევს თავის მწვერვალს.

„რა ექნა? აი, ეგეთი ვარ, ძველთბილისურად რო ვთქვათ, ეს ერთი კაცი უნდა შემინახოთ. შემინახეთ რა, ისეთი, როგორცა ვარ, ვილაცა მიხვდეს, რომ ეგეთი ვარ და შემინახეთ“.

ქართველი კაცი, პოეტი, ლაჯებშუა რომ გამოუტარებია კონტინენტები, ატლანტის ოკეანე და თანამედროვე აეროპორტები, ახლა ქუჩაში გამხლართული გონებასუსტი საპყარივით აი, ასე შელალადებს თავის საძმაკაცოს, ახლობლებს, თავის გაუბედურებულ სამშობლოს და, ცხადია, მკითხველსაც — შემინახეთო!

სხვისი არ ვიცი, მაგრამ მე ეს ყველაფერი ზიზღითა და რისხვით მაცესბს!

„აი, ეგეთი“ მარტო ერთი, ვახტანგ მარგველაშვილი რომ გვყავდეს, მართლა რა უნდოდა ერთი „ეგეთი“ კაცის შენახვას, ღვთის მადლიც კი იქნებოდა! მაგრამ მთელი უბედურება ის არის, რომ როგორც ჩვენი საზოგადოება, ისე ბოლო წლების ქართული მხატვრული ლიტერატურა კატასტროფულად ივსება ვახტანგ მარგველაშვილის მსგავსი „ეგეთი“ — დაშლილი, უპრინციპო, ყბედი, უნებისყოფო, უგერგილო, თავნვერა, შეუგნებელი, თავქარიანი, უთავმოყვარეო, ალაღბედა, უმნეო, უქნარა, დაღლარა, ცინიკოსი, მუქთახორა, ნარკომანი, ლოთი, ავარდნილი, ღლეტურა, უპასუხისმგებლო მოქალაქეებითა და პერსონაჟებით!!!

რაკი უსწავლიათ ვისკიანი ჭიქის პირთან მიტანა, ვენაში ნემსის ჩხვლეტა, ჰემინგუეიზე თუ სხვა პოპულარულ შემოქმედხელოვან პიროვნებებზე ზერელე ლაყბობა თუ საერთაშორისო აეროპორტებში ერთი თვითმფრინავიდან მეორეში გადაჯდომის მექანიკა, ჰგონიათ, რომ მორჩა — ეგ არის ამ ცხოვრების აზრი და თავ-ბოლო: მათ აღარავითარი პასუხისმგებლობა აღარ აკისრიათ საკუთარი თავის, ოჯახის, ახლობლების, საზოგადოების, სამშობლოსა და ღვთის წინაშე! ამიტომ როგორც მოექეიფებათ, ისე იყალთაბანდებენ, რაც მოეპრიანებათ, იმას ილაქლაქებენ და ჩაიდენენ, ხოლო საძმაკაცო და საზოგადოება ყველაფერ ამას მიუტყეებს და შეინახავენ! „აბა, როგორ, ტო?“

ეს აბსოლუტურად მავნე, საშიში და ერის გამხრნელი შეხედულება-ნარმოდგენა!!!!

ასე თუ მოვეშვით, მალე საქართველოს ყველა მოქალაქე სხვისი „შესანახი“ გახდება, შემნახველი კი აღარავინ დარჩება!!!

აქ პასუხი თავისთავად მოტბორავს და უფლება არა მაქვს, შევაკავო.

ვახტანგ მარგველაშვილო, რომელი ხუთი წლის უთვისტომო ობოლი შენა გვყავხარ, რომ სხვებს ელრიჯები, შემინახეთო?! შენი საკუთარი ცოლ-შვილი ვილამ უნდა შეინახოს, ვის ამწყრალებ, ვის კმაყოფაზე ტოვებ?! სხვებმა შეგინახონ კი არა, კაცს ნახევარი მსოფლიო მოგივლია — სხვები შენ თვითონ უნდა შეინახო და ჭკუაზე დაარიგო! ამიტომ შენ შესანახად სხვებს აქეთ კი ნუ მოუწოდებ, პირიქით, შინაგანად უნდა მონესრიგდე, გაფოლადდე და შენც დანარჩენებს შეუერთდე, ვინაიდან ვერა ხედავ, გაუბედურებულ-გაპარტახებული სამშობლო გვყავს — განზრახ ვამბობ, გვყავს-მეთქი — გადასარჩენ-შესანახი!!!

მოკლედ, მოთხრობის მთავარი პერსონაჟი ახლოსაც ვერ მოვიდა ჩემს გულთან და გონებასთან, თანაგრძნობის ერთი სიმიც ვერ ამიჟღერა. ამიტომ მას ვშორდები არამცთუ გულგრილად, არამედ გულცივად, თუმცა იმ მკრთალი იმედით, რომ ეგებ თავის თავში იპოვოს ღირსება, ძალა და შთაგონება, რათა შეკრულ პიროვნებად იქცეს და სამშობლოს მსახურთა რიგებში ჩადგეს.

ერთადერთი, რაც მისთვის შემიძლია გავაკეთო, ეს არის — შევახსენო იმანუელ კანტის დებულება: „მართე შენი ბუნება, თორემ ის გმართავს შენ!“

* * *

2005 წლის პირველ ნომერში დაიბეჭდა აკა მორჩილაძის სათავეგადასავლო მოთხრობა „სიკვდილი, ქალაქი“. მას ჟურნალის ერთ ფურცელზე ცოტა მეტი უჭირავს და მთლიანად აკაკი წერეთელს ეძღვნება.

მოთხრობის პირველი აბზაცი ასეთია.

„1914 წლის 7 დეკემბერს 74 წლის თავადი აკაკი წერეთელი, ყველაზე განთქმული და უსაყვარლესი პოეტი, რომელსაც ბუები, ღამურები და თხუნელებიც

კი ცნობდნენ სახეზე, ჩავიდა ქუთაისში მატარებლით, თბილისიდან”.

დაე, მკითხველმა თავად განსაჯოს, აკაკის მიმართ, თანაც ამ კონტექსტში, რამდენად მართებული ან მხატვრულია ბუების, ღამურებისა და თხუნელების ხსენება. ან რანაირია წინადადების სტილი და კონსტრუქცია: „ჩავიდა ქუთაისში მატარებლით, თბილისიდან“.

მწერალმა რამდენად შეძლო დიდი პოეტის პორტრეტის დახატვა, ამის განსჯას არ შევუდგები — მხოლოდ ენობრივ მხარეს შევხები.

„ხელჯოხის ბიჯგებით ჩადიოდა სველ კიბეზე“. — წერს ავტორი.

ბიჯგები კუთხურია, უნდა იყოს ბჯენით.

აკაკი წერეთელი მატარებელშია. კონდუქტორი ლოგინის გამლას შესთავაზებს, მაგრამ პოეტი იუარებს და მხოლოდ ბალიშს მოითხოვს.

„მინვა ხის მაგარ კოიკაზე“.

მწერალი ამ ბოლო სიტყვას ისე გულმშვიდად ხმარობს, თითქო სუფთა ქართული იყოს — არც ბრჭყალები, არც არაფერი! რედაქცია? ეჰ!

აკაკი ქუთაისის სასტუმროშია.

„გადაიხადა ერთი კვირის ფული, მოითხოვა ჩაქუჩი და გაზი და სასტუმროს ბიჭს აახდევინა თავისი შეჭვდილი ყუთი, რომელიც გამოდგა პირთამდე სავსე ქალღლებით“.

თავი დავანებოთ ბოლო წინადადების აბსურდულ, თითქო განხრახ გაუკულმართებულ კონსტრუქციას. აქ ავტორი ისე წერს — გამოდგაო, თითქო ეს ყუთი აკაკის საკუთრება კი არ ყოფილიყო და წინდანინვე არა სცოდნოდა, შიგ რა ჰქონდა, არამედ სრულიად შემთხვევით ეპოვოს სადღაც და ახლალა იგებდეს, შიგ რა ყოფილა!

„უკაცრავათ არ ვიყო, — შემოესმა უკნიდან“. უნდა იყოს „უკაცრავად არ ვიყო, — შემოესმა უკანიდან“.

ფოსტაში აკაკი შემთხვევით შეხვდება უცნობს — ოცდათორმეტი წლის ექიმს, სარდიონ მესხს.

„სარდიონ მესხი აკაკის ძველი კარგი ნაცნობის შვილიშვილი იყო. აკაკის ენახა მხოლოდ პატარა ბიჭობაში. მერე მესხი ბევრგან დაეუფლა დოქტორობას და ახლა ექიმობდა კერძო პრაქტიკით; ხოლო რაც ომი დაიწყო, საქალაქო ლაზარეთშიც, რომელიც სამხედრო ვითარების გამო ხელქვეით მისცეს ქუთაისის მთავარ სამხედრო ექიმს, სხვანაირად კი ჰოსპიტალს“.

გრძნობთ, ხაზგასმული წინადადებებისა და აზრის თავის ამბავზე დომხალს?

აკაკი ლაზარეთის დათვალიერებას მოისურვებს. არ გაინტერესებთ, ვინ იმყოფებიან ამ ლაზარეთში? მოუსმინეთ ავტორს.

„საქალაქო ლაზარეთში ოსმალეთის ფრონტის ტყვეები იწვნენ. რუსის ჯარისგან ბრძოლის ველიდან წამოკრეფილი მტრის დაჭრილები“.

რას იტყვით, ხომ ნათელი, ტყეადი და ძარღვიანი ქართულია?! მოდი, ახლა ახლოდან ენახოთ ეს „ოსმალეთის ფრონტის ტყვეები“ და „მტრის დაჭრილები“, თანაც „რუსის ჯარისგან ბრძოლის ველიდან წამოკრეფილი“.

„ბურჟუიკის ახლო (უნდა იყოს ახლოს ჯ. მ.), თხელ ლეიბებზე ზენრებში გამოსხეული მთლად გამხდარი ეყარნენ შავგერემანი ახალგაზრდები, შიშვლები, თვალებდასივებულები, სიკვდილის ნიშნით. ესენი იყვნენ ტიფიანები და როგორც მესხმა თქვა შენუხებით, არ იყვნენ ოსმალეები, არამედ ოსმალთაგან ომში ძალათ (უნდა იყოს ძალად ან ძალით ჯ.მ.) წაყვანილი არაბეთის შვილები, ბედუინები“.

მოკლედ, ავტორი არ ფიქრობს, არ ზრუნავს, არ წუხს, ანდა უბრალოდ, არ მოსდევს იმდენი მწერლური საფანელი, რომ სათქმელი გამოუვიდეს დახვეწილი, ლაკონური, ტყეადი, მხ-

ატერულ-ოსტატური — მარტო „მიერეკება წყალივით“, მეტი არაფერი!

რანაირია ან ენობრივად, ან აზრობრივად ეს „მთლად გამხდარი ეყარნენ?“, გამხდარი ეყარნენ!!! ან რალა საჭირო იყო „არ იყვნენ ოსმალები“, თუკი შემდეგი წინადადება უფრო ზუსტად გაიმეორებდა მასში გატარებულ იმავე აზრს: ომში ძალით წამოყვანილი არაბები ყოფილან! ამ ციტატაში პირველი უცხო სიტყვა ავტორს, თავისი ჩვეულების თანახმად, კვლავ უბრჭყალებოდ აქვს ნახმარი. რატომ, რა უფლებით?

„აკაკი კარგა ხანს იდგა ვინრო გასასვლელში და უყურებდა ამ საბრალო მომაკვდავებს. შეკრული პალტო მოძრაობას უშლიდა. თავი, უკვე მიჩვეულად, უკან გადაეგდო“.

ავტორი ხომ არ უკვირდება, რას წერს, ან რა მიაქვს რედაქციაში და რედაქციაც ბაიბურში არ არის, რას სთავაზობს თავის მკითხველებს!!!

თუკი „აკაკი კარგა ხანს იდგა... და უყურებდა“, აბა, პალტო როგორ, როდისღა დაუშლიდა მოძრაობას?! სად ჩანს პერსონაჟის მოძრაობაც?! რა გამოდის: აკაკი თან „კარგა ხანს იდგა... და უყურებდა“ თან პარალელურად კიდევ მოძრაობდა და „შეკრული პალტო მოძრაობას უშლიდა?“ მაგრამ ეს ხომ ფანტასტიკის ფარგლებსაც კი სცილდება!!!

ავტორმა თან ეს რა უცნაური სიტყვა შემოგვიფრინა ქართულ ენაში — „მიჩვეულად!“ ეტყობა, უნდოდა ეთქვა „ჩვეულებისამებრ“. გარდა ამისა, აქ სულ არ იყო საჭირო ეს უადგილო ზმნისწინი „უკვე“, ვინაიდან თვითონ სიტყვა „ჩვეულებისამებრ“ თავისთავად გულისხმობს ამ სენის, ზნისა თუ მანერის ხანდაზმულობას. აჰა, დავაკვირდეთ: „თავი, უკვე ჩვეულებისამებრ, უკან გადაეგდო“. აბა, რად უნდა აქ ეს „უკვე?“ მით უმეტეს, რომ ავტორმა მოთხრობის პირველივე წინადადებაში აღნიშნა მოქმედების დრო — 1914 წლის 7 დეკემბერი. აქედან კი აკაკის ორიოდე თვის სიცოცხლეღა ჰქონდა დარჩენილი.

უცებ აკაკი ღვინოს მლითხოვს და დაფაცურებული სარდიონ მესხი ჩანაკლულებული ბოთლით მიართმევს.

„აკაკიმ ბურჟუიკასთან მიფენილი მიტკალი აიღო
და ღვინოში გააღბო“.

მიტკალი ერთ-ერთი სახეობის, ბამბის ქსოვილის მხოლოდ
სახელწოდებაა და ტექსტიდან არა ჩანს, აკაკიმ მიტკლის რა
აიღო: პირსახოცი, ხელსახოცი, პერანგი, ფეხსახვევი, ბედუინის
დოღბანდი, ჩვარი, ნახევი თუ ნაფხრენი.

აი, მომდევნო სრული აბზაცი.

„მერე კიდევ უფრო მოულოდნელად, გადაფორთხ-
და სკამებსა და ფეჩზე, და ასე, ბოთლით და ღვინით
სველი მიტკლით ხელში და საბრალო ბედუინებს შუა
აღმოჩნდა“.

აბა, ერთი გაგებდათ და ასე „ბოთლით და ღვინით სველი
მიტკლით ხელში“ მისდგომოდით ისეთ რედაქტორს, როგორიც,
მაგალითად, ელგუჯა მაღრაძე იყო: ბუხუნა საყვედურებით
ზურგს ისე შეგიტენიანებდათ, რომ მწერლად გახდომის ოცნე-
ბაზე ან ხელს აგაღებინებდათ, ანდა წერის იდუმალების ისეთ
ჰორიზონტებს აღმოგაჩენინებდათ, რომ მაღლიერი და სიხარუ-
ლით ფრთააბმული, შინისაკენ ძუძუმონყურებულ კვიცივით მო-
ქუსლავდითი ახლა? ახლა რაც გინდა დანერე, როგორც გინდა
მოაცოდვილე, ვინ არის გამკითხავი — ყველაფერი ხალასი
ლიტერატურაა! ეეეჰ!!!...

ამ პანია მოთხრობაში ავტორმა როგორც სრულუფლებიანი,
ჩვეულებრივი ქართული სიტყვა, უბრჭყალებოდ ჯერ კოიკა
იხმარა, მერე ბურჟუიკა, აგერ, ამ აბზაცში კი ახლა ფეჩით
„გაგეახარა!“.

რა ხდება? მწერალმა ნუთუ მართლა არ იცის, რომ რუსული
Печка ქართულად ღუმელს ნიშნავს?! ხოლო თუ იცის, ეს რაღაც
„ფეჩი“ რითი სჯობია მშობლიურ ღუმელს?! ხოლო თუ თავისთ-
ვის მაინცდამაინც ეს უცხო სიტყვა მიაჩნია სამჯობინაროდ, მა-
შინ ბრჭყალებით რატომ არ ხმარობს?

შემდეგი აბზაცი ასეთია:

„იმათ არ ჰქონდათ წამოჯდომის ან ხეირიანი მოძრაობის ილა-
ჯი, აკაკი კიდევ, ამ მძიმე პალტოსა და სიბერის მიუხედავად,
როგორღაც მოქნილობით ყველა მათგანს სწვდებოდა. კიდევ და

კიდევ გააულებდა (უნდა იყოს ავლებდა. ჯ.მ.) ღვინოში მიტკლის ნახევს და შუბლსა და სახეზე უსვამდა საბრალო ბედუინებს“.

ეშმაკმა დამლახვროს, თუ მკითხველიც იმ ბედუინებივით საბრალო არ იყოს!

ავტორი რატომ არ უკვირდება: ტიფშეყრილ „საბრალო ბედუინებს“ თუკი წამოჯდომაც აღარ შეეძლოთ, „ხეირიანი მოძრაობის ილაჯი“ საიდან, როგორღა ექნებოდათ?

ან რას ნიშნავს, როგორ გავიგოთ და რანაირად წარმოვიდგინოთ ეს „როგორღაც მოქნილობით?“

მწერალი თავდაჯერებით რომ გვარწმუნებს, აკაკი მალ-მალ ავლებდა ღვინოში მიტკლის ნახევსო, ნუთუ აღარ ახსოვს: პოეტს ხელში მხოლოდ ბოთლი დააჭერინა და ბოთლში მიტკლის ნახევი როგორ, რანაირად უნდა გაეელო?! ამგვარი რამ შესაძლებელია რომელიმე პირფართო ჭურჭელში და არა ტურჯინრო ბოთლში!

ახლა ციტატის ბოლოს დახედეთ! ავტორი ისე წერს: მიტკლის ნახევს შუბლსა და სახეზე უსვამდაო, თითქო შუბლიც სახის ნაწილი არ იყოს!

სხვებს თუ არ ანალვლებთ, მთავარმა რედაქტორმა მაინც ჩაიხედოს ლექსიკონში და ნახოს, რა არის შუბლი — ადამიანის სახის ზედა ნაწილი.

„აკაკი ელაპარაკებოდა იმათ არაბულათ“. უნდა იყოს არაბულად.

როგორც ხედავთ, მოთხრობის სტილსა და ენაში ბევრი რამეა გულდასაწყვეტი. მე ერთმა სხვა გარემოებამაც დამწყვიტა გული. ავტორმა აკაკი ჯერ ბურჟუიკის ახლოს მიიყვანა, მხცოვანი პოეტი მერე ფეჩზე გადააფორთხა, მაგრამ იმდენი ველარ მოახერხა, ბოლოს როგორმე ღუმელთან დაებრძანებინა.

* * *

„გაგრძელება იქნება“ — გვაუწყებს მოთხრობის დასასრული და მომდევნო, ჟურნალის 2005 წლის მე-2 ნომერში მართლაც გამოჩნდა „სიკვდილი, ქალაქი“, ოღონდ ახლა ამგვარი მითითებით „შტრიხები აკაკის ცხოვრებიდან“. ესეც თითქმის იმ პირველისოდენაა — ჟურნალის ერთ ფურცელზე ცოტა მეტი უკავია.

მოთხრობის მოცულობაზე შემთხვევით არ ვამახვილებ ყურადღებას, რადგან ჯერ საერთოდ, ნებისმიერი პროზაული ჟანრის ნაწარმოები და, მით უმეტეს, პანია მოთხრობის არქიტექტონიკის ყველა კუთხე-კუნჭული, განსაკუთრებით კი მისი დასაწყისი უკიდურეს დაკვირვებას, სიფაქიზეს და შესაძლებლობის დაძაბვას მოითხოვს, ვინაიდან დასაწყისი -- პირველი სიტყვა, პირველი წინადადება, პირველი აზრი ნაწარმოების საკლიტურს უნაკლოდ მორგებული და მოსრიალე ოქროს გასაღებია, საძირკველში საიმედოდ ჩატანებული ბრტყელძირა ბალავარია, რომელზეც მერე მტკიცედ უნდა დაშენდეს მთელი მოთხრობა.

ნაჩქარევად, დაუდევრად, ალაღბედზე შეკონინებული, მჩატე, აზრისგან დანურული და, მით უმეტეს, ბუნდოვან-შეცდომიანი დასაწყისი ავტორსაც და მკითხველსაც ამსგავსებს ათასგვარი საქმეებისაგან დავთრებდაფანტულ, დიდი წარმოების სანყობის გამგეს, საკლიტურში გაყრილ გასაღებს მონადინებით რომ აწვალ-აჩხაკუნებს, მაგრამ კარი არა და არ იხსნება! და ვერც გაიხსნება, ვინაიდან იმ ფაციფუცში შეშლია და ნაირგვარი გასაღებების ჩხნდოდან სულ სხვა გასაღები ამოურჩევია, რომელიც საკლიტურში კი შეტეულა, მაგრამ აქეთ-იქით ხეირიანად ველარ ტრიალდება, კარს ვერ ხსნის! ანდა, როგორ უნდა გახსნას, როცა ის სულ სხვა კარის გასაღებია!!!

დაახლოებით ამასვე ჩამოჰგავს მოთხრობისა და ნოველის დაწყება-დასაწყისიც!

შეიძლება დამცინონ კიდევ — კუმ ფეხი გამოყო, მეც ნახირ-ნახირო, მაგრამ არც ეს მენყინება, ვინაიდან უბოროტო, ხუმრული დაცინვა ჯანსალი ცხოვრების ბუნებრივი და სასურველი ნაწილია. ამიტომ გულახდილი ვიქნები: რამდენიმე მოთხრობა, რომელიც წარმოსახვაში უკვე ისე მქონდა მომნიჭებული, რომ ჩაჯდომისა და გადაწერის მეტი აღარა უნდოდა რა, მაინც არ დავწერე და გვერდზე მივაგდე მხოლოდ იმიტომ, რომ ვერა და ვერ ვიპოვე ის პირველი სიტყვა და წინადადება, რომელიც, ჩემი პატარა მწერლური გეშითა და რწმენით, მოთხრობას ბუნებრივად დაიწყებდა და ბოლომდე „უპატრონებდა“, გენიალური ნაწარმოებებით განებივრებულ ფხუკიან მკითხველს იოტის-

ოდენა ინტერესს მაინც აღუძრავდა და მთლიან მოთხრობაში შეჭვრეტის ორჭოფულ სურვილს გაუჩენდა!

ახლა ვნახოთ, ჩვენი ავტორი როგორ იწყებს თავის ამ მოთხრობას.

„მერე საექიმო ოთახში ისხდნენ, სადაც ექიმი მესხი ცდილობდა ელაპარაკა რაღაც მოულოდნელობები, თუმცა აკაკი წერეთელმა ყოველივე იცოდა.

ასე ირკვეოდა ლაპარაკიდან, რაც იწვევდა მესხის სრულ შინაგან აღტაცებას, გაკვირვების შემდეგ“.

სრული უაზრობა, დაუფიქრებლობა, ბუნდოვანება, მიფუჩჩეჩება, არაპროფესიონალიზმი!

ეტყობა, აქაც თავისებური „ნიჭია“ საჭირო, ამგვარი აბსურდული დასაწყისი რომ „მოიგონო!“

ღმერთო, ჟურნალის ყველა ნომერში გაფანტულ ამგვარ პასაჟებთან გამართულმა სამკედრო-სასიცოცხლო შერკინებამ შეიძლება კაცს სააზროვნო სისტემა გადაუნვას და გონებრივი მუშაობისათვის სრულიად გამოუსადეგრად აქციოს!

ჯერ ერთი, პირველ წინადადებაში რას ნიშნავს ეს „რაღაც მოულოდნელობები?“ ადამიანმა როგორ, რანაირად უნდა განსაზღვროს თუ ილაპარკოს „რაღაც მოულოდნელობებზე?“ ავტორმა ხომ თავი მოიჭრა და შეურაცხმყოფელ მდგომარეობაში ჩააყენა თვით აკაკი წერეთელიც, რომელსაც ყოველივე ეს, ანუ ექიმ მესხის მიერ მოყოლილი და მოსაყოლი „რაღაც მოულოდნელობები“ თურმე წინდანინვე სცოდნია! მაგრამ რომელ ძეხორციელს ძალუძს წინასწარ განჭვრიტოს „რაღაც მოულოდნელობები?“ არავის!

მაშ, რა ხდება? რა და, მწერალმა როგორც წელან აურდაურია ერთმანეთში სიტყვები „ქალი“ და „ქალურობა“, იგივე ემართება აქაც: ერთმანეთისაგან ვერ განუსხვავებია სიტყვები: „მოულოდნელი“ და „მოსალოდნელი“. გადავფურცლოთ ლექსიკონი.

მოულოდნელი — რასაც არ მოელიან, — უეცარი.

მოსალოდნელი — რასაც უნდა მოელოდნენ, რასაც მოელიან — შესაძლებელი, საფიქრებელი.

ცხადია, ახლა ყველასათვის და, შეიძლება თვით ავტორის, მთავარი რედაქტორის და მთავარი რედაქტორის მოადგილისთვისაც კი ნათელი გახდეს, რომ ქუთაისელი ექიმი სარდიონ მესხი აკაკი წერეთელს პირველი მსოფლიო ომიდან მომდინარე ათასგვარ მოსალოდნელ ამბებსა თუ მოვლენებზე ესაუბრებოდა და არა ტვინის შემადედებელ „რალაც მოულოდნელობებზე!!!“

გარდა ამისა, დაუკვირდით წინადადების აგების გაუკულმართებულ კონსტრუქციას: ეს „ცდილობდა ელაპარაკა“ ისე უღერს, თითქო მოსაუბრეს ენა-პირი ქაფქაფა ჩაით დასწვოდა, ანდა ყბები ჰქონოდა მომტვრეული და „ცდილობდა“ ორიოდ სიტყვა ამოეღერლა, როგორმე ალაპარაკებულყო.

აგერ, როგორ იწყება მეორე, თანაც ხელოვნური, სრულიად ნაძალადევი აბზაცი. „ასე ირკვეოდა ლაპარაკიდან“. კი მაგრამ „ასე“ რა „ირკვეოდა ლაპარაკიდან?“ „რალაც მოულოდნელობები“, აკაკი წერეთელს ვითომდა ექიმ მესხის გარეშეც რომ სცოდნია? მაგრამ პირველ აბზაცში არც „ასე“ და არც „ისე“ — არაფერი არ ირკვევა! ან ეს „საექიმო ოთახი“ რა არის: სადაც სწეულები უწევთ და მკურნალობენ თუ ჰოსპიტლის მთავარი ექიმის, მესხის კაბინეტი? გარდა ამისა, მხატვრულდამაჯერებლობის თვალსაზრისით მკითხველი სრულებით ვერ ჰგუობს ამ „მესხის სრულ შინაგან აღტაცებას, გაკვირვების შემდეგ“.

მოკლედ, თითქოს განზრახ, ავტორმა დასაწყისშივე იზრუნა, რათა მკითხველს ამ პატარა მოთხრობაზე უმალ გული ასცრუებოდა. თავიდან მეც ასე დამემართა და მეორედ მაშინლა ჩავუჯექი, როცა გარემოებამ მაიძულა.

ახლა ცოტა სტილსა და ენაზე.

„ყველაფერი იყო ქუთაისურათ“. უნდა იყოს ქუთაისურად.

„აკაკი წერეთელი ბუხართან იჯდა და თავის მთელ დღეს უბით ნატარებ ხელნაწერებს ჩაჰკირკიტებდა“.

სიტყვათა რანაირი კომბინაციაა — „თავის მთელ დღეს?“ უნდა იყოს, „აკაკი წერეთელი ბუხართან იჯდა და მთელ დღეს უბით ნატარებ თავის ხელნაწერებს ჩაჰკირკიტებდა“.

„ჩანთა გაჭირვებით ფეხებშუა დაიჭირა“.

უნდა იყოს „ჩანთა ფეხებშია გაჭირვებით დაიჭირა“.

„ქუთათელაძემ თავის ქარისაგან დაჯღანულ შლაპაზე მოისვა თითები“.

გასაოცარი! ქუთათელაძის შლაპაა და არა ქარი!!!

რანაირად შეიძლება, სად გაგონილა ატმოსფერული მოვლენა, ქარი, ვისიმე საკუთრება იყოს?! ავტორს წინადადება ასე უნდა აეგო.

„ქუთათელაძემ ქარისაგან დაჯღანულ თავის შლაპაზე მოისვა თითები“.

„კალოშების გახდას ჯერეთ ვერ ბედავდა“. რანაირი ქართულია ჯერეთ — აქ რას დააშავებდა „ჯერ“?

„რაც გინდა სთქვი და“... უნდა იყოს თქვი.

„— აკაკი... უფ, ძინებია. — შეცბნენ ყველანი“.

უნდა იყოს სძინებია.

„—აუ, აღმოხდა ექიმ ქუთათელაძეს. ჩქარათ მოტრიალდა და გავარდა“.

არამცთუ ეს სასაცილო „ჩქარათ“, არამედ ამ კონტექსტში ვერც „ჩქარა“ გვიშველიდა. ეტყობა, უნდა იყოს უცებ, უცბად, უმალ, უმალვე, ფიცხლავ, წამსვე და სხვ.

„აკაკი იჯდა ნამძინარევი, სრულიად გამოურკვეველი, ტუჩებაბუზული, მისცქეროდა რალაც ადგილს“.

ნეტავი, ერთი მაცოდინა, ავტორმა მართლა სადმე ამოიკითხა, ვინმესგან გაიგონა თუ თვითონ გამოიგონა ეს „მისცქეროდა!“

„მერელა დაინახა კარებში გაჩერებული ჩანთიანი კაცი“.

ერთი კაცი მაინც რამდენ „კარებში“ შეიძლება ყოფილიყო გაჩერებული?

თუგინდ ორსაგდულიანი იყოს, მაინც მხოლოდითი მოიხსენიება — „კარი“. თუ მრავალ სათავსოზეა ლაპარაკი, მაშინ იხმარება „კარები“, ხოლო „კარებები“ არასწორი ფორმაა.

„— უკაცრავათ ვარ... უკაცრავათ“. უნდა იყოს „უკაცრავად ვარ... უკაცრავად“.

„ფოსტიდან ფეხათ გამოგისწვრიათ“. უნდა იყოს ფეხად.

„— ეს რომანათ ხომ არა გაქვს, თქვენი ჭირიმე, დანერი-ლი?“

ჯერ ერთი, უნდა იყოს რომანად. მეორეც, რაკი თავიდან მიმართვა მხოლობითშია, მაშინ უნდა იყოს „შენი ჭირიმე“. ხოლო თუ ავტორს „თქვენი ჭირიმე“ უნდოდა, მაშინ დასაწყისიც მრავლობითს ითხოვს — „გაქვთ“.

აი, ავტორი რას ათქმევინებს აკაკი წერეთელს ერთ-ერთი პერსონაჟის მიმართ.

„— გამახსენდა. გომართელის ამხანაგი. იმასთან ერთად მინახავხარ“.

უნდა იყოს მინახიხარ.

დაბოლოს, თავისთავად იბადება კითხვა: სულ რამდენიმე თვეში ასე ერთმანეთის მიყოლებით საგულდაგულოდ გამოქვეყნებული ერთი და იგივე, ამოჩემებული მწერლის მდარე-მდარე მოთხრობებში რატომ მოტბორავს ამდენი აზრობრივი და ენობრივ-სტილისტური შეცდომები?

განამებულ, იმედგაცრუებულ მკითხველს ამაზე ვინ უგებს პასუხს?

* * *

ეს წიგნი მინურული მქონდა, როცა 2006 წლის მე-3 ნომერში უკვე მეოთხედ გამოჩნდა მწერალი აკა მორჩილაძე. ყურნალს ახლა მისი ახალი რომანის „ვენერას სიზმარი“ ბეჭდვა დაეწყო.

უდროობის მიუხედავად, მაინც ჩაუფუჯექი და როცა ჩავამთავრე, არ დაგიმაღავთ, შვებით ამომესუნთქა, რადგან მისი მიმოხილვაც არ მინევდა!

ვისთვისაც ძვირფასია მშობლიური ენის სინმინდე, მხატვრული ლირებულებები და რომანის ჟანრი, დაე, ახლა იმან თქვას თავისი პირუთვნელი სიტყვა.



2004 წლის მე-3, დეკემბრის ნომერში გამოქვეყნდა მწერალ რეზო თაბუკაშვილის ორფურცელნახევრიანი მოთხრობა „გემების ჩრდილქვეშ“, რომელსაც წინ უძღვის ინტერვიუ ავტორთან.

ინტერვიუერი წინო მდევადე ახალგაზრდა მწერალს ერთგან ეკითხება.

„როგორ გარემოში წერთ?“

სამბზაციანი პასუხიდან, რომელიც სულ 12 სტრიქონს შეიცავს, მომყავს მეორე, ექვსსტრიქონიანი აბზაცი.

„უცხოეთში ყოფნისას დამინერია კაფეშიც, მაგრამ ქართულ სინამდვილეში წერის ამგვარი ფორმა მაინც-დამაინც რეალურად არ მიმაჩნია. გარემოში, სადაც შეიძლება შეგხედეს უამრავი ნაცნობი, ახლობელი, მეგობარი, შენ კი განმარტოებით იჯდე და წერო (უნდა იყოს წერდე. ჯ.მ.) — სასაცილოა“.

ჰმ! სასაცილო?! ეტყობა, ახალგაზრდა მწერალი არ უკვირდება, რას გაიძახის, ანდა კარგად არ იცნობს რესპუბლიკის და კერძოდ, დედაქალაქის სოციალურ-ფსიქოლოგიურ ატმოსფეროს! სასაცილო კი არა, ეს შეიძლება საბედისწეროც აღმოჩნდეს, ვინაიდან არ არის გამორიცხული, ვილაც გალეშილი ან დამთხვეული დამადგეს თავზე: ვის იგდებ მასხრად, აქ საქეიფოდ მოხვედი თუ რალაცეების საჯღაბნადო და პისტოლეტი დამახალოს, ანდა სულაც ბრმა ტყვიამ მომიღოს ბოლო!

არ ვაზვიადებ! გაიხსენეთ, ბოლო თხუთმეტიოდე წლის მანძილზე ჯერ მარტო საქართველოს პარლამენტის წევრებმა და ძალოვანი სტრუქტურების მუშაკებმა რამდენი მოქალაქე მოკლეს ან დაჭრეს თბილისის რესტორნებსა და კაფე-ბარებში! ხოლო თუ ამას დანარჩენი კლიენტების მიერ ჩანადენ დანაშაულობათა სტატისტიკასაც დავამატებთ, მაშინ, ალბათ, ისეთ შემადრწუნებელ სურათს მივიღებთ, რომ წინდახედულმა კაცმა თბილისის რომელიმე კაფე-რესტორანში მოთხრობის დასაწერად კი არა, იქნებ იქ ერთი ჭიქა მინერალური წყლის დასალევადაც კი ვერ შებედოს!

არ დავმალავ, როგორც მწერალი, ახალგაზრდა ავტორის ამ აბზაცმა მსუბუქად შეურაცხმყო და თან ცოტა გამაღიზიანა კიდევ. რატომ? იგი კაფეში წერაზე ისეთი დაუინებით აკეთებს აქცენტს, თითქო გაეროს, იუნესკოს, ანდა სხვა რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციას თუ ასოციაციას მკაცრი დადგენილება მიეღოს:

„ის მწერალი, რომელიც კაფეში არ (ან ვერ) წერს, მწერლად არ ჩაითვლება!“

„ის ნაწარმოები, რომელიც კაფეში არ იქნება დაწერილი, არსად დაიბეჭდება!!!“

ვის ვისა და როგორ დავიჯერო, დიდი რეზო თაბუკაშვილის შვილიშვილს შინ ერთი მყუდრო კუთხე არ გააჩნია და იძულებულია კაფე-კაფე ეძებოს მწერლური მუშაობის სანატრელი პირობები?! ხოლო თუ ეს მართლა ასეა, მაშინ საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თუ სხვა მსგავს დაწესებულებებში რამ დალია უამრავი მაღალჭერიანი, ღვთაებრივად მყუდრო, სუფთა, ნათელი, კომფორტული სამკითხველო დარბაზები, ამოირჩიოს ერთი კუთხე და წეროს რამდენიც უნდა — რალა მაინცდამაინც ამ მოყაყანე-ღრიანცელა კაფეებისკენ მიუფრენს გული და გონება?!

ცხადია, ლიტერატურულ მოვლენებში გათვითცნობიერებული მკითხველი უმალ მიხვდება — აქ საქმე გვაქვს ჰემინგუეიონანას საყმანვილო სახადთან, რომელიც საქართველოში ამ დიდი ამერიკელი მწერლის შემოქმედებას ფილოქსერასავით შემოჰყვა. ჯერ კიდევ მაშინ, მე-20 საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში, ზოგიერთმა ქართველმა კალმოსანმა, კერპად რომ გაიხადა ჰემინგუეის წერის სტილი და მწერლური მუშაობის ყაიდა, ჰიპნოზირებულივით იწამა: კაფეში წერას თურმე იმგვარი ჯადოქრობა სცოდნია, გაუსხეპავი მორიდანაც კი შეიძლება დიდი მწერალი გამოვიდეს!!!

არადა, ქვეყნად არც ერთ კაფეს მსგავსი სასწაულების მოხდენა, ცხადია, არ შეუძლია, ხოლო ერნესტ ჰემინგუეი იქ პოზიორობის კი არა, ხელმოკლეობის გამო დაიარებოდა მოთხრობების საწერად. მოდი, თავად მას მოვუსმინოთ — გავიხსენოთ „განუყრელი დღესანაული“.

„მერე ამინდიც გაფუჭდა: ერთ დღეში შეიცვალა, და შემოდგომაც გათავდა...

ზამთრის პირველ, ცივ წვიმებთან ერთად, დიდი ქალაქისათვის დამახასიათებელმა სევდამაც იფეთქა. ნესტიან ბურუსში გახვეულ ქუჩებზე უკვე ველარ დაინახავდით მაღალი, თეთრი სახლების ზემო სართულებს, მარტო პატარა მაღაზიების... მიკეტილი კარები ჩანდა. აგრეთვე აბრა ერთი საწყალი ბებიაქალისა და სასტუმროსი, რომელშიც ვერლენი გარდაიცვალა, და სადაც ახლა მე, სულ ზემოთა სართულზე, ნომერი მქონდა დაჭერილი, აქ ვმუშაობდი.

ზემოთა სართულს ექვსი თუ რვასაქცევიათი კიბე ჰქონდა დატანებული, აქ საშინლად ციოდა, და მე ვიცოდი, რა ძვირიც დამიჯდებოდა ერთი გუდურა ფიჩხი... და წყლით გაჟღენთილი შეშის რამდენიმე ნაპობი, რითაც ოთახი უნდა გამეთბო. იმ წვიმაში ქუჩა გადავჭერი, იქითა მხარეს გადავედი და სახურავს გამოვხედე — რომელიმე საკვამური მილიდან კვამლი თუ ამოდის ან როგორ ამოდის-მეთქი. კვამლი არ ჩანდა. ალბათ, გაცივდა უკვე მილები, ცეცხლს ნევა აღარ ექნება, ოთახი კვამლით გამევესება, შეშა ტყუილუბრალოდ უნდა დაინვას და ამასთან ერთად ჩემი ფულიც ნავიდეს. მეც შევბრუნდი და წვიმიან ქუჩას გავუყევი, გავცდი ჰენრი მეოთხის ლიცეუმს... და სენმიშელის მოედანს მივადექი, სადაც დიდებული კაფე მეგულეობდა.

მშვენიერი კაფე იყო — მყუდრო, სუფთა და თბილი... რძიანი ყავა დაუკვეთე. ოფიციალტმა ყავა მომიტანა. პიჯაკის ჯიბიდან ბლოკნოტი და ფანქარი ამოვიღე და წერას შევუდექი“.

მგონია, ნათელია და ყველა დამეთანხმება, კაცს წერის ნიჭი თუ არ მომადლებია, სხვისი ბაძვით კაფეში წერა ისე ვერ გახდის ჰემინგუეისებურ მწერლად, როგორც აღრჩოლებულ ბუხართან ჩხირკედელაობით ვერვინ დადგება ვაჟა-ფშაველას ჯუფთი გენია.

კაფესა და ბუხარს კიდევ რა უშავს — როგორც ამბობენ, სერვანტესს თავისი უკვდავი ქმნილება ციხეში დაუნერია! მერე?! ნუთუ ილუზიებს აყოლილმა ვინმე დებიუტანტმა განზრახ უნდა ჩაიდინოს სისხლის სამართლის დანაშაული იმ მაცდური იმედით, რომ ათიოდე წლის შემდეგ ციხიდან მეორე „დონ კიხოტს“ გამოიტანს და მსოფლიოს უდიდეს მწერლად მოეცვლინება?!

მაშ, ჩვენც მოვეშვათ კაფეებს, ბუხრებსა და ციხეებს და ნაწარმოებს მივხედოთ.

მოთხრობა ძალიან ძნელად იკითხება, ვინაიდან თავიდან ბოლომდე გადატვირთულია მძიმე, ხშირ შემთხვევაში უაზრო და ალოგიკური, აბურდულ-დაბურდული, გრძელ-გრძელი წინადადებებით.

კუკა და კოკა ნავსადგურის ყომარბაზები არიან, ბაზი-ბაზი ან უბრალოდ, ბაზი, მათი შავი კატაა.

„კუკას გამოჯანმრთელების მოლოდინში კოკა და ბაზი ვინრო, ზამბარებიან ლოგინზე კოტრიალით და ფანჯარაში ყურებით კლავდნენ დროს. კოკას ზანტი, აუჩქარებელი მოძრაობების შემხედვარე ბაზი მიხვდა, რომ ისიც კოკას მოძრაობის სიჩქარეზე უნდა გადან-ყობილიყო, პორტიდან უკუსვლით გამავალი გემის ტემპი უნდა აელო, რადგან, სავარაუდოდ, დიდხანს მოუნევედათ ჭერგაყვითლებულ ოთახში ყოფნა და ამ პატარა სივრცეში საჭირო იყო არმოსანყენი საქმეების გამოძებნა, რაც ლოგინის ქვეშ ზამბარებზე თათების რტყმისგან გამონეული განელილი ბგერების სმენით და რაფაზე მზეს მიფიცხებით გამოიხატა. ბაზის არ ხიბლავდა იატაკზე და კედლებზე მრავლად მბობლავი მწერების ნვალეზა-განადგურება და მათგან ჭუჭყიანი ლაქების დატოვება, როგორებიც ხშირად რჩებოდა კოკას ფეხის დადგმის, ხანდახან დარტყმის ადგილზე“.

ნუთუ ყველაზე შეურიგებელ ოპონენტსაც კი ეყოფა გამბედაობა, განაცხადოს, რომ ეს მხატვრული თხრობაა და საერთოდ, შეიძლება ასე წერა?

ეს ვეებერთელა პასაჟი ჩამოჰგავს დიდვატიან ნათურას, რომელსაც სუსტი დენის წყარო — ამ შემთხვევაში რედაქციის მუშაკის გონება-გემოვნება! — არამცთუ ვერ ანათებს, კრიტიკის რენტგენზე რომ გაატაროს და საფუძვლიანად გამოიკვლიოს, არამედ ძაფებსაც კი ვერ უნითლებს და ამიტომ პირდაპირ ამ სახით ხვდება ჟურნალის ფურცლებზე!

ახლა ვნახოთ, კატა ბაზი რას და როგორ ხედავს.

„სივრცეების ცქერით გართულ კუკას და მის თეძოსთან ნამოგორებულ ბაზი-ბაზის არაკეთილხმოვნად ჩაესმოდათ ანძის ქვეშ მძინარე, თეთრ დაკონკილ იალქანში გახვეული კოკას ხვრინვა. ფერებით მინაბულმა ბაზიმ მისკენ გაიხედა და წყალში ჩავარდნილ ღრუბელს მიახმავს, რომელსაც ხედავდა ხოლმე შორს ზღვაში, ზღვა რომ შხამიანი მწვანე ხდებოდა, ისეთ ამინდში ღრუბელმა წყალში განოვა იცოდა, კოკასაგან განსხვავებით“.

რანაირი ნათქვამია — რომელ, სად „შორს ზღვაში?“ ანდა, „შორს ზღვაში“ ღრუბელი როგორ უნდა დაეინახოთ, მით უმეტეს, კატამ. ან ზღვა თუ მწვანე ფერს იღებს, ნუთუ ეს იმავდროულად იმასაც ნიშნავს, რომ უეჭველად „შხამიანი“ ხდება?! „ისეთ ამინდში“. — წერს ავტორი, მაგრამ ტექსტიდან არა ჩანს, როგორ, რანაირ „ისეთ“ ამინდში. რანაირად შეიძლება ზღვის ფერისა და ამინდის გაიგივება, თუკი ავტორი მართლაც აიგივებს, თუ არადა მით უარესი — მკითხველი სულმთლად იბნევა და ველარაფერი გაუგია. ან კიდევ „ღრუბელმა წყალში განოვა“ თუ იცის, იქ კოკა რა შუაშია? სად ღრუბლის წარმოქმნისა და დაშლა-გაქრობის, ანუ „განოვის“ პროცესი და სად ადამიანი, საერთოდ, მისი აგებულება!

ავტორი აქ ერთმანეთს რა პრინციპით, რის საფუძველზე ან რა საბუთით ადარებს ან განასხვავებს ჯერ საერთოდ, ღრუბელსა და ადამიანს და, მით უმეტეს, მათი „წყალში განოვის“ თვისებასა თუ პროცესს?

ეს არც მეტეოროლოგიაა, არც ჰიდროლოგია, არც ანატომია, არც ადამიანის ფსიქოლოგია, მით უმეტეს, არც მხატვრული პროზა — ეს არის დაუხვეწავი მხატვრული პირველსახეების ქალღმერთზე დაუფიქრებლად გადმოტანა!

კოკას ვილაც გოგო მოსწონს.

„არ ღირს გახსენება და ნერვების მოშლა, მაგრამ მოდი და ნუ გაიხსენებ, როდესაც დღეში რამდენიმეჯერ ხედავ ამ ქალს შენი ფანჯრიდან და მისი გემრიელად ვერშესწავლილი სხეული გიდგება თვალნი“.

„გემრიელად ვერშესწავლილი სხეული!“ — ეს არის მხატვრული პროზა? ნუთუ ქართულ ენას ამაზე ცოტა უკეთესი გამომხატველობის ილაჯი აღარ შესწევს?

„ცურვისას კარგად ფიქრობ. სწორი სუნთქვისას „სწორი“ ფიქრები იკვლევენ შენამდე გზას. სიზმრებიდანაც საჭირო ფრაგმენტები და სურნელები ტივტივდება, იფილტრება ათასი ხარახურიდან (უნდა იყოს ხარახურისგან. ჯ.მ.) და კარგი მოკარნახეა. ყველას ინდივიდუალური სუფლიორი ჰყავს. კოკას საკუთარი ჩურჩულიც ესმოდა“.

ზღვაში ცურვისას ადამიანი მართლა კარგად ფიქრობს თუ არა, ეს მაინც საკამათოა, ვინაიდან ბევრი მობანავის დახრჩობის მიზეზი სწორედ „არასწორი“ ფიქრისაგან მიღებული დამლუპველი გადაწყვეტილება ყოფილა! ასევე არასწორად მიმართა, სწორი სუნთქვა და „სწორი“ „ფიქრები“ ერთმანეთს ასე დაუფიქრებლად შეანყვილო და ჯვარი გადასწერო: მსოფლიო ლიტერატურამ, კინომ თუ სასამართლო პრაქტიკამ რამდენი კონტრაბანდისტი, პირატი, მძარცველი, განძის მძიებელი თუ მობანავე დამსვენებელზე მონადირე კაცისმკვლელი იცის, სწორად, თანაბრად და აუღელვებლად რომ სუნთქავენ, მაგრამ „სწორი“ კი არა, ამაზრზენი ფიქრები და ზრახვები ამოძრავებთ!

სიზმრის ფრაგმენტები გასაგებია, მაგრამ სიზმრის „სურნელები“ გადაჭარბებული ხომ არ არის, მით უმეტეს, პროზაში? თანაც ეს „საჭირო ფრაგმენტები და სურნელები“ თუ ჯერ „ათასი ხარახურიდან“ გასაფილტრია, მაშინ თავიდანვე როგორღა იქნებოდა „საჭირო?“ ან რანაირი აზრობრივი გადასვლა გამოდის უცებ ეს — „კარგი მოკარნახეა?“ ვინ არის კარგი მოკარნახე — ფრაგმენტები, ერთი რომელიმე ფრაგმენტი,

სურნელი თუ ყველაფერი — ფრაგმენტებიც და სურნელებიც? რა არის ან ეს ზოგადი, არავითარი ღირებულების მქონე აზრის გამომხატველი წინადადება, რომლის გამოც ავტორს მაინცდამაინც ვერ შეედავებით, მაგრამ ამავე დროს არც მკითხველს და არც მოთხრობას აძლევს რამეს. „ყველას ინდივიდუალური სუფლიორი ჰყავს“. დაბოლოს, მოულოდნელად — „კოკას საკუთარი ჩურჩულიც ესმოდა“.

ჩვენი ჩურჩული სხვასაც, სხვებსაც ესმით ხოლმე და ჩვენ თვითონაც რომ გვესმოდეს, რა არის ამაში დაუჯერებელი, გასაკვირი ან...

რა ვქნა, არ შეიძლება ასე ზერელედ, ალაღბედზე წერა და ჰა, თუგინდ მომკალით! პროზაული თხრობა-ქსოვა თავის ლოგიკურ-აზრობრივ და მხატვრულ თანამიმდევრობას მოითხოვს. ესა თუ ის ნებისმიერი წინადადება წინამდებარე წინადადებასა თუ წინადადებებში გატარებულ აზრს ლოგიკურად უნდა აგრძელებდეს და ლოგიკურადვე აგვირგვინებდეს, რათა ნაწარმოებს არასრულფასოვნების დამლა არ დაეკრას და შემდეგ წინადადებასა თუ აბზაცში შემოთავაზებულ ახალ აზრს მკითხველი უკვე წინაქითხით გამოწვეული უკმარისობის მტანჯველური განცდის გარეშე შეხვდეს.

მეტი თვალსაჩინოებისთვის, მოდი, ასეთი ცხოვრებისეული მაგალითი განვიხილოთ. ცხადია, ბევრს ექნება ნანახი მერცხლის ბუდე. შეიძლება ზოგიერთს მისი მოყვანილობა არც მოსწონდეს, მაგრამ ერთ რამეს ვერავინ დაუნუნებს — ნაგებია განსაცვიფრებელი სიმტკიცითა და მონოლითურობით!

მხატვრული ნაწარმოები და, მით უმეტეს, მცირე მოცულობის ნოველა თუ მოთხრობაც აზრობრივად ასე მტკიცედ და მონოლითურად უნდა იყოს შეკრულ-ნაშენები!

მერცხალი რით იშენებს ბუდეს? პანია ნისკარტით და ფეხებით მოტანილი და თავისივე წერწყვით დამბალი მიწისა და ჩალაბულისაგან! მწერალი, მწერლის „სამშენებლო“ მასალა რაღა არის? აზრი, წინადადებებსა და ფრაზებში გატარებული აზრი!

ახლა წარმოვიდგინოთ ასეთი აბსურდული რამ: მერცხალმა კედლის კუთხეში ჯერ დიდი მონდომებითა და სიფაქიზით დაიწყოს თავისი ბუდის შენება, მერე კი ნისკარტით მოტანილ

ტალახის ნამცეცებს სულ აქა-იქა, ბუდის სიახლოვეს უაზროდ დაუნყოს მიგლეს-მოგლესა!!!

როგორ ფიქრობთ, ასე მერცხალი ბუდეს აიშენებდა?

ლიტერატურაშიც იგივე შეიძლება მოხდეს და ხდება კიდევც, თანაც რამდენიც გნებავთ!

ყურნალს გადაშლით რომელიმე მხატვრულ ნაწარმოებზე და გარეგნულად ყველაფერი წესრიგშია: ავტორის გვარ-სახელი და ფოტო, ომახიანი ინტერვიუ, ნაწარმოების სათაური... სტამბურ-კომპიუტერულად ლაზათიანად ჩამოჭიმულ სწორ სვეტებში ერთმანეთს უნაკლოდ მისჯრიან თვალმახარა შრიფტით აწყობილი წინადადებები! მაგრამ აი, უბედურება: მძივებივით ანემსილ ამ წინადადებებში გატარებული ზერელე, ალაღბედა, მჩატიე, ბუნდოვანი თუ უსარგებლო აზრები ნაწარმოების ღერძულა დედაიდეიდან მოწყვეტით, სულ აქა-იქა, ერთმანეთისაგან გადაუბმელადაა მიგლესილ-მოგლესილი, რის გამოც ხელში შეგვრჩება არა მტკიცედ ნაგები, მონოლითური ბუდე-მოთხრობა, არამედ უხელოვნოდ მითხუპნილ-მოთხუპნილი სამშენებლო მოედანი და იქ აჩონჩხილი ფარლალა კარკასი!!!

„კუკა ნამყოფია ჩრდილოეთის კუნძულებზე. ერთ ვაჭარს გაჰყვა ბენვეულის ჩამოსატანად. იქაურობა თეთრი და მწვანე ფერის ლაქებად აგონდება და მუნჯი გოგოს, ევას, ამოტეხილ ყინულებში მოქცეული წყალივით მელნისფერი თვლების ფერად“.

მართლა ველარ გავრკვეულვარ, შეთქმულებაა უდანაშაულო მკითხველის მხატვრული გემოვნებისა და ფსიქიკის წინააღმდეგ, თუ რა ხდება: რას ნიშნავს ეს „და მუნჯი გოგოს, ევას, ამოტეხილ ყინულებში მოქცეული წყალივით მელნისფერი თვლების ფერად?“

ერთ ვრცელ აბზაცსაც მოვიყვან მთლიანად და ამით შევწყვეტ, თორემ ასე რომ მივყვე, თითქმის მთელი მოთხრობის გადმონერა მომიხდება (ორგან ნახმარი მრავალწრივი ავტორისეულია).

„მოაპობდა შემხვედრ ტალღებს კოკა, მოსმის შემდეგ გამოყოლილი აბლანდული, სხეულში უმისამარ-“

თოდ მიმოფანტული შეგრძნებების დაფასობას ცდი-
 ლობდა. ერთი იყო — დიდ გუნდად შენიღბულიყო,
 ტვინს ბურუსად მოსდებოდა და ცნობისმოყვარეობის
 უჯრედებს ეხახუნებოდა. ჯერ მისი სახელი ვერ დაე-
 კონკრეტებინა კოკას. ყველა ნასროლი ანკესი უმისამ-
 ართო აღმოჩნდა. წერილმანებს ვერ კიდებდა (უნდა
 იყოს ჰკიდებდა. ჯ.მ.) კაუჭს, უსხლტებოდნენ, არადა,
 ისინი არიან მთავრამდე მიმყვანები, ან თვითონ არიან
 მთავრები. დეტალებს, სწრაფად ცვალებად სურნელებს,
 (რა საჭიროა აქ მძიმე? ჯ.მ.) ერთ მთლიან უფორმო
 მასად აღიქვამდა. რამდენიმეჯერ შეტოპა, სცადა ამ
 რძისფერ მასაში შევარდნა, მსგავსად აღმოსავლური
 ცხენისა, რომელსაც მზის ჩასვლისას თავდამძიმებული
 კანაფის ყანაში შეაგდებენ საჭენაოდ, რათა მერე გაიო-
 ფლოს და აქაფებულს „პილცა“ ააფხიკოს ორთქლიანი
 ტყაყიდან (უნდა იყოს კანიდან. ჯ.მ.). ეს ნალებია ხოლ-
 მე... დაარტყა ცხვირში ნყალმა, სასუნთქი არხებიდან
 მოლეკულებად დაიფანტა ტვინის, გულ-მუცლის და
 სხეულის (თითქო ტვინი და გულ-მუცელიც სხეულის
 ნანილები არ იყოს! ჯ.მ.) უჯრედოვან ქსოვილებს შო-
 რის. თვლებიდან ცრემლები ნამოვიდა.... შენიღბულ
 გუნდაში დრო დაბუდებულიყო, მოკლეჰორიზონტიანი,
 წრიულბრუნვადი, ხელგაშვებული დაჭიმული „ეგუტი“.
 საიდან დაილექა მასში? კოკას დრო არ ადარდებდა.
 უნდა გრძნობდე, როდის რა გააკეთო, — მიაჩნდა მას.
 უკვირდა იმ ორი ხმამალლა მოკამათე კაცის, გუშინ
 რომ ნახა ხიდეზე შეჩერებული და ნერვიულად მოსაუ-
 ბრე (ეტყობა, მათგან ჩარჩა). ერთი ამბობდა, დრო
 ფულიაო, მეორე — ფული მომეცით, დრო ვიყიდოო.
 ან ისეთი ყოფნა რად გინდა, რომ „სწოტჩიკზე“ ჩართო,
 ამ უზომოდ განელილ დროში რისი გაკეთება ვერ უნდა
 მოასწრო, რომ დამატებითი ნუთები მოითხოვო?...“

ამ აბზაცმა და მის ყაიდაზევე აგებულმა მთელმა მოთხრო-
 ბამ ისე გამტანჯა, რომ უნებურად მომაგონა კინოქრონიკებ-
 ში ნანახი მეორე მსოფლიო ომამდე და ომის პერიოდში გერ-

მანულების მიერ დასავლეთის მთელ საზღვარზე საგანგებოდ აგებული რკინა-ბეტონის საფორტიფიკაციო თავდაცვითი ხაზი, ე. წ. ზიგფრიდის ზღუდე, რომელიც მერე მოკავშირეთა ჯარებმა რის ვაი-ვაგლახით გაარღვიეს.

სულ ამას გვარიგებდნენ, ჩვენც სულ ამას ვლაპარაკობთ, ირგვლივ სულ ეს გაისმის: მხატვრულ ნაწარმოებში თხრობა უნდა იყოს ძარღვიანი, გამართული, აზრიანი, სადა, ლაკონური, გადაბმული, ნათელი, ბუნებრივი, მხატვრული, დამაჯერებელი... მერე?

ამავე ჟურნალის 2005 წლის მე-5 ნომერში მწერალი ირაკლი ჯავახაძე ეხება რა თხრობის რიტმსა და საერთოდ, წერის ხელოვნებას, აი რას ამბობს.

„ჩვენში მომრავლდნენ ფსევდოინტელექტუალები, რომელთაც რთულად (უფრო კი გაუგებრად) წერა დაუსახავთ მიზნად და რაც უფრო ჩახლართულ ტექსტს შექმნიან, მით მეტად მოაქვთ თავი. ისინი ჰგვანან მათ, ვინც ამტკიცებს, რომ მოდერნისტი ან კუბისტი მხატვარია, ვაშლის დახატვა კი არ შეუძლია. ვისაც ჭკუა მოეკითხება, ყველამ კარგად იცის, ლიტერატურაში სისადავის მიღწევა ბევრად ძნელია, ვიდრე — სირთულისა“.

ძნელია ამას რამე დაამატოთ.

* * *

ახლა ზოგიერთ ენობრივ-სტილისტურ ნაკლს შევხვით.

ავტორი მეზღვაურებზე გვეუბნება, რომ „ყველას საკმაოდ გრძელპირიანი დანები უმძიმებდა ჯიბებს“.

როგორ დავიჯეროთ, რომ ყველა, ესე იგი, თითოეულ მეზღვაურს ყველა ჯიბე დანებით ექნებოდა გამოტენილი?! რატომღაც მგონია, რომ „ყველას საკმაოდ გრძელპირიანი დანა უმძიმებდა ჯიბეს“.

„ბაზი-ბაზი... აიბურძგლავდა (უნდა იყოს აიბურძგნიდა. ჯ. მ.) ტანზე ბენვს“.

რანაირი შიში და უნდობლობაა — კატა ან საერთოდ, ნები-სმიერი ცხოველი და მხეცი თუ ბენვს აიბურძენის, ისედაც ცხადია, ტანზე აიბურძენის, აბა, სხვაგან კიდეე სად შეიძლება აიბურძენოს, მით უმეტეს, როცა ავტორს მხედველობაში კატის სხეულის რომელიმე ნაწილი კი არა, მთლიანად ტანი აქვს ნა-გულისხმევი! მაშ, რალა საჭირო იყო ზედმეტი სიტყვით წინა-დადების დამძიმება?

„საღებავაყრილ, ძირგახეულ გემთან შეეხვდით ერთმანეთს“.

გემი ტომარაა თუ ცელოფნის სიფრიფანა პარკი — მწერალი ძირგახეულს რომ უწოდებს?!

„ბოლო-ბოლო მაინც მოიპოვა საკუთარი ადგილი“.

უნდა იყოს ბოლოს და ბოლოს.

„ის ბიჭი პორტში გადაყრია ყომარბაზებს“. უნდა იყოს გადაყრია.

„თოვლი ფომფლო და ფხვიერი იყო“.

ჯერ ერთი, უნდა იყოს ფომფლე და არა ფომფლო. თანაც თუ თოვლი „ფომფლო“ იყო, ფხვიერი როგორღა იქნებოდა?!

ფხვიერი — წერილი, ერთმანეთისგან დაუკავშირებელი ნაწილაკებისაგან შემდგარი.

ფომფლე — 1. მოშვებული, დაუჭიმავეი. 2. გადატ. დონდლე, დუნე (ადამიანი).

„სეტყვა იშვიათი ხილია ბუნებაში“.

სეტყვაც თუ ხილია, და!... თანაც იშვიათი?! ჰმ, ვითომ?! აბა, ახლა მინის მუშაკებს ჰკითხეთ! სეტყვა „იშვიათი ხილი“ რომ იყოს, სეტყვის სანინააღმდეგო საშუალებებზე ყოველწლიურად მილიონებს არ დახარჯავდნენ მსოფლიოში მევენახეობა-მელვინეობით განთქმული სახელმწიფოები!

„ანეტა რკინის სანოლის მოაჯირს მიეყრდნო ბეჭით“.

რალას არ წაიკითხავს კაცი! რკინის სანოლთან მოაჯირს რა უნდა?! რა არის მოაჯირი? კიბის, აივნის, ხიდის და მისთ. კიდეზე მოვლებული დაბალი ზღუდე.

ახალგაზრდა მწერალს, თანაც მამაკაცს თუ შეეშალა, მანდილოსნები? მანდილოსანს, როგორც ოჯახის ტრადიციულ დიასახლისს, მთელი სიცოცხლე სულ ლოგინებთან, თეთრეულთან,

ავეჯთან აქვს შეხება და ესეც ზმნის კატეგორია ან მსგავსი რამე ხომ არ არის — ეს მაინც აღარ იციან: რკინის სანოლს, საერთოდ, სანოლს ზურგი, საზურგე აქვს თუ მოაჯირი?

მოკლედ, არავინ არაფერს არ უკვირდება: რას წერს, რა მი-აქვს რედაქციაში, რას სთავაზობენ მკითხველს — უცოდინრობის, დილექტანტურობის, ზერელობის, დაუკვირვებლობის ტლანქი კონვეიერი შეუფერხებლად რახრახებს და მარგანეცის ნამსხვრევივით ახვავებს და ახვავებს ათასგვარ შეცდომათა ბორცვებს!

„საით მიმყავხარ, ღმერთო?!“ — ამ პათეტიკური წამოდახილით მთავრდება მოთხრობა.

ამის ნაკითხვამ შემაკრთო და შემაცბუნა: ვისაც მოეპრიანება, ღმერთს ასე თამამად რომ ჩაავლოს ხელი და თავის ქეიფზე ატაროს, რა გამოვა-მეთქი! მართლა დავიბენი, რადგან თავიდან ვერაფერს მივხვდი: პერსონაჟმა რა საბუთით ჩაავლო ღმერთს ხელი, ხოლო რაკი ჩაავლო, ის მაინც ხომ უნდა იცოდეს, რისთვის ჩაავლო და საით მიჰყავს?! თორემ გასაშტერებელი გარემოება იქმნება — პერსონაჟს სადღაც წასაყვანად ღმერთისთვის ხელი კი ჩაუვლია, მაგრამ აღარ იცის, ან აღარ ახსოვს თუ ვერ გადაუნყვეტია, საით წაიყვანოს და დაბნეული ისევ ღმერთს ეკითხება — ღმერთო, საით მიმყავხარო?

რა ქნას, რა უპასუხოს ხელჩავლებულმა ღმერთმა?!

ტვინის ჭყლეტა დიდხანს არ დამჭირდა: მოთხრობას კარგად რომ ჩაუუკვირდი, თან ისევ გამახსენდა, ჟურნალი ვის ხელშია ჩავარდნილი, უმალ თვალიც ამეხილა და შვებით ამომესუნთქა!

პერსონაჟს ღმერთისთვის ხელი კი არ ჩაუვლია, არამედ პანია ოიდიპოსუკასავით ცდილობს გაერკვეს თავის ბედ-იღბალში და სურს, ღმერთს შესაშური მოკრძალება-მოწინებით შელადადოს — საით მიგყავს ჩემი თავიო! მაგრამ იღბალი არ გინდათ — ავტორსაც და რედაქციის მესვეურებსაც ზმნის უღვლილება შემლიათ. ამიტომ უნდა იყოს არა „საით მიმყავხარ, ღმერთო?!“, არამედ „საით მიგყავარ, ღმერთო?!“ და მაშინ ყველაფერი თავის ადგილას დგება!

თუმცა შეიძლება მე თვითონ მეშლება და ყველაფერი ავურდავურიე. მაშინ ჟურნალის მთავარ რედაქტორს ვთხოვ, გა-

მარკვიოს, ვის ვინ მიჰყავს: პერსონაჟს ღმერთი თუ ღმერთს პერსონაჟი?

* * *

2005 წლის მე-4 ნომერში კვლავ დაიბეჭდა ჟურნალის რედაქციის მიერ შეკვეთილი მწერალ რეზო თაბუკაშვილის ექვსფურცლიანი მოთხრობა „არასაფრენი დღეები“.

ავტორის თხრობის მანერასა და სტილში მე რაიმე სასიკეთო ცვლილება ვერ შევნიშნე: ისევ ის წელან ნახსენები ე. წ. ზიგფრიდის ზღუდე, ისევ იმ ბუნდოვან წინადადებათა ჯუნგლები, სადაც პირველი თაობის ესპანელი კონკისტადორივით ბასრი იარაღითა და ტანჯვა-წვალებით უნდა გაიკვლიოთ გზა.

ქართველი მიხო რომელიდაც უცხო, სამოქალაქო ომგადატანნილ ქვეყანაში ჩადის მწერალთა შეკრებაზე მონაწილეობის მისაღებად.

„დღეს დილით, სანამ ბულვარზე მოვიდოდა ძაღლის საყურებლად, ერთ პატარა, ახალგაღვიძებულ ბარში მოარტყა ასი გრამი. იქვე, მაგიდასთან ორი ქალი ყავას სვამდა. მისი შეკვეთის შემდეგ უნდობლად გახედეს, მათ თვლებში მიხოს მიერ ჩადენილი და ჯერ ჩაუდენელი დანაშაულებების განკითხვა იყო. სწორედ ასეთი მზერებისაგან, მსუქანი თუ გამხდარი ქალებისა და კაცების მიერ გამოხშირული უარყოფითი ენერჯისაგან თავდასაცავად სვამდა ხოლმე მიხო დილით ას გრამს. დეზინფექციას იკეთებდა, დამცველ ფარს აძლიერებდა (ისე, სვამდა არა მხოლოდ დილით და არა მარტო ამ მიზეზით). ბარიდან გამოსვლისას, კართან მდგარ სტენდზე არეულად მილაგებული ჟურნალ-გაზეთების ჭრელ გარეკანებზე აღბეჭდილ, მრავალ მკერდმოშიშვლებულ, სპორტულ ჯანმრთელად გაბადრულ თუ პოლიტიკურად მედგარ ფოტოებს შორის, შავ-თეთრად გამოასხივა პატარა პორტრეტმა, გასაოცრად ნაცნობმა და ძნელად გასახსენებელმა“.

ავტორმა თითქმის ას სიტყვამდე დახარჯა, მაგრამ რისთვის, რა გვითხრა — აბსოლუტური წყლის ნაყვა!

მიხოს მასპინძლები არც აეროპორტში დახვდებიან და ომით აწვნილ-დაწვნილ უცხო ქალაქში ვერც თვითონ მიუგნია იმ ორგანიზაციისთვის, სადაც უნდა გამოცხადდეს. ამიტომ დრო ბევრი აქვს და იძულებულია, იყილოს. მის ყურადღებას კარგად მოვლილი და განვრთნილი აქაური ოჯახის ძაღლები იქცევენ.

„რაებს არქმევენ ამ ძაღლებს! დაკარგვის შემდეგ ადვილად რომ იპოვონ, იქვე მისამართიც მინიშნებულია მზრუნველად წინდახედული პატრონების, რომლებიც ალბათ ლოგინში იწვენენ, ლამის ძილისპირულს უმღერიან, უჯიშო ძაღლებთან უკრძალავენ შეჯვარებას, სტუმრად მოსული, სავსე აბაზანაში მისი დახრჩობის მსურველი ცელქი ბავშვის მშობლებს სამუდამოდ კარგავენ“.

როგორ მაკვირვებს და მაინტერესებს: ნუთუ ავტორს არა აქვს შინაგანი პროფესიული მოთხოვნილება, რომ თავისი მოთხოვნილების ყოველი წინადადება იყოს ლაკონური, ტევადი, ნათელი? რა არის ეს „მზრუნველად წინდახედული“ ან პატრონმა თავად თუ არ მოარიდა, პირუტყვს როგორ უნდა აუკრძალოს უჯიშო მოძმებთან შეჯვარება? ანდა, რას ნიშნავს სიტყვების ეს უეცარი კუდბანარა „სტუმრად მოსული, სავსე აბაზანაში მისი დახრჩობის მსურველი ცელქი ბავშვის მშობლებს სამუდამოდ კარგავენ?“

სასტუმროს მეპატრონემ თუ ადმინისტრატორმა, ხოსემ, რომელიც ამავე დროს ბარმენიც ყოფილა, ცოტა არ იყოს, გულგრილად მიიღო ეს ჩვენი მიხო. მიხო სასტუმროს მოკრძალებულ ნომერში მოეწყო და ძილის წინ ამ ხოსეს მეტი საფიქრალი სხვა აღარა აქვს რა (ყველა მრავალწერილი ავტორისეულია, სტილი დაცულია).

„ეს სასაცილო გარეგნობის მქონე ხოსეც, რომლის ცხვირი ერთ-ერთ რთულ ულელტეხილს წარმოადგენს პატარა კაცუნებისთვის... მიკროსკოპული ზომის ალპინისტების „ჩაბმა“ მძინარე ხოსეს ცხვირზე... (ნელ-ნელა ეძინება). ჰოდა, ეს ხოსეც აგზავნის ალბათ სიგნალებს თავისი არამყუდრო რესეპშენის გარეთ,

შეიძლება ყველანაირი იმედის გარეშე, რომ მისი ამო-
სუნთქვა ადრესატს იპოვის, მაგრამ თავისას არ იშლის,
ვერ იშლის, ჰე, ის არის, ის ცოცხალია, არსებობს, ეს
ყველამ არ უნდა გაიგოს (არ არის აუცილებელი), მა-
გრამ ვილაცამდე უნდა მიაღწიოს ამ ამბავმა, იმ ვი-
ლაცამდე, ვინც ამ ფაქტის მნიშვნელობას ბოლომდე
აღიქვამს, სულაც კოსმოსში რომ მოიძებნებოდეს...
ხოსე კოსმონავტის სკაფანდრში ... (მთვლემარეს ეცინე-
ბა). ხოსე კოსმონავტის სკაფანდრში უნდა შეტენონ
და კაცობრიობის გადასარჩენად, მისი სურვილის
სანიშნააღმდეგოდ, კოსმოსში გაუშვან. მაგრად იშუბ-
ურებს... ღია კოსმოსში მცურავი ხოსეს შემოღობილი და
მონყენილი თვალები სკაფანდრის მინაში, პლანეტა
დედამიწის მაღლიერი მოსახლეობა ცრემლმომდგარი
მზერით იყურება ზევით, იქით, სადაც ხოსე ეული
გაუშვეს... უსასრულო სიბნელეში თანდათან მიმალუ-
ლი თეთრკომბინეზონიანი შავი ხოსე... ის იპოვის ხოს-
ეების პლანეტას... (ჩაეძინა)".

მთელ ამ თავშესაწყენ გრაფომანულ აბდაუბდასაც რომ თავი
დავანებოთ, მარტო ერთი ეს ვიკითხოთ — ამქვეყნად ერთ-
ერთი ყველაზე ჰუმანური პროფესიის წარმომადგენელი, მწერა-
ლი კაცი, მით უმეტეს, ორასწლოვანი კოლონიური ჩაგვრისაგან
ახალთავდახსნილი ერთი მუჭა ერის შვილი, თანაც, სამოქალაქო
ომით გაუბედურებულ უცხო ქვეყანაში მწერალთა შეკრებაზე
საგანგებოდ მიწვეული, რატომ ნეტარებს ასეთი უსასტიკესი
ძალადობის აშკარა პროპაგანდით:

„ხოსე კოსმონავტის სკაფანდრში უნდა შეტენონ და კაცო-
ბრიობის გადასარჩენად, მისი სურვილის სანიშნააღმდეგოდ,
კოსმოსში გაუშვან“.

რატომ, რისთვის? ისეთი რა დააშავა ამ სანყალმა ემიგრანტმა
ხოსემ? წარმოგიდგენიათ მეტი სადიზმი?! მაგრამ არ აღელდეთ,
პატივცემულო მკითხველო, რადგან სადისტი არც ჩვენი ავტო-
რია და არც მისი პერსონაჟი: მწერალი ჯერ საფუძვლიანად არ
ყოფილა მზად ამ მოთხრობის დასაწერად და გარკვეული რა-
ოდენობის ფურცლები რომ მოუგროვდეს, უბრალოდ ღობე-ყორ-

ეს ედება და რაც უცებ მოაფიქრდება, ყველაფერი მწერლური მარტენის ლუმელში გადაუდნობლად ქალაღზე გადმოაქვს!

ეს პირდაპირ შუბლზე აწერია მოთხრობას. განსაკუთრებით დასაწყისს. იმის მაგიერ, უცხო ქვეყანაში მოხვედრილმა მიხომ თავისი მწერლური თვალთ რამე განსხვავებული, საინტერესო და ღირებული დაინახოს და გაგვიზიაროს, თავიდან სულ ამ თავისი სასტუმროს კაფეში თვითმიზნურ ტრიალსა და სმას უნდება, თითქო ეს იყოს მთავარი და აუცილებელი. თანაც უბრალოდ კი არა, სულ ჰემინგუეის სტილში!

„დღეს დილით, სანამ ბულვარზე მოვიდოდა ძაღლის საყურებლად, ერთ პატარა, ახალგაღვიძებულ ბარში მოარტყა ასი გრამი“...

„მერე რა, რომ მსხვილ ხესთან ზურგით ჩამჯდარი ბოთლიდან სვამს ლუდს“...

„კაფეში მაგიდები ცარიელი იყო. მიხო... მიუჯდა მაგიდას და სოუსიანი შემწვარი და თხლად დაჭრილი ღორის ხორცი და კათხა ლუდი შეუკვეთა ხოსეს“....

„— ხოსე, ვისკი დამისხი, უყინულოდ, (აქ მძიმე კი არა, ძახილის ნიშანი უნდოდა. ჯ.მ.)!— გასძახა მიხომ.“

„გაარკვიე რამე? — ჰკითხა ხოსემ და ჭიქა მაგიდაზე დაუდგა...“

„სასიამოვნოა ხოსეს ბარის დიდი მინებიდან ქუჩაში მოსიარულე ადამიანებისთვის თვალის დევნება... მიხომ კიდევ ჩაარტყა რამდენიმე ჭიქა. ცოტა შეთვრება (თუ შეთვრა? ჯ.მ.). დახლთან მისული (აქ მძიმე უნდოდა, ანდა სხვანაირად უნდა აეგო წინადადება. ჯ.მ.), სატრი-ალეზელ სკაზმე ჩამოჯდა.“

— ბოთლი გამატანე, რაც დარჩა (როგორ მოგწონთ წინადადების კონსტრუქცია და აზრი? ჯ.მ.)— უთხრა ხოსეს“.

„მიხომ ნახევრად ჩაცლილ ბოთლს ხელი დაავლო და ფული დახლზე დადო“.

ამ წინადადებაში რა ხელი აქვს სიტყვას „ჩაცლილი?“ აი, რას ნიშნავს ჩაცლილი — რაც ჩაცალეს ან ჩაიცალა, — მთლიანად ჩასხმული, ჩაყრილი.

ეტყობა, მოჩქარე ავტორს აღარ გაახსენდა, ანდა შესაძლოა, არც იცოდეს, რომ მშობლიურ ენაში არის ამგვარი სიტყვები: დანაკლულებული, ჩანაკლულებული, ჩანახევრებული, განახვერებული...

„ნომერში შესული საწოლზე ჩამოჯდა... ვისკის ბოთლიდან სვამდა. დამატებულ სასმელთან ერთად სიმსუბუქე სადღაც გაიფანტა... ვისკის სმას ხმამაღალი მონოლოგები და წამღერებები მოაყოლა“.

მოკლედ, ნალველგასივებული მკითხველი იძულებულია, იჯდეს და მიხოს ამ მანერულ, არაფრის მომცემ და არაფერთან დაკავშირებულ, უმიზნო ვისკობანას უცქიროს, მაშინ როცა, სიუჟეტისა და ფსიქოლოგიური ატმოსფერო-გარემოების მიხედვით, ეს ყველაფერი მოთხრობის მიღმა უნდა დარჩენილიყო! თუმცა ვერც გაამტყუნებთ მიხოს, ვინაიდან ორგანიზაცია, რომელმაც მწერალთა შეკრებაზე მიიწვია, ვერა და ვერ უპოვია და უქმად ჯდომას ვისკის ყლურნვა არ ჯობია?! ჰოდა, მიხომაც რაღა ქნას — რასაც ავტორი დაავალებს, იმანაც ის უნდა იჩხირკედელაოს! ისე, ჩვენ შორის კი დარჩეს და, მწერალთა შეკრება რაღაც იაფფასიან ბლესს ჩამოჰგავს — ავტორს ის რომ არ გამოეგონებინა, აბა, ისე ვისკის სმის ხელოვნება და მანერები სად უნდა ეჩვენებინა?! კი მაგრამ, თბილისის ბაზრებში, მარკეტებსა და ბარ-რესტორნებში ვისკის მეტი რა იყიდება — ეს მიხო დაესვა სადმე და რამდენიც უნდა... ჰო, მაგრამ უცხოეთში სმას და იქაურ კაფე-ბარებს სულ სხვა მხატვრულობა ახლავს: ჯერ მარტო ბარმენის სახელი რად ღირს — ხოსე!!!

სხვათა შორის, არ დამავინწყდეს და, უცხო ქვეყანაში მწერალთა შეკრებაზე ჩასული ეს ჩვენი მიხო ერთ რამეში ტყუპის ცალივითა ჰგავს აკა მორჩილაძის პერსონაჟს. გახსოვთ, ვაშინგტონში გამართული პოეტების ორკვირიანი შეკრებიდან შინისაკენ მომავალი ვახტანგ მარგველაშვილი, ამსტერდამის საერთაშორისო აეროპორტში თამამად რომ გაგვანდო იქ შემ-

თხვევით გადაყრილი, მეუღლის დაქალის, ინგლისელ მისტერ კრისტოფზე გათხოვილი ქ-ნ ეკოტერინოსადმი თავისი ნუხილი და ვნებები?!

მაშ, რაკი მსგავსება-შედარებაზე მიგვივარდა საქმე, მოდი, ბარემ ჩვენს ახალგაზრდა მიხოს სააეროპორტო ვნებებსაც გავეცნოთ — მწამს, ბევრი მამაკაცი სულ ტუჩების მსუნაგური ლოკვით მოისმენს და უთანაგრძნობს! ის კი არა, იქნებ გაკიცხონ კიდევ უნიციატისთვის, მოუაზრებლობისა თუ გაუბედაობისთვის!

უცხო ქვეყანაში ახალჩაფრენილ მიხოს პასპორტს აეროპორტის თანამშრომელი ქალი ამოწმებს.

„გოგო ჯიხურიდან გამოვიდა და მიხოს პასპორტით ხელში უკანა კარისკენ დაიძრა. უნიფორმის მოკლე კაბაში ვნებისამღძვრელად გამოიყურებოდა მისი მკვრივი, გრძელი ბარძაყები და სიარულისას (ეს სიტყვა სულ ზედმეტია, ვინაიდან ზევით უკვე გვითხრა „გამოვიდა“, „დაიძრა“. ჯ.მ.) კობტად მოძრავი ტაკო. გაჟიმავედა კაცი, ბრაზიანად, როგორც პოლიციელ (უნიფორმიან) ქალს შეეფერება“.

აი, ასეთია მოთხრობის დასაწყისიც და უცხოეთში მწერალთა შეკრებაზე ჩასული ახალგაზრდა ვერთე... მაპატიეთ, მიხოს პირველი ვნებანი.

გამოხდა ხანი, ვახტანგ მარგველაშვილის არ იყოს, ამ მიხოსაც გაუთავდება უცხოეთში ყიალის ყავლი და შინისაკენ უნდა გამოსწიოს.

აი, როგორ თავდება მოთხრობა.

თვითმფრინავის მგზავრების რიგში ჩამდგარი ბარგიანი მიხონელ-ნელა მიინევს იმ საოცნებო „საპასპორტო ჯიხურისაკენ, სადაც თეთრთმიანი, მკაცრი იერის მქონე, უნიფორმის მოკლე კაბაში გამონწყობილი გოგო იჯდა.

გაჟიმავედა კაცი...“

ახლა კი უკვე გვიანია, მაგრამ მაინც შევუძახებ მიხოს, რადგან შეიძლება უცხოეთში კიდევ მოუხდეს მწერალთა შეკრებაზე წასვლა და ეს ჩემი რჩევა, ვინ იცის, იქნებ გამოადგეს. შე

კაი კაცო, რა იყო იმდენი თვითგვემა, ჯენტლმენობა და შორით კრთომა: იმ უნიფორმიანი ქალისთვის გაგემხილა შენი ხვაშია-დი, გეთქვა, რუსთაველისა და სტალინის სამშობლოდან რომ იყავი, თან ახალგაზრდა მწერალი და უარს როგორ გეტყოდა — გამოფრენამდე სადმე მოფარებულში უცხად გაგეჟიმინებოდა და შენც აღარ მოგიწევდა ამდენი კბილების კრაჭუნი და ნერწვის ყლაპვა!...

მოკლედ, ერთი ვახტანგ მარგველაშვილი იყო პოეტთა თავყრილობაზე და ეს მიხო კიდევ — მწერალთა შეკრებაზე!!!

* * *

„მარტოხელა ჯო ბერგერს, ოთხივე ოკეანისა და თითქმის ყველა ზღვის ტალღებისაგან და ქარებისაგან კანგაუხეშებულ მოხეტიალე მეზღვაურს, ციხიდან გამოშქცევს და პატარა ქალაქის პატარა დუქანში, გადაბრუნებული სიტყვისთვის ატეხილი ჩხუბის დროს კაცის მკვლელს, ყოფილი ქალების იშვიათად გამხსენებელს და დუქნებისა და ბარების მოყვარულს, რადგან იქ მას უვლიან, ჯოს, რომელიც უკვე რამდენი ხანია, მგელივით დანანნალებს სხვადასხვა მხარეში მიუსაფარი და რომლის გემმაც დაიწყო ჟონვა“.

მეტი ჩარა არა მაქვს, მეც აქ უნდა შეენწყვიტო ამხელა უაზრო პასაჟების მოყვანა, სანამ მკითხველის მოთმინებამაც ჯო ბერგერის გემივით არ „დაიწყო ჟონვა“ და ისევ ენობრივ-სტილისტურ შეცდომებს მივუბრუნდე. თუმცა ჯო ბერგერის გემს მაინც ვერ მივატოვებ ენის უცოდინარი ავტორისა და რედაქციის მანდილოსანთა ანაბარას, თორემ შეიძლება მართლა ჩაიძიროს.

„... გემმაც დაიწყო ჟონვა“. — გულდამშვიდებით ამბობს ავტორი და რედაქციის ყველა მუშაკამაც თავის კანტურით ისე დაუდასტურა, რომ ეჭვიც არავინ შეიტანა მისი ნათქვამის სისწორეში. მაგრამ როგორც ქვეტექსტიდან ჩანს, ჯო ბერგერის გემმა ჟონვა კი არ დაიწყო, არამედ შეჟონვა დაეწყო.

გადაეფურცლოთ ლექსიკონი.

რა არის უონვა? წვეთ-წვეთად გამოჰტანება, გამოსვლა (სითხისა).

რა არის შეუონვა? უონვით, ნელ-ნელა შესვლა, შედენა (სითხისა).

ახლა, ალბათ, ოპონენტებიც მიხვდებიან, რომ ჯო ბერგერის გემიდან რამე სითხეს კი არ დაუნყია გარეთ გამოუონვა ანუ „უონვა“, არამედ პირიქით: ჯო ბერგერის ბზარგაჩენილ გემსათუ ცხოვრების გემში გარედან შიგნით ზღვის წყალს ანუ მისი სიცოცხლის მოახლოებულ დასასრულს დასწყება შეუონვა.

„ბავშვი ხმამაღლა მოთქვამდა“. უნდა იყოს მოსთქვამდა.

„არ მოსწონდა გაუთავებელი წრეების რტყმა“.

კარუსელზე მჯდომ, ატირებულ ბავშვს წრეების რტყმა კი არა, წრეების დარტყმა არ მოეწონებოდა და ამაში ვერ გარკვეულა ვერც ავტორი, ვერც ჟურნალის რედაქცია.

რტყმა არის სახელი არტყამს, ურტყამს ზმნათა მოქმედებისა — სწრაფი მოქნევით კერა, ცემა, დარტყმა.

დარტყმა არის სახელი დაარტყამს ზმნის მოქმედებისა.

ჩაეხედოთ ლექსიკონს.

წრეს დაარტყამს — საუბ. წრეს შეკრავს, წრეს გააკეთებს (სიარულით, ფრენით).

მოკლედ, წინადადება ასე უნდა აგებულიყო ან ჩასწორებულიყო.

„არ მოსწონდა გაუთავებელი წრეების დარტყმა“.

მიხო უცხო ქვეყანაში ჩაფრინდება.

„აეროპორტში ჩამოფრენილს უკან ნისლი მოჰყვა“.

ჯერ წინადადებას დააკვირდით, რანაირია — მეორე სიტყვასთან მძიმე მაინც დაესვა! კი მაგრამ ეს ნისლი საიდან მოჰყვა — თბილისიდან, საქართველოდან თუ თვითმფრინავის ფრენის სიმაღლიდან?! მიხოს აეროპორტში ნისლი საიდანმე კი არ მოჰყვებოდა, არამედ უბრალოდ, ადგილზევე დახვდებოდა, მას კი რატომღაც ჰგონია, რომ საიდანღაც მოჰყვა.

„თვითმფრინავები აღარ ფრინდებოდნენ და ნითელი ნათურების ციმციმით მოუხერხებლად დაბორილ-

ობდნენ (უნდა იყოს დაბორიალებდნენ. ჯ.მ.) ასაფრენ ბილიკებზე”.

რა ბავშვური განცხადებაა — „თვითმფრინავები აღარ ფრინდებოდნენ“. როცა თავისი დრო და განრიგი დაუდგებოდათ, აფრინდებოდნენ, აბა, რას იზამდნენ?! არადა, კოკრიჭამია მწერები ხომ არ იყვნენ, თავიანთ ქეიფზე წარამარა ქაოტურად ეფრინათ?! და კიდევ: აეროპორტის ასაფრენ ბილიკებზე თვითმფრინავები მოუხერხებლად კი არ დაბორიალებენ, არამედ თითოეული მათგანი მკაცრად მონიშნულ საკუთარ მარშრუტს ზუსტად მიუყვება. ღმერთმა ნუ ქნას, თვითმფრინავებმა ასაფრენ ბილიკებზე „მოუხერხებლად“ იბორიალონ — აბა, მაშინ გენახათ შეჯახებები და ავარიები!

„ჯერ მაინც არ ცლიდნენ სახლს, უმისამართოდ გამოშვებული ტრასირი ტყვიისაგან გაჩენილი ხანძრის თავიდან ასაცილებლად“.

ჯერ ერთი, „ტრასირი“ რუსულია, ქართულად არის მგეზველი.

მეორეც, შინ უკვე გაჩენილი ხანძრის თავიდან ასაცილებლად კი არ რჩებიან, არამედ პირიქით, ხანძარი რომ არ გააჩინოს მგეზველმა ტყვიამ. ამიტომ უნდა იყოს: „უმისამართოდ გამოშვებული მგეზველი ტყვიისაგან ხანძრის გაჩენის თავიდან ასაცილებლად“.

ავტორი გვაცნობს ძალღს, ოღონდ ჩვეულებრივს კი არა, რაღაც განსაკუთრებულს. მოუსმინეთ:

„მონესრიგებული ხასიათით, ნვრილი ცხვირით, ყელზე შებმული ნითელი ყელსაბამით“.

აქაც ისევ რომელიმე გრამატიკული კატეგორია ან გადახლართულ-გადმოხლართული, ტვინის დამბინდავი გრძელი პასაჟი ხომ არ არის, არა?! ჯერ გამოუცდელმა, დასაღვინებელმა კალმოსანმა ქალთა ოდინდელი და განუყრელი, თანაც ერთ-ერთი ყველაზე ინტიმური სამკაული, ყელსაბამი — საუკუნეთა მანძილზე, ვინ იცის, რამდენი მამაკაცის ცხელი სუნთქვის, ვნებიანი ამბორისა და წრფელი ჩურჩულის მონმე-მონანილე რომ ყო-

ფილა! — უნებურად ძაღლს შეაბა და ეს რედაქციის არც ერთ მანდილოსანს არ ეჩოთირა, ვერც ერთი მათგანი ვერ მიხვდა ამ სახამუშო შეცდომას, რომ კეთილშობილურ-მიმტევებლური ღიმილით ჩაესწორებინა ახალგაზრდა მწერლისთვის!

რა გაენყობა, ამ შავ სამუშაოსაც მე შევასრულებ, ოღონდ ძაღლის კისერზე ნაბამ იმ „წითელ“ სამკაულს ვერც ერთ მანდილოსანს ველარ შევკადრებ! ამიტომ გრძელი პინცეტით სანაგვე ურნაში ჩავაგდებ, ძაღლს კი ისევ იმას შევებამ, რაც უნდა ებას — საყელო!

ყმანვილებს, რაკი ბუნების ნებით ადრე თუ გვიან ვერ აიცდენენ მანდილოსნებს, მათთან საუბარში, მიმონერისას თუ ახლო ურთიერთობაში საბედისწერო შეცდომით თავი რომ არ შეირცხვინონ, ვთხოვ, თუკი ამის სურვილი ექნებათ, ჩაინერონ უბის ნიგნაკში.

ყელსაბამი — ქალის ყელზე შესაბამელი სამკაული.

საყელო — (მნიშვნელობა მესამე) თასმა, რომელსაც კისერზე უკეთებენ ცხოველს.

მიხო ბულვარში ხის ძირას მამაპაპურად მიმჯდარა და ლუდს პირდაპირ ბოთლიდან ყლურნავს. ორი პოლიციელი შეათვალიერებს და უხმოდ ჩაივლიან. მიხოს ნესრიგის დამცველთა შემოხედვაც კი აღიზიანებს.

„რა მაგათი ჯანიანი, ფერდზე პისტოლეტგადაკიდებული ყვერების საქმეა“.

სიტყვა „ყვერი“ ლეჩხუმურ დიალექტზე ბრგე, დიდ, ახოვანს ნიშნავს.

ავტორს კი ისე გამოსდის, თითქო თვით პოლიციელებს კი არ გულისხმობდეს, არამედ ვილაც, სულ სხვა ბრგე ადამიანებს, რომლებიც პოლიციელების განკარგულებაში იმყოფებიან. არადა, ავტორი ლამობს, თვით ჯანიან პოლიციელებს უწოდოს „ყვერები“.

რაკი ასე სურდა, მაშინ უნდა ეხმარა არა ჩვენებითი ნაცვალსახელის მრავლობითი „მაგათი“, არამედ „მაგ“, რომელიც გამოიყენება მსაზღვრელად ეგ-ნაცვალსახელის ყველა ბრუნვაში, გარდა სახელობითისა.

„რა მაგ ჯანიანი, ფერდზე პისტოლეტგადაკიდებული ქვერების საქმეა“.

ეს ერთი და მეორეც: რას ნიშნავს ეს ფანტასტიკური „ფერდზე პისტოლეტგადაკიდებული?“ ეტყობა, როგორც თვით ავტორმა, ისე რედაქციის წევრებმა არ იციან ადამიანის აგებულების ამა თუ იმ ნაწილის ზუსტი მდებარეობა და მათი ტრადიციული, პრაქტიკული გამოყენება. კაცმა შეიძლება მხარზე რამე შეიღგას, დაიდგას, შეიგდოს, გაიდოს, დაიკიდოს, ჩამოიკიდოს, გადაიკიდოს ან ზურგზე მოიკიდოს, მოიგდოს, მაგრამ ფერდზე?! ფერდზე პოლიციელის პისტოლეტს რა უნდა და ისიც გადაკიდებულს?! სად — ფერდი, სად — პოლიციელის პისტოლეტი!!!

ლექსიკონო, მოისხი მაღლი და გვითხარი, რა არის ფერდი: ადამიანის ან ცხოველის სხეულის ნაწილი — (მარჯვენა ან მარცხენა მხარე) ნეკნებიდან თეძომდე.

მგონი, ახლა მაინც ნათელია. ოფიციალური სამსახურისას ტყავისბუდიანი პისტოლეტი ჰკიდიათ ხოლმე წელზე, თეძოზე და არა ფერდზე.

„ფოთლებში იწვა და ხვანცალებდა“. „ვერ იძინებდა, ახვანცალდა“.

სიტყვა „ახვანცალდა“ საერთოდ არ არსებობს, ხოლო ხვანცალი, ხვანცალებს კუთხურია, თანაც უნდა იყოს „ხვანცალობდა“ და არა „ხვანცალებდა“.

„დაუძახეს უკნიდან“. „ბრაგაბრუგი ისმოდა უკნიდან“. უნდა იყოს უკანიდან.

„ვინი... ქუსლებზე აბიჯებდა წინ მდგომებს“.

თუკი ადამიანი ფეხზე, ესე იგი, თავის ქუსლებზე დგას, თანაც ფეხსაცმლიანი, მაშინ მას მეორე ადამიანმა როგორ, რანაირადღა უნდა დააბიჯოს ქუსლებზე?

ავტორი ქალაქის ქუჩებში მიმდინარე აჯანყებული ხალხისა და მთავრობის შეიარებული ჯარის სისხლიან შეტაკებას აღწერს.

„ამ დროს გავარდა ბახ-ბახ-ბახ, (აქ ძახილის ნიშანი უნდოდა. ჯ.მ.)! მერე ტრახ-ტრახ-ტრახ. (აქაც ძახილის ნიშანია საჭირო. ჯ.მ.)! ხალხმა გაქცევა დაიწყო. ვინის მტკივნეულად დააბიჯეს ფეხზე. უნდა წამოდგეს როგორმე, თორემ გადათელავენ. ახალგაზრდა კაცი დაეცა შორიანხლოს, ტყვია ზურგში ჰქონდა მოხვედრილი. ხალხს ესერიან, ის ახვრები. (აქ ძახილის ნიშანი უნდოდა. ჯ.მ.)! ვინის ცხოველური შიშისაგან ძალა მოემატა, ფეხზე წამოხტა და ხალხთან ერთად გაიქცა. ისევ ისროდნენ. გზადაგზა ადამიანები ნაიფორხილებდნენ ხოლმე, ვარდებოდნენ. ზოგი დგებოდა... ძნელია გაგიყვებული ხალხის ნაკადის ცერად გადაჭრა. ავტომატების ხმა ხანდახან ხმაურში იკარგებოდა“.

და უცებ ამას მოსდევს ასეთი პასაჟი.

„ორი ქუჩის შემდეგ ამოისუნთქა. გადარჩა. აქეთ აღარ ისროდნენ. ტროტუარზე დანოლილ დაჭრილებს ექიმები ან უბრალო ადამიანები უვლიდნენ“.

აქ ავტორი ისე ანგარიშმიუცემლად ხმარობს სიტყვას „დანოლილი“, თითქო ავტომატების ჯერით მოცელილ, აქა-იქ დაცვენილ ცოცხალ-მკვდარ დაჭრილებზე კი არა, პლაჟზე ნებივრად „დანოლილ“ მოაგარაკებებზე გვემასლაათებოდეს! ეს სრულიად ალაღბედზე წამოსროლილი მაცალკეებელი კავშირი „ან“ ხომ ყველაფერს წყალში ყრის: რას ნიშნავს „ექიმები ან უბრალო ადამიანები?“ აქ „და“ ან „თუ“ მაინც რომ ეხმარა, საგრძნობლად შერბილდებოდა თხრობის აბსურდულობა, ხოლო ბოლო სიტყვა „უვლიდნენ“ ასეთი რიხით აღწერილ შეტაკებას პირდაპირ კომიკურ იერს აძლევს — თითქო ავტორი ამ შეტაკების სავალლო შედეგს კი არ აღწერდეს, არამედ პარტიული ბოსების სპეციალურ სანატორიუმში მიმდინარე მკურნალობის ხანგრძლივ პროცესს!

რომელ მოვლაზედა გველაპარაკება ავტორი, როცა ირგვლივ ავტომატების კაკანი გაისმის და არ გაიგება, ვინ საით გარბის!

ჭრილობებს უხვევდნენ... დაჭრილების აკრეფასა და გაყვანას ცდილობდნენ... სამშვიდობოსკენ მიათრევდნენ თუ რაღაც

ამდაგვარი რამ მაინც ეთქვა, თორემ „უელიდნენ!“ თან საყვარელ კერძებსაც ხომ არ აჭმევდნენ ვერცხლის პანია კოვზებით?!

„თითო პირი პირსახოცი, საბანი და ა.შ. მოკლედ, როგორც ყველა პრესტიჟულ სასტუმროში“. — ვკითხულობთ ავტორისეულ თხრობაში.

აქ ავტორსაც და რედაქციასაც ერთმანეთში ერევა ხელი და პირი.

უნდა იყოს „თითო ხელი პირსახოცი, საბანი...“

ვნახოთ სიტყვის „ხელი“ მე-4 მნიშვნელობა: ერთად სახმარი ნივთების სრული ნაკრები, — კომპლექტი. ერთი ხელი ლოგინი, თითო ხელი ტანისამოსი.

„შიგადაშიგ პრიატნად ყვინთაობენ ხოლმე“.

ეს მეორე სიტყვა ავტორისეულ თხრობაში ისე ყინჩად ზის, როგორც ქართული ენის ძირძველი და სრულუფლებიანი წევრი! არც ბრჭყალები, არც არაფერი!!! რა ხდება? „ენაი შემკულმა“ უსიტყვო კაპიტულაციას მოაწერა ხელი და ყველა კუთხიდან დაძრულმა ბარბაროსთა ურდოებმა ნიხლქვეშ უნდა წაიგდონ და მოგვისპონ ქართული ენა?!

ეს „შედევრიც“ ავტორისეულ თხრობაში ყელყელაობს.

„ქერამ პირველმა ატეხა სროლა, ორი ჯარისკაცი დაყარა“.

აქ კი სრულიად მითავდება ბასრი კრიტიკული წერილის შესაქმნელად საჭირო „საწვავის“ კომპონენტები — შემართება, უინი, პათოსი, სიმხნევე, გამძლეობა და უსაშველო სასონარკვეთა დამბალ საქალამნე ტყავივით მღვედავს: უბედურია იმ ერის მწერალი და მწერლობა, სადაც ლიტერატურული პროცესების წარმართვას ისეთი პირები იჩემებენ, ისიც კი რომ არ ესმით, რომელია გამართული ქართული:

„ორი ჯარისკაცი დაყარა“.

თუ

„ორი ჯარისკაცი დააგდო“.



2005 წლის მე-4 ნომერში პროზის რუბრიკით გამოქვეყნდა მწერალ დათო ტურაშვილის გვერდნახევრიანი ტექსტი „ჯგრაგი“. მას წინ უძღვის ტრადიციული ინტერვიუ, ინტერვიუს კი უფრო მსხვილი შრიფტით აწყობილი ცამეტსტრიქონიანი საგანგებო შესავალი, რომელიც ასე იწყება.

„დათო ტურაშვილი ლიტერატურაშიც ისეთივე თავისუფლებისმოყვარეა, როგორც ჩვეულებრივ ყოფით ცხოვრებაში“.

სრულებით გაუგებარი რჩება, ინტერვიუერი აქ რა ლიტერატურულ თავისუფლებისმოყვარეობაზე ლაპარაკობს. საკითხი თუ საერთოდ, ავტორის მიერ თავისი მხატვრული ნაწარმოების შესაქმნელად ეპოქის, ქვეყნის, თემის, იდეის, მოცულობის, სიუჟეტის, კომპოზიციის, სტილის ან ლექსიკის არჩევას ეხება, მაშინ იქ სხვა, ნებისმიერი მწერალიც რატომ ვეღარ იქნება „ლიტერატურაშიც ისეთივე თავისუფლებისმოყვარე“, როგორიც თურმე დათო ტურაშვილი ყოფილა? ხოლო თუ საქმე შესაქმნელი ან უკვე შექმნილი ნაწარმოების ჟანრის ზუსტ განსაზღვრას ეხება — ამ ტექსტს კი სწორედ ეს სჭირდება! — მაშინ იქ ნებისმიერი მწერალი როგორი „თავისუფლებისმოყვარეც“ უნდა იყოს „ყოფით ცხოვრებაში“ თუ „ლიტერატურაშიც“, მაინც მოვალეა (იძულებული თუ არა!), თავისი ეს ლიტერატურული „თავისუფლებისმოყვარეობა“ ნაწარმოების ჟანრის სწორ განსაზღვრას დაუმორჩილოს, ხოლო ყოველი რედაქცია ვალდებულია ავტორის წარმოდგენა-განსაზღვრებას ბრმად არ მიენდოს და თავადაც კომპეტენტურად დაადგინოს გამოსაქვეყნებლად მიჩნეული ნებისმიერი მხატვრული პროდუქციის ზუსტი სახეობა. წინააღმდეგ შემთხვევაში გარდაუვალი იქნება ჟანრული აღრევა, მკითხველის განბილება, ავტორისა და რედაქციის ავტორიტეტის შერყევა, ლიტერატურულ ღირებულებათა გაუფასურება...

აქ კი რა ხდება? მწერალმა თავისი მკითხველი რომ დაარწმუნოს, დიდგორის ბრძოლაში ქართველ მეომართა გვერდით სინამდვილეში წმინდა გიორგიც (სვანურად ჯგრაგი) იმყოფე-

ბოლო, იმდროინდელი უცხოელი მეომარ-მისიონერების მიერ ვატიკანში გაგზავნილი და იქ დაცული ზოგიერთი რელაციიდან ამის დამადასტურებელი მოკლე-მოკლე ცნობები მოუკრებია, ერთმანეთისთვის მიუკონინებია, თან თავისი ფანტაზიით შექმნილი ორიოდე პერსონაჟის ნათქვამიც ნაუმატებია და ამგვარი ტექსტისთვის მიტინგური ზერელობით მოთხრობა უნოდებია!

„მოთხრობა, — რედაქციაც უდასტურებს თუთიყუ- შივით, — რომელსაც „ლიტერატურული პალიტრის“ მკითხველი გაეცნობა, დათოს ხანგრძლივი ფიქრის ნაყოფია“.

არადა, ეს არის არა მოთხრობა, ამ ცნების ვინრო თუ ტრადიციული გაგებით, არამედ ისტორიულ თემაზე მეცნიერულ- დოკუმენტური მშრალი, ზოგადი კვლევის მოკლე ნაწყვეტი.

* * *

მეცხვარეობის ფერმებში, როგორც წესი, ყოველთვის ჰყავთ ხოლმე თითო-ოროლა თვალმახვილი მწყემსი-მცნობარი, რომელიც დოლის დროს უშეცდომოდ იმახსოვრებს ასობით ახალ- შობილ ბატკანს და წოვებისას ყველას თავ-თავის დედას მიპ- გვრის ხოლმე! წინააღმდეგ შემთხვევაში დედა ცხვარი სხვის ბატკანს დაიძულებს, ახლოს არასგზით წაიკარებს და ნამატიც სულ განყდება!!!

ლიტერატურული ორგანოს რედაქციასაც უნდა ჰყავდეს თავისი გამოცდილი მწერალი-მცნობარი, რათა ჟანრალრეული ტექსტები არ შეაჩერონ მკითხველს...

❖ ❖ ❖

2005 წლის მე-2, მე-3 და მე-4 ნომერში გამოქვეყნდა მწერალ ლაშა ბულაძის რომანი „ბოლო ზარი“. ნაწარმოებს წინ უძღვის ტრადიციული ინტერვიუ.

აი, მისი პირველი სრული კითხვა-პასუხი.

„— შენ მწერლობაში მხატვრობიდან მოხვედი — 1994 წელს გრაფიკის გამოფენა გქონდა გალერეა

„ორიენტში“, მერე კი შვეიცარიის ქალაქ ბაზელშიც. ეს მხატვრის არცთუ ურიგო დასაწყისია. და უცებ თავს ანებებ ამ საქმეს და წერას იწყებ, რამ გადაგადგმევინა ეს ნაბიჯი?

— მხოლოდ და მხოლოდ ჰიგიენამ. მართალია, გრაფიკოსი, ფერმწერისაგან განსხვავებით, ხატვისას ნაკლებად ითხვრება, მაგრამ თითების გაშავების საშუალება მაინც არსებობს. კომპიუტერთან ჯდომა და კლავიშებზე კაკუნის კი ამ მხრივ, სრულიად გამორიცხავს საშიშროებას“.

განსაცვიფრებელი პასუხი და არგუმენტებია! რანაირად შეიძლება, ლეთიური ნიჭით მომადლებული შინაგანი მონოდებამისწრაფება ასე ზერელედ პირად ჰიგიენასა და მით უმეტეს, თითების გაშავების სასაცილო „საშიშროებაზე“ დავიყვანოთ?!

რა გამოდის? ანტიკური და ალორძინების ხანის, იმპრესიონიზმის, ექსპრესიონიზმის, საერთოდ, ყველა დროისა და მიმდინარეობის გენიოსსა და საქვეყნოდ ცნობილ მხატვრებს თურმე არც პირადი ჰიგიენის მოთხოვნილება ჰქონიათ და ყოვლად ფეთხუმი, უსუფთაო ადამიანები ყოფილან! ამიტომ ასნილ არ აჯობებდა, ის „რალაც“ თავიანთი ტილოები სულაც არ ედღაბნათ — სამაგიეროდ თითები მუდამ სუფთად მოვლილ-შენახული ექნებოდათ!!! მაგრამ თითების გაშავებას თუ ტანისამოსზე საღებავის მოცხება-მონვეთებას ვილა დაეძებდა, როდესაც ის ნიჭითცხებულნი, ჭეშმარიტად ტანჯული, თავშენიერული შემოქმედნი თვით ყველაზე უძვირფასესს — სიცოცხლეს, ჩარჩოზე გადაჭიმულ ტილოებთან თუ ტაძრის გუმბათის მოხატვისას ბუგავდნენ!

გასაკვირია, შემოქმედი და მეტადრე ახალგაზრდა, ასე მერკ-ანტილურ-ეგოისტურად როგორ უნდა მიუდგეს გულის კარნახსა და თავისი მონოდების განსაზღვრას! არადა, აქ მთავარია ნიჭი და არა თითების ჰიგიენა, როგორც ეს ავტორს ჰგონია, ანდა სურს ასე დააჯეროს მკითხველი.

რა არის ნიჭი? აი, ქართული ენციკლოპედიის შემოკლებული პასუხი.

„პიროვნების ინდივიდუალური თვისება, რომელიც წარმოადგენს გარკვეული სახის მოქმედების წარმატებით განხორციელების სუბიექტურ პირობას. ნიჭი ვითარდება ნასახის საფუძველზე, ნიჭი არ არის ნასახის უშუალო ფუნქცია, იგი უფრო ინდივიდის განვითარების შედეგია. ნიჭის დიაგნოსტიკას უდიდესი ღირებულება აქვს პროფესიული ორიენტაციის თვალსაზრისით“.

როგორც ვხედავთ, პროფესიული ორიენტაციის განსაზღვრისას უდიდესი ღირებულება ჰქონია ნიჭის დიაგნოსტიკას და არა რაღაც პანიკურ ან პათოლოგიურ შიშს, რომ თუ ახალგაზრდა, მაგალითად, მხატვარი გამოვა, საღებავებით თითები დაეგანგლება, მზარეულს ხახვის ჭრისას ცრემლი მოედინება, ალპინისტს თოკი გაუნყდება, მეფუტკრეს ფუტკრები დანესტრავენ, ჭოკით მსტომელი ფეხს იღრძობს, კალატოზი ხარაჩოდან გადმოვარდება, მედესანტეს პარაშუტი არ გაეხსნება, კოსმონავტს ხომალდი აუფეთქდება, მკერავს თითებში ნემსი ეჩხვლიტება, მხედართმთავარი ბრძოლის ველზე დაეცემა ან სასიკვდილოდ დაიჭრება, ხარაზი ცერში ჩაქუჩს ჩაირტყვამს, მოგზაური უკვალოდ დაიკარგება და ა.შ.

თუკი ამგვარ მოსალოდნელ რეალურ საშიშროებებზე დაფუძნებული კრიტერიუმებით ვიხელმძღვანელებთ, გამოდის, რომ ყველამ უღვთოდ უნდა დაითრგუნოს ნიჭით ორიენტირებული თავისი შინაგანი მონოდება. მაშინ კაცობრიობის არსებობასაც აღარ ექნება აზრი და დედამიწაზე სიცოცხლეც ჩაკვდება!

არადა, მხატვრის თითების გაშავება რა მოსატანია იმ მუდმივ სასიკვდილო საფრთხესთან, რომელიც ბევრ პროფესიასა თუ საქმიანობას ახლავს. გავიხსენოთ, თუგინდ ფერნანდო მაგელანი, პენრი ჰუდსონი, პეტრე ბაგრატიონი, დეივიდ ლივინგსტონი, პორაციო ნელსონი, რუალ ამუნდსენი, ვალერი ჩკალოვი, ანტუან სენტ-ეგზიუპერი, იური გაგარინი, გურამ თიკანაძე, მიხეილ ხერგიანი...

ჩვენს ავტორს კი, როგორც ინტერვიუერის ლაპარაკიდან ჩანს, მშვენივრად დანყებული მხატვრის კარიერისთვის ზურგი შეუქცევია მხოლოდ იმიტომ, რომ ხატვისას თითების გაშავების შემინებია!

აქ მკითხველს ერთდროულად ეუფლება გაკვირება *ეს სინანული*. პირველი იმიტომ, რომ მხატვრის ოჯახში აღზრდილი ალგაზრდა ნუთუ თავიდანვე ვერ ხვდებოდა, თუკი *თვითონაც* მამის გზას გამოუდგებოდა, თითების დასვრა-დაშავებას ვერ აიცდენდა?! სინანული კი უფრო ღრმა არის, ვინაიდან *ამოუზრ-სნელ* მკითხაობას ეუფძნება: ახალგაზრდა კაცის რალაც ჰიგინური კაპრიზების გამო შეიძლება საქართველო გენიოს მხატვარს კარგავს!

მოკლედ, მწერალი ამგვარ ნაკლებად დამაჯერებელ, არასე-რიოზულ განცხადებას მარტო იმისთვის მაინც უნდა მორიდებოდა, რომ შემოქმედების ღვთაებრივი არსი და იდეუმალება არ გაეუფასურებინა და თან პროფესიული ორიენტაციით გატაცებული ბევრი მოზარდისთვის გული არ აეცრუებინა, მათი ჯერ გაუმაგრებელი, სათუთი ფსიქიკა ვაჭრულ-მომხმარებლური პოზიციისკენ არ გადაეხარა.

ერთი სიტყვით, როგორც ამ მოკლე და ნათელზე ნათელი პასუხიდან ჩანს, ავტორი გრაფიკიდან მწერლობაში მხოლოდ იმიტომ გადაბარგებულა, რომ „კომპიუტერთან ჯდომა და კლავიშებზე კაკუნის“ თურმე „სრულებით გამორიცხავს თითების გაშავების საშიშროებას“.

აქედან ისე გამოდის, ნებისმიერმა კაცმა ცამონმენდილზე მწერლად გახდომა რომ მოიპრიანოს, სრულიად არ არის საჭირო საამისო შინაგანი მოთხოვნილება-მონოდება და ხალასი ნიჭი — აქ საკმარისია მხოლოდ შიში ან ზიზლი თითების გაშავებისადმი! მაგრამ მარტო თითების დასვრა-გაშავება რა მოსატანია, როცა ბევრი პროფესიის ადამიანები თავით ფეხებამდე ისე ისვრებიან, ერთმანეთს ველარ ცნობენ ხოლმე შხაპის გადავლებამდე!!!

არ ვიცი, ლაშა ბულაძე თავად ხვდება თუ ვერა, მაგრამ თავისი ამგვარი მსჯელობითა და არგუმენტებით ის მწერლობაში ნამდვილ ლენინურ განვევას აცხადებს: მენავთობეებს, მეშახტეებს, მექანიზატორებს, ქიმიური ქარხნის მუშებს, სანტექნიკოსებს, მეასფალტეებს, ყასბებს, მენავეებს, მღებავებს — მოკლედ, ყველას, ყველას, ვინც კი თავის სამუშაოზე ოდნავ მაინც იგანგლება რაიმე სახით, თუკი იოტისოდენა სურვილი

მაინც ექნებათ, შეუძლიათ მწერლობაში გადმობარგდნენ, ვინაიდან მწერლის კომპიუტერთან არ არსებობს არანაირი მოთხვრისა თუ თითების გაშავების საშიშროება!!!

ეს მართალია, მაგრამ სამაგიეროდ იქ სხვა ისეთი ნაირგვარი საშიშროება ელის ფეხის ხმას აყოლილ ალაღბედას, რომ იქნება თხემით ტერფამდე სოლიდოლსა და ავტომობილის ზეთში ამოგანგლული პროფილაქტორიუმის მუშის ყოფა-მდგომარეობაც კი სანატრელი გაუხდეს! ამიტომ ლაშა ბულაძის არგუმენტებით გულმოცემული, უცბად მწერლად გახდომის მსურველები ნუ იჩქარებენ, სანამ ღრმად არ გაერკვევიან საკუთარ შინაგან მონოდებასა და შესაძლებლობებში.

* * *

თვით ნაწარმოების მიმოხილვა ჯერ მისი ჟანრობრივი კუთვნილების გარკვევას თხოულობს. მართალია, ავტორმა და რედაქციამაც „ბოლო ზარი“ მკითხველს ისე წარუდგინა, როგორც რომანი, მაგრამ ჩემი აზრით, ეს არის არა რომანი, არამედ საკმაოდ დიდი რომანის დასაწერად ნაჩქარევად მოხაზული მჩატე კონსპექტი.

ამგვარი შეფასება ვინმეს ნურც გააკვირვებს, ნურც გააღიზიანებს — მიუყვეთ ჯანსაღი ლოგიკის ლარს და ყველასათვის ყველაფერი თავისთავად გაცხადდება.

როგორია ნაწარმოების მოცულობა? ინტერვიუ, ყოველ ნომერს დართული ავტორის ფოტო და ნახატებიც რომ გამოვაკლოთ, მთელი ტექსტი ძლივს გამოდის ჟურნალის ოცდაერთი ფურცელი! და ეს მაშინ, როდესაც ამგვარი მცირე მოცულობის რომანი კი არა, ბევრი ვრცელი მოთხრობა (Повесть) რამდენჯერმე უფრო დიდია ხოლმე. მაგრამ ეს არ არის მთავარი და გადამწყვეტი, ვინაიდან მცირე მოცულობის რომანს თავისი არქიტექტონიკული სპეციფიკა გააჩნია, ვრცელ მოთხრობას — თავისი და აქ უხეში პარალელების გავლება დაუშვებელია. მაგრამ, როგორც ეტყობა, ავტორს აცდუნებს რომანის მცირე ზომის მიმზიდველობა, როგორც მისი მალე, მოკლე დროში დანერისა და უეჭველი წარმატების გარანტია. არადა, მთავარი ხიფათიც თავს სწორედ ამ მოცულობის სიმცირეში იმაღავს.

მწერალმა ჟურნალის ოციოდე ფურცლის მოცულობის რამედ ღირებული რომანი რომ შექმნას, აქ ელვარე ტალანტსა და დახვეწილ სტილზე უფრო მეტად საჭიროა დიდი პროფესიული გამოცდილება და წინდახედულება, რაც ჩვენს ახალგაზრდა ავტორს, სამწუხაროდ, არ გააჩნია და ამ ეტაპზე ჯერ არც შეიძლება გააჩნდეს.

წაწერების ერთ-ერთი უმთავრესი ნაკლი, უფრო სწორედ, გამოუცდელი ავტორის საბედისწერო შეცდომა პერსონაჟთა დაუშვებელი, წრეგადასული, პირდაპირ აღმამყოთებელი სიმრავლეა!!!

არც ერთი გამოცდილი მწერალი ამნაირ პანია რომანში ასეთი განუკითხაობით არ შემორეკავდა — სწორედ რომ შემორეკვას ჰგავს! — ამდენ მოქმედ პირს, რის გამოც რომანი უწყალოდ გადატვირთულ ბორანს ემსგავსება და აურაცხელ პერსონაჟთა ყურთასმენის წამლებ ჟივილ-ხივილში თანდათან იძირება!

ლაშა ბულაძეს კი თავისი ახალ-ახალი პერსონაჟები ისეთი ხელგამლილობით შემოჰყავს და შემოჰყავს, თითქო რაღაც ოც-ფურცლიან მინიატურულ რომანს კი არა, მეორე „ომსა და მშვიდობას“ წერდეს! მაპატიეთ ამგვარი შედარება, მაგრამ ნებისმიერი პროზაული ნაწარმოები — გინდ მცირე, გინდ უზარმაზარი — საკონცენტრაციო ბანაკი როდია, ვინც კი მოგვეპრიანება, ვტაცოთ ხელი, შევაგდოთ შიგ, მივუჯახუნოთ რკინის კარი და მორჩა! ჰმ! მწერალს მშობელ მამაზე არანაკლები ზრუნვა სჭირდება... თუმცა მეც რას ვამბობ: ცხოვრებაში რამდენი მამა ვიცი, რომელიც თავისი უპასუხისმგებლობის თუ თვით შვილის ოხერტილობის გამო, სულ აღარ ზრუნავს მასზე და სამუდამოდ ხელი აქვს ჩაქნული. მწერალს მსგავსი „ფუფუნების“ უფლება არა აქვს! სულ ერთია, მისი ნაწარმოების პერსონაჟი ვინ არის: გმირი, არამზადა, წმინდანი, ლოთი, ქრისტეს მტრედი, სნეული, ქვაკაცი, ბრძენი თუ შემლილი, ყველაზე თანაბრად უნდა იზრუნოს, ყველა მათგანს ხორცი შეასხას და დამაჯერებლობის სული შთაბეროს!

აქ? აქ მწერალი თავის პერსონაჟებს არ კი ხატავს, არამედ მხოლოდ ასახელებს, ფაციფუცით ჩამოთვლის: თემურიკო ნადა-რეიშვილი, იგივე ნადრიკუჩა, ამ ნადრიკუჩას შეყვარებული წინ-

ჩო ღვანფერიძე, დედამისი ლამარა ნატროშვილი, მამა კარლო, დაიკო სოფიო... დემურ ჩხიკვიშვილი, დედამისი თამარ ჩიჯავაძე, მხატვარი მამა, ბესიკი... ნუციკო სურმავა, დედამისი თინათინ ლობჯანიძე, ბებია, მათი მეზობელი კაკუჩა... თეიკო აფაქიძე, დედამისი, მამა ზურიკო, ქმარი ვანჩო, შვილი, ათი წლის ბიჭუნა ზუკა, მათი ოჯახის მძღოლი, თეიკოს ნათესავი შოთო... ქეთო მასწავლებელი და მისი საქმრო — სკოლის დარაჯი მერაბა, მამა თორნიკე, სექსოლოგიის მასწავლებელი ვლადიმერ დარჩია... მუსიკის მასწავლებელი რუსიკო, მისი სომეხი დაქალი ვიკა... სკოლის მონაფე რომიკო... ინგლისური ენის მასწავლებელი, ინგლისელი ჯენიფერ ბარდშოუ, რამაზიკო გვათუა... ნინჩო ღვანფერიძის დაქალები: ლელუკა, ნანუკა, პუპა და უკვე ნახსენები ნუციკო სურმავა და თეიკო აფაქიძე... ვილაც სულიჩა, კიეველი მომღერალი სლავა, ქართველი პოპულარული მომღერალი ჯამბულა (ჯემალ ბელიაშვილი), დისკოთეკის ადმინისტრატორი, დაცვის ბიჭი კობა... ლადუნა, აჭარელი ამირანა... ციცქა, კანკა, პუსკა, ყვირავა, ჩხეიძე, ლადო, ირკა, ფანჩულა ხურციძე, ანდრიკო, ტაქსის სამი მძღოლი... ბოტანიკის მასწავლებელი სოსო ლაბუციძე და ღმერთმა უწყის კიდევ ვინ და ვინ!

მოკლედ, თვით სახელგანთქმულ, ოთხასგვერდიან კლასიკურ რომანშიც კი, „მადამ ბოვარი“ ვერ მოაგროვებთ ამდენს კი არა, ამის ნახევარ პერსონაჟს!..

ნაწარმოები ასევე უმონყალოდ არის გადატვირთული ისეთი პერსონაჟებით, რომლებიც, მართალია, უშუალოდ თვითონ არაფერს ამბობენ, მაგრამ მათ შესახებ ან მათ მაგიერ ავტორი ლაპარაკობს და მკითხველის ცნობიერება მაინც ივსება ზედმეტი, მდარე ინფორმაციით: ნადრიკუჩას გამზრდელი დეიდა კატუშა, ნადრიკუჩას ან უკვე გარდაცვლილი მშობლები — ხუტა (დედის სახელი არ ჩანს, თვითონ ნადრიკუჩა კი თურმე ინტერნატიდან ჰყოლიათ გამოყვანილი)... ნიკუშას შეყვარებულის თუ საყვარლის, კანკას დაქალი, ნათო, ბახტრიონელი ვახო, ნადრიკუჩა დანით რომ დაჭრის დუნდულოში... დემურის დედის, თამარ ჩიჯავაძის დაქალი, მანანა, რომლის შვილი, რეზიკო კვირაში სამი წიგნის ნაკითხვას ასწრებდა... ოთარ ცინცაძე, პლენხანოველი ჩარლიკა, გიორგი მაზმანიშვილი, ჭიჭიკია, გოგი ლომთა-

თიძე, კოტე, მეტსახელად ფისო ჩაჩხიანი... ოთარ თევზაძე...
ომის ვეტერანი ვალიკო ახალია... ნინჩოს მამის, კარლოს ძმაკ-
აცი ელგუჯა, კარლოს ნინჩოს მოძებნაში რომ ეხმარება, მათი
მეორე ძმაკაცი ზაურ კამკამიძე, კარლოსა და ელგუჯას საყ-
ვარლები — ინგა და მარი... ნანუკას ბიძაშვილი მამუკა... ეეაკო
მილორაეა, კოკა ციციქიშვილი... ნუციკოს შეყვარებული, ცოლშ-
ვილიანი რეჟისორი კოტე პაპასკირი... ვილაც კოსტარიკელი
ქალი, დები — ჯამბულას რომ ჰყოლია ამერიკაში... გახსოვთ,
ნელან თეიკო აფაქიძის ქმარი რომ ვახსენე, ვანჩო? ჰოდა, იმ
ვანჩოს ძმაკაცი, ჯლიბო... პუპას გერმანელი საქმრო ერიკი... ნი-
ნუკას ნარკომანი ქმარი სერგო... შეერთებული შტატების ქალაქ
ცინცინატიში მცხოვრები ღვანფერიძეების ახლობლები — ჩიტო,
ანზორი, სვეტა... ნინჩო ღვანფერიძის პირველი ქმარი, ამერიკაში
მცხოვრები ვილაც ქართველი, ნინჩოს მეორე ქმარი, თბილისელი
კალათბურთელი კუსა ჩინჩალაძე, მისგან ნინჩოს ლიზი და მამო
რომ გასჩენია... ვილაც დიდმკერდა გლდანელი ანჟელა, რომლის
შიშველი ფოტოსურათი ინტერნეტში ყოფილა შეტანილი!... ხურ-
ციძის ბიძაშვილი, გოჩა, რომელსაც ეს ხურციძე მსუბუქი ყო-
ფაქცევის ქალებში ნაუყვანია... ანდრიკოს დის დაქალი, თამუნა,
ანდრიკო რომ ელლაბუცება და აქეზებს, მოდი, „ერთად შევტო-
პოთ ცოდვის მდინარეში“, თამუნა კი უარს არის — ჩემს საქმ-
როს, ლევან აფშილავას ქალწული უნდა ჩავბარდო!... მოხევე
ბიჭი, ნადრიკუჩას რომ შემოაკვდა გუდაურში... სამი შურისმაძ-
იებელი მოხევე — ერთი ქალი და ორი მამაკაცი — გუდაურში
მოკლული ყმანვილის სისხლის აღებისას ნადრიკუჩას ავტომა-
ტით რომ ჩაცხრილავენ!

მოკლედ, ვის შეუძლია, სკასთან მოზუზუნე ფუტკრების დათ-
ვლა და თითოეული მათგანის დამახსოვრება?! ამ ნაჩქარევად
შეხანხლულ, წყალწყალა, გასაოცარი სიმჭიდროვით დასახლე-
ბულ პატარა, სქემატურ ნანარმოებშიც იგივე ხდება: მხოლოდ
ყველას მაგიერ მოლაპარაკე ავტორის ერთფეროვანი ხმა ის-
მის, თვით ცოცხალი პერსონაჟები კი არ ჩანან და სტრიქონებ-
შუა მარტო მათი სახელები ირევიან ერთმანეთში აღელვებულ
კოკრიჭამია მწერებივით! ამიტომ მკითხველს ქანცს აცლის და
მოთმინებას უწყვეტს ჟურნალის წარამარა უკუფურცვლა, რათა

გაიხსენოს: ვინ არის, მაგალითად, ეს პუსკა თუ კანკა, ავტორმა სულ პირველად როდის და რისთვის შემოიყვანა ლადუნა, სად გაქრა შოთო, რის მაქნისია ნათო, ასე უცებ საიდან გამოტყვერა ჯლიბო და ა.შ.

არადა, ალბათ, რომელიმე ზესახელმწიფოს მეთაურის პირადი მცველის კანდიდატს არ სჭირდება იმდენი და ისეთი ყოველმხრივი ღრმა შემონიშნება, როგორც მხატვრულ ნაწარმოებში შესაყვან სავარაუდო პერსონაჟს: იქ მას ექნება თუ არა თავისი კანონიერი ადგილი, სივრცე, საქმე; როგორ ჩაიხატება სიუჟეტში, საჭირო და დამაჯერებელი იქნება კი მისი ურთიერთობა დანარჩენ მოქმედ პირებთან თუ გამოუცდელი ავტორის მიზეზით დროდადრო თეთრი ყვავივით უაზროდ გაიფლავებს, ნაწარმოებს დაამძიმებს და მკითხველის ცნობიერებასაც ტყუილუბრალოდ მოქანცავს...

ერთი სიტყვით, ამ ოცფურცლიან ნაწარმოებში, ალბათ, თვით პროზის გენიოსიც ვერ შეძლებდა ამოდენა რაგინდარა პერსონაჟების მხატვრულ ხორცშესხმას, ნაწარმოების სივრცეში ბუნებრივ განლაგება-დასაქმებას და რაც მთავარია, მერე მათ დამაჯერებელ, თანადროულ ურთიერთკოორდინაციას!!!

ასეთ პანია რომანში ამდენი პერსონაჟის დაუშვებელი თავმოყრა და ჩოჩქოლი განპირობებულია არა სიუჟეტური ან მხატვრული აუცილებლობით, არამედ ავტორის გამოუცდელობით და დაბალი ოსტატობით: ბევრგან ავტორისეულმა თსრობამ უნდა გაიტანოს ორნატი, მაგრამ რაკი ამას ვერ ხვდება, ანდა არ მოსდევს საკმარისი ხელოვნება და მხატვრული საფანელი, მწერალი იქ მაშინვე ახალ-ახალ პერსონაჟებს „დაიქირავებს“ ხოლმე დღიურ მუშასავით, რათა ორიოდ უმნიშვნელო ფრაზა ნამოაძახებინოს, მერე კი თავი მიანებოს და მიივიწყოს!

ნაწარმოებში ახალი პერსონაჟების შემოყვანას თავისი დრო, ადგილი და ოსტატობა სჭირდება. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს სტენოგრაფიული, დამაჯერებლობას მოკლებული ხდება. ან უარესიც: შეიძლება ამან კომიკური ელფერი მიიღოს და მკითხველის გულიანი სიცხლიც კი განიწივინოს. რაღა დაგიმალოთ და მე პირადად ერთგან ასე დამეპართა შეიძლება ვინმემ დამცინოს კიდევ: ამ ხულულს რა აცინებდა, მანდ რას ხედავდა სასაცილოსო!

მაგრამ ასე დამემართა და, რა ვქნა — მე დასამალი არაფერი მაქვს, მით უმეტეს, რომ ვესაუბრები ჩემს ყველაზე საყვარელ ადამიანებს — კოლეგებსა და მკითხველებს!

წინარმოების ერთ-ერთ მთავარ პერსონაჟს, თხუთმეტი წლის ნინჩო ღვანფერიძეს ოცდაერთი წლის კრიმინალი და მკვლელი თემურიკო ნადარეიშვილი, იგივე ნადრიკუჩა, შეუყვარდება.

„დედამისი, ლამარა ნატროშვილი, რომელიც ერთ დროს უნივერსიტეტის დირექტორიც იყო, ცდილობდა, მაგრამ ვერაფერს აგნებინებდა (ამ კონტექსტში ეს სიტყვა უმართებულოდ არის ნახმარი. ჯ.მ.) ჯიუტ ქალი იშვილს. ლელავდა მამაც, კარლო ღვანფერიძე“.

ყველაფერი ბუნებრივი, გასაგები და დამაჯერებელია. და უცებ:

„ნინჩოს უმცროსი დაც ჰყავდა, სოფიო“.

აქ ავტორი ისეთი ბავშვური გულისფანცქალით, თანაც ც-ნანილაკის დართვით გაიძახის — ნინჩოს დაც ჰყავდაო, თითქო რომანის მხატვრული თხრობა კი არ მიმდინარეობდეს, არამედ ღვანფერიძეების ოჯახის წევრების სასწრაფო ინვენტარიზაცია!!! აქ უკვე ლაპარაკობს არა მწერალი და, მით უმეტეს, რომანის ავტორი, არამედ პარტიის რაიკომის მიერ რალაცაზე შერისხული კოლმეურნეობის ერთ-ერთ რომელიმე ფერმაში სასწრაფოდ ჩასული საინვენტარიზაციო კომისიის მოუთმენელი თავმჯდომარე: „ბიჭოს, აქ კვიციც ჰყოლიათ! ჩანერეთ! ერიპაა, აგერ, გოჭიც ჰყოლიათ! ვისია? ეგეც ჩანერეთ!“ და ა.შ.

ნინჩოს იქნებ ბევრი სხვა ვინმეც ჰყავს, მაგრამ ხომ არ შეიძლება რომანის ამგვარი მოუთმენელ-მიამიტური წამოძახილებით ქსოვა: „ნინჩოს დეიდაც ჰყავდა!“ „ნინჩოს პაპიდაც ჰყავდა!“ „ნინჩოს ბიძაშვილიც ჰყავდა!“, „ნინჩოს ნათლიაც ჰყავდა!“ ...

მერე, რა არის, რომ ჰყავდა? არ შეიძლება, მოზარდს დები და ძმები, ანდა ერთი და ჰყავდეს?! ამაში რა არის ან გასაკვირი, დაუჯერებელი და მეტადრე ასე ც-ნანილაკდართვით წამოსაძახებელი?!

აქ ავტორს იოტისოდენა ოსტატობა რომ გამოემყლავნებინა და, მაგალითად, ასე მაინც ეთქვა: ნინჩოს საქციელზე მისი უმ-

ცროსი და, სოფიკო შეშინდა, გაიბუტა ან ყურიც არ შეუბერტყავსო თუ რალაც ამდაგვარი, როგორც თვითონ მწერალი ჩათვლიდა საჭიროდ, ხელად ორ კურდღელს მოინადირებდა: ჯერ ერთი, ნინჩოს საქციელთან დაკავშირებით მშობლების კვალდაკვალ უმცროსი დის, სოფიკოს განწყობილება-დამოკიდებულება-საც შეიტყობდა მკითხველი და თან რომანში მისი შემოყვანაც სრულიად ბუნებრივად გამოჩნდებოდა. მაგრამ მსგავსი არაფერი ხდება და როგორც ფარეხიდან ახალგამოშვებულ ცხვრის ფარის საძოვარზე გარეკვის წინ იქვე მოხანხალე კოჭლ ბატკანს მწყემსი უცებ ხელს დააველებს ხოლმე და ისევ ფარეხში შეაგდებს: აქ არსად დაიკარგოს და მერე საძებარი არ გაგვიხდესო, მოჩქარე ავტორმაც ამ ც-ნაწილაკიანი ბავშვური ნამოყივლებით „ნინჩოს უმცროსი დაც ჰყავდა!“ — პატარა სოფიკო იმ კოჭლი ბატკანივით შემოაგდო ნაწარმოებში: მერე მაგისტვის სადღა და როდის-ღა მოვიცლიო!

* * *

თუ ბოლომდე გულახდილი ვიქნები — გარემოება კი მაიძულებს, სწორედ ასეთი ვიყო და არა სხვანაირი! — ლაშა ბუღაძის ამ ნაწარმოებმა უნებლიედ ქართული ხალხური პოეზიის ერთი სტროფი მომაგონა.

ომში წასულსა ჭაბუკსა
თავი ქორწილში ჰგონია:
ხმლის ქნევა, ფარის ფარება
ფარიკაობა ჰგონია!!!

ამ ნაწარმოებშიც რალაც ამდაგვარი გამოსჭვივის: პერსონაჟების წრეგადასული ლანძღვა-გინება და ბილწსიტყვაობა, ზოგიერთი მათგანის ფიზიოლოგიურ თვისებებზე ზედმეტი ყურადღების გამახვილება და უცხო-უცხო სიტყვებისა და ჟარგონის ნიაღვარი ახალგზარდა ავტორს ნამდვილი მხატვრული პროზა ჰგონია!!!

ცხადია, ლანძღვა-გინება ახალი არ არის არც მხატვრული ლიტერატურაში და, მით უმეტეს, ხალხის ყოფა-ცხოვრებაში.

აგერ, თუგინდ 1934 წელს ვახტანგ კოტეტიშვილის რედაქციით გამოცემული „ხალხური ეპოსი“ გადაფურცლოთ.

ბიჭები მკიან ყანასა,
ნარიანსა და ჩალასა,
სიცხეს შეუნუხებია,
ველარ ატანენ ძალასა,
მალი-მალ შეაგინებენ
მარიამსა და ნანასა.

ვინ მოსთვლის, მსოფლიო კლასიკურ ლიტერატურაშიც რამდენი და რალანაირი ლანძღვა-გინება არ იფრქვევა — მინიშნებებით თუ პირდაპირი დასახელებით, მაგრამ იქ მაინც მუდამ იგრძნობა ავტორის სიფრთხილე და სიფხიზლე. ხედებით, რომ გაჭენებული ბილნსიტყვაობის ალვირი მწერალს უპყრია და არა ზომიერებადაკარგულ პერსონაჟებს!

ლაშა ბულაძე? მან მწერლის კალამი დაუნანებლად გადაცვალა ტელეკომენტატორის თვალმახარ, მოღურ დიქტოფონზე, ბავშვური სულნასულობით მიუშვირა ნებაზე მიშვებულ თავის პერსონაჟებს და რასაც ისინი ამოშაქრავენ, მერე მთელ ამ თავანყვეტილ ლანძღვა-გინებას პირდაპირ მკითხველებს სთავაზობს გახარებული!!! მისი ზოგიერთი გმირი კი, განსაკუთრებით ეს ნადრიკუჩაა თუ ვილაცა, ციხიდან და სამალავიდან თავის შეყვარებულს, ნინჩოს მობილური ტელეფონით აგინებს, მაგრამ, რას აგინებს: როგორც იტყვიან ხოლმე, ნუ გაიგონებ, ყურო, და ნუ გამოიტყვი, ენავ!

ბოლო წლების ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში ასერიგად მომძლავრებულ პორნოგრაფიასა და უხამს ლანძღვა-გინებას ზოგი ცენზურის უქონლობით ხსნის, ზოგი — ლიტერატურის ახალი მიმდინარეობით, ვინ — ავტორების პათოლოგიური გადახრით. ჩემი აზრით, ეს ხალასი მწერლური ნიჭის უქონლობის კომპენსაციის სასონარკვეთილი ცდა არის, რომელიც სასურველ ნაყოფს ვერავის მოუტანს. თუ აქ ჩვენი ავტორიც დამეთანხმება და ზომიერების გზას დაუბრუნდება, რა კარგი, არადა, რა ვქნათ, ქალაღდი და მკითხველი ერთმანეთს ჰგვანან — ორივეს ბევრი რამის ატანა შეუძლია.

* * *

რომანში თვალში საცემად ზედმეტი აქცენტი კეთდება ნინ-
ჩოს მამის, კარლოს გაზებით შებერილ მუცელსა და დემურის
ფალარათზე. მხატვრულ ლიტერატურაში არც ეს არის ახალი.
აგერ, სანჩო პანსას რაღა არ დაემართება ხოლმე, ან თუგინდ
უფრო აქეთ გადმოვინაცვლოთ და ალექსანდრე ფადეევის რო-
მანი „ახალგაზრდა გვარდია“ გავიხსენოთ: ოლეგ კოშევიის
როგორ აღაშფოთებს ხოლმე მათთან მცხოვრები გერმანელი
ოფიცრის მიერ კუჭ-ნაწლავიდან გაზების ურცხვად გამოშვება!
მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, ლიტერატურას ბოლოს და ბოლოს
აინტერესებს ადამიანის ფსიქოლოგია და არა ფიზიოლოგია,
რომელიც შეისწავლის ცოცხალი ორგანიზმების ფუნქციასა და
მოქმედებას. ამიტომ ცოტა უხერხულია, რომელიმე პერსონაჟის
მხატვრული ხორცშესხმისა თუ დახასიათების უმთავრეს საშუ-
ალებად მაინცდამაინც მისი რომელიმე ფიზოლოგიური ფუნქ-
ციის მოქმედება ან ნაკლი ავიკვიატოთ.

თავს უფლებას ვერ მივცემ, კონკრეტული მაგალითების
დასახელებით შევურაცხვეო როგორც ნებისმიერი მკითხველის
ფაქიზი გრძობა, ისე მათი იდეალური მხატვრული გმირები
— მამაკაცები თუ მანდილოსნები, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება,
რომ ისინიც ჩვეულებრივი ადამიანები იყვნენ და არიან, იმა-
თაც ემართებოდათ და ახლაც ემართებათ სიყაბზე თუ ფალა-
რათი, მენსტრუაცია, მუცლის შებერვა... და რამენაირად ისინიც
ახერხებდნენ და ახერხებენ ამ გაზებისაგან გათავისუფლებას,
მაგრამ ეს ყველაფერი მხატვრული ასახვის მიღმა რჩება, რო-
გორც ფიზიოლოგიურ-ბიოლოგიური მოვლენა.

ამ პატარა, მხატვრულად ისედაც სუსტ ნაწარმოებში კი რა-
ღაც როყოდ ისმის და ისმის ყოფილი მოჭიდავის, კარლოს, გა-
ზებით შებერილი მუცლის ურცხვი ქუხილი... რომანში წარამარა
საწყალი დემურის ფალარათის მძალე სუნი ტრიალებს.

* * *

დარჩა ყველაზე შეურიგებელი კამათის საგანი — ენა.

ნაწარმოების პერსონაჟთა მეტყველება გადატვირთულია ჟარ-
გონით.

მეც მესმის, რომ ჩვენი საზოგადოების, მეტადრე კი დედაქალაქის ახალგაზრდობის გარკვეული ნაწილისთვის საშინელი ჟარგონი ყოველდღიურ სინამდვილედ იქცა, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, ფარხმალდაყრილმა მწერალმა კიდეც მიაყოლოს და თავისი პერსონაჟები მხოლოდ ჟარგონით ამეტყველოს!

ყველაზე მეტად სწორედ დღეს არის საჭირო მწერლის ეროვნული თვითშეგნება და მხატვრული ოსტატობა: რაკი სხვა გზა არ არის, რალა გაენყოფა, თავისი გმირების პირით ჟარგონი იხმაროს, ოღონდ კი ისე, რომ ამ „შხამის“ დოზა ბოლოს სასიკვდილო არ აღმოჩნდეს მშობლიური ენისთვის!

ჟარგონით მოდურ გატაცებას ემატება მეორე ნაკლი, რომელიც მე ენის წინაშე ჩადენილ ცოდვად უფრო მესახება — ავტორისეულ თხრობაში (!) გაბატონებული უცხო-უცხო სიტყვების ყიზილბაშური მედიდურობა!!!

ნაწარმოებში უცხო სიტყვების დამაღონებელმა სიჭარბემ ერთი ძველი ამბავი გამახსენა.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ცხვარში წავედი. პირველად სწორედ იქ ვიხილე პირუტყვის ქრონიკული სენის — მკრეჭავი მუნის — მძვინვარება. ცხვრის კანზე გაჩენილი ავადმყოფობა თავის ირგვლივ ხანძარივით ბუგავს მატყლს და საცოდავად მოტიტვლებული კანი წყლულოვანი ბუშტუკებითა და მოყვითალო-მონითალო ფუფხის სქელი ფენით იფარება. იგი პირუტყვს თვალსა და ხელს შუა აჯანდაგებს, ხრავს, დასასარულ, თუ დროზე არ უწამლეს, მუსრს ავლებს მთელ ნოტოს, ფარას, ფერმას...

ამ ნაწარმოებსაც სწორედ მკრეჭავი მუნით მოსდებია უცხო-უცხო სიტყვები, რომლებიც უწყალოდ მუსრავენ ქართულ ენასა და ქართულ ცნობიერებას. ამის გამო აშკარა ხდება დამაღონებელი სინამდვილე: ლაშა ბულაძე ისე შესდგომია უმძიმეს გზას, რომ ჯერ გაცნობიერებული არა აქვს, რას ავლებს მას ქართველი მწერლის უღელი და გვირგვინი! ამიტომ ამ გაუცნობიერებლობის შედეგი სავალალოა: როგორც ქართველი სეპარატისტი ფეოდალი დაიქირავებდა ხოლმე ლეკთა რაზმებს თავისივე მოძმე ფეოდალის ასაკლებად, ლაშა ბულაძეც სულ

დაფითა და ბუკ-ნალარით მოუძღვის უცხო სიტყვათა ურდოებს ქართული ენის შესამუსრადად.

მაშ, გამაგრდით, მოუსმინეთ და გაუძელით!

„თხუთმეტი წლიდან ალტერნატიული სახელის მოფიქრებას შეუდგა“. „სნობიზმისათვის დაისაჯა კიდევ“. „არც თამარ ჩიჯავაძე ყოფილა დიდი მელომენი“. „ბესიკ ჩხიკვიშვილი ფილატელისტი იყო“. „კონკრეტულად ნადრიკუჩას სამეგობრო დაწყევლა“. „ვერბალურ აზრს გამოხატა“. „ინსტინქტურად იკითხა მეორემ“. „ნინჩო ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა“. „რიტუალურ მოკლე დიალოგსაც გამოაცხობდა“. „ელასტიკური ცეკვა ნადრიკუჩას მიუძღვნა“. „ეპიზოდი ჯერაც არ იყო ამონურული“. „ნინჩო ამ დევივით კაცის იდეალი იყო“. „შეუპოვრად და არგუმენტირებულად თათხავდა“. „კონცენტრირება საშინლად უჭირდა“. „დაელოდა დაქალთა რეაქციას“. „დემური... კონსერვატორი იყო“. „სენტიმენტალიზმით აღსავსე ტექსტი“. „ბანალური ოცნების გამო“. „მიუხედავად სოლიდური ასაკისა“. „მისთვის დამახასიათებელი მანერებით“. „მოსწავლეთათვის ადაპტირებული ახალი აღთქმიდან წაიკითხა ორიოდე თავი“. „საკუთარ სხეულს ათქმევინა უცენზურო სიტყვა“. „ასტრალური სხეული — შეერწყა ფიზიკურ სხეულს“. „სხეულიდან გამომავალი ქარების ზოგად მანიპულირებას ჯერ კიდევ აქტიური სპორტული მოღვაწეობის დროს დაეჩვია“. „აგრესიული ნადრიკუჩა კიდევ უფრო მოენონა ნინჩოს“. „პათეტიკურად გამოაცხადა“. „კომპლიმენტებსაც (ნეტავი, რა დააშავა ქათინაურმა?! ჯ.მ.) ეუბნეოდა“. „პუპას იმიტაციამ ნუციკო... გააბრაზა“. „ამ სადისტურ მონოდებებს... „მაგრამ პრობლემა მშობლებში კი არა...“ „თხზავდა ათასნაირ ეროტიკულ თავგადასავალს“. „დეტალურად აღწერდა სექსუალურ აქტებს“. „კიდევ ერთხელ დააკონკრეტა... ანდრიკომ“. „ნინჩოს ჭირივით ეზიზღებოდა... აბსტრაქტული აგრესიით გამსჭვალული დიალოგები“. „ხმაში კანკას ხმის ტონებიც ამოიცნო“. „დილით ახალი კაბა ფიზიკურად აღარ არსებობდა“. „ბოლოს ... აპლოდისმენტებიც დაიმსახურა“. „... აკურატულად ჩაცმულ სამ გოგონასა და ორ ბიჭს“. „დედამისს რომ არ ეაქტიურა“. „ქეთი... ფიზიკურად იყო... დაბადების დღეზე, მაგრამ გული სხვაგან ჰქონდა“. „კვ-

ლავ ენერჯიულად აცეკვდნენ". „გაბრაზდა, თავს რატომ ვერ ვაკონტროლებო“. „არ უნდოდა ყურადღების ცენტრში ყოფნა“. „პუსკას ტონი კარგს არაფერს უქადდა“. „ეგ ისეთი დეგენერატია“. „მელოდიურ კითხვებს სვამდა“. „ნინჩოს ყველა რეპლიკაზე კომენტარი რომ გავაკეთო...“ „სრული ანტიპოდი თავისი ვაჟისა“. „დაულალავად თხზავენ ეროტიკულ-მორალისტურ ამბებს“. „არიან დეპრესიულები, უხასიათონი“. „...რაც გინების პრელუდია გახლდათ და აფერისტ კლიენტებს... შეაგინა“. „მარხვის დროს კუპალნიკი რომ ჩავიცვი“. „გოგონებმა დისონანსურად ნაიმღერეს“. „უკანასკნელის ისტერიკა მოჰყვა“. „პათოლოგიური კაიდის ანექდოტი“. „კოშმარული საღამო იყო“. „ქეთი მასს (ე. ი. მასნავლებელსო. ჯ.მ.) კონცენტრირება უჭირდა“. „უზრდელურ კომენტარებზე იღიმებოდა“. „არ დააკონკრეტა“. „მაინც ძერებოდა ხოლმე სიტუაციიდან“. „აგრესიული შეკითხვების დასმას მოითხოვდა“. „ზედმინევენით აგრესიულად“. „გველის ინტუიცია აქვსო“. „მოკლე და მელოდიურ კომენტარს აკეთებდა ნანუკა“. „სიმღერა ჯარშივე დაეწყო, კრიმინალური ყაიდის“. „ჯამბულა დეპრესიას მოეცვა“. „ავტოგრაფს მექანიკურად იძლეოდა“. „ოფიციალურად, ისევ ნიკუშასთან დადის“. „რევოლუციური გადანეგტილება მიიღო“. „მხოლოდ აგრესიული გოგო-ბიჭები ცეკვავდნენ“. „პროვოკაციული ბარბაცი შეწყვიტა“. „ცხადია, მენტალიტეტს გულისმობდა“. ასეთ სიტუაციაში მრავალგზის ნამყოფი“. „ველარც ჯამბულას ხედავდა ნორმალურად (თუ ხეირიანად. ჯ.მ.)“. „დეპრესიაში იყო“. „რომ უნდა ნავიდეს, ფაქტია“. „ყველა ვარიანტში ეტყოდა დემურს“. „ეს სტატისტიკა თვითმკვლელობამდე მიიყვანდა“. „კონსპირაციის მიზნით ულვაში მოეშვა“. „ტერცეტიც მოისმა“. „პროფესიული რჩევა მისცა“. „იმავე დილემის წინაშე იდგანუციკოც“. „ქეთი მასს (ე.ი. მასნავლებელიო. ჯ.მ.) ისტერიულად იცინის“. „ქართველი ჯეელებით დაკომპლექტებულ როკ-ჯგუფში“. „დემურს ინსტინქტურად ჩაეხლიჩა ხმა“.

და ასე უსასრულოდ!!!

ახლა მთელი მომთხოვნელობით ვეკითხები ჟურნალის მთავარ რედაქტორს: რატომ ბეჭდავს უცხო სიტყვა-სარეველებით ასე უღვთოდ დანაგვიანებულ ტექსტს? მკითხველებს სად

გვეპატიჟება — ქართული ენის მხატვრული გამომსახველობის ამოუნურავ შესაძლებლობათა აღლუმზე თუ ქართული ენის ქელებში? ან თვითონ ავტორი ასე უდიერად რატომ ნიხლავს მშობლიურ ენას და რა მიზეზით ეფერება, სულს უდგამს და ათარეშებს უცხო სიტყვებს!?

„ქართული ენა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე უფრო განვითარებული და ცოცხალი სამწერლო ენაა, — ამბობს ნიკო მარი, — შინაგანი თვისებებით იგი მსოფლიო ენაა“.

აგაშენათ ღმერთმა! მამ, ცურტაველის, რუსთაველის, სულხან-საბას, გურამიშვილის, ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილიას, აკაკის, ვაჟას, ალექსანდრე ყაზბეგის, იაკობ გოგებაშვილის, ვასილ ბარნოვის, შიო მღვიმელის, მიხეილ ჯავახიშვილის, დავით კლდიაშვილის, გალაკტიონ ტაბიძის, ნიკო ლორთქიფანიძის, კონსტანტინე გამსახურდიას, გიორგი ლეონიძის ენა, „ენაჲ შემკული და კურთხეული“ ნუთუ მართლა ისე ნახდა და დაძაბუნდა, რომ ლაშა ბულაძის მაღალ ზრახვათა სრულყოფილად გადმოცემა აღარ ძალუძს და ისიც იძულებულია, უცხო სიტყვები დაიქირაოს?! მაგრამ არა! ქართული ენა თავისთავად ისევ ისეთი ჯანსაღი, ძარღვიანი, მოქნილი, ყველაფრის გამომხატველი, ელვარე და იგავმიუნვდომელია!!!

სამწუხაროდ, ამ ბოლო წლებში ლიტერატურის კარიბჭესთან მოზღვევებულ ახალუხლების დიდი უმრავლესობა ენის ცოდნის თვალსაზრისით დედიკოს თეთრხელება, ნებიერა მხოლოდშობილს ჩამოჰგავს, რომელთა მჩატიე, ფარჩხატი ლექსიკას ზედ ეტყობა, რომ მათ წერაქვით, ბარით, ნიჩბით, ძალაყინით, საჭრეთლით, ხვენით, ჩქუთით, ჩაქურით, სატეხით, ფუნჯით და სხვა საჭირო იარაღით ოფლი არ უღვრიათ ქართული ენის უკიდევანო, თვალჩაუნვდენელ ოქროს საბადოებში! სწორედ ამიტომ ისინი ფონს გასვლას უცხო-უცხო, აქა-იქ თრევისაგან დაცვეთილი, ხრინნიანი სიტყვებით ლამობენ!

არადა, გამართული, თავანკარა ქართულით დანერილ ნანარმოებს რომ კითხულობთ, გრძნობთ, ხედავთ როგორც ქართული

ენის საბადოში კატორღელივით მომუშავე მადლიან კალმოსანს, ისე ოქროს ფქვილით ჩამტვერილ მისი სამუშაო, დაბებკილი ტანსაცმლის ყოველ ნაოჭსაც!

სამწუხაროდ, „ბოლო ზარის“ მჩატე, თანაც უცხო სიტყვებით დამუწუკებული ლექსიკის მიხედვით მისი ავტორის ტანსაცმელზე არსად მოჩანს იმ ლეთაებრივი საბადოდან გამოყოლილი ოქროს მტვრის ნატამალი, ამიტომ თუ მას სერიოზულად გადაუწყვეტია მშობლიური ენის უანგარო სამსახური, მაშინ საბოლოოდ უნდა ჩამოეთხოვოს უცხო-უცხო სიტყვებთან თავშესაწყენ ლაციც-ლაზლანდარობას, აიკიდოს საჭირო იარაღები და თამამად ჩავიდეს ქართული სასიტყვეთა ოქროს საბადოში.

მე სხვა სწორ გზასა და რჩევას ვერა ვხედავ.

* * *

ინტერვიუს სათაური „... და კინალამ თავი მოვიკალი“, ავტორის ერთ-ერთი პასუხიდან არის გამოტანილი. აი, ის პასუხიც.

„— 97 წელს „არილში“ სამი მოთხრობა დაიბეჭდა. ერთი-ორი ორთოგრაფიული შეცდომა გაიპარა და კინალამ თავი მოვიკალი. სხვაფრივ (უნდა იყოს სხვაგვარად. ჯ. მ.) ყველაფერი კარგად იყო“.

ავტორსაც და რედაქციის ხელმძღვანელობასაც ღრმად უნდა ჰქონოდათ შეგნებული ამნაირი სათაურის მნიშვნელობა და ქვეტექსტი: ავტორი მშობლიური ენის სიწმინდეს თუკი მართლა ასეთი თავგადადებით ეკიდება, მაშინ თავისთავად იგულისმება, რომ ამ განვლილ წლებში მწერალი უფრო დახვეწდა თავის ცოდნას და მისი ახალი ნაწარმოები დაზღვეული იქნებოდა მსგავსი შეცდომების განმეორებისაგან.

სამწუხაროდ, არც „ბოლო ზარი“ გამოდგა გამონაკლისი. ოღონდ ეს კი არ ვიცი: ეს შეცდომები თვითონ ავტორს გაეპარა, რედაქციის თანამშრომლებმა კი ვერაფერი შეამჩნიეს თუ პირიქით: ავტორს ყველაფერი სწორად ჰქონდა, მაგრამ რედაქციამ უნებურად უფრო გაუფუჭა. თუმცა ჟურნალის რედაქცია არც ერთ შემთხვევაში არ თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან: საერთოდ, თუ ავტორს რამე არასწორად უწერია, რედაქ-

ცია მოვალეა ან თვითონ გაასწოროს, ანდა ხელნაწერი პატრონს დაუბრუნოს და მითითებული შეცდომები გაასწორობინოს. ხოლო თუ ავტორს ხელნაწერში ყველაფერი რიგზე აქვს, მაშინ რედაქციის მესვეურებს აუცილებლად უნდა გააჩნდეთ იმდენი ცოდნა-გამოცდილება, უნაკლო ხელნაწერი აღარ ნაუხდინონ!

მოკლედ, ასეა თუ ისეა, ავტორმა და ჟურნალის რედაქციამ ერთმანეთში თავად გაარკვიონ ურთიერთობა, ჩვენ კი სხვადასხვა სახის შეცდომებს მივხედოთ.

პატივცემულო მკითხველო, რაკი ვგუमानობ, ამდენი კრიტიკა გადაგლიღდათ, სულმოსაბრუნებლად ერთ პატარა შემთხვევას გამბობთ, რომელმაც შეიძლება ვერ გაგაცინოთ, მაგრამ იქნებ ღიმილი მაინც მოგგვაროთ.

მეუღლის დაქალის ნათესავმა ქალბატონმა შარშანწინ ჩვენთან თავისი ძმინული — ცხრამეტი წლის მშვენიერი ქალიშვილი მოიყვანა თავისი ხელნაწერებით და მთხოვა — ერთი მოთხრობები გაუსინჯეო.

აბა, რაღას ვიზამდი — ნათქვამია, სტუმარი ღვთისააო.

ჩვენთვის ხელი რომ არ შეეშალათ, მანდილოსნები სამზარეულოში გაიკრიფნენ ყავის მოსადუღებლად, მე კი ახალგაზრდა დებიუტანტი სანერი მაგიდის წინ დავისვი და მთელი გულსყურით ჩავუღრმავდი მის ხელნაწერებს.

„მოთხრობები“ ყოვლად კეკლუცურ-პრიმიტიული ტექსტები გამოდგა. მაგრამ ეგ არაფერი: განცვიფრებასა და შინაგან რისხვას მოგგვრიდათ სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კურსის სტუდენტის ორთოგრაფიული უვიცობა. რამდენიმე შეცდომა ახლაც მახსოვს: „ის ის იყო, ზაზამ დაურეკა“. ხან და ხან ზაზა ესიზმრებოდა“: „რა ექნა, თუ კი უყვარდა“ და ა. შ. არადა, უნდა იყოს: ის-ის იყო, ხანდახან, თუკი და ა. შ.

ამ ყაიდის შეცდომებმა მოთმინებიდან გამომიყვანა და მართალია, თავშეკავებული, მაგრამ, როგორც ეტყობა, შეკითხვა მაინც ცოტა ცივი კილოთი გამომივიდა.

— ერთი გამაგებინეთ, შინ ორთოგრაფიული ლექსიკონი გაქვთ?

— ორთოპედიული ლექსიკონი რად მინდა?! — გაეცინა გაკვირვებულ ქალიშვილს და უცნაურად შემომამტერდა, — მე მწერალი მინდა გავხდე და არა ექიმი-ორთოპედი!

ენა მუცელში ჩამივარდა და რამდენიმე წამს ასე განცვიფრებულ-გაოგნებულები შევცქეროდით ერთმანეთს.

ბოლოს გაირკვა, რომ სტუმარს ორთოგრაფიული ლექსიკონის არსებობა კი არა, თვით ამ სიტყვის მნიშვნელობაც კი არა სცოდნოდა და თურმე პგონებოდა — ექიმის რალაც ორთოპედულ ლექსიკონზე ვეკითხებოდი, რაც სულელურ მდგომარეობაში მაყენებდა: მის ხელნაწერებში გაკვრითაც კი არ იყო ნახსენები ავადმყოფი, ექიმა, წამალი, საერთოდ, მედიცინა!

სხვა რაღა დამრჩენოდა: გადავწვი ჩემს გაცვეთილ ორთოგრაფიულ ლექსიკონს, გადავფურცლე და, როგორც შემეძლო, ავუხსენი, რას წარმოადგენდა და რისთვის იყო საჭირო.

ქალიშვილის წრფელ სიხარულსა და აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა — მან ჩემ თვალწინ ამერიკა აღმოაჩინა! ამ ლექსიკონმა უცებ დაგვაახლოვა.

— ეს რა კარგი რამე მასწავლეთ!.. უეჭველად მეც ვიყიდი! — შესძახა აღფრთოვანებით, მაგრამ მოულოდნელად ისევ გაშტერდა, წიგნი უაზროდ გადაატრიალ-გადმოატრიალა და მისმანამ სრული ჭეშმარიტება ამოთქვა, — კი მაგრამ, მე როგორ უნდა მიეხვდე, როდის მჭირდება და როდის — არა? სულ ამის ფურცვალში ხომ არ ვიქნები?!

მართლაც!...

ცხადია, მწერალ ლაშა ბულაძეს, ჟურნალის მთავარ რედაქტორს, თამარ მამაცაშვილს და მთავარი რედაქტორის მოადგილეს, მანანა ჯანელიძეს არ შეეკადრებ ამნაირ კითხვას — მუდამ ცხვირწინ უდევთ თუ არა ეს „ორთოპედული“ ლექსიკონი, მაგრამ იმის შეტყობას კი უკვე ველარსად წაუვალთ, რამდენად აქვთ განვითარებული მისი ხმარების ალლო და კულტურა.

„სიყვარული გაჩაღდა ურთიერთს შორის“. უნდა იყო ურთიერთ შორის.

ავტორი მოზარდებზე გველაპარაკება.

„თხუთმეტი წლიდან ხომ სადარბაზოსთან ჩაკუზვის (უნდა იყოს ჩაკუნტვის ან ჩაცუცქების. ჯ.მ.), ფურთხ-

ის გუბეთა დაყენების, ცხვირთა ქექვის, შავი ქუდის ნიკაპამდე ჩამოფხატების... დრო ღებება".

კი მაგრამ, რა საჭირო იყო აქ მრავალობითი რიცხვი — თუგინდ ათასი მოზარდი იყოს ერთად თავშეყრილი, თოთოეულ მათგანს ხომ მაინც ერთი, თავისი საკუთარი ცხვირი ექნება ამ ნიკაპივით?! რა გამოდის: ცხვირი მრავალობითი რიცხვით არის ნახმარი, ნიკაპი და ქუდი კი მხოლოდითი. რაკი ავტორმა ნიკაპი და ქუდი სწორად იხმარა მხოლოდითით, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ სადარბაზოსთან ჩაკუნტულ მოზარდთა ჯგუფს მხოლოდ ერთი, საერთო ფანტასტიკური ნიკაპი ექნებოდა და ერთი უზარმაზარი, საერთო შავი ქუდი ყველას ერთდროულად ეხურებოდა! თავისთავად ცხადია, აქ თითოეული მოზარდის ინდივიდუალური, საკუთარი ნიკაპი და საკუთარი ქუდი იგულისმება! ამიტომ ავტორს ცხვირიც მხოლოდ მხოლოდითი რიცხვით უნდა ეხმარა! ან რანაირი ქართულია ჩამოფხატების? უნდა იყოს ჩამოფხატვის. თანაც ცხვირს არ კი იქექავენ, არამედ იჩიჩქნიან ხოლმე.

მოკლედ, ეს წინადადება ასე უნდა აგებულიყო.

„თხუთმეტი წლიდან ხომ სადარბაზოსთან ჩაკუნტვის (ან ჩაცუცქების), ფურთხის გუბეთა დაყენების, ცხვირის ჩიჩქნის, შავი ქუდის ნიკაპამდე ჩამოფხატვის... დრო ღებება“.

„ანკი ნახავდა საერთოდ?“ უნდა იყოს ან კი.

„ყმანვილები ძლივას სწვდებოდნენ თეძომდე“. უნდა იყოს ძლივს.

„პაჯერო რო ყავს“. უნდა იყოს ჰყავს.

„— რა მანქანა ყავს?“. უნდა იყოს ჰყავს.

„ვინ დანყველა ასე?“ უნდა იყოს დასწყევლა.

„სხვა არავინ უყვარდება ამ ნადრიკუჩას გარდა“.

რა გამოთქმაა უყვარდება? ავტორს სხვა სიტყვითა და სხვა-ნაირი წინადადებით უნდა გამოეხატა აქ გატარებული აზრი.

„ნადროს წინო მოწონს“. უნდა იყოს მოსწონს.

„წყალბურთელს მიყვება ცოლად“. უნდა იყოს მიჰყვება.

„კიდევ უფრო ეფიცებოდა სიყვარულში“.

რუსული ენის კალკია. უნდა იყოს „კიდევ უფრო ეფიცებოდა სიყვარულს“.

„ამჟამად ღონ-კიხოტს იზეპირებდა“. უნდა იყოს „ღონ კი-ხოტს“.

„მზესუმზირის ქერქების დანახვისთანავე ნინჩოს მისი სატრ-ფო... ახსენდებოდა“.

გასაკვირია, ვილა „მისი“, ვისი „მისი?“ ნინჩოს „მისი“ კი არა, თავისი სატრფო ახსენდება!

მზესუმზირა საზამთრო ხომ არ არის, ქერქი ჰქონდეს — უნდა იყოს ჩენჩო და ისიც მხოლობითში.

„მზესუმზირის ჩენჩოს დანახვისთანავე ნინჩოს თავისი სატრ-ფო... ახსენდებოდა“.

„არმისული მიწისქვეშა გადასასვლელთან“.

უნდა იყოს „მიწისქვეშა გადასასვლელამდე“.

„გადაკოცნების ჯერიც დადგა“.

რაკი ტექსტიდან ნათლად ჩანს, რომ აქ თანაკლასელ გო-გონებსა და ბიჭებზეა ლაპარაკი, წინადადებაც სხვანაირად უნდა აგებულყო. მაგალითად, „ერთმანეთის გადაკოცნის ჯერ-იც დადგა“. და არა ეს „გადაკოცნები“.

„პარტი-ისტორიის კურსს კითხულობდა“. უნდა იყოს პარტი-სტორიის.

„ეპიზოდი ჯერ არ იყო ბოლომდე ამონურული“.

არადა, აქ ინციდენტი იყო ამოსანური და არა ეპიზოდი.

„მოზი-დიკის“ ნაკითხვა რომ აუკრძალა“. უნდა იყოს „მოზი დიკის“.

„ქამარზე იარაღ-მიმაგრებული“. უნდა იყოს იარაღმიმაგრე-ბული.

„ვერ მიხვდეს, ვინ მიწერაო“. უნდა იყოს მისწერაო.

„მოდო, კიდე მიწერე!“. უნდა იყოს მისწერე.

„ეგრე არ არის, ამ ჩათლახებს როგორც ჰგონიათ!“

უნდა იყოს „ეგრე არ არის, როგორც ამ ჩათლახებს ჰგო-ნიათ!“

„აგრერიგად გადაბმული და მიწეპებული“. უნდა იყოს მიწე-ბებული.

„რეები ვებოდილალო“. უნდა იყოს რაები.

„ვერ იტანდა კარებებს“. უნდა იყოს კარებს. კარებები დაგ-მობილი ფორმაა.

„მამაო ჩაფიქრდა“. უნდა იყოს „მოძღვარი ჩაფიქრდა“. ან „მამა თორნიკე ჩაფიქრდა“.

„მოთქვამდა ლამარა“. უნდა იყოს მოსთქვამდა.

„რა დებილი ვარ, რეები მწყინსო“. უნდა იყოს რაები.

„ოთხჯერ მოყვა ერთსა და იმავე ამბავს“. უნდა იყოს მო-
ჰყვა.

„-- ვის დაყავხარ ხოლმე?“. უნდა იყოს დაჰყავხარ.

„კბილებს შორის სცრიდა“. უნდა იყოს ცრიდა.

„— ეგ დედაჩემს კითხე“. უნდა იყოს ჰკითხე.

„პრობლემა მშობლებში კი არა, თავად დემურში, უფრო სწორად კი ბუბაში იყო“.

რუსული ენის ამაზრზენი კალკია! კაცს თუ მწერლობის პრე-
ტენზია აქვს, აქ ნაგულისხმევი აზრი უფრო ხეირიანი წინადადე-
ბებით უნდა გამოეხატა, ხოლო თუ აღარ დაიშლიდა, ასე მაინც
დაეწერა. „პრობლემა მშობლები კი არა, თავად დემური, უფრო
სწორედ კი ბუბა იყო“.

„მერამდენედ მოყვებოდა ამბავს“. უნდა იყოს მოჰყვებოდა.

„ხათუნასთან... ძველბიჭობა დადიოდა ყინის დასაცხრობად“.
უნდა იყოს დასაცხრომად.

„დიდის მოწინებით... უფათურებდა ხელებს“. უნდა იყოს
დიდი მოწინებით.

„ეგეთები მოწონს“. უნდა იყოს მოსწონს.

„უშველებელი ვერცხლის ჯვარი ეკეთა“.

ადამიანს, მორწმუნს ჯვარი ჰკიდია და არა უკეთია.

„ნიკუმამ ფანჯრები ჩაწია“. უნდა იყოს ჩაწნია. თანაც მსუბ-
უქი ავტომობილის კარებს მინები აქვს და არა ფანჯრები.

„— რატო მინერა?“. უნდა იყოს მისწერა.

„გამაგებინე, რა ჭირსო?“. უნდა იყოს სჭირსო.

„ბოლო-ბოლო მეც ვისწავლი“. უნდა იყოს ბოლოს და ბო-
ლოს.

„სუფრასთან არავინ დამსხდარა“. უნდა იყოს დამჯდარა.

„ჩემ კლასელებს არ იცნობენ“. უნდა იყოს ჩემს.

„— რო ზიხართ აქ ქაჯებივით“. უნდა იყოს სხედხართ.

„დანარჩენები ტაქსებში მიმოგანთავსდნენ“.

სად ნასწავლი ქართულია ეს მიმოგანთავსდნენ?!

„ნინ მარტო ბოზები ჯდებიან“. უნდა იყოს სხდებიან.

„მამაო აკურთხებს ამ დანესებულებას“. უნდა იყოს „მამა თორნიკე აკურთხებს ამ დანესებულებას“.

„ნაკურთხი წყალი დემურსაც მიეპკურა, რომელიც იმით, რაც აქ ხდებოდა, სულაც არ იყო აღფრთოვანებული“.

რა უმეცრულად არის ჩაჩრილი აქ ეს „რომელიც იმით“. ნინადადების აგებას მეტი დაკვირვება და ოსტატობა სჭირდება!

„ანკი რას ეტყოდა“. უნდა იყოს ან კი.

„ლადუნამ პოლიციელი შეუბრალებლად დაპორტყენა“.

ლექსიკონებშიც ვერსად ვნახე — რას ნიშნავს დაპორტყენა?

„სიბრძნის კბილი... საკეთარი ხელებით ამოუძვრია“.

ავტორი სულ არ უკვირდება, რას ამბობს! რა არის სიბრძნის კბილები? აი, ლექსიკონის პასუხი: „კბილები, რომლებიც თითოეული ყბის ორსავე ბოლოში ამოსდის ადამიანს 20 წლის შემდეგ“.

ჰოდა, მითითებულ ადგილს ცერითა და საჩვენებელი თითითაც ძლივს მივუდგებით და ორი ხელი — წარმოიდგინეთ, ორი ხელი!!! — კაცმა როგორ უნდა ჩაიყოს პირში სიბრძნის კბილის ამოსაძრობად?!

მოკლედ, „საკეთარი ხელებით“ შეიძლება, მაგალითად, საძოვარზე პირუტყვის დასაბმელად დასობილი პალო ამოვადროთ და არა სიბრძნის კბილი!

„ანეკდოტი მოყვა“. უნდა იყოს მოჰყვა.

„— რა უბნელი ხარ, ბიჭო?“

უნდა იყოს „რომელი უბნელი ხარ?“ ან „რომელი უბნიდან ხარ, ბიჭო?“

„გული დანყდა დემურს“. უნდა იყოს დასნყდა.

„დაკიდა თუ არა ყურმილი“. უნდა იყოს დაჰკიდა.

„ამას ხომ ნინჩო მონონს“. უნდა იყოს მოსწონს.

„ჯამბულა სამი თვით ჩამჯდარა ციხეში“.

ჯამბულა ციხეში თავისი ნება-სურვილითა თუ ინიციატივით კი არა ჩაჯდებოდა, არამედ იძულებით ჩასვამდნენ.

„ყმანვილს ეძებდა, რომ მიჯახებოდა“. უნდა იყოს მისჯახებოდა.

„თვალი მოჰკრა ბუჩქებთან მოკოცნავე წყვილს“.

უნდა იყოს „თვალი მოჰკრა ბუჩქებთან მკოცნელ წყვილს“.
„ფეხსაცმლის გახდას ცდილობდა — გაიხდიდა თუ არა,
ქუსლს ისევ უკან აკვეთებდა“.

რას ნიშნავს აკვეთებდა?

„ამირანას გაყვნიენ“. უნდა იყოს გაჰყვნიენ.

„სცენას უკნიდან მოუარეთო“. უნდა იყოს უკანიდან.

„რატო წამოყვა კანკას“. უნდა იყოს წამოჰყვა.

„უფრო აგზნებული იყო“. უნდა იყოს აღგზნებული.

„ამირანას მაინც გაყვაო“. უნდა იყოს გაჰყვაო.

„გაიგეს იმ სახლის მისამართი, სადაც ამირანა ცხოვრობდა
და მანქანით აადგნენ“.

„პირდაპირ სახლში ამოგადგებო“.

„ნუციკოს სახლში აადგნენ“.

სადაური ქართულია აადგნენ?! ავტორს „მიადგნენ“ მაინც
დაენერა!

„ტროტუარზე ავარდნილა. შეჯახებია ხეს“. უნდა იყოს შეს-
ჯახებია.

„დამტვრეული ხელ-ფეხით და ტვინის შერყევით დაუნვე-
ნიათ საავადმყოფოში“.

როგორ მოგნონთ წინადადების კონსტრუქცია და აზრი?!

„ორივე ასაკში იყო“. ისევ რუსულის კალკი! უნდა იყოს
„ორივე ასაკოვანი იყო“.

„ბოლო-ბოლო, ხომ მაინც მომიწევდა თქმაო“. უნდა იყოს
ბოლოს და ბოლოს.

„შავ მანქანას წაუჩერებია იქვე“.

ან ეს სადაური ქართულია — წაუჩერებია?! ნუთუ ავტორს
მართლა ჰგონია, რომ მშობლიურ ენაში არის. ასეთი სიტყვები:
წაჩერებს, წაჩერება, წაჩერებული...

„ცოლადაც გაყვება“. უნდა იყოს გაჰყვება.

„ხურციძეს კოხტა გოგოც კი გაეცნო, საყურეებით დახ-
ვრეტილი სხეულით, ირკა“.

რას ნიშნავს, მკითხველმა როგორ გაიგოს ეს „საყურეებით
დახვრეტილი სხეულით?“

„არ არსებობდა, რომ კიდევ მოსწონებოდა ვინმე“.

ჯერ საერთოდ და, მით უმეტეს, ავტორისეულ *თხრობაში*, რას ნიშნავს ეს „არ არსებობდა?“ რა „არ არსებობდა?!“

„ერთ წელიწადში ცოლად გააპყოლია კალათბურთელ კუნსა ჩინჩალაძეს“.

ისევ და ისევ რუსულის კალკი უნდა იყოს ერთი წლის შემდეგ.

„მალევე გადაყვარებია დემური“. „ნინჩო დიდი ხანია, რაც გადაყვარებოდა“.

ქართულ ენაში არ არის სიტყვები: გადაყვარება, გადაუყვარდება, გადაყვარებია... თან მეორე წინადადება არასწორად არის აგებული. უნდა იყოს: „დიდი ხანია, რაც ნინჩო გადაპყვარებოდა“.

„გამბედაობა არცერთხელ არ ეყო“. უნდა იყოს არც ერთხელ.

„სწორედ ამ წუთას კოცნიდა“. უნდა იყოს ამწუთს.

„პუსკას შავი ლაკის ფეხსაცმელები ჩაეცვა“. უნდა იყოს ლაქის.

„ვის ჭირდება ბრისტოლში რუსული“. უნდა იყოს სჭირდება.

ამის თქმაც კი მეუხერხულება, მაგრამ აღარც უთქმელობა იქნება.

ავტორსაც და რედაქციის მესვეურებსაც ძალიან უჭირთ სასვენი ნიშნის, მძიმე თავის დროსა და ადგილზე დასმა. ეტყობა, ამას თავადაც გრძნობენ და როგორც მსგავს შემთხვევაში ხდება ხოლმე, მძიმეს ვარაუდით (?!), გარკვეული რაოდენობის სიტყვების შემდეგ(!) ალაღბებდნენ (!!!) ხმარობენ! აი, რამდენიმე მაგალითი.

„— აუ, ეს ნადრიკურა არაა, ძმაკაცის ნათლია, ქალაჩუნა ოთარ თევზაძე, რომ შემოაკვდა წყნეთში!“

რა საჭიროა აქ ეს ბოლო, მე-4 მძიმე?

„ნინჩომ მაშინვე იმ ადგილისკენ გაიხედა, სადაც ნადრიკურა ეგულებოდა, თუმცა, ნადრიკურა იქ აღარ დაუხვდა“.

ან აქ რა საჭიროა ეს ბოლო, მე-3 მძიმე?

„ამ ხნის განმავლობაში, ნადრიკუჩა სამჯერ დაიჭირეს და სამჯერვე შეძლებული ნათესავეების წყალობით გამოუშვეს ციხიდან“.

არც აქ არის საჭირო ეს ერთადერთი მძიმე, მაგრამ ნათქვამია: შიშს დიდი თვალები აქვსო! ჰოდა, ეტყობა, იფიქრეს — როგორ შეიძლება ამდენ სიტყვებში სადმე ერთი მძიმე მაინც არსად იჯდესო და ასე ალაღბებდზე, თითქო ლაზათისთვის ან თვითონ ავტორმა დაუსვა, რედაქციაში კი ვერვინ მიხვდა, ეს მძიმე რომ ამოსაგდება იყო, ანდა შეიძლება არც იჯდა, მაგრამ რედაქციამ თვითონ „გამოასწორა“ მწერლის „შეცდომა“ და მთელი თავდაჯერებით წამოასკუბა ეს სრულიად ზედმეტი მძიმე!

„ზარის დარეკვის შემდეგ, გოგონები თეიკოს რკალად შემოერტყნენ“.

ავტორი თუ არა, ნუთუ რედაქციის რომელიმე მუშაკი მაინც არ უკვირდება სათქმელის მუსიკალობას, წინადადების სუნთქვასა და აზრის რიტმს?!

„ზარის დარეკვის შემდეგ გოგონები თეიკოს რკალად შემოერტყნენ“.

აბა, აქ სად ან რად უნდა მძიმე?

„მობილური ტელეფონი კლასში, თითქმის, ყველას ჰქონდა“.

ეს უკვე მეტისმეტია — როგორც ჩანს, რედაქციაში არავის არ გააჩნია მმობილური ენის სუნთქვა-მუსიკალობის მოსმენისა და აღქმის ნიჭი! რა საჭიროა აქ ასე ცხენის დუშაყებივით ნახმარი ან ერთი, ან მეორე მძიმე, როცა მათი შემაფერხებელი ჩარევის გარეშე უნდა იქლეროს წინადადებამ, თვისუფლად და ნათლად გამოითქვას აზრი.

„მობილური ტელეფონი კლასში თითქმის ყველას ჰქონდა“.

მორჩა და გათავდა! რა არის აქ გაუგებარი? რა საჭიროა აქ სასვენო ნიშნებით ჩადენილი ბარბაროსული ძალმომრეობა?!

ეჰ, აქ უნდა შევწყვიტო, თორემ ასე ამ და ბევრ სხვა ნაწარ-
მოებსაც რომ ჩავეყვე, ერთი ამოდენა წიგნი კიდევ მარტო სასვენ
ნიშნებზე კამათს მოუნდება, მე კი სამაგისო წუთისოფელი არ
გამაჩნია.

„აუტანლად ტკივდებოდა მკერდი“. უნდა იყოს სტკივდებო-
და.

„სულ მთლად გალიზიანებოდა ძუძუსთავები“.

ქართულ ენაში არ არის სიტყვა ძუძუსთავი — ამის აღმნიშ-
ვნელია კერტი. ამიტომ ავტორს ამ კონტექსტში უნდა ეხმარა
სიტყვა „კერტები“.

„ასე სულელივით თავი არასდროს უგრძნია“.

უნდა იყოს უგრძნია.

„ვინ თქვა, კლასელებს (უნდა იყოს თანაკლასე-
ლებს. ჯ.მ.) ერთმანეთი არ უყვარდებათო? (ისევ ეს
ნელანდელი უყვარდებათ! ჯ.მ.). აგერ, ლელუკა და
ჟვერაჟა, მაგალითად, უკვე დადიან!“

ღმერთო ჩემო, რა დაუფიქრებელი, ქარაფშუტული ჭვრეტისა
და წერის მანერაა!!!

თანაკლასელების გაკვირვებისა და ინტერესის საგანი ის კი
არ არის, ლელუკამ და ჟვერაჟამ სიარული რომ იციან და „უკვე
დადიან“, არამედ ის, ერთად რომ დადიან, როგორც შეყვარებუ-
ლები!!! ავტორი კი ამას ვერ გვაგებინებს! თანაც „მაგალითად“
წინადადების თავში უნდა ეხმარა და არა შუაში!

„შენს გვერდით რომ ვდგავარ!“ უნდა იყოს შენ
გვერდით.

„ზოგი ცოლების ან ქმრების მოთხოვნით სახლში
ადრე გაიპარა“.

ამ ავტორსაც და რედაქციასაც სულ ერთმანეთში ერევათ
კრებითობასთან დაკავშირებული მხოლოებითი და მრავლობითი
რიცხვი. კი მაგრამ იმ „ზოგს“ — კაცი იქნებოდა თუ ქალი —
მაინც რამდენი „ცოლები“ ან „ქმრები“ ჰყავდა: ორი, სამი,
ხუთი, შვიდი, ცხრა?! გარდა ამისა, აქ სრულიად უადგილოდ
და დილეთანტურად არის ნახმარი სიტყვა „სახლში“, ვინაიდან

მთავარი ის კი არ არის, ზოგიერთი ცოლ-ქმარი „სახლში“ რომ გაიპარა, არამედ ქეიფიდან რომ გაიპარა! თორემ თუკი ლხინი-დან გაიპარებოდნენ, მერე ერთმა ალაჰმა უწყის და თან აღარც არის საინტერესო, ვინ სად წავიდოდა: შინ, კინოში, თეატრში, სასეირნოდ, მამიდასთან, დეიდასთან, ნაცნობთან თუ მეგობართან...

აი, კიდევ რას მოგვითხრობს ავტორი.

„მარჯვნივ მისი ქამარი გაფრინდებოდა, მარცხნივ გაყავისფრებული ნასკები“.

ამგვარი ხშირ-ხშირი შეცდომები პირდაპირ მახევენს და მეჩვენება, რომ ვეკამათები არა რეალურ, პროფესიონალ ოპონენტებს, არამედ სიზმარში ნამოლანდებულ, ერთმანეთში წინასწარ მოლაპარაკებულ ჯადოქალ-მოჩვენებებს, რომელთაც მტკიცედ გადაუნვეტიათ, თავიანთი განზრახ მოგონილი უვიცობით ჭკუიდან გადამიყვანონ, თორემ როგორ დავიჯერო, მთავარმა რედაქტორმა ან მისმა მოადგილემ ეს მაინც არ იცოდეს, რომ *Hockii* ქართულად წინდას ნიშნავს?!

* * *

მოკლედ, მხატვრულად მდარე „ბოლო ზარი“ გაჭედილია ურიცხვი სქემატური პერსონაჟებით, უხამსი ლანძღვა-გინებით და ბილნსიტყვაობით, წრეგადასული ჟარგონით და უცხო სიტყვებით. ხოლო ისედაც წყალწყალა, მჭლე ქართული — პერსონაჟთა მეტყველება და ავტორისეული თხრობაც — აზრობრივი და ენობრივ-სტილისტური შეცდომებით არის დახუნძლული, საიდანაც ნათელი ხდება, რომ ავტორი სათანადოდ ვერ ფლობს ენას — ნამდვილი მწერლის ერთადერთი იარაღი კი სწორედ ენაა და სხვა არაფერი!

ყოველივე აქედან გამომდინარე, ჟურნალის მთავარი რედაქტორი ნება-უნებურად ემსგავსება ლიტერატურულ ალქიმიკოსს: როგორც შუა საუკუნეებში დასავლეთევროპელი ალქიმიკოსები რალაც წარმოსახვითი ნივთიერების — „ფილოსოფიური ქვის“ მეშვეობით ამაოდ ლამობდნენ არაკეთილშობილური ლითონების კეთილშობილურ ლითონებად გადაქცევას, ჟურნალის მთავარი

რედაქტორიც ასეთივე დაჟინება-ამაოებით ცდილობს ენის უცოდინარი ავტორებისგან ნამდვილი მწერლების შექმნას!

დაბოლოს, სხვა აღარაფერი დამრჩენია გარდა იმისა, რომ ჟურნალ „ლიტერატურულ პალიტრას“ საქვეყნოდ გამოვუცხადო ჩემი, როგორც ერთი რიგითი მწერლის პროტესტი: ამგვარი ტექსტების გამოქვეყნება აუფასურებს მხატვრულ ღირებულებებს, რყვნის მკითხველს, მეტადრე მოზარდთა ზნეობას და თავისთავად ცხადია, ლიტერატურულ გემოვნებასაც.



მწერალი მარინა ნანობაშვილი ჟურნალის ფურცლებზე ორჯერ გამოჩნდა.

2005 წლის საახალწლო ნომერში დაიბეჭდა მისი სამი მოთხრობა — „აპექსი“, „მარგარიტა და ოსტატი“ და „ვერონიკას თმები“.

2006 წლის საახალწლო ნომერში კი ორი მოთხრობა ვიხილეთ — „მეფის გამბიტი“ და „საავადმყოფოში“.

მოთხრობას „ვერონიკას თმები“ ჟურნალის ერთი ფურცელი და ერთი სვეტი უჭირავს.

აი, როგორია მისი პირველი წინადადება.

„აბსურდმა ნელ-ნელა ჩანისლა რეალობა“.

პირდაპირ გასაშტერებელი და ამავე დროს სოციალურ-ფსიქოლოგიურად გამოსარკვევია, რასაც გამოცდილმა მეცნიერმა შეიძლება სადოქტორი დისერტაციაც კი მიუძღვნას, რათა გაირკვეს, რა ხდება: ახალგაზრდა, ნიჭიანი დებიუტანტი, წარმოშობით ქიზიყიდან, სუფთა ქართველი მშობლების შვილი, თვითონაც წმინდა ჩამომავლობის ქართველის მეუღლე და დედა, ქართულ ენაზე მოთხრობის დასაწერად რომ მიუჯდა სანერ მაგიდას, მისი მწერლური გონი და ცნობიერება ქართული ღვთაებრივი სასიტყვეთის ნაცვლად რალა მაინცდამაინც უცხო სიტყვა-ტერმინთა მრუმე ქაოსებში დაფარფატებს და სწორედ იქ დაეძებს მოთხრობის საძირკველში სათუთად ჩასაწყობ საბალავრე პირველ ქვა-სიტყვებს? როგორ დავიჯერო, ქართულ

ენაში არ მოიძებნა, ანდა უფრო უარესი, ავტორს არ მოეწონა
ორად ორი რომელიმე მშობლიური სიტყვა, მოთხრობის დასაწყ-
ისში მაინც რომ ჩაეყენებინა ჯაჭვისპერანგიანი საიმედო მეცნი-
ოვნეებივით?! მაგრამ არა!!! როგორც ხედავთ, ავტორმა პირვე-
ლივე, ოთხსიტყვიანი წინადადების თავსა და ბოლოს რატომღაც
ისევ ეს უცხო, ოპტიკურსამიზნიანი შაშხანებით შეიარაღებული
ტერორისტ-სნაიპერები ჩაასაფრა, რომლებიც მერე ავტორის
ნაქეზებით მუსრს ავლებენ ავტორისგანვე ათვალწუნებულ,
უპატრონოდ მიმოყრილ ქართულ სიტყვა-მარგალიტებს და მათ
ადგილას თავიანთსავე უცხო თესლის უტიფარ მოახალშენებს
ასახლებენ!!!

თქვენ გგონიათ, ვაზვიადებ ან ვხუმრობ? რა დროს ხუმრობაა
— ქართული ენის ცოდვით ცეცხლი მედება! მოუსმინეთ:

„ბოლომდე ჩაქრა ნების ილუზია“. „ცდილობდა გამოეც-
ნო მისი ყურადღების ობიექტი“. „დრომ... კარგად გაუშალა-
შინა კონტურები“. „გამძაფრებული ინტუიცია ეხმარებოდა“.
„განსხვავებულად ხარშავდნენ ყოველდღიურობის სინქრონს“,
„დისკომფორტი მესამე ტყუპივით მიჰკროდათ (უნდა იყოს
მიჰკვროდათ. ჯ. მ.) კეფაზე“. „მათი აკურატული ვიზიტები
კლიენტებს იზიდავდა“. „სალონი... ცხოვრების სიმბოლო იყო“.
„დეტალურად უხსნიდნენ სასურველ ვარცხნილობას“. „იფ-
ერებდა კომპლიმენტს“. „ისეთი აბსურდული კმაყოფილება“.
„კანიდან ძვრებოდა თავისი უყურადღებობის დემონსტრირები-
სას“. „კლიენტებთან საკუთარი ნაკითხობის დემონსტრირება
უყვარდა“. „ლავის კატეგორიას ჰქვია ასე“. „საკუთარი... ერუ-
დიციით კმაყოფილმა“. „შექანიკურად უკან გადადგა ნაბიჯი“.
„კაცი კომპლიმენტებად ეღვრებოდა სხვებს“. „შექრილიყო მისი
უსურვილო გულის ვაკუუმში“. „არაფრისმქნელმა მონოლოგ-
მა... „შეთამაშების ამ ძველმა შესტმა“. „მღვრიე ფანტაზიას
ულეივებდა“. „კოსმეტიკას წაისვამდა“. „უსარგებლო, სულიერი
რუდიმენტუივით... „ისინი სანყალი ინვალიდები იყვნენ“. „მო-
სწონდა... პოპულარობა“ „გაჭირვებით ითმენდა აუტირებულ
საზოგადოებას“. „აბსურდმა ნელ-ნელა ჩანისლა რეალობა“.
„პელემ ენერგიულად შეათამაშა... სხეული და მორიგ კლიენტს
სავარძელი გამოუნია“.

* * *

მოთხრობაში „მარგარიტა და ოსტატი“, რომელიც ჟურნალის ერთ ფურცელზე მეტია, იგივე მეორდება.

„მოდრაობები... გრაციოზული ჰქონდა“, „პარადოქსი კიდევ უფრო აძლიერებდა მის ეფექტს“. „ადაპტაციის საოცარი უნარის გამო“. „ყურადღების ცენტრში იყო“. „სასურველი ენერგიით მუხტავდა“. „ის გადაჭარბებული ემოციებით დარბოდა“. „ცეკვავდა, ჟესტიკულირებდა“. „სტუმრები აპლოდისმენტებად იღვრებოდნენ“. „თუ ემოციას ცხოვრება და არა რეალობა“. „ქალები კავალრებთან ერთად... მოენყვენ“. „მარგარიტა რევერანსებით ემადლიერებოდა“. „ზედმეტად კაშკაშა იყო, ზედმეტად რეალური“. „ხალხმრავლობა და ტრიუმფი“. „მაღალი და სიმპათიური“. „ძალზე გალანტური კავალერი აღმოჩნდა“. „უყვარდა პატარ-პატარა კაპრიზები“. „ხალისით დათანხმდა (უნდა იყოს დასთანხმდა. ჯ.მ.) პოზირებას“. „მარგარიტას კაპრიზებს შეჩვეული“, „აღტაცებული შეძახილები აპლოდისმენტებად გადმოიღვარა“. „რევერანსს გააკეთებს“.

* * *

უცხო სიტყვების უხვად ხმარებას ვერც მოთხრობა „საავადმყოფოში“ გადარჩენია, რომელიც ჟურნალის ერთი სრული ფურცელიც კი არ არის. აი, მისი პირველი წინააღმდეგა და პირველი აბზაცი.

„მორჩა, ცხოვრების ერთი ეტაპი დასრულდა“.

ამას ამბობს პირველი პირით მოლაპარაკე მთავარი პერსონაჟი — სამედიცინო ინსტიტუტდამთავრებული ქალიშვილი და ავტორს მაინცდამაინც ეს უცხო, ფრანგული სიტყვა „ეტაპი“ მოსწონს, რომლის მე-4 მნიშვნელობა მკითხველში ერთობ უსიამოვნო განცდებს აღძრავს.

„რევოლუციამდელ რუსეთში: გადასახლებაში გაგზავნილი ტუსალების ღამის გასათევი პუნქტი გზაზე, აგრეთვე მთელი გზა გადასახლების ადგილამდე; ბადრაგით სადმე გასაგზავნ ტუსალთა ჯგუფი, პარტია“.

არადა, ოქროს ახალმოჭრილი მონეტებივით მოწკრიალებენ ამ „ეტაპის“ შესატყვისი ქართული სიტყვები: ვადა, დრო, ყავლი,

საფეხური, მონაკვეთი, ნაწილი, ნაწყვეტი, მანძილი... მაგრამ რას იზამთ, როცა მწერალს უცხო სიტყვებისკენ მიუფრენს თვალ-გული. „თანაც რა პროფესია — ელიტარული“. „უფრო კომფორტულია“. „ეიფორიამ გადამიარა“. „პაციენტებთან უფრო მკაცრი და სერიოზულია“. „რომანტიკის გარეშე სიყვარულიც ქრება“. „ოჰ, რა სიმპათიურია!“ „— პაციენტი მოიყვანეს?“ „ვეარდები დეპრესიაში“. „პაციენტებთან (ანუ ავადმყოფებთან. ჯ.მ.) მიშვებენ“. „დეპრესია თანდათან მივლის“... „...რამელა თუ ჩამაგდებდა შოკში“. „არც სჭირდებოდათ, პრინციპში“. „სხეულის დაუსრულებელი ვიბრაცია“. „ერთ-ერთ ელიტარულ ადგილზე“. „ველარ ვაკონტროლებ თავს“.

* * *

მოთხრობა „მეფის გამბიტი“, რომელიც ჟურნალის გვერდ-ნახევარია, განზრახ ბოლოსთვის შემოვიინახე. როგორც გაზაფხულის დანვიმულ მინდორში ჭრელ-ჭრელი ყვავილები, აქაც ისე ბიბინებენ უცხო სიტყვა-სარეველები.

აი, მოთხრობის პირველი ხუთი, სრული აბზაცი.

„არიან ქალი-ცოლები (სახლი პლუს კერვა-ქარგვა პლუს ბავშვის საფენები პლუს ქმრის ცხოვრების მონა-მზარეული);

არიან ემანსიპირებული ქალები (ზემოხსენებულს მინუს კერვა-ქარგვა პლუს სამსახური);

ფემინისტები (ქალურ სანყისს პლუს ქალური სანყისი);

საბედისწერო (ქალურ სანყისს პლუს ქალური სანყისი);

ნარცისები (პრეტენზიებს მინუს რეალობა)“;

ჯერ საერთოდ და, მით უმეტეს, დასანყისიდანვე ამდენი უცხო სიტყვებითა და თავშესანყენი მინუს-პლუსებით გადატვირთული მოთხრობის მხატვრულობასა და ასე ზერეულედ ქალთა კატეგორიებად დაყოფაზე კამათი ძალიან შორს გაგვიტყუებს. ამიტომ ჯობია, ისევ აქ მიმოხილულ უცხო სიტყვებს მივუტრიალდეთ.

„უცებვე მოიღვედა შაბლონურ დებიუტს“. „საკუთარი ბოზიციის ისეთი... სინთეზი შეეძლო“. „...უფლებების თავიდანვე დაფიქსირება“. „გიას პროტესტმა უარესად გაუმძაფრა ინტერესი“. „ლიდერობის დამტკიცება“. „...ქმარი მოძალადის კომპლექსით“. „შესაძლო ვერსიად... ბრძოლაც განიხილა“. „არც კქონდათ პრეტენზია“. „იდეალური ქმარი ვიქნები“. „რეპუტაცია შეელახება“. „მწვადის პერსპექტივით იყო აღფრთოვანებული“.

ახლა კი დადგა დრო, მკითხველს აუხსნა, მოთხრობა რა მიზნით შემოვინახე ყველაზე ბოლოსთვის, მაგრამ ეს რომ გაირკვეს, ჯერ ისევ ავტორს უნდა მოვუსმინოთ.

„სიტუაცია იდეალური იყო“. „ნამში გაანალიზა სიტუაცია“. „— ბავშვს სიტუაცია აუხსნათ“. „რა სულელური სიტუაციაა“.

ხედავთ, რა ხდება და აქედან რა გამოდის — მწერალმა ერთ პანანინა მოთხრობაში მხატვრულობის თვალსაზრისით სრულიად უადგილოდ, თუმცა თავისებური ფანდითა და მიზანმიმართულებით ოთხჯერ(!) იხმარა ჟურნალისტებისა და სამხედრო კორესპონდენტებისაგან უღვთოდ გაცვეთილი უცხო სიტყვა „სიტუაცია“, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ახალგაზრდა მწერლისთვის აბსოლუტურად ყველაფერი: მშვენიერი თუ საჭოჭმანო გარემოება, გატაცებული ქალიშვილის შერცხვენის საფრთხე, გამტაცებლების ციხეში მოხვედრის საშიშროება, ქალიშვილის გაანჩხლება, ბიჭების გულგრილობა თუ სულელური ვითარება ერთმანეთისაგან მკვეთრად გამიჯნულ-განსხვავებული ცხოვრებისეული მოვლენა და ადამიანური განცდა კი არ არის — რასაც მწერლის ოსტატური მიდგომა და მალალმხატვრული ასახვა სჭირდება! — არამედ ეს ყველაფერი ათასგან ნათრევი, ერთადერთი სიტყვით მოსანათლავი და თავიდან იოლად მოსაშორებელი, ყბადაღებული სიტუაცია ყოფილა და მეტი არაფერი!!!!

აბა, ერთი ნუთით წარმოვიდგინოთ, მაგალითად, სერვანტესს ფუნდუკის მოსამსახურე გოგოს, მარიტორნესის სატრფიალო ოინების მიზეზით სხვენზე დაბინავებულ მამაკაცთა შორის შუალამისას გაჩაღებული ფიცხელი დაკა-დაკა, დავით კლდიაშ-

ვილს შაფათაძეების ქორნილში კირილეს მიერ ატეხილი ჩხუბი, ხოლო თომას მანს ტიფით გათანგული პატარა ჰანს ბუდენ-ბროკის სიკვდილის გენიალური აღწერის ნაცვლად ამ ზოგადი, ნაჩქარევი და მკრთალი, ვალმოსახდელი „სასაცილო, უცნაური, მძიმე თუ საშინელი სიტუაციის“ მონათვლით მიეფუჩეჩებინა!

აქ ბევრი მკითხველი უმაღ მიხვდება, ასეთ შემთხვევაში რას დაკარგავდა მსოფლიო კლასიკა!!!

მოკლედ, ნამდვილმა მწერალმა თავისი მკითხველი სპორტული კომენტატორივით ნაირგვარი „სიტუაციის“ წარამარა შეხსენებით კი არ უნდა გააბეზროს ან შემოიფრთხოს, არამედ დამაჯერებელი მაღალმხატვრულობით გააცხადოს თავისი სათქმელი და გულში ნურანაირ ეჭვს ნუ ჩაირჩენს — ღვთის წყალობა, მკითხველი თავადაც მიხვდება, რანაირ „სიტუაცია-საც“ ხატავს მწერალი!!!

აქ უნებურად მაგონდება ბელინსკის ცნობილი გამონათქვამი.

„Нет сомнения, что охота пестрить русскую речь иностранными словами без нужды, без достаточного основания противна здравому смыслу и здравому вкусу, но она вредит... только тем, кто одержим ею“.

* * *

„მე ვწერ შიშველი წერვებით“. — აცხადებს ახალგაზრდა მწერალი და რედაქციასაც სწორედ ეს ფრაზა გამოუტანია ინტერვიუს სათაურად.

რა თქმა უნდა, მკითხველის ნდობასა და პატივისცემას იმსახურებს ავტორის ამგვარი თავგადადება, მაგრამ მართო ეს არ იკმარებს — მან წერტილი უნდა დაუსვას უცხო სიტყვებით გატაცებას და თავანკარა ქართულით წერას მიჰყოს ხელი, თორემ ასეთი ხელგამლილობით ნახმარი უცხო სიტყვები მის ნაწარმოებებს მოთხრობისა და ჟურნალისტური სტატიის ნაძალადევე ჰიბრიდს ამსგავსებენ. ჯერ საერთოდ, მხატვრული პროზა და, მით უმეტეს, ფურცელნახევრიანი მოთხრობა ვერანაირად ვერ იგუებს, მაგალითად, ამგვარ წინადადებას. „აშკარად ეტყობოდა, რა გაჭირვებით ითმენდა აუფიტირებულ საზოგადოებას“.

ამიტომ მუდამ ფხიზლად უნდა გვახსოვდეს, ამა თუ იმ სიტყვას ვინ (მწერალი, ტელეკომენტატორი, ვეჟილი, ინჟინერი, ფილოსოფოსი, აგრონომი, კრების მდივანი...) ხმარობს და სად (რომანი, ლექსი, კრების ოქმი, ნარკვევი, სასამართლოს განაჩენი, დეპეშა, ნოველა, კონსპექტი...) ხმარობს. ამის უხემ უგულებელყოფას უანრობრივი აღრევა მოსდევს.

თვალსაჩინოებისთვის, აბა, ერთი გადავხედოთ ილიას ლიტერატურული მემკვიდრეობის ორივე მხარეს: პუბლიცისტიკასაც და ბელეტრისტიკასაც.

მრავალფეროვან პუბლიცისტურ წერილებში ილია თავის დროსა და თავის ადგილას ოსტატურად ხმარობს უცხო სიტყვებს: პროექტი, კანდიდატი, ლიბერალი, კონსერვატორი, აგრესორი, მილიტარობა, ჰუმანური, სისტემა, ეკონომიური, ფინანსები, ბიუჯეტი, ფანტაზია, პლანეტა, სენტიმენტალური, ტალანტი, კაპიტალი, ესთეტიკური, კონსტრუქცია, ჰარმონია, კომპლიმენტი, მექანიკური, რეპუტაცია და მრავალი სხვა.

ახლა ოთხივე კუთხით ბოდვის მოვიხდი თვით ამგვარი მკრეხელური აზრის გაზიარებისთვისაც კი, მაგრამ რომელიმე თქვენგანს შეუძლია წარმოიდგინოს, რომ ილია ჭაფჭავაძის მოთხრობებში იყოს, მაგალითად, ასეთი უცხო სიტყვებით „დამშვენებული“ წინადადებები: „მე, სწორედ, ნადირობის ენთუზიასტს რომ იტყვიან, ისა ვარ“. „ოთარაანთ ქვრივს დიდი ავტორიტეტი ჰქონდა სოფელში“. „პეპიას პათეტიკურად ჩაეცინა“. „ნამუსგარეცხილი დათიკო აგრესიულად იყო განწყობილი სოფლის პირწყლიანი გოგოებისადმი“. „გიორგის რეპუტაცია ბევრ თავადიშვილს შეშურდებოდა“. „პეტრეს ერთი უბრალო კონსტრუქციის ურემი ჰქონდა“. „თამრო მთელი დღე სენტიმენტალურ გუნებაზე იყო“. „დიდი ბატონი გაბროს ლიბერალურად ექცეოდა“. „ღვინის ურემების მარშრუტი ლოჭინის ხევზე გადადიოდა“. „ოთარაანთ ქვრივის ფანტაზია ვერ სწედებოდა შვილის გულისნადებს“. „გაბრო მძიმე სიტუაციაში ჩავარდა“. და ა.შ.

ცხადია, ვერა ჭკუათამყოფელი ილიას თავანკარა პროზაში მსგავს უცხო სიტყვებს ვერ წარმოიდგენს! არადა, რატომ? რა მოხდებოდა მერე — ერთგანაც ხომ დიდი ილია გველაპარაკება და მეორეგანაც იგივე დიდი ილია არის? ერთიც ხომ ქართველს

უნდა ნაეკითხა და მეორეც იგივე ქართველისთვის იწერებოდა?! მაგრამ არა და მრავალგზის არა!!!

პირველ შემთხვევაში გველაპარაკება პუბლიცისტი ილია, მეორეგან — პროზის ღმერთი ილია. პირველ შემთხვევაში ანუ პუბლიცისტიკაში ილია გვიღეჭავს ეკონომიურ, საპოლიტიკო, სოციალურ, ეროვნულ თუ სხვა საჭირობოროტო საკითხებს, სადაც არამცთუ დასაშვებია, არამედ თვით საგან-საკითხთა თავისებურება ითხოვს ზოგჯერ უცხო სიტყვათა ზომიერ, თავის ადგილზე ხმარებას, რათა სრულად და ბოლომდე ჩავწვდეთ საკითხის არსს. მხატვრულ პროზაში კი ლაპარაკია არა რომელიმე საჭირობოროტო, მაგრამ მაინც ზოგად პრობლემებზე, არამედ იძერწება ადამიანი, ეროვნული სული და ხასიათი, განცდები და ტკივილები, რისი ღვთიური გაცხადება მხოლოდ და მხოლოდ თავანკარა მშობლიური ენით არის შესაძლებელი!!!

როგორ ფიქრობენ უცხო სიტყვათა მოტრფიალე დებიუტანტები, მაგალითად, გურამ რჩეულიშვილის „ალავერდობას“ ექნებოდალა ის ხიბლი, მოთხრობა „მოკაზმული“ რომ იყოს, ეთქვათ, აი, ამ ყაიდის წინადადებებით.

„გუმბათის ლავგარდანზე ნონასწორობისათვის ხელებგაშლილი მიდის გურამი. მაგრამ უცებ შეჩერდა. ვინაიდან აჟიტირებული ხალხის გამო ველარ ახერხებდა კონცენტრირებას, ეს კი ზრდიდა ჩამოჩხვის პერსპექტივას. მან უცებ გაანალიზა სიტუაცია“.

ახლგაზრდა მწერლის უცხო სიტყვებით გატაცება, ცხადია, გულდასაწყვეტია, მაგრამ დღეს არა, ხვალ თავისით აეხილება თვალი და მისი მწერლური ცნობიერებაც სულ მშობლიური ენის საუფლოში იტრიალებს. აქ უბედურება სხვა რამ არის — ყურნალის რედაქციას წამლადაც კი არ მოეძებნება ერთი გამობრძმედილი მწერალი-ლიტერატორი, რომელიც ახალგაზრდა ავტორების წამდვილი დამრიგებელი, თვალის ამხელი, დამგეშავი, კვალზე დამყენებელი იქნებოდა.

როგორ, ამდენი უცხო სიტყვებით დახუნძლულ ნაწარმოებს რომელი ჭეშმარიტი რედაქტორი გაუშვებდა თავისი ყურნალის ფურცლებზე?! მაგალითად, გიორგი ნატროშვილი ნითელი

ფანქრით ააჭრელებდა ხელნაწერს და უკან გაატანდა ავტორს, რათა ახლიდან, სულ ქართული სიტყვებით გაეწყო და ისე მიეტანა რედაქციამში. თან, ცხადია, არც ამგვარი ლაფსუსები გამოეპარებოდა მხედველობიდან.

„როცა ზოგჯერ წელში მოხრას შეძლებდა“. უნდა იყოს შესძლებდა.

„გადაწვედა თავს“. უნდა იყოს გადასწვედა.

„მანქანა უკნიდან წამოენია“. უნდა იყოს უკანიდან.

მოთხრობაში „მეფის გამბიტი“ ავტორი გველაპარაკება შეყვარებული ახალგაზრდა კაცის განცდა-გრძნობებზე.

„გონს რომ მოვიდა, ვითარება კიდევ უფრო ჩახლართულიყო, ყოველდღიური მარტივი სვლების გამოისობით, მისი გულის ტერიტორიაზე, საცოდავად მობოგინე საღ აზრსა და თავმოყვარეობას შორის, მალე ერთპიროვნულად დათარეშობდა ნატა“.

თქვენ გაიგეთ რამე? აქ მეორე მძიმე სრულიად ზედმეტია და, საერთოდ, დანარჩენი სასვენი ნიშნები და წინადადებებიც გასაგებად უნდა დალაგებულიყო.

„მთავარი ექიმი, ბატონი ჯონი, ისეთი კეთილია, სულ ხუმრობს, პაციენტებთან უფრო მკაცრი და სერიოზულია“.

რა უცნაური, არამწერლური წარმოდგენა და მსჯელობაა!

ეს ჯონი თუკი ბუნებით მართლა ასეთი კეთილია, რომ თანამშრომელ ქალებთან „სულ ხუმრობს“, ავადმყოფებმა რაღა დააშავეს — სისხლის სამართლის დამნაშავენი ხომ არ არიან, მკაცრად და სერიოზულად რომ ექცევა? ის სანწყლები უფრო მეტ სითბოსა და ლმობიერ მოპყრობას არ საჭიროებენ?!

„მერე ფიჩხის დანთება დაინყეს“.

ბიჭოს, ეს რა საოცარი სიახლე შემოაქვს „ლიტერატურულ პალიტრას!“ აქამდე ცეცხლს ვანთებდით, შეშა-ფიჩხს კი ვუკეთებდით ხოლმე! დღეის ამას იქით პირუკუ მოხდება: შეშა-ფიჩხი უნდა დაინთოს, ცეცხლი კი შეეკეთოს!

ნანარმოების რედაქტირებისას რედაქტორს უკიდურესი სიფხიზლე მართებს!

ზუსტი აზრის გადმოცემა წინადადების ყოველი სიტყვის დიდი რუღუნებით შერჩევას მოითხოვს. წინააღმდეგ შემთხვევაში სათქმელი გამოგვივა მდარე, ზერელე, ხან კი შეიძლება კომიკური ელფერიც შეიძინოს.

საავადმყოფოში ახალგამნესებული ექიმი ქალიშვილი სანყობში სრულიად შემთხვევით ნაატყდება სექსით თავდავიწყებულ წყვილს. ამას აი, როგორ ამბობს ავტორი.

„ქალბატონ ელზას, ჩენი ბულალტერი რომაა, არტური, იმასთან მივუსწარი სანყობში“.

ეს ნათქვამი ისე ნაჩქარევადაა შეკონინებული, ზოგს თავიდან შეიძლება ელზა ეგონოს ბულალტერი და არა არტური. თანაც ძალიან საყველპურო ენითაა ნათქვამი „ბულალტერი რომაა“. მაგრამ ამას თავი დავანებოთ. აქ ავტორი ისე წერს „მივუსწარი“-ო, თითქო სექსით თავდავიწყებულ წყვილზე კი არა, მაგალითად, „თბილისი-ბათუმის“ აძრულ მატარებელზე გველაპარაკებოდეს, რომელსაც სულზე მიუსწრო პერსონაჟმა და უკანასკნელ ვაგონსლა შეახტა. ან, ვთქვათ, სადულარზე მოსული რძის ქვაბისთვის რომ არ მიესწრო, ნალები სულ გადმოიღვრებოდა. ან კიდევ უფრო უარესი და დაუჯერებელი: თითქო ელზას ეთქვას ახალბედა ექიმი ქალიშვილისთვის — ამა და ამ საათზე სანყობში არტურთან სექსი მექნება, მოდი და გვიყურეო. ვითომ ქალიშვილიც დაუყაბულდა, მაგრამ საქმეებში გართულს გადააგინცდა, მერე ბოლოსლა გაახსენდა, თავქუდმოგლეჯით გაიქცა და ჰა, ძლივს მიუსწრო!!!

მოკლედ, მთავარმა პერსონაჟმა ელზას არტურთან კი არ მიუსწრო, არამედ წაასწრო.

გავჩნრიკოთ ორივე სიტყვის მნიშვნელობა და ყველაფერი ნათელი გახდება.

მიასწრებს (მიასწრო, მიუსწია) სხვაზე ადრე მივა, მისვლას დაასწრებს; დროზე მივა, არ დაიგვიანებს; შეუმჩნეველად, მოულოდნელად თავს წაადგება, წაანყდება.

ნაასწრებს (ნაასწრო, ნაუსწრია) თავს წაადგება (რაიმე საძრახის საქციელზე).

* * *

ამბობენ, ამბობენ კი არა, ერთხელ ტელევიზორში მეც მოვისმინე თავად მწერლისგან: რეზო ჭეიშვილს ლევ ტოლსტოის რომანი „ომი და მშვიდობა“ თურმე რამდენიმეჯერ გადაუნერია! ჭეშმარიტად მწერლურ-მონამებრივი გმირობა და თავშენიერება!!!

ჰოდა, თუკი მარიანა ნანობაშვილს ამის სურვილი ექნება, ჟურნალის ერთფურცლიანი მოთხრობის გადაკეთება-გადანერას რა დიდი ამბავი უნდა?! აბა, აქ ნახსენები ერთ-ერთი მოთხრობა აილოს, მასში ნახმარი უცხო სიტყვები სულ მშობლიური სიტყვებით შეცვალოს და მერე ერთმანეთს შეუდაროს, რა გამოვა.

❖ ❖ ❖

სოფლელებს ხომ თავისთავად და, ალბათ, სოფელში სტუმრად ნამყოფ ბევრ ქალაქელსაც ექნება ნანახი ასეთი სურათები. სამიოდე დღის გამოუცდელ, რძემონწყურებულ ბოჩოლას ხშირად ეშლება და ფურს უკანა ფეხების ნაცვლად წინა ფეხებში ეცემა ხოლმე — იქ ეძებს სავსე ცურს!!! ზოგი ხბო გემით უმალ ხვდება თავის შეცდომას და დედას ახლა უკანა ფეხებისკენ უტრიალდება, პოულობს სანატრელ ცურს და ყბებს სულ რძით იქაფებს! ზოგიერთი ხბო თავისით ვერაფერს ხვდება, მაგრამ პატრონი ეხმარება: მოჰკიდებს ხელს, შემოატრიალებს და ცხვირს გატიკნილ ცურზე დაუდებს!

სამწუხაროდ, ასეც ხდება: იქვე ახლომახლო არც პატრონია, თვითონ ხბოც თავისით ვერაფერს ხვდება და დედის მკერდი მკერდზე მონადინებული ჯლაგუნით უმონყალოდ იყეჟავს ქორფა დრუნჩს!!!

რალაც ამის მსგავსი ლიტერატურაშიც შეინიშნება!

ღვთიური ნიჭით დაჯილდოებული დებიუტანტი თავიდანვე უშეცდომოდ პოულობს მხატვრული შემოქმედების ღალიან ცურს და მაშინვე ნურბელასავით ენაფება! ზოგ დამწყებს ეშ-

ლება და უადგილო ადგილას ეძებს შემოქმედებით ცურს, თუმც მალევე ერკვევა ვითარებაში და დამოუკიდებლად პოულობს თავის გზას. ბევრ გამოუცდელს საერთოდ, უჭირს ხოლმე ამ ცურის მიგნება, მაგრამ მას კეთილი ანგელოზი — ჭეშმარიტი რედაქტორი ეხმარება და აკვალისანებს.

რალა დასამალია და ხან ასეც ხდება: თავისი გამოუცდელობით ზოგიერთი დებიუტანტი ხომ ჯერ ვერა და სავალალოდ, ვერც დილექტანტი რედაქტორი ხვდება, რომ მისი ნანდაური ავტორი საღი რძით სავსე ცურს კი არა, ცრუცურსაა მონაფებული, საიდანაც ანტილიტერატურული ხსენი მოჟონავს, რომელსაც ზოგჯერ „გენიალური“ მხატვრული „მარგალიტები“ ნამოსდევს ხოლმე!

აი, რას წერს რეზო თაბუკაშვილი თავის მოთხრობაში „გემების ჩრდილქვეშ“.

„მოაპობდა შემხვედრ ტალღებს კოკა, მოსმის შემდეგ გამოყოლილი აბლანდული, სხეულში უმისამართოდ მიმოფანტული შეგრძნებების დაფასობას ცდილობდა“.

თავი დავანებოთ წინადადების აგების მახინჯ კონსტრუქციას და აზრის ენამოწმეჭილობას — თქვენ მარტო ამას დაუკვირდით: შეგრძნებების დაფასობა!!!

და აჰა, ძიების პროცესში მყოფი დებიუტანტისა და არაკომპეტენტური რედაქტორის წყალობით სულხან-საბას, ილიას, აკაკის, ვაჟას, ყაზბეგის, ვასილ ბარნოვის, მიხეილ ჯავახიშვილის, ნიკო ლორთქიფანიძის, ლეო ქიაჩელის, კონსტანტინე გამსახურდიას, გიორგი შატბერაშვილის, გიორგი ლეონიძის, გურამ რჩეულიშვილის ყაიდის პროზაიკოსთა ქვეყნის მკითხველები ნანარმოების მთავარი გმირის შეგრძნებების დაფასობასაც მოვესწარით!!!

ამნაირი „მარგალიტის“ მიგნება ადვილი არავის ეგონოს: თავიდან ბოლომდე მოთმინებითა და დაკვირვებით ნაიკითხეთ ხსენებული მოთხრობა და მიხვდებით, რომ ეს მდარე ლიტერატურული ვარჯიშის ლოგიკური შედეგია, ამგვარი „მარგალიტები“ ციდან თავისთავად არ ცვივა!

რას ნიშნავს დაფასოება? (გერმან. fassen — კასრში ჩასხმა) — გასაყიდი საქონლის წინასწარი ანონვა და შეფუთვა.

ეს რომელი საქონელი შეიძლება იყოს? უჰ, ბევრი: ჩაი, შაქრის ფხვნილი, თამბაქო, ბრინჯი, ბურლული, შაბიამანი, ბარდა, ქატო, სასუქი, წინიბურა, კირი, მაკარონი, პილპილი...

ახლა თავად განსაჯეთ: დებიუტანტი რაოდენ შორს უნდა იდგეს მწერლისათვის ყველაზე მთავარი თვისების — მხატვრული აზროვნებისაგან, რომ ადამიანის შეგრძნებები რალაც საამქრო-კონვეიერულ დაფასოებამდე ანუ წინასწარ ანონვასა და შეფუთვაზე დაიყვანოს, ხოლო მთავარი რედაქტორის სავარძელი როგორ დილექტანტს უნდა ეკავოს, ეს ვერ შენიშნოს, ჯერ გამოუცდელ დებიუტანტს თვალი არ აუხილოს და პირდაპირ ამ სახით გაუშვას ჟურნალის ფურცლებზე, როგორც ჩვეულებრივი მხატვრული თხრობა!

არ ვიცი, ქართულ მწერლობაში პერსონაჟთა შეგრძნებებისა და განცდა-გრძნობების დაფასოების პირველობის დაფნის გვირგვინი შეიძლება სულ სხვა რომელიმე მწერალს ეკუთვნის, მე კი მხოლოდ ახალაა გავიგე, მაგრამ ეს კი ცხადია, ჩვენს მხატვრულ ლიტერატურაში უკვე დაიწყო ყველაფრის ტოტალური დაფასოება: შეგრძნებების, ცოცხლების, მკვდრების... არავის ეგონოს, მიცვალებულებს აუგად ვიხსენიებდე — მაშინ ერთი დღეც ნუ მაცოცხლოს ღმერთმა! ჟურნალმა 2006 წლის პირველი ნომრიდან დაიწყო პოეტ გიგი სულაკაურის მოთხრობის „ნაბიჯები ნასესხებში“ ბეჭდვა. აი, ერთგან რას წერს ავტორი.

„ეს საშინელი ქალაქი კი ჩემი ქალაქია, რომელიც თვითონ ირჩევს ადამიანებს და მერე თავის რჩეულებს ფქვავს, აქუცმაცებს, პრესავს, შებოლავს და საბოლოოდ დაფასოებულებს გულში იხუტებს“.

ესეც ასე! „მხატვრული“ თხრობის ჭეშმარიტად ახალი, უწყვეტი მოქმედების მანქანა — ლენტური ტიპის სამრეწველო კონვეიერი მივიღეთ: დაფქვა, დაქუცმაცება, დაპრესვა, შებოლვა, დასასრულ, დაფასოება! ოღონდ მწერალ-რაციონალიზატორს და ინჟინერ-რედაქტორს ამ ნაკადურ ხაზში პროცესთა თანამიმ-

დეერობა არევიათ: ალბათ, ჯერ უნდა გაეშვათ შებოლვა, შემდეგ სხვადასხვა ფრაქციებად დაქუცმაცება და დაფქვა, თორემ თუ უკვე დაფქვი, მერე რალას დააქუცმაცებ? ანდა, როგორღა მოხერხდება დაფქულ-დაპრესილის შებოლვა?! მაგრამ ეს უმნიშვნელო წერილმანებია — გადამწვეტი თვით გორგოლაჭებიანი კონვეიერის შეუფერხებელი მუშაობაა, თორემ მერე ამ ნაკადურ ხაზში ტექნიკური შესწორების შეტანა და სხვადასხვა პროცესის გადანაცვლ-გადმონაცვლება ყოველთვის შეიძლება, მთავარი მისი ბოლო ეტაპია, დაფასოება!!!

მოკლედ, როგორც ვხედავთ, ჟურნალის „ლიტერატურული პალიტრა“ შეუპოვარი ძიებით ბოლოს და ბოლოს აღმოჩენილია და მისივე ლოცვა-კურთხევით ქართულ ლიტერატურაში მკვიდრდება მხატვრული თხრობის აქამდე გაუგონარი და უებარი მეთოდი — დაფასოება! ამიერიდან ვისაც მოესურვება, ყველას შეუძლია გახდეს მწერალი: რალა საჭიროა ენის საგანძურის საფუძვლიანი ცოდნა, საგნებისა და მოვლენების მწერლური ჭვრეტა, პერსონაჟების ფსიქიკაში ჩანვდომა, მათ ვნებათა ლელვაში ფაქიზი გარკვევა და დამაჯერებელი მხატვრული სურათების შექმნა — ნაწარმოების გმირებს თუ მათ განცდებს, შეგრძნებებს და ნაფიქრს ხელის ერთი მოსმით ქატოსა თუ პილპილივით დააფასოებთ და მორჩა — მხატვრული ნაწარმოებიც მზად იქნება!!!

გამოცდილი მკითხველი ადვილად მიხვდება, რომ ამგვარი თხრობის ტენდენციის დამკვიდრება სასიკვდილო საფრთხეს უქმნის მხატვრულ ლიტერატურას. სამწუხაროდ, ჟურნალის ხელმძღვანელობას არ ესმის, რომ შეუძლებელი, დაუშვებელი და აბსურდულია მხატვრული ნაწარმოების პერსონაჟთა შეგრძნებებისა თუ განცდების წინასწარ აწონვა და შეფუთვა, ანუ ასე ხალტურულ-უნვალებლად მათი დაფასოებაზე დაყვანა, რომ მსგავსი გამოთქმა არამხატვრულია, ლიტერატურული ღირებულებების შეურაცხმყოფელი, გრაფომანული ჩხირკედელაობის ნაყოფი, რომლის მსგავსი შეუსაბამობა ყველა მწერალს შეიძლება დაემართოს, მაგრამ ფხიზელი თვალი — მთავარი რედაქტორი იმიტომ არსებობს, რომ მხატვრული ლიტერატურა დაიცვას მსგავსი „მარგალიტებისაგან“. მაგრამ ჟურნალის ხელმძღვანელობა ვერაფერს მიხვდა, რითაც მკაცრი განაჩენი

გამოუტანა თავის კომპეტენციას. თანაც ეს ერთადერთი გამო-
ონაკლისი როდია.

2004 წლის მე-2, ნოემბრის ნომერში დაიბეჭდა მწერალ ირაკ-
ლი ლომოურის ორი პატარა მოთხრობა. ერთ-ერთ მათგანში,
„ო, ეს საყვარელი ტელევიზუციები“, რომელიც თითებიდან
გამონურული ტექსტის ქრესტომათიული ნიმუშია, აი, რას წერს
ავტორი.

„ვამეხი შვილისთვის შემთხვევით არ დაურქმევია:
სახელს თავისი ენერგეტიკა აქვს“.

მართლა აღარ არის ღმერთი და სამართალი?! ეს აღარც
მხატვრული ლიტერატურაა, აღარც ნარკვევი, აღარც იუმორი,
არც კრების ოქმი... ეს... ეს, უბრალოდ, გრაფომანული ძალადო-
ბის რკინა-ბეტონის ყრუ კედელია, სადაც ტანკსანინაალმდეგო
ქვემეხით თუ გაიკაფავთ გზას!

მკითხველი თავისით კი უხვდება ავტორს, რის თქმას
ლამობს, მაგრამ ეს უნდა ითქვას მშობლიური ენით, ზუსტად,
მხატვრული სიფაქიზით, რომ სახელს აქვს, მაგალითად, თავისი
ძალა, ჯადო, იდუმალება, მინიშნება, ვალდებულება, ნიშატი,
ჯავარი, ზავთი, რიხი, მოწოდება, სიდარბაისლე, სიმედგრე,
კეთილშობილება, ძალმოსილება, სიჩაუქე, ხიბლი, მიმზიდვ-
ელობა, გაუტეხელობა, სულგრძელობა, გამძლეობა, სიღიადე,
შეუვალობა, პირდაპირობა და რაც გნებავთ, მაგრამ არამც და
არამც ეს გასახეტებელი „ენერგეტიკა“.

რა არის ენერგეტიკა? ქართული ენციკლოპედიის ორსვე-
ტიანი განმარტების პანია დასაწყისი ასეთია.

„საზოგადოებრივი წარმოების დარგი, რომელიც და-
კავშირებულია ბუნებრივი ენერგეტიკული რესურსების
გამოყენების შედეგად მიღებული სხვადასხვა სახის ენ-
ერგიის გარდაქმნასთან, განაწილებასთან და გამოყ-
ენებასთან“.

ახლა მკითხველმა თავად განსაჯოს, ყოველივე ამას რა კავ-
შირი აქვს ადამიანის სახელთან, მით უმეტეს, ნაწარმოების მხ-
ატვრულობასთან, და საერთოდ, შეიძლება თუ არა ასე წერა!

ჟურნალის მთავარი რედაქტორი ვერ ხვდება, რომ თუ მხატვრულ თხრობაში ამგვარი გრაფომანული რკინა-ბეტონის კოლოსების შემოთრევას დავაკანონებთ, მაშინ ლიტერატურა ჩიხში მოექცევა, მოკვდება!

მართლაც, რაკი ჟურნალის რედაქციამ ნებსით თუ უნებლიედ მწვანე შუქი აუნთო ამგვარ აზროვნებას და ერთმა ასეთ კონტექსტში „დაფასოება“ იხმარა, მეორემ — „ენერგეტიკა“, აგერ, მესამე კიდევ აიღებს და დანერს.

„პირველი ვაჟიშვილის დაბადება ნამდვილი ჰიდრო-მააკუმულირებელი ელექტროსადურია“.

რა არის ჰიდრომააკუმულირებელი ელექტროსადგური?

ჰიდროელექტროსადგური, რომლის მოქმედების პრინციპი (აკუმულირება) ემყარება სხვა ელექტროსადგურებიდან მიღებული ელექტრული ენერჯიის გარდაქმნას წყლის პოტენციურ ენერჯიად.

რაკი ამაზე მივარდა საქმე, რა, ეს ნაკლებად მხატვრული შედარებაა?

ანდა, მწერალს რაღას მოუტანს, მაგალითად, ამ ყაიდაზე წერა.

„გლოვისაგან დასვედიანებულ ქალს კაცის შემოხედვამ გულში იმედის სხივი ჩაუკვესა“.

რა საჭიროა აქ ეს ყოვლად „უმაქნისი“ სიტყვები: იმედი, სხივი, ჩაუკვესა?! არ ჯობია, ასე დანეროს: „კაცმა ერთი შეხედვით ქალს გულში პროტოპლაზმა ჩაუდო“.

რატომ გეღიმებათ — „პროტოპლაზმა“ რით არის ნაკლები „ენერგეტიკასა“ და „დაფასოებაზე“!

რა არის პროტოპლაზმა? ცოცხალი უჯრედის შიგთავსი ბირთვისა და ციტოპლაზმის ჩათვლით. პროტოპლაზმა სიცოცხლის მატერიალური სუბსტრატია.

ხედავთ, აქ უფრო როგორ მასშტაბურად და „მაღალმხატვრულად“ ითქვა სათქმელი!!!

„ვაჟის ვნებიანმა შეხებამ ქალიშვილს სუნთქვა შეუგუბა და ცეცხლივით მოედო ნაზი, ნელთბილი თრთოლვა“.

რა თქმა უნდა, ასე წერა სისულელეა — რეზო თაბუკაშვილისა და ირაკლი ლომოურისებურად ამან შეიძლება დაახლოებით ასე იყლეროს.

„ვაჟის შეხებამ ქალიშვილს თერმორეგულაცია მოუმატა“.

რა არის თერმორეგულაცია? თბილისისხლიანთა (ფრინველების, ძუძუმწოვრებისა და ადამიანის) ორგანიზმის ფიზიოლოგიურ ფუნქციათა ერთობლიობა, რომელიც სხეულის მუდმივ ტემპერატურას განაპირობებს.

ჰოდა, ეს თერმორეგულაცია რით ვერ დაუმშვენებს მხარს დაფასობას, ენერგეტიკას, პროტოპლაზმას?

„კაცის ნუგეშმა დამნუხრებულ ქალიშვილს ცრემლი შეუშრო“.

სისულელეა ასე წერა! ცრემლი ბალახია თუ სარეცხი, რომ შეშრეს?! ჯობია „ლიტერატურული პალიტრის“ მიერ დამკვიდრებული მხატვრული აზროვნების სტილი გადმოვიღოთ.

„კაცის ნუგეშმა ქალიშვილის ცრემლების მელიორაცია გამოიწვია“.

წურვინ იხამუშებს: თუკი „ენერგეტიკამ“ და „დაფასობამ“ მხატვრულ ნაწარმოებში თავისუფლად თარეშის საშვი მიიღეს, „მელიორაციამ“ რალა დააშავა — დაე, ამ სიტყვამაც ისეირნოს!

რა არის მელიორაცია? სასოფლო-სამეურნეო მიზნით მიწის საფუძვლიანი გაუმჯობესება მშრალი ადგილების მორწყვის, ჭაობების ამოშრობისა და მისთ. გზით.

ჰოდა, მელიორაციას თუკი ჭაობების ამოშრობა შეძლება, ქალიშვილს რა იმდენი ცრემლი ექნება, ვერ მოერიოს და ისიც ვერ ამოაშროს!

მკითხველმა წელან უკვე იხილა „ლიტერატურული პალიტრის“ ბევრი ავტორი რა აღმაშფოთებელი სიუხვითა და უდარდებლობით ხმარობს უცხო სიტყვებს. ამ ნაკლს ვერც ირაკლი ლომოური გაჰქცევია. აი, რას წერს ხსენებულ მოთხრობაში:

„ცივად... მოუჭრა ცოლმა, დანვა და პირი იბრუნა, დემონსტრაციულად შეაქცია ზურგი“.

მიუკიბ-მოუკიბავად ვაცხადებ — ეს მხატვრული პროზა კი არა, გრაფომანული ნაცოდვილარიც აღარ არის! დემონსტრაცი-

ულად შეიძლება, მაგალითად, პარლამენტარმა დატოვოს სხდო-
მათა დარბაზი, ხოლო ჟურნალისტმა და ტელეკომენტატორმაც
პირდაპირ ასე აუწყოს თავის მკითხველს თუ მაყურებელს: სხდო-
მათა დარბაზი დემონსტრაციულად დატოვაო! მაგრამ მწერალ-
მა, თუკი მას შეგნებული აქვს პასუხისმგებლობა მშობლიური
ენისა და თავისი უმძიმესი პროფესიის წინაშე, საჭირო ნიჭიც
მოსდევს და თან დიდ ლიტერატურაში იაფფასიანი, ჟურნალ-
ისტურ-ხალტურული გზით სიარული არ აურჩევია, მაშინ ქალს
მეუღლისთვის ზურგი ამ გაცვეთილი დემონტრაციულობით კი
არ უნდა შეაქცევინოს, არამედ კეთილინებოს, ტვინი იჭყლიტოს,
შეუცდომლად ჩასწვდეს გარემოების ფსიქოლოგიურ ატმოს-
ფეროს და ეს ყველაფერი მიმზიდველ-დამაჯერებელი მხატვრუ-
ლობით მოგვითხროს მშობლიურ ენაზე.

სამწუხაროდ, ამ მოთხრობაში ეს ასე არ ხდება. ოღონდ ვერ
ვხვდები, რა არის ამის მიზეზი: ავტორს გათვითცნობიერებუ-
ლი არა აქვს მწერლის მისია, საჭირო ნიჭიც არ მოსდევს თუ
უცხო-უცხო სიტყვებით გაჯერებული უღიმღამო ტექსტების
განუკითხავი ბეჭდვით ჩურქა რედაქტორებმა თავიდანვე ყუ-
რადლება მოუდუნეს და მწერლობაში ყველაზე იოლი გზით სია-
რულს მიაჩვიეს.

ავტორი მოგვითხრობს ხუთი წლის ვამეხის მამის, ბაადურის
(მეტსახელად ფანტომა), პიროვნებასა და საქმიანობაზე.

„ვერ იტანდა აგრეთვე ტელევიზორს და საერთოდ
ყველაფერს, რაც ვიზუალურად, ანუ, მისი აზრით,
ცალსახად, პრიმიტიულ-ზედაპირულად ცნაურდებო-
და... დაბნეული დაიარებოდა ბაადურ-ფანტომა, მაგრამ
ხმას არ იღებდა. დუმდა. (აქ ზედმეტია წერტილი. ჯ.მ.)
პროფესიონალი კონსპირატორივით. სამაგიეროდ,
ლექციებზე... ისეთი ფილიპიკებით გამოდიოდა ზოგა-
დად ვიზუალური არტისა და კონკრეტულად ტელე-
სინე-ვიდეომატოგრაფის წინააღმდეგ..., რომ ერთხე-
ლაც მესამეკურსელებმა ვეღარ მოითმინეს და აქცია
მოუნყვეს, რომელსაც, ალბათ, უფრო ობსტრუქცია
ეთქმოდა“.

ერთი ამიხსნას ვინმე — სად არის აქ მხატვრული პროზა? ჯერ ერთი, რანაირი ქართული, რა სიტყვაა ეს „ცნაურდებოდა?“ ან მხატვრულ, თანაც ავტორისეულ თხრობაში სად გაგონილა ამდენი უცხო სიტყვების დაუფიქრებელი, ხალტურული რახარუხი: ვიზუალურად... პრიმიტიულად... არტი... ტელესინე... ვიდეოგრაფიის.... კონკრეტულად!

აბა, ან ამ გამოთქმას დაუკვირდით — „პროფესიონალი კონსპირატორივით!“ ბოლოს და ბოლოს თანამოკალმე პროზაიკოსი მელაპარაკება თუ ლენინური „ისკრის“ იატაკქვეშელი ბოლშევიკ-პროპაგანდისტი?!

„აქცია“, „ობსტრუქცია!“ — ურთიერთბრალდებებით გაანჩხლებულ პოლიტპარტიათა წარმომადგენლებისა და პოლიტიკას ანგარებით მიტმასნილი არამზადების მიერ უღვთოდ გათახსირებულმა ამ უცხო სიტყვებმა რა ხიბლი, შნო და ლაზათი უნდა შესძინონ ავტორისეულ თხრობას?! ამდენი უცხო-უცხო სიტყვებით როგორ, რანაირად უნდა მოიქსოვოს ქართული პროზის ჯადოსნური ფარდაგი?!

კისრად ვერ ავიღებ ცოდვას და განზრახ ვერ დაემალავ იმ კითხვას, რომელიც ბუნებრივად მოსდევს მთელ ამ მსჯელობას: მაინც რა ჩაუფიქრებია მთავარ რედაქტორს, ამხელა ჟურნალის მეშვეობით საით მიჰყავს ქართული პროზა და მხატვრული აზროვნება? უმეტეს ნაწარმოებებში ასე მუჭა-მუჭა მიმობნეული უცხო სიტყვა-სარეველები ნუთუ დასტურ ბუნებრივი, სასარგებლო და მისაბაძი ჰგონია?! არადა, რატომ არ ებრძვის უცხო სიტყვათა ამგვარ შემადრწუნებელ მოზღვავებას?!

* * *

მოთხრობას თავი დავანებოთ და ახლა მივუბრუნდეთ ინტერვიუს „სამყარო ამოუნურავი საიდუმლოა“.

შეიძლება ვცდები, მაგრამ სათქმელს მაინც პირუთვნელად ვიტყვი: რედაქციის მიერ შემოღებული სიახლე — „ინტერვიუ შეკითხვების გარეშე“, ჩემი აზრით, ჯერჯერობით ვერ ამართლებს. საქმეს ვერც ბოლოს, თითქოსდა არაფრის მთქმელი მინანერი შველის: „ალაპარაკა მიხო მოსულიშვილმა“. კი მაგრამ, მიხო მოსულიშვილი როგორღა ალაპარაკებს, როცა რუ-

ბრიკა პირდაპირ გვითითებს — ინტერვიუ შეკითხვების გარეშე და მოწვეული ავტორის ნება-სურვილით ამორჩეულ საკითხებზე მსჯელობიდან მკითხველი თავისით უნდა მიხვდეს კითხვის შინაარსს. ასე რომ, ეს გარემოება მწერალ მიხო მოსულიშვილს არასახარბიელო მდგომარეობაში აყენებს: ახალშემოღებული რუბრიკის თავისებურებიდან გამომდინარე, მას თითქო უფლება აღარ აქვს პროცესში ჩარევის, ზოგადი, ბანალური მსჯელობით გატაცებული ავტორის შეჩერების და საუბრისათვის საჭირო მიმართულების მიცემის, მაგრამ ინტერვიუს შინაარსსა და მსჯელობის ობიექტურობაზე კი, გინდა, არ გინდა, ავტორთან ერთად ისიც ინანილებს პასუხისმგებლობას.

ზოგი ავტორი გრძნობს რა ინტერვიუერის ლაგამმიშვებასა და სრულ თავისუფლებას, იმაზე კი არ მსჯელობს, რაც საჭიროა, არამედ რაც იცის, რაც მას ეპრიანება, რაც, მისი აზრით, მკითხველს აჩვენებს მწერლის განსწავლულობას, ერუდიციას, აზროვნების მასშტაბურობას, კალმოსნის გულისტკივილის სფეროში მოხვედრილ საჭირობოროტო პრობლემების სიუხვეს...

ხსენებულ ინტერვიუსაც სწორედ ამგვარი ნაკლოვანებანი გააჩნია. აბა, ერთი გავისხენოთ თვით მსოფლიოში სახელმოხვეჭილი მწერლების ინტერვიუები: კითხვა-პასუხები როგორი მოკლეა, მსჯელობა — საგნობრივი, სხარტი, აზრიანი, ცოცხალი, სადა, არსებითი, დამაჯერებელი. იქ თითოეული პასუხი დახორბლებულ თავთავს წააგავს ხოლმე! აქ? აქ კი შეკითხვის ნაცვლად ეულად დასკუპული კითხვის ნიშნის ქვეშ დაბეჭდილ ვეებერთელა პასუხში მდოვრედ მოიზღაზნება ზოგადი, ზერელე, ზოგჯერ კი არაკომპეტენტური მსჯელობა სამყაროს საიდუმლოებებზე, ცხოვრების აბსურდულობაზე, ილუზიებზე, აბსურდის მიღმა მდებარე ლაბირინთებზე, ქეიფისადმი ქართველების წრეგადასულ მიდრეკილებებზე, ჩვენში რესტორნების სიუხვეზე, მწერლისა და მკითხველის ურთიერთობაზე, ფრანც კაფკას შეხედულებებზე, გლობალიზაციაზე, ინტერნეტის სიკეთეზე და კიდევ რაღაზე არა!

აი, პირველი „კითხვა“-პასუხი.

„—?

— თუ რატომ წერ ანდა რა აწერიანებს, სინამდვილეში, რასაკვირველია, არავინ იცის. შეიძლება ვიღაცას კიდევ ჰგონია, რომ იცის, მაგრამ ეს ილუზიაა“.

არ მესმის, ირაკლი ლომოური ასე გადაჭრით რატომ ლაპარაკობს ყველას მაგიერ, როცა ბევრ სახელმწიფოებრივ მწერალს გასაგებად აქვს ნათქვამი — რატომ წერს და რა აწერიანებს. თუმცა მეც აღარ ავუხიარდები და დავყაბულდები: შეიძლება მართლაც არ ვიცოდეთ, რატომ ვწერთ, მაგრამ ერთი რამ კი მაინც უეჭველად უნდა ვიცოდეთ — რაკი კალამს მოვკიდეთ ხელი, თავდაუზოგავად ვემსახუროთ მშობლიური ენის დაცვა-სინამდვილესა და გაძლიერებას.

იმავე პირველ პასუხში ავტორი გვეუბნება.

„ეს შეგრძნება (სამყარო თურმე ურიცხვი საიდუმლოებებით რომ ყოფილა სავსე. ჯ.მ.) იწვევს ირაციონალურ განცვიფრებას“.

ეს რომ ნავიკითხე, მართლაც დამეუფლა განცვიფრება, ოღონდ არა ირაციონალური, არამედ წმინდა ადამიანური — ნეტავი, ერთი მაცოდინა, ეს ირაციონალური განცვიფრება როგორილა იქნება-მეთქი! ღმერთმა უშველოს, საგონებლიდან ისევ ავტორმა გამომიყვანა, რომელიც ზედმობითვე ამბობს.

„თუმცა ასეთი ფორმულირება, ალბათ, ცოტა სასაცილოდაც კი უღერს“.

ჰოდა, თუკი ამას ავტორი თვითონვე ხვდება, მაშ, რალა საჭიროა ამგვარი ზოგადი, ფუყე და უსაგნო მიღებ-მოღება — არ ჯობია, ინტერვიუ იყოს საგნობრივი, ცოცხალი, ნათელი, საქმიდან და საკითხიდან გამომდინარე?!

მომყავს მეორე პასუხის ნახევარზე მეტი. ყველა მრავალნერტილი ავტორისეულია.

„—?

— ცხოვრების აბსურდულობის შეგრძნება? მართლს ბრძანებთ, თავიდანვე მქონდა ამის განცდა, თანაც, შეიძლება ითქვას, საკმაოდ მძაფრიც... ჩემი პირველი მოთხრობები სწორედ ამ განწყობითაა დანერილი...

მას მერე ბევრი რამ შეიცვალა... მაშინ ძალიან მარტივად მეგონა, რომ ცხოვრება კაფკასეული ლაბირინთია, პირდაპირი გაგებით — მიდიხარ და არ იცი (აქ მძიმე უნდოდა. ჯ.მ.), სად. არ იცი, რატომ, (აქ მძიმე კი არა, წერტილი უნდა. ჯ.მ.). ისიც კი არ იცი, საერთოდ აქვს თუ არა ამ ლაბირინთს გამოსასვლელი... მაგრამ გამოსასვლელი, რაღა თქმა უნდა, არსებობს! და თვით ეს მეტაფორაც, ცხადია, პირობითობაა... ბუკვალურად არ უნდა გავიგოთ..."

აი, ცხოვრების აბსურდულობაზე შაბლონურმა მსჯელობამ და კაფკასეულ ლაბირინთებში პოზიორულმა ფათურმა „ბუკვალურად“ რაზე წაგვაკვრევინა ცხვირი და რა გამოიმყლავნა: ავტორს ვილა ჩივის და რედაქციაში მუშაკი არ მოიძებნა, რომელსაც ეცოდინებოდა, რომ ზმნისწინი **Буквально** რუსულია და ქართულად ნიშნავს სიტყვასიტყვით, პირდაპირ, ზუსტად; სრულიად.

აი, როგორ მსჯელობს და რას ეხება მისი მესამე პასუხი. ეს ერთადერთი მრავალწერტილიც ავტორისეულია.

„—?

— მეტ-ნაკლებად ყველა... ვთქვათ, იმაში, რომ ჩემი ქვეყანა ერთ გრანდიოზულ ნაგავსაყრელს დაემსგავსა, ჩემი წვლილიც ხომ არის? ცხადია, არის! პასუხისმგებლობას ყველაფერზე ყველანი უნდა ვინაწილებდეთ, შინაგანად მაინც, მაგრამ უბედურებაც ისაა, რომ სწორედ პასუხისმგებლობას გაუურბივართ პირველ რიგში, რადგან ტვირთია, მძიმე სატარებელი, არადა, ჩვენ თვითონ თუ არ ვზიდეთ ჩვენი საზიდი, მარადიულ „დერეფნად“, უფრო სწორედ, ერთგვარი „ჰარალალო-რეზერვაციად“ დავრჩებით ალბათ“.

წინადადებების აგება და მათი ერთმანეთს გადაბმა უკიდურეს ოსტატობასა და სიფაქიზეს მოითხოვს. აქ კი დასაწყისშივე ისე ტლანქად და დილეტანტურად არის ჩაჩრილი ეს „ვთქვათ, იმაში, რომ“, მკითხველის თვალში ყველასა და ყველაფერს უმაღლესი აკლდება. თვით პასუხში აღძრული პრობლემა, ცხადია,

მუდმივი და აქტუალურია, მაგრამ იმდენჯერ გადალექილი და უკვე მობეზრებული, რომ ავტორი ახალს ველარაფერს გვეუბნება. ამიტომ თავისთავად გეაფსუსებათ — რედაქციაში საგანგებოდ მონვეულ მწერალს უფრო საინტერესო და უფრო ღირებული რამ უნდა ათქმევინოთ, თუგინდ პროფესიული თვალსაზრისით.

აი, მე-5 პასუხში ერთგან რას ვკითხულობთ.

„... დღეს კი რა შეიძლება უთხრას მწერალმა საზოგადოებას ისეთი, რაც მან არ იცის?! რასაკვირველია, არაფერი! ყველამ ყველაფერი მშვენივრად უნყის...“

რა დილეტანტური, თუ შეიძლება ასე ითქვას, არამწერლური შეხედულება და მსჯელობაა! ცხადია, ფართო ან თუ გნებავთ, ვულგარული გაგებით, მწერალი საზოგადოებას ისეთს ვერაფერს ეუბნება, რაც მან არ იცოდეს და რომც მოინადინოს, არც მაშინ გამოუვა რამე, ვინაიდან ამას ცხოვრების ყოველნამიერება და მასობრივი ინფორმაციის საშუალებები არ დააცდიან! ამის მიუხედავად, მწერალი საზოგადოებას მაინც ყოველთვის ეუბნება და ეუბნება სწორედ იმას, რაც თვითონ საზოგადოებამაც კარგად იცის, ოღონდ ერთი „პატარა“ განსხვავებით — მწერალი ამას ეუბნება მხატვრულად!

სწორედ ამაშია მხატვრული ლიტერატურის ძალმოსილება, იგავმიუნვდომლობა და უკვდავება!!!

სწორედ ეს განაპირობებს მწერლისა და მკითხველის მარადიულ ურთიერთდამოკიდებულებას, რომელიც ეპოქალური კატაკლიზმებისა და სხვადასხვა მოვლენების მიზეზით ქარიანში გაჩენილი საშინელი ხანძრის ალივით თამაშობს ხოლმე!!!

მეექვსე პასუხისას მწერალი ერთგან უიმედო ნუნუნზე გაადაღის.

„არავითარი ილუზიები არა მაქვს. არაფერს მე არ ვქადაგებ და არც არავინ გახდება უკეთესი ანდა უარესი მოთხრობის წაკითხვით“.

პაი, გიდი! მწერალიც რომ ასე იმსჯელებს, აბა, სხვას რაღა უნდა მოეთხოვოს?! კი მაგრამ, აბა, გადავხედოთ თუგინდ უახლეს ისტორიას: განა რეაქციული მხატვრული ლიტერატურის ხარბად კითხვამაც არ შეუწყო ხელი შოვინიზმის, რასიზმისა თუ ფაშიზმის ჩასახვას, გაღვივებასა და აბობოქრებას?! ანდა, როგორ ფიქრობს ირაკლი ლომოური: დღევანდელი მსოფლიო რომ სწორედ ასეთია და არა ამაზე უფრო უარესი, ნუთუ ამაში არავითარი წვლილი და დამსახურება არ მიუძღვის ჰუმანურ მხატვრულ ლიტერატურასა და ხელოვნებას?

მოკლედ, მკითხველს ასწილ ურჩევნია ყოველი ინტერვიუ იყოს უფრო საგნობრივი, ნათელი, დახვეწილი და რაც მთავარია, ყოველგვარ პოზიორობასა და უსარგებლო პომპეზურობას მოკლებული, თორემ რა გამოდის?! ზოგიერთი ავტორი მაღალ მატერიებზე მსჯელობისას ისეთ ბრტყელ-ბრტყელ სიტყვა-ფრაზებს ისვრის, შეცდენილი მკითხველი მოუთმენლად ჩაუჯდება ხოლმე მის ნაწარმოებს — აი, ახლა კი შედევრს წავიკითხავო, მაგრამ თითებიდან გამოწოვილი რაღაც მდარე ტექსტი კი უბინდავს გონებას!

ჟურნალში გამოქვეყნებული ინტერვიუების ერთ-ერთი მთავარი ნაკლი ისიც არის, რომ უმეტეს შემთხვევაში არ იგრძნობა ინტერვიუერის მტკიცე ხელი, დახვეწილი ცოდნა და გემოვნება ანუ ინტერვიუს გაძღოლის ხელოვნება, ოსტატობა და თუ გნებავთ, ჯადოქრობაც!



მწერალი ნუგზარ შატაიძე ჟურნალის ფურცლებზე ორჯერ გამოჩნდა. 2004 წლის მე-3, დეკემბრის ნომერში დაიბეჭდა მისი ორი ნოველა — „ცოფი“ და „ნაგანი“. 2005 წლის მე-11 ნომერში კი ვიხილეთ ნოველა „ტრეფიკინგი“ და კინონოველა „ვენახის ანგელოზები“.

მე მარტო „ცოფს“ განვიხილავ და ისიც მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ მასში საკითხი ეხება ქართველი ერის მეობის, ღირსებისა და სიამაყის საგანს, საუკუნეთა მანძილზე

ქართველი კაცის განუყრელსა და ერთგულ თანამგზავრს, მისი სიმხნევისა და გაძლება-გადარჩენის უებარ ნამალს, შვება-ლხენას, შთაგონების წყაროს, დასასრულ, თუ გნებავთ, მისსავე მტერ-მოყვარეს, ქართულ ღვინოს.

ნოველა ჟურნალის ერთ ფურცელზე ცოტათი ნაკლებია. ავტორი მთელ ამბავს სოფლელი დედაკაცის პირით გვიამბობს. დასაწყისი ასეთია: ქართლის ერთ-ერთი სოფლის მკვიდრს, გოგიას, ეზოში თალარი უდგას, მაგრამ ყურძენს ბელურები უნადგურებენ! ეს გოგია რალა ხერხს არ მიმართავს, გათამამებული ჩიტები რომ შემოიფრთხოს: ჭაშისცემა, ცოცხით დარაჯობა, კრილოსნისებურად ასხმული კონსერვის ცარიელი ქილების რაჭლარუჭლი, მაგრამ შეუპოვარ ფრთოსნებთან მაინც ვერაფერს გაანყობს.

„მოკლედ, სულ გაგალეს მთელი ხეივანი, ერთი სალი მარცვალი აღარსად შეარჩინეს!

დარჩა ეს სანყალი ჩემი ქმარი იმ ნელინადს უღვინოდ და ჩამოყარა ყურები, მაგრამ ჩამოიარეს ერთ მშვენიერ დღესაც ვილაც ჯეელმა ბიჭებმა ყვირილით — ყურძენი, დასანური ყურძენიო!

გავედით, გავიხედეთ — კახელები არიან დიდი მანქანით.

რას აფასებთო?

ორმოცდაათ თეთრს კაპიკი არ მოაკლდებაო.

მუქთა, ქა!

გავუსინჯეთ გემო — შაქარი!

განა შეევაჭრა ან რამე, არა! ბიჭის ქორნილისთვის რის ვაინაჩრობით შეკონინებული ერთი ხუთასი ლარი მქონდა შენახული, მაიჭა აქაო! და გამოვუტანე, რალას ვიზამდი“.

გოგია ერთ ტონა რქანიტელს იყიდის და ეს ჯეილები სულ თვითონ შეუზიდავენ მარანში. ბოლოს კი, ცხადია, კახელ მევენახეებს პურუჭმელებს არ გაუშვებენ.

„ცოტა რომ დანაყრდნენ, ერთი ეუბნება: გოგია ძიაო, ამ ყურძენს ძალიან მაღალი შაქრიანობა აქვს

და, იცოდე, წყალი უნდა დაასხაო, ას ლიტრაზე ათი ლიტრა მინც უნდაო.

ხოვო, ეგრეო, — უთხრა მეორემაც, შოფერმა, — არ დაასხამ და ცოფი გამოგივაო!

დავასხამ, მა რას ვიზამ, კაცოო, მააო! — და ეცინება ულვაშებში თავისებურად.“

ამის წაკითხვა ადამიანს სულიან-ხორციანად ძრავს და რისხვა-ზიზლით განანყოფს იმ თახსირი კახელი ჯეილებისადმი. დააკვირდით, უკვე სადამდეა დაცემული ჩვენი ზნეობა, შეგნება, გემოვნება და მორიდება — წინაპრების მიერ მირონთან გაიგივებულ თავანკარა, შეურყვნელ ქართულ ღვინოს, საუკუნეები რომ გამოგვატარა და გადაგვარჩინა, დღეს უკვე საშინელ და უკუზრუნებელ სენთან, ცოფთან ათანაბრებენ!!! თანაც ვინ? უცხო, სხვა ტომისა და კუთხის უმეცარი ან ჩვენდამი მტრულად განწყობილი ადამიანები კი არა, არამედ ღვიძლი შვილები თვით იმ მადლიანი მხარის, კახეთისა, უხსოვარი დროიდანვე ქვეყანაზე განთქმული რომ იყო ვაზისა და ღვინის კულტურით!

პირდაპირ გასაშტერებელია, ეს ჭკუადახშული ჯეილები თავიანთი ოფლით მოწეული ამ ღვთითმომადლებული ნაყოფის — ყურძნის ყადრისა და ღირსების შესანარჩუნებლად მასპინძელს არ კი ანამუსებენ: ემანდ სიხარბემ არ წაგაცდუნოთ და ეს პატიოსანი რქანიტელი წყლითა და შაქრით არ შებღალათო, არამედ უტიფრად მოუნოდებენ ღვინის ფალსიფიკაციისაკენ, წინააღმდეგ შემთხვევაში „ცოფით“ აშინებენ! აქედან დასკვნა: ისინი სრულიად უცხოა ამგვარ „სასარგებლო“ რჩევებს რომ აძლევენ, ახლა წარმოიდგინეთ, თვითონ შინ რაღას იზამენ!

მწერალი ქების ღირსია, მწარე სინამდვილე შეუფერადებლად რომ აუნყა ფართო საზოგადოებას, ოღონდ გულდანვეტა-გაკვირვებას იწვევს ამოუხსნელი გარემოება: ავტორი ღვინის გათახსირების მხურვალე პროპაგანდისტებს კი არ დაუპირისპირდა, არამედ მათ მხარეზე დადგა! თავისი ნიჭი და მონდომება მათი პოზიცია-გაფრთხილების „სამართლიანობის“ მხატვრულად „დასაბუთებას“ მოახმარა!

მწერლის ამ საბედისწერო არჩევანმა ნაწარმოები სქემატიზმის არტახებით შებოჭა, რამაც სრულიად დაუკარგა დამაჯერე-

ბლობა, ხოლო მასში გატარებული მორალი მკითხველისთვის მიუღებელი აღმოჩნდა.

მიეყვით ნოველას და ფრჩხილები თავისთავად გაიხსნება.

ღვინის ფალსიფიცირების მხურვალე მისიონერ-პროპაგანდისტი კახელი ვაჟბატონები რომ წაბრძანდებიან, გოგია თავის დედაკაცს განკარგულებას აძლევს: ფეხის დასაბანი წყალი შემითბე, ყურძენი უნდა დავწუროო.

„მე ვუთხარი, კაცო, ნასვამი ხარ, დაწეკი, დაისვენე, სად გაგექცევა ეგ ყურძენი-მეთქი. არა, თავისნათქვამაა ჯალიან“.

არ ვიცი, ეს გოგია შეიძლება მართლა თავისნათქვამაც იყოს, მაგრამ ნოველას კოჭებზე ეტყობა: მწერალი ამ თვისებას განზრახ უსვამს ხაზს, რათა მერე კახელი „მასწავლებლების“ მითითების შეუსრულებლობით გამოწვეული მძიმე შედეგი სწორედ გოგიას ამ თავისნათქვამობას გადაბრალდეს! არადა, ამ შემთხვევაში გოგია მართალია, მისი დედაკაცი კი არა! და აი, რატომ: მართალია, ყურძენი არსად გაიქცევა, როგორც ეს დედაკაცი რატრატებს, მაგრამ სავსე სანნახელში მთელი ღამით ჩახურდება, მარცვალი დაიყუჩება, სიცხეზე ამჟავდება და მერე ღვინო ზადს დაიტყობს. ეტყობა, გოგიამ ეს იცის და ამიტომ არ ზოგავს თავს.

„რალა უნდა მექნა, გავათბე წყალი, ჩავაყრევინე ტაშტში ფეხები და ვბან. რალაცას ბუტბუტებს თავისთვის. მიუზგდე ყური — წყალი არა, მაგათი ყველაყისამო, გამომივიდნენ ეგენიც მასწავლებლებიო!“

მე ვუთხარი, კაცო, გოგი, ადგილის კურდღლისა ადგილის მწვეარმა უფრო არ იცის? რახან გითხრეს, კიდეც უნდა დაასხა-მეთქი.

ნეტაი შენა, მოგცლიაო და ჩადგა სანნახელში“.

აქ ლიტერატურულ სამზარეულოში ოდნავ გათვითცნობიერებული მკითხველიც კი იოლად მიხვდება, ამ სრულიად უდანაშაულო გოგიას მწერალი თანდათან როგორ ამზადებს განტყეების ვაცად! ცხადია, ეს მოსანონი არ არის, მაგრამ ავტორმაც რალა

ქნას: ნებისით თუ უნებლიედ რაკი იმ კახელი „მასწავლებლების“ მხარი დაიჭირა, ნოველასაც „ცოფი“ შეარქვა და თან სქემატიზმის მარწუხებით შეკრა, ახლა ყველაფერი უკვე გვიანია — არამცთუ ნებისმიერი პერსონაჟი, არამედ თვით მწერალიც ამ სქემის ტყვეა და თავის ნებაზე თითსაც ველარავინ გაანძრევს!

პირველი ნენი რომ წამოვა, გოგია ჭიქას გაივსებს, დაილოცება და მერე თავის დედაკაცსაც გაასინჯებს.

„დავლიე, ტკბილია, ტკბილი, რო ყელსა სწვამს!

კაცო, ძან ტკბილია-მეთქი.

მა როგო გინდაო, ესაო კახური რქანითელია, განა ჩვენებური კრიკინააო!

ხოო და, იმიტომაც უნდა წყლის დასხმა კრიკინა რო არ არი-მეთქი“.

მოკლედ, გოგია ისე დააყენებს ღვინოს, შიგ წვეთ წყალსაც არ შეურევს. ეს კი, იმ კახელი ჯეილებიდან და ავტორის რწმენით, უკვე დანაშაულად ითვლება, ვინაიდან ამ პატიოსან, მაგრამ „თავისნათქვამა“ გლეხს შერყენილი, დგვიფინა ღვინის ნაცვლად ნამდვილი ცოფი დაუყენებია! არა გჯერათ? ამაში ავტორი ახლავე „დაგარწმუნებთ!“

„დეკემბერში, მესამედაც რომ გადაილო, ძმისწულეები ჩამოუვიდნენ ქალაქიდან. დალიეს, მოიღზინეს. უფროსი ბიჭი იძახდა, კახურად დავასხათ, კახურად, თორე დაგვხოცავს ესაო, ძან მაგარიაო, მაგრამ ვინ დაუჯერა, სუ პირთამდინ ავსებდნენ და ბოლომდინ სცლიდნენ.

ჯერ ის საღვინეც არა ჰქონდათ ძირამდინ დაყვანილი, რო უმცროსი ბიჭი აუხირდა — შენაო, ბიძაჩემოო, ჩემი ძმა გიყვარს და მე არაო!

აბა, რას ამბობ, კაცოო?

რასაც ვამბობო!

არაო, შვილოო, შენც მიყვარხარო!

არაო, არ გიყვარავარო!

მიყვარხარო!

არ გიყვარვარ, შენი ასე და ისეო! — და წამოავლო საღვინეს ხელი.

ატყდა ერთი დავიდარაბა და ნიოკი. დიდი ბიჭი შუაში ჩავარდა. ეხვენება, ემუდარება — კარგი, ბიჭო, რა მოგივიდა, ცოფი ხო არ დალიეო! მაგრამ აღარა ქნა, ქა, ისეთი პირით აგინა, ისეთები უთხრა, რომ ყურში არ შეიშვებოდა. ბოლოს ნამოხტა და გავარდა იმ უკუნეთში გარეთ.

ავიღეთ ფარნები და წავედით სამივენი საქებნელად. მაგრამ რალას ვიპოვიდით — დაეკრა თურმე ფეხი და ქალაქში წასულიყო.

მივბრუნდით შინა. ისეთები ვართ, დანა რო დაგვკრა, სისხლი არ გამოგვივა, არც მე და არც იმათ.

არ უნდა მეთქვა, მაგრამ გაბრაზებული ვიყავი და ველარ მოვითმინე — კაცო, ხო გითხრეს და რატო არ დაასხი ის ოხერი წყალი-მეთქი!

ჰე, გაგიჟდა, გასულელდა, სულ მილენ-მოლენა ყველაფერი. ძმისწული რო იქ არა ჰყოლოდა, უსათუოდ მომკლავდა!

არაო, — იმანა თქვა — ღვინო რა შუაშიაო, პირველად ხო არ აკეთებს, არ იცით, რანაირი ხასიათი აქვსო?”

აჰა, აახდინა თუ არა მწერალმა იმ კახელების გაფრთხილებანიანსწარმეტყველება — ამ „თავისნათქვამა“ გოგიას ღვინო კი არა, თურმე ნამდვილი ცოფი დაუყენებია! აგერ, ხომ დავინახეთ: ჯერ იყო და კინალამ თავის უმცროს ძმისწულს შეაკვდა ხელში, მერე კი ეს ხნეირი კაცი უეჭველად ცოლისმკვლელი გახდებოდა, მეორე, უფროსი ძმისწული რომ არა ჰყოლოდა გვერდში!

ნუთუ მართლა ყველაზე ასე მოქმედებს თავანკარა რქანი-თელში თავშეფარებული ეს „ცოფი“? ყველაზე, განურჩევლად ყველაზე! თვალსაჩინოებისთვის კიდევ ერთ ნაწყვეტს გადმოვწერ და თან მხედველობაში იქონიეთ — ნოველაც ამითვე მთავრდება.

„ერთი კვირის მერე ჩვენი ბიჭი მოვიდა, ენაცვალოს იმას დედა!

ბიჭო, გურამო, ეს ახალი ღვინო რო არ გაგისინჯია შენაო?

დასხდნენ და დაიწყეს სმა.

გოგია კახურად ასხამს, ლამის ნახევრად ავსებს ჭიქებსა, ის კიდევ: თითო პალტავა არ დავლიოთ, მამიო?

ეს პალტავა უნდა ნახოთ, რა არის — ნახევარ ლიტრაზე მეტი ჩადის შიგა!

არაო, შვილო, ჭიქებითა ვსვავთ, ესე აჯობებსო.

ეე, გაშრა, კაცო, ყელიო!

დამიჯერე, შვილო, სხვანაირი ლვინოა ესაო.

რა სხვანაირი, მაგისტანები დამილევიაო?

ცოფია, ბიჭო!

მაიტა, დედი, პალტავა მაიტაო!

რა ვქნა, გოგი-მეთქი?

მოუტანე და ჩაიხეთქოს მუცელიო!

მივუტანე.

დალია. შენაო, მამიო, რათა ხარ ეგეთი უმოტიო?

რა ვარო?

რაც გაიგეო!

არა, არა, რა არი ეგა, რა სიტყვააო.

რაი და ძუნნი ხაარო.

ბიჭო, უმაღლესი დაგამთავრებინე, ქალაქში ბინა გიყიდე, გაცმევე, გახურავ და კიდე მე ვარ უმოტიო?!

ძუნნი ხარ, მა რა ხარ, ერთი მანქანა გენანება რომ მიყიდო!

კაცო, სადა მაქ მანქანის ფულიო?

ისე კარგა გააქო, რო!

მაშ, მტყუნისო?

მტყუნის დედაო!

რაიო?!

ნადი, შენიო, და ნამოავლო იმანაც საღვინეს ხელი, უნდა დაარტყას, ქა! ჩავვარდი შუაში. ატყდა ერთი გამიშვი და გამოუშვი. ვნივივარ და ვკივივარ. ვნივივარ და ვკივივარ, ესენი იგინებიან, იგინებიან, რო აღარაფერი შეარჩინეს ერთმანეთს. ახლა, ხან აქედან მომხვდება თავში, ხან — იქიდან, იმ განევე-გამონევაში სუ შემომახიეს ხალათი.

ქღვივს დავაშოშმინე, ქა!

ბიჭს მალლა გაუშალე ლოგინი, ამას დაბლა, ფერთანა.

მე შუალამემდე არ დამეძინა — ვიტირე, ვივა-გლახე.

დილით რალაც ლანალუნის ხმამ გამაღვიძა. ვაიმე! ნამოვხტი და გავვარდი კარში.

შესულა ჩემი ქმარი მარანში, შეუტანია დიდი კეტი და ამტკვრევს ამ სავსე ბალონებსა!

ვეცი ხელებში, რას აკეთებ, კაცო-მეთქი!

მამეცა, უნდა დავლენო სულა, ამისი მამტანის მკვდარი და ცოცხალი, ამისიო!

შე კაი კაცო, მაგის მამტანმა არ დაგარიგა, ნყალი დაასხიო, რატო არ დაასხი-მეთქი!

ოხ, შენი დედა, შენიო და დამიშვა კეტი. აი, ეხლაცა მტკივა მხარი.

შემოვარდა ბიჭი და გამოუნია ყელი: ბოდიში, მამი, მაპატიე რა, მე ვარ ყველაფერში დამნაშავეო.

არაო, შენ არაო, კახელების ბრალია ყველაფერი, მაგათი ასე და ისეო!

გამოვბრუნდი და გამოვედი გარეთ.

აბა, ის კახელები რა შუაში იყვნენ, სანყლები, კარდაკარ მოსიარულენი, მშივრები, ქა, მშივრები. ხო უთხრეს, ნყალი დაასხი, თორე ცოფი გასოფივო, რატო არ დაასხა.

თავისნათქვამაა და იმიტომა.“

მოკლედ, ნოველიდან ნათლად ჩანს, რომ ტლანქ სქემატიზმს ემსხვერპლა როგორც ქართველი კაცისთვის ლამის აუხდენელ ოცნებად გადაქცეული თავანკარა ქართული ღვინო, ისე მისი ერთ-ერთი მოტრფიალე და შემოქმედი, „თავისნათქვამად“ მონათლული ქართლელი გლეხკაციც! არადა, სიმართლე თუ გინდათ, ცოფის საშიშ მიკრობს შეიცავს არა შუმი ღვინო, არამედ ათასგვარი შხამ-ქიმიკატებით ნაცულლუტები სასმელები, ჩვენი დუხჭირი ცხოვრება, საზოგადოების ნაღრძობი ფსიქიკა და განსაკუთრებით კი სმის კულტურის დაცემა-გადაგვარება.

ამ უკანასკნელის სავალლოლო მაგალითი და შედეგი კი თვით ავტორმავე გვახილა, როცა ნოველის ღორადქცეული ერთ-ერთი პერსონაჟი ამ შვება-ლხენის მომგვრელ თავანკარა რქანითელს მამაპაპური ღვინის ჭიქის მაგიერ ლუდის ნახევარლიტრიანი პოლტავეური კათხით ისხამს და ისხამს!

ღმილის მომგვრელია გოგიას მეუღლის უაზრო ტარტარიც. უზომო სმისგან გამონვეული მძიმე შედეგით გაანჩხლებული, ქმარს წარამარა ისე საყვედურობს: ღვინოს წყალი რატო არ დაასხიო, თითქო საკითხი ეხებოდეს მკერავის დაუდევრობით შეცდომით გამოჭრილ-დანაკუნებულ საქორნილო საკაბებს, რომელსაც უკვე აღარაფერი ეშველება! დალოცვილო, ხსნა თუ მართლა წყლის დასხმაა, ღვინო განა ახლა კი ვერ დაისხამს წყალსა?! ჰოდა, აიღე და ურჩიე: კაცო, ახლა მაინც დავასხათ წყალიო! მაგრამ ამ სქემატურ პერსონაჟს არაფერი გაეგება ღვინისა და თუთიყუშივით მხოლოდ იმას იმეორებს, რასაც სქემატურსავე ალყაში მოყოლილი ავტორი უკარნახებს შორიდან.

გოგიას უმცროს ძმისწულსა და შვილზე „ცოფიანი“ ღვინო იმდენად ერთნაირად და სქემატურად ზემოქმედებს, რომ მკითხველზე დამაჯერებლობას ვერ ახდენს, ხოლო ეს ნუნუნაყლაპი „ვაჟკაცები“ თუ მართლა ასე უეცრად გიჟდებიან, როგორც ამას ავტორი გვიხატავს, მაშინ მიუდგომლად, წინასწარ აღებული აზრის გარეშე უნდა გაირკვეს, რა არის ამის ობიექტური მიზეზი: ნაწარმოების სქემატურობა, პერსონაჟთა შერყეული ფსიქიკა, სმის უკულტურობა თუ მართლა თვით ღვინის სისალე! მაგრამ როგორ შეიძლება აქ საღი ღვინის დადანაშაულება, როცა თავანკარა ღვინო კი არა, თვით ასპიტის მომაკვდინებელი შხამიც კი სასარგებლოა ჭკვიანი კაცის ხელში!

ერთი წუთით თავი დავანებოთ ნოველას და ჩვენს გაუბედურებულ ყოფა-მდგომარეობას გადავხედოთ: ისე არ ჩათავდება ესა თუ ის სატელევიზიო საინფორმაციო პროგრამა, რომ სიმთვრალის მიზეზით მოხდენილი მკვლევლობის, თვითმკვლევლობის, დაჭრა-დასახიჩრების, ქურდობა-ავაზაკობის, გაუპატიურების თუ სისხლიანი ავარიების ამბები არ ეუწყოს საზოგადოებას. ჰოდა, ნუთუ ვინმეს სჯერა, რომ ყველა ამგვარი ბოროტების ჩამდე-

ნი მხოლოდ და მხოლოდ საგანგებოდ დაყენებული თავანკარა ღვინით იყო გაცოფებული?!

ასე რომ, პიროვნება თუ თავის ქვენა გრძნობებს ვერ ერევა და არ იცის ზომა-წონა, მას უზომოდ შესმული ჭყაპურტა ღვინოც აურევს ტვინს და ცხადია, მით უმეტეს, თავანკარა რქანითელი!

ასევე ლოგიკურობას მოკლებულია კეტმომარჯვებული გოგიას უინი — გაანადგუროს თავანკარა ღვინით სავსე ბალონები და ლამის თავისი დედაკაციც ზედ მიაყოლოს! ეს უკვე მეტი-მეტია!

მართალია, ავტორს ის თავიდანვე „თავისნათქვამად“ ჰყავს მონათლული, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ იმავდროულად გიჟიცა და სულელიც იქნება! გლეხკაცს შვილის ქორნილი კარს მოსდგომია, ამ „ქორნილისთვის რის ვაინაჩრობით შეკონინებული ერთი ხუთასი ლარი“ ყურძენში მიუცია, ამოდენა უწვალა და ღმერთების საკადრისი სასმელი, მირონივით ღვინო დაუყენებია, ახლა კიდევ — აქაოდა, უზომო სმით ტვინარეულმა შვილმა ჩხუბი ამიტეხაო! — მისდგა და ანადგურებს?! არადამაჯერებელია! მით უმეტეს, რომ ამას სჩადის დილით, როცა ნუხანდელი ჯავრი და წყენა უკვე ჩამცხრალი ექნებოდა, სასმელიც — გამონელებული. თანაც, როცა თვალახელილი შვილი ბოდის უხდის, მთელ დანაშაულს თავის თავზე იღებს და პატიებას ყელგამონევით შესთხოვს! ამიტომ, შექმნილი გარემოების მიხედვით, გოგიას ეს „თავისნათქვამობა“ შეიძლება ძმისწულისა და შვილისადმი, ანდა ზოგადად გადმოფრქვეული მკვახე მუქარითა და ფიცით გამოხატულიყო: ამ ღვინისას წვეთს ველარ დაღვეთ, მარანს კლიტეს დავადებ, ქორნილამდე არ დავხარჯავ, სულაც მეზობლებში დავარიგებ, ანდა გავყიდო და არა მისი განადგურების ულოგიკო სურვილით.

გადამთვრალი მუტრუკების ახირების მიზეზით ჭკუადამჯდარი ქართველი გლეხკაცი თავისი ხელით დაყენებულ ნახევარტონა თავანკარა ღვინოს ასე გასანადგურებლად ვერ გამოიმეტებდა. მაგრამ აქ ეს არ არის მთავარი. დავუშვათ, გოგიამ ის თავისი ღვინო მართლაც გაანადგურა, ამით მის — უფრო წნორედ, ჩვენს — სატკივარს ეშველება?

მდარე სპირტითა და ათასგვარი მავნე ქიმიკატებით დამზადებული სასმელებით გამოჭედულ ამდენ ხუხულა-ფარდულეებსაც ხომ ვერ მილენ-მოლენავს — ცივილიზებული სმის ადათ-ნესების უარყოფელი მისი ფიცხი ძმისნული და ვაჟი ახლა იქ ნაყიდი, იმ თავანკარა რქანითელზე ორ-სამჯერ უფრო მაღალსპირტიანი არყითა და კონიაკით აირევენ ტვინს და ისევ ძველებურად აუხირდებიან საწყალ გოგიას: შე ასეთო და ისეთოო! მერე? მაშინ? აი, რა არის საკითხავი და სამკურნალო!

თავიდან მშვენივრად დაწყებული გოგიას პორტრეტი თანდათან მკრთალდება, ბოლოს კი ავტორი ისე უსაბუთოდ და უაზროდ აღანძვინებს იმ კახელებს — „ამის მამტანის მკვდარი და ცოცხალი, ამისიო“. „კახელების ბრალია ყველაფერი, მაგათი ასე და ისეო“, რომ ხელში ღიმილის მომგვრელი კარიკატურაღა გვრჩება! აქ რატომღაც ისეა გამოყვანილი, თითქო ცხოვრების დარჯაკში გამოტარებული ეს ქართლელი გლეხკაცი საერთოდ, ყურძნისა და ღვინის ხამი ყოფილიყოს, აქამდე არც კახური რქანითელი გაეგონოს, არც არასდროს მისი ღვინო გაესინჯოს, ბაიბურში არ იყოს, საიდან რა გამოვიდოდა, როგორი ღვინო დადგებოდა და საზოგადოდ, ვინ რაშია „დამნაშავე“ და ვისზე რანაირი სიტყვა-გამოთქმების დახარჯვა ეკუთვნის.

მოკლედ, ასეთი სქემატური ნოველის გამოქვეყნებით რედაქციამ ნამდვილი ომი გამოუცხადა სალი ღვინის დაყენებას, გასაღებას და მოხმარებას. აქამდე ღვინის ნახდენა-გათახსირება თუ დანაშაულად ითვლებოდა და ამ საძრახის საქმეს მალვით სჩადიოდნენ, რედაქციამ ახლა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ამის ნამდვილი ლეგალიზება მოახდინა და ფალსიფიკატორებს მტკიცე მორალურ-ზნეობრივი საფუძველი უბოძა: აგერ, რა მოსდევს სალი ღვინის მოხმარებას! აქედან დასკვნა — სალი ღვინის ანუ ცოფის გათახსირება-განეიტრალება არამცთუ საძრახისი და დანაშაულია, არამედ აუცილებელი და ყოველმხრივ გამართლებულიც!!!

აქ უნებურად თავს გახსენებთ ამ ოციოდე წლის წინათ ნუგზარ შატაიძის მიერვე დანერილი მოთხრობა „მოლხინო“. მოკლე შინაარსი ასეთია: თბილისელ ახალგაზრდა კაცს პირველი ვაჟიშვილის დღეობისათვის ერთი ორმოციოდე ლიტრი

ღვინო დასჭირდება. ამიტომ თავის ძმასთან ერთად მეგობრის ავტომანქანით კახეთის გზას გამოუდგებიან, რათა ნამდვილი, შეურყვნელი ღვინო იპოვონ როგორმე!!! თითქო დაუჯერებელი, ლამის დონკიხოტური ოდისეაა: იმ სიმორეზე დღეს ასე ალალბედად ვინ გიჟი ნავა თავი ღვინის საშოვნელად? სად არის გარანტია, რომ კახეთში კიდევ მოიძებნება თავანკარა ღვინო და ისიც გასაყიდი! შეიძლება ვილაცას თავისთვის კიდევ უპოვნდეს, მაგრამ ასე დოცლაპიებივით კარდაკარ მოსიარულე ქალაქელებს რომელი ჭკუათამყოფელი გამოუჩენს უმნიცვლო ღვინოს?! ამიტომ ადვილი შესაძლებელია, ისინი ისე იქცნენ რომელიმე გაჩარჩებული გლეხის ოინის მსხვერპლად, რომ თავად აზრზეც ვერ მოვიდნენ: თავანკარა ღვინის საფარველით შემოტყუებული, ნამდვილს მიმსგავსებული შაქრიანი ღვინო ნამოიღონ დიდი ამბით!!! ანდა, ღირს კი რალაც ორი ბოცა სასმელისთვის ამდენი ნვალება-ნონიალი, როცა თბილისის მაღაზიები, საჭაშნიკეები, კერძო სარდაფები და ბაზრის გრძელი დახლები გადაპენტილია მაცდური წარწერებით: „ნამდვილი რქანითელი“, „ოჯახის ღვინო“, „ქვევრის ღვინო“, „მანავის მწვანე“, „წარაფის ღვინო“, „პეტრუზა პაპას ვენახის რქანითელი“, „პავლია პაპას მარნის თავი ღვინო“ — იყიდე რომელიმე და მორჩა! მე შენ გეტყვი, სტუმრები არ დაღევენ და ხამად არიან ამგვარ ყოქოსა თურა: მთელი თბილისი ჭირსა და ლხინს სულ ამგვარი ჭყაპურტა ღვინით არ იხდის! მაგრამ არა! ქალაქელ კაცებს სურთ ლამის აუხდენელ ოცნებად გადაქცეული სუფთა, მამაპაპური შეურყვნელი ღვინო! ხოლო ვაზისა და ღვინის კლასიკური ქვეყნის გაუბედურებულ დედაქალაქში ამგვარი ღვინის შოვნაზე ფიქრიც კი სასაცილოა! ისინიც სწორედ ამიტომ გამოსდგომიან საქართველოს ღვინის მარნის — კახეთის გზას! გარდა ამისა, მოთხრობის პერსონაჟები თავანკარა ღვინოსთან ერთად ეძებენ ეროვნული ნამუსიანობის უხილავ სიმს, პატიოსან კაცს, ქართული ქვევრ-მარნის და ღვინის ღირსების ერთგულ მეციხოვნეს, შესაძლოა ერთ-ერთ უკანასკნელ მოჰიკანთაგანს. იპოვიან კიდევ... თუმცა, მაპატიეთ, არ კი იპოვიან, იცნობენ!

„თავზე ნაბდის ქუდი ახურავს, შავი ველვეტის გაცრეცილი ხალათი აცვია, დაბამბული შარვლის ტოტები შალის წინდებში ჩაუტანებია“.

აი, სწორედ ეს აღმოჩნდება ის კაცი, ვისაც ქალაქელები ეძებენ! სწორედ ამ ნაბდისქუდიანს ექნება, რაზეც მოთხრობის პერსონაჟები ოცნებობენ!

სინრფელისა და უშუალობის წყალობით ისინი ერთმანეთს უცებ უპოვიან გულს. გლუხკაცი უცნობ ქალაქელებს თავის სტუმრებად მიიჩნევს და შინ შეიპატიუებს. დიასახლისი დატრიალდება, სუფრა გაიშლება და თავანკარა, შეუმღვრეველი რქანითელი თავისას გაიტანს — ახალგაჯობილებს ერთმანეთს ღვიძლ ძმებივით ჩააგვირისტებს. ბოლოს საქმე იქამდე მივა, რომ მასპინძელი ამ ორმოციოდე ლიტრ ღვინოში ფულის აღებას შეურაცხყოფადაც კი მიიჩნევს.

მოკლედ, მოთხრობა სრულიად ბუნებრივად და ძალდაუტანებლად, ყოველგვარი წინასწარ შედგენილი სქემის გარეშეა დაწერილი. ოღონდ ნოველის „ცოფი“ ავტორმა მოთხრობაში „მოლხინო“ ერთი დიდი „შეცდომა“ დაუშვა! კერძოდ, მას „დააინწყდა“ ყველაზე „მთავარი“: იმ ნაბდისქუდიანი გლუხკაცის პირით ქალაქელებისთვისაც მიეცა „სასარგებლო და აუცილებელი“ რჩევა-გაფრთხილება — ბიჭებო, ეს თავანკარა ღვინო ისეთია, როგორც ნამღვილი ცოფი! ამიტომ ქალაქში რომ ჩაიტანთ, სუფრაზე მიტანამდე ერთი-ორი ვედრო წყალი დაასხით, რათა მოწვეული სტუმრები არ გაგიცოფოთ და ლხინი არ ჩაგშხამდეთო!

ცხადია, მკითხველი ადვილად მიმიხვდება, რომ ამ ირონიანარევ აბზაცის დაწერას ნოველის „ცოფი“ აშკარა სქემატიზმი და მასში გატარებული ყალბი მორალი მაიძულებს, თორემ მოთხრობაში „მოლხინო“ სულაც არ არის ამგვარი „სასარგებლო და აუცილებელი“ რჩევა-დარიგების საჭიროება: მადლობა უფალს, იმ ნაბდისქუდიანის ოჯახში ადამიანური დაგემოვნებითა და ნება-სურვილით შესმულ თავანკარა ღვინოს მოთხრობის არც ერთი პერსონაჟი არ გაუცოფებია და, მართალია, მერე აღარ ჩანს, მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს ორმოცი

ლიტრიც ისე შეისმებოდა თბილისში გადახდილი ჩვილი ბუჭუნას დღეობაზე, რომ არავინ გაცოფდებოდა!

თავანკარა ღვინომ მხოლოდ ამ ქართლელი „თავისნათქვამა“ გოგიას უმცროსი ძმისწული და ვაჟი გააცოფა, ისიც იმიტომ, რომ ავტორი რატომღაც იმ თახსირი კახელი „ჯეილების“ მდაბიურ ყრანტალს აპყვა, რამაც ნოველა სქემატიზმის არმატურით შემომამესრინა და ეს მართლაც ძალიანი ღვინო იმ სანყალ ბიჭებს სულ გალიცლიცებული ჭიქებითა და „პალტავის“ ლუდის კათხით წარამარა ბოლომდე იქამდე აცლევინა და აცლევინა, სანამ ნოველის სქემატური სათაური არ აახდინა!!!

გაკვირვებული ვუდარებ ერთმანეთს ამ ორ ნაწარმოებში ქართულ ღვინოსთან დაკავშირებულ ორ სრულიად რადიკალურ პოზიციას და მწერლის ამგვარი მეტამორფოზა ჩემთვის ამოუხსნელ საიდუმლოდ რჩება.



2005 წლის მე-10 ნომერში დაიბეჭდა მწერალ ბექა ქურხულის მოთხრობა „დაბოლილები და გამქრალები“. ნაწარმოები ქურხულის სამ ფურცელზე სულ ცოტათიღაა მეტი.

მოთხრობის მთავარი პერსონაჟი ახალგაზრდა ქართველი მწერალია.

ჯერ საერთოდ და, განსაკუთრებით კი ბოლო წლების ქართულ პროზაში აშკარად გამოიკვეთა ერთი ტენდენცია — ნაწარმოების მთავარი პერსონაჟი უეჭველად მწერალი, ხშირ შემთხვევაში კი თვით ნაწარმოების ავტორის აშკარა თუ შენიღბული პროტოტიპია.

ცხადია, ამაში თავისთავად არაფერია ცუდი ან დაუშვებელი, პირიქით, მაგრამ დამაღონებელია, როცა ავტორი თავის ნაწარმოებში მთავარ გმირად მწერლის გამოყვანას უცილობელი წარმატების გარანტიად მიიჩნევს! სამწუხაროდ, ბევრი ავტორი და განსაკუთრებით ახალგაზრდები, თავიანთ ნაწარმოებს მერე აღარ უკვირდებიან უცხოს თვალთ: მათ მიერ დახატული მწერალი შეესაბამება თუ არა მსოფლიო ლიტერატურაში შექმნილი და ჩამოყალიბებული მწერლის განზოგადებულ სახეს, საღებავ-

მეუმშრალი პერსონაჟი თავისი ყოფაქცევით, ზნეობრივ-მორალური თუ ეთიკური მონაცემებით მკითხველ საზოგადოებაზე მოახდენს თუ ვერა მწერლის შთაბეჭდილებას?!

მამ, მოდი, ჩვენც ახლოდან გავიცნოთ მოთხრობის ერთადერთი მთავარი გმირი, დებიუტანტი მწერალი, რომლის გვარსახელს, მართალია, ავტორი არ გვიმხელს, მაგრამ სამაგიეროდ ყოველი მხრიდან შეულამაზებლად გვიხატავს.

„იცოდა, რომ არ უნდა დაეღია, მაინც სვამდა. შეხვდებოდა ვინმე. მერე ესენი შეხვდებოდნენ სხვებს და იწყებოდა. არა, იმათი ხათრით ნაღდად არ სვამდა. უფრო იქით ასმევდა ძალით ხალხს. სვამდა ბოლომდე, ვიდრე არ გადაირეოდა, გაჩერება არ იცოდა“.

მსგავსი რამ მწერალს, თანაც ვაზისა და ღვინის კლასიკურ ქვეყანაში დაბადებულს, ან თუგინდ ჩვენი საზოგადოების არაფრით გამორჩეულ რიგით მოქალაქეს კი არა, თვით სასმელუნახავ ბარბაროსსაც კი არ ეპატიება! თქვენ მარტო წარმოიდგინეთ: „სვამდა ბოლომდე, ვიდრე არ გადაირეოდა, გაჩერება არ იცოდა“. ეს უკვე პიროვნული ნაკლი, სასმელის სიყვარული თუ ნუნკობა კი არა, პათოლოგიური ხინჯია!

აბა, ან ამას ჩაუკვირდით: „იქით ასმევდა ძალით ხალხს“. მოვეშვათ წინადადების კონსტრუქციას — რას ჰქვია ძალად ასმევდა?! ეს ხომ ერთი ადამიანის (თანაც მწერლის!!!) მიერ მეორე ადამიანის პიროვნული უფლებებისა და თავისუფლების ბოროტი, დაუშვებელი ხელყოფაა! რა სხვაობაა, როგორი იქნება ძალადობა — სექსუალური, მორალური, ზნეობრივი, ეკონომიური, სოციალური თუ გასტრონომიული — ძალადობა ძალადობა! რაიმე მიზეზით კაცს საერთოდ, სპირტიანი სასმელი ან მისი ზედმეტი ულუფის შესმა თუ არ სურს ან აღარ შეუძლია, რატომ, რისთვის უნდა დავაძალოთ. მხოლოდ იმიტომ, საკუთარი ახირება თუ ბოროტი ჟინი რომ დავიცხროთ? კარგი-და, დამძალებლის მიერ დაძალებულ ალკოჰოლს რომ ვეღარ გაუძლოს კაცის აგებულებამ და მძიმედ შეიქნეს, ან სულაც უცებ სული განუტევოს, ამნაირს ცოდვა-დანაშაულს ვინ აიღებს კისრად?! ანდა,

როგორი წარმოსადგენია: მწერალი — მოძალადე! მწერალი — ალკოჰოლით კაცისმკვლელი ბოლოს და ბოლოს, ველარ უნდა გამოვიდეთ ქვის ხანიდან?! არ დადგა დრო, დავემშვიდობოთ ამ: ძალად გაჭმევთ ღორის ხორცსა, კეფაზე დაგასხამთ წვენსაო?!

ერთი სიტყვით, ეს მიუტყევებელი ზადი მოთხრობის მთავარი გმირის პიროვნული სატიკვარი ყოფილა და მან თავის თავში თავად უნდა იპოვოს ძალა, რათა თვითონ მართოს თავისი ბუნება და არა მას ემართვინოს.

წარმოუდგენელი მასშტაბის საშიშროება თავს აქ სხვაგან იმალება.

მკითხველებს კარგად ემახსოვრებათ აკა მორჩილადის მოთხრობის გმირი, პოეტი ვახტანგ მარგველაშვილი როგორ იკვებნის — მე როდის გინახივართ ფხიზელიო და საერთოდ, როგორ იქცევა! ბესო ხვედელიძის რომანის მთავარი პერსონაჟი, მწერალი კოკა იაშვილიც გემოზე ყლურნავს და თან ზედდამატებით ნარკოტიკების მომხმარებელი და გამავრცელებელიც არის.

ახლა თავად მკითხველმა განსაჯოს, მსგავსი ლიტერატურა რანაირ გავლენას მოახდენს საერთოდ, ახალთაობაზე და მეტადრე იმ მოზარდებზე, ვისაც ბუნებამ ჯერ ჩამოუყალიბებულ, თოთო ცნობიერებაში უკვე შემოქმედის ჭია ჩაუთესლა: ვერანაირად ვერ გახდები მწერალი, საერთოდ, შემოქმედი, თუ ჩამოყალიბებული ნარკომანი და თავანყვეტილი ან პათოლოგიური ლოთი არა ხარ!!!

შეიძლება მოსალოდნელი ან მოულოდნელი ოპონენტი შემომეკამათოს: რატომ ერჩი აქ ჩამოთვლილ ავტორებს, როცა მათ რეალური ცხოვრება აქვთ ასახულიო.

ამგვარ მოპაექრებს მეც დავეთანხმები — კი, ქართველ შემოქმედთა შორისაც მოიძებნებიან ლოთები და ნარკომანები, მაგრამ ვინ დაიჯერებს, რომ ჟურნალ „ლიტერატურული პალიტრის“ მიერ ასეთი თვითნებურ-ზეიმური ტენდენციურობით დადგენილ მაზანდას მერკანტელურად მისადაგებულ მდარე-მდარე ნაწარმოებებში გამოყვანილი ლოთები თუ ნარკომანები — მადლიანი ქართულით ორიოდე წინადადებაც რომ ვერ გადაუბამთ და სულ გულშესაწახებელი ჟარგონით ტლიკინებენ

-- სინამდვილეში მთელი თანამედროვე ქართველი მწერლების ტიპიურ, განზოგადოებულ სახეს წარმოადგენენ!!!

ისევ ბეჭა ქურხულის მოთხრობის გმირს მივუბრუნდები. მე მესმის მისი და ადამიანურად ვუთანაგრძნობ: პირტიცველა ყმანვილი აფხაზეთის ომში მოხალისედ წასულა, ისიც თავისთავად იგრძნობა, რომ ეს ამდენი გადაბმული სმაც ჩვენი ქვეყნის მძიმე პოლიტიკურ-ეკონომიკური პირობებით არის გამოწვეული, მაგრამ ნებისმიერ ოპონენტს ვთხოვ, მიმითითოს — საქართველოს თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე როდის ჰქონია მხარ-თეძოზე უდარდელად წოლის უფლება და წუთისოფელი?! ცოტა მეთორმეტე-მეცამეტე საუკუნეთა მიჯნაზე ამოვისუნთქეთ, ერთგვარ განცხრომას მივეცით თავი და მალე ესეც ცხვირში ძმრად ამოგვედინა — მხედველობიდან გამოგვეპარა მონღოლობა და დროზე ვერ შევიტყვეთ: ვინ იყვნენ, რას წარმოადგენდნენ, რა უნდოდათ, საიდან მოდიოდნენ, საით მიდიოდნენ!

მთელი ჩვენი ისტორია და ყოფა-ცხოვრება სხვა არაფერია, თუ არა მომხდურ მტერთან და დამპყრობთა შორეულ მტრებთან სისხლიანი ბრძოლები, გაჭირვება, ტანჯვა-ვაება, აყრა-გადასახლება, განუწყვეტელი ჯაფა, რეპრესიები, ჭირთათმენა, სიმედგრე, ურთიერთგატანა, გაძლება და გადარჩენა!

ვინმეს ჰგონია, დღეს რამე შეიცვალა? დღესაც იგივე გრძელდება, ოღონდ უფრო დახვეწილი, მზაკვრული ხერხებითა და ონარით! ამიტომ დღესაც, ისევე როგორც ოდესღაც, არაბების, თურქ-სელჩუკების, მონღოლების, სპარსელების, თურქებისა თუ რუსების ძალმომრეობის ჟამს, ერს სჭირდება არა ვახტანგ მარგველაშვილის, კოკა იაშვილის და მათი მსგავსი დაშლილი, დეგრადირებული, გალოთებულ-განარკომანებული მწერლუკანები, არამედ იაკობ ცურტაველის, იოანე საბანისძის, გრიგოლ ხანძთელის, გიორგი მერჩულეს, მთანმინდელების, სულხან-საბა ორბელიანის, დავით გურამიშვილის, სოლომონ დოდაშვილის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, დიმიტრი ყიფიანის, ილიას, აკაკის, ვაჟას, ალექსანდრე ყაზბეგის, ივანე მაჩაბლის, იაკობ გოგებაშვილის, ნიკო ნიკოლაძის, დავით კლდიაშვილის, მიხეილ ჯავახიშვილის, ექვთიმე თაყაიშვილის, კონსტანტინე გამსახურდიას,

ნიკო სამადაშვილის და ბერი მათი ყადის შემოქმედნი, ერს ისტორიის ბენვის ხიდზე რომ ნაუძღვენენ, სამშვიდობოს გაიყვანონ და არა თავიანთი უგვანო ყოფაქცევიტა და „შემინახეთ რა, ისეთი, როგორიცა ვარ“ ღნავილიტ ხალხში უიმედობა და გულგატეხილობა თესონ!

ახლა სხვა მხრიდან შევხედოტ ქვეშაგებიდან ახალამდგარ, ნუხანდელ ნაბახუსევე პერსონაჟს.

„მაგრად ცხელოდა. სახლში დაბორიალებდა. დღეს სამსახურში არ მიდიოდა. ყოველთვის ეცინებოდა თავის სამსახურზე, უფრო სნორედ, თავის თავზე სამსახურში“.

კი მაგრამ, რა არის აქ სასაცილო? თავისუფლება-დამოუკიდებლობას რა ჯობია, მაგრამ, რა ექნათ, საარსებო სახსრისთვის მსახურობდნენ — და თან პატიოსნად მსახურობდნენ! — თვით ჰორაციუსი, სერვანტესი, გოეთე, სტენდალი, ლერმონტოვი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, ვაჟა-ფშაველა, დავით კლდიაშვილი, ფიროსმანი, თომას ელიოტი, ნიკო სამადაშვილი, ბორხესი... ეჰ, რომელი ერთი გავიხსენო! ჰოდა, თავისთავად ცხადია, ამ დუბჭირ ცხოვრებასა და საყოველთაო უმუშევრობის ჟამს ჩვენი პერსონაჟიც ლუკმაპურისთვის მოენყობოდა სადღაც. მაშინ სრულად გაუგებარია, რალაზე დასცინის ან თავის სამსახურს ან თავის თავს — რა უსაბუტო, არამწერლური მსჯელობა და წარმოდგენაა!

„ისე უყვარდა სიცოცხლე, უსაქმურობა და გართობა და ისე ეზარებოდა ყველაფრის მამოძრავებელი უბედურებები — შრომა, ტანჯვა და სიკვდილი, ხალისი ეკარგებოდა იმის გახსენებისთანავე, რომ უნდა იტანჯო, იშრომო და მოკვდე“.

აბა, ამის წაკითხვის შემდეგ მოთხრობის ავტორს როგორღა უნდა დავუჯეროტ, რომ მწერალზე გველაპაკება?!

„ტელეფონთან ჩამოჯდა... მობეზრებული ელაპარაკებოდა თავის ბოზანდარა გოგოს მწიშვნელოვან რამეებზე“.

ეს სადაური სამართალია, ამგვარი ეპითეტებით შეამკო მანდილოსანი, რომელთანაც ინტიმური ურთიერთობა გაკავშირებს?! ის თუ მართლა ასეთი აუგიანია, მაშინ ახალგაზრდა მწერალს რა აქვს მასთან საერთო? მეგობარი ქალის ამგვარი დახასიათებით თვითონ მწერალი უარესად მცირდება, რადგან არ ჰქონია ის აუცილებელი მამრული თვისებები, შინაგანი სამყარო და მომხიბლელობა, რომ ღირსეული მანდილოსნის ყურადების ღირსი გამხდარიყო და ამიტომ იძულებული ყოფილა, ვიღაც ზნედაცემულს დასჯერებოდა. მაშინ მას რაღას ემართლება, რატომ ამცირებს მკითხველის თვალში? სად არის ლოგიკა?!

რჯულზე ნასვამი მწერალი ძმაკაცთან ერთად გარეთ დაყიანდება.

„ბნელდებოდა. სახლში ნასვლის დრო იყო. ბიჭს ყველაზე მაგრა სახლში ნასვლა არ უყვარდა“.

გასაოცარია! ნამდვილ მწერალს ერთი სული აქვს ხოლმე — როდის მივა შინ, თავის კუთხეში რომ მოკალათდეს!!!

„ჩხუბი მოუნდა. სხეულში ყრუანტილმა დაუარა. წარმოიდგინა დიდი, დაშხობიანი, დოგა-დოგა ჩხუბი, მუშტების გარტყმის ყრუ ხმა... უცებ რომ აირევა მონასტერი და ერთმანეთისკენ მოქნეული ხელები სასროლ ბადესავით გაიშლება, თავისთვის რომ დაშმიგაობენ უცებ დახსნილი დანის პირები, ბრმად გცდება და ბრმად გხვდება. ტკივილსაც რომ ვერ გრძნობ, საქმის (თუ ჩხუბის? ჯ.მ.) მერეც. სისველე და ეგ არი — სისხლი! შედონდგორებულ ხალხში რომ შევარდები, ვინმეს დაითრევ, მერე შენ დაგიორვევენ...“

სააუგოს ვერაფერს იტყვით: ჯანღონემოჭარბებული, სულიერი წინააღმდეგობებით ამბოხებული ახალგაზრდა კაცის სრულიად ბუნებრივი სისხლის ყივილია! მაგრამ აი, რა ინვეეს სინანულს — მას ჯერ არ გააჩნია საკუთარი თავის ფლობის შინაგანი კულტურა, რომ ამ მოზღვავებულ ენერგიას საჭირო და სასარგებლო მიმართულება მისცეს და სანერ მაგიდასთან დაიცხროს. თუმცა ვინ იცის: ძიების პროცესში მყოფი თვრამეტი წლის ახალგაზრდა ჯერ საბოლოოდ იქნებ არც იყოს ჩამოყალი-

ბებული და მისი ნამდვილი მონოდება კრივი ან სამბისტ-კარატ-ისტობაა და არა მწერლობა!

უზომოდ ნასვამი ძმაკაცები ისევ ერთად არიან.

„არადა, გოგაც მობეზრდა. იმაზე დაიწყო ფიქრი, სად წასულიყო, ვისთან. ხათუნა შორს იყო, თავის მაგარ ნახატებს ხატავდა და ბუდისტობანას თუ კრიმ-ნაიდობანას თამაშობდა. „მუუუ“ თუ „ოოო“ რო ზმუიან და ძროხა რო ღმერთია და ხაშლამა მაგარი მკრეხელობაა. „ჰარე კრიშნა, ჰარე კრიშნა, რამა ჰარე, რამა ჰარე“.. სამაგიეროდ ლოგინში ამბები ხდებოდა, რო ჰაი (აქ მძიმე უნდოდა. ჯ.მ), დედა უტირა — კამასუტრა და ამბავი“.

ჯერ ერთი, რანაირად უნდა გავიგოთ ეს „თავის მაგარ ნახატებს ხატავდა?“ როგორ, უკვე დახატულ და თან „მაგარ“ ნახატებს ისევ ხელახლა ხატავდა თუ რა?! ან რას ნიშნავს „ძროხა რო ღმერთია?“ ძროხა ღმერთი როგორ იქნება?! ძროხა ღმერთი კი არა, ძროხა — ძროხაა! მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული რელიგიის მიმდევართა წარმოდგენაშია ძროხა წმინდა ცხოველი და არა თავისთავად თვითონ ძროხაა ღმერთი!

ახლა მთლიან ციტატაზე. ცხადია, ყველა კალმოსანი ვერ იქნება დიდი მწერალი, მით უმეტეს, თვრამეტი წლის დებიუტანტი, მაგრამ თუ ის მართლა მწერლად არის დაბადებული და მწერლის იოტისოდენა რამ მაინც სცხია, მაშინ მას ყველაფრის ქვრეტა და შეფასება სხვებისგან ცოტათი მაინც განსხვავებული — ჰუმანური, ლოგიკური, საფუძვლიანი ანუ მწერლური უნდა ჰქონდეს. მწერალს სწორედ ეს გამოარჩევს დანარჩენებისგან.

აქ კი რა ხდება? ნამდვილმა მწერალმა სხვის და, მით უმეტეს, თავისი ახლო მეგობარი მანდილოსნის გატაცებასა და სურვილებს ჯეროვანი პატივი უნდა მიაგოს და ასე აგდებულად არ მოიხსენიოს: ბუდისტობანას თუ კრიმნაიდობანას თამაშობდაო. გარდა ამისა, მწერალმა სხვის რელიგიურ გრძნობებს მწერლური სიმალლიდან უნდა უჭვრიტოს და არა ხაშლამის ბორცვებიდან: თითქმის მილიარდს მიღწეული ინდოეთის მოსახლე-

ობის 83 პროცენტი ინდუისტია. ამავე რელიგიის მიმდევარია პაკისტანის, ბანგლადეშის, ნეპალის, შრი-ლანკას, აფრიკის ზოგიერთი ქვეყნისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის მცხოვრებთა დიდი ნაწილი, ვისთვისაც ძროხა წმინდა, ხელშეუხებელი ცხოველია, ჩვენმა პერსონაჟმა კი ეს ყველაფერი ხელის ერთი მოსმით ხაშლამამდე ჩამოაქვეითა!

არ დაგიძალავთ, ალაღად შემებრალა მხატვარი, ქალბატონი ხათუნა. რატომ? იმ სანყალს, ალბათ, ჰგონია, რომ მართლა ერთგულ მამაკაცთან, ღირსეულ პარტნიორთან მაქვს საქმეო, მან კი საბანი გადაიხადა და თავიანთი სექსუალური ურთიერთობის წვრილმანები საქვეყნოდ გამოამზეურა — ქალს უტიფრად წამოაყვედრა კამასუტრა და თან ერთი მდაბიურადაც შეუძახა: ჰაი, დედა ვუტირეო!

კამასუტრა არავის რას ავალდებულებს და, მით უმეტეს, არც აიძულებს — ის მხოლოდ ურჩევს, სთავაზობს. ჰოდა, თუკი წყვილმა ნებაყოფლობით ისარგებლა და ისიამოვნა მისი რჩევით, ახლა რალა ვაჟკაცობა, ანდა რანაირი მწერლური საქციელი იყო, კამასუტრას ასე საქვეყნოდ წამოყვედრება და მანდილოსნის ვითომდა მხილება თუ დადანაშაულება?!

* * *

სასმლისაგან გამოლენჩებული ძმაკაცები ვერა და ველარ გაყრილან.

„არ უნდოდა სახლში წასვლა.

ხალხი ქუჩაში გამოიშალა, საბოლოოდ გათენდა.

— წამო, მთაში წავიდეთ.

— ახლა, ტო?

— ჰო.

— ააფრინე?

წერა ბედს დაემსგავსა. თუ გაქვს ბედი, გაქვს თუ

არა და — არა...

თუ წერ, წერ, თუ ვერა და...

— წამო მთაში.

— მაიცა რა, ძმურად.

— ნამო, რა, შეჩემა, აგე (აქ მძიმე უნდოდა. ჯ.მ.), მარშრუტკა, ორ საათში იქ ვიქნებით, მერე ფეხით დავახვევთ. ნამო, ვიგიჟოთ...

— რა დროს მთაა, მართლა, ხო არ აურიე, ტო... (აქ კითხვის ნიშანი უნდოდა. ჯ.მ.)?"

არც მე ვარ უცხოპლანეტელი და კარგად მესმის ახალგაზრდა გმირის უცაბედად ნაფეთქი სამოგზაურო რომანტიკა, მით უმეტეს, რომ თავის დროზე ტურისტული ბარგი-ბარხანით ნატარ-ნახეტიანები ვარ კარპატებიდან ამურისპირეთამდე, ბალტიისპირეთიდან ვიდრე ყირიმამდე, ლენქორანამდე, პამირამდე... მოკლედ, ჩემთვისაც ძვირფასია სამოგზაურო ციებ-ცხლება, სამზადისი, გზის გადგომა! მაგრამ ნებისმიერი ჩვენი სამოგზაურო ჟინი თუ ახირება რაღაც მოსათმენ ჩარჩოში მაინც უნდა თავსდებოდეს, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში... ამ პასაჟში კი მკითხველის მთელი სიმპათია მოულოდნელად და მთლიანად იხრება გოგასკენ, რომელიც აქამდე არაფრით გამოირჩეოდა: სავსე ტიკქორასავით თავისთვის იღო და მხოლოდ მაშინ ამოიბლუყუნებდა რაღაცას, როდესაც ავტორი რაიმე უმნიშვნელო ფრაზას ჩაუდებდა პირში. ახლა კი დააკვირდით, მწერალი ძმაკაცის უეცარ და უადგილო აჟინებაზე — მოდი, მთაში გავუტიოთო, ეს გოგა როგორი საღი განსჯის მაუნყებელ ფრაზებს ისვრის: „ახლა, ტო?“... „— ააფრინე?“ „მაიცა, რა ძმურად“ „— რა დროს მთაა, მართლა ხომ არ აურიე, ტო...“

კარგი, ერთი ცუნახოთ, ამასაც აება მხარი და ორ გახეთქილ ძმაკაცს სამარშრუტო ტაქსით ორიოდ საათში მართლა სადღაც მთებში ამოეყო თავი, თანაც თითოვით შიშველ-ტიტვლებს: არა აქვთ საძილე ტომრები, კარავი, საკეები, საჭირო აღჭურვილობა, სათანადო ტანსაცმელ-ფეხსაცმელი, კონკრეტული გეგმა და მარშრუტი... არა, გეთაყვა, თქვენ რაც უნდა ისა თქვით, მაგრამ მთაში თუ საერთოდ, სამოგზაუროდ, ამგვარად არ მიდიან! ასე ალა-ალა წავიდოდნენ და გარდაუვალი იქნებოდა რაიმე კატასტროფა, ფათერაკი, შარი, ხიფათი, უაზრო, მომქანცველი ლეტიალი, სინანული, ურთიერთბრალდებები, თავბედის წყევლა, იმედგაცრუება...

ყურადღება მიაქციეთ: მწერალი ამ თავისი ძმაკაცის მთაში გატყუებას რომ ცდილობს, თან საითკენ მოუწოდებს, რითი უპირებს მოსყიდვა-მოხიბვლას: ნამო, ვიგიჟოთო!

გასაშტერებელია ახალგაზრდა კაცის და, მით უმეტეს, მწერლის ფსიქიკა, შეხედულება, საგნებსა და მოვლენებზე წარმოდგენა, მიზნის კონკრეტიზაცია!

მთებში, ტყეში, პოლუსზე, სტეპებში, უდაბნოში, ტუნდრასა თუ ტაიგაში იმიტომ კი არ მიდიან, რომ იქ იგიჟონ, ვინმე გააგიჟონ ან თავი გაიგიჟონ და ამით თვითონაც ივნონ და სხვაც ნაენები დატოვონ, არამედ სამყარო, დედაბუნება, სხვადასხვა რასისა და ეროვნების ადამიანები შეიცნონ, საკუთარი თავი გამოსცადონ და გამოანროთონ, ცოდნა და სიბრძნე შეიმატონ, ახალ-ახალი ნაცნობ-მეგობრები შეიძინონ, ქვეყნიერების ტრიალს თვალი დააკვირონ... არადა, როგორ მაინტერესებს, თბილისიდან სამარშრუტო ტაქსის მიერ ორ საათში გავლილი სავარაუდო მანძილის რადიუსში რა ან ვინ უნდა გამხდარიყო ჩვენი გმირების სიგიჟის მსხვერპლი თუ ობიექტი: მთა, კლდე, გამოქვაბული, გზის პირას დაბმული დეკეული, ნაკოშკარი, საყდარი, თივის ზვინები, წყარო, ადგილობრივი ქალიშვილები, საძოვარზე გარეკილი ნახირი, მწყემსები, მსხმოიარე ხეხილი, ბოსტანში მომუშავე ქალები თუ იქაური თანატოლები?! ანდა, პერსონაჟის საბოლოო მიზანი თუ მართლა ეს, ანუ რაიმე სიგიჟის ჩადენა იყო, მაშინ რაღა აზრი ექნებოდა ამ მინგრეულ-მონგრეულ გზებზე ორსაათიან ჯაყჯაყს — შეეძლოთ პირდაპირ თბილისშივე „ეგიჟათ!“... ეეეჰ!

მოკლედ, თავისი სტიქიით გატაცებული ავტორი სულ არ უკვირდებოდა, რას წერს და საბოლოოდ რა შერჩება ხელში! ამიტომ ჰგონია, რომ თავის მთავარ პერსონაჟს შიგადაშიგ რაც უფრო მეტ უკიდურესობასა და ახირებას მიაწერს, მით უფრო სისხლხორციტ სავსე, ცოცხალი ტიპი დაიხატება. არადა, ყველაფერი პირიქით გამოსდის: როგორც კი უშუალოდ მის ხატვა-დახასიათებას იწყებს — და ეს უკვე რამდენიმეჯერ ვიხილეთ! — თავისი გამოუცდელობით თუ აჩქარებით, უეცრად ისეთ რამეს გამოურევს ხოლმე, რომ ახალგაზრდა მწერლის ისედაც მქრქალი პორტრეტი უფრო მქრქალდება და მის ადგილს იკავებს ჯერ

გაურანდავი, თუმცა საკმაოდ მონადინებული ჯეილი, რომელსაც ბევრის გაკეთება-მიღწევა კი სწყურია, მაგრამ ამხელად ცოტა ან არაფერი გამოსდის, ვინაიდან ჯერ ვერ გამოუმუშავებია თავის ფლობისა და რაიმე განსაკუთრებული ძალდატანების გარეშე გონებრივი მუშაობის კულტურა და ჩვევები.

ერთი სიტყვით, ძალის თავი აი, სად მარხია: შინაგანად მოუნესრიგებელ, სმასა და სმისმოყვარულ ძმაკაცებს გადაყოლილ, კალაპოტიდან ამოვარდნილ ახალგაზრდა მწერალს საკუთარი თავი ვერა და ვერ დაუსვამს სანერ მაგიდასთან. ამიტომ ისიც იძულებულია ლობე-ყორეს მოედოს — ხან მოელვარე დანების ტრიალით „დამშვენებული“ ჩხუბი ენატრება, ხან თავის მხატვარ გოგოს, ხათუნას, კილავს, ხან კი უცაბედად მთაში აჭრას ნადინობს, რათა იქ „იგიჟონ!“ თავიდათავი კი მკაცრად გამო-მუშავებული ნერის კულტურისა და რეჟიმის უქონლობაა. ამას არც გვიმაღავს ავტორი.

„მთის იმედი ჰქონდა. მთისა კი არა, ყველაფრის, რაც შეუძლებელი იყო: ვერ წერდა და მერე იმას აბრალებდა, იმ შეუძლებელს — ეგ რომ გამეკეთებინა, დავწერდიო“.

მშვენივრად არის ნათქვამი! ეს ყველაფერი ნაცნობია და, ალბათ, ბევრ შემოქმედს განუცდია. ამიტომ აქედან ტრაგედიის შექმნა და თავგანამება არ ღირდა: ყველაფერი თანდათან დალაგდება! მაგრამ ეს არ ესმის, ანდა არ სჯერა ჩვენს ავტორს, რის გამოც ორივე — თვითონ ავტორიცა და მისი პერსონაჟიც — უმონწყალოდ იტანჯება! ბოლოს კი ეს ტანჯვა სრულიად ბუნებრივად მკითხველზეც გადმოდის, ვინაიდან მოთხრობაში მეტი სმეტი, პირდაპირ თავმომაბეზრებელი ოხვრა-კენესა, გმინვა და მუქარა ისმის: რატომ, რატომ ვერ ვწერო, ანდა, უეჭველად დავწერო! მოუსმინეთ:

„წყალი დალია. წყალიც ისე დალია, სასხვათაშორისოდ. წერა მოუნდა, (აქ წერტილი უნდოდა და არა მძიმე. ჯ.მ.). იცოდა, ვერაფერს დანერდა და თანდათან ღიზიანდებოდა“.

ახალგაზრდა მწერალს უცებ სიხარული დაეუფლება — გაახსენდა, რომ მაცივარში ჩარჩენილი ლუდია, გამოიღებს და დალევს.

„ეჭირა ცარიელი ბოთლი, უაზროდ უყურებდა. წერა უნდოდა, მაგრამ წერა ისე შორს იყო მისგან, როგორც უკვე დალეული ლუდი და ამას არაფერი ეშველებოდა“.

მწერალს ახლა თავისი პერსონაჟის არცთუ შორეულ წარსულში გადაჰყავს მკითხველი.

„ტრაქტატები ჰქონდა დაწერილი იმაზე, როგორ ვერ წერდა, მაგრამ ეს აღარც საინტერესო იყო და აღარც სასაცილო. ვერა წერ, ნუ წერ“.

პაპანაქებისაგან მოთენთილი პერსონაჟი წყლით სავსე აბაზანაში თავის ჩაყოფით ცოტათი გაგრილდება და ფიქრებით ისევ თავის სატივიარს უტრიალებს.

„კარგად როცა იყო, ხოშიანად, თავის ნებაზე წერაც რომ გამოსდიოდა, მშვიდდებოდა და სწორედ მაშინ უხსენებდა ყველაფერი“.

მოთხრობის გმირი შინ უაზროდ დაბოროილებს. მერე ტელეფონით თავის გოგოსთან იმუხაიფებს, ბოლოს კი, შინაგანი ფორიაქით მოქანცული, ტახტზე მიწვება და მიეძინება...

სალამო ხანს კი უკვე ავლაბრის ერთ-ერთ ძველ უბანშია — იქ სომეხი და ქართველი ბიჭების პოკერის თამაშს უყურებს.

„სალამოს კარგი პირი უჩანდა. პონტი აგდებული იყო, ღამდებოდა. მერე დაღამდა. გაახსენდა, დღეს რომ უნდა დაეწერა. პირობა დადო, სახლში მისვლისთანავე დაეწერო.“

აქ ავტორს მეტი დაკვირვება, ანდა წინადადების სხვანაირად ჩამოსხმა მართებდა. იგი ისე სასხვათაშორისოდ ამბობს: გაახსენდა, დღეს რომ უნდა დაეწერაო, თითქო საკითხი ეხებოდეს, მაგალითად, მეზობელი დედაბრის მიერ ვილაციისთვის გადასაცემად დატოვებულ ბინის გასაღებს, ანდა ხარაზთან

მისატან რალაც ჯღანებს! ჭემმარიტი შემოქმედი თუ მართ-
ლა მოახლოებული წერის სტიქიით არის დაორსულებული, ეს
დროდადრო კი არ ახსენდება, არამედ სულ ამ მოლოდინითაა
შეპყრობილი, ქვეშეცნულადაც კი სულ ეს მოლოდინი მარ-
თავს და ისიც ჩასაფრებულ ნადირივით ხელსაყრელ წამსლა
ელოდება ხოლმე! და კიდევ ერთი, ასე მაინც რომ ეთქვა: შინ
მისვლისთანავე შევუდგები წერასო, ეს უფრო მისადაგებული
გამოვიდოდა, თორემ ისე ამბობს — მისვლისთანავე დავწერო,
თითქო ვილაცის მანქანის ნომერზე, ანდა რალაც გაზეპირებულ
ორ-სამ სიტყვაზე იყოს ლაპარაკი. ხოლო თუ მართლა ასე იო-
ლად, მისვლისთანავე დასაწერ რალაცას ეხება საკითხი, მაშინ
რალა საჭიროა ეს ამდენი ოხვრა, შფოთი და ქადილი — აილოს,
დანეროს, თვითონაც მოისვენოს და მკითხველიც მოასვენოს!

მთლიანად აღარ გავიმეორებ მთაში აჭრის ახირების ამსახ-
ველ წელანდელ ციტატას, სადაც კვლავ ამ წერის სიძნელეზე
შემოგვიჩვიის ავტორი და მას ბედს ამსგავსებს.

„წერა ბედს დაემსგავსა. თუ გაქვს ბედი, გაქვს, თუ
არა და — არა...
თუ წერ, წერ, თუ ვერ და...“

მეც ლიტერატურის ერთი დღიური შავი მუშა ვარ და ეს
ყველაფერი ჩემთვისაც კარგად არის ნაცნობი, მაგრამ ავტორს
მაინც შევნიშნავ: უხერხულია, სრულიად უდანაშაულო მკითხვე-
ლს თავპირი მოვაჭამოთ ამდენი ერთფეროვანი ჩიჩინ-წუნუნით:
დავწერ, ადრე კარგად ვწერდი, ახლა ველარ ვწერ, რატო ვერ
ვწერ? ბედი თუ მაქვს, დავწერ... უეჭველად დავწერ და ა.შ.

ეს ყველაფერი ჩვენი, კალმოსნების მეტისმეტად პირადულ-
ინტიმურ-იდუმალი თვისება და სატკივარია და არა მკითხ-
ველის. ხოლო ავტორს თუ მაინცდამაინც სწორედ ეს მხარე
ანუხებდა, მაშინ მოთხრობაც სულ სხვანაირ სიუჟეტურ-შინაარ-
სობრივ თარგზე უნდა აგებულიყო, ფსიქოლოგიური ჩარჩოც
სხვა ფორმის შეკრულიყო და მხატვრული საღებავებიც სხვა-
ნაირად უნდა განანილებულიყო, თორემ ასეთი მშრალი, თავშე-
საწყენი ჩიჩინით არც მხატვრული ტილო მოიქსოვება და ვერც
მკითხველს მოვულობობთ გულს, ვინაიდან მას მალალმხატვრუ-

ლი ნანარმოები აინტერესებს და არა დროებით ხელმოცარული მწერლის ნუნუნ-ჩივილი! აკი წელან თვითონვე ამბობდა: ტრაქტატები ჰქონდა დანერილი იმაზე, როგორ ვერ წერდა, მაგრამ ეს აღარც საინტერესო იყო და აღარც სასაცილო.

გიშველათ ღმერთმა! პოდა, ახლა ავნონ-დავნონოთ: ამას თვითონ მწერალიც რომ გრძნობს და ხამუშობს, მკითხველი რალა დღეში იქნება?!

* * *

ახლა მკითხველის ყურადღებას ავტორისეული თხრობის ლექსიკაზე გავამახვილებ.

„ახლა კი ფაიზალი მკედარი იყო“.

„მაგარი მაზიანი მიდიოდა“.

„ჩვენები იგებდნენ და არ ხიპიშობდნენ“.

„მაგრამ არ დაიზმენებულა“.

„პონტი აგდებული იყო“.

„უკვე სიაფანდობდა“.

„რომ გახედავდა რამე სისულელის გამო აბლატავე-ბულ... ბიჭებს“.

„უცებ დასერიოზულებს და გადერსკებულებს“...

„ტყვიის ნუნუნი ევასებოდა!“

„ეს ახვარი არ ინგრეოდა“.

„უფრო და უფრო ერეოდა რამსები“.

„სიმნრით იღეჭა ჩუჩმეკური ქოსა წვერი“.

„კი არ ფორსობდა“.

„თავისთვის რომ დაშმიგაობენ დანის პირები“.

„რომ არც ახლა გამაზე“.

„დაუებეროთ მთაში, მაგარი გაგვისნორდება“.

„ზუსტად ეგეთი მასტი იყო“.

„მაყუთის საქმეში რომ კაცს გადაადგებ და დაგასტუკებს, მერე კარს რომ გინგრევს ვილაც განაბებთან ერთად მოსული — გამო, შე ახვაროო!“

„ნარმოიდგინა დიდი, დაშხოშიანი... ჩხუბი“.

მართლა ველარ გავრკვეულვარ, რა ხდება: ქართველი მწერლის მიერ ქართული ენით დანერილ მოთხრობას ვკითხულობ

თუ ქართული სალიტერატურო ენის გასვენებაში აყდერებულ სამგლოვიარო მუსიკას ვისმენ?! ნანარმოების პერსონაჟთა დიალოგში კიდევ მესმის, მაგრამ ავტორისეულ თხრობაში რა მოსაწონია ამგვარი ჟარგონის თავანყვეტილი ჯირითი?!

დღეს საქართველოში, ალბათ, ათასზე მეტი კალმოსანი მოითვლება. თითოეულმა მათგანმა სამფურცლიანი ნანარმოების ავტორისეულ თხრობაში ამდენი ჟარგონული გამონათქვამები რომ გვითესოს, რა დაემართება მშობლიურ ენას?

აი, თან აქ რა მაკვირებს და მაინტერესებს. თავის დროზე გაზეთში „ჩვენი მწერლობა“ (მთ. რედაქტორი როსტომ ჩხეიძე) გამოქვეყნებულ ბექა ქურხულის იმედის მომცემ მოთხრობებში თუ არ ბობოქრობდა ჟარგონი, მან ახლა რა ისეთი ზღაპრული განძი და უბადლო გამომსახველობითი თვისებები უპოვა ამ ქუჩურ-ქურდულ-ვულგარულ ტერმინოლოგიას? ან ეს რა სენი სჭირს ჟურნალ „ლიტერატურულ პალიტრას“: როგორც ბოროტი რეციდივისტი უბნის უცოდველ მოზარდებს ალკოპოლსა და ნარკოტიკებს, ისიც ზოგიერთ თავის ავტორს ისე აჩვევს თავდაუჭერელი ჟარგონით ნერა-აზროვნებას და ამაზრზენ ლანძღვა-გინებას?!

სამწუხაროდ და სავალალოდ, დღევანდელი ჩვენი მხატვრული ლიტერატურის პერსონაჟთა მეტყველებაში განუხრელად ბატონდება წრეგადასული ჟარგონი ანუ სლენგი (ინგლ. slang). ამ სლენგური სტილის მოდამ თუ ბუმმა სწორედ რომ სულზე მოუსწრო გარკვეული კატეგორიის კალმოსნებს — ზოგიერთ არაკომპეტენტურ გამომცემლობასა და რედაქტორს მწვანე გზა რომ არ მიეცა წრეგადასული სლენგისთვის, რა ეშველებოდათ, ასე უცებ როგორ გახდებოდნენ მწერლები — რა დასამალია და მათ (აქ ბექა ქურხული არა მყავს მხედველობაში) ხომ საყველპურო ქართულიც არ იციან! მაშ, გაუმარჯოს სლენგს! სიცოცხლე და ჯანმრთელობა მისტერ სლენგს!!!

ეს რა ჯადოსნური რამ ყოფილა სლენგი! მის მოტრფიალე ავტორს სლენგის ხათრითა და იმედით აღარ მოეთხოვება არც მშობლიური ენის საფუძვლიანი ცოდნა, არც გრამატიკული კატეგორიების დაცვა, არც ორთოგრაფია, არც დამაჯერებელი

თხრობა... არაფერი, არაფერი, ოღონდ კი სლენგი ბობოქრობდეს!

რალას ვიზამთ?! ნანარმოების პერსონაჟებმა, დაე, იმდენი იყურყუმელაონ ამ სლენგის მორევში, რამდენიც სურთ, მაგრამ ავტორი? ნუთუ ავტორისეული თხრობაც აუცილებლად სლენგურ-ქუჩურ-ვულგარული უნდა იყოს?! რა გამოდის?!

ერთი ნუთით ნარმოვიდგინოთ ასეთი რამ. ბაგა-ბალის აღმზრდელი ქალი რალაც საქმეზე მოულოდნელად დირექტორმა თავისთან გამოიძახა. აქამდე გასუსულმა, ახლა კი დროებით უმეტეალყურეოდ დარჩენილმა ნორჩებმა ამით იმწამსვე ისარგებლეს, დაერივნენ ერთმანეთს და იქაურობას პირდაპირ იკლებენ!

უკან მობრუნებულ აღმზრდელ ქალს რა ევალება, როგორ უნდა მოიქცეს: წესრიგის დამყარებას შეუდგეს თუ თავადაც თავდაყირა გადაეშვას ამ ჩარბუზანაში, შეუერთდეს თავის აცეტებულ აღსაზრდელებს და მხურვალე მონაწილეობა მიიღოს ოთახის გაპარტახებაში?! აღმზრდელმა ქალმა თუ მეორე გზა აირჩია, მაშინ ის რალა პედაგოგი ყოფილა?! როგორც ბავშვების აღმზრდელი, ასეთ შემთხვევაში ზნეობრივ-მორალურად მაშინვე მოკვდება, ვინაიდან მას მსგავსი რამის ჩადენის არც უფლება აქვს და რაც უფრო მთავარია, ამისი არც სურვილი უნდა დაებადოს — ეს ასაკსრული, პროფესიის მქონე პიროვნება თავის პანია აღსაზრდელებზე გაცილებით მალლა დგას, მას თავისი მოვალეობა და პასუხისმგებლობა აკისრია!!!

განა ამგვარი დისტანცია და განსხვავება არ უნდა იგრძნობოდეს მწერლისა და მისი პერსონაჟების მეტყველებას შორისაც?! რას ვიზამთ, როცა მხატვრული ნანარმოების ამა თუ იმ პერსონაჟს არ გააჩნია ის სანატრელი ცოდნა-აღზრდა, ანალიტიკური ჭკუა-გონება, შინაგანი კულტურა, რომ გამართულად იაზროვნოს და იმეტყველოს, იქ მწერალს სხვა რალა დარჩენია, სიყალბეს ხომ ვერ ჩაიდენს — ცხადია, თითოეული პერსონაჟი მხოლოდ მისი მონაცემებისა და შესაძლებლობის ფარგლებში უნდა ამეტყველოს! მაგრამ რა დაშავდება, რომ პერსონაჟთა სლენგური მეტყველების ფონზე ავტორისეული დახვეწილი მხატვრული აზროვნება და ძარღვიანი, თავანკარა თხრობა კიდევ ისე გამოირჩეოდეს, როგორც ახალგადახნულ მინდორში ლარი-

ვით გაჭიმული, მწვანედ მობიბინე განიერი მიჯნა?! ასეთ შემთხვევაში ეს სლენგია თუ რალაც ჯანდაბა და დოზანა, უფრო თვალში საცემი, უფრო ეფექტური არ იქნება?! თუმცა მხატვრული ნაწარმოების ავტორისეულ თხრობას ვინლა დაეძებს, როცა ბექა ქურხული თავის მკითხველებს თვით ინტერვიუშიც კი (!!!) სლენგური ემხით ედარდიმანდება. აი, ერთგან რას გვეუბნება.

„რამდენჯერ მიფიქრია: ჩემი ფრაერი თავი რა ვთქვი“.

არ გაინტერესებთ, ერნესტ ჰემინგუეის რაები უთქვამს? ამას ბექა ქურხული მოგიყვებათ, ოღონდ თავისებური ლექსიკით.

„— ჩემზე უკეთესად მაგ კითხვებს ჰემინგუეიმ გაცა პასუხი. საოცარ რამეს ამბობს: წერა ჩემთვის კაიფებს შორის მეათე ადგილზეაო... მაგრამ თუ რამე არ დავწერე, ეს მთავარი მულამები ხიბლს კარგავსო“.

ხედავთ, როგორი კაიფები და მულამები ჰქონია და სცოდნია პაპა ჰემის!

ბარემ ისიც შევიტყოთ, რა ემართება ჩვენს ავტორს, წერისას თუ ზუსტ, ზედგამოჭრილ ფრაზას მიაგნო.

„— თუ რამე ისეთი ფრაზა გავარტყი, აღფრთოვანებისაგან შემიძლია ნაჲიდე, ერთი კვირა ბირჟაზე ვიჯდე და ვიბუხაო“.

ჯერ ერთი, რანაირი ქართული ან აზრია — ფრაზა გავარტყი?! კი მაგრამ, ეს ფრაზა ვის, რას, როგორ, რანაირად ან რისთვის უნდა გავარტყას? მთელი კვირა ბირჟაზე შეიძლება ვილაც მოცლილი გავრია პერსონაჟი იჯდეს და იბუხაოს და არა მწერალი! და საერთოდ, მწერალმა, მით უმეტეს, ახალგაზრდამ, ინტერვიუდან მკითხველ საზოგადოებას როგორ უნდა შეჰკადროს ეს — ფრაერი, კაიფები, მულამები, ვიბუხაო?!

ეს ხომ დაახლოებით იგივეა, ქვეყნის პრეზიდენტთან დანიშნულ ოლიმპიელ ჩემპიონთა საზეიმო მიღებაზე რომელიმე ქალიშვილი მხოლოდ საცურაო კოსტუმის ამარა გამოცხადდეს — მე მოცურავე ვარო!!! დიახ, მაგრამ ასეთ სპორტსმენს ნუთუ იმდენი არ უნდა ესმოდეს: საცურაო კოსტუმი ვარჯიშის, შეჯიბრების, გამოფენის, კონკურსის, პლაჟის თუ დასვენების

ატრიბუტია, ხოლო საზოგადოებაში და, მით უმეტეს, ქვეყნის პრეზიდენტთან დანიშნულ ოფიციალურ მიღებაზე უნდა მობრძანებულიყო ნესიერად ჩაცმულ-დახურული, როგორც ამას საზოგადოებრივი ეთიკა და ადამიანური ღირსება მოითხოვს.

განა ლიტერატურაშიც ასე არ უნდა ხდებოდეს?! თუ მწერალს ისეთი ნაწარმოების დაწერა უნევს, რომ იძულებულია, თავის პერსონაჟთა ერთი ნაწილი სულ აღმაშფოთებელი ჟარგონით ატლიკინოს, ნუთუ ეს იმის უფლებასაც აძლევს, თვითონაც ყველგან და ყველასთან ამ ჟარგონით მოიწონოს თავი: ავტორისეულ თხრობაში, პერსონაჟთა დიალოგში, ინტერვიუში, ოჯახში, მეზობელთან, კოლეგებთან, სტუმრად, მკითხველებთან შეხვედრაზე, ქალიშვილთან, დარბაისელ მოხუცთან, ოფიციალურ მიღებაზე.

მაშინ ასე გამოდის: ჟარგონის განუკითხავად მოტრფიალე, პრემიამინიჭებულმა მწერალმა სხვა ლაურეატებთან ერთად ქვეყნის პრეზიდენტთან საზეიმო მიღებისას თავისი მოკლე სამადლობელი სიტყვა დაახლოებით ამ სტილით უნდა წარმართოს.

— ბატონო პრეზიდენტო, ქალბატონებო და ბატონებო, ცოდვა გამხელილი სჯობს: როცა კანცელარიიდან დამირეკეს და აქ მოსვლა მთხოვეს, მაშინვე ვიგუმანე, რომ სახელმწიფო პრემიის პონტი უნდა ყოფილიყო, ვინაიდან პრეზიდენტთან ისე, სიბანდზე არ დამიბარებდნენ!... მართალია, ეს ფულადი ჯილდო პირადად მე მენიჭება, მაგრამ, ქართველი მწერალი ისე არ გაპრაშლიაკდება, რომ ფული სულ ძმაკაცებთან გრიმიტში მიაფშენას და გარკვეული ნაწილი გაჭირვებულთა ფონდშიც არ გადარიცხოს. თუმცა პატარა მალარიჩს მაინც ვერ გადავურჩები — მე და ჩემი კოლეგები რესტორანში ხოშიანად ვიბუხავებთ, ოღონდ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ზოგიერთებისაგან განსხვავებით, ეს შარაფი ჩაივლის მშვიდობიანად და ადგილი არ ექნება არავითარ ხიპიშს და სხვ. და სხვ.

რას იტყვი, როგორია?

საერთოდ კი, უნდა ითქვას, მონვეული ავტორი ინტერვიუში მეტად უცნაურად, თუ შეიძლება ასე ითქვას, რაღაც არამწერლურად მსჯელობს თავისი ცხოვრების მიზნად გამხდარ საქმი-

ანობაზე — მწერლობაზე. აბა, ერთი თქვენც მოუსმინეთ (სტილი დაცულია).

„თუმცა მე, სიმართლე გითხრა, გაცილებით მირჩევნია, დანის უფრო მაგრად ქნევა შემეძლოს, მაგარი მაფიოზი ვიყო, მაგარი განგსტერი და გაცილებით მაგარ საქმეებს ვაკეთებდე, ვიდრე ვიჯდე და რალაცეებს ვწერდე. იცი, რამდენჯერ მიფიქრია: ჩემი ფრაერი თავი რა ვთქვი, ზიხარ, წერ, როცა შეგიძლია, ამდენი რამ აკეთო — სახლი ააშენო, ხიდი გადო, გემი ააგო — რამდენად უფრო კაცურია! — და ზღვაში გახვიდე“.

ეს მწერლის ან თუგინდ დებიუტანტის მსჯელობა კი არა, უცხოური კომერციული ფილმების უთავბოლო ყურებით უკიდურესად აღგზნებული მამლაყინა ბიჭუნას ემოციური ამოფრქვევაა! ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ოცდაათიოდენლის ავტორს ნუთუ არ ალელვებს: თანამოკალმეები და მკითხველები რა თვალით შეხედავენ „დანის უფრო მაგრად“ ქნევის მოსურნესა და განგსტერ-მაფიოზობაზე მეოცნებე თუ ამ სფეროში ხელმოცარულ პიროვნებას, რომელსაც ახლა მწერლად გახდომა მოსურვებია?! ან რას ნიშნავს ეს: „რალაცეებს“ ვწერდე?! „რალაცეებს“ გრაფომანები და ეპიგონები წერენ, ნამდვილმა, რამედ ღირებულმა მწერალმა კი იცის, ნესითა და რიგით უნდა იცოდეს, რას წერს!

ემოციებს აყოლილი თუ თავის შეხედულებებში მტკიცედ დარწმუნებული ავტორი არც იმას უკვირდება, რომ მწერლობა — დედამიწის ზურგზე ეს ერთ-ერთი ყველაზე უმიძიმესი, გამორჩეული, დუხჭირიანი, სასახელო და ამავე დროს საბედისწერო, მხოლოდ განსაკუთრებული ნიჭით, ნებისყოფით და ილბიანობით ნიშანდადებულ თავშენირულთათვის განკუთვნილი პროფესია ხელწამოსაკრავ, სხვადასხვა საქმიანობასა და სფეროში ხელმოცარული ადამიანებისთვის იოლად ხელმისაწვდომ ხელობად გამოაცხადა: თუკი არ შეგიძლიათ „დანის უფრო მაგრად ქნევა“, ასევე არ მოგდევთ იმდენი შნო და მარიფათი, გახდეთ მაგარი მაფიოზი, „მაგარი განგსტერი“ და საერთოდ, „მაგარ საქმეებს“

ჩარხავდეთ თუ აკვარახჭინებდეთ, ანდა, ვთქვათ, ააგოთ სახლები, ხიდები, გემები და თან ზღვაშიც გახვიდეთ, დალონებას ნუ მიეცემით — აგერ არ არის მწერლობა, მიუსხედით მაგიდას და ისე როგორ ნახდებით, „რალაცეები“ ვერ დანეროთ!

კეთილი, მაგრამ ეს „რალაცეები“ ჭეშმარიტი მხატვრული ნაწარმოები იქნება, თუ მკვედრადმობილ მასალისთვის განკუთვნილი ლიტერატურული მორგის თაროებზე მოსახვედრი მაკულატურა — აი, აქ რა არის საკითხავი!

გულნაკლული ავტორი იძულებულია რა დასჯერდეს „რალაცეების“ წერის „უღიმღამო“ ხელობას, დანანებით ჩივის — რამდენად უფრო კაცურია, გემი ააგო და ზღვაში გახვიდო!

მე კი ამქვეყნად მწერლობაზე უფრო კაცური, უფრო მძიმე და სასახელო პროფესია ვერ წარმომიდგენია და მასთან შედარებით ჩირად და ჩამიჩადაც არ მიღირს მაფიოზობა, განგსტერობა, გემების აგება, ზღვაში გასვლა, კოსმონავტობა, პრეზიდენტობა, მილიარდერობა, კინოვარსკვლავობა, პარლამენტარობა, ცათამბჯენებისა და ხიდების მშენებლობა, გუბერნატორობა, ალპინისტობა, მოდელიორობა, ოკეანოლოგობა, ქირურგობა, მთავარსარდლობა, ელჩობა, რეჟისორობა, ბიზნესმენობა, სპიკერობა, ფინანსისტობა...ახლა? როგორ გაირჩეს, ვინ მართალია და ვინ არა?!

* * *

ცალკე მსჯელობის საგანია ავტორისეულ თხრობაში რუსული სიტყვების ხმარება.

მწერალი ერთგან მოგვითხრობს 1991 წელს მთავრობის სასახლესთან მიმდინარე ბრძოლებზე, როცა მოულოდნელად გამოვარდნილი ჯავშანტრანსპორტიორი სახიფათო ზონიდან სამშვიდობოსკენ დაიფრენდა ხოლმე მოსეირეთა აბეზარ ბრბოს და მერე „თვითონ „ლიხაჩურად“ დაბზრიალებული გამოუტყვედა უკან“.

როგორც ჩანს, ავტორი სათანადოდ ვერ ფლობს ქართული ენის სიტყვათა საგანძურს, ანდა, უბრალოდ, არ ენდობა მშობლიური ენის შნოსა და ჯავარს და უცხო სიტყვა სათქმელის უფრო ზუსტად გამომხატველი ჰგონია. ამიტომ უხმარია ეს

რუსული სიტყვა „Лихач“. თანაც ისე კი არა, მაინც ქართული დაბოლოება და ჟღერადობა მიუნიჭებია!

რა მიზეზით აყენებს წინ უცხო სიტყვას და რას უწუნებს მშობლიურ ენას, ამის განსჯა-ძიება და კიცხვა-ყვედრება ძალიან შორს ნაგვიყვანს. ის კი არადა, ავტორს მადლობაც კი ეკუთვნის, რადგან ეს უცხო სიტყვა ბრჭყალებში მაინც ჩაგვისვა. ამით მან ჩვენი საზოგადოება და მომავალი თაობები წინდახედულად გააფრთხილა: ემანდ ღმერთი არ გაგინყრეთ და ეს უცხო სიტყვა ქართულში არ შეურიოთო!

მწერლის ამგვარი გულისხმიერება დიახაც რომ საქებარია, ოღონდ ერთ რამეს ვერ ვხვდები: ეს ერთი რუსული სიტყვა ბრჭყალებით საიმედოდ რომ დაბორკა, მის მოძმე სხვა სიტყვებსაც რატომ იმავნაირადვე არ მოექცა და რა საბუთით ჩამოურიგა ქართული ენის სრულუფლებიანი მოქალაქეობის დამადასტურებელი მუდმივი პასპორტები შიგ ჩანყობილი ხელშეუხებლობის მანდატებით. მოუსმინეთ:

„ზასკოკი ჰქონდა იარაღზე“.

„თავის სასტავთან კიდევ დადგა ყირაზე“.

„გულიანკისას სიკვდილიც არ შეიძლება“.

„ჯიუტად მიაქვთ სასფლაოსკენ ხის იაშიკში ჩაჭედილი“.

„ამას გრუსტინიაკი ერქვა. აღარ უნდა გრუსტინიაკი“.

„თითქო რაჟოკს ცვლიანო“.

„ომი კი ტოპკას ურტყამს“.

„ფლავის სინი მოიდგა, შუაში მაკის გალოვკით“.

„სულ თავისი ხელით აჭამა მაკისგალოვკიანი უზბეკური ფლავი“.

„მაგრამ მაინც დამაშნი როა“.

„როგორ ეწოდა ბათინკის ყელში ჩავარდნილი (უნდა იყოს ჩაცვივნული. ჯ.მ.) თოვლისგან ფეხი, როგორ უცურდა სველი ბათინკი მოლიპულ ბილიკზე“.

„თითქოს ახლახან იშვილეს და პრიუტიდან პირველად მოჰყავთ სახლშიო“.

„ოცმეთაური იყო, ზვანია არავენ იცოდა“.

„კედლის კუთხეში იგროკივით ჩაჯდა“.

რა ხდება? ქართველი ახალგაზრდა მწერალი ქართულად მოთხრობის წერისას ქართული სიტყვების მხარდამხარ რა მიზეზით ან რა უფლებით ხმარობს ამდენ რუსულ სიტყვებს, თანაც უბრჭყალებოდ?!

რედაქცია დუმს თუ თვლემს?!

„ზასკოკი ჰქონდა... იარაღზე“. — ამაყად აცხადებს ავტორი თავის პერსონაჟზე, მომავალ მწერალ-დებიუტანტზე, ჩვიდმეტი წლისა მხედრიონელებს მოხალისედ რომ ნაჰყოლია აფხაზეთის ომში.

სრულიად გაუგებარია, მწერალი რატომ არ ცდილობს, თავისი მოთხრობა თავანკარა ქართულით დაწერილი გამოუვიდეს და მკითხველს რა მოსაზრებით ან რის იმედით ელაპარაკება ამ „ზასკოკით“, რომელიც ზედმინეწით ვერ გამოხატავს სათქმელს და ჟარგონულ შთაბეჭდილებას ტოვებს. მაინც რას ნიშნავს ეს „ზასკოკი“.

Заскок — შეხტომა. გახტომა. **Заскок вперед** — წინ გახტომა.

Заскок в голове (у него) — ტვინი ნაღრძობი აქვს, ცოტას ურევს.

მაშ, ქართული ენა ნუთუ მართლა ისე ნაგვიხდა და დაგვიდაბუნდა, რომ ამ რუსულსიტყვიან მარტივ წინადადებაში გატარებული აზრის გამოხატვის ღონეც აღარ შესწევს?! არადა, ალბათ, ამ „ზასკოკ“-ის გარეშეც შეიძლებოდა სათქმელის გადმოცემა: „იარაღისთვის გიჟდებოდა“. „იარაღის გიჟი იყო“. „იარაღზე ფიქრი აგიჟებდა“. „სულ იარაღი აბოდებდა“. „ძილშიც კი იარაღი აგონდებოდა“. „სულ იარაღი ესიზმრებოდა“. „სულ იარაღისკენ ეჭირა თვალი“. „იარაღის მეტი არაფერი ახსოვდა“. „იარაღისთვის სული უკანკანებდა“. „იარაღის ციებ-ცხელება სჭირდა“. „გული სულ იარაღისკენ მიუბრბოდა“. „იარაღისთვის სული მისდიოდა“, „გულში სულ იარაღი ჰქონდა ჩათქმული“. „იარაღისთვის თვალები სცვიოდა“. „მისი ოცნება მხოლოდ იარაღი იყო“. „სულ იარაღისკენ მიუბრბოდა თვალ-გული“. „უიარალოდ სიცოცხლე აღარ შეეძლო“. „თავს მოიკლავდა იარაღისთვის“. „იარაღი სწყუროდა“. „იარაღისთვის იყო თავგადაკლული“. „იარაღი სულს ერჩია“. „თავგადაკვლით მიისწრაფოდა

იარაღისკენ". „სულ იარაღს ნატრულობდა“. „მისი ნატვრა ბოლოდ იარაღი იყო“. „სულ იარაღს ინატრიდა“. „სულ იარაღს დანატროდა“. „იარაღზე ავადმყოფურად (გიჟურად, ბავშვურად, შლეგურად, საბედისწეროდ, ავისმომასწავებლად...) იყო დანატრულებული“. „ნამდვილი იარაღის ნატრული იყო“. „სულ იარაღი ელანდებოდა“. „იარაღის გარდა არა აგონდებოდა რა“. „სულ იარაღის შემნატვრელი იყო“. „ცა უნითლდებოდა იარაღისთვის“. „ცას ინითლებდა იარაღისთვის“. „ენას ითხელებდა იარაღზე ლაპარაკით“. „გული ეკუმშებოდა იარაღის დანახვაზე (ხსენებაზე, შეხებაზე, დაჭერაზე...)“. „გონება ერეოდა იარაღზე“. „ელეთმელეთი ემართებოდა იარაღზე“. „იარაღისთვის სულს გაჰყიდდა“. „იარაღისთვის სიცოცხლეს გასწირავდა“. „იარაღი თავს ერჩია“. „გული ერჩოდა იარაღისთვის“. „სულს ჩააღევდა იარაღს“. „მისი გულის წადილი იარაღის მეტი არაფერი იყო“. იარაღის სიყვარული გულის ფიცარზე ჰქონდა ამოჭრილი“. „იარაღი გულში ჰქონდა ჩაჭედილი“. „სულ იარაღი უტრიალებდა თავში“. „მისი საფიქრალი იარაღი იყო“. „მისი ფიქრები სულ იარაღს უტრიალებდა“. „აღარ შორდებოდა იარაღზე ფიქრი“. „იარაღი ჰქონდა აუინებელი“. „იარაღის მეტი სხვა არაფერი ჰქონდა ასაუინებელი“. „იარაღზე ფიქრით ცოცხლობდა“. „იარაღზე ფიქრი აცოცხლებდა“. „იარაღზე ფიქრი ასულდგმულებდა“. „იარაღი ჰქონდა აკვიატებული“. „იარაღის გარდა არაფერი ახსოვდა“. „იარაღზე ფიქრით ითენ-ილამებდა“ და ასე დაუსრულებლად! მაგრამ ავტორს, არ ვიცვი, დაზარებია, არ ვიცვი, არ უკადრებია ქართული სასიტყვეთის საბადოში ჩასვლა და იქ ოფლის ღვრა, ისევ ეს ქუჩაში მდგარი, იაფფასიანი „ზასკოკ“-ი აუყვანია. ოღონდ ეგ არის: პერსონაჟს იარაღზე მართლა „ზასკოკი“ რომ ჰქონოდა, მაშინ მოთხრობაში ვეღარ უნდა გაჩენილიყო ამგვარი წინადადებები.

„როგორ დაანათებდნენ ტრანსირები... ტრანსირები გაცილებით ლამაზები იყვნენ. ლამაზი ტრანსირები...“

აი, ასე! დაუფიქრებლად ნახმარი ერთი უცხო სიტყვით ავტორმა ხელად ორი კურდღელი „მოკლა“: აქეთ მშობლიურ ენას აუშლვრია სიკამკამე, იქით რუსებს დაუმახინჯა გამოთქმა — მათ სიტყვაში ასო „ნ“ ისე განუსჯელად ჩააჭედა, როგორც

უმეტვალყურედ მიტოვებული ცელქი ბიჭუნა უადგილო ადგილას ლურსმანს ჩაასობს ხოლმე, მერე ხერხს კბილებს რომ უნადგურებს.

რუსულად არის Трассирующий — მგეზველი. Трассирующая пуля — მგეზველი ტყვია.

თვით რედაქციის მუშაკთა დაუდევრობა-უცოდინრობა ხომ ყოველგვარ საზღვრებს სცილდება: 2005 წლის მე-4 ნომერში მწერალი რეზო თაბუკაშვილი მოთხრობაში „არასაფრენი დღეები“ წერს — „ტრასირი ტყვიები“, ხოლო იმავე წლის მე-10 ნომერში მწერალი ბექა ქურხული გაიძახის „ტრანსირები“, მაგრამ არავინ ინტერესდება, დააზუსტოს, რომელია სწორი ფორმა: ტრასირი თუ ტრანსირი, ანდა, საერთოდ, სადაურია ეს სიტყვა და აქვს თუ არა მას ქართული შესატყვისი?! თუმცა ამგვარი „წერილმანებისთვის“ ვისა სცხელა — დღეს, როცა საყოველთაო ეკონომიკური სიდუხჭირის მიზეზით ბევრი უურნალ-გაზეთი თვიდან თვემდე რის ვაინაჩრობით, თან ხშირად ნომერჩაგდებით გამოდის, ანდა, სულაც დახურვის პირასაა, ამ დროს „ლიტერატურული პალიტრის“ ყოველი ნომერი ზუსტად გრაფიკით, ხშირად კი დადგენილ ვადაზე 4-5 დღით ადრეც კი კოპნიაობს ხოლმე ფარდულებში! ჰოდა, მორჩა და გათავდა — დღეს გადამწყვეტიც სწორედ ეს არის!!!

და მაინც, როგორ დავიჯერო, ავტორმა თუ არა, უურნალის მესვეურებმა მაინც არ იციან, რომ რუსული Состав ქართულად არის შემადგენლობა, Гулянка — ქეიფი, დროს ტარება. Яшик — ყუთი, Мак — ყაყაჩო, Головка — თავი, Домашний — საშინაო, Ботинки — ყელიანი ფეხსაცმელები, Приют — თავშესაფარი, Звание — წოდება, Игрок — მოთამაშე და ა.შ.

თუ ავტორმა ეს ჩემზე უკეთესად იცის, მაგრამ მაინც რუსულ სიტყვებს ხმარობს (თანაც უბრჭყალებოდ!!!), რადგან რუსული უფრო სამჯობინაროდ მიაჩნია თუ ერწენება, მაშინ ქართულ ენას რაღაზე გვინაგვიანებს — აილოს და ბარემ რუსულ ენაზე წეროს: იქნება ერთი რუსულენოვანი ქართველი მწერალი, ანდა ქართული წარმოშობის რუსი მწერალი!

ნუ გამინანყენდება უმცროსი თანამოკალმე: აბა, სხვა რა ვუთხრა, როგორ მოვიქცე, პირიქით, ნავაქეზო — ყოჩაღ, ბრწყინვალეა, უფრო მეტი რუსული სიტყვები იხმარე-მეთქი?!

რაც შეეხება ჟურნალის მთავარ რედაქტორსა და მის მოადგილეს, ამის თქმის მეტი აღარაფერი დამრჩენია.

— რაც თქვენი საქმე არ იყო, იმისთვის რამ მოგაკიდებინათ ხელი?!



2005 წლის მე-3 ნომერში გამოქვეყნდა მწერალ გურამ დოჩანაშვილის მოთხრობა „იგი სიყვარულისათვის იყო გაჩენილი, ანუ გრიშა და მთავარი“.

პირდაპირ ვიტყვი — მოთხრობა ძალიან სუსტია. უფრო მეტიც: ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქო ავტორს არც აინტერესებდეს, მოთხრობა როგორი გამოუვა, რალაც გამონაკლისის სახით, გეგონება, მხოლოდ მონოლილი სათქმელის გადმოფრქვევით იყოს გატაცებული და სულ არ ანაღვლებდეს, მისი ეს მოთხრობა დააკმაყოფილებს თუ ვერა ჟანრის სპეციფიკას და აუცილებელ მოთხოვნებებს.

ვის ვისა და გურამ დოჩანაშვილს კი აქვს ამგვარი ფუფუნების უფლება, მაგრამ...

მოკლედ, მოთხრობას რამდენიმე ნაკლი გააჩნია, მაგრამ ერთ იმისთანას დავასახელებ, რომ სადაც სამართალია, მარტო ამანაც უნდა იკმაროს ნათქვამის ნათელსაყოფად და გამგებმა გაიგოს: აბსოლუტურად ყველას მაგიერ თვითონ ავტორი ლაპარაკობს, ჭეშმარიტი მოთხრობის კითხვის დანყებისთანავე კი მწერალი უმალ და უმტკივნეულოდ უნდა გაქრეს, ხოლო პერსონაჟებმა სრულიად თავისუფლად იმეტყველონ და იმოქმედონ!!!

აქ? აქ კი ულმოზღადა შებოჭილ პერსონაჟებს თავიანთ ნებაზე კრინტის დაძვრაც ვერ გაუბედავთ და სულ გამჭვირვალე კულისებისკენ უჭირავთ თვალყური, რათა ზუსტად ის იმეორონ თუთიყუშებივით, რასაც იქიდან ავტორი უკარნახებთ!!!

მერედა, რა არის ამის მიზეზი?

ამის დადგენა მოთხრობის დასაწყისის საკმაოდ დიდი ნაწილის ციტირებას მოითხოვს, ვინაიდან ამ „საიდუმლოს“ ერთ-ერთი გასაღები სწორედ იმ ციტატის ფსკერზე გდია.

„სერგო, საერთოდ, მორიდებული ყმანვილი იყო. ახლა კი, ზღვისპირა ქალაქში რომ ჩავიდა, ამ გარუჯულ, მზით გამაძლარ ხალხში თავისი სითეთრისა რცხვენოდა და სანამ შემოღობილ ეგრეთ ნოდებულ „სამედიცინო“ პლაჟზე გასვლას გაბედავდა, საცურაო მოწყობილობა ჩანთაში ჩაალაგა და ქალაქგარეთ წავიდა. თავისი ჭკუით მიყრუებული ადგილი შეარჩია და ერთბაშად ძალიან ცივი ეჩვენა ზღვა. აკანკალებული მიარღვევდა წყალს, სხეული დაებურძგლა, სუნთქვაშეკრული ფეხის წვერებზე დგებოდა. მეკრდამდე რომ შევიდა, რაც არის არისო და თავით გადაეშვა. ხელ-ფეხი გაიქნია თუ არა, მაშინვე გათბა და ზურგზე გადატრიალდა. სახე სასიამოვნოდ აენვა, სველ წამწამებში მზემ იფეთქა. კარგი იყო ზღვა, გახალისდა სერგო. ატეხა ხელების ქნევა, თამაში, წყალი ააშხეფა, მერე ღრმად შეისუნთქა ჰაერი და პირქვე განერთხა ზღვაზე. ბეჭებზე წყალი გადასდიოდა, თან მზე აცხუნებდა. გადიდა სერგო. გაფართოვდა. სამ წელიწადს არ ყოფილა ზღვაზე და ახლა, ნეტარებით აღვსილი, უზომოდ მადლიერი, თბილ წყალზე პირქვე იწვა და სიამოვნებისგან თავისთვის გმინავდა. მერე ჩაყვინთა კიდეც და თავით რომ ამოხტა, მაშინვე შემოესმა გაუგებარი: „იო მოდო, დელფინა!“

სერგო მოულოდნელობისაგან ისე დაიძაბა, კინაღამ ფეხი გაუშეშდა, მაგრამ წვივზე საჩქაროდ იჩქმიტა და კისერი ნაპირისაკენ წაინვრილა. იქ კი ვილაცა კაცი ხელს იქნევდა: „იო, მოდო, დელფინა, იო, მოდო ლა კაზა!“ სერგომ მიიხედა და ყვითელქუდა მოცურავე დაინახა.

— გამოდი, გეყოფა ამდენი ცურვა. დელფინა, იცი, აქ რა არის?! — გამომწვევად დაუძახა კაცმა.

— რა? — ზღვიდან ცივად შეჰკივლა ქალმა, ალბათ, დაღლილი თუ იყო.

— გამოდი და... ო, სერპანტინო, ეს ვილაა?

„ო, სერპანტინო, ეს ვილაა“ აშკარად სერგოზე იყო ნათქვამი. ისედაც მორიდებული ყმანვილი დაიბნა. ალარ იცოდა, რა ექნა და დროებით თავი ჩარგო წყალში. მაინც შემოესმა: — ბოდიში, თქვენ აქ რა გინდათ?

სერგომ ჩაახველა. ღონე მოიკრიბა და გასძახა:

— მე ვცურაობ!

— ძალიან კარგი! — დაუყვირა კაცმა.

სერგო ვერ მიხვდა, გულწრფელად თქვა ეს კაცმა თუ დასცინა. მაგრამ ამ ეჭვმა რალაც გამბედაობა მაინც შემატა და მცირედი სიამაყით ბრასის სტილით გამოსცურა (უნდა იყოს გამოცურა. ჯ.მ.) ნაპირისაკენ. დინჯად ამოვიდა წყლიდან, უცნობს თვალი აარიდა და შხეფები ჩამოიფერთხა.

— ბოდიში, თქვენ ქართველი ხართ, არა? — ჰკითხა კაცმა და ზურგზე გადაირტყა ხელი — ბუზი მოიგერია.

— დიახ.

— მეც ქართველი ვარ. გრიშა მქვია, თქვენ?

— მე — სერგო.

— კი მაგრამ, როგორ გაჩნდით აქ?

— ეს მე?! — დაიბნა სერგო.

— აბა, მე?! — გაუკვირდა კაცსაც.

სერგომ იქითკენ მიიხედა, საიდანაც მოვიდა და ერთხანს თითქოს განმარტებისათვის მოემზადა. მაგრამ გადაიფიქრა და ნაწყენმა თქვა:

— ნავალ მაშინ.

— აჰ, როგორ გეკადრებათ! დაბრძანდით, დაბრძანდით, წამოწეკით, ერთად გავშავდეთ, ზღვა ყველასია.

— არა, მე ნავალ.

— რას ბრძანებთ, სად უნდა ნახვიდეთ. დელფინა, სტუმარი გვენვია, მოდი აქ!

— მე სტუმარი არ ვარ და საერთოდ... — აქ კი მართლა განაწყენდა სერგო და პირსახოცს დასწვდა.

— იო, მოდო! — წამოიძახა კაცმა და ხელი გაუწოდა. — ყველანი ამ ქვეყნის სტუმრები არა ვართ? — გრიშა.

— სერგო.

— ძალიან კარგი! ოო...

ზღვიდან ლამაზი, ტანადი ქალი ამოდიოდა, მუხლამდე წყალში დაღლილი მოაბიჯებდა, მაინც გამართული იყო, თვალები დაეხუჭა და თავი უკან გადაენია.

— ოო, ამოხვედი? გაიცანი, დელფინა, ეს ჩემი მეგობარია.

— ასია, — თქვა ქალმა, წამით გახელილი თვალები დახუჭა და მჭიდროდ შემოტმასნილი რეზინის ქუდი ნვლებით მოიძრო. თავი მკვეთრად გაიქნია და თმა მხრებზე ლამაზად ჩამოეშალა. მერე ისევ თვალდახუჭულმა იკითხა, მზისკენ მიეშვირა სახე:

— რას იძახდი, რა გაქვს ჩანთაში?

— ოო, მომენტო, ახლავე გაჩვენებ. — თქვა გრიშამ და სილის ბორცვი გადაქეჯა. იქიდან ჩანთა და ტანსაცმელი ამოიღო და გაკვირვებულ სერგოს გაუღიმა:

— ერთხელ, ორმოცდაცხრამეტში, ტანსაცმელი მომპარეს ამდაგვარ მიყრუებულ პლაჟზე და მას შემდეგ ასეთ ადგილებში შარვალ-ხალათს ვმალავ ხოლმე. ეგება არც მოუპარავთ — შეეჭვდა გრიშა, — შეიძლება ვიღაცა, თავისი ჭკუით, მეხუმრა. მაგრამ ფაქტია, ტანსაცმელი აღარ დამხვდა. შარვალ-ხალათს კიდევ არა უშავს, — ერთი წავა და სხვა მოვა — მაგრამ ქალაქში შიშვლად დაბრუნება მაინც უხერხულია. ცუდ დღეში ჩავვარდი ნამდვილად. შებინდებამდე ვიცადე, მერე კი გზაზე გამოველ. მაგრამ არც ერთმა შოფერმა არ გამიჩერა მანქანა — შეიძლება გიჟი ვეგონე. უფრო სწორედ კი, აშკარად მეტყობოდა, ფული რომ არა მქონდა, შოფრებისთვის ეს ნაღდი იყო — ტრუსებისა-

მარა ვიყავი. თანაც, ჩვეულებრივი მაინც ყოფილიყო, საცურაო ტრუსები იყო.

— და ფეხით დაბრუნდით?

— იო მოდო — ფეხშიშველი.

— ბოდიში, „იო მოდო“ რას ნიშნავს? — გათამამდა სერგო.

— ოო, „იო მოდო“ იტალიური სიტყვებია. მე ძალიან მიყვარს იტალია — ღვთაებრივი ლაჟვარდის ქვეყანა. არ ვყოფილვარ კი. თქვენ?

— არც მე არ ვყოფილვარ.

— არა, თუ გიყვართ-მეთქი.

— რა ვიცი.

— არ იცით?

— არ იტყვი. ბოლოს და ბოლოს, რა გაქვს ჩანთაში? — ჰკითხა ასიამ, თავი გვერდზე გადაენია და ცალ ფეხზე ხტუნავდა. გრიშა მოხიბლული შეაცქერდა და ასია შეჩერდა, თვალი აარიდა და შორს გაიხედა. სწორად ასხმული, ღონიერი ფეხები ჰქონდა, შეუმშრალი სხეული მზეზე უბზინავდა.

— ოო, ჩანთაში, — გამოერკვა გრიშა, — ვიტამინებია, ვიტამინატე! — გამოაცხადა და რიგრიგობით გადმოალაგა: — გულაბი მსხალი — არა შხამი... ყურძენი ტყბილი, არის შესანიშნავი კარგი ხილი... შავი ქლიავი — კოხტა მშვენიერი საცუცნავი, იო, მოდო! და, და მეგობრებო, კონიაკი, მეგობრები შევიყარენით რაკი, იო მოდო, იო მოდო ლა კაზა!

ერთი პატარა ჭიქა აღმოაჩნდათ, რიგრიგობით სვამდნენ. მეორე ჭიქის შემდეგ გრიშას უფრო აუციმციმდა თვალები და სერგოს მორიგი სადღეგრძელო შესთავაზა:

— ახლა, მეგობრებო, თავი რომ დავაღწიოთ შაბლონურ, მობეზრებულ სადღეგრძელოებს, მოდით, (უნდა იყოს მოდი, ჯ.მ.) ისეთი სიტყვები წარმოვთქვათ, რაც ენაზე მოგვადგება, ოლონდ, — თითი მაღლა ასწია, — იტალიური აღნაგობის სიტყვები უნდა წარმოვთქვათ. მაშ ასე, მე მგონი, ყველაფერი გასაგებია,

მამ ასე. ვინყებ, — და ჭიქა მალლა შემართა და დაიწყო, — ჩეზარე პატაპუტინა კილამონტე დელაკაპანა... იო მოდო ლა კაზა, ლა კაზა კირამიმონტე... მამონტო სკარამოჯინა, ვივა, ვივა ი ვივა!

და შესევა.

— ახლა შენ, სერგო.

— მე?

— აბა, მე? შენ, შენ, მე ხომ უკვე ვთქვი. რაიმე ნაცნობი, თუნდაც გაცვეთილი, ოლონდ მოიტალიურო, თამამად, თამამად, სერგო!

— ფლორენცია... ვენეცია, ნეაპოლი, — თავჩაქინდრულმა წარმოთქვა სერგომ და განითლდა, — რომიც...

— ბრავო! — ტაში შემოჰკრა გრიშამ, — შეგიძლია დალიო. ალალია შენზე. ახლა, თუ იცი, ვისი რიგია, დელფინა?

ასიამ ზღვის მარილიანი ნიავეთ სახეზე მოფენილი, აცახცახებული თმა ამაყად გადაიყარა მხრებზე და გამოაჯაერა:

— მენო შენო იტალიანო არ ვიცინანო.

— ბრავო, ბრავო, სინიორ! — აღფრთოვანდა გრიშა და ხელზე აკოცა. მერე მაჯაზე დააკვირდა, დაფიქრდა, მკლავზე თვალი ააყოლა. ყელზე შეუჩერდა მზერა, თვალეში შეხედა. ქალი შეკრთა და დაიძაბა. განზე იყურებოდა. დაჭიმული, მოღერებული, ერთთავად მოლოდინში იყო.

— ქალი ხარ, რა ქალი, — მოესმა სერგოს და გოცებული მიაჩერდა გრიშას; თითქოს ვიღაცა სხვა შესცქეროდა ქალს — დაფიქრებული, თან ალტაცებული, მაინც ნაღვლიანი და სიტყვებთან ერთად მიილტვოდა განზე მომზირალი, მოლოდინად ქცეული ასიასკენ — ქალი ხარ, რა ქალი, — გაიმეორა გრიშამ და სილაზე მძიმედ დაჯდა, — ზღვის პირას დგახარ, ზღვისკენ იცქირები, ჯერ ისევ სველი ხარ, ზღვასავით გრილი, ციცქნა ნვეთებზე მზე დაგდგომია... ვინ ხარ, რა ხარ — ასეთი მშვიდი, ასე ამაყი და მაინც გლახასავით

მომლოდინე, მაგრამ... გიხდება — ქალი ხარ, რა ხარ. რა მაგრად დგახარ ამ ცხელ სილაზე ორივე ფეხით, ღონიერი ფეხები გაქვს, გამძლე და სანდო, მხრები კი ნამდვილი სუსტი, ნაზი ქალისა — ვინრო და თხელი... ახლა არ იცი, ამ უცხო კაცთან როგორ მოიქცე, თავი როგორ დაიჭირო, დევნილი ნადირის უნებური სიამაყით დაგბერვია თხელი ნესტოები, ზღვისკენ იცქირები... მე კი არაფრის არ მერიდება — იმასაც ვიტყვი ამ უცხო კაცთან, რომ როს განვშორდებით და ოდესმე ახლად გადახნულ, ძალუმად ოხშივარადენილ მინაზე გავივლი, შენი ტურჩების გემო გამახსენდება... და მთელი შენი მომლოდინე სხეული, ანდა როგორ უნდა განვშორდეთ, სად უნდა ნახვიდე, რომ დამემლო — მე დაგინახავ, როგორ ზიხარ ფანჯარასთან, სარკეში როგორ იცქირები... და, დაფიქრებული, ნანეტებული თითებით ივარცხნი კუპრის ჩანჩქერივით მძიმედ ჩამოშლილ თმას... ანდა როგორ მიაბიჯებ გაზაფხულის ნვიშში, რა კარგად გხედავ — ეგ თმა სველი გაქვს, სახეზე წვეთები ჩამოგდის, გალუმპული კაბაც შემოგტმანსნია და მაღლიან ნაკვთებს გიჩენს, ნვიშს, როგორ განვიშ... ანდა — მაშინ როგორ დადიხარ, ღონიერი ქარით ნაქეზებული დიდი ხეები რომ აცახცახდებიან და ერთმანეთზე საჩხუბრად ინევენ — ვერაფერს ხედავ, თავი ამაყად მოგიღერებია. ყელ-ნიკაპით მიაპობ ჰაერს და თვალმოჭუტული, მხოლოდ ქარს უსმენ, ის კი... ჩაგნივის: ქალი ხარ, ქალი... ვერ დაგივინყებ, ყველგან გიპოვი, თვით ვენეციაშიც რომ ნახვიდე ჩვეულებისამებრ, ფანჯარასთან დაჯდები, ნელამდე გამოჩნდები და იქვე, წყალშიც, ნელამდე უკულმა აირეკლები და მე დაგინახავ, აგურის ქალივით ჩაფიქრებულსა და გახევებულს, ვერსად ნამიხვალ — ყინვაში, სუსხში, შორეულ მხარეს ქურქში შეფუთვნილს. სახეაღნილს, თავშალმოხვეულს, მხოლოდ ეგ მომწვანო თვალები გამოგიშუქდება და მაინც გიცნობ... ახლა კი, ზღვის პირას გატრუნულს, როცა ჩემი სიტყვები ძალიან გსიამოვნებს და თავად მეც მსიამოვნებს ასეთი ლაპარაკი

და მხოლოდ ეს უცხო კაცია ცოო-ტათი გაკვირვებულ-
ლი იძულებული ვარ, თავი გავანებო ამ უცნაური სი-
ტყვების სამყაროს და ისევ ჩვეულებრივ საუბარზე გა-
დავიდე, რადგან ყოველნაირი შელამაზებული გამოთქ-
მა მათრობს, მაბრუებს და სინამდვილეს მაცილებს, ეს
კი ცუდია... ასე რომ, გადავდივარ ყოველდღიურობაში,
თავისუფლად, დელფინა, შეგიძლია შემსუბუქდე, — და
მოულოდნელად იკითხა: — სერგო, სტვენა იცით?

— მე?

— აბა, მე? შენ, შენ.

— არა, — დამიმორცხვა იმან და დააყოლა, — რა-
ტომ მკითხეთ?

— ისე, თქვენ აქაური ბრძანდებით თუ ჩამოსული?

— ჩამოსული.

— დამსვენებლი, არა?

— კი, დამსვენებელი.

— ლილინიც არ იცით?

— არა. არც ისე...

— ძალიან კარგი, მაშინ მე დავილილინებ და მერე
ვიცეკვებ ჩემი სიტყვების შედეგად ოდნავ გაოგნებულ
ქალბატონთან — გთხოვთ, გრაციაზა!

სერგო მთლად დაიბნა. ასეთი რამ ჯერ არ ენახა
— გრიშამ ქალს ნელზე ხელი შემოხვია, ლოყა ლოყ-
აზე მიადო, დაბალი ხმით სიმღერა წამოიწყო და ზედ
ზღვის ნაპირას, სველ სილაზე აცეკვდნენ. გრიშა თან
უცნობ სიმღერას ლილინებდა:

ოდესას მოადგა-ა

ახალი გემი-ი.

არგენტინიდან მოიტანა

სიმღერა ძველი.

სიმღერა ცნობილია,

მოტივი დაპყრობილია.

სიმღერას ჯონ გრეი ჰქვიაა.

სერგომ წვივებზე პირსახოცი წაიფარა და ჩაიბუტ-
ბუტა:

— თქვენის ნებართვით, რომ არ დაეინვა...

მაგრამ ვის ეცალა მისთვის, ეილას ახსოვდა სერგო — გრიშა სიმღერას განაგრძობდა და კოხტად ცეკვავდა, ფეხს ისე ადგამდა, თითქოს ქალიანად რალაცას ეპარებოდა — მაგრამ მღეროდა:

სარკეებიან დარბაზში-ი

ცეკვავენ ნყვი-ლე-ბი!

კენესიან სიმე-ბი,

გიტარის შვი-ლე-ბი!

ჯონ გრეი ყველაფრისთვის მზადაა,

ჯონ გრეის ჯიბეში თანხაა,

ჯონ გრეი ყველაფერს გადაიხდი-ს...

და მერე დასძახა:

— კარგი იყო, კარგი!

და ასიას ისევ აკოცა ხელზე, ოღონდ ამჯერად შედარებით გულგრილად.

პატარა ხანს ჩუმად იყვნენ. ძალიან ჩამოცხა. ჩრდილი არსად იყო და მზე უმონყალოდ იკბინებოდა.

— მე ახლა ნამით დავსველდები და ხელად გამოვალ, — თქვა გრიშამ, გაიქცა, დგაფუნით შევარდა ზღვაში და თავით გადაეშვა.

ასია შესცქეროდა, როგორ ამოყვინთა გრიშამ, როგორ მიცურავდა, მერე დაუკვირდა სილაზე მკრთალად დამჩნეულ ნაფეხურებს, აღელდა და სერგოსათვის არ შეუხედავს, ისე იკითხა:

— სიგარეტი გაქვთ?

— დაიხ.

— მომეცით, გეთაყვა, ჩქარა მომეცით.

სერგო უშნოდ დაფაცურდა და როცა ასიამ რამდენჯერმე ღრმად, ხარბად შეისუნთქა კვამლი და თითქოს ცოტათი დამშვიდდა, ქალს მიაჩერდა. ასია გრძელი თითებით აწვალებდა სიგარეტს, მერე ცერითა და უსახელო თითით ლამაზად მოიცვილა ტუჩზე შერჩენილი თამბაქოს ნამცეცები და სერგოსაკენ ამჯერადაც არ გაუხედავს, ისე თქვა:

— იცით რა, — და უცბად ქალური ბრაზი დაეტყო ხმაში, ძლიერი და უმიზეზო, — თქვენ შეიძლება იგი გიჟიც გეგონოთ, მაგრამ ეს ასე არაა“.

აი, ის ჯადოსნური ფრაზა-გასაღებიც, რომელიც სასწაულებრივი კანონზომიერებითა თუ საბედისწერო წინდაუხედაობით „ნამოსცდა“ ასიას: „თქვენ შეიძლება იგი გიჟიც გეგონოთ, მაგრამ ეს ასე არაა!“.

ახლა სულ გამოწვლილვით გაეჩხრიკოთ მთელი მოთხრობის დასაწყისი და პირუთვნელად ვთქვათ: კი მაგრამ, უცხო ყმანვილკაცს გრიშა რატომ უნდა ეგონოს გიჟი? ზღვაზე დასასვენებლად ჩამოსული გრიშა, ბოლოს და ბოლოს, ისეთს რას ამბობს ან რას სჩადის? მსგავს, ანდა მასზე გაცილებით უარესს ყოველდღიურ ცხოვრებაში ხომ სხვებიც მოიმოქმედებენ, მაგრამ განა ეს ვინმეს სიგიჟედ ეთვლება? აბა, ამ გრიშამ იმისთანა რა დააშავა, რომ შეიძლება უცხო ყმანვილს გიჟი ჰგონებოდა?!

ან ეს რითი ავხსნათ, რომ ასიას „უცებ ქალური ბრაზი დაეტყო ხმაში, ძლიერი და უმიზეზო?“ მაინც რა უნდა იყოს ამის მიზეზი?

იქნება-და ეს ასია თავისით ვერაფერს ხვდება — გრიშა მართლა გიჟია? რა თქმა უნდა, არა! სულელი? არა, არა, რას ლაპარაკობთ! აბა, მუსუსი? აფერისტი? შლეგი? ალფონსი? ცანცარა? ახირებული? უდარდელა? თავქეიფა? უჩონგუროდ მოცეკვავე? ჯიუტი? ხასიათშეუნყოფელი? დოყლაპია? იდიოტი?.. არა და არა! ერთ-ერთი რომელიმე მათგანი რომ იყოს, კიდევ რა უშავდა — მსოფლიო თუ ქართული მხატვრული ლიტერატურა რამდენ ამგვარ სახეს ინახავს და შეიძლება ესეც შემატებოდა!

„მაშ, ვინ არის გრიშა?“ — მხოლოდ ის იკითხავს, ვინც თავისით ვერაფერს ხვდება.

ვინ არის და სქე-მა-ტუ-რი პერ-სო-ნა-ჟი! თითებიდან გამოწოვილი ტიპი!!!

გრიშას ყოველი ცალკეული სიტყვა, ფრაზა, განცდა თუ მოქმედება სხვა ვითარებასა და გარემოში სრულიად ბუნებრივი რომ იქნებოდა, ახლა ავტორის მიერ მოთხრობის სქემატურ ჩარჩოსა და ატმოსფეროში ასეთი განუკითხაობით ერთბაშად

დახვავებული იმდენად დაუჯერებელი, აუტანელი, დაბოლოს, შეურაცხმყოფელია, რომ აგერ, ზღვაზე შემთხვევით გაცნობილ მის სეზონურ სატრფოს, ასიას, ხმაში „ძლიერი და უმიზეზო“ ბრაზი ეტყობა და იმავდროულად თან ისეთი შიშიც იპყრობს: ვაითუ გიჟი ეგონოთო, რომ თავდამცირებისაგან ბრაზმორეული იძულებულია, ვილაც ახალგამოჩენილი ყმანვილის წინაშე საბანაოდ ჩასულ გრიშას ბოდიში მოხადოს, ნამუსი მოსწმინდოს — გიჟი არ არისო!!!

ასევე უსაშველოდ სქემატური პერსონაჟია თვითონ ასიაც. სერგოს გრიშაზე რომ ეტყვის — გიჟი არ არისო, აი, მერე იქვე რას ეუბნება.

„— და თუმცა მე მისი მეუღლე არა ვარ, სრულე-ბითაც არ მერიდება განვაცხადო, — ასიამ შორს მოისროლა სიგარეტი და მოულოდნელად სერგოს თამამად მიაჩერდა, — რომ მიყვარს იგი“.

აი, საკვირველება, თუ გინდათ! უყვარს და უყვარდეს — ამას ვინ უშლის, ან ვინ ეკითხება?! ანდა, ასაკსრული, სრულიად დამოუკიდებელი მანდილოსანი რა მოვალეა, თავისი ინტიმური სფეროს ანგარიში უცბად ასე დანვრილებით ჩაუკაკლოს საიდ-ანლაც მოულოდნელად გამომტყვრალ ვილაც ყმანვილს?!

ქალი თავის ინტიმურ საიდუმლოს ასე ალაღბედზე არასდროს გამოამზეურებს. მით უმეტეს, ახლა, როცა ჯერ გარკვეული არ არის, რას ნარმოადგენს ეს ახალგაზრდა კაცი, როგორ სახესა და გაგრძელება-განვითარებას მიიღებს პლაჟზე უეცრად განასკვული მათი სამკუთხედი: ახლებურად ხომ არ გადათამამდება როლები — რალა არ ხდება ხოლმე ცხოვრებაში და მეტადრე მერყევ საკურორტო ურთიერთობაში!

მოკლედ, აქ თვითონ ასია თავისით კი არ ლაპარაკობს, არამედ ავტორი ალაპარაკებს, ვინაიდან ეს უკანასკნელი ამკარად ჩქარობს, რათა რაც შეიძლება მალე გააგებინოს მკითხველს — ვინ ვინ არის, რომ მერე „თავისი მთავარი“ სათქმელი მიუშვას დოლაბზე!

ასიას მოულოდნელი სატრფიალო აღსარება იმდენად როყოდ გაისმის, რომ თვით სერგოსაც კი ახეტებს.

„— დიახ, — ხმადაბლა თქვა სერგომ, თავი ჩალუნა და პატარა ხნის შემდეგ ქალისკენ მიიხედა — „ეს რა ხალხში (უნდა იყოს ხალხთან. ჯ.მ.) მაქვს საქმე“.

კი მაგრამ, რა მოხდა, სერგო რას უწუნებს ამ ახალგაზრდობილებს? რა იყო, ბანკის გაძარცვა შესთავაზეს, მილიონერის პირმშოს გატაცება, კონტრაბანდის გადატანა, ვისიმე მკვლევლობაში მონაწილეობის მიღება, თუ რა? მსგავსი ან თუგინდ უფრო უარესიც რომ შეეთავაზებინათ, კიდევ რა უჭირდა — მართალია, ეს თავისთავად საშინელება იქნებოდა, მაგრამ სამაგიეროდ მოთხრობას ბუნებრივ სახეს შესძენდა! მაგრამ მთელი უბედურება ის არის, რომ ამ ნესიერი ყმანვილკაცის წრფელ განცვიფრება-გაოგნებას ინვეეს სიტუაციის საშინელი სქემატურობა, თითებიდან გამოწოვილი წყვილის არაბუნებრივი საუბარი და საქციელი!!!

ეს კიდევ რა არის, არაფერი — აქ ნახეთ, რა მოხდება!

ზღვიდან ამოსული გრიშას რჩევა-ნაქეზებით ახლა ასია ჩადის წყალში. ნაპირზე კაცებილა რჩებიან.

„— სერგო, — თავი არ აუწევია, ისე იკითხა გრიშამ, — თქვენ გაქვთ რამე პრობლემა?

— მე — პრობლემა?.. არა.

— სამსახურში კი არა, ცხოვრებაში.

— ა-არა.

— ეს ცუდია, — თქვა გრიშამ. იქვე იწვა და თავი სილაში ჩაერგო, — აი, მე, მაგალითად, მაქვს...

— დიახ, — ზრდილობისათვის ჩაურთო სერგომ.

— ჩემი პრობლემა ძალიან რთულია, — აღნიშნა გრიშამ და სახიდან სილა ჩამოიფერთხა, მერე ისევ ჩარგო თავი, — და თუ გაინტერესებთ, მოგახსენებთ კიდევ: მე მინდა, რომ ჩემი ხელშეწყობით ადამიანები გახდნენ უკეთესები, ვიდრე არიან, — და საჩქაროდ დააყოლა, — რა თქმა უნდა, ყველას კი არ ვგულისხმობ; ეს მხოლოდ ჩემს ნაცნობებს შეეხება, ყველას სად გავწვდები.

ჩუმად იყვნენ.

— მაგრამ ეს რთულია, — განაგრძო მერე გრიშამ, — პეე, როგორი რთული, ხანდახან იმის დადგენაც კი ჭირს, ვინ ცუდია და ვინ — კარგი. რამდენჯერ მოგესვლია: შეხედავ კაცს — მოგეწონება, გაიცნობ — მოგეწონება, დაგელაპარაკება — მოგეწონება, დაგელაპარაკება ისევ — უიმე, მტრისას... შემოიკრავ თავში ხელს, როგორ შევცდი, ვინ მეგონა და... პირიქითაცაა: შეხედავ — აგბურძგლავს, გაიცნობ — დაგბურძგლავს, დაილაპარაკებს — დაგთუთქავს, მერე კიდევ მოუსმენ, შეხედავ, ახედავ, დახედავ და... არც ისე ცუდი კაცია. და მერე სულ ერთია — არაა ცუდი. მაგრამ მესამე-ნიც არიან, სერგო ჩემო, ყველაზე ძნელი ხალხი: შეხედავ -- კარგია, გაიხედავ — ცუდი, გაივლი, გამოივლი, შეხედავ — ისევ კარგია, ნახვალ, ნამოხვალ — მაინც ცუდი... ნარმოგიდგენია? — ხან კარგი, ხან ცუდი, ხან კარგი, ხანაც... და სულ ასე. საერთოდ კი, რომ აღინიშნოს, ამ მესამე კატეგორიაში რაოდენობრივად ყველაზე მეტი შედის. ასეთებისთვისაა, რალაცას რომ ვცდილობ... ისე, ცხოვრებაში ძალიან ძნელია, კაცი რომ გამოიცნო, ლიტერატურაში კი, იცოცხლე, გაგიხარია — გმირი ან ცუდია, ან კარგი. მაგრამ მაინც მგონია, რომ უმცირესობაა მხოლოდ კარგი ან მხოლოდ ცუდი, უმრავლესობა კი ცუდ-კარგია... ასეთია შინაარსობრივად ჩემი აზრი, ამ ცუდ-კარგებს კი, სერგო ჩემო, მოფერება უნდა, გაგება უნდა, დაყვავება; განყრომაც კი უნდა ხანდახან, დარიგებაც — მთავარია, უშუალო იყო. გაპრანჭულ ხალხს ვერ ვიტან, ის რა კაცია, სანამ პასუხს გაგცემს, ჯერ გუნებაში რომ ანონ-მონონის და მერე ვერცხლის ლანგრით ჭკვიანურ პასუხს მოგართმევს — იმისი სიტყვა სხვაა, ის არაა ნამდვილი სიტყვა. რალაც სულელური ანდაზაა: ღვინო და ლუდი ერთნაირად არ უნდა სვაო და პირზე რომ სიტყვა მოგადგება, კი არ უნდა თქვაო... (არ მესმის, ეს ანდაზა რატომ არის სულელური?! ჯ.მ.). უნდა თქვა, სერგო, უნდა თქვა, რალაცას თუ გინდა მიალწიო, მაგრამ, ამასთანავე, რაოდენი სიფრთხილე და გაგებაა საჭირო — ამ

სხაპასხუპით ლაპარაკში ფაქიზი უნდა იყო. ახლა, ამ ნუთს, (უნდა იყოს ამნუთს. ჯ.მ.) ასე რომ გეზაასები სილაში თავჩარგული, თუ იცი, რატომ? რატომ და ჩემ-მა დაკვირვებულმა მზერამ რომ არ აგაბნიოს, რომ არ დაიძაბო, არ აიბნე, ასე იმიტომ ვლაპარაკობ, უფრო ბუნებრივად რომ მისმინო, უფრო დალაგებულად, თავისუფლად, მშვიდად დაფიქრდები, ანონ-დანონი, განსჯი, გაიაზრებ... ხომაა ასე? თანაც, ჩემს პრობლემას დიდის გულისყურით მოსმენა უნდა, რადგან რთულია, როგორც უკვე გითხარი, ნაცნობები შესცვალო (უნდა იყოს შეცვალო. ჯ.მ.) უკეთესობისაკენ — რა უნდა იყოს ამაზე რთული? ასე რომ, პრობლემა სერიოზულია, აკი ვთქვი — ხანდახან ცუდისა და კარგის დადგენაც ჭირს ხოლმე. მაგრამ მთავარია ძიება, დაკვირვება და პირდაპირობა. ახლა მე ერთი შეკითხვა მინდა დაგის-ვა და, კაცმა რომ თქვას, ძალიან მაგარი შეკითხვაა, რადგან უაღრესად პირდაპირია, მაგრამ მაინც ჩემსას უნდა ვეცადო: აი, შენ, როგორ გგონია, როგორი ხარ — კარგი თუ ცუდი? როგორი ხარ, ა, სერგო — თუ კარგი ხარ, რატომ და თუ ცუდი, მაინც რატომ? ნუ გერიდება, ხმა ამოიღე, პასუხი გამე, თამამად, თამამად, სერგო... — და გრიშამ თავი ასწია.

მაგრამ სერგო იქ აღარ იყო“.

დაე, ახლა თავად მკითხველმა განსაჯოს: რაოდენ ტვინის გამაბრუებელი და შეურაცხმყოფელი უნდა ყოფილიყო ამ სქემა-ტური პერსონაჟის მთელი ეს აბდაუბდა, რომ ნესიერ, მორიდებულ ყმანვილს გაუგონარი სითამამე თუ კადნიერება გამოეჩინა — ამდგარიყო და შეუმჩნეველად გასცლოდა თავისი „მეთოდის“ ქადაგებით თავგართულ გრიშას, გაქცეულიყო, გამქრალიყო პლაჟიდან!

სერგო მართლაც გაქრება, ოღონდ არა მარტო პლაჟიდან, არამედ საერთოდ, მოთხრობიდანაც! მორჩა, დავემშვიდობოთ, ჩვენ მას მეტად ველარ ვიხილავთ, რის გამოც ნაწარმოებში თავისთავად წარმოიშვა საჩოთირო სიცარიელე და ბუნებრივი კითხვები: მწერალმა ეს ახალგაზრდა კაცი დასაწყისშივე ან

რისთვის შემოიყვანა დიდი ამბით, ანდა რილასთვის გააქრო ასე უგემოდ? ნუთუ მხოლოდ გრიშას ახირების საცდელ ქვად გამოიყენა, მერე კი თავიდან მოიშორა?! ვაითუ მკითხველიც სერგოსავით მოექცეს როგორც გრიშას, ისე მთლიან მოთხრობასაც?!

* * *

შეიძლება სათქმელი ბანალურად ამიჟღერდეს, მაგრამ მაინც ვიტყვი: როგორც ნებისმიერ ტრანსპორტს, ისე ლიტერატურულ ყველა ჟანრს და მათ შორის, მოთხრობასაც, გააჩნია თავისი ზღვრული ტვირთამწეობა, წყალწყვა. ტვირთის არასწორი განაწილება-განლაგება თუ საერთოდ, უღვთოდ გადატვირთვა, ვინ იცის, რამდენი სატრანსპორტო საშუალების დაზიანებისა თუ საშინელი კატასტროფის მიზეზი გამხდარა.

დაახლოებით იგივე ესადაგება ლიტერატურასაც. არ შეიძლება მოთხრობას სარომანე თუ საზოგადოდ, ზედმეტი ტვირთი წამოვკიდოთ, ანდა ნოველისთვის განკუთვნილი ერთი ლუკმა სათქმელი რომანში გავწელოთ და შეუპოვარი წყლის ნაყვით მკითხველს სისხლი გავუშროთ!

გურამ დოჩანაშვილის ეს ხუთფურცელნახევრიანი მოთხრობა წააგავს მთავარი პერსონაჟის, გრიშას აკვიატება-ახირებებით გადატვირთულ — თანაც უთანაბროდ გადატვირთულ! — ნავს, რომელიც შესაშიმრად ხან ერთ მხარეს გადაიხრება ხოლმე, ხან — მეორე მხარეს!

ავიღოთ თუგინდ აგერ, ის, გრიშას მიერ ასიასადმი მიძღვნილი ლირიკული მონოლოგი „ქალი ხარ, ქალი“, რომელსაც ჟურნალის თითქმის ერთი სვეტი უჭირავს!!!

გრიშა ამ „თავის“ ოდას კი თავდავინყებით ქაქანებს, მაგრამ ამოდენა მონოლოგს აიტანს პატარა მოთხრობა? სანამ ალტკინებული პერსონაჟი თავის სტიქიაშია, მანამ მოთხრობის დინამიკა და შინაგანი ბუნებრივი რიტმი ჯერ შენელდა, მერე კი გაჩერდა, გაცივდა და გაიყინა! გარდა ამისა, რიგიან მკითხველს ყოველგვარი ინტერესი უქრება, ვინაიდან ამ მონოლოგში გაელვებული უმეტესი მხატვრული სახეები — ზღვის პირას მდგარი ქალი, ასეთი ამაყი ქალი, ქალის ღონიერი ფეხები, მხრე-

ბი კი სუსტი და ნაზი, თხელი ნესტოები, დევნილ ნადირთან შედარებული ქალი, ქალის ტუჩების გემო, ქალის მომლოდინე სხეული, კუპრის ჩანჩქერივით ჩამოშლილი თმა, თითებით თმის გადავარცხნა, გაზაფხულის წვიმაში სიარული, ტანზე შემოტმასნილი სველი კაბის ქვეშ მაღლიანი ნაკეთების ჩენა და სხვა — გრიშას ან თავისი აღმოჩენა რომ ჰგონია, ანდა ლაპარაკის საღერღელამოილს, სულაც არ ანალვლებს, ძველია თუ ახალი, მხატვრულ ლიტერატურაში ძალიან დიდი ხნის ნაცნობია და ამიტომ ახლა მათი ასე პროვინციული პათოსით ჩაბულბულება სასურველ ეფექტს ველარ იძლევა.

მიუხედავად ზემოთქმულისა, მონოლოგს, ცხადია, მაინც გააჩნია თავისებური მიმზიდველობა და სინრფელე, თუმცა თავისი ფორმისა და სიდიდის მიზეზით აღიქმება არა როგორც ერთი პატარა მოთხრობის ბუნებრივი ნაწილი, არამედ სიყვარულზე დაწერილი კლასიციზმის სტილის დიდი პიესიდან, ტრაქტატიდან თუ ესედან ამოფხრენილი და ამ მოთხრობაში ხელოვნურად ჩანებებული უცხო, განსხვავებული ფერისა და ფორმატის ფურცელი.

აქ თავისთავად გახსენებს თავს თომას მანის ესე „ვნებანი და სიდიადე რიჰარდ ვაგნერისა“. ეს ესე ამ ჟანრის ნამდვილი შედეგია, ოღონდ ერთი დიდი „ნაკლი“ აქვს — მალე თავდება! თქვენ კი გსურთ, უსასრულოდ გაგრძელდეს ერთმანეთში გადანული აზრისა და სტილის მშვენიერება! მოდი, ახლა ერთი ეს ვიკითხოთ: ავტორმა რაღა მაინცდამაინც ეს ჟანრი — ესე არჩია, მოთხრობა ესეზე გაცილებით უფრო პოპულარული და მომგებიანი არ არის?! მე შენ გეტყვი, თომას მანს გაუძნელდებოდა თემას მისადაგებული ფაბულის მოხაზვა და საჭირო პერსონაჟების გამოგონება-განლაგება თუ რა?! მაგრამ ღმერთმა ნუ ქნას, მწერალს ეს ჩაედინა: რომელი მკითხველი გაუძლებდა გენიალური კომპოზიტორის შემოქმედებით თვისებებსა და მისი მუსიკის თავისებურებაზე მოთხრობის ორიოდე პერსონაჟის პირით გადმოცემულ სამოცდათორმეტფურცლიანი ერთფეროვანი სათქმელის მოსმენას! არადა, მართლა რა საინტერესოა: მკითხველისთვის რა მნიშვნელობა აქვს, მწერალი თავის სათქმელს რა ფორმით ეტყვის? საქმეც ეგ არის, რომ თურმე ჰქონია... აქვს!

აქ გადამწყვეტია ჟანრის სწორი შერჩევა, ავტორის დაპირება და გემოვნებიანი მკითხველის მოლოდინი-განწყობილება.

მწერალმა თავის სათქმელს თუ ზედგამოჭრით მოარგო ჟანრი და, მაგალითად, მოთხრობას გვთავაზობს, მაშასადამე, გამოცდილი მკითხველიც მოთხრობისთვის განწყობა და მერე ნაწარმოებში ჩადენილ ყოველგვარ გადახვევა-შეუსაბამობას გრძნობს და თავისთვის თუ საჯაროდ — როგორც ამ შემთხვევაში — მოურიდებლად აპროტესტებს!

ჰოდა, აქაც იგივე ხდება, ვინაიდან მკითხველი გრძნობს: ნაწარმოებში მოულოდნელად წამოწყებული ამხელა უადგილო მონოლოგი — უცაბედად ატეხილ მუშტი-კრივეში მოჩხუბრის შუბლზე ამოზრდილ ვეება კოქს რომ ემსგავსება — ისედაც სქემატურ მოთხრობას აქოჩრილ ტალღებზე მოტორტმანე ნავივით ცალ მხარეს აყირავენს და წონასწორობას აკარგვინებს!

ეს იმდენად თვალში საცემია, რომ თვით ექსტაზში ჩავარდნილი ამ მონოლოგის ჩამბუღბუღებელიც კი (!), აგერ, ბოლოს თავისით რას ხედება.

„მსიამოვნებს ასეთი ლაპარაკი და მხოლოდ ეს უცხო კაცია ცოო-ტათი გაკვირვებული, იძულებული ვარ, თავი გავანებო ამ უცნაური სიტყვების სამყაროს და ისევ ჩვეულებრივ საუბარზე გადავიდე, რადგან ყოველნაირი შელამაზებული გამოთქმა მათრობს, მაბრუებს და სინამდვილეს მაცილებს, (აქ მძიმე კი არა, ნერტილი უნდა. ჯ.მ.). ასე, რომ გადავდივარ ყოველდღიურობაში“.

* * *

მართალია, გრიშა კი გადადის ყოველდღიურობაში, მაგრამ თვითონ მოთხრობა ვერა და ვერ ღებულობს შეკრულ, დამაჯერებელ სახეს — იგი ერთმანეთთან სულ ნაძალადეგ-სქემატურად დაკავშირებული, უთავბოლო მაგალითებისა და ამბებისგან კონინდება. ამაში კი „ღამნაშავა“ გრიშას ცხოვრების მიზნად გადაქცეული აკვიატებული იდეა.

„— ჩემი პრობლემა ძალიან რთულია, — აღნიშნა გრიშამ..., — და თუ გაინტერესებთ, მოგახსენებთ კიდევ: მე მინდა, რომ ჩემი ხელშეწყობით ადამიანები გახდნენ უკეთესები, ვიდრე არიან“.

არ მესმის, ეს გრიშა თავს რა უფლებით იზვიადებს და მარტო თვითონ რატომ იჩემებს ამ ყველაზე საპატიო და რთულ პრობლემას? განა მშობლები, პაპა-ბებიები, ნათესავეები, ბაგა-ბაღის აღმზრდელები, პედაგოგები, სასულიერო პირები, კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების, მედიცინის და სხვა მრავალი სფეროს მოღვაწენიც სრულიად ბუნებრივად ამავე ამოცანის წინაშე არ დგანან?!

მამ, გრიშას რალა წითელ კოჭად მოაქვს თავი?! ანდა, რამდენად ზნეობრივ-ეთიკურია ამის ასე საჯაროდ დახილი — გრიშა კი არა, ვინც უნდა იყოს?!

კეთილი, მთავარმა პერსონაჟმა რაკი ასეთი მონამებრივი თავდადებით მიისაკუთრა ეს „პრობლემა“, დაე, ჰქონდეს და უპატრონოს, ოღონდ როგორ წარმოუდგენია ცხოვრებაში მისი განხორციელება?

„პრობლემა ან, როგორც გრიშა მეორენაირად ეძახდა, „მთავარი“, ასეთი იყო: უნდა ეცადო, რომ შენი წყალობით ნაცნობები გახდნენ უკეთესები, ვიდრე არიან. ქალებთან ძნელი იყო მთავარზე საუბარი, კაცებთან კი ასე თუ ისე გამოდიოდა“.

ა, ბეჩავ, ქალებო! ეს რა მოგსვლიათ, რომ გრიშას გასძნელება თქვენთან ლაპარაკი, ჰა?!. მაშინ რა გამოდის — კაცებმა „ასე თუ ისე“ თუნდაც გაიგონ გრიშას სანუხარი, ამას მაინც რა ბაჟი ექნება, თუკი კაცობრიობის მეორე, უფრო დიდი ნახევარი ვერ ჩასწვდება ამ „მთავარს“?

ერთი სიტყვით, მთავარი პერსონაჟი სულ ამგვარი ლათაიებით ცდილობს მკითხველის შექცევას — ყველაფერს თავისი პროვინციულ-პრიმიტიული წარმოდგენით ჭრის და კერავს. ასე, მაგალითად, ხელის ერთი მოსმით „უნამლა“ ძველი რომაელი კომედიოგრაფის ტიტუს მაქციუს პლავტუსის (ძვ.წ. 250-184) ერთ სამნუხარო სენტენციასაც. როგორ?

„— ახლავე აგიხსნი, — თქვა გრიშამ და მიმოიხედა, — არის ერთი გამოთქმა, რომ ადამიანი ადამიანისთვის მგელია, მაგრამ მე, ამ შემთხვევაში შენი ახლობელი, სულ სხვა თვალსაზრისისა ვარ, და თუ გინდა, რომ აგიხსნა, აბა, თვალები დახუჭე და დინჯად, ნები-სყოფიანად დაითვალე ათამდე“.

ასია ათამდე რომ დაითვლის და თვალს გაახელს, ვიღა მოგ-ცათ გრიშა — ირგვლივ მხოლოდ წკვარამი ღამე, ზღვის ბუტ-ბუტი და უკაცრიელი პლაჟის შემადრწუნებელი უდაბურებაა! შიშატანილი ასია უაზროდ მიმორბის სიბნელეში და გრიშას ხვეწნა-მუდართით მოუხმობს — რატომ მემალეები, ნუ მანვალე, გამოდი, თორემ ხმას აღარ გაცემო! მაგრამ თქვენც არ მომიკვ-დეთ! ქალი უარესად ძრწუნდება, აქეთ-იქით აწყდება და... უცებ გრიშას მკლავებში არ აღმოჩნდება! გრიშა ქალს ამშვიდებს და უხსნის.

„... შენთვის ხომ ღამე იყო, ხომ ღამე იყო ამ ორი-ოდე ნუთის წინ, ახლა კი, ჩემთან რომ ხარ, ჩახუტე-ბული და დაჯერებული, ახლა ხომ დღეა, პატარავ, ხომ დღეა?“

— დღეა, გრიშა, დღე, (აქ მძიმე კი არა, წერტილი უნდა. ჯ.მ.). — ტიროდა ქალი.

— ადამიანი ადამიანისთვის დღეა, (აქაც მძიმე კი არა, წერტილია საჭირო. ჯ.მ.). — თქვა გრიშამ“.

მამ, კარგად დავიმახსოვროთ გრიშას ეს აღმოჩენა — ბო-ლოში მისი შეხსენება დაგვჭირდება!

* * *

იმდენად ძველისძველი, გაცვეთილი, მოსაწყენი და შაბლონ-ურია გრიშასა და ბინის დიასახლისის მამის, მოხუცი დურუს ხშირი კამათის თემა და სტილი, რომ მკითხველზე ვერანაირ ზემოქმედებას ვერ ახდენს. პირიქით, მოთხრობისადმი ინტერ-ესს უღუნებს. მოუსმინეთ.

„— არა, ნამდვილად არ ხართ სწორი, დურუ ბიძ-ია.

— კაი ახლა, ბაბაჩი, — ცივად დაუყვავებდა ხოლმე დურუ, — ამ ხნის კაცს აღარ მიჯერი? ფულია ყველაფერი.

— არა!

— რავა არა... — დინჯად ამბობდა მოხუცი.

— თანხა კია ხანდახან საჭირო, — ნანილობრივ ეთანხმებოდა გრიშა, — მაგრამ ყველაფერი არაა.

— რაზეა, აბა, საჭირო?

— რაზე და... — პატარაზე შეფიქრიანდებოდა გრიშა, — რაზე და ყოველდღიურ წერილმანზე — რომ ჩაიცვა, დაიხურო, სასმელ-საჭმელი გქონდეს, მეგობარი კაცი რესტორანში თითო ბოთლ ლეინოზე დაპატიჟო, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, ფული რომ ყველაფერია.

— კია ყველაფერი, — ჯიუტობდა დურუ, — ამხანაგობა რა გგონია შენ?

— რა, ფულია?

— აპა, რაა... — უკვირდა დურუს, — ახალგაზრდობაში ერთი პირობა კარქათ ნამივიდა საქმე და ფული მქონდა ბევრი. დემესიენ ამხანაგები, რას დემესიენ?! — თაფლი მეცხო ლოყებზე. სუფრის თავს მსვამდნენ, ბაბაჩი; ეს რა კაციო, დედაა, ეს ვინააო, ეს რააო, ამას ვენაცვალეთო, შემოვევლეთო. მარა რო გავკოტრდი და ფული აღარ მიჭყაოდა ჯიბეში, ეჰ, გაფუჭდა ეგეცო, თქვეს...

— თანხაზე აგებული მეგობრობა თანხასავით ადვილად დაინვება, — განმარტავდა გრიშა.

— ბიჭო! ფულზე იქნება მეგობრობა აგებული, აპა, ლამაზი თვალებისათვის კი არ მეგობრობს ხალხი!

ელაპარაკე ახლა ასეთ კაცს!"

* * *

ამოუხსნელი თვითმიზნურობისა და სქემატიზმის მწვერვალად გამოიყურება მოთხრობის ის ნაწილი, სადაც რესტორანში ქეიფისას გრიშა პირდაპირ გონების დამბინდავ ცხარე კამათში ჩაეთრევიანება — სწორედ რომ ჩაეთრევიანება! — ერთ უცნობ

ახალგაზრდას, რომელიც უტიფრად აცხადებს: მე ყველაფერი ვიციო!!!

გრიშას განცვიფრებას საზღვარი არა აქვს.

„ — კი მაგრამ, როგორ შეიძლება ერთმა ადამიანმა ყველაფერი იცოდეს?

— ძალიან თავისუფლად“.

აქ კამათი აქეთ არა რომელიმე კონკრეტული დარგის თუ სფეროს, ან ზოგადისა და აუცილებლის ცოდნაზე, არამედ საერთოდ, ყველაფრის ცოდნაზე!!!

მარტო ამის გააზრების ცდაც კი ადამიანს გონებას უყინავს და აზროვნებას უჩერებს! მით უმეტეს, რომ თვით სოკრატესთვისაც კი ამოსავალია საკუთარი არცოდნის ნათლად გაცნობიერება — „მე ის ვიცი, რომ არაფერი ვიცი!“ ეს ვილაც ხეპრე და თავდაჯერებული ყმანვილი კი... თუმცა რაზეა ლაპარაკი!...

არ მესმის, მწერალს რაში დასჭირდა უსაგნო, ცხარე კამათით სავსე ამხელა პასაჟი, სადაც ცეცხლმოდებულ ჩალასავით პრიაცილებს როყოდ წამოსროლილი სიტყვები და ტერმინები: ბირთვი, პროტოპლაზმა, ადამიანის წარმოშობა, უჯრედი, პირველადი ნივთიერება, მარსი, ვენერა, სამყაროს საზღვარი და სხვა, ხოლო თვით კამათის თემა კი ქერქმეტრუსულ უზარმაზარ მორივით ისევ ადგილზეა გამოტილი და მოპაექრენი ძვრასაც ვერ უშვრებიან! ანდა, ვინ რა უნდა დააკლოს?!... მოკლედ, ეს აბსურდული კამათი მოულოდნელად იმგვარ დაბოლოებას მიიღებს, რომ ყმანვილი მოკამათეს გაგულისებით მიახლის — აი, თქვენ, მაგალითად, როგორი ხართო.

„ — მე კარგი ვარ! — დაიძახა გრიშამ.

და ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, მაშინვე იგრძნობოდა, დიდხანს ვერ გასტანდა.

პირველმა ჩაიფხუქუნა ჯიბომ, ბავშვობის ამხანაგმა, მერე თვით მოლუშულმა გიგლამაც გაიღიმა, შემდეგ ორაზროვანი ღიმილი დამცინავ ღიმილად შეეცვალა ახალგაზრდას. მერე ქალმაც ჩაიხითხითა — „რა ხარ, გრიშა, რა ხარ?“ და ბოლოს თვით დათამაც მიამიტიად რომ გაიღიმა, ჯიბომ ხარხარი ატეხა“.

მოკლედ, თანამეინახენი გრიშას სეტყვასავით დააყრიან სიცილ-ხარხარს: მაინც რა ხარ, ეს რა იკისრე, შე ძველო!

გრიშასაც მეტი კი არ უნდოდა! ერთი თქვენი მონონებული შეფხუკიანდება, სუფრიდან ნამოუხტება მეგობრებს და მერე ყველაფერი სწრაფად დატრიალდება: ოფიციანტს გაუსწორდება, თანამეინახეების თანხლებით შინ მივარდება, ღურუს ბინის ქირას გადაუხდის, თან ამ „ჯიუტ ბებერს“ რომ დაუმტკიცოს, ცხოვრებაში ფული არ არის მთავარი, ჯიბიდან ამოღებულ ფულს დაფხრენს, ცხვირნინ აუფრიალებს და ჩემოდანს ფაციფუცით ჩაილაგებს. მიუხედავად მეგობრებისა და ასიას თავგადაკლული ხვენწა-მუდარისა: გვაპატიე, ვიზუმრეთ, დარჩი, ერთი კვირის ვადა ჯერ კიდევ გაქვსო, არავის სიტყვას არ გაიკარებს — ჩაჯდება მატარებელში და თბილისისკენ გამოსწევს!

მიუხედავად ნანარმოების კულმინაციური სცენის აშკარა თვითმიზნურობისა და ამხელა კაცის ასეთი სქემატური შეფხუკიანებისა, მკითხველი მაინც დაძაბული მოელის კვანძის საბოლოო გახსნას — შემდეგ რა მოხდება, რითა და როგორ დამთავრდება მოთხრობა. მაგრამ მოვლენათა განვითარების თავბრუდამხვევი ტემპი უცებ მუხრუჭდება და გრიშას გამომგზავრებას მოსდევს ამოდენა — თანაც ხაზგასმულად ოდნავ გამოცალკეებულნი! — მძიმე პასაჟი. მოუსმინეთ:

„და რადგან გრიშას პატარა ხანს მაინც ეძინა და სადგურ სამტრედიასთან გამოელვოდა, მანამდე დრო გვაქვს და მატარებელს ნება-ნება მივყვეთ. სულ სხვაა მატარებელი დღისით, როცა აფუსფუსებული ქვეყნის ხმას ბორბლების დგრიალი ფარავს და თუ ხნიერიც არ ხარ და ხიფათის უზარმაზარი სასმელიდან სულ მცირეოდენი მაინც გინდა მონრუპო, შეგიძლია, სრულიად უმიზეზოდ კიბეზე დადგე, და როცა ქარი აზუზუნდება, უეცრად მაცდური სურვილი აგეკვიპება — სახელურს ხელი შეუშვა და გაითქვიფო რელსების პირას მიყრილ, სისწრაფისაგან უსაშველოდ ნაგრძელებულ რიყის ქვებში, და რომ სახეში გეძგეროს ძლიერი, დაუნდობელი დარტყმა და იდაყვების გადაყვლეფა ხომ ჯიბეში გიდევს, და რომ ყოველივე ეს იმდენად საინტერესოა,

მართლაც მზადა ხარ, ხელი შეუშვა პრიალა სახელურს, მაგრამ ამის ნაცვლად შემცივნებული თითები უფრო ღონივრად ბლუჯავენ სადღაც მთაში მოჭრილ ხეს, ახლა გაჭენებული რკინის სახლის უმნიშვნელო დანამატად რომ ქცეულა. თვალებსაც ჭუტავ და მაცდურმა სურვილმა ისევ რომ არ დაგიაროს, შორს, მთებისაკენ გაიხედავ, რადგან როცა შორს იყურები, ისე ძალიან აღარ იგრძნობა სისწრაფე.

მაგრამ თუ მატარებელი მიდის ღამით, და თუ კიბეზე დადგომის მაგვარი რამ მაინც მოგეპრიანებათ, საკმარისია, ფანჯარა ოდნავ ჩამოსწიოთ და ვინრო კუპეში დაურიდებლად შემოჭრილი ხმაური ყოველივეს გადაგაფიქრებინებთ, რადგან ღამით, მოგეხსენებათ, ძალიან ბნელა და ხმაურსაც სულ სხვა ფასი აქვს. მატარებელი კი, ეს გაჭიმული, განათებული ღამის მალეიძარა, სრულიად უცნობ, ჩაშავებულ ადგილებში მიგრიალებს, ყოველ შემთხვევაში, თქვენი ფანჯრიდან ასე მოჩანს. ხანდახან თუ მოჰკრავთ თვალს განათებულ აივანს, ანდა ვილაცის მიერ დანთებულ ცეცხლს, ანდა შავად ჩაქროლილ ელექტრონის ბოძს, და ფანჯრიდან გავარდნილი სინათლე ტალღად გადადის იქვე, თქვენი ფანჯრის წინ, მკრთალად აბუუტებულ მინაზე და გიკვირთ, ასეთი მწარე ხახუნისაგან ოდნაეადაც რომ არა ცვდება, და მერე თქვენი გაკვირვებაც გიკვირთ, მაგრამ არც ისე, რადგან თვლელმა გერევათ და სიბნელეს შესცქერით, მაგრამ ყოველივეს ხედავს კაცი, რომელიც ზის მატარებლის თავში, მონყენილი და მაინც დაძაბული, მის წინ კი ელავს ნყვილი რელსი, მძლავრი პროექტორით განათებული, და პატარა თეთრი ბოძები, რომლებზედაც ციფრების გარჩევაც კი შეიძლება, და მწვანე-მწვანე შუქნიშნები, და მატარებელი დგრიალით მისდევს საკუთარ სინათლეს და რამდენიც არ უნდა შთანთქას, წინ სწორედ იმავე სიგრძის განათებული გზაა და კაცს, ვისაც აბარია ეს უზარმაზარი სახლი მძინარე ადამიანებითა და იმათი ჩემოდნებით, თუ სად-

მე ძალიან მოენყინება, ხელს ოდნავ ასწევს და მაშინვე გაბმული საყვირი დანასავით შეიჭრება სიბნელეში.

მაგრამ თუ მატარებელს გადაეუსწრებთ და იქ დავ-
ელოდებით, სადაც არც სოფელია და არც არაფერი, და
თუ სიბნელესაც შეეჩვევით, ცივ რელსსაც შეგიძლიათ
ხელი დაადოთ, რადგან ამ სიბნელეში, სოფლიდან მო-
შორებით, მხოლოდ და მხოლოდ თქვენ ბრძანდებით
იქაურობის ოდნავ შეშინებული, დაძაბული პატრონი,
და მოლოდინში სმენად გადაიქცევით, რადგან ლამესაც
აქვს თავისი ხმები, თქვენთვის გამოუცნობი, სუსტი
და შემამოფოთებელი — იქვე, სიბნელეში, რალაცეები
ხდება. ბუჩქზე ფოთოლი რომ იმართება, იმასაც ხმა
აქვს, მაგრამ თქვენ არ იცით, საიდანაა ეს ჩქამი და
ეგება არცაა ფოთლისაგან და მხოლოდ ჭრიჭინას ხმა
თუ დაგამშვიდებთ, რადგან იგი დღისითაც არ ჩანს,
ხოლო თუ ციციანათელამ წამით გაიკვესა, მოგეხსენე-
ბათ, დიდი ამბავია. და უცებ რალაც ამკარა ცვლილე-
ბას გრძნობთ — ირგვლივ ყოველივე მულავენდება და
მიიხედავთ, და იქ ჩანს უზარმაზარი თეთრი თვალი და
სვეტი, წინ რომ მოუძღვის ღამის მალევიძარას და ხეებს,
ბუჩქებსა და ბორცვებს აჩენს, თქვენ კი ახლა რელსზე
ხელის დადებას ველარ გაბედავთ, რადგან იგი ამკარად
მატარებლისაა. და უკვე მკაფიოდ აღწევს თქვენამდე
ხმა, რომელიც იზრდება, სინათლესავით მატულობს
და თქვენ, შეცბუნებული, რელსების პირას სინათლი-
საკენ ზურგშექცევით დაჯდებით, რალაც წარმოუდგენ-
ლად უზარმაზარი კი თავს დაგატყდებათ აღზევებული
თანხმონებით: დრბბ, დრბბ, დ! — და თუ ფეხზე
დგახართ, უფრო გაიმართებით წელში, ხოლო თუ ზიხ-
ართ, საცოდავად მოიკუნტებით და თვალეზსაც ველარ
აცეცებთ, ისეთი სინათლეა. მაგრამ თუ მოგინდებათ
მატარებლის დანახვა შორიდან, მაშინ უნდა ნაბრძან-
დეთ რელსებიდან შორს, ბნელ ღამეში გადაიაროთ
ხშირი ბუჩქებით დაფარული ბორცვი, უნდა იაროთ
ძალიან ფრთხილად, რადგან ყოველ ნაბიჯზე მო-
გეჩვენებათ, თითქოს სწორედ თქვენს წინ (უნდა იყოს

თქვენ წინ. ჯ.მ.) ღრმა ორმოა, და თუ მაინც ძალიან გნებავთ მატარებლის დანახვა, შეშინებულმა და საკუთარ თავზე დროდადრო გაბრაზებულმა კარგა ხანს უნდა იაროთ მარტომ, რადგან სხვასთან ერთად ღამის მატარებლის დანახვას აღარ აქვს ის ფასი — მარტოკა უნდა ბრძანდებოდეთ. და სამაგიეროდ მეორე დღეს, როცა გაიხსენებთ, რა გასაოცრად და რბილად ჩაიარა უზარმაზარმა შემადგენლობამ, ყვითლად და ლურჯად განათებული ფანჯრებით, მხოლოდ მეორე დღეს დააფასებთ იმ ახირებულ სურვილს, რომელმაც ბნელში შეშინებულს ფრთხილად სირული გაიძულათ. და თქვენ შეპყურებდით ღამის მატარებელს, საკუთარ სინათლეს რომ ნთქავდა და ლურჯად განათებული ფანჯრების დანახვაზე გაიფიქრეთ, რომ ყველა მგზავრს ეძინა, მაგრამ ეს ასე არაა, თითო-ოროლა კაცს ყოველთვის ღვიძავს ხოლმე, თავისი საფიქრალი ანუხებს და ჭერს შესცქერის. ყოველ შემთხვევაში, სამტრედის იქით ნამდვილად ფხიზლობდა ერთი ნამონოლილი კაცი, რომელიც საშინელმა წყურვილმა გამოაღვიძა“.

ახლა გაიხსენეთ და შეადარეთ: როგორც დასაწყისში იმხელა სატრფიალო მონოლოგმა გადასძალა მოთხრობა ცალ მხარეს, ახლა ამ სიმძიმემ გადახარა მეორე მხარეს და ღამის გადააპირქვაოს. ჯერ ერთი, პასაჟი სავსეა ზოგადი, ზერელე და ბუნდოვანი ცნებებით, თან მხატვრულადაც დაუხვეწავია. მაგრამ ამას თავი დავანებოთ. ამხელა და ამაზე უფრო გრძელ ჩანართს რომანი თავისუფლად აიტანს, მაგრამ ხუთფურცლიანი მოთხრობა ცოდოა, არ უნდა წამოეკიდოს ამ სიმძიმე ტვირთი, ისიც ფინალისკენ. მოთხრობა ბევრად მოიგებდა, ამხელა პასაჟი რამდენჯერმე რომ გადამდნარიყო, დახვეწილიყო და ორიოდე მოკლე აბზაცში ჩამოსხმულიყო.

* * *

მატარებელში გრიძას სინდისის ქენჯნა და ეჭვები ტანჯავს — ეს რამ მათქმევინა, კარგი ვარო!

„არ უნდა მეთქვა, — გაიფიქრა გრიშამ პლატფორმა არგვეთასთან, — როგორ შეიძლება ახლადგაცნობილ ხალხთან გულის გადაშლა, არ უნდა მეთქვა... მაგრამ ნასვამი ვიყავი“.

„და, საერთოდაც, — გაიფიქრა გრიშამ პლატფორმა საქარასთან, — რა საჭიროა ლაპარაკი? საქმეს ლაპარაკი არ უყვარს, მე კი... მაგრამ ნასვამი ვიყავი“.

„კარგი კარგია. — გაიფიქრა გრიშამ იქვე, ფეროშენადნობთა ქარხანასთან, — მაგრამ რა საჭიროა ამის საჯაროდ გამოცხადება?“

ყველაზე მეტი რამ კი სადგურ ზესტაფონთან გაიფიქრა, სადაც მატარებელი დიდი სადგურის ხათრით მთელი ათი წუთი დგას.

„ხმამალალ-კარგი არ შეიძლება, — ასე ფიქრობდა გრიშა სადგურ ზესტაფონში, კარგი ვარო, რომ ვიძახი, ტყუილი კი არ მითქვამს, მაგრამ მაინც... ხმამალალ-კარგი არ შეიძლება, ესეც ხომ საკუთარი სიკარგის დაგროვებაა, დაგროვება კი, თანხისა არ იყოს, შეგცვლის... მაგრამ პრობლემა?“

„ხმამალალ-კარგი არ შეიძლება“, — გაიფიქრა გრიშამ, ისევ დიდ სადგურ ზესტაფონში, — ჩუმ-კარგი უნდა იყო. ვინც რა უნდა თქვას, ვისაც რა უნდა, ის გააკეთოს, შენ კი სიცუდეში არავის არ უნდა აპყვე და ჩუმ-კარგი იყო — აი, პრობლემა“.

„კი მაგრამ, — შემოესმა გრიშას სადგურ შორაპნამდე, — სხვა? სხვამ რაღა ქნას?“

„სულელო, სხვას რას დაეძებ, შენს თავს მიხედე, — გაუჯავრდა გრიშა დათას, — მე ხომ გარკვევით ვთქვი, რომ თვითონ უნდა იყო კარგი და სხვაც ხომ თვითონაა, სხვაც ხომ „თვითონაა“ ამ შემთხვევაში, თუკი ისაა მთავარი, რომ თვითონ უნდა იყოს კარგი? ამიტომ სხვაც თვითონ უნდა იყოს კარგი. შენ იჯექი შენთვის ჩუმად და...“

და სადგურ შორაპანთან საბოლოოდ დაადგინა:

„ხმამალალ-კარგი არ შეიძლება, — ასე გაიფიქრა გრიშამ საშუალო სადგურ შორაპანთან, — ჩუმ-კარგი

უნდა იყო. ხმამალალ-კარგი არ შეიძლება — ეს ნაღ-
დია. აი, მთავარი...“
და ისევ ჩაეძინა“.

აქ უნებლიედ ერთი ხალხური სტროფი მაგონდება.

კარგი ვარ, ამას ნუ იტყვი,
თავს ნუ დაუნყებ ქებასა,
კარგი ჩვენც მოგვენონება,
ცუდი — არც თავის დედასა!

არავინ იფიქროს, ხალხური პოეზიის ამ მარგალიტს და თა-
ნამედროვე მოთხრობის მხატვრულ დონესა და სტილს ერთმა-
ნეთს ვაჯიბრებდე — რა სისულელეა! მაგრამ ერს, რომელსაც
საუკუნეთა მანძილზე ისე დაეხვეწა სააზროვნო კულტურა, რომ
თავს ამგვარი ნიმუშებით ინებიერებს, მკითხველი მთელი გული-
სყურით ვერ მოეკიდება გრიშას ამ სქემატურ-პრიმიტიულ და
თან უღვთოდ გაჭიანურებულ „ფილოსოფიურ“ მსჯელობას —
სათქმელი უნდა ითქვას მოკლედ, სხარტად, ნათლად, მადლი-
ანად! დააკვირდით, აქ კი რა ხდება: თითქმის ყოველ აბზაცში
ერთი და იგივე აზრი ხან ასე ტრიალდება, ხან — ისე! ეს კი
საბოლოოდ თავშესაწყენ ჩიჩინში გადადის!

* * *

მოთხრობა და განსაკუთრებით კი მთავარი პერსონაჟი თა-
ვიდან ბოლომდე რომ სქემატურია, ეს ეპილოგშიც აშკარად
მჟღავნდება.

ნაწარმოები ასე მთავრდება: ზღვისპირეთიდან გამოქცეული
გრიშა უკვე თბილისის ქუჩებში მიაბიჯებს.

„მერე გრიშამ მალაზიაში იყიდა პური, ყველი,
კარაქი, დაბალი შადრევნიდან კიდევ დალია წყალი და
გაიმართა თუ არა, ვილაცა უცნობი კაცი მივარდა.

— გაუმარჯოს!

— გაგიმარჯოს! — გაუკვირდა გრიშას.

— რა რიცხვია, თუ გახსოვს (აქ მძიმე უნდოდა.

ჯ.მ.), დღეს? — არეულად მიაჩერდა მთვრალი.

— დღეს ცხრამეტი... ოცი!

— ჰოდა, მერე?
— რა მერე?
— აღარ გახსოვს?
— რა უნდა მახსოვდეს?!
— დღეს რომ ჩემთან უნდა მოხვიდე, აღარ გახსოვს, არა? ესაა ჩვენი მეგობრობა?
— კი, მოვალ. — თქვა გრიშამ და გაცლა დააპირა.

— ხომ მოხვალ? — პიჯაკის ღიღზე ნაეტანა მთვრალი, — რომ არ მოხვიდე, დამკარგავ, იცოდე!

— როგორ არ მოვალ, აუცილებლად მოვალ.

— ოო, მასე, ყოჩაღ, — შეაქო კაცმა და მხარზე დაჰკრა ხელი. — რვაზე შევიკრიბებით ზუსტად. აბა, შენ იცი, სულ შინაურები ვიქნებით.

— ნყალი არ გაუვა, — ხელისგული აჩვენა გრიშამ, — ხომ ისევ იქა ხარ?

რომ დაემშვიდობა, ერთი კი მალულად გახედა და გაიფიქრა — „ნეტავ ვის მიმამგვანა“...

და ძალიან შეეჭვდა: „დამცინა თუ... ნეტა მართლა ვგავარ ვინმეს?“

გრიშა მიდიოდა ქუჩაში, თეთრი ჩემოდნით ხელში, მხარზე პიჯაკმოხურული, დაეჭვებული ათვალიერებდა ხალხს, სხვადასხვანაირ სახეებს, და რძის რიგში ბევრი ადამიანი ერთად რომ დაინახა, უცებ ძალიან აღელდა და ჩაილაპარაკა:

„მე თუ კიდევ ვინმეს ვგავარ, კარგად ყოფილა თქვენი საქმე“.

ახლა დავდოთ ქუდი და მიუდგომლად განვსაჯოთ: კაცმა, რომელმაც იმდენი უჩიჩინა სერგოს, რომ პლაჟიდან გადაკარგა — ჩემი ძალიან რთული პრობლემა იმაში მდგომარეობს, მინდა ადამიანები უკეთესები გაეხადოო; კაცი ასიას რომ არწმუნებდა: ადამიანი ადამიანისთვის მგელი კი არა, დღის სინათლეაო, ხოლო რესტორანში ყინჩად წამოიძახა — მე კარგი ვარო, ახლა, როცა საქმე საქმეზე მიდგა და აშკარად დაინახა, უცხო კაცს ვილაცაში ეშლებოდა, იმდენი ცოდვა-მად-

ლი და სიკეთე ვერ გამოიჩინა, მისთვის ადამიანურად აეხსნა: სხვაში გეშლებით, მე ის კაცი არ ვარო და ისე გაბითურებული-დაიმედებული არ გაეშვა!!!

გრიშას ეს შეიძლება ეთქვა კიდევ, მაგრამ ავტორმა არ ათქმევინა! რატომ? იმიტომ, რომ ავტორს გრიშას დარდი არა აქვს და ის მხოლოდ იმითაა გატაცებული, რაც თვითონ ანუხებს, თავის პერსონაჟს მხოლოდ ის ამეორებინოს თუთიყუშით!

დაბოლოს, რას ნიშნავს ეს უკანასკნელი აკორდი: „მე თუ კიდევ ვინმეს ვგავარ, კარგად ყოფილა თქვენი საქმე“. კი მაგრამ, რას ეფუძნება გრიშას ამგვარი პათოლოგიური ამბიციურობა — არ შეიძლება კაცი კაცს ჰგავდეს, ან უბრალოდ, მიაბსგავსონ?! ყოველდღიურად ამგვარი ჩვეულებრივი შემთხვევების მეტი რა ხდება დუნიაზე?! ანდა საკუთარ პერსონას რა საბუთით ამადლის საზოგადოებას — კარგად ყოფილა თქვენი საქმეო?!

ასე შეიძლება იფიქროს, მაგალითად, პირსისხლიანმა დიქტატორმა, სახალხო გმირმა, ან მეტისმეტად პოპულარობამოპოვებულმა პიროვნებამ, ხალხს შიშისა თუ უსაზღვრო სიყვარულისაგან არავისში რომ არ შეეშლება! გრიშა კი ვინ არის? ერთი ჩვეულებრივი, რიგითი ქალაქელი და როგორც თვითონვე ამბობს მოთხრობის დასაწყისში, პიანინოების ამწყობი, რომელმაც დაკვრა არ იცის. ეგ არის და ეგ.



ცოდვა გამხელილი ჯობს: „ლიტერატურულ პალიტრაში“ გამოქვეყნებული ზოგ-ზოგი მდარე პროზაული ნაწარმოები ისეთ უხეირო გავლენას ახდენდა ჩემს პროფესიულ გემოვნება-განწყობილებაზე, რომ ბოლო დროს ვერიდებოდი ჟურნალის კითხვას და ამიტომ, ცხადია, აღარც ვყიდულობდი. მაგრამ მოულოდნელად ამ წიგნზე მუშაობის დაწყებამ იძულებული გამხადა, მისი 2005 წლის ბოლო, ორიოდ ნომერიც მიყიდა.

ჰოდა, 2006 წლის თებერვლის ბოლოსდა შევიტყვე, რომ 2005 წლის მე-12 ნომრიდან ჟურნალს ცნობილი კინოსცენარისტის,

დრამატურგისა და მწერლის ამირან ჭიჭინაძის საყმანვილო რომანის „ჭკუა“ ბეჭდვა დაეწყო.

რამდენიმე მიზეზის გამო ამ რომანს შეხებას არ ეუპირებდი. ჯერ ერთი, დაპირებისამებრ, მე მხოლოდ ჟურნალის 2004-2005 წლების პროზის ნაწილი უნდა მიმომეხილა; ეგაც არ იყოს, არ ვიცოდი, რომანის ბეჭდვა სადამდე გაგრძელდებოდა, ლოდინს კი აზრი არა ჰქონდა. თანაც, ნიგნი რაც შეიძლება პატარა უნდა გამომსვლოდა, თორემ მის გამოსაცემად საჭირო თანხას ვერანაირად ვერ შევაკონინებდი. ამიტომ ამგვარი უჩვეულო ტვირთით და დროის უქონლობით ჯვარზე გაკრულმა, ასე გადავწყვიტე: მწერლისადმი კოლეგიური სოლიდარობა-პატივისცემის ნიშნად ამჯერად მხოლოდ ინტერვიუს გადაკითხვით შემოვფარგლულიყავი, თვით რომანს კი, როგორც რიგითი მკითხველი, მერე, ამ ჯოჯოხეთური ტანჯვა-ნამების გადაქუხების შემდეგ მივბრუნებოდი. მაგრამ...

მწერალ ამირან ჭიჭინაძესთან ინტერვიუს უძღვებოდა მთავარი რედაქტორის მოადგილე მანანა ჯანელიძე, რომლის მიერ დასმული ერთ-ერთი ბოლო კითხვა ასე ყლერს.

„— ჩვენს ჟურნალს თუ „ათვალღერებთ“ ხოლმე?“

ახლა გთავაზობთ მწერლის შემოკლებულ პასუხს.

„— არა! ვკითხულობ. თანაც სიამოვნებით... ჩემს ნაწერზე არ ვამბობ და „პალიტრის“ რედაქციასა და გამომცემელს დახვეწილი ლიტერატურული გემოვნება აქვთ“...

მწერლის ამგვარმა შეფასებამ ჩემზე მეხდაკერასავით იმოქმედა და ზურგზე წისქვილის ქეები მომკიდა, ვინაიდან სამხედრო პარალელები და ტერმინოლოგია რომ მოვიშველიო, დავემსგავსე 1941 წლის მიწურულს გააფთრებულ „ბლიცკრიგში“ ყელამდე ჩაფლულ გერმანიას, რომლის ერთ-ერთი სამხედრო-პოლიტიკური მოკავშირე, იაპონია მასთან შეუთანხმებლად პერლ-ჰარბოროს მოულოდნელი დაბობვით ომში ჩაება აშშ-თან და გერმანიაც, როგორც პატიოსანი პარტნიორი, იძულებული გახადა, ომი გამოეცხადებინა ამერიკისთვის.

აქაც რალაც ამდაგვარი ხდება, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მწერალ ამირან ჭიჭინაძეს სულაც არ სჭირდებოდა თავისი შეხედულების ვინმესთან შეთანხმება და ჟურნალ „ლიტერატურული პალიტრის“ რედაქციაზე თავისი აზრი პირდაპირ და პატიოსნად გამოთქვა. ჩემი მხრიდან კი ნამდვილი მწერლური ლაჩრობა და უსინდისობა იქნებოდა, მის ამგვარ შეფასებას შევეშინებოდი და ჭეშმარიტების გარკვევის საზიანოდ მიმეჩქმალა ჩემი პოზიცია. ამიტომ თუ აქამდე უშუალოდ ჟურნალის მთავარ რედაქტორს, თამარ მამაცაშვილს, მთავარი რედაქტორის მოადგილეს, მანანა ჯანელიძეს და ნანილობრივ მონვეულ რედაქტორს, მწერალ მიხო მოსულიშვილს (ნანილობრივ იმიტომ, რომ ზუსტად არ ვიცი, მას რა გავლენა აქვს რედაქციაში) ვეპაექრებოდი, მწერალ ამირან ჭიჭინაძის ამგვარი განცხადება იძულებულს მხდის ახლა მასაც დაუჟიროსპირდე და კრიტიკული ომი გამოეფუცხადო. თუმცა, „ომის“ გამოცხადებას აზრი აღარც აქვს, ვინაიდან ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებულმა ჩვენმა პოზიციებმა უკვე თავისთავად ჩავგვითრიეს კრიტიკის ქარ-ცეცხლში: მწერალ ამირან ჭიჭინაძეს მიაჩნია, რომ ჟურნალ „ლიტერატურულ პალიტრას“ დახვეწილი ლიტერატურული გემოვნება აქვს, ამ წიგნში მოყვანილი მაგალითებით კი სულ საპირისპირო რამ მტკიცდება. უფრო მეტიც, ჟურნალის მთავარ რედაქტორს და მის მოადგილეს რიგითი ლიტმუშაკის სამყოფი ცოდნა და დონეც არ გააჩნიათ.

მეტი თვალსაჩინოებისთვის ამირან ჭიჭინაძეს ბარემ მისი რომანიდანაც მოეუყვან კიდევ ერთ მაგალითს, რომელიც სწორედ ჟურნალის რედაქციის აღმამფოთებელ არაკომპეტენტურობასა და ელემენტარული სიფხიზლის დამალონებელ მოჩლუნგებასა თუ საერთოდ, მის უქონლობაზე მეტყველებს.

ამ საყმანვილო რომანის მთავარი გმირია მეექვსე კლასის მონაფე, თორმეტი წლის ირაკლი ჭკუასელი, მეტსახელად ჭკუა. ჭკუასელების ბინაში ცხოვრობენ: თვითონ ირაკლი ჭკუასელი, მისი მშობლები, და სოფიკო, ლიდია ბებია და ხნიერი კაცი, როგორც მწერალი გვეუბნება „ჭკუას დედის ბიძაშვილი მამის მხრიდან“, ბიძინა ბიძია და მისი ცხოვრების მეგზური ირმაია. მოგვიანებით გამოჩნდება თერჯოლიდან სასწავლებლად ჩამო-

სული სულიკო, ირმაიას ღვიძლი ძმა. მაგრამ პირველივე გამოცდაზე ჩაიჭრება. რაკი ფასიან სასწავლებელში შესასვლელი ფული არ გააჩნია და თან აღარც უკან დაბრუნება ეპრიანება, მშენებლობაზე ღამის დარაჯად მოენყობა და ისიც ჭკუასელებთან დაიდებს ბინას.

აქ ჩამოთვლილთაგან მე მხოლოდ ბიძინა ბიძიასთან მექნება საქმე. ვინ არის იგი? თვით მწერალს მოუსმინეთ.

„ბიძინა ბიძიამ ფილოსოფიური დაამთავრა და ამიტომ ფილოსოფოსია, ყველაფერს ფილოსოფიურად აფასებს, ცხოვრობს ირმაიასთან ერთად, პატარა ოთახში. არსად მუშაობს, მხოლოდ ფიქრობს და მსჯელობს“.

აი, ასეთია ამ საყმაწვილო რომანის დასაწყისში მწერლის მიერ კალმის ერთი მოსმით დახატული ბიძინა ბიძია, ხოლო ვინც მის უფრო ახლოდან გაცნობას მოისურვებს, მან თავიდან ბოლომდე გულისყურით უნდა ნაიკითხოს ეს ნაწარმოები.

მართალია, დასაწყისში მწერალი ბიძინა ბიძიაზე გვეუბნება: არსად მუშაობს, მხოლოდ ფიქრობს და მსჯელობსო, მაგრამ როგორც მერე ირკვევა, მთლად ასეც არ ყოფილა საქმე — ბიძინა ბიძიას, როგორც ფილოსოფოსსა და მოაზროვნეს, თურმე თან ჩანანერებიც უნარმოებია!!!

მწერალს ეს ჩანანერები ისე მოსწონებია, რომ თავის რომანში მსხვილი შრიფტით აწყობილი საგანგებო რუბრიკაც კი შემოულია „ბიძინა ბიძიას ჩანანერებიდან“ და სადაც საჭიროდ დაინახავს, მის ბრძნულ აზრებს იქ ჩამოაკვესებს ხოლმე.

მოდო, ჩვენც გავეცნოთ ბიძინა ბიძიას ნააზრევის რამდენიმე ნიმუშს. მაშ, ასე, „ბიძინა ბიძიას ჩანანერებიდან“:

„მე ასე მგონია: თუ არსებობენ ქვეყნად სიტყვის კაცები, უნდა არსებობდნენ სიტყვის ქალებიც და სიტყვის ბავშვებიც. აბა, სხვაგვარად საიდან გაჩნდებოდა ბუნებაში სიტყვის კაცი, თუ იგი ადრეულ ასაკში სიტყვის ბავშვი არ იყო? სიტყვის კაცად მხოლოდ სიტყვის ბავშვი თუ გაიზრდება“.

* * *

„თავმდაბლობა, ჩვენი ანუ ჭეშმარიტად ღრმა ფილოსოფოსების განუყრელი თვისებაა“.

* * *

„გაოცებას იწვევს ის ფაქტი, რომ საქართველოში 500-ზე მეტი ჯიშის ვაზი ხარობს. ხუთასი ხომ ნახევარი ათასია!“.

* * *

„განა შეიძლება სიყვარული უკვალოდ გაქრეს? არა, ასე არა მგონია მე!“

* * *

„ვის მიმართავს ადამიანი გაჭირვების უამს? ამ შეკითხვაზე მე ასე ვუპასუხებდი: მეგობრებს! ან მეგობართა ჯგუფს. იქნება ვცდები კიდეც, მაგრამ იქნებ არცა ვცდები...“

* * *

„ბევრი ვიფიქრე და მივედი იმ დასკვნამდე, რომ ომს მშვიდობა სჯობია, ხოლო ჩხუბს — ლხინი და მეგობრული დროსტარება (უნდა იყოს დროს ტარება. ჯ.მ.)“.

* * *

„რა დამქანცველია ეს ფიქრები! ამჟამად ვფიქრობ მასწავლებელზე, მის როლზე ჩვენი მომავალი თაობის აღზრდის საქმეში. პედაგოგი იგივეა, რაც მასწავლებელი და შესაბამისად, მასწავლებელი იგივეა, რაც პედაგოგი. აქვე დავძენ, რომ პედაგოგი ბერძნული სიტყვაა და აღმზრდელს ნიშნავს. პაიდოს ბერძნულად „ბავშვია“, ხოლო აგო — „ნინ მივუძღვი“, „ვზრდი“.

* * *

„მაჩვენეთ ბავშვი, ვისაც არ აურევია და პირველი ვესერი ქვას!“

* * *

„მე, ცხადია, პირადად, ადამიანთა მოდგმის დაგროვებულ ცოდნას პირამიდის სახით წარმოვიდგენდი. ამ პირამიდის

საფუძველი გახლავთ მეცნიერება, მისი მწვერვალი კი — ფილოსოფია! მწვერვალზე მდგარი ფილოსოფოსი ზემოდან დაპყურებს სამყაროს და ყველა მოვლენას არწივივით აფასებს. ჩვენ, ფილოსოფოსები, არ დავდევთ წვრილმანს, ჩვენთვის, ფილოსოფოსებისთვის, კონკრეტული ცოდნა სულაც არაა აუცილებელი, ჩვენი ხედვა ფართოა, განსჯა — მასშტაბური და ყოვლისმომცველი!”

* * *

„ადამიანების უმრავლესობას, ალპინისტების გამოკლებით, აღმართში სიარულს დაღმართში სიარული ურჩევნია, რა თქმა უნდა, თუ დაღმართი ძალიან ციცაბო არ არის.

აქვე დავძენ, რომ ნებისმიერი აღმართი იმავდროულად დაღმართიცაა, გააჩნია, რომელი მხრიდან მიუდგები“.

* * *

„თუ არ ვცდები, სიურპრიზი ფრანგული სიტყვაა და მოულოდნელ საჩუქარს უნდა ნიშნავდეს“.

აი, დაახლოებით ამ ყაიდისაა ბიძინა ბიძიას აზრები!

გაკვირვებული მკითხველი, ალბათ, შემომეკითხება: კი მაგრამ, რისთვის ჩამოგვინერე, რას გვეტყვი მათ შესახებო?

ღმერთო ჩემო, განა თქვენ თვითონ კი ვერ ხვდებით, რაც არის, მე რაღა უნდა ვთქვა მათზე?! თავგასართობად დღეს ვილა არ წერს და ბიძინა ბიძიამ რაღა დააშავა?! მოცლილი ფილოსოფოსის კვალობაზე თუკი სიამოვნებს ამგვარი აზრების ჩამონერა, იჯდეს თავისთვის და წეროს, რამდენიც უნდა — მისი ეს ჩამონიკნიკებული აზრები ვის რა ზიანს მოუტანს?! პირიქით, აგერ, ერთი ჩვენი თანამოკალმე თავის საყმანვილო რომანშიც კი იყენებს!!! მაგრამ აქ საფრთხე და უბედურება სულ სხვაგან მარხია: ბიძინა ბიძია მარტო ამგვარი ლათაიური აზრების თხზვას არ დასჯერებია და სრულიად მოულოდნელად რუსთველოლოგიაში ახალი ფურცლის გადაშლა მოჰგუნებებია!!!

მაშ, მოუსმინეთ, რაებს ბრძანებს და თან მხედველობაში იქონიეთ, ბოლოს ნახმარი მრავალწერტილი ან თვით ბიძინა ბიძიასეულია, ანდა ავტორისეული — ამდენად, ტექსტი სრულია!

„ბიძინა ბიძიას ჩანაწერებიდან“:

„ვფიქრობ მე, რომ (უნდა იყოს: მე ვფიქრობ, რომ. ჯ.მ.), მეგობრობის გრძნობა საუკეთესოდ დაგვიხატა დიდმა შოთა რუსთაველმა, მაგრამ აქვე მსურს გამოვთქვა მოსაზრება, რომ სამივე გმირს, ანუ ტარიელს, ავთანდილსა და ფრიდონს, ერთმანეთის გაცნობამდეც ეყოლებოდათ ნაცნობ-მეგობრები. ვნუხვარ, რომ დიდი პოეტი არაფერს გვეუბნება მათ შესახებ. კარგი იქნებოდა, კარგი...“

აჰა, ეგეც თქვენი საყმანვილო რომანი, თუმცა თან უფროსები-სთვისაც! ეგეც თქვენი ფილოსოფოს ბიძინა ბიძიას აზრები! აფსუსს, „ვეფხისტყაოსანი“ ბიძინა ბიძიას რომ დაენერა, გაცილებით უკეთესი გამოვიდოდა! თუმცა, ვინ იცის, იქნებ დაგვიწეროს, ანდა, შესაძლოა, უკვე დაწერილიც ჰქონდეს და ერთ მშვენიერ დღეს ამირან ჭიჭინაძემ ამ ამონარიდების მაგიერ ბიძინა ბიძიასეული „ვეფხისტყაოსნის“ახალი, გაუმჯობესებული ვარიანტი შემოგვთავაზოს!!!

ერთი დაუკვირდით, რანაირ კონტექსტშია ნახმარი სიტყვა „ვნუხვარ!“

აქედან ისე გამოდის, რომ ერისთვის, თითოეული ნამდვილი ქართველისთვის „ვეფხისტყაოსანი“ საამაყო, თავმოსანონებელი კი არ ყოფილა, არამედ სანუხარი! კი მაგრამ, რა ამნუხრებს ან ბიძინა ბიძიას, ანდა მისი იდეების მხურვალე მქადაგებელს, მწერალ ამირან ჭიჭინაძეს? რა და, მათი ქეიფის მიხედვით, შოთა რუსთაველს თავის პოემაში ნახირივით რომ არ შემოურეკავს ზედმეტი პერსონაჟები!!! ანდა, უსაშველო სინანულნარევ, დედაბრული ნუნუნით გასანთლულ ციტატის კუდს დახედეთ, სამგლოვიარო ელფერს რომ მატებს ორაზროვანი კილო და მრავალწერტილი.

„კარგი იქნებოდა, კარგი...“

რას ჰქვია „იქნებოდა“, როგორ თუ „იქნებოდა?!“ კი მაგრამ, პოემა როგორიც არის, ის რითი ვერ არის კარგი ანუ რატომაა ცუდი — რამეთუ „კარგის“ ანტონიმია „ცუდი“! — და რა შემთხვევაშილა „იქნებოდა“ ის ბიძინა ბიძიასეული საოცნებო „კარგი?!“

რა შემთხვევაში და ოპონენტების უმეცრული ახირების მიხედვით, „ვეფხისტყაოსანში“ პერსონაჟთა კიდევ ერთი არმიაც — ტარიელის, ავთანდილის და ფრიდონის „ნაცნობ-მეგობრები“(!!!) ერთმანეთს ფეხებში რომ ებლანდებოდნენ!!!

ღიას, მაგრამ ისინი რომ არ ჭაჭანებენ პოემაში?

ვაააჰ! ბრმავ, რასა ჩივიო და — ორსავ თვალსაო! ჰოდა, ჩვენს ოპონენტებსაც თურმე სწორედ ეგ ამნუხრებთ! ამიტომ მათი ნააზრევის ლოგიკური დასკვნაც თავისთავად ასეთი გამოდის: მაშასადამე, „ვეფხისტყაოსანი“ მართლა კარგი ნაწარმოები კი არ ყოფილა, როგორც ეს ბიძინა ბიძიამდე გვეგონა, არამედ ცუდი!!!

ესე იგი, ბიძინა ბიძია შოთა რუსთაველს უწუნებს შემოქმედის ერთ-ერთ ყველაზე უმთავრეს ნიჭსა და ოსტატობას: სიუჟეტის, დროის, სივრცისა და გარემოების შესაბამისად ნაწარმოების პერსონაჟებით სრულყოფილად დაკომპლექტების ხელოვნებას!!! ხოლო თუ ნებისმიერ მხატვრულ ნაწარმოებში აშკარად იგრძნობა საჭირო და აუცილებელ პერსონაჟთა ნაკლებობა, ანდა, პირიქით: ველარსად დატეულა იმოდენა ყარტანყურტანი, მაშინ ფასი ეკარგება როგორც თვით ნაწარმოებს, ისე მის ავტორსაც. არადა, როგორც სხვა ყველაფერი, რუსთაველის პოემაში საჭირო პერსონაჟთა შემოყვანა, განაწილება-განლაგება, დასაქმება და მათი დროული ურთიერთკოორდინაცია ღვთაებრივი ბუნებრიობით და მიმზიდველობითაა შესრულებული! აბა, ერთი ვინმემ სცადოს და თავის ნარმოსახვაში რუსთაველის ამ ქმნილებიდან ნებისმიერი მოქმედი პირი ნაძალადევად ამოგლიჯოს (ცხადია, თუკი ამას შეძლებს!) — პოემა ანტიკური ტაძარივით თავზე ჩამოექცევა!!! ანდა, პირიქით, სადმე, სადაც მოესურვება, თუგინდ ერთი ახალი მოქმედი პირი ჩააკეროს — იგი გადარჩეული არაბული ცხენების რემაში ძალით შეგდებულ დამფრთხალ გორილას დაემსგავსება!!!

რომანის ავტორი ვერ გრძნობს, რომ „ბიძინა ბიძია“ მთელი ეს აბსურდული მოსაზრება — დაუფიქრებლად რომ დაენოდა და აიტაცა, ხელში ისე უფეთქდება, როგორც თარს ბიჭუნას ოკუპანტების მიერ მიტოვებულ პოლიგონზე შემთხვევით ნაპოვნი ხელყუმბარა!

რუსთაველის მასწავლებლის როლზე მეოცნებე „ბიძინა ბიძია“ თავშეკავებული ზეიმურობითა და გულის ფანცქალით მორცხვად გვიზიარებს თავის „გენიალურ აღმოჩენას“: პოემის გმირებს ერთმანეთის გაცნობამდეც ეყოლებოდათ ნაცნობ-მეგობრებიო!

ბარაქალა, ბარაქალა! ბიძინა ბიძია მართლა უზომოდ გამეცნიერებული ყოფილა ფილოსოფიასა და ლიტერატურაშიც, თორემ ეს აქამდე სხვას რატომ არ მოუვიდა აზრად?! ცხადია, ეყოლებოდათ, მაგრამ აქ საკითხავი ეგ კი არ არის, არამედ სულ სხვა რამ: საჭირო იყო კი საყოველთაო მობილიზაციის ყაიდაზე ყველა მათგანის პოემაში განწვევა?! თან აქ რა ინვეეს მკითხველის მიმტევებლურ ღიმილს: ეს ბიძინა ბიძია ერთი-ორ სავარაუდო პერსონაჟს დიდი ყოყმანითა და გულის კანკალით კი არ უწევს რეკომენდაციას, არამედ ცამონმენდილზე პოემაში სამი მთავარი გმირის „ნაცნობ-მეგობრები“ მოისაკლისა!!!

პატივცემულო მკითხველებო, თქვენ მარტო წარმოიდგინეთ — ტარიელის, ავთანდილის და ფრიდონის ნაცნობები და მეგობრები! ყველა მათგანი რომ გავიზროთ და შევეკრიბოთ, შეიძლება ნახევარი სახელმწიფო გამოგვივიდეს!!!

ნეტავი, ამქვეყნად ბიძინა ბიძიას გარდა კიდევ იქნება სხვა ვინმე, ვისაც ეგონება, რომ პოემაში ამდენი ხალხის ტრიალი „კარგი იქნებოდა, კარგი...“ და არა ცუდი?!

აქ წაყრუება და კრინტის დაუძვრელობა ნამდვილი დანაშაული იქნებოდა, ვინაიდან ბიძინა ბიძიას მიერ ახალაღმოჩენილი „მეთოდი“ ტოტალური რევიზიით ემუქრება თხუთმეტსაუკუნოვან ქართულ მხატვრულ ლიტერატურას. ვინ იქნება თავდები, „ვეფხისტყაოსნის“ შემდეგ ბიძინა ბიძია ახლა სხვა რომელიმე კლასიკოსის, მაგალითად, ილია ჭავჭავაძის შემოქმედებას არ „გაანალიზებს“ და თავს არ დაიმწუხრებს: ნუთუ დათიკოს გაბროს მეტი ტოლ-სწორები და ნაცნობ-მეგობრები არ ეყოლებოდაო?!

მართლაც! როგორ დავიჯეროთ, რომ დათიკოს გაბროს მეტი სხვა ტოლ-მეგობარი არავინ ეყოლებოდა საერთოდ, ცხოვრებაში და ან თუგინდ მაშინ, როცა სასწავლებლად ქალაქში გაამწესეს. მით უმეტეს, როცა მწერალი გასაგებად გვეუბნება. დათიკომ „როგორღაც ორიოდ თვის შემდეგ ხშირად დაიწყო გარე-გარე სიარული და ხანდახან მამლის ყვილამდინაც არ შემოდოდა შინ“.

აბა, ვინ ირწმუნებს, რომ სწავლაზე გულაცრუებული თავადიშვილი მამლის ყვილამდე ობოლ-ობერივით მარტოდმარტო დაყიალებდა ქალაქის დუქან-ბალებში!

როგორც მსგავს შემთხვევაში, აქაც სავარაუდოა, რომ დათიკოს — ამ დარდიმანდ, ლამაზსა და რაც მთავარია, დედაქალაქში ხამად მოხვედრილ, ერთობ გამოუცდელ და შეძლებულ ოჯახიშვილს, ამფსონთა თავისებური წრე ეყოლებოდა გასსემომორტყმული!!! მაგრამ დიდმა მწერალმა, როგორც შედეგების მესაიდუმლემ, სულაც არ ჩათვალა საჭიროდ ჩაღრმავებოდა მოსწავლე დათიკოს წრეს და რალაც უმნიშვნელო წვრილმანის ან თუგინდ თვით თავკერძა ბატონიშვილის პორტრეტისთვის რაიმე შტრიხის დასამატებლად იქიდან რომელიმე კონკრეტული პერსონაჟი შემოეყვანა მოთხრობაში, რადგან მას არავითარი კავშირი არ ექნებოდა და არც შეიძლება ჰქონოდა ნაწარმოების უმთავრეს ძარღვთან — დათიკოსა და გაბროს ბედუკულმართ ურთიერთობასთან!!!

ეს კიდევ არაფერი! სად არის გარანტია, რომ ბიძინა ბიძიას „მეთოდით“ შეგულიანებული, ახალგამოჩეკილი „რუსთველოლოგებიც“ თავს არ დაიმწუხრებენ პოემაში „აღმოჩენილი“ სხვადასხვა „ნაკლოვანებებით“ და ახალ-ახალ ბრალდებებს არ წაუყენებენ მის ავტორს: რატომ არ ჩანს, პატარა თინიკო ვისთან ასკინკილაობდა, მერე ის გოგონა რომ გაიზრდებოდა, რა ბედი ენია — ვინ იყო მისი ქმარი, დედამთილ-მამამთილი, მულები, მაზლები, შვილები... სად არიან მთავარი გმირების პაპა-ბებიები, პაპიდები, დეიდები... პოეტს რამ „დაავინყა“ შერმადინის დედამამა, ცოლ-შვილი, ცოლისძმები, ცოლისდები, სიდედრ-სიმამრი, ეგება ქვისლიც ეყოლებოდა!... პოემაში სულ არა ჩანს, იმ დროს რა დონეზე იდგა კბილის მკურნალობა: ვინ დაიჯერებს, იმდენ

პერსონაჟთაგან ერთს მაინც არ წამოსტიკებოდა კბილი!... ას-
მათის დედ-მამა, პაპა-ბებიები, და-ძმები, სიყრმის დაქალები?...
ჩვენს ერამდე მე-4 საუკუნეში მოღვანე ალექსანდრე მაკედონე-
ლის ცხენის სახელიც კი ვიცით, რუსთაველმა კი მე-12 საუკუ-
ნეშიც ვერ მოიფიქრა თავისი გმირების ცხენების სახელწოდებ-
ები!.. ეეე, სად წაასვენეს და როგორ დაკრძალეს ტარიელის
მიერ მოკლული ხვარაზმელი უფლისწული?! ბავშვობაში ვისთან
დაქალობდა დავარი?... ფატმანი? ვინ იყვნენ ფატმანის და-ძმე-
ბი, დედ-მამა, ნათესაეები?...

აი, რამდენი რამე „გამორჩენია“ რუსთაველს! არადა, კარგი
იქნებოდა, კარგი... რომ არავინ და არაფერი „გამორჩენოდა“ და
ეს ყველა და ყველაფერი თავის პოემაში განუსჯელად ჩაესილო-
სებინა!..

მოკლედ, „ლიტერატურული პალიტრის“ რედაქციას კომპეტენ-
ციის და მხატვრული გემოვნების ნატამალი მაინც რომ ჰქონდეს,
მაშინ მწერალს ამ გოჯიან პასაჟს ამოუგდებდა და ამით არც
თვითონ გაისასაცილოებდა თავს და არც იმ პატიოსან ფილო-
სოფოსს გაასასაცილოებდა!...

ისევე ბიძინა ბიძიას მიუვბრუნდეთ. მართალია, დაუკრეფავში
გადავიდა, მაგრამ ღმერთი, რჯული, ეს შურიტა და მტრობით
კი არ მოუვიდა, არამედ უსაქმურობით. ეტყობა, ავტორმაც და-
საწყისშივე უამბოდ არ გაგვაფრთხილა: „არსად მუშაობს, მხო-
ლოდ ფიქრობს და მსჯელობს“-ო. უსაქმური კაცის წრეგადა-
სულ ფიქრსა და მსჯელობას კი, დონ კიხოტისა არ იყოს, აგერ,
რა მოსდევს. ჰოდა, ეს პატიოსანი კაცი ტყუილუბრალოდ ახლა
სხვა რომელიმე გენიოსს ან თუგინდ ისევე რუსთაველს ახლა
სხვა რამეზე რომ არ აუხირდეს, ხომ არ აჯობებდა, რამე პრაქ-
ტიკული საქმიანობისთვის მოეკიდა ხელი?!

ბიძინა ბიძია თუ არ იუკადრისებდა, აქ მე წავეხმარებოდი.

ამირან ჭიჭინაძე თავის რომანში (2005 წ. №12, გვ. 110,
სვეტი პირველი, ქვემოდან მე-5 აბზაცის ბოლო) აი, რას წერს
თერჯოლიდან ჭკუასელების ოჯახში უბოდიშოდ ბინადადებულ
მოცულლუტო სულიკოზე.

„ერთ მშვენიერ დილით კიდევ ჭკუას საშინაო ფლო-
სტებში მოინდომა ფეხის ჩაყოფა...“

ტყუილად კი არ უთქვამთ — სწავლა სიბერემდეო! სიცოცხლეში პირველად გავიგონე საშინაო ფლოსტები! მაგრამ მწერალი ალაღბედზე ხომ არაფერს დანერდა: რაკი ამბობს, საშინაო ფლოსტებო, აქ თავისთავად იგულისხმება, რომ ჭკუასელებს საგარეო ფლოსტებიც ჰქონიათ და ოჯახის წევრები ქუჩაში ფლოსტებით დააფლასუნებენ!

ხომ წარმოგიდგენიათ ქუჩა-ქუჩა, სამსახურში, სტუმრად თუ სკოლაში ფლოსტებით მოფლასუნე ადამიანები?!

პირქვე დასამარხავი გაეხდე, თუ დავცინოდე ჭკუასელებს! პირიქით, მესმის, რომ საყოველთაო სიღუბჭირეში ვცხოვრობთ და ყველას გვიჭირს. ამიტომ ზამთარ-ზაფხულ ქუჩაში ფლოსტებით ფლასტაფლუსტს, ხომ არ აჯობებდა, ბიძინა ბიძიას „ვეფხისტყაოსნის“ კირკიტისთვის თავი დაენებებინა და მენალეობისთვის მოეკიდა ხელი?! მით უმეტეს, რომ სასწავლებლად შორს წასვლა არ დასჭირდებოდა: რომანშივეა დახატული მათი ორი მეზობელი ხარაზი: სომეხი ედისონა და აზერბაიჯანელი მამედა. თანაც, თითქოსდა განგების ნებით, ფეხსაცმლის კალაპოტის „კა-ეს-უ-ემ-84“ დახასიათება-გამოყენებას რომანში საგანგებო თავიც კი აქვს დათმობილი!

ბიძინა ბიძია ამაზე თუ ყაბულს იქნებოდა, ჭკუასელებს ფეხსამოსს გაუჩენდა და მტანჯველურ ფიქრებსაც თავს დააღწევდა. ცხადია, ეს ხელს სულაც არ შეუშლიდა, ძველებურად ჭკუასელების ოჯახის ფილოსოფოსად დარჩენილიყო და კვლავ მშვენივრად განეგრძო ირაკლი ჭკუასელის აღზრდაში სასარგებლო მონაწილეობის მიღება.

არ ვიცი, ბიძინა ბიძია როგორ იჭაშნიკებს ჩემს მეგობრულ რჩევას, მაგრამ ერთს მაინც კიდევ ვიტყვი: რა საქმესაც უნდა მოვიკიდოთ ხელი, ყველანი ისე უნდა მოვიქცეთ, რომ პუშკინის ერთ-ერთი ლექსის პერსონაჟის მსგავს მდგომარეობაში არ ჩავიყენოთ თავი. აი, 1829 წელს დანერილი ის ლექსიც.

Сапожник

картину раз высматривал сапожник

И в обуви ошибку указал;

Взяв тотчас кисть, исправился художник.

Вот, подбочась, сапожник продолжал:
«Мне кажется, лицо немного криво...
А эта грудь не слишком ли нага?...»
Тут Апеллес прервал нетерпеливо:
«Суди дружок, не свише сапога!»



სხვადასხვა, მკითხველებისთვისაც ადვილად მისახვედრი მიზეზების გამო უურნალში გამოქვეყნებულ დებიუტანტთა ნაწარმოებებს შეგნებულად არ შეეხებივარ. ოღონდ შეუძლებელია მკითხველისა და მეტადრე პირველად დაბეჭდვაზე მეოცნებე მორცხვი ახალბედის გაუგებრობა და დაბნეულობა არ გამოინვიოს შემდეგმა გარემოებამ: უურნალის მკაცრი გაფრთხილება — „იბეჭდება მხოლოდ შეკვეთილი მასალები“ გულცივად მიუთითებს, რომ რედაქციაში თავისი ნება-სურვილით ნაწარმოების მიტანის უფლება არავის — მით უმეტეს, გაუბედავ ახალბედს! — არ აქვს და მხოლოდ რედაქციის მესვეურების შეხედულებისამებრ მოხდება მასალების შეკვეთა!

კეთილი და პატიოსანი! და თუ რედაქციის სასურველი, უკვე საქვეყნოდ ცნობილი ავტორისთვის მასალის შეკვეთა არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს, მაშინ გაუგებარი რჩება, ჯერ სრულიად უცნობი, ახალბედათა შორის ყველაზე ნიჭიერის აღმოჩენა-შერჩევას როგორ ახდენს რედაქცია: მათ საძებნელად მრავალრიცხოვანი ლიტერატორ-ემისრები ჰყავს დაგზავნილი საქართველოს ყველა კუთხე-კუნჭულში თუ მთავარ რედაქტორს ზღაპრული ჯადოსარკე უდევს რკინის სეიფში — საჭიროებისამებრ გამოიღებს, ერთს ჩაიჭვრეტს შიგ და მორჩა!!!

ამ ბუნდოვანებას ერთგვარ ნათელს ჰფენს თვით რედაქციის მიერ დებიუტანტის აღმოჩენა-წარდგენის თავისებური მეთოდი.

უურნალის 2006 წლის პირველ ნომერში გამოქვეყნდა თამარ ბურდულის ლექსები. დებიუტანტი პოეტი მკითხველებს წარუდგინა თვით რედაქციის მოწვეულმა რედაქტორმა, მწერალმა

მიხო მოსულიშვილმა. გთავაზობთ მის წინასიტყვაობას „ჭვავის ყანების მახლობლად...“ მცირე შემოკლებით.

„არ მიყვარს, ავტორი რომ შინ მომაკითხავს თავისი ნამუშევრების სადეკლამაციოდ, თუმცა ვცდილობ, ეს არ შევიმჩნიო და რომ (უნდა იყო როცა. ჯ.მ.) გავაცილებ, მერეღა ამოვისუნთქავ ხოლმე შვებით — კიდევ კარგი, რომანების კითხვა არ აქვს ჩვევად-მეთქი.

თამარ ბურდულსაც სხვა ავტორებივით შევხვდი — აბა, მაშინ რა ვიცოდი, თუ „არცვისსაფერ, სვილისფერა“ და „გულზედ შროშანიტ დალდასმული“ ლექსების ავტორთან მქონდა (უნდა იყოს მექნებოდა. ჯ.მ.) საქმე.

შევიპატიე და არც იმ ნიშანს მივაქციე ყურადღება, ჩემს გერმანულ დოგს, ფინაგენტს, ყეფა რომ არ დაუნყია მოსულისთვის — ორივეჯერ თავისი გამოსახედიდან გამოყო თავი და წყნარი მზერა გააყოლ-გამოაყოლა სასტუმრო ოთახისკენ მიმავალ და მერე იქიდან წასასვლელად გამოსულ ჩემს პირლიმილიან სტუმარს.

ყავისფინჯნებიანი და შოკოლადიანი ლანგრით რომ მოგვაკითხა ჩემმა მეუღლემ, უკვე ვიცოდი, სტუმრად მოსული ფშაველი იყო, გურამ დოჩანაშვილს გამოეგზავნა ჩემთან და რაკი რამდენიმე სეზონი კავკასიონის ამ მშვენიერ მხარეში მიმუშავია გეოლოგობისას, უკვე „თამაროსაც“ ვეძახდი და ვაჟა-ფშაველას შვილთან, გულქანთან ჩემს (უნდა იყოს ჩემ. ჯ. მ.) შეხვედრაზე ვუამბობდი.

მერე დაინყო თამარომ თავის ლექსების კითხვა და „ცოტა ხნით“ ჩვენთან ჩამომჯდარი მეუღლე აღარსად წასულა, ბოლომდე უსმინა სტუმრის ჩინებულ დეკლამაციას და მაშინ უფრო გაუნათდა თვალები, როცა სულ პირველად ნაკითხული „არცვისსაფერნი სვილისფერანი“ კიდევ წავაკითხე. მერე „ვის რა ამოსთქომს?...“ და სხვებიც ვათქმევინეთ ხელახლა...

იმანაც სასიამოვნოდ შემაცბუნა, რომ ეს ლექსები აქამდე არსად გამოექვეყნებინა — ან თქვენთან დავბეჭდავ, ანდა არც არსად და ისევ ჩემთვის მექნებაო.

ჰოდა, ისევ თავისთვის რომ არ ჰქონდეს, ამ საახ-
ალნლო ნომერში პირველად გთავაზობთ თამარ ბურ-
დულის „არცვისსაფერ, სვილისფერა ლექსებს“...

ამაღლელებელი სურათი და გარემოა დახატული! ბევრი დამ-
წყები შემოქმედი ინატრებდა ამგვარ ილბალს! საქებარია თა-
ვისი ბედის ვარსკვლავს მინდობილი ახალგაზრდა მანდილოსნის
მიზანსწრაფვა, დასაფასებელია რუსთაველის სახელობის პრემი-
ის ლაურეატის, მწერალ გურამ დოჩანაშვილის გულისხმიერება,
ახალბედასთვის გულდასმით რომ მოუსმენია და სწორ კვალზე
დაუყენებია. თვით მიხო მოსულიშვილი ხომ სამაგალითოდ მო-
ქცეულა: ნაირგვარი ავტორების ხშირ-ხშირი ვიზიტებით თავგა-
ბეზრებული მაინც უდრტინველად შეხვედრია ოჯახური მყუ-
დროების მორიგ დარღვევას და სანიმუშო გულისყურით მოჰყ-
რობია უცნობ ავტორს.

მინამდე თავის დახრას იმსახურებს თვით მიხო მოსულიშვი-
ლის მეუღლე — ღრმად მწამს, მის მიერ გამოჩენილი ეს სით-
ბო და გულისხმიერება ბოლომდე ტკბილმოგონებად გაჰყვება
სტუმარს...

ის კი არა, აღტაცებას ინვევს ოჯახის გემ-ალლოიანი გერ-
მანული დოგიც, უცხო ქალიშვილისთვის კეთილი თვალით რომ
შეუხედავს და საშინელი ყფა-ღრენით უეცრად გული არ შეუ-
კრთია მისთვის!

მიუხედავად ამისა, ეს ყოველივე ერთ ანდაზას მაგონებს:
დათვის ხედავდნენ და მაინც კვალს ეძებდნენო!!! ჰოდა, ჟურ-
ნალში მოსახვედრად რალატომ უნდა ყოფილიყო საჭირო ამდენი
წამებიანი გზების გავლა, კარდაკარ სიარული, მავანთა შენუხე-
ბა, საკუთარი თავგანამება და უხერხული წუთების გადატანა,
როცა იმხანად „ლიტერატურული პალიტრის“ რედაქცია ემანდ,
სპორტსასახლის უკან მდებარეობდა!!! მით უმეტეს, თუკი მწე-
რალი მიხო მოსულიშვილი იმავე ჟურნალში მუშაობდა და ხსე-
ნებული ახალბედა პოეტის ლექსებშიც სწორედ იქვე დაიბე-
ჭდებოდა!? აქედან დასკვნა-გამოცანა: მაშ, რალა აზრი აქვს,
რასა და ვის ემსახურება ეს უკმეხი გაფრთხილება „იბეჭდება
მხოლოდ შეკვეთილი მასალები“, რომელიც დამთრგუნავ-დამა-

ფრთხობლად მოქმედებს საერთოდ, შემოქმედზე და მეტადრე მორიდებულ, საქმეში ჩაუხედავ დებიუტანტზე.

რედაქციის ხელმძღვანელობას თუკი მართლა ლიტერატურული იდეალებისთვის უძგერს გული, როგორც ამას მთავარი რედაქტორის წინათქმა ლაღადებს, მაშინ თვით რედაქციაში არ უნდა მიიღონ და შეაფასონ ყველა მსურველის მასალა? აბა, ისე როგორ, რა ხერხითა და გულთმისნობით უნდა დაადგინონ, ვის უფრო უკეთესი ნაწარმოებები უწყვია საწერი მაგიდის უჯრებში, რომ სწორედ იმ ავტორს მოატანიონ?!

შეკვეთაო! ჰმ!!! შემოქმედება ხომ ღვთიური იღუმალეებითა და მადლით განბანილი მარად მოძრავი, ცვალებადი, უსათუთესი და ცოცხალი პროცესია და არა გაქვავებული ბეტონის ნარჩენების გროვა: მაგალითად, დღეს თუ ერთ ცნობილ შემოქმედს მუზა უჯიუტდება და ადგილიდან ფეხის მოცვლა არ სურს, სამაგიეროდ მეორე გვარიან ნაწარმოებს ქმნის და ა.შ. ჰოდა რედაქციას სადა აქვს იმის გარანტია, რომ ამ თავისი აკვიატებული „შეკვეთილი მასალებით“ მკითხველს ნამდვილ მაღალმხატვრულ ნაწარმოებს უმზადებს და არა ნაჩქარევად შეხანხლულ მდარე პროდუქციას?!

თამარ ბურდულის მაგალითით გულმოცემულმა დებიუტანტებმა ახლა უწყვეტ ნაკადად რომ იწყონ დენა მიხო მოსულიშვილის ბინაზე, რა გამოვა — ამ კაცსაც ხომ უნდა ოჯახური სიმყუდროვე, მოსვენება, შემოქმედებითი მუშაობა! მერედა, ერთი შეხედვით ვითომ ჩვეულებრივი ასეთი მიღება და მეტადრე პირუთვნელი პასუხის პირში თქმა რამდენ ღელვა-ტანჯვასთან არის ხოლმე დაკავშირებული, ხან კი ერთი სიკვდილის გათავებას უდრის! ჰოდა, ხომ არ შეიძლება კაცმა შინ „ლიტერატურული პალიტრის“ ფილიალი გაიხსნას?! აბა, რიღასთვის არსებობს რედაქცია?!

მეორე მაგალითი. 2006 წლის მე-3 ნომერში რედაქციამ ცნობილი პოეტის, გიგი სულაკაურის რეკომენდაციით თავის მკითხველებს კიდევ ერთი დებიუტანტი წარუდგინა.

გიგი სულაკაურის ერთსვეტიანი წინასიტყვაობიდან მოვიყვან ნახევარგოჯიან შესავალს.

„გოი და მე ერთ ეზოში ვცხოვრობთ, გვერდიგვერდ. სახელი და გვარი მშვენიერი აქვს — გიორგი ფურცელაძე — და ძალიან კარგი ოჯახის შვილია. სხვისი არ ვიცი, მაგრამ მე ამას გარკვეულ მნიშვნელობას ვანიჭებ, — დიდი ოჯახები ყოველთვის დიდი ტრადიციების მატარებლები არიან“.

როგორც იმ პირველ, ისე ამ შემთხვევაშიც ქების ღირსია რეკომენდატორი, მოკრძალებული ყმანვილისადმი ჯეროვანი ყურადღება რომ გამოუჩინია, ამოდენა პასუხისმგებლობა თავის თავზე აუღია და გზას ულოცავს დიდ ლიტერატურაში. მაგრამ თუ ჩავეუკვირდებით, გამოდის, რომ თავისთავად რალაცნაირი შაბლონ-სქემების გადაულახავი ყორე იგება: ახალბედა „ლიტერატურული პალიტრის“ ფურცლებზე რომ დაიბეჭდოს, თითქო მარტო ნიჭი არ კმარა — ჯერ დიდმა მწერალმა უნდა მიაგზავნოს ჟურნალის რომელიმე მესვეურის ბინაზე, ან რედაქციასთან დაახლოებული შემოქმედის ეზოში თუ კარის მეზობლად ცხოვრობდეს, ამავე დროს „მშვენიერი“ გვარ-სახელიც უნდა ჰქონდეს, ასევე სასურველია, თან „კარგი“ და „დიდი“ ოჯახიშვილიც იყოს და სხვა და სხვა!

კარგი, მაგრამ როგორ მოიქცეს არანაკლებ ნიჭითცხებული, მაგრამ ყველასათვის სრულიად უცნობი და უთვისტომო ახალბედა, თუკი მას არც რომელიმე დიდი მწერლის ბინაზე შენუხება სურს და ეხერხება, არც გავლენიანი შემოქმედის ეზოში ცხოვრობს, სამწუხაროდ, ვერც „კარგი“ გვარ-სახელით და „დიდი“ ოჯახიშვილობით მოინონებს თავს, ხოლო ეს დისკრიმინაციული გაფრთხილება „იბეჭდება მხოლოდ შეკვეთილი მასალები“ აშკარად ანამუსებს და უმოწყალოდ უშრეტს ჟურნალის რედაქციაში თავისი ხელნაწერების ყველაზე ღირსეული და ცივილიზებული გზით წარდგენის ბუნებრივ ნყურვილს?!

მაშასადამე, გამოდის, რომ მისი ნიჭი ახალყვავილშივე უნდა ჩაჭკნეს, რათა ჟურნალის ფურცლებზე ნაცნობ-მეგობართა ვინრო წრის შეხედულებებისამებრ შერჩეულ ავტორთა ბამბამ უფრო უკეთ იჩხრიალოს! მაგრამ დაეუშვათ და რომელიმე „უთვისტომო“ ახალბედა ტალანტთაგანმა დაამსხვრია ამ დისკრიმინაციული გაფრთხილებით შექმნილი გაუბედაობის კომ-

პლექსი და გავლენიან პირთა დახმარება-რეკომენდაციის გარეშე რამენაირად თვითონ მოახერხა საიმედოდ დაცულ რედაქციაში თავისი ხელნაწერების მიტანა, ანუ როგორც იტყვიან ხოლმე, უურნალის ხელმძღვანელობა ფაქტის წინაშე დააყენა. საინტერესოა, ამნაირ „მოძალადეს“ რედაქცია როგორ ექცევა: ნიჭს უღიარებს და უშურველად აძლევს მწვანე გზას თუ პირიქით — როგორ თუ ჩვენ მიერ ხელდებულ ფალავნებს სჯობნის და თან მწერლად კურთხევის სქემებს გვინგრევსო, გულს ისასტიკებენ და ამიტომ მასთან ურთიერთობისას ულმობლად ხელმძღვანელობენ ფრაზით, თავის დროზე მოხუცმა ფელდმარშალმა ალექსანდრე სუვოროვმა რომ წარმოთქვა სამხედრო ხელოვნების ცის კაბადონზე ამობრწყინებულ ახალგაზრდა ნაპოლეონ ბონაპარტეზე.

— შორს აბიჯებს. დროა აილაგმოს ეს ყმანვილი!



„რომელი ქართველი მწერლის პროზაული ნაწარმოების ხილვას ისურვებდით ჩვენს უურნალში?“

„რომელი ქართველი პოეტის ლექსების ხილვას ისურვებდით?“

აი, ანკეტის პირველი ორი კითხვა, რედაქცია თითქმის ნომრიდან ნომერში დაულალავი ჭიკჭიკით რომ ითვლევინება.

არ ვიცი, სხვა მწერლები ამ თხოვნა-მონოდების საპასუხოდ „ლიტერატურული პალიტრის“ რედაქციაში სისტემატურად აგზავნიან თუ არა წერილ-ტელეგრამებს და მესიჯებს, მაგრამ ამასთან დაკავშირებით მე დღემდე არ გამიმძღვანებია ჩემი სურვილი, რაც დაუმსახურებელ სინდისის ქენჯნას განმაცდევინებს და ერთგვარ ახსნა-განმარტებას მაიძულებს.

ჩემი — როგორც ერთი რიგითი მკითხველის და მწერლის — დუმილი გამონვეულია არა კოლეგებისა და მათი შემოქმედებისადმი უკეთური გულგრილობით, არამედ რედაქციის მიერ შემოთავაზებული წინადადების დილეტანტურობით: ასე საბჭოთა ეპოქაში საქართველოს რადიო ადგენდა ხოლმე საგანგებო

პროგრამას „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!“. მაშინ ეს მეთოდი სრულიად ბუნებრივი და გამართლებული იყო, ვინაიდან ნებისმიერმა რადიომსმენელმა წინდანიწვე იცოდა, რომელი სიმღერა რას წარმოადგენდა და რის შეკვეთას აპირებდა! მაგრამ მე საიდან, როგორ განეჭვრიტო, რომელ მწერალსა და პოეტს სხვაზე უკეთესი ნაწარმოები ექნება შინ, ანდა ჩემი სურვილისამებრ უცებ დაწერს, რომ სწორედ ის კალმოსანი მოვინატრო?! ანდა, პირადად ჩემთვის ყველაზე სასურველი შემოქმედი ასევე დანარჩენი მკითხველებისთვისაც იქნება მისაღები?!

სრულიად დილექტანტურ-კომკავშირულად მოაზროვნე რედაქციის ხელმძღვანელობას არ ესმის, რომ ჭეშმარიტ მკითხველს და, მით უმეტეს, მწერალს, ამ შემთხვევაში აინტერესებს არა იმდენად თვით შემოქმედის ვინაობა, მხოლოდ მისი გვარ-სახელი, არამედ ყველაზე უმთავრესი — ახალი მალალმხატვრული ნაწარმოები!!! შემოქმედებითი პროცესი კი მეტად კაპრიზი, იდუმალი, ცვალებადი, ცოცხალი პროცესია! ამიტომ წინასწარ, თანაც ალაღბებდზე ვერავინ განჭვრეტს, რომელმა მწერალმა რა შექმნა, რას ქმნის ან რას შექმნის!!!

კეთილი, მაგაზე ადვილი რა არის: რედაქციას მეც მივწერ — „ლიტერატურული პალიტრის“ ფურცლებზე მსურს ვიხილო ჩემი საყვარელი ქართველი შემოქმედი A, მაგრამ ხომ ადვილი შესაძლებელია ამ დროს B-ს ან C-ს A-ზე გაცილებით უკეთესი ნაწარმოებები ჰქონდეთ და მათი გამოქვეყნება უფრო უპრიანი ყოფილიყო — ხოლო ასეთი დისკრიმინაციული გაფრთხილების გამო „იბეჭდება მხოლოდ შეკვეთილი მასალები“ იმ ავტორებს რედაქციაში ვერ მიუბედავთ, მე კიდევ ამ ჩემი სუბიექტური სურვილის დაუფიქრებელი გამჟღავნებით გზა-კვალს ვუბნევ რედაქციასაც, მკითხველსაც, ლიტერატურულ ღირებულება-ჭეშმარიტებასაც!!!

ანდა, ვინ იქნება თავდები, რომ მართლა ღირსეული მწერლის პატიოსან, მაგრამ დაუდევარ ან საქმეში ყელამდე ჩამხრჩვალ თაყვანისმცემლებს არ დაეზარებათ რალაც შაბლონურ კითხვებზე წარამარა პასუხების წერა-გზავნა, ხოლო რომელიმე გრაფომანის ახირებული ახლობლები და მოცლილი ნაცნობ-მეგობრები თავიანთი წერილებით არ წაღეკავენ რედაქციას?!

ჰოდა, ნუთუ ეს ხერხი თუ ფანდი უნდა იყოს ჟურნალში გამო-
საქვეყნებელ ავტორთა შერჩევის პრინციპი და კრიტერიუმი?!

მოკლედ, მიმდინარე ცოცხალ ლიტერატურულ პროცესში ყველაზე საუკეთესო მხატვრულ ნაწარმოებს უნდა ამზეურობდეს მაღალპროფესიული, მიუდგომელ-მოუსყიდველი მწერლებითა და ლიტერატორებით დაკომპლექტებული რედაქციის მუშაობის ჯანსაღი სტილი და მეთოდი და არა ფარულ კენჭისყრას მიმსგავსებული რაღაც საეჭვო ანკეტური შულერობა.

ამ ხუთკითხვიანი ანკეტის ბოლოს რედაქცია პირდაპირ თავს იწონებს.

„ჟურნალის მომდევნო ნომერი მკითხველების სურვილების გათვალისწინებით დაიგეგმება — ჩვენთან ხომ მხოლოდ რედაქციის მიერ შეკვეთილი მასალები იბეჭდება“.

კი მაგრამ, ლიტერატურული ჟურნალის ნომრები რატომ, რასთან დაკავშირებით უნდა დაიგეგმოს ტრაფარეტული ანკეტის კითხვებზე მოპასუხე „მკითხველის სურვილების გათვალისწინებით“ — აბა, რილას მაქნისია რედაქციის ხელმძღვანელობა, თუკი მას მართლა მაღალპროფესიული ხელმძღვანელობა ჰყავს?! ანდა, რა საკადრისია ნომრიდან ნომერში ამგვარი სასაცილო „სიახლით“ სპეკულირება და პროვინციულ-კაროჟნული ყელმოღერება?!

„ლიტერატურული პალიტრის“ არამწერალ დილეთანტ მესვეურებს არ ესმით — ანდა, სურთ, თავი იმაზე უფრო დილეთანტებად მოგვაჩვენონ, ვიდრე სინამდვილეში არიან, რათა ამგვარი „სიახლის“ მომარჯვებით სამართლიანი სახე მიეცეს ჟურნალის ფურცლებზე მათ მიერ ამოჩემებული ზოგიერთი კალმოსნის უშედეგო თარეშს! — რომ ლიტერატურული ჟურნალის რედაქციის რამედ ღირებული შემოქმედებითი კოლექტივი მკითხველებს კი არ უნდა მისჩანჩალებდეს კუდში, არამედ მათზე გაცილებით მაღლა იდგეს და უზადო ალლო-გემოვნებით თავისთავად, ყოველგვარი ანკეტური განამანისის გარეშეც ხედებოდეს, პასუხობდეს, აკმაყოფილებდეს, ხეინდეს, ამაღლებდეს და წინ თამამად მიუძღვოდეს მკითხველთა ფართო მასების

გემოვნებასა და „სურვილებს“ და არა მედღეხვალისავით იჯდეს და დაღვრემილი ელოდოს მკითხველების მიერ რედაქციაში გამოგზავნილი რაგინდარა „სურვილების“ შეგროვება-შესწავლას, რათა მერე ამის გათვალისწინებით დაგვეგმოს თავისი ყურნალის შინაარსი, იდეურ-მხატვრული მიმართულება, მთელი სალიტერატურო პოლიტიკა!

ყურნალის ანკეტიის მესამე კითხვა რედაქციას ასე ჩამოუყალიბებია.

„რომელ მწერალთან გსურთ შეხვედრა რუბრიკაში „მონატრება?“

ისევ ეს ერთმანეთში გადაკვანძილი კომკავშირული ენთუზიზმი და ლიტერატურული დილეტანტიზმი! განა ეს საკითხავია — ნამდვილი მკითხველი და, მით უმეტეს, მწერალი, უკლებლივ ყველასთან მოისურვებს შეხვედრას: დაწყებული იაკობ ცურტაველით და დამთავრებული იმ ჩვენი თანამედროვე კალმოსნით, ვინც სულ ახლახან გამოესალმა ნუთისოფელს.

მთავარი აქ სულ სხვა რამეა — გააჩნია, რედაქცია რას და როგორ შესთავაზებს მკითხველებს!

არ ვიცი, როგორ გამიგებენ მკითხველები და კოლეგები, მაგრამ ჩემდა თავად ამ კითხვაზე რედაქციაში პასუხის გაგზავნა თავდამცირებად და თან მონატრებული მწერლის შეურაცხყოფად მიმაჩნია და აი, რატომ: როცა, ანდა როგორც კი გარდასულ დროთა რომელიმე ქართველი მწერლის ნაწარმოები მომენატრება — რედაქციას კი სწორედ ნაწარმოები აქვს მხედველობაში! — მაშინ თავს ისე როგორ დავიმცირებ, ამის გულისთვის ჯერ რედაქცია შევანუხო, მერე კი თვეობით გულხელდაკრეფილი ვიჯდე და ვუცადო, „ლიტერატურული პალიტრის“ რედაქცია როდის, ანდა საერთოდ, ინებებს თუ არა ჩემ მიერ მონატრებული მწერლის ნაწარმოების გამოქვეყნებას! მონატრება რილას მონატრებაა, თუკი მაშინვე არ დაიამე ეს მონატრება!!! ამიტომ მსგავს შემთხვევაში ჩემი პატარა ბიბლიოთეკიდან იმნამსვე გადმოვიღებ ხოლმე სულის მალამოდ გადაქცეულ, მონატრებული მწერლის წიგნს და გატაცებით ჩავუჯდები. თუ მისი კრებული არ აღმომაჩნდა, ჩვენი კვარტლის ბიბლიოთეკისკენ მივიჩქარი,

ხოლო თუ არც იქ დამხვდა, მაშინ საბოლოო და საიმედო ბასტიონი რჩება — ეროვნული ბიბლიოთეკა!

ჩემი აზრით, რედაქციამ ამ სათუთი რუბრიკის ქვეშ უნდა ბეჭდოს მონატრებული მწერლის არა მაინცდამაინც რომელიმე გახმაურებული, უმთავრესი ნაწარმოები, არამედ მისივე აქამდე სრულიად უცნობი, ანდა ნაკლებცნობილი მასალები, ნიჭითცხებული კრიტიკოსის მიერ მისი შემოქმედების გარჩევა ან რომელიმე ნაწარმოების სულ ახლებური ინტერპრეტაცია, პროფესიონალი მკვლევარების ხანგრძლივი კვლევა-ძიების შედეგად თუ ილბლიანი ენთუზიასტების მიერ ბედნიერი შემთხვევის წყალობით აღმოჩენილი მწერლის პირადი და შემოქმედებითი ცხოვრების ამსახველი, დღემდე უცნობი ფურცლები, ოჯახის წევრების, ნათესავ-ახლობლების, ნაცნობ-მეგობრების, კოლეგების საინტერესო მოგონებები, მწერლის პირადი არქივიდან ამოღებული მიმონერა, მისი გახმაურებული ნაწარმოების შექმნასთან დაკავშირებული საგულისხმო ამბები, მომენტები თუ წვრილმანები და უამრავი მსგავსი სხვა რამ, როგორც ეს ლიტერატურულ ცხოვრებას ახასიათებს ხოლმე, რასაც მკითხველი სულმოუთქმელად დაენაფება და რის გამოქვეყნებასაც სრულიადაც არა სჭირდება რედაქციასა და მკითხველებს შორის თავშესაწყენი, ანკეტურ-ბიუროკრატიული წინასწარი მიმონერა!!!

აი, ამ ყაიდის მასალები დააინტერესებს მკითხველს! თორემ, მაგალითად, მიხეილ ჯავახიშვილის, ანდა კონსტანტინე გამსახურდიას მონატრების საბაბით რედაქციამ ჟურნალის ნომრიდან ნომერში შეუპოვრად ბეჭდოს და ბეჭდოს საყოველთაოდ ცნობილი და საყვარელი, ყველასათვის ისედაც ადვილად ხელმისაწვდომი „არსენა მარაბდელი“ და „დავით აღმაშენებელი“, ხოლო უმრავლეს ქართველ პროზაიკოსებს აუხდენელ ოცნებად ჰქონდეთ გადაქცეული ხუთ-ექვსგვერდიანი მოთხრობის გამოქვეყნება, მაშინ მაპატიეთ და, შეიძლება თავისთავად დაიბადოს აზრი, რომ „ლიტერატურული პალიტრის“ ხელმძღვანელობამ ეს რუბრიკა განზრახ გამოიგონა ჟურნალის ხელოვნურად შესავსებად, რათა თანამედროვე მწერალთა ფართო წრისთვისაც აღარ დარჩენილიყო ადგილი!

დაახლოებით იგივე შეიძლება ითქვას ანკეტის მე-4 კითხვაზეც.

„რომელი თანამედროვე უცხოელი მწერლის შემოქმედების გაცნობას ისურვებდით?“

რედაქციამ ჟურნალის ხუთ (!!!) ნომერში (2005 წ. №7-11) გაჭიმა ერნესტ ჰემინგუეის ცნობილი რომანი „აღმოხდების მზე“.

ნუთუ ეს მკთხველთა მიერ ანკეტაზე გაგზავნილი წერილების გათვალისწინებით გადაწყდა? ვინ დაიჯერებს, ქართველი მკითხველი აქამდე საერთოდ არ იცნობდა ერნესტ ჰემინგუეის შემოქმედებას და ახლა გულის ფანცქალით ელოდნენ — ჟურნალი ერთი როდის დაიწყებდა მისი რომელიმე, ანდა ამ ნაწარმოების ბეჭდვას?!

რომანს ნამძღვარებული სარედაქციო შესავლიდან კარგად ჩანს, რომ ჟურნალს ეს გაუკეთებია ცნობილი მწერლისა და მთარგმნელის, ვახტანგ ჭელიძის პატივისცემის აღსანიშნავად. რა თქმა უნდა, რედაქცია ქების ღირსია ამგვარი გულისხმიერებისთვის, მაგრამ ეს შეიძლებოდა სხვანაირადაც და უფრო საინტერესოდ გაკეთებულიყო, ლიტერატურულ პროცესებს კი თავისი რკინის ლოგიკა მართავს და ღრმად ვარდარწმუნებული, დღევანდელ ერთგვარ ლიტერატურულ ვაკუუმში მოტანებულ ქართველ მკითხველს ასწილ ერჩია ჟურნალის ამ ხუთ ნომერში ეხილა ჩვენთვის ჯერ კიდევ სრულიად უცნობი, მაგრამ უცხოეთში უკვე სახელმძოვებელი რამდენიმე მწერლის ნაწარმოებები და არა მაინცდამაინც ისევ ეს რომანი, რომელსაც უკვე კარგა ხანია კარგად იცნობს ჩვენი მკითხველი საზოგადოება და სადღა არ შეხვდებით ამ სახელოვანი მწერლის წიგნებს: საკუთარ ბიბლიოთეკაში, მეზობლებთან, ნაცნობ-ნათესავების ოჯახებში, წიგნის მაღაზიებში, ბიბლიოთეკებში... ბუკინისტებს ხომ ნულარ იკითხავთ!..

* * *

„რა მოგეწონათ „ლიტერატურული პალიტრის“ წინა ნომერებში და რა — არა?“

აი, ასეთია ანკეტის ბოლო, მე-5 კითხვა და გულწრფელად ვწუხვარ, რომ ახალდაარსებული ჟურნალის ხელმძღვანელობას

არ აღმოაჩნდა ის შინაგანი მოთხოვნილება, მიხვედრილობა, საქმიანი ინტერესი და გაბედულება, რათა დაესვათ ერთი ისეთი კითხვაც, რომლის პასუხებიც მკითხველთა შეხედულება-მოსაზრებებს გამოამზეურებდა ერთობ უცნაურად დაკომპლექტებულ რედაქციაზე, მისი მუშაობის სტილსა და მეთოდებზე. და რაკი ანკეტას მსგავსი კითხვა არ მოეპოვება, მეც იძულებული ვარ ჩემი სათქმელი ამ ბოლო, მე-5 კითხვას ხელოვნურად მივუსადაგო.

მკითხველის სრულ დაბნეულობასა და გაუგებრობას იწვევს შემდეგი გარემოება. ლიტერატურული ჟურნალის მთავარი რედაქტორის და მისი მოადგილის სკამებზე რატომ, რა საბუთითა და მოტივით დასხეს არამწერალი, წმინდა ლიტერატურული შემოქმედებისგან სრულიად შორს მდგომი პირები.

ოპონენტები, ალბათ, მაშინდელივით ისევ იმ თავიანთ საყვარელ არგუმენტებს ჩაებლაუჭებიან: ჟურნალი კერძოა და ვინც უნდათ, იმას დაბეჭდავენ, რაც საჭიროდ მიაჩნიათ, იმას იზამენ!!! კი მაგრამ, ჟურნალის კერძო კუთვნილება რას ცვლის? შეიძლება ხვალ-ზეგ რომელიმე ჩვენმა წარმატებულმა ბიზნესმენმა უცხოეთის ფირმას კერძო ატომური ელექტროსადგური ააგებინოს და აქაოდა, კერძოაო, ნუთუ გენერალურ დირექტორად და მთავარ ინჟინრად ბირთვული ფიზიკისაგან სრულიად შორს მდგომი თავისი არასპეციალისტი ბიძაშვილები თუ ძმაკაცები უნდა დანიშნოს და საქართველოს ჩერნობილის მსგავსი ტრაგედია დაატეხოს თავს! ჟურნალში აღმოჩენილი ეს ამოდენა ნაკლი, ლიტერატურულ-გრამატიკული უმეცრება და სხვადასხვა სახის მიუტყევებელი შეცდომები განა იგივე ლიტერატურული ჩერნობილი არ არის?! მხედველობაშია მისაღები ეს გარემოებაც: მე ერთი უმნიშვნელო მწერალი და პროფესიით ისტორიკოსი ვარ, ჟურნალის კრიტიკული მიმოხილვა მართლა დიდმა მწერალმა და თანაც ფილოლოგმა რომ მოისურვოს, არ ვიცი, მაშინ რაღა იქნება!!!

მთავარი რედაქტორისა და მთავარი რედაქტორის მოადგილის თანამდებობები მათ დამკავებელთა ცოდნას, პროფესიონალიზმს, ერუდიციას-განსწავლულობასა და გონებრივ ძალ-ღონეს რომ ამკარად აღემატება, ამას თვითონვე აღიარებენ, თანაც

საჩოთირო ფორმით: რედაქციას მონვეული რედაქტორის ინსტიტუტი შემოუღია! აქ მკითხველიც მიხვდება, რამ აიძულა რედაქცია, ამგვარი ნაბიჯი გადაედგა. რომელიმე მწერალს შეუძლია წარმოიდგინოს მსგავსი აბსურდი: მაგალითად, სიმონ ჩიქოვანს, გრიგოლ აბაშიძეს, გიორგი ნატროშვილს, ვახტანგ ჭელიძეს, ელგუჯა მალრაძეს, არჩილ სულაკაურს და სხვებს თავიანთი რედაქტორული უფიცობა-უძღურებისა და მდარე პროფესიონალიზმის მისაჩქმალავად, შესარბილებლად თუ ანაზღაურება-გადასაფარავად სხვა, თავიანთზე უფრო აღმატებული მწერალი გაეხადათ, „მონვეული რედაქტორი“, როცა თავად იყვნენ სწორუპოვარი რედაქტორები!!! ხოლო რომელიმე მათგანს რომ ეგრძნო, ანდა უბრალოდ, მოსჩვენებოდა, ლიტერატურული ორგანოს მთავარ რედაქტორობამდე ჯერ კიდევ აკლდა თუგინდ მისხალი, ღმერთია მოწმე, ის სინდის-ნამუსიანი მწერლები და პიროვნებები „მონვეული რედაქტორის“ მაცდური იმედით ახლოსაც არ წაეკარებოდნენ ლიტერატურული რჯულმდებლის ოქროს სავარძელს!!!

„ლიტერატურული პალიტრის“ მესვეურთა პროფესიული ზერელობა და გამახეტებელი დილეთანტიზმი აი, სად იპყრობს თავის მწვერვალებს: ლიტერატურული ჟურნალის რედაქციაში ერთი მწერალია და ისიც მონვეული რედაქტორი! რედაქციას, ტრადიციისამებრ, არ გააჩნია პროზის, პოეზიის, კრიტიკისა და პუბლიცისტიკის განყოფილებები!!! არადა, სწორედ ამ განყოფილებათა გამგეები და ლიტერატურული მუშაკები წარმოადგენენ რედაქციის ხერხემალსა და მშვენებას, რედაქციასა და ავტორების დამაკავშირებელ ცოცხალ რგოლს, ურომლისოდაც ვერც ერთი რედაქცია ვერ გახდება მწერალთა კორპუსის საყვარელი და მიმზიდველი ორგანო.

მთავარი რედაქტორის ზევსისებური ოქროს ტახტი კი არა, განყოფილების გამგისა თუ რიგითი ლიტმუშაკის თანამდებობაც კი ღვთის ნყალობად მიაჩნდათ ცნობილ მწერლებს: გიორგი შატბერაშვილს, ლადო მრელაშვილს, ედიშერ ყიფიანს, ნოდარ დუმბაძეს, რეზო ამამუკელს, რეზო ჭეიშვილს, ჯანსუღ ჩარკვიანს, ოტია პაჭკორიას, ემზარ კვიციანიშვილს, ტარიელ ჭანტურიას, ციალა ჩხეიძეს, გურამ ფანჯიკიძეს, ჯანსუღ ღვინჯილიას,

თამაზ წივნივაძეს, იორამ ქემერტელიძეს, ნოდარ წულეისკირს, კარლო კობერიძეს, გივი ძნელაძეს, გივი გეგეჭკორს, ტაგუ მებურიშვილს, გივი ჯოხაძეს, თედო ბექიშვილს, გიორგი სანადირაძეს, დავით მჭედლურს, თამაზ ბიბილურს, გურამ დოჩანაშვილს, გიორგი ბაქანიძეს, მირონ ხერგიანს, ბესიკ ხარანაულს... რომელი ერთი გაეხსენო! ავტორს ცოდნას უმაღლებდა და ალღოს უფხავებდა ამნაირ მწერლებთან და პოეტებთან ლიტერატურულ ღირებულებებზე საუბარი, პაექრობა თუ ცხარე კამათი!

„ლიტერატურული პალიტრის“ რედაქციაში მისულმა ავტორმა დერეფანში ვისთან იკამათოს ლიტერატურულ იდეალებზე? იქ ერთადერთი მწერალი მონვეული რედაქტორია და ისიც არ დაგხვდებათ ადგილზე. ამიტომ ეს ჟურნალი თითქმის იატაკქვეშურად, მთავარი რედაქტორისა და მისი მოადგილის კაპრიზების და მდარე ჟურნალისტური გემოვნების მიხედვით იგეგმება!

როგორც ჩანს, „ლიტერატურული პალიტრის“ მთავარ რედაქტორსა და მის მოადგილეს გულუბრყვილოდ სჯერათ, რომ მათ მიერ ჟურნალში დასაბეჭდად მიჩნეულ ზღვა მასალას ერთი მონვეული რედაქტორიც ადვილად მოიყვანს უნაკლო ლიტერატურულ ყალიბში, თვითონ კი „უმთავრესს“ უხელმძღვანელებენ — ჟურნალში დასაბეჭდ ავტორთა ბედ-იღბალს გადანვეტენ, თავიანთ ნანდაურ დებიუტანტებს გზას დაულოცავენ დიდ ლიტერატურაში, როგორც, მაგალითად, ამას წინათ ერთ მათგანს, რომლის ოთხიდან ერთ-ერთ, ციდიან მინიატურაში თბილისელი დარბაისელი ქართველი ბებია შვილიშვილს ასეთი ფრაზით მიმართავს:

„ვინიცობაა (აქ მძიმე უნდოდა. ჯ.მ.), შენი ძმა მოვიდეს, ხომ უნდა ვაჭმიო?!“

ლიტერატურული ჟურნალის მთელ რედაქციაში ერთ თანამშრომელსაც რომ არ ეცოდინება, ანდა იმ დონეზე მაინც არაეცნობა, რათა შეეჭვებულებოდ და უმალ გადაეფურცლა ორთოგრაფიული ლექსიკონი, სადაც ხაზგასმით არის მითითებული: სწორი ფორმაა აჭამა და არა აჭმია, მაშინ ასეთი რედაქცია რამდენიმე თვით უნდა დახურო, უკლებლივ ყველა თანამშრომ-

ელი — დანყებული კორექტორებით, დამთავრებული მთავარი რედაქტორით! — ძალიან რბილად რომ ვთქვათ, გაათავისუფლო და მერე საქართველოს მწერალთა კავშირისა და ასოციაციების მონაწილეობით ღია კონკურსის, ანდა რალაც მკაცრი გამოცდა-ტესტირების მეოხებით შერჩეული მაღალპროფესიული, ჭეშმარიტად ამ საქმისთვის დაბადებული სანიმუშო და გამორჩეული მუშაკებით ხელახლა დააკომპლექტო!!!

* * *

ანკეტის ბოლო, მე-5 კითხვას სიმბოლურად მაინც ვუპასუხებ.

ყველაზე მეტად მომეწონა ჟურნალის პირველ ნომერში დაბეჭდილი მთავარი რედაქტორის წინათქმა, რომელიც მალევე ჩამამწარა მეორე ნომერში მოყოლებულმა დამამცირებელმა გაფრთხილებამ „იბეჭდება მხოლოდ შეკვეთილი მასალები“.

ოპონენტებს რომ არ ეგონოთ, ამ განცხადება-გაფრთხილებას ტენდენციურად ჩავაცივდი, ახლავე დავამტკიცებ, რომ მათთან წრფელი ვარ და იმას ვამბობ, რასაც ვფიქრობ.

სამწუხაროდ, ეს დისკრიმინაციული გაფრთხილება „ლიტერატურულ პალიტრამდე“ ადრე სხვებმაც მოიმარჯვეს ლიტერატურული პროცესების თავიანთ ქეიფზე წარსამართავად და თავიანთივე საძმოს ზოგიერთი ჩლუნგი კუმირისთვის ხელოვნურად გზის გასაკაფად.

პირადად ჩემთვის ამნაირი დისკრიმინაციული გაფრთხილებით გამოწვეული დამცირება და შეუარცხყოფა იმდენად მძაფრი იყო, რომ სიცოცხლეში პირველი პამფლეტი დამანერინა — „როგორ გავხდი შავკანიანი“, რომელიც სულ პირველად 2000 წლის 25 აპრილს დაიბეჭდა გაზეთში „გაუხმაურებელი ფაქტები“ (მთავარი რედაქტორი ქ-ნი ნანა ლომია). აი, ის პამფლეტიც!

როგორ გავხდით შავკანიანი

„ათასგვარი ხრიკები არსებობდა გრინგოების
ამ დანყველილ თამაშში“.

ჯეკ ლონდონი, „მეჩსიკალი“

მაშ, ნუთუ ეს მოსაკითხი არ არის?! მე, ეროვნებით სუფთა ქართველი, ევროპეიდული რასის კანონიერი წარმომადგენელი, რომელმაც საკუთარი ეროვნულ-რასობრივი ვინაობა შეუბღალავად გამოვატარე ტოტალიტარულ რეჟიმს, დღეს მოულოდნელად შავკანიან ზანგად გადავიქეცი!!! ნაცნობები, ალბათ, გაიკვირვებენ: აბა, ეგ რაინაირი შავკანიანობააო?! აქ საქმე მართლა მარტო კანის ფერს რომ ეხებოდეს, მაშინ ვინ გიჟი ამოიღებდა ხმას: თქვენ ადამიანობა მითხარით, თორემ თავისთავად კანის ფერს რა მნიშვნელობა აქვს! მაგრამ მთელი უბედურება ის არის, რომ მე გადმომინერგეს ნამდვილი ამერიკელი ზანგის ფსიქიკა, თანაც არა თანამედროვე, არამედ იმ ავადმოსაგონარი რასისტული ეპოქის ზანგის ფსიქიკა, რომლისთვისაც განსაზღვრული კატეგორიის დანესებულებათა კარზე ადლიანი ასოებით ეწერა — „შავკანიანთათვის შესვლა აკრძალულია!“

ჩემი, როგორც ერთი რიგითი მწერლის ფსიქიკური გაშავკანიანება ასე მოხდა. მოგეხსნებათ, საბჭოთა ეპოქაში რა ძნელი იყო ბეჭდვა. იმპერიის დანგრევამ და ჟურნალ-გაზეთების სოკოსებურმა მომრავლებამ თავიდან ცათაფრენა შემიყენა: ახლა კი გვეშველება — სადაც გინდა, ბეჭდე-მეთქი! მე ტუტუცი მაშინვე კი ვერ მივხვდი, რომ ეს ბოროტების იმპერია დასამარდა და არა ლიტერატურის განუყრელი და განუკურნავი სენი — შური, შენჩემობა, წრეობანა!

ერთ დღეს ქვეყანას ეუნყა ახალი, დამოუკიდებელი ლიტერატურული გაზეთის „ბერიკაობა“ დაბადება. რვაგვერდიანი გაზეთი თავიდან ბოლომდე სულმოუთქმელად ჩავაბუღებულე და ჩემი მისალმება-მხარდაჭერის გამოსახატავად გადავწყვიტე, საკუთარი ნოველა შემეთავაზებინა. ბოლო გვერდზე მისამართს დავუნყე ძებნა. უცებ მეხდაკრულს დავემსგავსე: მისამართს

ზედვე ებმოდა თოქმაშრიფტიანი გაფრთხილება-შლაგბაუმი — „იბეჭდება მხოლოდ შეკვეთილი მასალები“, რომელიც, რაღაც ავბედითი წინათგრძნობით პირადად ჩემთვის ასე აუღერდა — „შავკანიანთათვის შესვლა აკრძალულია!“ ვიგრძენ, განბილება-თავდამცირებისაგან ჭვარტლისფრად როგორ მომემურა კანი და შემისქელდა ტუჩები. შეშინებულმა სარკეშიც კი ჩავიხედე! რაღას ვიზამდი?! დატუქსულ ფინიასავით კუთხეში მიკუნტული, მწარე ფიქრ-განსჯას მივეცი. კომუნისტური რეჟიმისას როგორც უმეტესი მწერლები, ისე მეც ზოგიერთი რედაქციისაგან რაღანაირ ოინსა თუ უსამართლობას არ ვიყავ წვნეული, მაგამ თვით მაშინაც კი მაინც დაცული და ხელშეუხებელი იყო ავტორის უზენაესი უფლება — უფლება საკუთარი შეხედულებისამებრ ნებისმიერი რედაქციის სამსჯავროზე თავისი ნაწარმოების წარდგენისა! ახლა კი „ბერიკაობას“ წყალობით ესეც აღარ მქონდა! ამ შემთხვევამ არასრულფასოვნებისა და უფლებაჩამორთმეულობის განცდის მავნე მიკრობი ჩამითესლა ცნობიერებაში...

გამოხდა ხანი და საქართველოს კიდევ ერთი ლიტერატურული ჟურნალი „ეპოქა“ შეემატა! მხოლოდ მწერალი მიმიხვდება, რანაირი გულის ფანცქალით ვიყიდე კრიალაცდიანი პირველი ნომერი, რომლის სისქე-სიმძიმემ იმედი ჩამისხივა გულში — მისმა წიაღმა ოდესმე იქნებ ჩემი ნაწარმოებიც დაიტიოს-მეთქი. იქვე ავეტმასნე ჭადარს და მისამართის გასაგებად მაშინვე ბოლო გვერდზე გადავშალე. გვერდი პირველი თოვლივით უმტვერო იყო! დავიბენი. გაცბუნებულმა გადავშალე ყდა და სუფთა შმუცტიტულიდან პოლიციელის ხელკეტივით მომხვდა ერთადერთი წარწერა — „შავკანიანთათვის შესვლა აკრძ...“, მაპატიეთ — „იბეჭდება მხოლოდ შეკვეთილი მასალები!“ ეს კიდევ არაფერი: თავის დროზე თვით ავლაბრის არალეგალური სტამბა უფრო ადვილად მისაგნები იქნებოდა, ვიდრე ამ საოცრად გასაიდუმლოებული ლიტერატურული (!!!) ჟურნალის ადგილსამყოფელი, რომელშიც არ იყო მითითებული არც სტამბა-რედაქციის მისამართები, არც რედკოლეგიის შემადგენლობა, არც განყოფილებები და მათი გამგეები. კაცს შეკითხვის, თანადგომის, რაიმე წინადადების, რჩევის, ქების თუ მადლობის თქმა

რომ სურვებოდა, ნამლად ერთი ობოლი ტელეფონის ნომერიც კი არ ჭაჭანებდა!!! „მზეჭაბუკ ჭაბუკაშვილის უურნალი“ — ძუნნად იუნყებოდა თავფურცელი. ეგ იყო და ეგ!

ამ ათიოდე წლის წინ ჩვენი საზოგადოება კვლავ ააღელვა ახალი, თექვსმეტგვერდიანი სალიტერატურო გაზეთის დაბადებამ. ჯერ მარტო სათაური რად ღირდა — „მწე-მფარველი!“ როგორია?! ჰოდა, მეც ჩემებურად მილაგდებოდა ფიქრები: აი, სწორედ ეს გახდება ყველა მორიდებული, დაჩაგრული და მავანთაგან გაშავკანიანებული კალმოსნის მოსარჩლე და ქომაგი-მეთქი! ამიტომ კენიელი მართონელის აღმაფრენით მანამდე ვირობნე ჯიხურიდან ჯიხურში, სანამ ხელში არ დავიჭირე ტელევიზიის სარეკლამო რგოლისგან ხოტბაშესხმული საოცნებო გაზეთი. ჯიხურთანვე დავუნყე კითხვა. რედაქტორი თავის მონინავეში ისეთი შთაგონებით ღაღადებდა ლიტერატურულ იდეალებსა და ღირებულებებზე, ქართული მწერლობის ბედ-იღბალზე, ხალასი ტალანტის უზენაესობაზე, რომ თვით გამხმარ კუნძსაც კი სულს შთაბერავდა, თითებს გამოასხმევენებდა და კალამს ააღებინებდა! ცნობილი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები მხურვალედ ლოცავდნენ გაზეთს და ახალ-ახალი ტალანტების აღმოჩენას უსურვებდნენ! გადმოვაბრუნე გაზეთი და ნეტავ არ დამეხედა: შიგ პირისახეში შემომაფურთხა წარწერამ — „იბეჭდება მხოლოდ შეკვეთილი მასალები!“.

ალბათ, თვით მაიკ ტაისონის აპერკოტიც ვერ დამარეტიანებდა ისე, როგორც ამ გულცივმა გაფრთხილებამ. ო, რა საზარლად არ ეხამებოდა ერთმანეთს ეს დისკრიმინაციული გაფრთხილება და რედაქტორის მაღალფარდოვანი ღაღადისი! იმნამსვე ვიგრძენ: საბოლოოდ როგორ დასრულდა ჩემი, როგორც მწერლის, უფლებამუხლედულ შავკანიანად ჩამოყალიბება! ასევე ცხადი შეიქნა — ქართულ მწერლობაში რალაც ვინრომესაკუთრულ-კულაკური მიმდინარეობა ღორძინდებოდა! ბევრი რამ გავიტარე თვალწინ და მსგავს მოვლენათა კონტურებიდან უღმობელ მონსტრივით ამოიყაყვა პოლიცმაისტერის მუნდირში გამოჯგიმული და მბრძანებლურად გალაჯული მდარე ნიჭის ეგოისტი ლიტერატორ-რედაქტორი, რომელიც მწერალთა კორპუსს უსულგულოდ გვიკლავდა შემოქმედის ბუნებრივ სურვილსა და მოთხოვნილე-

ბას: საკუთარი ნაწარმოებები წარგვედგინა ნებისმიერ და მათ შორის ახალდაარსებული ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთის სამსჯავროზე და ამ არაორაზროვნულ დისკრიმინაციულ გაფრთხილებას „იბეჭდება მხოლოდ შეკვეთილი მასალები!“ — რეზინის ხელკეტივით შავრაზმელური პირქუშობით გვიშვერდა სადღაც ჯანდაბაში!

პირდაპირ გასაკვირია: თუკი მართლა ჭეშმარიტი ლიტერატურული იდეალებისთვის გიცემს გული, მაშინ რანაირადლა შეიძლება ასეთი დისკრიმინაციული გაფრთხილებით შემოიფრთხო კალმოსნები, ხოლო საკუთარ თავს — როგორც ჟურნალისა თუ გაზეთის დამაარსებელსა და პატრონს — ასე უმონყალოდ ძირშივე მოუსხიპო ყველა ჭეშმარიტი რედაქტორის სანუკვარი ოცნება, რომელიც ათასში ერთს თუ აუხდება ხოლმე: ჯერაც უცნობმა, ცით მოვლენილმა გენიამ პირველად სწორედ შენი კაბინეტის კარი შემოაღოს, პირველმა სწორედ შენ აღმოაჩინო და წარუდგინო ხალხს ახალი კაშკაშა ვარსკვლავი?!

„და რაკი ამგვარი გაფრთხილებით მსურველებს რედაქციის კარს უგმანავენ, მაშასადამე, გამოდის, რომ არ სურთ, მწერლობაში ვარსკვლავები გამოჩნდნენ!“ — ნაჩქარევად დაასკვნის ზოგიერთი.

ო, აი, აქ კი სასტიკად ცდებით, ჩემო გულუბრყვილო მკითხველო! უნდათ, როგორ არ უნდათ, ოღონდ ერთი პირობით — თუ ეს ვარსკვლავები თვითონ იქნებიან!!!! აბა?! მიხვდით, სად მარხია ძაღლის თავიცა და კუდიც?!

„კი მაგრამ, — მაინც შემომეკამათებიან, — რანაირად, თუკი საამისო ტალანტი არ ექნებათ?“

მერე რა! ტალანტს რა მნიშვნელობა აქვს?! ან ვილას რაში სჭირდება თქვენი ტალანტი! თანაც ნუ დაგავინყდებათ, რომ არსებობენ ორნაირი ვარსკვლავები — ბუნებრივი და ხელოვნური: აი, ნაძვის ხის მოსართავად, ესტრადაზე, კარნავალებსა და ცირკში რომ ხმარობენ ხოლმე, მერე კი სანაგვეზე ყრიან! ზოგჯერ ასე ხდება მწერლობაშიც: რომელიმე დასი თუ საძმო ვითომდა ლიტერატურული იდეალებისათვის უმნიკვლო სამსახურის მიზნით დააარსებს ლიტერატურულ ორგანოს და პირველივე ნომრიდან იწყება მათი რომელიმე ან რამდენიმე კუმირ-

კალმოსნისგან ხელოვნური ვარსკვლავის თითხნა-ლებვა! სანყალ მკითხველებს პირდაპირ სადისტური უწყალობით უხათქუნებენ თავში მათ გულშესანუხებელ გრაფომანულ მკედრადშობილ ტექსტებს! ჰოდა, ახლა თავად განსაჯეთ: საცა ასეთი ბრმა შეუპოვრობით ლამობენ მკითხველთა ყურადღების სრულ მონოპოლიზებას და მათ ცნობიერებაში ხელოვნური ვარსკვლავის ხატის ჩალურსმვას, როგორ ფიქრობთ, იქ ისინი ლიტერატურის ამომავალ ჭეშმარიტ ვარსკვლავს გაიკარებენ და გაახარებენ?! მოკლედ, ეს ყბადაღებული „იბეჭდება მხოლოდ შეკვეთილი მასალები“ შლაგბაუმივით მართლა იმიტომ კი არ გაუხარხებიათ, გრაფომანსა და უნიჭოს გზა გადაუღობონ, არამედ ხალასმა ტალანტმა გზა არ გაიკაფოს და მათ ხელოვნურ ვარსკვლავებს ლილა არ გაუხუნოს!!!

აი, ამას წინათაც გამოჩნდა მშვენიერად გაფორმებული ალმანახი — „ლიტერატურული კალეიდოსკოპი“. გამოგიტყდებით და ძველებურად აღარ აღფრთოვანებულვარ — როდემდე და სადამდე?! ნათქვამია, რძისაგან შეშინებული დოსაც უბერავდაო! ამიტომ ეჭვითა და ყოყმანით გადავფურცლე ალმანახი. ნეტავ არ გადამეფურცლა — პირველი გვერდიდან ჩხრიალა გველის შხამივით შემომაფურთხა ნაცნობმა წარწერამ — „იბეჭდება მხოლოდ შეკვეთილი მასალები“. იბეჭდება და დაიბეჭდოს, რა ვქნა — ღმერთმა ყველას მშვიდობა მოგცეთ!

მართალია, თვალსაჩინოებისთვის აქ რამდენიმე რედაქცია მივანიშნე, მაგრამ მე ვილაშქრებ არა მათ წინააღმდეგ, არამედ ეგმობ თვით ამ არასასურველ მოვლენას, ვინაიდან, აბა, წარმოვიდგინოთ, რა მოხდება, ერთ მშვენიერ დღეს ყველა ლიტერატურულ ჟურნალ-გაზეთში რომ გაჩნდეს ეს დისკრიმინაციული გაფრთხილება — „იბეჭდება მხოლოდ შეკვეთილი მასალები“ და მწერლებს აღარსად ჰქონდეთ თავიანთი ნაწარმოების წარდგენის მორალური და იურიდიული უფლება. აი, რა ინვეს ჩემში, როგორც ერთ რიგით მწერალში, მძაფრ პროტესტს! ხოლო თუ რაიმე გამონაკლისთან გვაქვს საქმე, მაშინ გასაგებად უნდა ეუნყოს მკითხველს, რომ ეს არის არა მთელი ქართველი მწერლებისთვის განკუთვნილი, არამედ ძმაკაცების, ყოფილი თანაკურსელების, მფარველ-დამფინანსებელი ფირმის სანათეს-

აოს თუ რომელიმე ვინრო წრის ლიტერატურული ორგანო, სა-
დაც მხოლოდ მის ნევრთა ტექსტები დაიბეჭდება. ამ შემთხ-
ვევაში ყველაფერი გასაგები და მოსათმენი იქნება და მაშინ
ამგვარი ყურნალ-გაზეთის რედაქტორმაც თვალმამქცურად აღარ
უნდა შეიშნოვოს მთელი ქართული მწერლობის ქომაგ-ქურუმის
ტოგა და მონომახის ქუდი.

პატივცემულო მკითხველო, ალბათ, გემახსოვრებათ: რომე-
ლიმე საერთაშორისო სპორტული ასპარეზობისას თუკი ვისმე
რამე დისკრიმინაციული გადაწვეტილება მიუღია შავკანიანი
სპორტსმენების მიმართ, ამ უკანასკნელთ თავიანთი პროტესტი
შავხელთათმანიანი მარჯვენის ზეანევიტ გამოუხატავთ საზოგა-
დოებრივ თავშეყრის ადგილებში.

გთხოვთ, ეს პამფლეტიც ზოგიერთი ლიტერატურული ყურ-
ნალ-გაზეთის დისკრიმინაციული ღონისძიების წინააღმდეგ პრო-
ტესტის ნიშნად ანეულ შავ ხელთათმანად ჩამითვალოთ.

ს ა რ ჩ ე კ ი

ცოტა რამ ავტორზე	3
წინასიტყვაობა	7
გინდოდა, გოგოთურსაცა წამასჯდომიყავ თაეზედა? . . .	19
კაყა გიგაშვილი.	20
'ხაალ სამადაშვილი.	32
ბესო ხვედელიძე.	71
აკა მორჩილაძე.	130
რეზო თაბუკაშვილი.	192
დათო ტურაშვილი.	217
ლაშა ბულაძე.	218
მარიანა ნანობაშვილი.	247
ირაკლი ლომოური.	257
ნუგზარ შატაიძე.	270
ბექა ქურხული.	283
გურამ დოჩანაშვილი.	307
ამირან ჭიჭინაძე.	335
რედაქციის მუშაობის სტილზე.	347
პამფლეტი „როგორ გავხდი შავკანიანი“.	362